ISSN 0182—599 X

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

# 3

1987

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 63-ე  № 3  მარტი, 1987 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## 150 — ა. ს. პუშკინი — 150


გრიგოლ აბაშიძე — მზიური პოეზია . . . . . . . . . . . . . . 3
თენგიზ ბუაჩიძე — დიდოსტატი . . . . . . . . . . . . . . 5
რომან მიმინოშვილი — უკვდავება . . . . . . . . . . . . . . 9


## პროზა, პოეზია


ოთარ ჭილაძე — მარტის მამალი. რომანი. გაგრძელება. . . . . . . . . 11
ვახტანგ გორგანელი — დიდება. ლექსი . . . . . . . . . . . . . 55
ჯანო ჯანელიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 56
გენო კალანდია — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 59
მაკა ჯოხაძე — ფიფქები უდაბნოში. მოთხრობა. . . . . . . . . . 64
მზია ჩხეტიანი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 88
გივი ჭიჭინაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 90
იმედი ჯახუა — ლექსები . . . . . . . . . . . . . . 92


## ნარკვევი


მირონ ხერგიანი — ჟამუშის სევდა . . . . . . . . . . . . 95


## კრიტიკა, პუბლიცისტიკა


ელიზბარ ჯაველიძე — უკეთუ სულით ცხოველ არს იგი . . . . . . . . 106
აკაკი ბაქრაძე — უღირსებო კაცი . . . . . . . . . . . . . 131


## 150 — ილია ჭავჭავაძე — 150


ანდრე კარბელაშვილი — „ივერიის" კორესპონდენტი ლონდონში . . . . . 138


(იხ. მეორე გვერდი)

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შინაარსი (გაგრძელება)

## მეცნიერება

რევაზ თვარაძე — სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება და ქართული მწერლობა . . . . . . . . . . . 144
რამაზ პატარიძე — დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი . . . . . . 153

## მოგონებები, ფაქტები

სერგი დურმიშიძე — ბუნების სადარაჯოზე . . . . . . . . . . . 161

## წიგნების მიმოხილვა

როლანდ ბურჭულაძე — ნაშრომი ქალაქების ისტორიაზე . . . . . . . . 168
ლევან ფრუიძე — დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით . . . . . . . 171

## გამოსათხოვარი

ანდრია აფაქიძე — აღსრულდა დიდი ექვთიმეს ოცნება . . . . . . . . 175

---

მთავარი რედაქტორის მაგიერ ბესიკ ხარანაული

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო   კ ო ლ ე გ ი ა:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

# მზიური პოეზია

„ვერავინ ვერ შეცვლის პუშკინს. ერი მხოლოდ ერთხელ წარმოშობს ადამიანს, რომელიც ასე მაღალ დონეზე აერთიანებს თავის თავში ესოდენ განსხვავებულ, ერთიმეორის გამომრიცხავ თვისებებს“.

ეს სიტყვები პუშკინის თანამედროვეს, მაშინდელი ევროპის ერთ-ერთ უდიდეს პოეტს, ადამ მიცკევიჩს ეკუთვნის.

თავისი შემოქმედების უნივერსალობით პუშკინიც ისეთივე რენესანსული მოვლენაა რუსულ ლიტერატურაში, როგორიც შექსპირი და გოეთე იყვნენ ინგლისური და გერმანული ლიტერატურისათვის.

პუშკინი არის არაჩვეულებრივი და, შესაძლოა, ერთადერთი გამოვლენა რუსული სულისაო, იმოწმებდა გოგოლის გამონათქვამს დოსტოევსკი და თავის მხრივ უმატებდა: „პუშკინი ჩვენთვის, რუსებისათვის წინასწარმეტყველური მოვლენაც არისო“.

აითვისა რა კაცობრიობის სულიერი კულტურის უმაღლესი მიღწევები, პუშკინი ამავე დროს ჩასწვდა მშობელი ხალხის სულის სიღრმეებს, რუსული ენის მომხიბლავ საიდუმლოებებს და შექმნა ზოგადკაცობრიული მნიშვნელობის, უაღრესად ეროვნული რუსული პოეზია, რომლის ცხოველმყოფელი გავლენით, აგერ, დღემდე ვითარდება რუსული ლიტერატურა.

პუშკინის ჰუმანიზმი ჰუმანიზმია დიდი ერის უპირველესი შვილისა, რომელიც თავის უდიდეს დამსახურებად იმას თვლიდა, რომ იმ სასტიკ დროში თავისუფლებას ადიდებდა და კეთილშობილ გრძნობებს აღვიძებდა.

პოეტს სჯეროდა, რომ სწორედ ამის გამო მოეფინებოდა მისი სახელი მთელ რუსეთს და მის სამშობლოსთან დაკავშირებული ყველა ხალხი თავთავის ენაზე განადიდებდა მას.

პუშკინის ეს წინასწარმეტყველება ჩვენს დროში ახდა.

ყველა ჩვენგანის გულისნადები შესანიშნავად გამოთქვა პუშკინის საიუბილეო საღამოზე, დიდ თეატრში, ჩვენმა სახელოვანმა მეგობარმა ჩინგიზ აიტმატოვმა. მან განაცხადა: „პუშკინის წყალობით ჩვენ შევინარჩუნეთ მშობლიური სიტყვის, როგორც გარიყრაჟს სიყვარული და ალტაცების უნარი, შევინარჩუნეთ სპეტაკი და ღრმა ემოციები. ეს კი ცოტა როდია ჩვენს დროში... პუშკინისაგან მემკვიდრეობით მიღებული სიყვარულის ეს შესანიშნავი ნიჭი გვეხმარება ვაფასებდეთ და გვიყვარდეს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ენა, თითოეულ მათგანში ვპოულობდეთ განუმეორებელ თვისე-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

ბასა და იშვიათ ღირსებებს, რადგანაც ყველა ენა ერთად ადამიანის უძლიერესი და მარადიული იარაღია დედამიწისა და მთელი სამყაროს ათვისებაში".

პუშკინის ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო რუსული ენის სრულყოფილ ფლობაშია.

მან ამ ენის შესაძლებლობები თითქმის ამოწურვამდე, მაქსიმალურად გამოიყენა და ხალხურობისა და სისადავის, სინათლისა და სილაღის სასწაულებს მიაღწია. პუშკინი რუსული ენის ჯადოქარია და მსოფლიო პოეზიაში ცოტა მოიძებნება პოეტი, რომლის მზიურ პოეზიაში ასე ორიგინალურად იყოს შეერთებული სიბრძნე და სიმსუბუქე.

მაგრამ ეს ღვთაებრივი სილაღე და სიმსუბუქე თითქმის არაადამიანური შრომითა და სიტყვაზე დაყინებული მუშაობით რომ არის მიღწეული, ამას ჩვენ ერთი წუთითაც ვერ ვგრძნობთ.

ბევრი დიდი მწერლის ხელნაწერი მინახავს დედნებში, მათ შორის დანტესი და პეტრარკასი, გოეთესი და ბაირონისა. მაგრამ ყველაზე მეტად პუშკინის ავტოგრაფი მაოცებდა: ისინი ისე არიან აჭრელებულნი მრავალსართულიანი სწორებით, ერთადერთისა და აუცილებელის ძიებაში, სიტყვათა მოუწყინარი ცვალებით, რომ ხშირად მათი წაკითხვა ჭირს. ასეთი შრომის ფასად მიღწეული არაჩვეულებრივი მუსიკალობა, სიმსუბუქე და სილაღე, ლექსის განუმეორებელი ხიბლი არის პუშკინის პოეზიის ის ნიშნები, რომელთა გადატანა სხვა ენაზე ზოგჯერ გადაულახავ სიძნელედ გვესახება.

ამიტომ არის პუშკინის პოეზია ძნელად სათარგმნელი.

შთაგონებისა და შრომისმოყვარეობის განუყრელობა, არაჩვეულებრივი ნაყოფიერება ყველა გენიოსს ახასიათებს მეტნაკლებად და პუშკინი ამ მხრივაც სამაგალითოა.

ჩვენს დიდ წინაპრებს — ილიასა და აკაკის კარგად ესმოდათ პუშკინის მნიშვნელობა. ისინი თავს ხრიდნენ მისი გენიის წინაშე და მის სიყვარულს შთააგონებდნენ ჩვენს ახალგაზრდობას.

პუშკინის ქართულად თარგმნას არაერთი ჩვენი სახელოვანი პოეტი შესჭიდებია ალექსანდრე ჭავჭავაძიდან მოყოლებული: იგი კვლავაც მიიზიდავს ჩვენი პოეზიის ახალი და ახალი თაობების ნიჭიერ წარმომადგენლებს, რომლებიც შეეცდებიან თავიანთი შესაძლებლობანი სცადონ კიდევ უფრო სრულყოფილი თარგმანების შექმნაში.

პუშკინის მიმართ ქართველებს განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს.

არაქართველ პოეტთაგან მან პირველმა უმღერა საქართველოს და რუსული და მსოფლიო პოეზიის მშვენებად აქცია ქართულ თემაზე შექმნილი შედევრები.

ამით მან სათავე დაუდო იმ უწყვეტსა და შესანიშნავ ტრადიციას, რომლის გაგრძელებას წმინდა მოვალეობად თვლიდა რუსული პოეზიის თითქმის ყველა თაობის საუკეთესო წარმომადგენელი — ლერმონტოვიდან დაწყებული ჩვენს უნიჭიერეს თანამედროვეებამდე.

პუშკინისადმი ჩემი უსაზღვრო სიყვარულის ეს განცხადება მინდა დოსტოევსკის სიტყვებითვე დავამთავრო: „პუშკინი მოკვდა თავისი ძალების სრული გაფურჩქვნის ჟამს და უთუოდ თან ჩაიტანა კუბოში ზოგი დიდი საიდუმლო. და აი ახლა ჩვენ უიმისოდ ვცდილობთ ამ საიდუმლოს ამოხსნას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ბუაჩიძე

# დიდოსტატი

1

თითქმის ყველამ იცის, ზოგადად მაინც, პუშკინის ბიოგრაფია და მის მთავარ თხზულებათა მნიშვნელობა.

მაგრამ ასევე ბევრმა იცის ის კონკრეტული თვისებანი, რამაც პუშკინი აქცია რუსეთის უპირველეს ეროვნულ პოეტად და მსოფლიოში აღიარებულ გენიოსად?

პუშკინის ორი თვისება, ორი თავისებურება იპყრობს ჩვენს ყურადღებას, იწვევს განცვიფრებასა და აღტაცებას: უმაღლესი ზეშთაგონება და ტიტანური შრომა. თვით პოეტი ერთგან ამბობს:

Я знал и труд и вдохновенье.

როგორც ყოველთვის, უბრალოდ, ყოველგვარი ზეაწეულობის, პათოსისა და ყალბი ამაღლებულობის გარეშე აფიქსირებს ქაღალდზე სწორედ იმ ორ თვისებას, ასე ჰარმონიულად რომ შეირწყა მის პიროვნებაში — შთაგონება და შრომა.

ეს პიროვნულ პლანში.

საზოგადოებრივ პლანში, პუშკინი რომ უპირველესი პოეტი და ახალი რუსული ლიტერატურის მამამთავარი გახდა, აგრეთვე, ორმა მოვლენამ განაპირობა, მან შეძლო ორი ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის გადაწყვეტა: პირველი — ლიტერატურა აქცია სინამდვილის ამსახველ სარკედ და ხალხის სულიერი ცხოვრების ხელმძღვანელ ძალად, მეორე — განამტკიცა ლიტერატურა მის სპეციფიკაში, ე. ი. აიყვანა და დაამკვიდრა მწერლობა ნამდვილ მხატვრულ ხარისხში, მიანიჭა ჭეშმარიტი ეროვნული სიტყვაკაზმული ხელოვნების უმაღლესი დონე.

2

იმ დროისათვის, პუშკინი რომ სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა, რუსული ლიტერატურის მთავარმა მიმართულებამ — კლასიციზმმა, თავის დროზე უთუოდ პროგრესულმა, ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული კულტურის დამკვიდრებას ხელს რომ უწყობდა, დაკარგა ეს მნიშვნელობა რუსეთის საზოგადოებრივ-ისტორიული ცხოვრების განვითარება-სახეცვლილების შედეგად. მისი ეპიგონების შემოქმედებაში, კლასიციზმს რომ ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობებს უპირისპირდებოდნენ, მან ობიექტურად რეაქციული ხასიათი შეიძინა.

რუსული ლიტერატურის განვითარებაში კლასიციზმის ნაცვლად დადგა

ახალი პერიოდი, პირობითად „კარამზინის პერიოდს" რომ უწოდებენ. ამ მიმდინარეობის ყველა გამოჩენილ წარმომადგენელთა შემოქმედებაში, უპირველესად, თვით კარამზინისა და პუშკინის უშუალო მასწავლებლების — ბატიუშკოვისა და ჟუკოვსკის — შემოქმედებაში გამოვლინდა ბევრი იმგვარი ნიშან-თვისება, უდავოდ პროგრესული რომ იყო კლასიციზმთან შედარებით: პიროვნების გამოთავისუფლება ფეოდალურ-აბსოლუტისტური სახელმწიფოებრიობის ბორკილებიდან, მისი უფლების აღიარება პირად, შინაგან სულიერ ცხოვრებაზე, ყურადღების გამახვილება ადამიანის სუბიექტურ განცდებზე, მისწრაფებებზე, სურვილებზე, ოცნებებსა და წარმოდგენებზე.

ამ ახალ მოვლენასთან უშუალო კავშირში „კარამზინის პერიოდის" გამოჩენილ მწერალთა შემოქმედება წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო ლიტერატურის მხატვრულობის, პოეტური სტილის, სალიტერატურო ენის განვითარებაში: უკუგდებულ და დაგმობილ იქნა კლასიციზმის მაღალფარდოვნება, რიტორიკა, დამკვიდრდა ბუნებრიობა, უბრალოება, ადამიანურობა, კლასობრივად რამდენადმე შეზღუდული, მაგრამ, წარსულთან შედარებით მაინც ლიტერატურული დემოკრატიზმი.

ზემოხსენებულ პროგრესულობასთან ერთად, იმასაც სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ყოველივე ეს მიღწეულ იქნა საზოგადოებრივ-სოციალური თემატიკის უარყოფით, იმ საკითხებზე უარის თქმით, დიდი სახალხო-ეროვნული მნიშვნელობა რომ ჰქონდათ, მხოლოდ ინტიმური, კერძო-პიროვნული, კამერული და ყოფითი თემების წინა პლანზე წამოწევით, მათი ინტენსიური დამუშავებით, მხოლოდ ამგვარი სუბიექტური სამყაროს მოზღუდვით.

კლასიციზმის დიდი თემებისა და მონუმენტური ჟანრების საპირისპიროდ „კარამზინის პერიოდის" ლიტერატურა იყო მცირე თემების, მცირე ჟანრების, მხოლოდ სასიყვარულო ელეგიების, სანტიმენტალური რომანსების, რომანტიკული ბალადების ლიტერატურა. იგი განკუთვნილი იყო მხოლოდ რჩეულთათვის, ხელოვნების „ჭეშმარიტი" დამფასებლებისათვის, ერთეულთათვის, ხოლო დილეტანტ-ეპიგონების ხელში ის იქცეოდა „შინაური ხელსაქმის", სალონური ალბომების, ყოველდღიური გართობის, ცვალებადი მოდის, მოყვარულთა პოეზიის დონის ლიტერატურად.

პუშკინის შემოქმედება წარიმართა ფართო ლიტერატურულ-ისტორიული სინთეზის გზით: კლასიციზმის რიტორიკულ ფორმებში გამოვლენილი მოქალაქეობრიობა მან დაამყნო „კარამზინის პერიოდის" ლირიზმსა და კეთილხმოვანებას, მიანიჭა რა პირველს ჭეშმარიტი პოეტურობა, ხოლო მეორეს — ჭეშმარიტი მოქალაქეობრიობა. ტყუილად კი არ იწვევდა პუშკინის ირონიულ ღიმილს კ. რილეევის ცნობილი სტრიქონი:

Я не поэт, я — гражданин.

მისთვის ეს ცალ-ცალკე არ არსებობდა, ჰარმონიულად შერწყმული, გაერთპიროვნებული იყო თვით მასში, ჭეშმარიტ პოეტში.

3

ერთი განსაკუთრებული მოვლენა პუშკინის შემოქმედებაში ისიცაა, რომ მისი ლექსი და პროზა იმგვარი იშვიათი ძალდაუტანებლობით, ბუნებრიობითა და უბრალოებითაა აღბეჭდილი, რომ ქმნიან ილუზიას, თითქოს თავისით, ყოველგვარი დაძაბულობისა და ძალდატანების გარეშე, მსუბუქად და თავისუფლად განლაგდნენ ქაღალდზე. სინამდვილეში ეს, რასაკვირველია, ასე არ არის. გენიოსი პოეტი უდიდესი მშრომელიც იყო. ერთხელ თვით პუშკინმა უწოდა თავის შემოქმედებას „იდუმალი შრომა".

ჩვენ რომ პუშკინის ხელნაწერებში ჩავიხედოთ (ისინი ინახება ლენინგრადში, რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში, პუშკინის სახლს რომ უწოდებენ), „იდუმალი შრომა“ გაცხადდება. ძნელი წარმოსადგენია, რა კოლოსალური ენერგია, მოთმინება, დაჟინება, ძალისხმევაა დახარჯული იმისათვის, რომ პოეტს დასახული მიზნისათვის მიეღწია, იდეალური სიზუსტითა და იდეალური ფორმით გამოეთქვა ის, რისი გამოთქმაც სურდა.

პუშკინის ხელნაწერები იძლევიან სრულ სურათს, თითქოს შთამბეჭდავ ფოტოგრამას მისი შემოქმედებითი პროცესისა. არაჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, ფრთიანი და უკიდურესად გამალებული ხელი, უაღრესად ძნელად გასარჩევი ცალკეული სიტყვები და მთელი ფრაზები, ზოგჯერ ტექსტის მოზრდილი მონაკვეთებიც, ხშირად რომ სტენოგრაფიულ ჩანაწერებს ჰგვანან, დაუმთავრებელი სიტყვები, მრავალი კალმისმიერი შეცდომა — თვალნათლივ მოწმობენ, როგორ მართლაც ბობოქარ ნიაღვრად მოედინებოდა პუშკინის შთაგონებული აზრები, იდეები, სახეები, შედარებები, მეტაფორები, განსაზღვრებები, სახელები და ზმნები.

და საკმარისია დახედოთ იმავე ხელნაწერებს უამრავი წაშლილი, ნასწორები, შეცვლილი ადგილებით, ჩანართებით, აღდგენილი და კვლავ უარყოფილი სიტყვებით, სტროფებით, სულ ახალი და ახალი ვარიანტებით, რომ სამუდამოდ გაქრეს გულუბრყვილო წარმოდგენა, თითქოს პოეტი უცბად, ერთბაშად, პირველად მოსული სიტყვებით ქმნიდა თავის შედევრებს.

ეს არის უტყუარი სურათი არა მხოლოდ შემოქმედებითი ძალის უწყვეტი, შთაგონებული, შადრევანისებრი ფრქვევისა, არამედ განუმეორებელი სურათი, სარკისებრი ანარეკლი ტიტანური, მძაფრი, დაძაბული, დაუმცხრალი ძიებისა, ცხადია, ძნელი, მტკივნეული, ზოგჯერ მტანჯველი შემოქმედებითი პროცესისა.

და სწორედ იმის გამოც, რომ პუშკინის მწერლური შრომა იყო მგზნებარე, გასულიერებული, შთაგონებული, ხოლო შთაგონება, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გამსჭვალული „პატიოსანი და კეთილშობილი“, „შეუპოვარი და მუდმივი“ შრომითა და რუდუნებით, შეძლო პოეტმა ჭეშმარიტად ისტორიული, როგორც რუსი მკვლევარები ამბობენ, დევგმირული მისიის შესრულება თავისი მშობლიური ლიტერატურისა და კულტურის განვითარება-აღზევებაში.

## 4

პუშკინის ღრმა რწმენამ, რომ მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტ სიცოცხლეს განაპირობებს „იდეა“, „აზრი“, განსაზღვრა ძირითადი მოთხოვნილებანი, სხვა მწერლებს რომ უყენებდა და, აგრეთვე, მისი საკუთარი მხატვრული ოსტატობის მთავარი პრინციპები: სწორად რომ იაზროვნო, უნდა იაზროვნო უბრალოდ, ზუსტად, მკაფიოდ, ასევე უნდა წერო.

პროზის ძირითადი თვისებები პოეტმა ასე განსაზღვრა: „სიზუსტე და სიმოკლე — აი, პროზის პირველი ღირსებანი. პროზა მოითხოვს აზრებსა და აზრებს, ურომლისოდაც ბრწყინვალე გამოთქმანი არაფერს არ ემსახურებიან“. სიზუსტე, მკაფიოობა, ფორმის „კეთილშობილური უბრალოება“ ყველაზე მეტად ესადაგებოდა აზრით გაჯერებულს, ჭეშმარიტებით, გონებისა და გრძნობის სიმართლით გამსჭვალულ იმ ახალ, რეალისტურ ხელოვნებას, რომლის გენიალურ ფუძემდებლად მოევლინა პუშკინი რუსეთს.

იმ აუცილებლობას, რომ ეწერათ უბრალოდ, მოკლედ და მკაფიოდ, პუ-

შკინი არა მხოლოდ ქადაგებდა, არამედ მთელი პირადი შემოქმედებით ამტკიცებდა. უბრალოდ, მოკლედ და მკაფიოდ წერის ხელოვნებას, განპირობებული რომ იყო პუშკინის მისწრაფებით, დაეტვირთა საკუთარი მხატვრული შემოქმედება მაქსიმალური შინაარსით, ღრმა გრძნობებითა და პოეტური აზრებით, იგი აღწევდა ყოველივე იმისგან ტექსტის მიზანსწრაფული და ენერგიული განტვირთვით, რაც, მისი აზრით, ოდნავ მაინც იყო ზედმეტი, უხეიროდ ნათქვამი, ბოლომდე გაურკვევლად გამოხატული, უზუსტო, მოკლედ — თავიდან იცილებდა ყოველგვარ სიტყვიერ ბალასტს, რაც კი მხოლოდ გარეგნულ ეფექტს ემსახურებოდა, ფაქტიურად შინაგანად ცარიელი „ბრწყინვალე თქმა“ იყო და რაც მხოლოდ „ფორმის სასიამოვნო გამოვლინებას“ აღნიშნავდა.

უბრალოება, სიზუსტე, მკაფიოობა ქმნიდა სწორედ იმ არაჩვეულებრივ შეკუმშულობას, ტექსტის იმ უკიდურეს სიმკვრივეს, მხატვრული ფორმის იმ განსაკუთრებულ ლაპიდარულობას, სამართლიანად განთქმულ იმ ლაკონიზმს, რომლებიც პუშკინის მწერლური მანერის სპეციფიკურ თავისებურებებს შეადგენდა და, თვით ევროპელ სპეციალისტთა აღიარებით, მის დიად ქმნილებებს მსოფლიო ლიტერატურაში თითქმის უმაგალითო, ერთადერთ მოვლენად აქცევდა. რუსული ლიტერატურის განვითარების იმ ეპოქაში პუშკინის ეს თავისებურება უმაღლესად ნოვატორული და განსაკუთრებულად ნაყოფიერი იყო.

პუშკინის ლაკონიზმი თავს იჩენს არა მხოლოდ ენაში, იგი მოიცავს მისი შემოქმედების ყველა ელემენტს, მჟღავნდება ფაბულაში, კომპოზიციაში, ხასიათების ხატვაში, პორტრეტში, პეიზაჟში, ეპიზოდთა რაოდენობასა და მოცულობაში.

5

როდესაც მივუთითებთ პუშკინის თხზულებათა მხატვრული ფორმის ლაკონიზმზე, რომლის საფუძველს შეადგენს სიმოკლე და მკაფიოობა, უმჭიდროესად დაკავშირებული გამოსახვის ძალასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ორი თვისება — მკაფიოობასთან უშუალო კავშირში მყოფი უბრალოება და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი — უმაღლესი შინაარსობლიობა.

ბევრის გამოთქმა ცოტას საშუალებით, იდეათა და შინაარსის სიმდიდრე და სიღრმე უკიდურესად შემჭიდროებული, ნათელი და უბრალო ფორმით — ესაა პუშკინის ლაკონიზმის არსი. აზრის მკაფიოობასა და მისი გამოთქმის უაღრეს სიზუსტეს ვხვდებით პუშკინთან ყველგან და ყველაფერში.

პუშკინის თხზულებანი რომ ყველასთვის გასაგებია, მათ რომ ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო პოპულარობა ახასიათებთ, განპირობებულია არსებითად წერის ღრმად დემოკრატიული პრინციპით — მოკლედ, მკაფიოდ, უბრალოდ, რომლითაც მუდამ ხელმძღვანელობდა იგი შემოქმედებაში, პოეზიაშიც, პროზაშიც, დრამატურგიაშიც, კრიტიკაშიც, პუბლიცისტიკაშიც, პირად მიმოწერაშიც და ყოველდღიურ მეგობრულ საუბრებშიც.

სტილის ეს დემოკრატიული პრინციპი გახდა ერთი მთავარი საფუძველთაგანი, პუშკინმა რომ ეროვნული სიტყვის ხელოვნებაში სამუდამოდ დაამკვიდრა, რამაც მრავალწილად განსაზღვრა მისი და შემდგომი რუსული კლასიკური ლიტერატურის უდიდეს ქმნილებათა ჭეშმარიტი ხალხურობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომან მიმინოშვილი

# უკვდავება

დიდი პოეტის გახსენება ვალის მოხდა როდია. იუბილე წინაპრისა და შთამომავლის სადღეისო დიალოგიც არის და, რაკი წარსული ჩვენი ცხოვრების ნაწილია, რაკი იგი დღესაც ჩვენში ცოცხლობს და მოქმედებს, საიუბილეო დღესასწაული ჩვენი კავშირისა და ერთიანობის დემონსტრაციაც გახლავთ. ამიტომ გვიხარია საერთო სიყვარულის აღიარება და ერთმანეთისთვის იმის გაndobა, რომ ჩვენი სულის ნაწილმა — მაღალმა პოეზიამ მოახდინა სასწაული, რომელსაც ერთსულოვნება ჰქვია.

თითოეული ჩვენგანის სულში ცოცხლობს პუშკინი, რომელმაც დღეს შეთქმულებივით ერთად მოგვიყარა თავი. დიახ, ეს შეთქმულებაა სიკეთის, მშვენიერების, ჰარმონიის სადიდებლად, იმის სადიდებლად, რასაც ემსახურა პუშკინის უბადლო ლირა.

ალექსანდრე პუშკინის უკვდავება განაპირობა არა მხოლოდ იმან, რომ პოეტმა რუსული ლიტერატურა მანამდე არნახულ მწვერვალზე აიყვანა, არა მხოლოდ იმან, რომ რუსული ენის წიაღში მიაგნო საოცარ სისადავეს, მოქნილობასა და მშვენიერებას, არამედ იმანაც, რომ იგი შეეხო ადამიანის სულის აუთრთოლებელ სიმებს და უჩვეულო ჰარმონიას გვაზიარა. საოცარი სინაზე და ამასთან ერთად ბობოქარი შინაგანი ცეცხლი, რომელიც ჩაუქრობლად გიზგიზებს მის პოეზიაში, ყოველ ეპოქას, ყოველ ახალ თაობას მშვენიერებასთან სიახლოვის ჟრჟოლას ჰგვრის და ყოველ ადამიანში პუშკინი ხელახლა იბადება. ქვეყნად არ არის ტყვია, რომელსაც ამ ახალი სიცოცხლის მოკვლა შეეძლოს, რადგან არ არსებობს პუშკინი ცალკე, იგი ყოველი ჩვენგანის სულშია შეზავებული და ასე იქნება მუდამ,

«доколь в подлунном мире жив будет хоть один пиит...».

თითქმის საუკუნის წინათ გაზეთი „ივერია" წერდა: „მხოლოდ ამისთანა მწერლებს შეუძლიანთ იმ წმინდა შეურყეველი კავშირის, ძმობისა და სიყვარულის დამკვიდრება სხვადასხვა ერთა შორის, რომელიც სანატრელია ყოველის აწინდელის ქართველისათვის. მაშ დიდება და უკვდავება პუშკინის დიდებულ სახელს".

რა კარგად არის ნათქვამი! დღესაც, ასი წლის შემდეგ, ჩვენ ვგრძნობთ, რას ნიშნავს ერთა წმინდა და შეურყეველი კავშირისათვის, ძმობისა და სიყვარულისათვის პუშკინის სახელი. ამ სიტყვებში თითქოს ჩვენი სათქმელიც არის ნათქვამი!

დღეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკას სტიქიური უბედურება ეწვია და

არა ერთი ოჯახი ააცრემლა, გვახსენდება, რომ დიდი პოეტი თავის დროზე საქართველოს სევდას იზიარებდა, გულს ტკენდა სიმღერა «Грузии печальной».

გოგოლის აზრით პუშკინი «Жарче и пламеннее там, где душа его коснулась юга».

ცნობილია, რომ პუშკინი ოცნებობდა ჩამოსულიყო ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც იგი პეტერბურგში მცხოვრები ქართველებისაგან და მის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნებიდან იცნობდა, დიდხანს ეს ვერ მოახერხა და ბოლოს უნებართვოდ მაინც ჩამოვიდა. აღფრთოვანებული წერდა პოეტი: «Я вижу, как меня любят, понимают и ценят, и как это делает меня счастливым... Очаровательный край! Сколько я почерпнул истинной поэзии, сколько испытал разных впечатлений».

პუშკინმა დაუდო სათავე იმ დიდ სიყვარულს საქართველოსადმი, რასაც ამჟღავნებდნენ სახელოვანი რუსი მწერლები დიდი ტოლსტოიდან დაწყებული დღევანდელი თაობის ჩათვლით. ამ სიყვარულში ვინმეს რომ შეეშალოს, საქართველოს კი არა, პუშკინისა და დიდი რუსული ლიტერატურის ღალატი იქნება!

დანტესის ავბედითი ტყვია რომ არ ყოფილიყო, პუშკინი დღემდე მაინც ვერ იცოცხლებდა... მაგრამ კაცობრიობის მარად მოუშუშებელ ჭრილობას, რომ ვეხებით, დღევანდელ მოუსვენარ ეპოქაში, როცა ბეწვზე ჰკიდია პლანეტის ბედი, ის სულის შემძვრელი ტკივილი რომ გვახსენდება, უფრო გვემატება ძალა ეროვნულ და საკაცობრიო ფასეულობათა გადასარჩენად. კაცობრიობამ შექმნა არა მხოლოდ დიდებული ტაძრები, შვა პუშკინი თუ ილია ჭავჭავაძე, არამედ გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე ჰეროსტრატეებიც, დანტესებიც და ბერბიჭაშვილებიც... ყელში ლამის სული მომებჯინა, როცა სულ ახლახან წავიკითხე მერვეკლასელი ქართველი გოგონას სასწაული სიტყვები: ზოგჯერ მინატრია, ნეტავი ერთი, დანტესის თვალებში ჩამახედაო...

და მე მჯერა, რომ იმ ქართველი გოგონას თაობა, ოცდამეერთე საუკუნის პატრონთა თაობა დაიცავს კაცობრიობის საგანძურს ახალი დროის ჰეროსტრატეების, დანტესებისა და ბერბიჭაშვილებისაგან, დაიცავს დიდი პუშკინის სახელს, რომლის წინაშე დღეს ქედს იხრის მადლიერი შთამომავლობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჭილაძე

# მარტის მამალი

რომანი

10

ექიმი, ვინ იცის, მოვიდა და წავიდა კიდეც, ნიკოს კი არაფერი გაუგია, ისევ წაილო ბურანმა, ფიქრმა, სიზმარმა. თუმცა, არა, არავითარ შემთხვევაში, თვითონ თუ ვერ გაიგებდა, ბებია და დეიდა გააგებინებდნენ. არც თავად ექიმი გამოაპარებდა თავის მოსვლას. „აბა, დღეს როგორა გრძნობს თავს ჩვენი ყაჩაღი?! ოხ, ბოდიში, ყაჩაღი კი არა, ყოჩაღი. ყოჩაღი მინდოდა მეთქვა“. ძნელია იმის არშემჩნევა. მთელი სახლი აფორიაქდება ხოლმე: სკამები ჭრაჭუნობენ, ფარდები ფრიალებენ, წიგნები თავისთავად იფურცლებიან — საბერველივით სუნთქავს, მაგრამ პაპასავით გულჩვილი, გულკეთილი კაცია. განგებ იბღვირება, ავადმყოფებს აშინებს, არ გათამამდნენ და მთლად არ დაჰკარგონ ექიმის ხათრი და მორიდებაო. „ექიმისა თუ არ გჯერათ, მარტო წამალი ვერ გიშველით“. ლაპარაკიც გემრიელი იცის. თან ქოშინებს, ხიხინებს, თუმცა, სულ ერთსა და იმავეს ამბობს და სულ ერთსა და იმავეს აკეთებს. ისუნთქე. არ ისუნთქო. ისუნთქე. არ ისუნთქო. აბა, თუ ჩაახველებ. ყოჩაღ. რაღა შენ და რაღა ბაში-აჩუკი. აბა, ერთხელაც გავაღოთ პირი. უფრო. უფრო მეტად. ბეეეეეე-მეთქი, შე დედალო, თხამ როგორ უნდა გაჯობოს?! მაგრამ ეს „ერთი და იგივე“ ყოველ მოსვლაზე ახლებურად გამოიყურება და ახლებურად ჟღერს, რადგან შენ აღარა ხარ ისეთი, როგორიც გუშინ იყავი. ის კი არ უნდა შეიცვალოს (ღმერთმა ნუ ქნას!), შენ უნდა შეგცვალოს იმან, ექიმის „ერთმა და იგივემ“ შენ უნდა მოგაბრუნოს სიცოცხლისაკენ, ყველაზე მარტივი ხერხებით, უმარტივესად უნდა წარმოგიდგინოს ცხოვრების სურათი, როგორც „დედაენაში“ დახატულმა რთველმა, მკამ ანდა ზამთარმა — გული რომ მოგიბრუნდეს ცხოვრებაზე და თუ იქამდე არ გიყვარდა, შეგიყვარდეს კიდეც, დაგენანოს იმის დათმობა, თორემ, მარტო წამალი მართლა ვერაფერს გიშველის. და აი, ერთხელ კიდევ შემოდის ისიც შენს ოთახში, აქოშინებული, ახიხინებული. აღმართში ქოშინი უვარდება. ამიტომაც ამბობს, ხოლმე, შემოსვლისთანავე, მკურნალო, განკურნე თავი შენიო. ჯანი მიაქვს დროს, დაო ჩემო, მაგრამ შენ თუ იცი, რას მიაქვს დრო? რასა და, უაზრო ფიქრსა და ოცნებას. კაცი საომრადაა გაჩენილი, ერთი წუთით არ შეიძლება იმის გაჩერება, მაშინვე ხავსი შეაცოცდება გულზე, სულ რაღაცას უნდა ეჭიდებოდეს, მიათრევდეს,

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 2.

ანგრევდეს, აშენებდეს. დაწოლილი შორს ვერ წავა. ვერც ოცნებით მოიწევს პურს. შიშსაც უნდა შეეჩვიოს. ჩვენს დროში შიში საშიში არ არის, მაგრამ ფილტვების ანთებისა კი რა მოგახსენოთ. შემოვა თუ არა ოთახში, მაშინვე სახსრებმოშლილ სკამზე ჯდება და ბარძაყებზე ხელებდაბჯენილი, იატაკს დასცქერის, თითქოს რაღაცა, პატარა, ძნელად შესამჩნევი ნივთი დავარდნია და იმას ეძებსო. ფერი წასვლია, სახე მორღვევია. ასაკიც თავისას შვრება. უკვე მართლა დროა, თავად განკურნოს მკურნალმა თავი თვისი. მაგრამ თანდათანობით, სუნთქვა უმშვიდდება, ფერი უბრუნდება და ისიც ისევ მზადაა სხვათა მისახედად, გადასარჩენად. ჯერ კი ილიმება, ექიმის გადამდები, გამამხნევებელი ღიმილით. ღიმილით იუწყება (რაკი ჯერ კიდევ უჭირს ლაპარაკი), ყველაფერი კარგად იქნებაო, რადგან სწორედ ამის გაგონებას ელოდებიან მისგან, ამის დადასტურებას. არც ის აყოვნებს და ვიდრე ლაპარაკის უნარი დაუბრუნდებოდეს, ღიმილს ალაპარაკებს, ექიმის ღიმილს, ცრემლით, ტკივილით, ტანჯვითა და სიკვდილით გასპეტაკებულს, განწმენდილს, გასალკლდევებულს, საუკუნეთა მანძილზე დადგენილს, მასწავლებლის სახისა არ იყოს, დაკანონებულს და აი, ბოლოს, ამ საბრალო, სნეული მოხუცის ტუჩპირზედაც დადულაბებულს ავადმყოფის რწმენითა და იმედით, ისევ ავადმყოფთა გასამხნევებლად, გამოსაბრუნებლად, გამოსაცოცხლებლად. მერე ფეხზე სხარტად წამოდგება, ხიხინ-ქოშინით გაიხდის პიჯაკს, თავის ჭრაჭუნა „ცხენს მოახურავს, ვითომ, არ შეგცივდესო, ოფლიანს ქარმა არ დაგკრასო, თვითონ კი, ისევ ხიხინ-ქოშინით, მკლავებს დაიკაპიწებს და ბებიას გასძახებს: სადა ხარ, ჩემო პირისფარეშოო. ბებიასაც უკვე ყველაფერი წინასწარვე აქვს გამზადებული: ტაშტიც, განელებული წყალიც, საპონიც, პირსახოციც. ერთ ხელზე პირსახოცი გადაუკიდია, მეორეში ქეთლი უჭირავს და სახეში შეჰფოფინებს ექიმს. დიახაც, დაუდგება პირისფარეშად. რატომაც არა?! რა სათაკილოა ექიმის სამსახური?! სათაკილო კი არა, პატივია. გინდა ექიმისთვის დაგიბანებია ხელი და გინდა ღმერთისთვის. თავისებურად ექიმიც ღმერთია — რამდენი ყავს ჩვენისთანა გაჭირვებული, რამდენია იმის მოიმედე,. რამდენი ელოდება მოუთმენლად! ექიმიც გრძნობს, აქ რომ აფასებენ, პატივს სცემენ, სწამთ და სჯერათ მისი, და დინჯად, გემრიელად ისაპნავს ხელებს. თან ღიმილგარეული ხმით ეკითხება ბებიას, როგორ იყო, ლეჩაქის ნაკუწით რომ გიპოვა ჩემმა მეგობარმაო (ესეიგი, პაპამ). უკეთეს დროს იხსენებენ, საუბრობენ თავისებურად, ძველებურად. პაპაც ყვება ხოლმე ამ ამბავს, ნასადილევს, კვარტიანის გამოწრუპვის შემდეგ, ბებიის გასაბრაზებლად — ეგ პირველი შემთხვევა არ იყო, სულ ასე გარშემო მივლიდა, ვიდრე ხელში ჩამიგდებდაო. აიქროლებდა და ჩაიქროლებდა ჩემი სახლის წინ, ვიდრე მოთმინებიდან არ გამომიყვანა და ვიდრე მეც უკან არ გამოვედევნეო, ბოლოს აუცილებლად უნდა დაამატოს: ქალი ისეთი ჯიუტია, თავისას მაინც გაიტანსო. ბებია კი თავს იკლავს, ტყუილიაო, ნეტავი, ვის რად ჭირდებოდი, ვიცოდი კი შენი არსებობაო. მაგრამ, ასეა თუ ისე, ყველა ზღაპარი მოგონილია ამ ამბავთან. ეტყობა, ადრე თავად ცხოვრება იყო ზღაპრული. ქალიშვილი ქალი ისე აიქროლებდა და ჩაიქროლებდა, ცხენზე ამხედრებული, შენი სახლის წინ, ვითომც არაფერი. ახლა ქალიშვილი ქალი მოტოციკლზე რომ დაინახონ, გათავდა, მაშინვე გამოუყვანენ წირვას. ეგ ყოფილა, რაც ყოფილაო. ძველად კი წესი იყო ცხენით სიარული, კაცისთვისაც და ქალისთვისაც. ლამაზი სანახავიც იქნებოდა ალბათ ამხედრებული, გრძელკაბიანი, ჩიხტაკოპიანი ქალი. ქალებს თავიანთი განსაკუთრებული უნაგირიც ჰქონიათ. ხოლა, ერთ-

ხელ, ლეჩაქი გამოუდია ნიკოს ბებიას ნიკოს პაპის ეზოდან გადმოშვერილ ტოტზე. თვითონ ჭენებ-ჭენებით გაუგრძელებია გზა — მაშინდელი ქალები ძალიან უფრთხილდებოდნენ ლეჩაქს, რადგან ლეჩაქი მათი სიწმინდე-პატიოსნების სიმბოლო იყო — ლეჩაქის ნაკუწი კი ხის ტოტისთვის შეუტოვებია, გამოწვევის, მიწვევისა თუ რაღაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანის მაუწყებელი ნიშანივით. ლეჩაქის ნაკუწსაც იქამდე უფრიალია და უბუბნია ტოტზე, ვიდრე პაპას არ შეუმჩნევია, არ ჩამოუხსნია ტოტიდან და, იმიანად, არ გამოდევნებია უკან მისი ბაღის ტოტზე ლეჩაქშეხეულ ქალიშვილს. სდია, სდია და პირდაპირ იმათ სახლს მიადგა თურმე კარდენახში. ბებიის გახვითქული ცხენი ჯერ კიდევ ეზოში დაჰყავდა ბიჭს (შეიძლება, სულაც გიგო პაპას). იგონებს ყველაფერსო — იძახის ბებია, მაგრამ თვალები ისე აუციმციმდება ხოლმე, თითქოს ისევ ის დრო დაბრუნებულაო, თითქოს ეს წუთია ცხენიდან ჩამომხდარს, სხვა ცხენის ფრუტუნზე გზისკენ გაუხედავს და პაპა დაუნახავს. ხელში მისი ლეჩაქის ნაკუწითო. სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო — პაპას აჯავრებს ექიმი. თავს დაანბრალოსო — იცინის ბებია. ნიკოს ჯერ ვერც ამჩნევენ თითქოს, ჯერჯერობით, საერთოდ არ აინტერესებს თითქოს ექიმს იმისი ასავალ-დასავალი, ხელებს დინჯად ისაპნავს. ისრესს, თითქოს ძლივს ელირსა წყალი და საპონიო, თან ბებიას ემასლაათება. რაც არ უნდა იყოს, იმათ უფრო ესმით ერთმანეთის, ორივენი ძველები არიან, ორივეს ახსოვს ძველი დრო, რაც მთავარია, ერთმანეთის ბავშვობაც ახსოვთ, ეს კი იგივე თანამზრახველობაა, თანაც რამე, თუნდაც უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში კი არა, თავად ცხოვრებაში, წარსულიანაწმყოიან-მომავლიანად. ამიტომაც, ბევრი აქვთ გასახსენებელი — საერთო ნაცნობები, გარდაცვლილნი, დაკარგულნი, დარჩენილნი. მკვდარს შენდობა უნდა, დაკარგულს — თანაგრძნობა, დარჩენილს — შექება, გამძლეობისთვის, სიჯიუტისთვის. დინჯად იფშვნეტს ხელებს და დინჯად ემუსაიფება ბებიას. ნიკო კი, გატრუნული უსმენთ. აინტერესებს, მაგრამ, რატომღაც, რცხვენია კიდეც, თითქოს სხვის სარკმელში იყურება. ის დრო ჯობდა, ჩემო დაო, ყველასთვის. შენი ქმრისთვისაც. ჯობდაო? აღარ არის, საწყალი. ამოიხრჩო იმ დასაქცევ წნორში. სუფთა ლოგინი იმან აღარ იცის და ცხელი კერძი. თავი გაიყიდა ჩვენი გულისთვის. რას იზამთ, რას იზამთ. ასეა ცხოვრება. ცხოვრება ომია, დაო ჩემო, თუ სუსტი ხარ, დაილუპები. სხვას უნდა მოუცალო ადგილი. შენი ნებით არ მოცლი, ძალით მოგაცლევინებენ. იცოცხლე და იდღეგრძელე, ასე გემრიელად ვერსად დაგაბანინებენ ხელს. კარგი ერთი! ნეტავი რამე შემეძლოს. ის კი უკვე ხელებს იმშრალებს ლუნლუნა პირსახოცით, ისევ დინჯად, ისევ აუჩქარებლად, ისევ გემრიელად — თითქოს ავადმყოფის გასასინჯად კი არ მოსულა, ავადმყოფს უნდა აჩვენოს, აი, როგორ უნდა ხელის დაბანაო. იმის წასვლის შემდეგ, მთელ სახლში რაღაცნაირი, იმედიანი, დამამშვიდებელი დუმილი ჩამოვარდება ხოლმე. ყველაფერს სისუფთავის სუნი ასდის — საპნისა, განელებული წყლისა, გაუთოებული პირსახოცისა და, გინდა-არგინდა, ძალაუნებურად, შენც უკეთეს დღეებზე ფიქრობ: თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, უარესი რომ აღარ გახსოვს, ან აღარ ელოდები უარესს. პირიქით, ახლა კიდევ უფრო მეტადა ხარ მზად, განწყობილიც, უარესთან შესახვედრად. ბოლოს და ბოლოს, როგორც მოვა, ისევე წავა. ერთი კარგი დღე კი, კარგად დამახსოვრებული ერთი წუთი, ტანჯვის საუკუნეს გადაგატანინებს. თანაც, იმდენი კარგი გახსოვს უკვე, დიდხანს გეყოფა ცუდთან საომრად, დიდხანს გამოიზოგავ ობლის კვერივით, ყაჩაღის ტყვია-წამალივით, ტუსაღის სანთელივით... და გინდაც აღა-

რაფერი გადაგხდეს თავს. რაც გადაგხდა, ისიც ეყოფა ერთ ნებისმიერ სიცოცხლეს, რადგან წლების რაოდენობით კი არ განისაზღვრება თურმე ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, არამედ — მახსოვრობის მარაგით; ამიტომ, მთავარი ის კი არ არის, თხუთმეტისა ხარ თუ ასთხუთმეტისა, არამედ — რამდენი გახსოვს, კარგიც და ცუდიც. ასე რომ, თხუთმეტი წლის ბიჭს, შეიძლება, ნუკრიანელ მათუსალაზეც მეტი ჰქონდეს ნაცხოვრები. ხოდა, აბჯარივით გადაიცვამ შენს მოგონებებს და, რაკი ექიმმა ბრძანა, არ იკითხოსო, არ დაიღალოსო, ფიქრის როსინანტზე ამხედრებული, ერთხელ კიდევ შებრუნდები გამოვლილ ცხოვრებაში. რას ნახავ უკეთესს?! რითი გაირთობ თავს უკეთესად?! შენიანებიც ყველანაირად შეგიწყობენ ხელს, უფრო სწორედ, სიტყვა-სიტყვით შეასრულებენ ექიმის დანაბარებს, სათოფეზეც არ დაგანახვებენ წიგნს, ხმასაც არ ამოგაღებინებენ. დალეჭილს ჩაგიდებენ პირში ლუკმას და, შეიძლება, დაგაბან კიდეც საწოლზე, · საერთოდ რომ არ გაინძრე. შეიძლება, ბანგიც შეგაპარონ „კატების ლიმონათში“, დღეში სამჯერ რომ გასმევს დეიდა სუფრის კოვზით და თვითონაც იჭყანება. თუმცა, ბანგი ალბათ ისედაც ურევია იმ საზიზღრობას, რადგან მაშინვე კინწი მოგწყდება ხოლმე, მაშინვე ზურგზე მოგიგდებს ხოლმე კუდიანი დედაბერი და წაგაცუხცუხებს სიზმრებისა და ჩვენებების ზღაპრულ სამეფოში. შენც აღარ გინდა, გამოფხიზლდე, გამოიღვიძო, გამოერკვე, სულ იქ გინდა დარჩენა, გაღიზიანებული, გაბიროტებული ქვეყნის ხმებით დამფრთხალი, დაძაბული და მაინც ტკბილი ძილის ზვირთებში. ვერ ამოყურყუმალავებულხარ ტკბილ-მწარე ბადაგის ზღვიდან და ყასიდად, ზერელედ დაეძებ საკუთარ არსებას საკუთარ არსებაში, უფრო იძულებული, ვიდრე მოწადინებული, რადგან თავზეხელაღებული მყვინთავი კი არა ხარ, ჩაძირული ხომალდის გაძარცვა რომ განუზრახავს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი ხარ, უფრო სწორედ, ერთადერთი პატრონი და ქომაგი დანგრეული ოჯახისა და ყველაფერი უნდა სცადო, კიდევ ერთი დღე რომ გამოსტაცო ცხოვრებას. რაც ხელში მოგხვდება, ის ამოგაქვს ზღვის ფსკერიდან — ბალახი, ლოკოკინი, ნიჟარა — ხან კი — არაფერი, და ყურებაწივლებული, თვალებჩასისხლიანებული, ფართხა-ფურთხით რომ ამოყვინთავ დამფრთხალი, დაფეთებული ძილის ტყვიისფერი ზვირთებიდან და დაბუჟებულ ხელს გაშლი, წყალწყალა სილა ჩამოგეწურება ხოლმე გაფარჩხულ თითებს შორის. არაფერი გაგაჩნია საკუთარი, მხოლოდ და მხოლოდ, საფრთხისა და გარდაუვალი უბედურების მოლოდინი, რომელიც კი არ გიქრება დროთა განმავლობაში, დღითი-დღე კიდევ უფრო გიმძაფრდება, თუმცა, ომიც რახანია დამთავრდა და მამაც რახანია საწოლსაა მიჯაჭვული. მაგრამ მოლოდინის ეს შემაწუხებელი შეგრძნება უფრო ადრე გაგიჩნდა შენ, ვიდრე ომი დაიწყებოდა და ვიდრე მამას საავადმყოფოში წაიყვანდნენ სანიტრები. ამ სისხლისგამყინავი, სულისამწეწავი მოლოდინით იყო შეპყრობილი ყველაფერი. უფროსები ჩუმად, ლამის ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება უხმაუროდ გაეკეთებინათ ნებისმიერი საქმე. ერთ ადგილას მოულოდნელად გაშეშებულნი, ქანდაკების მოთმინებით მიაყურადებდნენ ხოლმე, კაცი ჩაივლიდა ქუჩაზე, ეტლი თუ იშვიათი მანქანა. არადა, ჯერ კიდევ გუშინ, ნიკოს მამიდაშვილების წყალობით, მეორე არ მოინახებოდა მთელს ბათუმში უფრო ხმაურიანი და მხიარული სახლი. სხვა თუ არაფერი, მთელი დღე არ გაჩუმდებოდა ხოლმე პიანინო — კვნესოდა, მოთქვამდა, ქვითინებდა თორმეტი ხელით ნაცემ-ნაგვემი. ახლა კი, ერთბაშად ათვალწუნებულს, მოემუწა შავი პირი

და, თითქოს ისიც რაღაცას ელოდებაო, ზურგით აჰკვროდა კედელს. ხოლო, ეს საყოველთაო, საერთო, სულიერ და უსულო საგანთა გამაერთიანებელი მოლოდინი განსაკუთრებით ღამით იყო ძნელი ასატანი, რადგან მთელი დღის დუმილითა და უძრაობით დაქანცული საგნები ღამღამობით თავისთავად იწყებდნენ ხმაურს, თავისთავად იცვლიდნენ ადგილს და მოლოდინით დამუხტულ სიჩუმეში ხან კარი გაჯახუნდებოდა შემაშფოთებლად, ხან სკამი გაჭრაჭუნდებოდა და ხან რომელიღაც მობოშებული, მოთმინებადაკარგული სიმი ამოიგმენდა პიანინოს შავბნელ სიცარიელეში. დილით კი ყველა რაღაცას დაეძებდა — კბილის ჯაგრისსა თუ თმის სამაგრს, საათსა თუ ბეჭედს — და გამწარებული ირწმუნებოდა, წუხელაც იქ დავდე, სადაც საერთოდ ვდებო. „აბა, სიარული უსწავლიაა და ეგააო“ — ღვარძლიანად იცინოდა მამიდა. თავისთავად ცხადია, შენც ჩართული იყავი ამ მოლოდინში, გრძნობდი, განიცდიდი, ექვემდებარებოდი კიდეც იმის დამთრგუნავ, დამაკნინებელ ძალაუფლებას და აღარ ჰირვეულობდი, როცა დედა მღელვარე სიმშვიდით, დაბნეული ყურადღებით გაწვენდა ლოგინში (თითქოს გრძნობდი, ხვალ და ზეგ ესეც სანატრელი რომ გაგიხდებოდა), და მკაცრად, ბრაზიანად გევედრებოდა, არაფერზე აღარ გეფიქრა, სასწრაფოდ დაგეხუჭა თვალები და სასწრაფოდ დაგეძინა, რადგან, თურმე, არავის აღარ ჰქონდა შენი თავი. „აღარ შემომიყვანო, იცოდეო“ — ნაზად დაგემუქრებოდა შუქის ჩაქრობამდე და დიდ ოთახში გავიდოდა თვითონ, სადაც თითქოს მხოლოდ იმიტომ იკრიბებოდნენ უფროსები, თავიანთი დაბნეული, უაზრო და უთავბოლო ლაპარაკით, უარესად რომ გაეღიზიანებინათ შენი ისედაც გაღიზიანებული ცნობისმოყვარეობა. რა თქმა უნდა, არ გესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ ისინი, ამდენის მიხვედრა არ შეგეძლო ჯერ, მაგრამ გრძნობდი (კანი აგებურძგნებოდა ხოლმე რატომღაც), თავს რომ არ იქცევდნენ, გასართობად რომ არ ეცალათ იმათ — რაღაცაზე კამათობდნენ განუწყვეტლივ, რაღაცაზე ვერ თანხმდებოდნენ ვერაფრით და ვერც შეთანხმდებოდნენ ალბათ, რადგან ყველას ერთდროულად უნდოდა თავისი აზრის გამოთქმა — კი არ ლაპარაკობდნენ, ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს. ...ესეიგი, შენც ასე მიგაჩნია, არა?!.. მე ეგ არ მითქვამს, მე ვთქვი, ასე თქვეს მეთქი... კი მაგრამ, სიმართლე ხომ არსებობს, თავისთავად, მიუხედავად ყველაფრისა... ...ახლა სხვა დროა, ჩემო კარგო, ხანდახან, შენც უნდა დათმო ცოტა... და შენც, თანდათანობით, ცოტა-ცოტაობით, ყველაფერს თმობდი. „წადი, ტურავ, დაიკარგე აქედანო“ — გულნატკენი, გულაჩუყებული უმღეროდი საკუთარ თავს, რადგან დედას აღარ ეცალა შენთვის, არ ჰქონდა შენი თავი, და სხვა ყველაფერთან ერთად, რითაც ასე მომხიბლველი, ასე გამორჩეულად ძვირფასი იყო შენი ხანმოკლე ბავშვობა, უკეთესი დრო შენი ცხოვრებისა, წითლად გაბურძგნული ტურაც, თუკი, რასაკვირველია, რამე ეცხო ტურისა, რამეთი მაინც გავდა ტურას შენს მიერ წარმოდგენილი და, მხოლოდ და მხოლოდ, დედის სიმღერის ბინადარი, უცნაურად სასაცილო, უცნაურად საბრალო არსება — სამუდამოდ იკარგებოდა ტყეში, სოროში, მოუსავლეთში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო უბედურება, ჯერ კიდევ ერთად იყავით ყველანი. ეს ჯერ კიდევ ბედნიერებისკენ ბრმა ლტოლვა იყო, ბედნიერების შენარჩუნების ამაო სურვილი და არა უბედურება, ომობანა და არა ომი.. ქუჩაში ცხენოსანი ჯარი ჩაივლიდა ხანდახან და იმისი მძაფრი, შემაშფოთებლად სასიამოვნო სუნი ადიდებულ ზღვასავით ჩადგებოდა ეზოებში, სახლებში... ანდა, თვითმფრინავი ნელი ზუზუნით გადაივლიდა ქალაქზე და მთელი ცა თეთრი, პაწაწკინტელა ფთილებით გადაიპენტებოდა ერთბაშად — თეთრი, პაწაწკინტელა

ფითილები მალე პარაშუტებად გადაიქცეოდნენ და ერთმანეთის მიყოლებით ჩაცვივდებოდნენ ზღვაში. მაგრამ უკვე ისე გაგჟღომოდათ ძვალ-რბილში ავის მოლოდინი, აღარც ნამდვილი ომის დაწყება გაჰკვირვებია ვინმეს, აღარც თავსდამტყდარი ნამდვილი უბედურება. ეგ იყო რომ, იმავე წამს დამთავრდა, გაუქმდა და გაუფასურდა ყველაფერი, რითაც იქამდე სულდგმულობდით, რაზეც იქამდე თვალი და ხელი მიგიწვდებოდათ და რასაც იქამდე საერთოდ არ ედო თქვენთვის ფასი. ამიტომაც არ გაგაჩნია არაფერი საკუთარი, უპოვარი ხარ, ის ერთი ბეწო ადგილიდა ადასტურებს შენს არსებობას, გაურკვევლობის წყვდიადში რომ გიკავია და უსასრულო, უკიდეგანო სამყაროს ტოლფარდია შენთვის, რადგან თავისუფლად ეტევა ზედ მთელი შენი ცხოვრება, ყველაფერი, რაც შენიანებს, შენიანად, დღემდე გადახდენიათ და ჯერ კიდევ უნდა გადახდეთ თავს — ისაა ერთადერთი დასაშვები და სასურველი ადგილი, სადაც ყოველ წუთას მზადა ხარ ნებისმიერ უბედურებასთან საბრძოლველად და სადაც, მიუხედავად ყველაფრისა, ანდა, სწორედ ყველაფრის გამო, შემაძრწუნებლადა ხარ ბედნიერი, და თუკი იმას მაინც შეგინარჩუნებენ, მადლობელი იქნები, დიდი მადლობელი იქნები ბედისა, ქვეყნისა, ხალხისა, ყველასი და ყველაფრისა — ჯერჯერობით, ეს შეგიძლია მხოლოდ, მარადიული მადლობის თვალაუწვდენელ, დამაყრუებლად მოგუგუნე კოცონს შეამატო, შეეკეთო ფიჩხივით, ნაფოტივით. ამიტომ, უსიტყვოდ უნდა მიიღო, რასაც ცხოვრება გიწყალობებს, თვალდახუჭულმა უნდა მიიღო, რადგან მაინც ვერ აუქცევ გვერდს იმას, რაც არ გსიამოვნებს და მაინც ვერ მიეახლები იმას, რაც გსურს. დედა ახლა კი არ გაძინებს; გაღვიძებს მხოლოდ — უკვე დროა, ჩემო დიდო კაცოო — ჩაგჩურჩულებს ყურში დამცინავი სიბრალულით, გაღიზიანებული თანაგრძნობით, რადგან თვითონაც გამწარებულია, თვითონაც სულ გაქცევაზეა, თვითონაც სულ უგვიანდება საავადმყოფოში. გარეთ კოკისპირულად წვიმს, ნაცრისფერ, დაბურულ წვიმას ძლივს გამოარღვევს ხოლმე პორტის შორეული ღმუილი, თითქოს კბილებატკივებული დათვი გამოვარდა ტყიდანო. საზენიტო ქვემეხის ჭურვის ნამსხვრევებით ჩაღეწილი კრამიტი ვეღარ აკავებს წვიმას. ჭერი ათასნაირად დაკლაკნილი გველების, პირდაღებული ურჩხულებისა თუ ეშვიანი დევების მსგავსი ლაქებითაა მოფენილი. დედის ხმაში სასაცილოდ გაბურძგნული, ეშმაკურად თვალებაწრიალებული ტურა კი არ დაცუხცუხებს ძველებურად, გამჭვარტლული ნავთქურა ბჟუტავს და ცარიელი, ქანგით ძირგამოჭმული ქვაბი ჟღრიალებს. შენც მაშინვე იღვიძებ, ფაცაფუცით დგები საწოლიდან, შიშველი ფეხები წესიერად, მთლიანად ვერ დაგიდგამს გათოშილ იატაკზე. სიჩქარეში არასწორედ იბნევ ღილებს, მაგრამ ამის გამოსწორება მერეც შეიძლება, ნავთის რიგში, პურის რიგში, უცხო ხალხში, ახლა კი ამის დრო არ არის, ახლა მთავარია, დედამ არ შეგატყოს, უპირველეს ყოვლისა, იმას რომ გაურბი, იმას რომ არიდებ თავს, რადგან აღარ გახსოვს, როგორ უნდა მოექცე დედას. არ იცი, რა ამბავია შენს თავს, — არ იცი, რატომ მოხდა ასე, არ იცი, რადგან არ უნდა იცოდე — ამის ცოდნა კიდევ უფრო უარესად დაგასუსტებს, მშიერს ამოგხდება სული, მშიერს დატოვებ შენს იმედზე დარჩენილ ხალხსაც. ირგვლივ იდუმალი სიბნელეა, შენ კი პატარა, უმნიშვნელო ნაწილი ხარ იდუმალი სიბნელისა. სიბნელიდან მოსული სიბნელეს უბრუნდები და, ამიტომაც, ბრმად, უფიქრველად, გვერდჩაჭყლეტილი ბიდონივით, უნდა მიეხეთქო ყველაფერს, რაზედაც მიხეთქება შეიძლება, ხორცის შეტოვება, ძვლის მიმსხვრევა, ტვინის მინთხევა, რადგან მხოლოდ ბნელი ტკივილი (თუ მტკივნეული სიბნელე?!) აქცევს შენს

სიცოცხლეს სინამდვილედ, მხოლოდ ის დაგიდასტურებს, ნამდვილად რომ არსებობ, ნამდვილად რომ თვითონა ხარ, თუნდაც საკუთარი თავისთვის მაინც. შენც ბრმა ტკივილისა თუ მტკივნეული სიბნელის მონა ხარ და ეს მონობაც შთამომავლობითა გაქვს მიღებული. ამიტომაც დგები სიტყვის შეუბრუნებლად დილაუთენია, სანახევროდ მძინარე, სანახევროდ მშიერი, სანახევროდ გათოშილი — ნავთისა თუ პურის რიგის დასაკავებლად — და არასოდეს დაგიჩივლია ჯერ, არასოდეს დაგიხევია უკან, რადგან არც არაფერი გიბიძგებს ურჩობისკენ, არაფერი გილვიძებს ამბოხის ჟინს — ყველა რაღაცაზეა მიბმული, როგორც მამაშენი საწოლზე; ყველა რაღაცას დაეძებს, როგორც დედაშენი წამალსა თუ ერთ მათლაფა ბურღულს, და ამით ამოიწურება ნებისმიერი სურვილი, ესაა ცხოვრების მიზანი და ესაა მწვერვალიც რომელიც გნებავთ ოცნებისა. და შენც, ყელზე ძილის ქვაშებმული, ისევ შლამში აფათურებ ხელებს, თვალმარგალიტს დაეძებ, შენი ჭკუით, რომელმაც ბედნიერება უნდა მოუტანოს ყველას, უკლებლივ ყველას, ვისაც პურზე მეტად, ნავთზე მეტად ჭირდება ბედნიერება. ხელისცეცებით უვლი გარშემო ბავშვობის ჩაძირულ ხომალდს, ხომალდის ჩონჩხს, წყალმცენარეებით გაკოჭილს, მედუზებისა და კიბორჩხლების საბუდარს, საიდანაც განძი უკვე გაუზიდავათ ვიღაცეებს და ახლა მხოლოდ წვრილი ლიფსიტები გამოსხლტებიან ხოლმე, როგორც ჩანავლებული, ჩასაქრობად განწირული ცეცხლის უკანასკნელი ნაპერწკლები. შენ კი თვალდახუჭული მამის ხმა გიდგას ყურებში — რასაც შენი ნებით დათმობ, ველარასოდეს დაიბრუნებო — და უფრო მეტი გაფთრებით დაეძებ მოულოდნელად, მართლაც, თვალსა და ხელს შუა გამქრალ ბავშვობას, თითქოს მაინცდამაინც ბავშვობას ეხებოდა მამის ნათქვამი, ანუ, იმას, რისი შენარჩუნებაც სრულებითაც არ იყო შენზე დამოკიდებული. მაგრამ ერთადერთი ნათელი და სრულყოფილი შეგრძნება, მამის პალატაში რომ დაგეუფლა, სწორედ ბავშვობასთან განშორების შეგრძნება იყო — თითქოს მამის პალატაში, ცივი კატლეტის სუნით გაბრუებულსა და ბნელი, მტანჯველი სიყვარულის თოკებით გაკოჭილს, უჩინარმა დოსტაქარებმა ბავშვობა ამოგჭრეს გულიდან. მაგრამ შენ ტკივილი არც გიგრძვნია, რადგან დიდი ხნის შეგუებული იყავი თურმე იმის დაკარგვას, ტანით იცოდი, უიმისოდაც რომ შესძლებდი ცხოვრებას, როგორც უგლანდებოდ და უბრმანაწლავოდ, და იქამდე შეგეშინდა უიმისოდ დარჩენისა, ვიდრე უიმისობას შეიგრძნობდი, იქამდე შეგეცოდა უიმისოდ დარჩენილი თავი, ვიდრე გაარკვევდი, რა გჭირდა შესაცოდი. ხოლო შიშისა და სიბრალულის ასეთი ნაძალადევი შეუღლებით გაჩენილმა მრისხანებამ, მშობლის სიყვარულზე კიდევ უფრო ბნელმა და მტანჯველმა გრძნობამ, მთის მდინარის მორევივით აქაფებულმა, ადუღებულმა, თავფეხიანად ჩაგითრია უცებ თავის გათოშილ წიაღში და, ამიტომაც იყო, დაუნანებლად რომ მიატოვე შენი ბავშვობის ქალაქი, ის კი არა, ერთი სული გქონდა, როდის დაიძვრებოდა მატარებელი, როდის მოგაშორებდა იქაურობას — თითქოს შენი მრისხანება გადასდებოდა მთელ სადგურს, თითქოს შენი მრისხანება დაარბენინებდა აქეთ-იქით ბუდემოშლილ, აფორიაქებულ ხალხს და, მართლაც, ბრმად, უაზროდ აწყდებოდნენ ყველანი ერთმანეთსაც და ყოველ ნაბიჯზე, თითქოს განგებ, თითქოს მოძრაობის კიდევ უფრო შესაფერხებლად დახვავებულ ბარგსაც. რაც მთავარია, ყველა ვალდებულად თვლიდა თითქოს თავს, მაინცდამაინც, დედისთვის გაეკრა მხარი, ლამის ზედ მიეგდო მატარებელზე, ვითომ, აქ რას უდგეხარ, შენც იქ ადი, სადაც შენი შვილიაო. მაგრამ დედა ვერც ამჩნევდა იმათ, ორივე ხელით საკუთარი პლაშის სა-



ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ყელოზე ჩამოკონწიალებული, ამოგცქეროდა და, ვინ იცის, მერამდენედ გიმეორებდა ერთსა და იმავეს, ერთსა და იმავეს: აბა, შენ იცი, როგორ მოიქცევიო; პაპა და ბებო არ გააბრაზოო; ნინო დეიდას დაუჯერეო... და ალბათ, შენი არ იყოს, იმასაც ერთი სული ჰქონდა, როდის დაიძვრებოდა ეს გულქვა, გულგრილი, დაბრმავებული, დაყრუებული მატარებელი, მატარებლის ფიტულივით რომ გარინდებულიყო ლიანდაგზე, თითქოს არც შეეძლო და არც აპირებდა დაძვრას. შენ ვაგონის სარკმლიდან დედას გადმოსცქეროდი და, შენი სიკერპისა და სიჯიუტის წყალობით, ელენიცას მწვანედ დახავსებული ეზო გედგა თვალწინ, რა თქმა უნდა, თავად ელენიცაც, ნესტიან სიმწვანეში ჩაკარგული, აკვარიუმის თევზივით სუსტი და მფრთხალი არსება, რომელსაც ეზოდან ცხვირის გამოყოფისაც ეშინია, რადგან დარწმუნებულია, ბოშები რომ მოიტაცებენ მაშინვე. თვითონ ჩაინერგა თუ უფროსებმა ჩაუნერგეს ეს შიში, მართლა არასოდეს გინახავს ეზოდან გამოსული მთელი თქვენი უსიტყვო ნაცნობობის მანძილზე. ახლაც უსიტყვოდ შესცქერი, მშობლებზე განრისხებული, იმას აფრქვევ ცეცხლს თვალებიდან და ისიც, ჩვეულებისამებრ, დაბნეულად, მკრთალად იღიმება. ამით ამოიწურება მთელი თქვენი ურთიერთობა, მთელი თქვენი სიყვარული, ძირითადად უფროსების შეთხზული, მაგრამ არც მთლად უსაფუძვლოდ, რადგან ღამღამობით მოულოდნელად წამოუჯდებოდი ხოლმე დედას საწოლში და აღგზნებული, აღელვებული ეკითხებოდი, როგორ ან რატომ იტაცებდნენ, თუკი მართლა იტაცებდნენ, ბოშები ბავშვებს. „დაიძინე, თორემ, ტურას გავატან შენს თავსო“ — გიწყრებოდა ძილგამკრთალი დედა და შენც თავიდანვე გზააბნეული იძინებდი, რადგან სიზმარში, ბოშები კი არა, ვითომ, წითლად გაბურძგნული ტურა იტაცებდა ელენიცას. ელენიცას დედა სიზმარშიც თევზსა წვავდა, როგორც სიცხადეში, ნავთქურასთან იდგა და მკლავებდაკაპიწებული, წლიდან წლამდე, თითქოს ერთსა და იმავე თევზს აბრუნებდა ტაფაზე გაქონილი დანის წვერით. ელენიცას მამა სიზმარშიც სალამურებს თლიდა და სიზმარშიც ათასნაირად აწივლებდა, აკვნესებდა, აკისკისებდა ჯერ კიდევ ნედლსა და ყელგაუხსნელ ლერწამს. ასე რომ, არავინ უშლიდა ტურას ელენიცას მოტაცებას. შენ ყვიროდი მხოლოდ, მაგრამ ხმა არ ამოგდიოდა ყელიდან; შენ მისდევდი მხოლოდ ტურას, მაგრამ ფეხს ვერ ძრავდი ადგილიდან. გულაბაგუნებულსა და გაოფლილს გამოგეღვიძებოდა ხოლმე და ახლაც გულაბაგუნებული და გაოფლილი, უაზროდ იმეორებ გუნებაში: ელენიცა, ელენიცა, ელენიცაო — იქ რომ არ იყო, სადაც ხარ, იმას რომ არ განიცდიდე, რასაც განიცდი და, რაც კიდევ უფრო მთავარია, სადღაც, სულის სიღრმიდან ვერაგულად დაძრული ცრემლი რომ შეაჩერო როგორმე. ბაქანზე კი ჭიანჭველასავით ირევა წამსვლელი და მომსვლელი, დამხვდური და გამცილებელი. ვიღაცას გული შეღონებია და, ზედ რომ არ იაროს ხალხმა, კედლისკენ გაუჩოჩებიათ. თავთით ხუთი წლის გოგო უზის, რაღაცით გავსებული, პირამოკემსილი ნაჭრის პარკი ჩაუხუტებია გულში და მშვიდად, უჩუმრა ელოდება, როდის შესძლებს დედამისი წამოდგომას. რატომღაც, წარამარა, იმათკენ გაგირბის თვალი. უფრო სწორედ, საითაც არ უნდა გაიხედო, გულშეღონებული ქალი და მისი პარკჩახუტებული შვილი გებლანდება თვალებში. მატარებელი კი ჯიუტად დუმს. თითქოს ლიანდაგზე კი არა, კვარცხლბეკზე იდგეს, ყველა ვალმოხდილი, დაქანცული, ქანცგაწყვეტილი მატარებლის ძეგლად. და მაინც ერთი სული გაქვს, როდის დაიძვრება, გულაბაგუნებული ელოდები, როდის დაიკივლებს ორთქლმავალი. მაგრამ არც დედაშენია უკეთეს დღეში — ხან თმიდან ამოცოცებულ ჩხირს ისწო-

რებს ვითომ. ხან პლაშის ჯიბეში დაეძებს ვითომ რაღაცას, მაგრამ მერე ისევ პლაშის საყელოს ჩამოეკიდება ორივე ხელით და ამოგხედავს ცრემლჩამდგარი თვალებით, უსაფუძვლოდ, სულელურად მოიმედე, იქნებ, აღარ დამხვდეს, იქნებ, უკვე წავიდაო. მაგრამ ისევ იქ რომ დახვდები, მატარებლის სარკმელში გადმოკიდებული, დაბნეულად გიღიმის და ისევ ჭკუის დარიგებას გიწყებს, ათასჯერ ნათქვამს გიმეორებს ისევ, რადგან აღარაფერი აქვს სათქმელი. უაზროდ გიღიმის, თვალები კი ცრემლით უბრწყინავს. შენც აღარ იცი, ვერ გაგირკვევია, რა გრძნობები გიფლეთენ გულს, მაგრამ მეტის გაძლება კი ნამდვილად აღარ შეგიძლია, ცოტაც და, ბავშვივით აღრიალდები, თუმცა, ბავშვი აღარა ხარ, მამის პალატაში დატოვე ბავშვობა სამუდამოდ და, სხვა თუ არაფერი, პარკჩახუტებულ გოგოსთან მოგეჭრება თავი, მშვიდად, უჩუმრა, დიდივით რომ ელოდება დედის გაცოცხლებას, გამობრუნებას. მატარებელი რომ დაიძრა, მხოლოდ მაშინ იგრძენი შვება. არასოდეს, არაფერი არ გაგხარებია ასე ძლიერ, ასე აზრიანად. კეფაზე დაგრაგნილი თმა დედას ხელით ეჭირა და მორბოდა, მატარებელს მოსდევდა, ზედ აწყდებოდა აფუსფუსებულ, აქოთქოთებულ ხალხსა თუ ყოველ ნაბიჯზე დახვავებულ ბარგს, და მორბოდა, მორბოდა, მორბოდა... და ასე იბნებს სულ, რადგან ბავშვობა პირმოუკრავი, მოუშუშებელი, მოურჩენელი ჭრილობაა, საიდანაც დანარჩენი სიცოცხლე სისხლივით იღვრება განუწყვეტლივ. შენ კი გგონია, როგორც იქნა, დააღწიე თავი ბავშვობას, დაჭრილი გამოგიყვანა მოწყალების დამ (თუნდაც ღეიდამ) ბავშვობის ბრძოლის ველიდან (ასე ფიქრობ კინოების გავლენით), და შენს ნებაზე მიგიშვეს, დაგაგდეს, დაგტოვეს (როგორც გინდა, ისე გაიგე) დანარჩენი ცხოვრების უფრო ვრცელ მინდორზე. ჯერ გიხარია, მოგწონს კიდეც, დაჭრილი რომ ხარ (ყველა პატივს სცემს, ყველა მოწიწებით შეჰცქერის დაჭრილს), კი არ მოკვდი, დაიჭერი, თანაც მსუბუქად. მაგრამ დაიძვრება თუ არა შავად გამჭვარტლული, ჩაბინძურებული, ფანჯრებაფიცრული, აქოთებული მატარებელი, რომელმაც ბავშვობის ბრძოლის ველიდან, ეს წუთია, გამოგიყვანა ამ ტრიალ მინდორზე, მაშინვე მიხვდები, მაშინვე იგრძნობ, მაშინვე იწვნევ, როგორც გადარჩი, რა გელოდება წინ. და მართლაც, როგორ გინდა სისხლის დენა შეიჩერო! გინდა ხავსი დაიდე ჭრილობაზე, გინდა მიწა დაიყარე, მაინც არ არის საშველი. ირგვლივ სიცარიელეა, უენო, უკიდეგანო. სადღაც შორს, მაზუთის გუბის ბაყაყები ყიყინებენ. სადღაც, კიდევ უფრო შორს, მთვრალი მგელკაცები ყმუიან. შენს გარშემო კი ყველაფერი სისხლითაა მოთხვრილი, შენივე სისხლით — ბალახიც, ქვებიც, ბუჩქებიც. მთელი ტყე წითლადაა გადაბრიალებული. ცარიელ ტომარასავით გდიხარ მიწაზე. ყველა თავის ხეს ჩასცუცქებია. შენ კი იმის თავიც აღარ გაქვს, დაიყვირო: მიშველეთო. თუმცა, გინდაც დაიყვირო, დაცინვის მეტს, ვერაფერს გამოიჩენ გარემოს. შენს ხმას დაგიბრუნებს უკასკ, ოღონდ სასაცილოდ გადასხვაფერებულს: მისველეთ! მისველეთ! მისველეთ! ყველა თავის ხესა ჰრის, გამალებით აკაკუნებენ წალდებს. ხეები თრთიან, შხუიან, უხმოდ კივიან, ვეიშველეთო, და შენც ხესავით უხმოდ კივი — მიშველეთ, მიშველეთ, მე, შეიძლება, პოეტი გამოვიდე, ხალხო, მიშველეთ. მე, სეიძლება, ფოეთი გამოვიდე ქალქო, — გჯავრებს დაცინვის გარემო. წყლის ნაპირას რიყეზე კი ქალი პერანგს ირეცხავს. წყალი. წყალი. — გაჰყვირი, ხესავით უხმოდ. ცკალი. ცკალი. — გეპასუხება გარემო. ცარცის ძროხა კი თავზე დაგდგომია და ცარცის რქებს გიღრენს, ცარცის კბილებს გიღრჭიალებს, ცარცის მტვერს გაფრქვევს ცარცის ნესტოებიდან და ცარცის ჩლიქით ჩიჩქნის ცარცით გა-

დათეთრებულ მიწას. ბებო, ბებო — ეძახი ბებიას. — სიზმარში, ვითომ, ცარცის ძროხა დამსდევდაო. მარგალიტა, მარგალიტა — ეძახის ბებია მარგალიტას. — რას უნდა ნიშნავდეს ცარცის ძროხა სიზმარშიო. აბა, რა მოგახსენოთო, — სწუხს მარგალიტა. — ძროხა საერთოდ კარგია, მაგრამ ცარცისა, არასოდეს გამგიაო. ყულაბა თუ იქნებოდაო. შენც იტყვი, მარჩიელი ვარო — ცხვირს უბზუებს დეიდა მარგალიტას. როდის ვთქვიო — იცინის მარგალიტა. — დასწყევლოს ღმერთმა მკითხავი და მარჩიელიო. არადა, მართლა იცის მკითხაობა. ამ საქმეშიც პირველია. აღარ მახსოვს, დამავიწყდაო — გაიპრანჭება ხოლმე, მაგრამ ყველანი რომ შეუჩნდებიან (ყველას უყვარს მკითხაობა, თავისი ბედისა და მომავლის შეტყობა), ბოლოს მაინც გატყდება ხოლმე და ეშმაკურად მომღიმარი, სასიამოვნოდ მოგიღუტუნებს ხელისგულზე ფუნჩულა თითით: ეს სიცოცხლის ხაზიაო, ეს სიყვარულისაო, ეს ბედისაო. იმ წუთას ყველას სჯერა იმისი და საყდრის გლახებივით ხელგაშვერილნი ელოდებიან თავიანთ რიგს. გაიღე მოწყალება, მარგალიტავ, ცუდი არაფერი გვითხრა, ისედაც არ გვაკლია. ყველანი ღელავენ გულში, თან კი — ისემც შენ რა გითხრაო — დასძახიან ყასიდად, განსაკუთრებით ქალები, თუმცა, მელიადასიზმრებული ქათმებივით, შფოთავენ, წრიალებენ, ადგილს ველარ პოულობენ, გადიან და გამოდიან, ხან ცივ წყალს დაისხამენ კოკოურიდან, ხან აივნის მოაჯირს გადაეყრდნობიან, ეზოს წყვდიადში შერგავენ აფორიაქებულ თავებს. შეიძლება, იმათი ამგვარად გამძაფრებული მგრძნობიარობა იმის ბრალიცაა, ეს „ხელზე მკითხაობა“ ზაფხულობით რომ ხდება უმთავრესად, როცა აივანზე სალამოს ჩაის მიირთმევენ და ისე შეჰყვებიან, ისე გაერთობიან ხოლმე, შუაღამე კარგახნის გადასულია, ბებია ხელს რომ შემოიკრავს ლოყაში, მომიკვდეს თავი, ჯერ ბავშვისთვის (ე. ი. ნიკოსთვის) არც კი დამიგიაო. ირგვლივ კი ზაფხულის ღამე ფშვინავს, ბაგაზე დაბმულ ძროხასავით. პურის ფერი დაჰკრავს ყველაფერს. რა სჯობია ზაფხულს — ივნისი თიბავს, ივლისი მკის, აგვისტოს მიმინო უზის ცერზე, ხორბლითა და ქერით დასუქებულ მწყერებზე ნადირობს. ხოლო, წყლის ნაპირას, რიყეზე, ქალი პერანგს ირეცხავს... და მაინც, ისე არსად იგრძნობა ზაფხული, როგორც ნიკოანთ აივანზე, განსაკუთრებით ღამით, ცაცხვების, ჟასმინის, ბებიის სამურაბე ვარდების სურნელითა და მარგალიტას იდუმალი, მთრთოლვარე ხმით გაჟღენთილ წყვდიადში. გავარვარებულ ნათურას ღამის პეპლები ეხვევიან, ეთამაშებიან. საიდანღაც მახარობელა შემოფრინდება უცებ, გამეტებით მიეხეთქება კედელს, ჭერს, ისევ კედელს, მაგრამ ვერც აქ ნახავს, ვისაც ეძებს, ვისაც უნდა მიახაროს რაღაცა, და, უარესად დაფეთებული, გავარდება, ჩაიკარგება ზაფხულის ღამის უკუნეთში. სადღაც, შორს, ალბათ ნუკრიანს ზემოთ, ჭოტი ყვირის. დროგამოშვებით, მოულოდნელად, შემაკრთობლად. შენიანი ამოაგდეო — ეპასუხება ბებია, უბოროტოდ, სხვათაშორის, ყოველშემთხვევისთვის. ბნელში ჩაფლული ხეხილი ფაჩუნობს, შრიალებს. ცაზე ვეება, კრიალა ვარსკვლავები ჩახჩახებენ, თითქოს ეს წუთია, სველი ჩვარი გადაუსვია იმათთვის ვიღაცასო. ის ვიღაცაც აქ არის თითქოს, სადღაც აქვეა, ოღონდ არ ჩანს, ჯერჯერობით არ ჩანს, მაგრამ გამოჩნდება, უნდა გამოჩნდეს როდისმე. სუნთქვა კი ისმის — მშვიდი, ზომიერი. გული შიშნარევი ნეტარებით ივსება, თუმცა არც შიშის მიზეზი არსებობს თითქოს, არც ნეტარებისა, ჩვეულებრივად სვამენ სალამოს ჩაის აივანზე. ერთი-ორი მეზობელიც ურევიათ: მარგალიტა — აუცილებლად. უმარგალიტოდ არც სალამოს ჩაის აქვს გემო, ჩვეულებრივი ღარიბული ვახშამი იქნება და მეტი არაფერი, სულის ჩასა-

ბრუნებელი. სამარხულო. ხანდახან იისებაც შემოესწრებათ — შუქს გამოჰყვება ხოლმე ჩახუთული თავლიდან და მოულოდნელად მოადგება აივნის მოაჯირს ეზოდან, თმაში თივის ბულულჩარჩენილი, ნამძინარევი, ცალმხარეს ლოყადაჭმუჭნული — საღამო მშვიდობისა, ხალხო, გაამოთ პურმარილი. „შენ გაგისკდა გულიო“ — მიაწყევლის შემკრთალი მარგალიტა. ბებიას კი, რატომღაც, ეცოდება ასეთი იისება, არაამქვეყნიური, მიუხედავად, თავლიდან გამოყოლილი მძაფრი, უაღრესად სიცოცხლისეული სუნისა, დაბნეული, უმწეო, თითქოს, ეს წუთია, ბუდიდან გადმოვარდნილაო, თუკი შეიძლება, ორმოცდაათს მიტანებული კაცი ბარტყად წარმოვიდგინოთ, თავლა კი — ბუდედ. საწყალოო დასძახის ბებია. — ვინ იცის, აღარც გახსოვს, როგორ უნდა დაჯდე მაგიდასთანო; მოდი, ისე მაინც დაჯექი, ისე მაინც დაიჭირე ხელში ფინჯანიო. იისებაც გრძნობს, ბებიას რომ ეცოდება და გრძნობამორეული ეუბნება: სად გაჩნდი, როგორ გაჩნდი, ვინ გაგაჩინა ასეთი ღვთისნიერი ადამიანიო. ხანდახან, შეიძლება, ექიმიც დაეწვიოთ საღამოს ჩაიზე და მაშინ, რასაკვირველია, ძირითადად, გარდასულ ამბებს იხსენებენ. უფრო ზუსტად, უფროსები იხსენებენ, ნიკო კი იმახსოვრებს. სვამენ ლარიბულ ჩაის, უფერულს, უგემურს. ნამცხვრის ნაცვლად, მოგონებებს მიირთმევენ. იხსენებენ, თუ როგორ სვამდნენ ადრე საღამოს ჩაის, როგორ უნდა „მოერთოთ“ ჩაი, ანუ, ჩაისთან ერთად, კიდევ რისი მოტანა შეიძლებოდა ან არ შეიძლებოდა სუფრაზე· როგორ უწევდა ანგარიშს ყოველგვარ წვრილმანს ძველი ხალხი; როგორ მო ჰქონდა ყველაფერი გულთან; როგორი გულისხმიერები იყვნენ სხვების მიმართ (ახლა, არც მიიხედავენ, იქნებ, ვინმე კვდება გვერდზეო), როგორი გულუხვები... იმიტომ რომ, წელი მოსდევდათ, ჩემო დაო, ანდა, ჩემო ძმაო, გააჩნია, ვინ ყვება და ვის მიმართავს. მე შენ გეტყვი, იმაზე იდარდებდნენ, სად რა ვიშოვოთო. ყველაფერი გამზადებული მოსდიოდათ, შეუთვლიდნენ და მოგართმევდნენ. იქით გეტყოდნენ კიდევ მადლობას. ხალხიც კარგი იყო და ცხოვრებაც კარგი ჰქონდათ. კი ბატონო, თუნდაც პირიქით იყოს, არაფერი დაშავდება, მით უფრო, არაფერი შეიცვლება — ცხოვრებაც კარგი იყო და ხალხიც. ცოტას აჭარბებენ ალბათ, გაჭირვება აპოეტებთ, როლში შედიან, ეშხზე მოდიან, მონადირეებისა და მეთევზეებისა არ იყოს, მოხუცებსაც უყვართ ტრაბახი და გაზვიადება. ნიკომაც იცის, ომამდე ცხოვრება რომ კარგი იყო, სხვას რომ თავი გავანებოთ, ბათუმში, მათი ქუჩის კუთხეში, ბორბლისხელა ბუბლიკები ცხვებოდა, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია ახლა, მაღაზიაში შეხვიდე და მარტო ათნაირი ძეხვი ეკიდოს, სამნაირი ხიზილალა ეწყოს კასრებით და ხუთნაირი ყველი. ჟასმინის ბუჩქები კი კიდევ უფრო მძაფრ სურნელს აგზავნიან აივნისკენ, თითქოს ნიკოს ჯიბრით, ის რომ გააბრუონ უარესად და, გაბრუებულს, გაციებულ ჩაისთან ერთად, უფრო იოლად შეაპარონ ყველაფერი, რაც იმ წუთას მის გარშემო არსებობს, ხდება, იგრძნობა, იგულისხმება — რაც არის, მაგრამ აღარ იქნება მალე და რაც, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უნდა დაინარჩუნოს ნიკომ, დაიმახსოვროს ხვალისთვის (იქნებ, არ კვდება!), ზეგისთვის, საერთოდ, მომავლისთვის (ხომ ხედავთ, მოგონებებით ცხოვრობს ხალხი, რაც უფრო მეტი აქვთ მოსაგონარი, მით უფრო მეტი გაჭირვების ატანა შეუძლიათ), როგორმე, იმანაც უნდა მიიხატ-მიიწეროს გულზე, როგორც სატუსაღოს კედელზეა იქ გამოვლილი ტუსაღების ხელით მიხატულ-მიწერილი, ვინ იცის, რამდენნაირი ფიქრი, ოცნება, ნატვრა თუ სურვილი. ცარცის ძროხაც ეს არის ალბათ, ამას უნდა ნიშნავდეს — გარდასულ, მკვდარ ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ ხსოვნაშილა არსებობს. არც

არაფერს გაძლევს, არც არაფერს თხოულობს შენგან, მაგრამ განუწყვეტლივ გახსენებს, შენამდეც რომ იყო ცხოვრება და შენს მერეც რომ უნდა იყოს. მოკლედ, ძროხა კია, მაგრამ ცარცისაა, გამოფიტული. დაშლილი, მტვრად ქცეული, მკვდარი მინერალებისაგან შესდგება და, თავისთავად ცხადია, ველარც ხბოს მოიგებს, ველარც რძეს მოიწველება. ნიკოს კი იმიტომ დასდევდა სიზმარში. უფრო ფხიზლად, უფრო ფრთხილად რომ იყოს ნიკო, რადგან, როგორც ვანო მასწავლებელი ამბობს, ომი კი არ დამთავრდა, დაიწყო, უარესია მოსალოდნელი. აი, რას ნიშნავს ცარცის ძროხა, და არა მარტო გარდასულ ცხოვრებას განასახიერებს იგი, არამედ მომავალსაც, წარსულსაც და მომავალსაც — ორივეს, ერთნაირად მკვდარს, რადგან ერთი უკვე იყო, მეორე ჯერ არ ყოფილა და საკითხავია, იქნებ თუ არა. ერთი უნიკოოდ წავიდა, მეორე უნიკოოდ მოვა, თუ მოვა, ის კი, ნიკო და ნიკოსნაირები, დღევანდლები, ამ ორი ცარციანი ნაპირის, ყოფილისა და არყოფილის საზღვრად დგანან, მათ შორის არიან მოქცეულნი და, ამიტომაც, როგორც ვანო მასწავლებელი ეჩიჩინებათ, მეტის ცოდნა მართებთ, თუნდაც ცოტა იმაზე მეტისა, ვიდრე იციან. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც უნდა იცოდნენ, ძროხა, თუკი ნამდვილია, ხბოს რომ იგებს და რძეს იწველება; ხოლო, გიგო პაპას ვენახი ერთგვარი თავშესაფარი რომაა მათი მორიგი, თუნდაც ბავშვური განსაცდელის ჟამს. მარტო იქ ვერ შებედა ცარცის ძროხამ, იმიტომ რომ, ვენახი იგივე სიცოცხლეა, ხოლო სიკვდილს, თუკი ვინმესი ერიდება, სიცოცხლისა ერიდება მხოლოდ. ეი, ბათუმელო! ვიდრე ჩემს ვენახში მიდგას ფეხი, არც მტრისა მეშინია, არც მოყვრისა — ასე იცის თქმა გიგო პაპამ. თუშური ქუდი ახურავს, პატარა, მზეზე გამოხუნებული. ქოჩრის ქვემოდან იყურება, თვალები ეშმაკურად უეუეუნებს: მოდი, ერთი ესეც უნდა გაგასინჯო — ეძახის ნიკოს, ქვევრთან ჩამუხლული. პირდაპირ ორშიმოთი სწვდის ლუკანს. — სამი წლისაა, აი! მამაშენს უყვარდა ჩემი დაყენებული ღვინო. აფსუს, აფსუსს. — მერე კი, უფრო დინჯად, თანაგრძნობით, ტოლივით — არა უშავს, ყველაფერი კარგად იქნება — და შენც გჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. უნებურად თითის წვერებზე იწევი, გულზე რომ არ ჩამოგელვაროს ღვინო ორშიმოდან. მარნის ჭერზე ნივრისა და ხახვის გალები ჰკიდია. დასამწნილებელი კიტრი და პამიდორი კუთხეში დაუხვავებიათ. შიგადაშიგ, წვრილი, მუშტისხელა, ზოლიანი საზამთროც გამორევია. აყალოს გრილ ბელტებზე თოხი გდია. თოხის ტარზე მრგვალი, ბორბლისხელა ფიქალი მიწოლილა. თავმოხდილი ქვევრიდან ზანტად, მდორედ, უხალისოდ ამოდის ღვინის სული, განთავისუფლებული, შევბანაგრძნობი, მაგრამ ვითომც არ უნდა განთავისუფლება. მარნის ჭერის დანახვა, ვითომ, თავგადაგოზილ ქვევრში ურჩევნია. ღვინის სულითაა იქაურობა გაჟღენთილი. ქვევრში ჩავარდნილი კრაზანა სველ ფეხებს ამაოდ ასავსავებს. ეგრე იცის ნუნუამ! ბრუნავს, ბუბუნებს ჩამუქებული, ვერაგულად მბზინავი სითხე. აბა, ერთი ჩაიმუხლე, რა ცხენივით დგახარ! არა უშავს, ცოტა დაგესვაროს შარვალი. სამაგიეროდ, კაცი გამოხვალ. ვინც ახლა ამ მზეს ვერ ეფიცხება, მოდი, იმათ გაუმარჯოს. თონის ძირში თიკნის თავფეხი ყრია, საკუთარ ტყავზე. ტყავის შიდა პირი ჯერ კიდევ სველია, თვალის უპესავით. გუშინ იყო რთველი. სახლი ჯერ კიდევ აფორიაქებულია. მაღლდება, კედლებს განზე სწევს, ჰირნახული რომ დაიტიოს. ბარაქა, ბარაქა თქვენს ოჯახს! ჯერ კარგახანს ვერ დაწყნარდებიან. პატარა ამბავია?! კიდევ ერთი დიდი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გადაიხადეს და, თანაც, გაუმარჯვდათ. კიბის საფეხურზე გაჭყლეტილი მტევანი გდია, მტევანს ფუტკარი ახვევია.

დაბზუიან ტკბილ, მათრობელა წვენს. ქეიფობენ თავიანთებურად. თუთის ძირას სახედარი დგას, კისერმოღრეციცილი იყურება სახლისკენ, თითქოს თავისივე სიბრიყვის, თავისივე ვირული ხასიათის გამო, უმიზეზოდ გაბუტვია პატრონებს და ახლა მოუთმენლად ელოდება, როდის აპატიებენ, როდის შემოირიგებენ მასზე ბევრად ჭკვიანი და, ამიტომაც, გამგები, მიმტევებელი ადამიანები. გაუშვი, მცემონ, შემაგინონო — ფიქრობს თავისთვის. მარანიცა და სახლიც ყურძნითაა სავსე. კედლებზე, სადაც კი ლურსმნის მიჭედება შეიძლება, ყველგან ჩხა, აკიდო თუ ჯაგანი ჰკიდია. გიგო პაპას ახალგაზრდობის სურათი წესიერად აღარცა ჩანს. ოცდახუთი წლისაა. კისერდაბერილი. ორივე ხელის ცერები წვრილ ქამარში ჩაუყვია — ვინც ბიჭია, დამეჰკიდოს. — ახალი დაბრუნებულია გერმანიიდან. ტყვედ იყო ჩავარდნილი, ოღონდ, პირველი ომის დროს. დანკემაინეჰერ, დანკემაინეჰერ—ეს იცის მხოლოდ გერმანულად. არა, კიდევ ფროილენი იცის. თავის ცოლს დასძახის—ეი, ფროილენ, შენ გეუბნები. ფროილენ, გოგო. ჩემს ფროილენს თავის დროზე ფეხი რომ არ მოეტეხა, აქამდე ათჯერ გამექცეოდა. არც ახლაა გვიან. დამაცადე, ღმერთია მოწმე — უღრენს ფროილენი, ანიკო ძალო. ფროილენ, მოიხედე მეთქი. გახსოვს, ვენახში... მოიცა, სხვას ვამბობ. აი, ჩემი ქვისლები რომ გვეწვივნენ სტუმრად. ხოდა, მე და ჩემი ფროილენი იმ ღამეს ვენახში დავრჩით. მა, სად უნდა დაგვეტია იმოდენა ხალხი“! დილიდანვე რომ ჭიქაში ხარ ჩავარდნილი იმიტომაც გასულელებს ეშმაკი, ღმერთია მოწმე — უღრენს ანიკო ძალო. ჩემსას ვსვამ, ჩემ ოფლსა ვსვამ, ვენაცვალე, დაილოცოს ვაზის ძირი. ჩაიმუხლე მეთქი, ბიჭო, აქაოდა, ბათუმელი ვარო, ძირს აღარ უნდა დაიხედო?! მამაშენი პირველად რომ ჩამოვიდა ჩვენს მხარეში, კაცი ვერ იპოვეს იმისი დამთრობი. ბოლოს, ერთი მღვდელი მოუყვანეს, მაგრამ ისიც დაათრო, მთვრალი შინამდე მოაცილეს. დილით კი მოიკითხა, როგორ ბრძანდებით, მამაო, ნაღვინარზეო. მღვდელი თავწაკრული მჯდარა გაუშლელ საწოლზე, მღვდლობაც დავიწყნია და ზრდილობაც, წადი, შენი იმერელი დედაც ვატირეო, შეუგინებია ნიკოს მამისთვის. ძალიან ახლოს მიუტანია გულთან თავისი მარცხი. მღვდელი კი იყო, მაგრამ კახელიც იყო, კარგ მსმელად ითვლებოდა და თავი მოსწონდა. წადი, შენი იმერელი დედაც ვატირეო. გვირაბს იქით კახელები ყველას იმერელს ეძახიან. ღვინის სულით გაბრუებული ქვეყანა კი ბზრიალებს, თითქოს კარუსელია. ოღონდ, კარუსელის ყველა ეტლში თავწაკრული მღვდელი ზის და მოღუშული, განაწყენებული უყურებს ნიკოს. მამის ჯავრი შვილზეც გადადის, ნიკო კი მამამისის შვილია. ნიკოს ეცინება, იცინის, ვერ შეუკავებია თავი. კარგით, გეყოფათ, ბავშვს მაინც ნუღა ასმევო — იძახის ფროილენი. ნიკოს უნდა, მშვიდად დაელაპარაკოს ანიკო ძალოს, მშვიდად აუხსნას, ბავშვი რომ აღარაა, ომმა ბავშვი რომ არ იცის, ომში ისევე სწრაფად რომ იზრდებიან ბავშვები, როგორც ზღაპარში, მაგრამ უკვე თუთის ძირას დგას და გაბუტულ სახედარს ეხვევა კისერზე. სახედარს თივისა და ოფლის სუნი ასდის, გამოვლილი ვენახებისა, გზებისა, ვირული სიჯიუტისა და სიბრიყვისა. ისუსხება, თითქოს გასამზეურებლად ღობეზე გადაფენილი ხალიჩა იყოს და არა ცოცხალი, ნაზთვალება არსება. ამასობაში კი უკვე დაღამებულა. ორღობეში სხვა სახედარი ორთვალას მოარახრახებს. ვენახში შეგვიანდნენ და ახლა შინისკენ მიეჩქარებათ. ყველას შინ უნდა, იმიტომ რომ, არაფერი არ სჯობია შინ დაბრუნებას. ბატებისთვისაც კი. ბატებო, ბატებო, შინ, შინ, შინ! ორთვალა კი ბნელში გაუჩინარებულ ქვებზე სხლტება, უარესად რახრახებს. „ნელა, ვერან“ — ვირს უწყრება პატრონი.

ვირიც უსიტყვოდ იტანს უსამართლო საყვედურს. ვირი რომ ვირია, ისიც არ ტყუის ყოველთვის. მაგრამ მაინც თავჩაღუნულმა უნდა მოითმინოს ყველაფერი. მა, რის ვირია! ხვნეშის, იძაბება, მეტი მონდომებით ეზიდება ორთვალას. ერთი, როდის გამოჩნდება იმათი ეზო, სხვებისნაირი, მაგრამ მაინც რაღაცით გამორჩეული; რაღაცით კი არა, სუნით — თავისი სუნი აქვს იმ ეზოში დატოვებული და ახლა საკუთარი სუნისკენ მიისწრაფის. მივა, ჩადგება საკუთარ სუნში და გათავდა, დილამდე თავისუფალია, უნდა ხალხზე იფიქრებს, უნდა — ვირებზე. უკვე დაღამებულა, ღამეა. პურის ხარიხაზეც ჯაგნები ჰკიდია. რომელიღაც მტევანს ვენახიდან ჭრიჭინა გამოჰყოლია და ჭრიჭინებს, ჭრიჭინებს, გაუთავებლად. იმისთვის სულერთია, ვენახში იქნება თუ აქ. არც კედელზე მიკაკუნება შველის, არც ლამპის მინათება. გიგო პაპა საცვლების ამარა დაბორიალობს ოთახში, უკრაინელ კაზაკსა გავს თეთრ ნიფხავ-პერანგში. ხელში ანთებული ლამპა უჭირავს და ხან ერთ კედელს მიანათებს, ხან მეორეს. ნავთის სუნსა სტოვებს გზადაგზა. ეტყობა, ლამპიდან ეღვრება ნავთი. ერთიანად ამოგვბუგავს, ეს არდასარჩენი, ღმერთია მოწამეო — ბუზღუნებს სიბნელეში ანიკო ძალო. ბოდიში. მომითმინეთ. ერთი, დამენახვეთ, სადა წევხართ — დაბანცალებს გიგო პაპა. თვითონვე ეცინება საკუთარ სიმთვრალეზე. და მაინც სახლი მზის თბილი სუნითაა გაჟღენთილი. მზის სუნი ჭარბობს ყველანაირ სუნს. კედლებზე, ჭერზე უზარმაზარი ლანდები დაბორიალობენ, გიგო პაპებივით. ფხუკუნით, ვიშვიშით, მოჩვენებითი ბუზღუნითა და მუქარით იბუდებენ ქალები ბნელ კუთხეებში. წამით, მოულოდნელად, გამოკრთებიან ხოლმე გაფუებულ, გადასხვაფერებულ საგნებს შორის, მკლავმოშიშვლებულნი, მხარზე თმაჩამოშლილნი, თავადაც გადასხვაფერებულნი, თითქოს ერთბაშად დასრულებულნი, დამსხვილებულნი, ფართე, ხალვათად შეკერილ ღამის პერანგებში, და ისევ წებოვან, თბილსა და სასიამოვნოდ მოგუგუნე წყვდიადს უერთდებიან. ეი, ბათუმელო! ხომ არ დაგეძინა. ერთი, უნდა გელაპარაკო. რა დროს ლაპარაკია, ადამიანო, დაგვასვენე. ბოდიში. მომითმინეთ. დამენახვეთ მაინც, სად წევხართ. სხვას არ მივუწვე შემთხვევით. იცოდე, არ გამომიყვანო მოთმინებიდან, ღმერთია მოწამე. ხოდა, იმას გეუბნებოდი — წლები არ მამახსოვრდება მეთქი. აი, როდის რა მოხდა. იმ სურათს ხომ ხედავ? ოცდახუთისა ვარ. ჩვიდმეტისა ვიყავი, მამაჩემი მეუბნება, იმის სულს ვენაცვალე, ჭიგოები მოიტანეო. ცხრა კაცი წავიყვანე. მამას ვეუბნები, მეათე მე ვარ, რა წავიღოთ მეთქი. მე რას მეკითხებიო, რაც გინდა ის წაიღეო. ღვინო გალაპარაკებს, შე უბედურო, ღვინო. დააძინე ეგ ბავშვი. არა ვარ ბავშვი, ანიკო ძალო, აღარა ვარ, ნაინ, კაპუტ ბავშვი, ფროილენ. კარგი ტიკი გავავსე, ვედროიანი კი არა, ექვსი ჩაფი ჩავიდა. არაყი ერთი ხელადა არ გვეყოფოდა. ნახევარი ვედრო არაყი გვინდა მეთქი, იმის სულს ვენაცვალე. გინდა და წაიღეო. ჩვენც ავდექით და წავედით. ფეხი იქამდე უნდა მომტეხოდა, ვიდრე შენ გადაგეყრებოდი, ღმერთია მოწამე. დამაცა, დედაკაცო. ტყეში რომ შევედით პირწმინდად, აბა, მიდი, ვისაც შეგიძლიათ. მაშინ თავადებსაც მიჯნები ჰქონდათ ტყეში. თავის ტყეში რომ ენახე, მოვიდოდა, აბა, საბუთიო, ნებართვა თუ გაქვს, ტყეს რომ აჩანაგებო. მოკლედ, ყარაული მოვიდა, ტყის მცველი. ორი ურემი გამოგვიხსნა. ამდროს, ბედად, მამაჩემიც არ დაგვადგა თავზე! აბა, მარდად, სუფრა გააწყეთო, მეუბნება ჩუმად. ჯერ ხურჯინები ამოგვალაგებინა. ეს იმ კაცს გაუმარჯოს, საქმეზე დამდგარს ხელს რომ არ შეუშლისო. შენა ხარ, პატარქლიანთოო, ხელი მოუჩრდილა ყარაულმა. მე გახლავართო. თავისი ნაფურთხი აალოკინა. კაცს რა ვუთხა-

რი, თავის ნაფურთხს რომ ალოკავს. ადე, დაწე, მამაგიცხონდება, რამდენს ლაპარაკობ, ასე როგორ უნდა აგიყოლიოს ღვინომ. დამაცადე, დაგინახო. ეი, ფროილენ, დანკემაინეჰერ. მტევნები კი ლამპის შუქზე ალისფრად ბზინავენ. ბროწეულის ფოთოლი სარკის ნამტვრევივით ბრჭყვიალებს. ჭრიჭინა კი ჭრიჭინებს, ჭრიჭინებს გაუთავებლად. დილით ლოგინშივე უნდა დალევინო არაყი, ერთბაშად რომ მოგარჩინოო — ეძახის გიგო პაპა ნიკოს, მაგრამ უკვე შორიდან, რომელიღაც ბნელ კუთხეში დგას. ბანცალებს, ხითხითებს, ეტყობა იპოვა ცოლი, ის კი, სირცხვილისაგან დამუნჯებული, სუნთქვაშეკრული წევს. ხო, კარგი, იყუჩე, იყუჩე, მადლი უფალსა. შენი სახელის ჭირიმე ღმერთო. თუხარსადმე.

## 11

მერე ნიკო ვანო მასწავლებელმა მოინახულა და ეს იყო ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მთელი მისი ავადმყოფობის მანძილზე, ოღონდ, რასაკვირველია, კიდევ უფრო მეტად გაიხარებდა, დედამისიც რომ შესწრებოდა შემთხვევით ამ ამბავს, დედამისაც ენახა, როგორ უყვარდათ და აფასებდნენ მის შვილს ასევე საყვარელი და დასაფასებელი მასწავლებლები. მართალია, ვანო მასწავლებელი ყველას ჭირისუფლად ითვლებოდა, მაგრამ მაინც დიდი პატივი იყო მისგან ამგვარი ყურადღებისა და გულისხმიერების გამოჩენა ერთი რიგითი ანუ, საშუალო მოსწრებისა და საკმაოდ შელახული ყოფაქცევის მოწაფის მიმართ. ამავე დროს ვანო მასწავლებლის მოსვლა იმასაც ადასტურებდა, ევგენია დუგლაძის აზრს საერთო აზრად რომ არ თვლიდა სკოლა და ჯერ კიდევ რომ არსებობდნენ პედაგოგები, რომლებსაც მოწაფის ცოდნისა და შესაძლებლობების გარდა, არანაკლებ აინტერესებდათ მოწაფის სულში ჩახედვაც, მოწაფის პირად ცხოვრებაში გარკვევაც. ეს კი, ნებისმიერ მოწაფეს და მათ შორის, რასაკვირველია, ნიკოსაც, უპირველეს ყოვლისა, პატივისცემის გრძნობას ულვიძებდა, როგორც საკუთარი თავის, ისევე დამფასებლის, კეთილმოსურნის მიმართ. ორდენი რომ გადაეცათ, ისე არ გაუხარდებოდა, ისე არ გაბედნიერდებოდა ალბათ, როგორც მასწავლებლის მოულოდნელმა სტუმრობამ აალელვა და გაამბედნიერა. სხვათაშორის, ხმაზევე შეატყო ბებიას, რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ამბავი რომ ხდებოდა მის ცხოვრებაში, მაგრამ მაინც შეყოვნდა ძილ-ბურანში, მაინც გაუჭირდა უფრო სწრაფად გადასვლა აღდგენილი დროიდან მიმდინარე დროში, რადგან, როცა ოთახისკენ გადმობრუნდა, ბებია აღარ იყო ოთახში, ვანო მასწავლებელი კი უკვე სკამზე იჯდა, ღუმელთან, ფეხი ფეხზე გადაედო და მთელ სიგანეზე გაშლილ გაზეთს ათვალიერებდა. არადა, თითქოს იმ წუთას დაუძახა ბებიამ, გადმობრუნდი, სტუმარიაო. ვანო მასწავლებელს მხოლოდ ერთმანეთზე გადადებული ფეხები და ხელის მტევნები მოუჩანდა, მაგრამ ნიკო ყასიდადაც არ შეჰკითხვია თავს, ნეტავი, ვინ არის ეს, გაზეთსამოფარებული კაციო. ცნობით კი იცნო მაშინვე, ოღონდ, ვეღარაფრით ვეღარ გაიხსენა უცებ, რა ურთიერთობა ჰქონდა იმასთან „სიკვდილამდე“, როგორ უნდა დაეჭირა, საერთოდ, იმასთან თავი, რისი თქმა შეეძლო და რისი არა. ამიტომაც, სტიქიური, გაოცებული სიხარული, იმავე წამს, შიშნარევ დაბნეულობაში გადაეზარდა და ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგან ჯერ არც ანგარისგასაწევი და, რაც მთავარია, არც მთლად ნათელი იყო მისი შეგრძნებები, ჯერ კიდევ არ იყო წესიერად გამობრუნებული სააქაოს და მისი საკუთარი, მის მიერ აღდგენილი დრო სრულებითაც არ შეესაბამებოდა მიმდინარე დროს, კალენდრისას, და ის ორი კვირა, რომელიც უკვე გაეტარებინა საწოლში, ადვილი შესაძლებელია, ჯერ არც დამდგარიყო კალენდარზე, ანუ, ერთნაირად ტოლფა-

რდი ყოფილიყო მისთვის, როგორც ჩვეულებრივი წამისა, ისე ერთი გაუთავებელი საუკუნისა.

ისეთი მოწიწებით შესცქეროდა სტუმარს, თითქოს ჩვეულებრივი (თუნდაც, არაჩვეულებრივი) მასწავლებელი კი არ იყო ისტორიისა, არამედ, მოულოდნელად გაცოცხლებული, მკვდრეთით აღმდგარი რომელიღაც ისტორიული პიროვნება. თუმცა, ასედაც იყო ალბათ, ოღონდ, ნიკოცა და სხვებიც, ჩვეულებრივი ადამიანური სიბეცისა და ყველაფრისადმი ჩვეულებრივი ცხოველური უნდობლობის გამო, ფიქრშიაც ვერ დაუშვებდნენ, ყოველდღიური, სავსებით ბუნებრივი, ცხოვრებისეული ურთიერთობა რომ ჰქონდათ ისტორიულ პიროვნებასთან — იცნობდნენ, ესალმებოდნენ, ელაპარაკებოდნენ, პირში უცინოდნენ, ზურგს უკან კი ჭორავდნენ, დასცინოდნენ ან იბრალებდნენ — მოკლედ, იმასაც ზუსტად ისევე ექცეოდნენ, როგორც დანარჩენ ქალაქს, რადგან გაზეთში კი არ წაეკითხათ, რადიოში კი არ მოესმინათ იმის თავგადასავალი, თვითონვე შეეკოწიწებინათ, უფრო სწორედ, ზოგი იმისგანვე მოესმინათ, ზოგი სხვისგან, რაც მოსმენილს, დამაჯერებლობას თუ არა, წონასა და ფასს აშკარად უკარგავდა მათ თვალში. იგივე ამბავი ან კინოში, ან თეატრში რომ ენახათ, შეიძლება, მთავარი გმირის განმასახიერებელი მსახიობი ხელით ეტარებინათ, რაღა არ მიეწერათ იმისათვის, კერპადაც გაეხადათ, მაგრამ საკუთარი მონათხრობის გმირს ვერც იმაზე მეტ პატივს სცემდნენ, რამდენსაც საერთოდ ომის ნებისმიერი მონაწილე იმსახურებდა და ვერც იმაზე ნაკლებს, რაც მათ თანამოქალაქეს, თანაც, მათი ბავშვების მასწავლებელს ეკადრებოდა. კაცმა რომ თქვას, წესიერად არც არავის მოესმინა ვანო მასწავლებლის თავგადასავალი, რადგან თვითონაც არ მოუყოლია არავისთვის თავიდან ბოლომდე, თანამიმდევრულად. ათასში ერთხელ, სიტყვას თუ მოაყოლებდა რაღაცას თავისი ცხოვრებიდან, რის საფუძველზეც მერე უკვე თავად ქალაქი ქმნიდა ამ მართლაც რომ წმინდანივით ნაწამები კაცის ახალ ბიოგრაფიას, რასაკვირველია, თავისი მოსაზრებებისა და იმჟამინდელი გუნება-განწყობილების შესაბამისად. მაგრამ, როგორც არ უნდა გადაესხვაფერებინათ, შეეცვალათ, შეეტრიალებინათ სხვადასხვა დროს, სხვადასხვანაირად მოსმენილი ამბავი, ბოლოს მაინც ერთნაირად მძიმე და სამწუხარო გამოდიოდა. მართლაც, როგორი წარმოსადგენია, საკუთარი და სხვათა სისხლით ატალახებულ საფლავში წოლა?! თანდათანობით სული გეხუთება. როდემდე შეიკავებ სუნთქვას?! არადა, ჰაერის ყოველ ჩასუნთქვაზე ფილტვები ტალახით გევსება. ხოლო სხვათა, შენთან ერთად დახვრეტილთა გაშეშებული გვამები, ეკალბარდებივით, გედობებიან, თითქოს ძალით გაკავებენ, შეგნებულად გიშლიან საფლავიდან ამოსვლას — თუ ჩვენთან ერთად დაიხვრიტე, ჩვენთან ერთად უნდა დარჩე ბოლომდეო — მაგრამ შენ, განა არ გინდა იმათთან დარჩენა, არ შეგიძლია, უფლება არა გაქვს, რადგან დახვრეტამდეც და დახვრეტის მერეც, წამითაც არ გაგნელებია სიკვდილზე ბევრად შემზარავი წინათგრძნობა სიკვდილზე ბევრად შემზარავი უბედურებისა. მთელი არსებითა გრძნობ, რაღაცა ძნელად წარმოსადგენი, ძნელად მოსარევი განსაცდელი რომ დასტყდომია თავს შენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებს, .რომლებიც თითქოს სამშვიდობოსა გყავს დატოვებული, ომისაგან შორს, კავკასიონის გადაღმა, თავიანთ მშობლიურ ქალაქში, მაგრამ დახვრეტის მერეც, ისევე როგორც დახვრეტამდეც, მხოლოდ იმაზე ფიქრობ, როგორ უშველო იმათ, თავს კი არა, იმათ, შენზე უარეს განსაცდელში ჩავარდნილებს საკუთარ ჰერქვეშ, როგორ, რანაირად მიაწვდინო ხმა ლამის ქვეყნის მეორე ბოლოდან, კიდევ უფრო შორიდან, ვიდრე ამქვეყნიური სა-

ზრმებით შეიძლება წარმოიდგინო — საერთო საფლავიდან — რომელშიაც აგერ უკვე მთელი საათია წევხარ, ელოდები, როდის მიწყდება ნებისმიერი სიცოცხლის დამადასტურებელი ხმა, ხელმეორედ რომ იშვა თავად, ბალახივით ამოხვიდე საკუთარი საფლავიდან.

თვითონ ამბობს, არც მიფიქრია რომ მოვკვდებოდიო, ჩემი თავი საერთოდ არ მახსოვდა, არც დახვრეტამდე, როცა ჩვენივე ხელით ამოთხრილ საფლავთან ჩაგვამწკრივეს, და არც დახვრეტის შემდეგ, როცა ნაუცბათევად ამოვსებული საფლავიდან, როგორც იქნა, ამოვბობღდიო. საფლავიდან რომ ამობობღებულა, რომელიღაც ლეშიჭამია ნადირი დაუფრთხია — ის ზემოდან თხრიდა თურმე მიწას, როგორმე რომ ჩაეღწია გვამებამდე — გულგახეთქილი გადახვეწილა ღამის უკუნეთში და ისიც, ვანო მასწავლებელიც, გაუაზრებლად გაჰკიდებია უკან. თვითონ ამბობს, იმან გადამარჩინაო, რომ არ გავკიდებოდი, ახლაც იქ ვიქნებოდიო. დაფეთებულ ნადირს მისდევდა, თურმე, ორი ტყვიით დაჭრილი, სისხლიანი ტალახით ფილტვებამოვსებული, დაბრმავებული, ყურებამოგლესილი, ნესტოებდახშული. ტალახს აფურთხებდა და მირბოდა, გულამოვარდნილი მისდევდა თოვლზე შავად დამჩნეულ ნაკვალევს. თუმცა, შეიძლება, არავითარი ნაკვალევი არ არსებობდა სინამდვილეში და თვითონვე წარმოიდგინა ყველაფერი, იქიდან რომ გამოეღწია. მაგრამ, საფლავიდან თავდაღწეულმა, ახლა ორმოში ამოჰყო თავი, ცოცხლად დაიმარხა ისევ და ახლა უფრო დიდი ხნით, თანაც, ნებაყოფლობით. ენა, რა თქმა უნდა, ყველაფერს ადვილად იტყვის, მაგრამ მტერმა გაძლო კარტოფილის შესანახ ორმოში მთელი ზამთარი — თაგვივით ჩუმად, გაუფაჩუნებლად, გაუნელებელ შიშსა და მოლოდინში. კი არ წევხარ, გდიხარ ნესტით გაფუებულ ჩალაზე, ღონემიხდილი, სიცხიანი, და თვალდაუხამხამებლად ასცქერი ასახდელ ჭერს — არ იცი, როდის აიხდება და, რაც მთავარია, არ იცი, ვინ ახდის ამჯერად, ისევ შენი შემფარებელი დედაბერი, თუ მტერი, შენი ერთხელ უკვე დამხვრეტი. ორმოში კი დღისითაც ისევე ბნელა, როგორც ღამით, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა თურმე — სიცოცხლის გულისთვის, სიცოცხლის სახელით — სიბნელესაც, სინესტესაც, სიცივესაც, სიბინძურესაც, ტკივილსაც, შიშსაც... ყველაფერს, რისიც არ ითქმის სახელი. და შენც უკვე სულ უმნიშვნელო, თმასავით წვრილ განაზზარსაც ამჩნევ ასახდელ ჭერზე — ისაა შენი სულის კარიბჭე — სააქაოშიც და საიქიოშიც ამ გზით უნდა გადახვიდე მხოლოდ, სხვა გზა შენთვის აღარ არსებობს, იმის მეშვეობით უკავშირდები ყველაფერს, მოულოდნელად გადარჩენილ სიცოცხლესაც და ყოველ წუთას მოსალოდნელ სიკვდილსაც. ის გინარჩუნებს დროის შეგრძნებასაც, რადგან, იშვიათად, მაგრამ მაინც უნდა აიხადოს აუცილებლად, თუნდაც ერთი წამით, იმდენი ხნით, პურის, წყლისა თუ წამლის ჩამოწოდებას რომ ჭირდება. შენც მაშინვე გაბრმავებს დღის სინათლის უმნიშვნელო, ოთკუთხედი ნამტვრევი, ჭერის ახდისთანავე რომ დაგეცემა ხოლმე სახეზე, მომწყდარი ლოდის სიმძიმით, და დარეტიანებული, როდის-როდის არჩევ ჯერ დედაბრის დამჭკნარ, იდაყვამდე გაშიშვლებულ ხელს, რომელიღაც მტაცებელი ფრინველის ფეხივით რომ ჩაფრენია ასახდელი ჭერის კიდეს, მერე კი დედაბრის გაწყალებულ თვალებს, მიხრწნილობის, გარდაუვალი აღსასრულის მაუწყებელი ცრემლით მარად სველსა და წითლად აპრიალებულ ქუთუთოებს. „რატომ მშველი, მე ხომ მტერი ვარ, რატომ ქვეყანას არ გააგებინებო“ — ეკითხებოდა თურმე ვანო მასწავლებელი, ის კი ყასიდად გამწყრალი, ვითომ შუბლშეკრული, ბავშვურად ღიმილშეკავებული, თავისივე რეცეპტით მოდუღებულ წამალს ჭიქით ჩამოაწოდებდა და კი არ ეტყოდა, უბრძანებ-

და, დალიეო. ასე რომ, მთელი ზამთრის განმავლობაში, უფრო ზუსტად კი, დედაბრის სიკვდილამდე, თუ რამე იცოდა ქვეყნისა, იმ დედაბრისგან იცოდა, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო ცოდნა იყო, იმდენად ყავლგასული და დრომოჭმული, არც არაფერს აძლევდა, არც არაფერს ართმევდა. დედაბერი იმას ამბობდა, რაც მარტო თვითონ ესმოდა, რითაც მარტო თვითონ ცხოვრობდა, ამიტომ, ბევრი არაფერი გაეგებოდა ამ ქვეყნისა, რადგან ბევრი არაფერი ესაქმებოდა იმასთან. მოგონებებითღა ედგა სული, შვილის საფლავივით უხილავსა და ხელმიუწვდენელ წარსულს ელოლიავებოდა მოგონებებში და მთელი მისი სატკივარი, სადარდელი და საფიქრალი იმ საფლავსვე აჭკნობდა ზედ.

იმ დედაბრის შვილი ცხრაასთვრამეტში საქართველოში ყოფილა და იქვე გარდაცვლილა სამხედრო ლაზარეთში. მაგრამ სიკვდილამდე ბევრს იწერებოდა თურმე იქაურ ამბებს და, დაუსწრებლად, დედისთვისაც შეუყვარებია, როგორც თვითონ უწოდებდა, „ღმერთისაგან მიტოვებული სამოთხე“. თავად ხომ სხვა აღარაფერი ხსომებია, იმ უცხო, შორეული, თითქმის არც არსებული ქვეყნის ჭირ-ვარამის მეტი. იმის სახელი ამოუკვეთია გულზე და იმის სამსახური დაუსახავს ცხოვრების მიზნად. იქაური პოეტების ლექსებიც კი უთარგმნია და ვარსკვლავებივით უთვალავ ტაძართა და ციხე-კოშკთა ნანგრევების აღნუსხვაც დაუწყია, მაგრამ საქართველოს სხვა, არცთუ მრავალი, გულშემატკივრის მსგავსად, არც იმას დასცლია ჩანაფიქრის განხორციელება და მოულოდნელად გარდაცვლილა, მაინცდამაინც, იმას დატაკებია მუცლის ტიფი თუ რაღაც ესპანური სახადი. „საქართველოს და ქართველთა გადარჩენა ყველა კეთილშობილი ადამიანის უწმინდესი ვალიაო“ — ასე ამთავრებდა თურმე საქართველოდან გამოგზავნილ ყველა წერილს, როცა მართლაც რომ დიდ ეჭვს იწვევდა საქართველოს გადარჩენა, ძნელი დასაჯერებელი იყო, თავს რომ დაანებებდნენ ძველი მტრები, რომლებსაც უკვე არაერთხელ ჰქონდათ ნაგემი იმისი ტკბილი ჩიჩია და სანახევროდ ლამის შეეჭამათ კიდეც, ხოლო, რაც გადარჩენოდათ, იმას ნიკოს პაპისნაირი ჯარისკაცებიღა იცავდნენ. „შვილის ანდერძის აღსრულების საშუალება მომცა ღმერთმაო“ — ასე ეუბნებოდა თურმე ის დედაბერი ვანო მასწავლებელს, უძლურობისგან აკანკალებული და, რომელიღაც მტაცებელი ფრინველის ფეხის მსგავსი ხელით, ასახდელი ჰერის კიდეს ჩაფრენილი. და მართლაც, რა უნდა ეფიქრა სხვა, როგორ უნდა აეხსნა სხვანაირად, როგორ არ მიეღო ღმერთის ნება-სურვილად ვანო მასწავლებლის გამოცხადება, როცა ოცდახუთი წლის წინ გარდაცვლილ შვილს თავად გაუღვიძებია თურმე იმ ღამეს, უხეშად, დაუდევრად წაუკრავს ხელი და უთქვამს: გახედე, მოვიდაო. ისიც მაშინვე წამოვარდნილა საწოლიდან, მაშინვე გამოუღია კარი და, როგორ გგონიათ, ვინ მდგარა კართან, თოვლის კორიანტელში გახვეული?! ვინა და, ქართველი! მაინცდამაინც, ქართველი და, მაინცდამაინც, გადასარჩენი — დევნილი, დაჭრილი, ტანსაცმელშემოფლეთილი, თავშიშველი, ფეხშიშველი, გათოშილი, მშიერი და, რაც მთავარია, მკვდრეთით აღმდგარი, საფლავიდან ამოსული, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

თვითონ ამბობს, ერთი სული მქონდა, როდის შევძლებდი სიარულს, როდის მივაწვდენდი ჩემიანებს ხმასო. რადგან სიკვდილზე შემზარავი წინათგრძნობა ვერც ორმოს ნესტიანმა სიცივემ მოუსპო, თურმე, და ვერც გერმანელი დედაბრის უანგარო მზრუნველობამ. მაგრამ მაინც უფრო ადრე წამოსულა იქიდან, ვიდრე ელოდებოდა, ვიდრე თავს მომზადებულად ჩათვლიდა საერთოდ სადმე წასასვლელად. ამის მიზეზი კი მისი შემფარებელი დედაბრის მოულოდნელი (!) სიკვდილი გა-

მხდარა. სკამზე დაჯდომალა მოუსწრია, საბრალოს, დამჯდარი მომკვდარა სამზარეულოში. არაფრით რომ აღარ ახდილა ჭერი, რაღაც, ამის მაგვარი ვარაუდი ორმოს ბინადარსაც გასჩენია, მაგრამ ერთბაშად მაინც ვერ გაუბედავს ორმოდან ამოსვლა, მაინც დაცდა უმჯობინებია, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, ორმოდან უნებართვოდ ამოსული, ისევ მტერს ჩავარდნოდა ხელში. დრო კი გადიოდა. უფრო სწორედ, აღარ გადიოდა, წყვდიადში საერთოდ აღარ იგრძნობოდა, აღარ არსებობდა თითქოს, რადგან იქამდე, ასე თუ ისე, ბნელში მოწეული თუთუნივით, მეტნაკლებად, მაინც ინარჩუნებდა ზემოქმედების უნარს, თუნდაც არათანაბარ მონაკვეთებად დაყოფილი, ახახდელი ჭერის მეშვეობით, მაგრამ ახლა, რაკი ჭერი ყრუდ, უიმედოდ დაგმანულიყო, იმასაც დაჰკარგვოდა თავისი მთავარი თვისება — აღნიშვნა და დადასტურება რაღაცის დამთავრების და რაღაცის დაწყებისა. ნესტით გაფუებულ ჩალას ჭამდა თურმე და ელოდებოდა, არკი იცოდა — რას.მაგრამ გვამის სუნს, ბოლოს და ბოლოს, ორმოშიც რომ ჩაუღწევია, გიჟივით ამოვარდნილა იქიდან. მარტო იმის შეგრძნებას, მკვდრის იმედზე რომ ყურყუტებდა, ვინ იცის, რამდენი ხანი, წყვდიადში, ერთბაშად ფრთები შეუსხამს ამისათვის. ხოლო, პირველი, ვინც ორმოდან ამოსულს დაუნახავს, ის დედაბერი ყოფილა — სკამზე მჯდარა, კალთაში ხელებჩაყრილი. ოთახში ჭვარტლის შავი ნაფლეთები დაფრინავდნენ თურმე. ეტყობა, ნავთქურას იქამდე ებოლა, ვიდრე ნავთი ამოიწვებოდა. ის კი, ეს წუთია ორმოდან ამოსული, ჯერ ქვაბებს მივარდნია, ქვაბებს დარევია შიმშილისგან გამხეცებული. თვითონ ამბობს, ვგრძნობდი, ვიცოდი. მესმოდა, ცუდად რომ ვიქცეოდი, მაგრამ იმ წუთას სხვანაირად არ შემეძლო, ვერაფრით ვერ მოვერიე თავსო. იმასაც არ უკვირდებოდა თურმე, რას ჭამდა, ოღონდ რამე ჩასვლოდა დამპალი ჩალის წვენით სავსე კუჭში. თან მიცვალებულს შესცქეროდა და თან ტაფაზე დანახშირებულ კარტოფილს ფხეკდა თურმე ფრჩხილებით. ერთ ქვაბში მწვანედ ჩაობებული პურისთვის მიუგნია და ისიც შეუჭამია. თან თვალს ვერ აშორებდა თურმე სკამზე ჩამომჯდარ მიცვალებულს. მიცვალებულიც იმას შემოსცქეროდა თითქოს, მისკენ თავმობრუნებული და მისი საქციელით გაოცებული, ენაჩავარდნილი. ჭაღარა თავი ჭვარტლის შავი ნაფლეთებით ჰქონია გადაპენტილი. ცოტა სული რომ მოუთქვამს და უკეთესად დაჰკვირვებია დამჯდარ მიცვალებულს, ლოყაზე და კისერზე კატისა თუ ვირთხის ნაკბილარებიც შეუმჩნევია და იმავე წამს ცუდად გამხდარა, ხავსმოდებული წყლით სავსე ქოთანი მიუყუდებია მაშინვე, ნახევარი ზედ გადაუსხამს, მაგრამ ვეღარაფერი უშველია დამყაყებულ წყალს და მეორე წუთას, ქოთნის ნამტვრევებში დაჩოქილი, ორივე ხელით მაგიდის კიდეს ჩამოკონწიალებული, ღმუილით არწყევდა თურმე, არა მარტო კარტოფილის ნახშირსა და პურის ობს, ფაცაფუცით ჩანთქმულს, შეთქვლეფილს უძლურობის, უგონობის ჟამს, არამედ ყველანაირ გესლსა და ბალღამს, წლობის განმავლობაში დაგროვილს მის სულსა და გონებაში, დაძალებულს, შემოპარებულს, შემოთავაზებულს ჩვეული სივერაგითა და სისასტიკით თავად ცხოვრების მიერ. ამაზრზენად დაბუშტულსა და ამაზრზენად ლორწოვან ნარწყევში დაჩოქილი, მაგიდის ქვემოდან, ახლა მიცვალებულის ფეხებს ხედავდა მხოლოდ, უფრო სწორედ, კოჭს ზემოთ, წინდიანად გამოჭმულ ხორცს და კიდევ უფრო ძლიერ ეკრუნჩხებოდა გულ-მუცელი, კიდევ უფრო მწარედ ღმუოდა, გმინავდა, იხრჩობოდა, მაგრამ როგორც არ უნდა ეომა თავთან, როგორც არ უნდა დაეხუჭა ისედაც დაბრმავებული, სიმწრის ცრემლით ამოშანთული თვალები, მაინც ხრწნაგამჯდარი იარის მოლურჯო-მოწითალო სისვე-

ლეს ხედავდა მხოლოდ, თავადაც ის სისველე შემოსდგომოდა თითქოს ირგვლივ, იმ სისველეში იყო თითქოს დაჩოქილი.

მაგრამ, როგორც თვითონვე ამბობს, მთავარი უბედურება მაინც შინ ელოდებოდა თურმე. შეიძლება ამიტომაც, კიდევ დიდხანს ვერ მოუხერხებია შინ დაბრუნება, თითქოს გადამწყვეტი, საბოლოო დარტყმის წინ, ბედისწერაც იცოდებდა, ზოგავდა თავის მარადიულ მსხვერპლს. კარტოფილის ორმოდან თავდაღწეული, ისევ ტყვეთა ბანაკში მოხვედრილა, იქიდან კი, როგორც მრავლის მნახველი და გადამტანი, ნიურნბერგის პროცესზე გადაუგზავნიათ მოწმედ. მაგრამ მოსახდენი უნდა მომხდარიყო და მომხდარა კიდეც — ბოლოს და ბოლოს, შინ დაბრუნებულს, შვიდი წლის გოგო გახდომია უცებ ავად, ერთ საღამოს სისხლი წასკდომია ცხვირიდან და ვერაფრით შეუჩერებიათ, ექიმებს უთქვამთ, ჩვენ უმწეონი ვართო, ჩვენ კი არა, სასწაული თუ არ მოხდა, ამ სენთან ბრძოლა, ჯერჯერობით, ამ სენის სასარგებლოდ მთავრდება ყველგან, გინდა მოსკოვი იყოს, გინდა პარიზიო. მაგრამ რაკი მოსკოვი წამოცდენიათ ექიმებს, იმას მაინც წაუყვანია ბავშვი მოსკოვში. რაკი თუნდაც იოტისოდენა იმედი არსებულა, იმასაც, ბუნებრივია, თავი ვალდებულად ჩაუთვლია, ყველაფერი ბოლომდე ეცადა. აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?! ექიმები გულს ასკდებოდნენ თურმე, რა სისულელე ჩავიდინეთ, რატომ გავუღვიძეთ ცრუ იმედიო. არადა, სხვა მხრივ, კიდევ უარესი იქნებოდა, მოსკოვში რომ არ წასულიყო, მთელი სიცოცხლე ვერ აპატიებდა თავს, მთელი სიცოცხლე არ დაელოდა ათასი „იქნებ“ და ათასი „ვაი თუ“. მაგრამ მოსკოვში ბავშვი ლამის უკვე მკვდარი ჩაუყვანიათ. თვითმფრინავში ორჯერ ჩაკვდომიათ ხელში, მაგრამ როგორღაც უმარჯვნიათ და ხელიდან გამოუტაცნიათ სიკვდილისთვის. ჩაყვითლებულ-ჩაშავებული, ძლივს ახელდა თურმე თვალს და, რაკი ლაპარაკი არ შეეძლო, ძალისძალად იღიმებოდა, მშობლებისთვის რომ ენიშნებინა, ნუ გეშინიათ, არ მოვმკვდარვარ, ჯერ ცოცხალი ვარო. მშობლებმა კი აღარ იცოდნენ, რა ეღონათ, ასე ცაში გამოკიდებულებს, როგორ ეშველათ ერთადერთი შვილისთვის, ვისთვის მიეყიდათ სული, ვის დასდგომოდნენ მონებად, ერთი ყოვლად უდანაშაულო ბავშვის სიცოცხლის საფასურად. „რა ვქენი, რატომ ფეხები არ მომტყდა, თავის ლოგინში მაინც მომკვდარიყოო“ — ხორცებს იჭამდა თურმე დედა. მამას კი საერთოდ დაჰკარგვია განსჯის უნარი. სამაგიეროდ, მთელი არსებითა გრძნობდა, სრულიად ახალი, თავზარდამცემად ახალი სიცოცხლე რომ იწყებოდა მისთვის, გარდასულზე კიდევ უფრო მკაცრი და დაუნდობელი, კიდევ უფრო დიდი ტკივილების მომნიჭებელი, რადგან გარდასული, მიუხედავად ყველაფრისა, მეტნაკლებად გასაგებიცა და მეტნაკლებად მისაღებიც იყო მისთვის — საერთო საფლავის ატალახებული მიწის სიმძიმითაც, კარტოფილის ორმოს წყვდიადის გამთოშავი სიმყრალითაც, დამპალი ჩალის წებოვანი წვენითაც — ახლისა კი, ჯერჯერობით, არაფერი გაეგებოდა, არაფერი აკავშირებდა იმასთან, შვილის უეცარი და უსაშველო სენის მეტი. გარდასულ ცხოვრებაში ის მაინც იცოდა, როდის როგორ მოქცეულიყო, ვის დამალვოდა და ვისთვის ეთხოვა შველა, ახლა კი, გაოგნებული, ფარხმალდაყრილი შესცქეროდა მომაკვდავ შვილს, შესცქეროდა, როგორ იფერფლებოდა იმისი სიცოცხლე, ყოველ წამს როგორ ახლოვდებოდა აღსასრული, როგორი გარდაუვალი, ხელშესახები ხდებოდა სიკვდილი და მაინც უძრავად,უმოქმედოდ იჯდა და შესცქეროდა, როგორ მოსდევდა თვითმფრინავს სიკვდილი — ფრთების ტყლაშუნით, სისინ-წივილით. ჯოჯოხეთის ცეცხლში გამოვლილს, ათასჯერ დახვრეტილს, ათას ყულფიდან ჩამოხს-

ნილს — აზრის ნატამალიც არ უღვიოდა თავში, არაფერს ეუბნებოდა გული, არაფერს კარნახობდა ალღო. მხოლოდ იმის შიში ჰქონდა, თვითმფრინავს არ შემთხვეოდა რამე, თითქოს მიწაზე ყველაფერი თავისთავად გადაწყდებოდა და აუცილებლად მისი შვილის სასარგებლოდ, რადგან იქამდე ფიქრშიაც არ დაუშვია, ისიც სიკვდილის ქვეშევრდომი რომ იყო, ვისთვისაც თავად ცოცხლობდა, ვის გამოც არც ეპუებოდა და არც ურიგდებოდა სიკვდილს, ვისი მხოლოდ წარმოდგენაც კი, თუნდაც სულ უკანასკნელ წამს, არათუ სიცოცხლის ჟინს, სასიცოცხლო ძალებსაც აღუდგენდა ხოლმე მაშინვე.

საავადმყოფოში სულ ორი დღელა უცოცხლია გოგოს და ის ორი, უბოროტესი, უმკაცრესი, მაგრამ, ამავე დროს, საოცრად ცოცხალი, ტევადი, მოძრავი, ათასნაირი, ძნელად დასაჯერებელი ფიქრის, აზრის, იმედის, ოცნების გამჩენი და მომსპობი, გარდამქმნელი და გამაპამპულებელი დღე, სამივენი, მართლაც რომ ერთ არსებად ყოფილან ქცეულნი. პატარა, წალოსავით პალატაში, სადაც ერთადერთი საწოლი მდგარა, ხან დედა უქშევდა თურმე სიკვდილის ანგელოზს, ხან მამა; ერთი რომ ბავშვის საწოლთან იჯდა, მეორე კიბის ბაქანზე დაძრწოდა, გალიაში დატყვევებული მგელივით, ანდა, ლიფტის წინ ჩაცუცქული და ლიფტის კარს მიყურადებული — ვინმე არ დამადგეს თავზე, არ გამიბრაზდეს და არ გამაგდოს აქედანო — პირმოკუმული ყმუოდა, ისევ მგელივით. მაგრამ, მგლისგან განსხვავებით, კაცმა თითქმის არასოდეს არ იცის ზუსტად, ვისზე ან რაზე უნდა იძიოს შური. სამაგიეროდ, თუკი მგელს სუსტი მახსოვრობა აქვს და მალე ავიწყდება თავისი უბედურება, კაცმა ამ უბედურებით უნდა გალიოს დარჩენილი წუთისოფელი, სიკვდილამდე არ უნდა დაივიწყოს და ვერც დაივიწყებს, რადგან მახსოვრობა იგივე სასჯელია, ბუნებისგან დადგენილი, უვიცობისთვის, უმეცრებისთვის, მიუხვედრელობისთვის, ხოლო, თუ გაწყრა ღმერთი და დაივიწყა, ეს უკვე საყოველთაო უბედურების ნიშანია და, პირველ რიგში, ადამიანის გადაგვარების მაუწყებელი. ვანო მასწავლებელი, რა თქმა უნდა, არც ფიქრობდა შურისძიებაზე, რადგან ყოველმხრივ ჩვეულებრივი ადამიანი იყო და არც იმან იცოდა, ვისზე უნდა ეძია შური. შეიძლება, მთელი კაცობრიობა კი იყო დამნაშავე, საერთოდ რომ არსებობდა ასეთი სენი, მაგრამ გამორჩეულად ვერავის დაადებდა ხელს, გინდა თუ არა, შენა ხარ ჩემი შვილის მკვლელიო. იდგა კიბის ბაქანზე და პაპიროს პაპიროსზე აბოლებდა თურმე, როგორმე რომ მოესპო პირში მოულოდნელად გაჩენილი სიკვდილის ამაზრზენი გემო. ამდროს, ექიმი გამოსულა დერეფნიდან და მკლავში მკლავი გამოუდია, მეგობრულად, შინაურულად, წამო, ცოტახანს, ბაღში ჩავიდეთო. ისიც მაშინვე მიმხვდარა, რისი მაუწყებელი იყო ექიმის ამგვარი გულითადობა, მაგრამ თავი შეუკავებია, არ უთქვამს, ბაღში რა მინდა, ბარემ აქვე მითხარი, რა ამბავია ჩემს თავსო. დაბნევით კი მაინც დაბნეულა — ათასჯერ დაკითხული, ათასჯერ ნაწამები, ამჯერად, ბავშვივით აღელვებულა, აფორიაქებულა, თუმცა, იქამდეც ცოდნია, არავითარი იმედი რომ არ არსებობდა მისთვის. პაპიროსი კიბის მოაჯირზე დაუსრესია, დაჭმუჭნული ნამწვავი გაზეთის ნაგლეჯში გაუხვევია და ჯიბეში ჩაუდია, მოაჯირზე დარჩენილი შავი ფერფლისთვის კი სული შეუბერავს და, გულაფრიალებული, მუხლებაკანკალებული, ჩაჰყოლია ექიმს საავადმყოფოს ბაღში. თითქოს ბაღში უფრო იოლად, უფრო ბუნებრივად შეიძლებოდა იმის თქმა, რის თქმასაც, ჯერჯერობით, ვერ უბედავდა ექიმი, ანუ, რის სათქმელადაც ექიმი ემზადებოდა და რის მოსასმენადაც იმას ამზადებდა. არადა, უკვე ყველაფერი ისედაც ნათელი იყო ორივესთვის, თავს

იტყუებდნენ უბრალოდ, ბავშვური გულუბრყვილობით უხუჭავდნენ თვალს უბედურებას, თითქოს თვალდახუჭულნი, თავადაც უჩინარნი იქნებოდნენ მტრისთვის. ექიმს გვერდით მოუსვამს ცისფრად შეღებილ მერხზე და ჯერ პაპიროსი შეუთავაზებია. თვითონაც ბევრს ეწეოდა და ბოლის ყოველ ჩასუნთქვაზე ხმამაღლა ასლოკინებდა თურმე. „მიყვარს, გულს რომ ხვდება ბოლიო“ — დამსვენებლის უდარდელი, მსუბუქი ხმით მოუყოლებია სლოკინისთვის, თითქოს სხვა არცარაფერი ჰქონია სათქმელი, თითქოს მართლა დასასვენებლად და თავის შესაქცევად ჩამოსულიყო ბაღში. იმასაც, ვანო მასწავლებელს, მაშინვე თამბაქოზე გაუბამს ლაპარაკი, იმის კვლევა დაუწყია, რომელი თამბაქო რომელს სჯობიაო, მაგრამ გულში, დამფრთხალი და ნირწამხდარი, გაწბილებული და გალახული ფიქრობდა თურმე: ნუთუ, ამდენჯერ იმიტომ გადავრჩი მხოლოდ, ესეც რომ განმეცადაო. ამდროს, მათი მერხის წინ ბავშვებს ჩაუვლიათ. თავიანთებურად მოჟღურტულობდნენ თურმე, მოლაპარაკობდნენ ბავშვურად აღელვებულნი, აღგზნებულნი, თავგამოდებულნი. თავიანთი თოჯინები ჰყოლიათ ბაღში გამოყვანილი სასეირნოდ — ვითომ დედიკოებს, ვითომ შვილიკოები. ექიმს კი ხელი გაუშვერია ჩავლილი ბავშვებისკენ და უთქვამს: ეგენი, სუყველანი, განწირულები არიან, ვერცერთი ვერ გავა აქედან ცოცხალიო. და თითქოს ამ სიტყვების უტყუარობის დასადასტურებლად, ზუსტად იმ სართულზე, სადაც ვანო მასწავლებლის გოგო წოლილა, სარკმლის მინა უცებ ჭახანით გამსკდარა და სარკმელში ლამის მთელი ტანით გადმოკიდებულ ექთანს განწირულის ხმით დაუყვირია: დაიჭირეთ, არ გაუშვათ, მკვდარი ბავშვი მოიტაცესო. ექთანის ხმა, ავად აელვებულ მინის ნამტვრევებთან ერთად, მომწყდარ ლოლუასავით ჩაზრიალებულა, ჩაფშხვნილა, ჩანთქმულა განწირული ბავშვებითა და სულელი, უდარდელი ჩიტებით ჩამყუდროებულ ბაღში. ჯერ თითქოს უარესად გაუმძაფრებია ათასნაირი საჭმლისა და წამლის სუნით გაბრუებული დუმილი, მაგრამ მეორე წუთას, მთელი ამხელა შენობა, თავის ბაღიანად, უცებ ამოძრავებულა, აჩოჩქოლებულა, ახმაურებულა, აღელვებულა, აფორიაქებულა — ცეცხლწაკიდებულ სკასავით. სადღაც ზედიზედ გაჯახუნებულა კარი, საიდანღაც ვიღაცეები გამოქცეულან, ფლოსტების ტყაპა-ტყუპით, სადღაც ვიღაცის ჯერ კიდევ ცოცხალ ბავშვს დაუწივლია, ცივად, გამყინავად, თითქოს თაგვი შეუგდეს საბნის ქვეშო. „დაიჭირეთ“, „არ გაუშვათ“, „მოიტაცაო“ — გაჰყვიროდნენ კედლები, დერეფნები, კიბეები, პალატები, ბაღის ბილიკები და ხეივნები, მაგრამ მაინც არავინ არ იცოდა წესიერად, ვინ უნდა დაეჭირათ, ვის ვინ მოეტაცა. ამ მოულოდნელი ალიაქოთით შეშინებული ბავშვები (თავადაც განწირულნი) და არანაკლებ შეშინებული მათი მშობლები, ნათესავები თუ მომვლელები — ქანდაკებებივით გაშეშებულნი მდგარან ბაღის სხვადასხვა კუთხეში, სადაც ელდას მოესწრო იმათთვის. ვანო მასწავლებელი ამბობს, მაშინვე მიგრძნო გულმა, ჩემს თავს რომ იყო რაღაც ამბავიო. ძლივს აუღწევია პალატამდე, კიბეები დაფეთებული, დაბნეული ხალხით ყოფილა გაჭედილი, ერთმანეთში არეულა ექიმი და ავადმყოფი, მომვლელი და მნახველი. იმას კი აღარც მომაკვდავი შვილი დახვედრია პალატაში, აღარც ცოლი. თეთრი, წინწკლებიანი თავსაფარი უპოვნია მხოლოდ, იატაკზე ეგდო თურმე, საწოლის ფეხთან. ეტყობა, მის ცოლს დავიწყებოდა სიჩქარეში, როცა მკვდარ ბავშვს აცმევდა და მთელი გულისყური, ალბათ, კარისკენ ჰქონდა, ვინმემ არ შემომისწროსო. ვინმემ კი არა, იმან, ჩემმა ქმარმა და ამის მამამო. ექთანს რომ დაუნახავს, უარესად აკივლებულა: ეს რა მიყავით, რატომ დამღუპეთ, მკვდარი ბავშვი როგორ მომტაცეთო.

არ იყო ჩემი ბავშვი მკვდარიო — უუ-ვირია ვანო მასწავლებელს ექთანისთვის, მაგრამ ის თავისას გაიძახოდა თურმე: დავილუპე, მომხსნიან, მკვდარი ბავშვი მომტაცესო. არ ყოფილა მკვდარიო — ახლაც იძახის ვანო მასწავლებელი, მაგრამ მიწამ უყოთ პირი თუ ცამ, იმათ კვალს ველარსად მიაკვლია. ვინც მაჩუქა, იმანვე წამართვაო — იტყვის ხოლმე რალაცნაირად, არამიწიერად სახეგაბრწყინებული. ძალიან მადლობელია ცოლისა, დარწმუნებულია, მისი გულისთვის რომ მოიქცა ასე. ბედისაგან აბუჩად აგდებული, იმან დაზოგა მხოლოდ, როგორც შეეძლო, ისე დაზოგა, თავისგან აკმარა გადატანილი ტანჯვა-წვალება და არ ანახა შვილის სიკვდილი. შვილის მაგივრად კი ფუყე იმედი მიაჩეჩა ხელში. „როგორც ჰირვეულ ბავშვს — საჩხრიალოთ" — ამბობს თვითონვე.

ახლა კი, ვითომც არაფერიო, ერთი ჩაახველა და გაზეთს იქიდან უთხრა ნიკოს: აბა, მოყევი, რა შეგემთხვა ნასაყდრალთანო.

გაზეთიდან თავიც არ აულია, თითქოს მხოლოდ გაზეთის წასაკითხად იყო მოსული და საამისოდ სხვაგან ვერსად ნახავდა უკეთეს ადგილს. ფეხი ფეხზე გადაედო და ფეხსაცმლის წვერზე ცეცხლის გამონაშუქი ულიცლიცებდა, თითქოს დიდი, ყვითელი პეპელა დაჰფრენიაო.

— მე ხომ მომკლეს, პატივცემულო მასწავლებელო... არ იცოდით? — შეუბრუნა კითხვა ნიკომ და საბნის ქვეშ ისე გაიწვართა, ფეხები აუძაგძაგდა.

— „მე ხომ მომკლეს" — გამოაჯავრა ვანო მასწავლებელმა. — დიდი ამბავი! აი, მეც დამხვრიტეს, მაგრამ მაინც ცოცხალი ვარ. ვარ თუ არა ცოცხალი? როგორ გგონია? — გამოხედა ერთი წამით გაზეთს ზემოდან. ნიკომ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და, რატომღაც, თვალები დახუჭა, მამასავით. იმავე წამს, თვალდახუჭული მამის ოფლით დაცვარული სახეც დაინახა და ერთბაშად დამშვიდდა, სამშვიდობოს გასული კაცივით. მოსწონდა, თვითონაც მამამისივით რომ [illegible] კი, ცნობისმოყვარეობისგან — [illegible] მისდიოდა, აინტერესებდა, მიაქცევდა თუ არა ყურადღებას ვანო მასწავლებელი, შეეკითხებოდა თუ არა თავს, რატომ წევს ეს ბიჭი ასე თვალდახუჭულიო. — დამმარხეს და მაინც მიწაზე დავდივარ — გააგრძელა იმან, ისევ გაზეთში თავჩარგულმა. თითქოს კი არ ესაუბრებოდა, გაზეთს უკითხავდა ნიკოს, სხვათა ამბებს აცნობდა გაზეთიდან. — იცი რატომ? — აღელდა უცებ. ხელები მუხლებზე დაუშვა. გაზეთი შრიალით მოიჭმუჭნა. — იმიტომ რომ, ვერ დამაჯერეს. ჩემი მოკვლის უფლება რომ ჰქონდათ. მთავარი კი ესაა. ტყვია კი არ კლავს, არამედ უფლება. ამიტომაც ცდილობს ყოველთვის მტერი შენი მოკვლის უფლების მოპოვებას, ამიტომ დაგცინის, გთათხავს, გჭორავს, გაკნინებს სხვათა თვალშიც, ათას სისაძაგლეს გაბრალებს, ვიდრე თოფს მოგიშვერდეს, რადგან ჯერ შენ უნდა დაგარწმუნოს, არაფრად რომ აღარ ვარგიხარ, მადლიც რომ იქნება შენი სიკვდილი. აი, როგორც ბიჭებმა იცით ჩხუბამდე, წადი, შე დედალო, ქვეშაფსიაო, ქალაბიჭაო. ცოტა მშიშარა თუ ხარ, შეიძლება, მართლა დაიჯერო, ქვეშ ვიფსამო, ქალაბიჭა ვარ, ლეოსავითო. ხოდა, ამის დაჯერება და დალუპვა ერთია. აღარ დააყოვნებს ის საბედისწერო წამიც, როცა თვითონვე გაამართლებ საკუთარ სიკვდილს. მერე კი აღარაფერი უნდა შენს ამოძირკვას — ერთს მოგქაჩავენ და დამპალი კბილივით ამოვარდები ბუდიდან. ოღონდ, ეს სხვანაირი სიკვდილია, ჩვეულებრივი, ყველასათვის სავალდებულო სიკვდილი იმასთან სახსენებელიც არ არის. კი არ მოკვდები, გაქრები, უკვალოდ, უნაშთოდ, და არა მარტო შენ, შენიანებიც, მთელი შენი მოდგმა, ცოცხლებიან-მკვდრებიანად. ამიტომ, არასოდეს არ უნდა წამოეგო მტრის გადმოგდებულ ანკესს. სხვათაშორის, მირიად ანკესში შეიძლება იმის გამო-

ცნობა, იმდენად ძველია, იმოდენა ჟანგი ადევს. ჯერ კიდევ პომპეუსი თევზაობდა იმ ანკესით მტკვარზე, თავისავე აშენებული ხიდიდან. მაგრამ შენ მაინც არ უნდა დაიჯერო ღირსი რომ ხარ სიკვდილისა, ვიდრე შენიანი არ გეტყვის, ნამდვილად შენი გულშემატკივარი (ნიკომ ისევ დაინახა თვალდახუჭული, ოფლით სახედაცვარული მამა და, მისდა გასაოცრად, ცივი, თეთრად დათრთვილული კატლეტის მძაფრი სუნიც იგრძნო უცებ). არც დაიჯერებ, თუკი გწამს და მტკიცეცა ხარ, დავუშვათ, როგორც... რა შეიძლება იყოს სიმტკიცის, შეურყევლობის სიმბოლო? ცვილის გრდემლი, მუყაოს ფარი, პანტის ზარბაზანი... ნუ გეღიმება, რწმენა სწორედ ეს არის — ცვილის გრდემლზე, გამოგაჭედინებს მახვილს, მუყაოს ფარით დაგიცავს მტრის მახვილისგან, უკანასკნელ წამს პანტის ზარბაზანს მოგაშველებს და მტერს თუ ვერ მოგასპობინებს სამუდამოდ, შენ მაინც გაგამხნევებს ცოტახნით. ასე რომ, თუ რწმენა და სიმტკიცე გაქვს, პომპეუსი კი ვერ მოგსპობს, კიდევ უფრო გაგაძლიერებს, გაგრწთვნის, გამოგაწრთობს. თვალის დახუჭვა კი დანაშაულია...

— თუკი მეშინია?! — გააწყვეტინა უცებ ნიკომ, მისთვისაც მოულოდნელად, და საკუთარი საქციელით შეწუხებულმა, კიდევ უფრო მაგრად დახუჭა თვალები.

— მით უფრო, — მაშინვე უპასუხა ვანო მასწავლებელმა, თითქოს ელოდებოდა ასეთ შეკითხვასო. — მით უფრო, რადგან შიში სწორედ გაურკვევლობის მამა. თვალდახუჭული, გაურკვეველს ვერ გაარკვევ. თვალი უნდა გაახილო, ბოლომდე, მთლიანად. თვალები იმიტომა გაქვს, რომ გაახილო! — რატომღაც გაცხარდა ვანო მასწავლებელი, როგორც სკოლაში იცოდა, ახალი გაკვეთილის ახსნის დროს. — როცა ხედავ, ქვეყანა უფრო ლამაზია და ნაკლებად საშიში. — მოამთავრა გაგულისებულმა და ხელები, გაზეთიანად, ისევ მუხლებზე დაუშვა, წასასვლელად მოემზადა თითქოს.

— მე ხომ მართლა მოვკვდი, ბატონო მასწავლებელო, — უარესად შეწუხდა ნიკო, შეეშინდა, მართლა არ წავიდეს ვანო მასწავლებელიო. თუმცა, მაინც არ გაუხელია თვალი. — დეიდაჩემმა წამალი გადამასხა შემთხვევით და იმან გამომაბრუნა, თორემ...
— გააგრძელა ძველებურად, მოგონილი უდარდელობით.

— კი ბატონო, ეგეც ვიცით, — არ დაამთავრებინა ვანო მასწავლებელმა. — გვიამბო დეიდათქვენმა. თითქოს ჩემი გოგოც გინახავს... რას იზამ! იმედი კი მომისპე, მაგრამ მაინც ასე სჯობს. ადამიანმა ყოველთვის უნდა იცოდეს სიმართლე. თუ სიმართლე არ იცი, არც ადამიანი ხარ, როგორც მოცურავე ვერ იქნები, თუკი ცურვა არ გეცოდინება. კარგი, ჩემო ბატონო, ახლა კი ცოტა გონებაც წავავარჯიშოთ, არ დაგვიობდეს ლოგინში. აბა, გვიპასუხეთ, ვინ იყვნენ მსოფლიოში ყველაზე სახელოვანი მონა ქალები?!

— დეზდე და ლიზა. — სხარტად უპასუხა ნიკომ და გაეღიმა.

— ხა, ხა, ხა, ხა. — გულიანად გაიცინა ვანო მასწავლებელმაც. — ესეიგი, საშიში არაფერია, — გააგრძელა სიცილით. — ტვინი ნორმალურად მუშაობს, ზუსტად რეაგირებს ყველაფერზე. როცა იცი, რომ პომპეუსი პომპეუსია, ნაკლები უბედურებაა, ვიდრე, როცა ვერ გაგირჩევია პომპეუსი პაპისაგან. ისე, კაცმა რომ თქვას, ორივე პ-ზე იწყება. პ-ომპეუსი. პ-აპა. აბა, ახლა გამოჩენილი ადამიანები ჩამომითვალე პ-ზე.

— პომპეუსი. — თქვა ნიკომ.

— ეგ ხომ ვთქვით, — მოიღუშა ვანო მასწავლებელი. — თუმცა, არც ესაა შენი ბრალი, — გააგრძელა მოღუშულმა. — რაც არ უნდა იყოს, ერთერთი პირველთაგანია, პირველი კი, ყველაფერი ტკბილად ამახსოვრდება კაცსაც და ხალხსაც, ჭირი იქნება თუ ლხინი.

— პეტრე პირველი. — თქვა ნიკომ.

თან ეცინებოდა და საბანს იფარებდა პირზე.

— სწორე ხარ. კიდევ? — დაინტერესდა ვანო მასწავლებელი, თითქოს ამასაც არ ელოდებოდა ნიკოსგან.

— პიპინ მოკლე. — არ დააყოვნა ნიკომაც.

— მართალია. აბა, კიდევ თუ გაიხსენებ ვინმეს?! შუბლი გაეხსნა ვანო მასწავლებელს.

— პეჩორინი.

— აჰ! ეგ ლიტერატურული გმირია. ისტორიაში არავითარ როლს არ თამაშობს. — ისევ მოიღუშა ვანო მასწავლებელი.

— მაშინ, პაგანინი. — თქვა ნიკომ საბნის ქვეშ, შეკავებული სიცილისგან დაბოხებული ხმით.

— დიახაც! — გაუხარდა ვანო მასწავლებელს. — და პაგანინი ატირდება სკრიპკის პროფილით... ასე არ არის? საყვარელ დაისს დამიფარავს მისი ყბაყურა... რაც კარგია კარგია. ამბობენ, პოეტებს შავი ძვალი აქვთო. ალბათ იმიტომაც შეჭამენ ხოლმე ცოცხლად, ვერ ითმენენ, აინტერესებთ, მალე უნდათ გაიგონ, მართალია თუ არა. ხოდა, თუკი ასეა, ახლა რომელიმე მწერალიც დამისახელე პ-ზე.

— პ-ზე?!

— დიიიიახ, პ-ზე.

— მწერალი. — ჩაფიქრდა ნიკო. — ქართველი თუ საერთოდ? — იკითხა მართლა დაინტერესებულმა.

— საერთოდ, — ჩაიბურდღუნა გაზეთს დაჩერებულმა ვანო მასწავლებელმა.

— პ-პ-პ-პ-პ... პანაიტ ისტარტი! — გაუხარდა ნიკოს.

— სხვა? სხვა არავინ გახსენდება? — გაზეთს ჰკითხა ვანო მასწავლებელმა, უგულოდ, უინტერესოდ.

— პანაიტ ისტრატი. — გაიმეორა ნიკომ, მოულოდნელად აღელვებულმა, ალბათ უფრო იმიტომ, მისი საყვარელი წიგნი რომ გაახსენდა უცებ, ლამის თავიდან ბოლომდე. გაახსენდა, როგორ მიცურავენ სამნი მდინარეზე. გოგოს ტრუსიკში ღორის ბუშტი უდევს, თუკი მის რომელიმე სატრფოს გაუჭირდება, მიეშველება, იმიტომ რომ, ორივე ერთნაირად უყვარს. ვერაფრით აურჩევია. იმიტომაც ჩაიჩეხა ბოლოს თხრილში. არც აქეთ, არც იქით. შუაში. ბნელ თხრილში. ისინი კი ფორთოხალს დაატარებენ ქუჩა-ქუჩა, პატარა ურიკით, და, თავიანთი ჭკუით, ბავშვობას დაეძებენ. სულელები. რასაც შენი ნებით დათმობ, ვეღარასოდეს დაიბრუნებ.

— ეგეთი მწერალი არც გამიგია. — მშვიდად თქვა ვანო მასწავლებელმა. — თანაც, პანაიტი ალბათ სახელია და არა გვარი. მაშინ, პარმენ ლორიამ რა დააშავა, ანდა პანტელეიმონ ჩხიკვაძემ? მაგრამ, გავანებოთ ამას თავი. პრუსტზე რას იტყვი? პრუსტი, პასკალი, პო, პლატონი, პეტრარკა... პუშკინი, ბოლოს და ბოლოს. — თან გაზეთს კეცავდა ნელა, აუჩქარებლად.

— რაც არ ვიცი, არ ვიცი. — აღიარა ნიკომ და, უკვე დამცხრალი, ისევ ძველებურად გაირინდა, საბნის ქვეშ გულხელდაკრეფილი.

— ეგ არ არის დანაშაული, — თქვა ვანო მასწავლებელმა და რამდენჯერმე გაკეცილი გაზეთი პიჯაკის ჯიბეში ძლივს ჩაიჩარა. — დანაშაულია, როცა არ იცი და არც გაღელვებს შენი უვიცობა. კიდევ უფრო მძიმე დანაშაულია, როცა არ იცი და ჯიუტად გაიძახი, ვიციო. ეს კი ჩემგან გქონდეს სახსოვრად, ოღონდ, უფრო მონდომებისთვის, ვიდრე ცოდნისთვის. — მოაყოლა უცებ და მარჯვენა ხელის ცერა თითი უკან გაიშვირა მხარს ზემოდან.

ნიკომ თვალი გააყოლა იმის თითს და, ღმერთო დიდებულო, ლიმონის ხე დაინახა — ხის ყუთში ჩარგული, თეთრად გადაპენტილი, ყვითლად დახუნძლული, მწვანედ გადახასხასებული. დამალული ბავშვივით, გატრუნული, სუნთქვაშეკრული და გაფაციცებული იდგა კუთხეში, თითქოს ელოდებოდა, რას იტყოდა, როგორ მოიქცეოდა ნი-

კო მის დანახვაზე. ნიკო ჯერ გაოცდა, მერე დაიბნა, მერე აღფრთოვანდა და, კი არ წამოჯდა ლოგინში, რასაც, წუთის წინ, ფიქრშიაც არ დაუშვებდა, გიჟივით წამოვარდა ლოგინიდან. ფეხშიშველი იდგა გათოშილ იატაკზე და ძირსმოთრეულ საბანს, უნებურად, ოფლიან მკერდზე იფარებდა. „დაწექი, დაწექი, თორემ, მომკლავენ თქვენებიო" — იცინოდა არანაკლებ აღელვებული ვანო მასწავლებელი. მღელვარებისგან, ბეჭედი წაეძრო თითიდან, მაგრამ რაკი ამჯერად გახურებულ ღუმელთან იჯდა და არა მასწავლებლის მაგიდასთან, აღარ იცოდა, რა ექნა ბეჭდისთვის, როგორ მოქცეულიყო, ღუმელზე გაეგორებინა, როგორც მაგიდაზე დააგორებდა ხოლმე სკოლაში, თუ ისევ თითზე წამოეცვა.

ლიმონი იოსებას დროგით მოიტანა ალბათ. იოსება შემოატანინებდა აქაც. ვინ იცის, როგორ გაუწყალა გული ბებიას — პატარძალი მოგიყვანე, მალარიჩი შენზეაო — მაგრამ ნიკოს არაფერი გაუგია, ღრმად ეძინა, ღრმად იყო ჩაფლული თავის სიზმრებსა და ჩვენებებში; ახლა კი, მართლაც რომ პირდაღებული შესცქეროდა ყველაზე საოცარ სიზმარსა და ჩვენებას, ყველაზე სასურველ სტუმარს, სიზმრიდან და ჩვენებებიდან კი არა, სიცხადიდან მოვლენილს.

— თქვენ? თქვენ? თქვენ? — გაიძახოდა უაზროდ, ხის სიმშვენიერით მონუსხული და ადამიანური გულუხვობით შეძრული.

მაგრამ ვანო მასწავლებელი მაინც ხვდებოდა, რისი თქმა უნდოდა იმას და მოგონილი არხეინობით პასუხობდა: რას იზამ, ეს ყოფილა ქალის მამის ბედიო; აქ არის ამის ადგილი და, იმედი მაქვს, შენ უკეთესად მოუვლიო. ლიმონის ხე კი ბუზუნებდა, კისკისებდა, ბრწყინავდა და ყვითელგულა ყვავილს აფრქვევდა, ასეთი კარგი მიღებით გახარებული.

ამ მოულოდნელმა და მართლაც რომ ღვთაებრივმა საჩუქარმა სულმთლად დაუკარგა ნიკოს მოსვენება. რაზე უნდა ეფიქრა, ხის იდუმალი გაფაჩუნება, ანდა, სუსტი, თითქოს ძალით შეკავებული სურნელი რომ არ ჩაწვდენოდა უცებ და მაშინვე ფეთიანივით გადმობრუნდებოდა ხოლმე ხისკენ, მართლა აქ არის, თუ ესეც მე წარმოვიდგინეო. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უცხო ადამიანი იყო სახლში, უცხო, მაგრამ სასურველი, მომხიბვლელი, რომელიც თავისი უჩვეულო გარეგნობითა და უცნაური ჩვევებით, არა მარტო ყურადღებას იპყრობდა, დაძაბული მოკრძალებისა და მოწიწების გრძნობასაც უჩენდა ყველას. ბებიამ ხომ აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ მოევლო და მიეხედა იმისთვის. ნიკო აღარც ახსოვდა. არა მარტო აეღელვებინა ამ მართლაც უჩვეულო საჩუქარს, ცოტა დაეფრთხო კიდეც, ვაი თუ, ისე ვერ მოვუაროთ, როგორ მოვლასაც პატრონთან იყო მიჩვეულიო. თითქოს ხე კი არ ეჩუქებინა იმათთვის ვანო მასწავლებელს, ცოცხალი ბავშვი მიებარებინა. სტუმარი, რა თქმა უნდა, მადლობებით გაისტუმრა ალბათ, მაგრამ შემობრუნდა თუ არა ოთახში, გულშეღონებული დაეშვა სკამზე — რა წყალში ჩავვარდე, რა მეშველება, როგორ უნდა გავწვდე ამხელა ხესო. ხე კი, ზრდილი, წესიერი ბავშვივით, უხმოდ იცდიდა, რა გადაწყვეტილებას მიიღებდნენ ახალი პატრონები, მოიწონებდნენ და შეიფარებდნენ, თუ დაიწუნებდნენ და უკანვე გააბრუნებდნენ ამ სიცივეში. ბებია წუხდა, შფოთავდა და ასე, წუხილითა და შფოთვით ცდილობდა „საერთო ენის" გამონახვას მის ჭერქვეშ თავშეფარებულ ხესთან. ხან ეფერებოდა, ელოლიავებოდა, ვითომ მართლა მობარებული ბავშვი იყო იგი, ხან კი, გულდათუთქული, შესტიროდა — ეცოდებოდა, ასეთი ლამაზი რომ იყო, ასეთი გამორჩეული. მაგრამ როგორც არ უნდა დალაპარაკებოდა ხეს, მაინც, აუცილებლად, იოსებას ლანძღვით უნდა დაემთავრებინა იმასთან ლაპარაკი, რა-

დგან იოსებას აბრალებდა ყველაფერს — ისა მყავს მოსაკლავი, იმან მომირახრახა დროგით ამოდენა ცოდვაო. დეიდამ კი, ხის დანახვაზე, კარგა ხნით დაკარგა ლაპარაკის უნარი. სამსახურიდან მობრუნებული, შინაურებთან საკინკლაოდ განწყობილი, კარშივე გაშეშდა და, ენაჩაყლაპული, შესცქეროდა, თითქოს თავშეკავებულად, მორცხვად, მაგრამ მაინც ამაფორიაქებლად მობუბუნე საოცრებას. ბებიას ერთ ხელში ცოცხი ეჭირა, მეორეში აქანდაზი და, ვინ იცის, მერამდენედ გვიდა იატაკს მობუბუნე ხის გარშემო. „ერთი კაცი ამას ჭირდებაო“ — შესჩივლა ქალიშვილს. „აბა, რას ამბობო“ — გაუწყრა ქალიშვილი. ხე კი, მოქმედი ვულკანივით, თავისი მობუბუნე წიაღიდან განუწყვეტლივ აფრქვევდა ყვითელგულა, სიფრიფანა, გამჭვირვალე ყვავილს და გეგონებოდათ, რაც ქვეყანაზე პეპელაა, ყველას აქ, ნიკოანთას მოუყრია თავიო.

— ცოდვაში არ ჩავცვივდეთ მეთქი. — მაინც ცდილობდა ქალიშვილის გადაბირებას ბებია.

—რას ამბობ, დედი, რას ამბობ, აბა, რას ამბობ. — უაზროდ იმეორებდა მისი ქალიშვილი, ჯერ ისევ გაოგნებული, ჯერ ისევ ხეს მიშტერებული.

— მოვიდეს მამაშენი და იმან გადაწყვიტოს. — ვერ მშვიდდებოდა ბებია, თითქოს უკვე საკუთარი შვილივით არ უყვარდა ის ხე და თითქოს ვინმეს დაანებებდა ცოცხალი თავი.

— რა ლამაზია, ღმერთო ჩემო, რა საცოდავი. — იძახდა დეიდა.

ნიკო კი ლოგინიდან უთვალთვალებდა ბებიისა და დეიდის ვნებათა ღელვას და სიამაყისგან ისე ებერებოდა გული, თითქოს მისი დამსახურება იყო, საერთოდ რომ არსებობდა ბუნებაში ამგვარი საოცრება.

12

მაგრამ, იმავე დროს, მასწავლებლის საჩუქარმა დიდ საგონებელშიც ჩააგდო ნიკო, თავსატეხ გამოცანად ექცა და, რაც არ უნდა ეწვალა, მაინც ვერ გაერკვია, აცდუნებდნენ თუ აბრიყვებდნენ, ამხნევებდნენ, ახალისებდნენ თუ კიდევ უარესად თრგუნავდნენ. და მართლაც, რატომ უნდა ეჩუქებინა ვანო მასწავლებელს, მაინცდამაინც, ლიმონის ხე, მისი „გოგოს მაგიერი“, თავს რომ ერჩია და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა, მაინცდამაინც, ნიკოსთვის, რომელიც უკეთეს შემთხვევაში, ერთი რიგითი მოწაფე იყო და მეტი არაფერი. მართალია, ისტორია უყვარდა, ვალო ბადალაშვილთან შედარებით, იცოდა კიდეც, მაგრამ ამისთვის რატომ უნდა დაესაჩუქრებინათ და, თანაც, ასე უცნაურად, სწორედაც რომ უცნაურად, რადგან ვეღარც ფიქრისთვის გაერთვა თავი, ვეღარც სიზმრისთვის — სიცხიანი ბოდვა და აბდაუბდა მოგონილი იყო იმის ამყამინდელ გაწამაწიასთან. ოღონდ, ცხადში იყო თუ სიზმრად, ძალიან უნდოდა, ღირსი ყოფილიყო საჩუქრისა. რაღა თქმა უნდა, თავისი ნებისმიერი ნაკლის გამართლება (როგორც ადრე იქცეოდა ხოლმე), ახლაც შეეძლო, მაგრამ გამართლებული, გინდაც ნებადართული ნაკლით (ასე კი ახლა ფიქრობდა პირველად), შეიძლებოდა, სიბრალული და მოწყალება გამოეძალა სხვებისთვის — ზიზღთან და დაცინვასთან ერთად — საჩუქარი კი არავითარ შემთხვევაში. მაგრამ იმას საჩუქარი უნდოდა სწორედ, თანაც დამსახურებული, და ასე მწვავედ ალბათ იმიტომაც განიცდიდა ამ ამბავს, თავის სიცოცხლეში პირველად რომ ღირსებოდა საერთოდ საჩუქარს. აქამდე არავის არ ეცალა მისთვის და არც არავის მოსვლია აზრად, რაიმე ეჩუქებინა. საჩუქარი იმ წუთას გამომჟღავნებული ყურადღება კი არ არის მხოლოდ, ანუ, იმის გაცემა, რაც იმ წუთას შენ გაქვს, მაგრამ სხვას უფრო ჭირდება, არამედ, უპირველეს ყოვლისა. საკუთარი მრწამსის, გრძნობის, შეიძლება, სულაც რაიმე განზრახვით განმტკიცები-

სა და შორეულ მომავალში გადატანის სურვილია, რასაც უბრალოდ, არც შეიძლება, ნდობა და რწმენა არ ედოს საფუძვლად. ამიტომაც სკდებოდა გული, ამიტომაც იჭყლიტდა ტვინს, ამიტომაც დაეძებდა გამალებული გზებს, სასწრაფოდ რომ მოეშორებინა ყველა ნაკლი, განწმენდილიყო ყველა უნებლიე თუ უმეცრული ცოდვისგან და ერთნაირად კარგი ყოფილიყო ყველასათვის. ეს სურვილიც ახალი იყო მისთვის, პირველად გაჩენოდა, ყოველ შემთხვევაში, აქამდე არასოდეს უფიქრია მსგავსი რამ, აქამდე არასოდეს არ სდომებია ასე მტკივნეულად, ასე მტანჯველად, ასე უსაშველოდ, ყველასთვის ერთნაირად, მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც, კარგი ყოფილიყო — დედიკოს შვილიკო კი არა, კარგი შვილი, კარგი შვილიშვილი, კარგი დისშვილი, კარგი მეგობარი, კარგი ამხანაგი, კარგი მოწაფე და, რაც მთავარია, კარგი ბიჭი, მხოლოდ და მხოლოდ, ბიჭი და არა ისიც და ისიც, ვიღაცეების მსგავსად. მაგრამ ასე რომ ფიქრობდა, ყველაზე ძალიან იმის ეშინოდა (თუმცა, თვითონაც ვერ იტყოდა, რატომ), გოგიას ამხანაგად არ გამოეყვანა ვინმეს, არ ეთქვა, რითი ჯობია გოგიასო, თუ გოგიას ჯილდო არ ეკუთვნის, ამას რატომ ეკუთვნის საჩუქარიო, იმან თუ კაცი მოკლა, ეგეც ხომ იქ იყო, რატომ არ შეუშალა ხელიო. მოწმე რომ ხარ, რაღაცნაირად მონაწილეცა ხარ ყველა საქმისა, მკვლელობა იქნება თუ ქორწილი. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, როგორც ვანო მასწავლებელი ამბობს, ვინც დანაშაულს უყურებს, თვითონაც სჩადის დანაშაულს, ქურდობის მოწმე თვითონაც ცოტათი ქურდია, გარყვნილების მოწმე თვითონვე ცოტათი გარყვნილია და, აქედან გამომდინარე, მკვლელობის მოწმეც თვითონაც ცოტათი მკვლელია, რადგან როცა იცი, რა როგორ კეთდება, გინდაც არ გააკეთო, მაინც, გინდაც გაგეკეთებინოს. შეიძლება, მართლა ასეა, მაგრამ გოგიასთან იმის გათანაბრება, სხვა რომ არაფერი ვ უქვათ, დიდი უსამართლობა იქნებოდა და უმალ ფილტვების ანთებას შეიბრუნებდა და იმას მოეკვლევინებოდა, ვიდრე დაუშვებდა, მსგავსი აზრი მართლა გასჩენოდა ვინმეს. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, გოგია თვითონ თხოულობდა ჯილდოს, თანაც კაცის კვლაში, იმას და დედამის, ვინ იცის, ატალახებული ჰქონდათ მილიციისა და აღმასკომის კარი, ნიკოს კი ოცნებაშიც არ დასცდენია, ნეტავი, მე მაჩუქოს ვანო მასწავლებელმა თავისი ლიმონიო, თუმცა, იმავე ვანო მასწავლებელს (რასაკვირველია, გარდა უანგარო, ურყევი მეგობრობისა), მამაშვილური გრძნობაც ჰქონდა თითქოს მის მიმართ. ამიტომ, პირველ რიგში, სწორედ იმისთვის უნდა დაემტკიცებინა თავისი სიკარგე, ანუ, არაფერი რომ ჰქონდა საერთო გოგიასთან და ღირსი რომ იყო საჩუქრისა, არა მარტო მონდომებისთვის, არამედ ცოდნისთვისაც. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ავად იყო, ჯერ კიდევ არ გამონელებოდა სიცხე და, ჯერჯერობით, ისევ შფოთიან ძილ-ღვიძილში, ისევ სიზმრებსა თუ ჩვენებებში ანხორციელებდა თავის მტკიცე გადაწყვეტილებას. დიახაც, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ესწავლა, გაეგო, ამოეხსნა, მიმხვდარიყო, რისი სწავლა, გაგება, ამოხსნა და მიხვედრა, უბრალოდ, ევალებოდა კიდეც, როგორც, თუნდაც, მამამისის შვილს, პაპამისის შვილიშვილს, ვანო მასწავლებლის მოწაფესა და მეგობარს. წიგნს აღარ აგდებდა, ვითომ, ხელიდან. მშიერის მოუთმენლობით ნთქავდა, ვითომ, გაცდენილ, გამოტოვებულ მასალას. იმის გარკვევას კი არ ცდილობდა, ძველებურად, სხვებს გაესწროთ იმისთვის თუ ის ჩამორჩენოდა სხვებს, არამედ, წიგნში მიძვრებოდა თავით, როგორც თხუნელა სოროში, წიგნს ჩაჰკირკიტებდა, სულ, „ქოჩორა თურინჯს" კი არა, სახელმძღვანელოს, რადგან ჯერ ის უნდა გაერკვია, ვინ იყო, რისი ღირსი

იყო და მერე განეცადა სხვათა განსაცდელი, მერე ეტირა სხვათა ცრემლით. მარტო იჯდა, ვითომ, ცარიელი მერხების ზღვაში, მარტოდ-მარტო სახელმძღვანელოებს შორის და ის თუ ვერ შეჭამდა იმათ, ისინი შეჭამდნენ ცოცხლად, თავფეხიანად. გადაფურცვლაც უძნელდებოდა გამოტოვებული მასალისა, არათუ წაკითხვა, მით უფრო კი — სწავლა, ათვისება, შესისხლხორცება, მაგრამ მაინც უნდა ესწავლა, შეეთვისებინა, შეესისხლხორცებინა, თუნდაც იმიტომ, პომპეუსი პაპაში რომ არ არეოდა. მართალია, ყველას ჩამორჩა (დავუშვათ, ავადმყოფობის გამო), მაგრამ ყველამ გაასწრო კიდეც. და აი, მარტო იჯდა ახლა ცარიელი მერხების ზღვაში, ნესტით გამომპალ კედლებში, ჩამორჩენილი მოწაფე, ყველასა და ყველაფერს ჩამორჩენილი, უმეცრების მავთულს გადამწყდარი სიზარმაცის ღამეში, გაურკვევლობის სველ ბალახებში ჩამოვარდნილი... თვითონაც დაიჭირა ერთხელ ბათუმის ბაღში ჩამოვარდნილი, ფრთამოტეხილი მწყერი და ძნელი სათქმელია, რომელს უფრო მძლავრად უცემდა გული, მწყერს — შიშისაგან, თუ იმას — სიხარულისგან. ახლა კი თვითონაა მწყერის დღეში, სხვების გასახარად, დუგლაძეების გასახარად, და ახიცაა, რადგან ყაჩაღად კი არ უნდა გავარდნილიყო, ანუ, კი არ უნდა გაქცეოდა უსამართლობას, კიდევ უფრო უკეთესად უნდა ესწავლა, ანუ, ნიშნი უნდა მიეგო უსამართლობისთვის. ყაჩაღად გავარდნა დუგლაძეების წისქვილზე ასხამს წყალს, უფლებას აძლევთ დუგლაძეებს, კიდევ უფრო ამაყად განაცხადონ: ჩვენ არ დავუშვებთ, მოწაფემ სკოლაში ლექსები წეროს და სიყვარულზე იფიქროს. ამიტომ, დუგლაძის ჯიბრით უნდა ისწავლოს თუნდაც, იცოდეს, გაერკვას, განათლდეს, ყველაფერზე საკუთარი აზრი ჰქონდეს და, რაც მთავარია, შეეძლოს საკუთარი აზრის გამოთქმა, ანსხვავებდეს ჯილდოსა და საჩუქარს, ყოველ შემთხვევაში, ჯილდოს გულისთვის არ მოკლას და საჩუქრის გულისთვის არ მოინანიოს. საგინებელი, მუქარის წერილი კი არ უნდა მისწეროს შეურაცხმყოფელს, როგორც უკვე მოიქცა ერთხელ, არამედ მშვიდად და ნათლად აუხსნას, განუმარტოს, დაარწმუნოს, რომ ნებისმიერი ლექსი, გინდაც ბავშვურად სუსტი და გულუბრყვილო, უპირველეს ყოვლისა ადამიანური სევდითა და სიხარულით აღძრული ფიქრის, განცდის, სურვილისა თუ მისწრაფების გამოხატულებაა და ჯერ დამწერის ადამიანობას ადასტურებს, მერე კი იმის ნიჭიერებასა თუ უნიჭობას. მაგრამ რაც არ უნდა უნიჭო იყოს ლექსი, მაინც ვერცერთი ცხოველი ვერ დაწერს იმას, გარდა ადამიანისა, როცა ლექსების რვეულის დახევა მარტო ადამიანს როდი შეუძლია. და აი, ზის ცარიელი მერხების ზღვაში, სახელმძღვანელოში ცხვირჩარგული. ცალხელა ჩონჩხი ცარიელი ღრმულებით მისჩერებია. ისიც თანაუგრძნობს თითქოს. კარადაზე შემოდგმულ გლობუსს კი, რატომღაც, დღეს მისი ქუდი ახურავს. „ისწავლე სწავლის მძებნელო. ისწავლე. ისწავლე. ისწავლე.“ — რამდენი ხანია ეძახის, აფრთხილებს მოტაცებული მოძღვარი ცხრამთის იქიდან, მაგრამ აქამდე ნიკოც სხვებივით უყრუებდა, ანდა, ერთ ყურში შეშვებულს მეორედან ისევ გარეთ უშვებდა. „თუ უვიცობა მაინცდამაინც არ გაწუხებს, თავს ძალას ნუ დაატანო“ — ეუბნება ვანო მასწავლებელი და თან მაგიდაზე დააგორებს თითიდან წაძრობილ ბეჭედს. ასე იცის ხოლმე: თან გაკვეთილს ხსნის, თან ბეჭედს დააგორებს მაგიდაზე, თითქოს ბეჭედი იგორებს, იგორებს და ერთხელაც იქნება, დაკარგულ ცოლშვილთან მიიყვანს. მაგრამ ბეჭედი წრიულად დაგორავს, გაუბედავად, კანკალით, ოდნავ გვერდზე გადახრილი, თითქოს პირველად მიგორავდეს თავის სიცოცხლეში; მერე ცოტა ხანს ადგილზე დაბზრიალდება, ერთს სუსტად გაიწკრიალებს და დაეცემა. საკლასო

ოთახში ისეთი მძაფრი სუნი დგას, პატრონი რომ გყავდეს, აირწინაღი უნდა გეკეთოს. მაგრამ მოწაფისთვის სხვა გზა არ არსებობს, მოწაფის გზა ტანჯვის გზაა. ამიტომ იტანჯება ნიკოც. იმის მაგივრად, რომ ლოგინში იწვეს — ხომ თქვა ექიმმა, ახლა უნდა გაფრთხილდებაო — საცვლების ამარა, საკლასო ოთახში ზის და ძაგძაგებს. ისე ცივა, ცალხელა ჩონჩხს ჩხრიალი გაუდის. ის კი ზედიზედ ნთქავს სახელმძღვანელოებს. გაძლა ცოდნით, აბოყინებს, მუშტს ირტყამს გულზე, მაგრამ არც სახელმძღვანელოები ილევა და არც იმას ემატება რამე. ყელში ამოუვიდა უკვე ერთი და იგივე „კერძები" — ეგვიპტეო, საბერძნეთიო, რომიო, შუასაუკუნეებიო... რა თქმა უნდა, ამის ცოდნაც თავისთავად კარგია, მაგრამ, ეტყობა, გადამწყვეტი არ არის პირადად იმის არსებობისთვის. იმიტომაც არ ემატება არაფერი და არც მოემატება, ვიდრე საკუთარი სულისა და საკუთარი ბედის, საკუთარი თავგადასავლის სათავეს არ მიაკვლევს. ჯერ ის უნდა იცოდეს, რასაც დანარჩენი მსოფლიოსთვის, შეიძლება, არავითარი ღირებულება არა აქვს, მისთვის კი ფასდაუდებელი განძია — რატომ არის პაპამისი, მაინცდამაინც, მისი პაპა, რატომ არის მამამისი, მაინცდამაინც მისი მამა და რატომ არის, თავად, მაინცდამაინც, ნიკო. შემთხვევითობაა ეს ყველაფერი თუ კანონზომიერება, ბედნიერებაა თუ უბედურება, ღირსებაა თუ სირცხვილი. განა საინტერესოზე მეტი არ არის, თუნდაც იმის გარკვევა, რატომ, მაინცდამაინც, შენა ხარ შენ და არა სხვა ვიღაცა?! თუმცა, ამის გარკვევა იმიტომაცაა აუცილებელი, მთელ შენს ოჯახს, მთელ შენს ჯილაგს, მთელ შენს მოდგმასა და მთელ შენს ხალხს, დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, კიდევ სხვა, საკუთარი, განსაკუთრებული ცოდვაც რომ ადევს — მამის მკვლელობა — და ამდენად, დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებით, ყველაფერი მეტი მოეთხოვება — მოთმენაც, ატანაც... ცოდნაც! შენ კი ჯერ არაფერი არ იცი, პუნიკური ომებისა, [illegible] თუ ჯვაროსანთა ლაშქრობების მეტი. ეს კი თითქმის არაფერია, უაღრესად კერძო, საკუთარ თავგადასავალთან შედარებით, რადგან მხოლოდ ის, კერძო და საკუთარი, ადასტურებს და ამართლებს კიდეც, მაინცდამაინც, შენს არსებობას და, ამდენად, უიმისოდ არც არაფერი გესაქმება დანარჩენ მსოფლიოსთან.

„ის მაინც თუ იცი, სილნალი რას ნიშნავსო" — ეკითხება უცებ ვანო მასწავლებელი. ნაომარი მაზარა მხრებზე მოუსხამს, ეტყობა იმასაც ცივა, და თან ბეჭედს დააგორებს მაგიდაზე. არათითზე მკვეთრად ეტყობა ნაბეჭდარი მკრთალი ზოლი.

— სილნალი?! — იმეორებს ნიკო. არასოდეს არ დაფიქრებულა ამაზე.

— დიიიახ, სილნალი, სილნალი. — რატომღაც, ბრაზდება ვანო მასწავლებელი. — მოდი და აჩუქე ახლა ამას რამე. — ეუბნება ადგილზე დაბზრიალებულ ბეჭედს. — სილნალი იმას ნიშნავს, რასაც შენ დაეძებ, რასაც ყველანი დავეძებთ, შენც, მეც, ყველანი... სილნალი თავშესაფარს ნიშნავს თურქულად. — ამბობს უკვე მშვიდად, ჩვეულებრივი ხმით.

არ ახსოვდა, თორემ, იმანაც იცოდა. სილნალი ყოველთვის თავშესაფარი იყო. მტერი რომ შემოესეოდათ, რაც გარშემო სოფლებია, სულ აქ შემოცვივდებოდნენ ხოლმე, დედა-წულიანად, საქონლიანად. ერთხელაც რომ შემოცვენილან გალავანში და კარი ჩაურაზავთ, ვიღაც მაღაროელ ქალს მერელა შემოურტყამს სახეში მუშტი, ჩვილი დამრჩა აკვანშიო. გამიშვით და გამიშვით, მეც იქ უნდა მოვკვდეო — აქეთიქით აწყდებოდა თურმე თავზარდაცემული, გულადუღებული. ვერაფრით რომ ვერ გაუჩერებიათ და გაშვება გადაუწყვეტიათ, სწორედ ამ დროს დაუძახიათ მეციხოვნეებს — აკვანი მოაქვთო. მართლაც, აცვენილან გალავან-

ზე და რას ხედავენ: ვიღაცა ლეკი თავის კოჭბროლა ცხენს მოათამაშებს შარაზე. უნაგირზე კი აკვანი შემოუდგამს. ერთი ხელი აკვნისთვის ჩაუვლია — მაგრად, საიმედოდ უჭირავს, მარტო საჩხრიალო ქანაობს გამალებული, აქეთ და იქით, აქეთ და იქით. — მეორე ხელით კი ცხენს უმოკლებს ალვირს, გაქაფულ ლაგამს ალეჭვინებს და ისიც, ცხენიც, ყელმოღერილი, სადღაც გვერდზე იყურება, თითქოს თვალს არიდებს სიღნაღს, რცხვენია გალავანზე გადმომდგარი ხალხისა. თან მოცეკვავს შარაგზის მტვერში. სამტროდ რომ არ მოდის, იმის მხედარს სახეზე აწერია. ცალ ლოყაზე, წარბის ბოლოდან ნიკაპის წვერამდე, ძველი ნახმლევი თუ ნახანჯლარი ჩასდევს, მაგრამ კი არ იბღვირება, იღიმება. ჩამოუშვით თოკი, წაიყვანეთ თქვენი ჩხავანა ბალღიო — ასძახის მეციხოვნეებს. მეციხოვნეები ჩქარ-ჩქარა, ფაცაფუცით ჩაუშვებენ თოკს. ლეკი თოკის ბოლოს აკვანზე გამობამს, რამდენჯერმე განასკვამს, მოქაჩავს კიდეც, შეამოწმებს, საიმედოა თუ არაო, და მერეღა გაუშვებს ხელს. აკვანი ნელა, ბზრიალ-ბზრიალით წავა მაღლა, დედისკენ. გალავანზე გადმომდგარმა ხალხმა აღარ იცის, როგორ მოიქცეს — ხან ლეკს ჩახედავენ, ხან ერთმანეთს შეაჩერდებიან სახეში. სჯერათ და არცა სჯერათ სასწაულისა. უნდათ და არც უნდათ, მტრის სიკეთის დანახვა. რატომ დაგვიბრუნე ბავშვიო — ჩასძახიან ლეკს. ლეკი იღიმება, მათრახის ბოლოთი იშორებს გალავნის ხორკლიან კედელს, ზედ რომ არ მიაგდოს მოუსვენარმა, დაუოკებელმა ცხენმა. ცოტანილა დარჩით და აფსუსია თქვენისთანა კარგი ხალხის გაწყვეტაო — ასძახის გაოცებულ, დაეჭვებულ, გაღიმებულ სახეებს.

„შენ იგონებ ყველაფერსო“ — აუჯანყდება ხოლმე ვალო ბადალაშვილი ნიკოს, თითქო რამე მნიშვნელობა ჰქონდეს, ვის მოგონილ ამბავს ისმენს. განა ყველა ამბავი ვიღაცის მოგონილი არ არის?! „გინდა დაიჯერე, გინდა არაო“ — მოკლედ მოუჭრის ხოლმე ნიკო, უარესად რომ გაუღიზიანოს ცნობისმოყვარეობა. სხედან [illegible]ზე, მხედართმთავრებივით ჩასცქერიან ველური ბროწეულების ლაშქარს, ადამის დროიდან რომ შემოწყობიან ციხეს, თვითონაც რომ აღარ ახსოვთ, როდის აქეთაა, რაც აქ დამკვიდრდნენ სამუდამოდ, რადგან აღარც ის ახსოვთ, საიდან მოვიდნენ და, ამიტომ, აღარც წასასვლელი აქვთ სადმე, თავზე საყრელადა აქვთ დრო, სწორედ იმისთვისა აქვთ დრო, აქ რომ წითელი ყალიონები აბოლონ და მშვიდად, აზიური მოთმინებით, აუღელვებლად დაელოდონ, როდის დაემხობა უკანასკნელი გოდოლიც. სხვათაშორის, სიღნაღის მოსახლეობა, როგორც სხვა ქალაქებსა და სოფლებში, კი არ მრავლდება, არამედ იცვლება, როგორც გარნიზონი ციხეში. ადათ-წესებიდან ესღა შემორჩა ციხისა — ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან, ენაცვლებიან ერთმანეთს — ვინც იომა, დაისვენოს, ვინც ისვენებდა, იომოს. ზედმეტი ხალხისთვის ადგილი არცა რჩება, იმიტომ რომ თავიდანვე არ დააცალეს წესიერად გაზრდა და დამკვიდრება, თავიდანვე ქვის გალავანით შემოუსაზღვრეს ადგილ-სამყოფელი, საარსებო, სულის მოსათქმელი სივრცე, რადგან გაჩენამდეც გადასარჩენად ჰქონდა საქმე სხვათა გადამრჩენელს; გაჩენისთანავე მიუვარდნენ მოსასპობად, დულაბიც არ შეშრობოდა წესიერად, უკვე დანგრევა რომ დაუპირეს, ემანდ, ნიკომ არ შეაფაროს მერე თავიო. ასე რომ, იმის კედლებში თავშეფარებული ხალხივით, თავადაც სულ ბეწვზე ეკიდა, სულ შიშით ათენალამებდა და, ლილიპუტისა არ იყოს, დარჩა ასე პატარა, ნაადრევად ზრდაშეწყვეტილი. მართლაც რომ ქვის ბუდეა, არც მეტი, არც ნაკლები, ოღონდ, სხვა ნებისმიერი ბუდისგან იმითაც განსხვავდება — და ესაა ალბათ მისი მთავარი გამოსარჩევი ნიშანი — აქ კი არ იჩეკება და გასაფრენად აქ კი არ ფრთიანდება ბარტყი, არამედ, სხვაგან

გამოჩეკილი, მაგრამ რატომღაც ვერ დაფრთიანებული, აქ აფარებს ბოლოს თავს.

— დიახ, თავშესაფარს ნიშნავს. ვიცოდი. — იმეორებს ნიკო.

— მე რა გითხარი, რა გითხარი დღეს! — უყვირის ვანო მასწავლებელი.

შეშინებული ბეჭედი უფრო ადრე ეცემა, ვიდრე ქანის დაკარგვის შემდეგ დაეცემოდა. გდია, თავს იმკვდარუნებს ლითონის წრე — მარადიულობის, უსასრულობის, ერთი და იგივეს სიმბოლო. ცხოვრების გზასავით, სადაც იწყება, იქვე მთავრდება. არც თავი აქვს, არც ბოლო. ოღონდ, გზისგან განსხვავებით, ის ადამიანის თითს შემოჭდობია, განუწყვეტლივ ახსენებს ადამიანს, გამოსავალი რომ არ არსებობს, მარადიულობის, უსასრულობის, ერთი და იგივეს ტყვეობაში რომ ამოხდება ბოლოს სული. მაგრამ ახლა მთავარი ისაა, რა უთხრა დღეს ვანო მასწავლებელმა ნიკოს. ღირსი თუ ხარ სიცოცხლისაო — აი, რა უთხრა. შეიძლება, ამ სიტყვებით არა, მაგრამ ასე გამოვიდა იმის ნალაპარაკევიდან. და ძალიანაც სწორე უთქვამს, ასე თუ უთქვამს. რა დროს ჯვაროსნების ლაშქრობებია, როცა ჯერ მთავარიც არ გაურკვევია თურმე. სასწრაფოდ უნდა გაარკვიოს, ღირსია თუ არა სიცოცხლისა. ამიტომ, სასწრაფოდ უნდა წარსდგეს მსაჯულების წინაშე, სულთქმის ციხეში, იქ ეტყვიან სიმართლეს, არავინ დაუწყებს ფერებას, წკაპ, და ძირში შეაჭრიან ცხვრის საკრეჭი მაკრატლით ენას, ანდა მკლავს. გააჩნია, როგორ შეხედავენ მის საქციელს მსაჯულები, უნებლიე დამსმენელად მიიჩნევენ თუ უნებლიე მკვლელად. მოკლედ, ნასყიდას ამხანაგად გამოიყვანენ თუ გოგიასი. „ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა ნუ ქნასო“ — აფორიაქებული იმეორებს გულში და გარბის, თავქუდმოგლეჯილი, თითქოს იცოდეს, საითაა სულეთი, სად დგას სულთქმის ციხე. უფრო სწორედ, თითქოს მართლა იდგეს სადმე სულთქმის ციხე, მისი სულისა და არსების გარეთ. — „სასწრაფოდ, სასწრაფოდ!“ — დაჰყვირის თავს ალგზნებული, გალიზიანებული ამ ორი შესაძლებელი, თუნდაც, მის მიერ დასაშვები ბრალდებით. იცის და არც იცის, სად გარბის; იცის და არც იცის, რატომ გარბის; უფრო გრძნობს, ვიდრე იცის, მაგრამ დარწმუნებულია, სწორედ იქცევა. ყოველ შემთხვევაში, იშვიათად თუ ჰქონია ასე ღრმად, ასე ბოლომდე გააზრებული თავისი საქციელი. მირბის, მირბის, მიისწრაფის, წინ ვიღაცეები ხვდებიან, ნაცნობებსაც გვანან, უცნობებსაც, მკვდრებსაც და ცოცხლებსაც. ნასაყდრალთან მო[illegible]ლული კაცივით, ყველას ერთნაირად, უთქმელი სევდა ჩაწოლია თვალებში, ყველას სიძველის ფერი გადაჰკრავს სახეზე, სხვა დროის, სხვა გარემოში ნაცხოვრები ხალხისა. შეშუპებული, ჩალურჯებული ხორცი გადასკდომიათ, მაგრამ იმავე დროს, ცოცხლებიც არიან, მოდიან, მოლაპარაკობენ. არა, კი არ მოდიან, ერთ ადგილას დადიან წრიულად, როგორც ვანო მასწავლებლის ბეჭედი დაგორავს მაგიდაზე. ვინ იცის, რამდენი ხნის გაუხდელი ტანსაცმელი ზედ შემოფლეთიათ. შმორისა და ობის სუნი ასდით. ვინა ხართ — ეკითხება გაკვირვებული, სირბილისგან გულამოვარდნილი ნიკო, შეუჩერებლად, და უცნაური, თავისი უტყუარობით შემაძრწუნებელი წინათგრძნობა ეუფლება უცებ: დარწმუნებულია, წნორელი სოსოც ურევია იმათში, დეიდამისის შეყვარებული, ერთდღიანი სიყვარულის რაინდი. შენ თვითონ ვინა ხარ, სად მირბიხარ, აღარ არის მაქეთ ქვეყანაო — ეძახიან ისინი, უკვე ჩავლილს. მაგრამ ნიკოს არ ცალია გასაჩერებლად, ჯერ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი აქვს გასარკვევი, ჯერ ის უნდა გაიგოს, აქვს თუ არა გამოსაჩენი პირი, არა მარტო ცოცხლებთან, არამედ მკვდრებთანაც. ასე რომ, ერთხელ კიდევ უნდა აპატიოს დეიდამ, ამჯერადაც ვერ გამოდგა, ვერ

მიეხმარა სიმართლის დადგენაში. მაგრამ იმიტომ კი არა, გულგრილი და უყურადღებო რომაა დეიდის უბედურების მიმართ, არამედ იმიტომ, ჯერ თავისი სიმართლეც რომ გასარკვევი აქვს, ჯერ საკუთარი უბედურების ასავალ-დასავალიც რომ ვერ გაუგია. მირბის, მირბის. მიისწრაფის, წინ კი არაფერია მართლაც, ბოლისფერ სიცარიელეში მიფრინავს თითქოს, შეიძლება, მიცურავს — ძნელი გასარკვევია ესეც. მიწას კი ნამდვილად ვეღარ გრძნობს ფეხქვეშ. უფერული, გამოცარიელებული სივრცე შემოსდგომია ირგვლივ. „იქით და იქით, კიდევ უარესი იქნება ალბათო“ — გაიფიქრა წირწამხდარმა და გამობრუნება დააპირა. მაგრამ, მეორე წამს, ხრეშმოყრილ ბილიკზე მიაბიჯებდა უკვე ვიღაც ჩია, მელოტ კაცთან ერთად. იცოდა და არც იცოდა ვინ იყო ის კაცი, მაგრამ, რაც კიდევ უფრო საკვირველია, სრულებითაც არ უკვირდა, საიდან, როგორ აღმოჩენილიყო იმ კაცის გვერდით. იქაურობა ბათუმის ბაღსაც გავდა და სიღნაღის პარკსაც. ასე რომ, მართლა არაფერი ჰქონდა თითქოს შესაშფოთებელი. მხოლოდ ის აწუხებდა, კაცზე მაღალი რომ იყო თავად (ასაკით ბევრად იმაზე უმცროსი) და, რაც შეეძლო, მხრებში იხრებოდა. კაცი კი ლაღად, თამამად მიბაკუნობდა თავის მწვანე სამფლობელოში და არც არაფერი აწუხებდა, არც არაფერი ეჩოთირებოდა, გარდა ზომაზე მეტად, ანდა ზომაზე ნაკლებად გაკრეჭილი ბუჩქისა, ბილიკებზე არათანაბრად მოყრილი ხრეშისა, უადგილო ადგილას ამოსული ბალახისა, კინწმოწყვეტილი, ღეროზე ჩამომჭკნარი ყვავილისა... არაფერი გამოეპარებოდა მის გამჭრიახ თვალს, თუმცა, მოტიტვლებული თავკისერი კუსავით დანაოჭებოდა უკვე. ხელები ზურგს უკან გადაეჯვარედინებინა და კაუჭივით მოკაკულ შუა თითზე ოქროს პაწაწკინტელა გასაღები ჩამოეცვა ოქროსივე რგოლით. პაწაწკინტელა გასაღები თავისთვის მიქანაობდა და, მზის სხივებში მოხვედრილი, ისე თვალისმომჭრელად გაბრწყინდებოდა ხოლმე, თითქოს მინიატურული ნაღმი ფეთქდებოდა უხმოდ.

ბილიკის გასწვრივ, ხავერდოვან ჩრდილებში, მწვანედ შეღებილი, გრძელი მერხები იდგა, მერხებზე კი ნიკოს კბილა, ნიკოსნაირი ბიჭები ისხდნენ, რაღაცნაირად მომჩვარულნი, მოშვებულნი, როგორც ჩვეულებრივი ავადმყოფები — რომელიმე ჩვეულებრივი საავადმყოფოს ჩვეულებრივ ბაღში. ისედაც ეცვათ — ავადმყოფებივით — ჩაფართხუნებული პიჟამოები და გრძელი, ქამრიანი ხალათები. შიშველი ფეხები კი ფლოსტებში წაეყოთ. „ესენი სახელოვანი ხალხის შვილები არიანო“ — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა თავ-კისერ დანაოჭებულმა კაცმა და ცხვირში გაიცინა, რატომღაც. ნიკოსაც მაშინვე გაუნათდა გონება, ერთბაშად გაერკვა ყველაფერში, რადგან, იმავე წამს, ვანო მასწავლებლის ნათქვამიც გახსენდა — ამქვეყნიურ სიამეთა მძებნელი, აუცილებლად, ქაჯის სამოთხეში ამოყოფს ბოლოს თავსო. ამ მოულოდნელი აღმოჩენით შეცბარმა და აღელვებულმა, უნებურად, ისევე მასპინძლისკენ გააპარა თვალი, უფრო სწორედ, არ ენდო საკუთარ თვალს, რადგან იქამდე სულ სხვანაირად ჰყავდა ქაჯი წარმოდგენილი და, ცოტა არ იყოს, რაღაცნაირად გაწბილებული დარჩა, არაფრით რომ არ გამოირჩეოდა ის ჩვეულებრივი ადამიანისგან.

სახელოვანი ხალხი შვილებს დღეში სამჯერ აჭმევდნენ — დილას, შუადღეს, საღამოს — ხოლო, ჭამიდან ჭამამდე, რაც მოეპრიანებოდათ, იმას აკეთებდნენ. არც შეშის დაპობას ავალდებულებდათ ვინმე, არც კარტოფილის გათლას. ყირაზე რომ დამდგარიყვნენ, არავინ დაუშლიდათ. არც დამძრახველი ყავდათ ვინმე, არც ჭკუის დამრიგებელი. ქაჯიც ამიტომ უყვარდათ ალბათ: რა უნდა მომხდარიყო, ან გაწყრომოდა ვინმეს, ან საყვედუ-

რი ეთქვა ვინმესთვის. სათქმელი თუ ჰქონდა რამე, ფირფიტაზე წერდა წინასწარ და ძირითადად გრამაფონს ალაპარაკებდა, გრამაფონის მეშვეობით აწვდიდა სახელოვანი ხალხის შვილებს თავის აზრებსა და შეხედულებებს. ამიტომაც იყო ალბათ, სრული თანხმობა და სიმშვიდე რომ სუფევდა მის სამოთხეში. ყველას ყველაფერი თავზესაყრელად ჰქონდა, ყველას ყველაფერი მოწონდა, არც მშობლის დარდი აწუხებდა, არც უპატრონო მკვდრისა და, რაც მთავარია, ვერაფერს დააყვედრიდა, ანდა, ვერაფერს დაუწუნებდა მეორეს, რადგან ყველანი ერთნაირები იყვნენ, არც სიბრიყვით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, არც სიჭკვიანით. ერთნაირები იყვნენ და ცხოვრობდნენ ასე ერთნაირად, ანუ, არხეინად, უზრუნველად, უფიქრელად. ერთნაირად გადაწვებოდნენ მერხებზე, ერთნაირად გადააგდებდნენ უკან თავებს და იქამდე უთვალთვალებდნენ ღრუბლებს, ვიდრე თვალი დაელლებოდათ, ანდა, ვიდრე ჩიტი ჩაასკინტლავდათ თვალში. ლამაზად გაკრეჭილ ბუჩქებში ჩიტები ჟივჟივებდნენ, ათასნაირ ყვავილს ფუტკარი დაბზუოდა, პეპელა დაფარფატებდა, ხმელი ფოთლებითა და წყალმცენარეთა დაქლაკნილი, უსიცოცხლო ღეროებით მოფენილი წყალი, დატყვევებული ჯადოსნური ფრინველივით დგაფუნობდა აუზში, მწვანე ფრთებსა სცემდა აუზის კიდეებს, რის გამოც, აუზის გარშემო მიწა ყოველთვის ატალახებული იყო. მაგრამ ქაჯის სამოთხის მთავარი ღირსშესანიშნაობა, რასაკვირველია, დიდყურა გრამაფონი გახლდათ, რომელიც, ყველა სიკეთესთან ერთად, თავისთავად იქოქებოდა (ნიკოს პატეფონი ჰქონდა ბათუმში და მკლავი მოწყდებოდა ხოლმე იმისი ქოქვით. მამა საავადმყოფოში იწვა, დედა მამას ედგა თავზე, ის კი, პატეფონს აღრიალებდა). ოღონდ, ქაჯის გრამაფონი, კი არ მღეროდა, მხოლოდ და მხოლოდ, ლაპარაკობდა, უფრო სწორედ, დროგამოშვებით აცნობდა „სამოთხის“ ბინადრებს აქაურობის ბატონ-პატრონების აზრებსა და შეხედულებებს. ჭერ-დამტვერილი, მზის სიმხურვალით დაბრეცილი ფირფიტა ახრიალდებოდა ხოლმე და მალე, ახრჩოლებული ნეშოს კვამლივით, მთელ „სამოთხეს“ მოეფინებოდა ქაჯის შემპარავი, დაშაქრული, ღიმილნარევი ხმა. ქაჯი არაფერს ამბობდა ჭკვიანურს, საერთოდ არაფერს ამბობდა — ესეც ერთგვარი გართობა იყო მხოლოდ — მაგრამ ყველანი ისეთი ყურადღებით უსმენდნენ, თითქოს ქვეყანა დაიქცეოდა, ერთი სიტყვაც რომ გამორჩენოდათ. არადა, ლამის ერთმანეთთან დაუკავშირებლად ისროდა სიტყვებს, იმას ამბობდა, რაც იმ წუთას მოადგებოდა ენაზე და იმდენად დიდი უაზრობა, აბდაუბდა, აბრაკადაბრა გამოსდიოდა, ნებისმიერ აზრს ამოიკითხავდა შიგ მოწადინებული მსმენელი. მაგრამ თუ ვინმეს ეცინებოდა, ისევ ქაჯს ეცინებოდა საკუთარ ნაბოდვარზე, თანაც ორივე ქაჯს ერთდროულად, მოლაპარაკესაც და მსმენელსაც, ფირფიტაზეც და მიწაზეც. ერთი ფირფიტაზე რომ გაიცინებდა, მეორე, გაკრეჭილ ბუჩქს ამოფარებული, ღიმილით გადააქნევდა ხოლმე თავს. სხვათაშორის, ნიკომაც ბევრი იწვალა, ვიდრე გემოს გაუგებდა ქაჯურ ლაპარაკს — ხმა ესმოდა, ცალკეულ სიტყვებსაც არჩევდა, აზრი კი ვერ გამოჰქონდა, ვერავითარი — მაგრამ როცა მიხვდა, ესეც ჩვეულებრივი თავშესაქცევი თამაში რომ იყო, ძალიან მოეწონა და სიამოვნებითაც უსმენდა ყოველთვის. „ხიხი-ხი და ხა-ხა-ხაო — იცინოდა ქაჯი ფირფიტაზეც და სამოთხის ხრეშმოყრილ ბილიკზეც — აბადელია, აბადელია, კაცის ჩიჩია გემრიელია, სხვა რა გითხრათ, ჩემო კარგებო, თუ ბავშვის ტაკუნების გამოხოცვა არ შეგიძლიათ, ნურც გააჩენთ. არ ჯობია, არ გაჩნდეს, ვიდრე საკუთარ განავალში ჩაიხრჩოს?! ხა-ხა-ხა და ხი-ხი-ხი“. და ასე გადიოდა დრო. უფრო სწორედ, არ გადიოდა. არაფერი იცვლებოდა ქაჯის სამოთხე-

ში, აუზი ძველებურად დგაფუნობდა, ფირფიტა ძველებურად ტრიალებდა და ქაჯის პაწაწკინტელა გასაღებიც ძველებურად უხმაუროდ „ფეთქდებოდა“ სამოთხის ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში. ხოლო, ნიკო დანარჩენებს დამსგავსებოდა და სიყვარულში გადაზრდილი შიშით შესციცინებდა თვალებში ქაჯს, ვერც ქვეყნიერებაზე მომხდარ ცვლილებებს ამჩნევდა, ვერც დროჟამის დინებას. ყველა სურვილი უმალვე უსრულდებოდა, თანაც, იქამდე, ვიდრე გარკვეულ სურვილად ჩამოუყალიბდებოდა და საბოლოო სახეს მიიღებდა. ასე რომ, თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, რა არ უნდოდა, უნდოდა თუ არა, საერთოდ, რამე. ყველაფერი ხელის გაუნძრევლად მოსდიოდა და ისიც ბედნიერი იყო, იშნოვებდა მშობლის ნებაყოფლობითი სიბრმავით დამსახურებულ ბედნიერებას და ტკბებოდა, ნეტარებდა, ვიდრე მშობლები არ დაესიზმრებოდა ისევ.

მამა სიზმარშიც თვალდახუჭული იწვა ვითომ. დედა კი თავთით ეჯდა, თეთრხალათმოხურული. უცებ ნიკოს გამოხედა მხარს ზემოდან, დაწყლულებულ ტუჩებზე თითი მიიდო და უთხრა: აი, რა მიყო მამაშენის ჯაჭვის ლოკვამ, შენ კი უკანასკნელი კატლეტიც შეუჭამე ავადმყოფსო. ამ უცნაური, მაგრამ მაინც ცხოვრებისეული ჩვენებით გაოგნებულ ნიკოს ისიც არ გაუგია, თუ როგორ მოიტოვა უკან ქაჯის სამოთხე. ხოლო, გონს რომ მოეგო ცოტათი, წიწამურის ჭალაში იყო უკვე და ბუჩქებში ჩამალული, კურდღელივით გულაბაგუნებული შესცქეროდა ილიას მკვლელებს.

ისინი ოთხნი იყვნენ: გოგიას ბიძა, ქალაქელი, ცალთვალა და წვეროსანი. ოთხივენი თოფებით იყვნენ შეიარაღებულნი. ქალაქელს, თოფის გარდა, „სმიტისა და ვესსონის“ დიდი რევოლვერიც ეკიდა ქამარზე. „გამაგებინეთ მაინც, რატომ ვკლავთ იმ პატიოსან ადამიანსო“ — თქვა წვეროსანმა. „პატიოსანსო?!“ — წამოიწია ქალაქელმა. „ხო, კარგით, ისე ვთქვი, ნუ იცით ხოლმე სიტყვის გამოკიდება“ — დაფრთხა წვეროსანი. ბალახის ხმელი ღერები ჰქონდა წვერში ჩარჩენილი. გოგიას ბიძა და ცალთვალა ჩუმად ისხდნენ, გაშტერებულები, ჩაფიქრებულები. თოფები ჩაეხუტებინათ და ელოდებოდნენ. მესამე დღეა, აქ არიან, ტყეში. ძილი იმათ არ იციან და დასვენება. წესიერად ისიც კი ვერ დაადგინეს, როდის უნდა გამობრუნებულიყო ილია თბილისიდან. ხოდა, გვერდები აღარა აქვთ მიწაზე გდებით. ყველა სიკეთესთან ერთად, გველის მარწყვმა კუჭი აუშალა გოგიას ბიძას და მოულოდნელად წამოვარდება ხოლმე, დაფეთებული. ქამარს ბოლომდე არ იკრავს, შარვლის ჩახდა რომ არ დაუგვიანდეს და თავი არ მოეჭრას ამხანაგებში. „მამაშვილობას, ცოტა შორს წადიო“ — დაადევნებს ხოლმე ქალაქელი სიცილით. „მაგას შიშის ფაღარათი სჭირსო“ — იცინის ცალთვალაც. ნიკო შფოთავს, წუხს, გულს ასკდება — იცის, რაც უნდა მოხდეს, მაგრამ გინდაც არ ეშინოდეს, გინდაც ოთხივეს შემჭმელი იყოს, მაინც ვერაფერს გააწყობს, იმ უბრალო მიზეზის გამო, მის გაჩენამდე რომ მოხდა, რაც ახლა ხდება და რაც რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდება მის თვალწინ. „რატომ შფოთავ, რა გაწუხებს, გენაცვალოს ბებიაო“ — ჩაესმის ხანდახან ბებიის ჩურჩული, საიდანღაც, ძალიან შორიდან, ძალიან გაუცხოვებული, და თავადაც უკვირს, რა აშფოთებს, რა აწუხებს — რაც ახლა მის თვალწინ ხდება, ანუ, რაც ჯერ კიდევ მის გაჩენამდე მოხდა, კიდევ მრავალჯერ მოხდება ალბათ, რადგან რაც ხდება, ერთხელ კი არ ხდება, არამედ, სამარადისოდ. და აი, ჩახუთულ, ჩახურებულ ჰაერში მოახლოებული ეტლის ზანზალაკები გაიწკრიალებენ უცებ და, აჩოჩქოლებულ მკვლელებთან ერთად, ისიც დაძაბული მიაჩერდება გზას.

გზაზე ილიას ეტლი მოდის, მოისწრაფის აღსასრულისკენ. კოფოზე ორ-

ნი სხედან: მეეტლე თედო და მსახური იაკობი. თედოს მღელვარებისგან, მოლოდინისგან გული უფრიალებს, იცის, პირობის თანახმად, სადღაც აქ, წუთიწუთზე უნდა გამოცვივდნენ ბუჩქებიდან მისი ამხანაგები. ცოტა უკვირს კიდეც, აქამდე რომ არ გამოუცვივდნენ. საცაა გასცდებიან წიწამურს. „გადაიფიქრეს თუ რა ოხრობააო" — ფიქრობს აგანგაშებული. — „ა-ჩუ, თქვე სამგლეებოო" — დაჰყვირის ცხენებს. ცხენებს მუცლები უბუყბუყებთ, მცხეთაში დალიეს წყალი, დამძიმდნენ, მაგრამ მაინც თავგამოდებულნი ეწევიან ეტლს. ხელნა ჭრაჭუნობს, იაკობი კი, პირიქით, დამშვიდებულია, ცოტათი მოეშვა გულზე. შინ არიან თითქმის, აქ ალბათ ველარავინ გაუბედავთ თავდასხმას. ყაზახების საგუშაგოც აქვეა, ორნაბიჯზე. თოფი მუხლებზე უდევს და, დამშვიდებული, გუნებაგამოკეთებული, თითებს ათამაშებს თოფის გრილ ლულაზე. ვერაფრით ვერ წარმოიდგენს, ორი წუთის მერე, პირქვე რომ ეგდება მკვდარი. ეტლში ილია მისვენებულა, მეუღლეს გვერდით. სერთუკის გულის ჯიბეში იმასაც უდევს რევოლვერი. არეულია ქვეყანა. თუმცა, ვერცკი წარმოუდგენია, როგორ უნდა ესროლოს ადამიანს, გინდაც, საკუთარ მკვლელს. უბრალოდ, სიამოვნებს იმისი უხეში, დაძაბული სიმძიმის შეგრძნება და თავი მოსწონს შინაურებთან — კარგი რევოლვერია, მაუზერისა. ცხენებს გაოფლილი მკერდები უბზინავთ მზეზე. სადღაც გვრიტი კუთავს. ჭრიჭინები ჭრიჭინებენ. აქა-იქ ყვითლად ანათებს იელის ბუჩქი. ეტლის ორივე მხარეს თბილი ჰაერი ბუბუნებს. „ჩვენ ახლა დაგვხოცავენ, — მშვიდად ფიქრობს ილიას მეუღლე. დილიდან აწუხებს ავი წინათგრძნობა, მაგრამ ვერავინ დაარწმუნა მაინც, ვერავის გადასდო თავისი შიში და მღელვარება და თავად დამშვიდდა ბოლოს, თითქოს შეეჩვია კიდეც მოსალოდნელ განსაცდელს და ახლა, ვიდრე მოსახდენი მოხდებოდეს, უბრალოდ, თავს უყრის მთელი დღის ნაფიქრალს. — ასეა ალბათ საჭირო, [illegible] ხანმოკლე შეყოვნება [illegible] — მთავარია, არ შემეშინდეს. ასე ჰირდება ალბათ ჩვენს ქვეყანას. დავლპით, დავობდით მონობაში... ხალხს შავი თეთრისგან ველარ გაურჩევია, მტერი მოყვრისგან... თუ რამე არ მოხდა, მართლა დავილუპებით, გათავდება ყველაფერი. — ფიქრობს მშვიდად, დინჯად, აუღელვებლად, როგორც ილიას მეუღლეს ეკადრება. — ჩვენ თუ მართლა რამეს წარმოვადგენთ ჩვენი ხალხისთვის, იქნება, კიდევ შესძრას იმის დადამბლავებული გული ჩვენმა სიკვდილმა, დღისით, მზისით, შარაგზაზე... მტერი, რა თქმა უნდა, ასე არ ფიქრობს, მაგრამ ასეც შეიძლება მოხდეს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველაფრისთვის — და ცოტა ხნის შემდეგ, ოდნავ შემცბარი, გულაჩუყყებული — იხარე ორსავე სოფელსა შინა. დიდი მადლობელი ვარ შენი, მეუღლეობისთვის, მეგობრობისთვის, და... მშვიდობით, მშვიდობით... ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება" — ფაცაფუცით, მაგრამ მაინც იმედიანად ამთავრებს ფიქრს ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა. თან ამაყად წელგამართული ზის საქართველოს მამის გვერდით, თავშიშველი (შლიაპა ქარმა მოსტაცა, როგორცკი გამოვიდნენ თბილისიდან), გულსავსე სიკეთით, სათნოებით, სასოებით და მადლიერი ბედისა, ცხოვრებისა, ყველასი, ღმერთისაც და კაცისაც, ყველაფრისთვის — თუნდაც, ასე, დღისით, მზისით, შარაგზაზე სიკვდილისა საამაყო, სათაყვანო მეუღლის გვერდით.

სწორედ ამ დროს, ბუჩქებიდან მკვლელები გამოცვივდებიან და ეტლს გადაუდგებიან წინ. მეეტლე თედო, დაბნეულობისგან, მათრახს გადაუჭერს ცხენებს. „რასა შვრები, ძაღლის შვილოო" — დაუყვირებს წვეროსანი და ალვირზე ჩამოეკიდება ცხენს. მსახური იაკობი ალალბედზე, დაუმიზნებლად გაისვრის თოფს, კოფოდან გადმოხტება

და ბუჩქებისკენ გაიქცევა, მაგრამ ბუჩქებამდე არ მისული, ერთს წაიფორხილებს და პირქვე წაემხობა მიწაზე. „დამჭრა, მაგ შობელძაღლმაო“ — კბილებს ღრჭიალებს წვეროსანი და მიწაზე დაგორავს, ორივე ხელით საკუთარ ფეხს ჩაფრენილი. გოგიას ბიძა ეტლთან მიირბენს და სავარძლიდან სანახევროდ წამომდგარ ილიას მკერდში დაახლის ტყვიას. „უგნურებოო“ — კი არ ყვირის, ჩურჩულებს ილიას მეუღლე, შეძრწუნებული, გაოცებული. მაინც შეძრწუნებული და მაინც გაოცებული, თუმცა, სწორედ ამის მოლოდინი აწამებდა დილიდან. გოგიას ბიძა თოფის კონდახს ატაკებს სახეში და ოდნავ უკან დაიხევს მაშინვე, მოეცლება ილიას მკერდშეგლეჯილ სხეულს. სხეული მიწაზე ენარცხება, ყრუდ, მძიმედ, თითქოს საყდრის ლოდი ჩამოვარდაო. მაჯიდან წამძვრალი მანჟეტი მრუდე ბორბალივით მიგორავს გზაზე. „არ დამტოვოთ, ბიჭებო, მსუბუქად ვარ დაჭრილი, რბილში გამიარაო“ — ღრჭიალებს, წკავწკავებს, წკმუტუნებს წვეროსანი. ქალაქელს ილიას საკვორიაჟი უჭირავს ხელში. ილიაცა და მისი მეუღლეც შარაგზაზე ყრიან, ეტლის უკანა ბორბალთან. გოგიას ბიძა თავზე დასდგომიათ და თვალგაშტერებული დასცქერით. „შენ, ბიჭო, რა უსისხლო ვინმე ყოფილხარ“ — სიცილით ეუბნება ქალაქელი. გოგიას ბიძას ჰგონია, დასცინიან, მშიშრობას სწამებენ და ილიას ცოლს კიდევ რამდენჯერმე გამეტებით ჩაარტყამს სახეში თოფის კონდახს. „მომეცა, ბიო, საყურეები მოვხსნა ჯერა“. — ეუბნება ცალთვალა. ის კი ჩუმად დასცქერის დახოცილებს, ეშინია დალაპარაკებისა, იცის, ხმა უმტყუნებს და კიდევ უფრო შერცხვება, სულ მთლად მოეჭრება თავი. ეს სამი დღეა, ისედაც გააპამპულა ფადარათმა, მთელი ტყე ააყროლებინა, წინ და უკან დაარბენინებდა, ხელზე მოსამსახურე ბიჭივით. გაცოფებულია ფადარათზე და, თავისი ჭკუით, იმასაც უსწორდება, როცა საბრალო ქალს თოფის კონდახით უჩეჩქავს სახეს. ცალთვალას ფეხი შეუხვევია წვეროსანისთვის და ახლა ჯოხს უთლის ყავარჯნად. ანასხეპი ფოთოლი სისხლის გუბეში ცვივა. ნიკოც ისე შეუძრწუნებია სანახაობას, საფრიდან გამოსულა და გაოგნებული დაბორიალობს — ხან დახოცილებს გადააწყდება, ხან მკვლელებს ებლანდება ფეხებში. „ეს ვიღას დაჰკარგვიაო — იცინის ქალაქელი. — ვისი ხარ, ბიჭუნაო“ — ეკითხება ნიკოს ყალბად ხმადათაფლული. მაგრამ ნიკო პირდაღებული დაბორიალობს, როგორც უცხოელი ტურისტი დიდებული ტაძრის ნანგრევებში. საზარელი სანახაობაა, მაგრამ თავს ძალას ატანს, აიძულებს, რადგან აქედანვე, დაბადებამდე უნდა შეაჩვიოს სიმართლისთვის თვალის გასწორებას, ახლა თუ აარიდა თვალი, სამუდამოდ დაბრმავდება, ანუ, ერთხელ და სამუდამოდ მიეჩვევა სიმართლისთვის თვალის დახუჭვას. „აი, რა გვიყო მტერმა — ეუბნება ყალბად დასერიოზულებული ქალაქელი. — ხომ იცი, ვინც არის?! — ეკითხება ყალბი სიამაყით. — ხოდა, დაიმახსოვრე. უნდა დაიმახსოვროთ მომავლებმა თქვენი ძია ილია, პაპა ილია. არა, რათა, რამ გააპაპა, — თვითონვე ელიმება თავისავე ოხუნჯობაზე. — ის ყველა ჩვენგანის მამა იყო, დიდისაც და პატარისაც. — აგრძელებს ყალბი მღელვარებით. — აბა, თქვენ იცით, როგორ მოუვლით, როგორ არ მოშლით მამის საფლავსა და სახელს“ — ყალბი გულითადობით არიგებს ჭკუას ნიკოს და მიდის. ხელში ილიას საკვორიაჟი უჭირავს, თოფი მხარზე ჰკიდია, ყაჩაღურად, თავდაღმა, ლულით მიწისკენ. ცალთვალას კი სამი თოფი აუკიდია — თავისი, წვეროსანისა და იაკობის — თან ცალ ხელს წვეროსანს აშველებს. ფეხშეხვეული წვეროსანი უხეშად გასხეპილ ჯოხს ებჯინება და გაუბედავად, ნელა მისდევს ამხანაგის ხელს. უკვე წელამდე შესულან ბუჩქებში. ცოტაც და, სამუდამოდ ჩაინთქმებიან, ჩაიკარ-

გებიან უმეცრების, უვიცობის, თავსმოხვეული თუ ნებაყოფლობითი სიბრმავის უკუნეთში. „აბა, შენ იციო“ — ერთხელ კიდევ დაუძახებს ქალაქელი ნიკოს და დახოცილებთან ჩაჩოქილ გოგიას ბიძას თავში წამოჰკრავს ხელს: ადე, წავიდეთ, რამ გაგაშტერაო. უცებ ილიას გატეხილ სათვალეს დაინახავს, მაშინვე დაიხრება, მკვდარი მწერივით, ორი თითით აიღებს მიწიდან, აზიზად მიიტანს თვალთან და ნიკოსკენ შემობრუნებული, განგებ დაწვრილებული ხმით დაიწრიპინებს: წამოდექით, ბატონებო, სასამართლო მობრძანდებაო.

ნიკოს კი, სიბრაზისგან, უმწეობისგან, ლამის გული გაუსკდეს. დაბადებული მაინც იყოს, რამე რომ მოიმოქმედოს. თუ ვერ გაუსწორდება, შეაკვდება მაინც ამ უგულო, უსისხლო, სინდისგადარეცხილ ავაზაკებს. მაგრამ არ არის, არ არსებობს ჯერ და ისევ სხვათა წარსულში გარბის გამწარებული. უფრო სწორედ, გამწარებული გამორბის სხვათა წარსულიდან, თესლის ბნელსა და იდუმალ გზას მოჰყვება არარაობიდან სიცოცხლისკენ, რათა იშვას, დაიბადოს, აღმოცენდეს და თავიდან დაიწყოს ყველაფერი. „დიახ. თავიდან. ერთხელ კიდევ“ — ამბობს გუნებაში, მკაცრად, მტკიცედ, ჯიუტად. ჯარი კი ზლაზვნით, უხალისოდ ამოდის ძლივს ჩათბუნებული სანგრიდან, ბუზღუნით ეწყობა სანგრის გასწვრივ, გამოუძინარი, შეციებული, ამთქნარებს, ახველებს, იქექება... ზურგი მტრისთვის მიუშვერია. შავად პირდაღებულ სანგარში შრიალით ინთქმება ირიბი, სწრაფი თოვლი. მხრებზე მაზარამოგდებული, ხელჯოხიანი გენერალი ნელა მიდის ჯარის წინ, თითქმის ყოველ ნაბიჯზე ჩერდება, ათვალიერებს, სახეში აკვირდება ჯარისკაცებს, აბა, თუ ვიცნობ, რომელია პაპაჩემიო, მაგრამ როცა არ არის, როგორ იცნობს, და გაკვირვებული კითხულობს — კი მაგრამ, პაპაჩემი სად არის, ჩალხნოო? პაპათქვენი რახანია გაიქცა. ვინ იცის, ლოჰინს იქნება უკვე გამცდარიიო — ხრინწიანად იცინის ჯარი. თოვს. თოვს. თოვს. ირიბი, მშრალი თოვლი კისრისტეხით ინთქმება ცარიელ სანგარში, თითქოს იმისთვის დაეცალოს ჯარს. სანგრიდან კი ჯანღივით ამოდის ჯარის დანატოვარი სითბო და სუნი. „კარგი, გამოფხიზლდი, რა ძილქუში გეცაო“ — სადღაც, სხვა სამყაროში, დაიჩურჩულებს ხოლმე ბებია და მართლაც, ნიკოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, ბებიამდე რომ მიაღწიოს, ჯერ, საერთოდ, სხვა დროშია გადავარდნილი, პაპის მიერ ოდესღაც მიტოვებულ სანგარში გარბის ვითომ, სანგრის ფსკერზე ჩამდგარ წუმპეში მიტოპავს და ჯერ არაფერი გააჩნია საკუთარი, გარდა სიცოცხლისა.

ცოცხალი კი იყო, მაგრამ ჯერ გასარკვევი ჰქონდა, ნამდვილად რომ გადარჩენილიყო და ღირსიც რომ იყო სიცოცხლისა. ამიტომაც გარბოდა ასე თავქუდმოგლეჯილი, უმისამართოდ, ალალბედზე, გარკვევის, ამოცნობის, მიხვედრის ჟინსა და სურვილს აყოლილი. მინდობილიც. უცებ, ვიღაცამ ამოიგმინა, იქვე, ყურის ძირში, თითქოს იმასაც ნიკოს ბალიშზე ედო თავი და ახალმა ჩვენებამ მდორე მდინარესავით ჩაიარა ნიკოს თვალწინ. ტყლაშ. გაეტყლაშუნა ნიკოს მახსოვრობის კედელს. ტყლაშ. ტყლაშ. და მამამ თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, ქუთუთოები შეუთრთოლდა, მაგრამ მაინც არ გაახილა თვალი. არც ნიკოს შეუნელებია ფეხი. პირიქით, ახლა უფრო სწრაფად გარბოდა, უფრო თავქუდმოგლეჯილი, უფრო განრისხებული, უფრო მეტად ჩავარდნილი საგონებელში. მაგრამ არაფერი არ ჩანდა ირგვლივ, თვალის საწიერზე, მით უფრო კი — სულთქმის ციხე. „სად არის, სად არისო“ — ეკითხებოდა გამოცარიელებულ სივრცეს, უკვე გაღიზიანებული, მოთმინებადაკარგული. „სადაც შენა ხარო“ — პასუხობდა გამოცარიელებული სივრცე ვანო მასწავლებლის ხმით. „სად? სად? სად?“ — უარესად ღიზი-

ანდებოდა ნიკო. „კი მაგრამ, სად გგონია თავიო“ — არანაკლებ ლიზიანდებოდა უხილავი ხმა. მართლაც, სად ჰგონია ნიკოს თავი?! სულთქმის ციხეშია რახანია. უკეთესად რომ დაჰკვირვებოდა, თვითონაც მიხვდებოდა აქამდე. უდულაბოდ ამოყვანილ კედლებში ქარი თავისუფლად გადი-გამოდის. წივის. ზუზუნებს. მოულოდნელად ყვავი დაიჩხავლებს ხოლმე, ჭოტი შეჰკივლებს, ტურა გადაიხარხარებს. სხვამხრივ, სრული სიჩუმეა. აქ ღამეული ხმებიც სიჩუმედ ითვლება. რაც არა ჩანს, არც ხმაურობს. ქვის მაგიდასთან ქვის სავარძლები დგას, მსაჯულებისთვის. ქვის შანდლებში ძლივსღა ფეთქავენ ჩამწვარი სანთლები. კედელში დატანებულ ხვრელთან, რომელიც კარის მაგივრობასაც სწევს ალბათ, მახვილიანი ჩონჩხი დგას, უფრო რაღაცის მისანიშნებლად, ვიდრე ვინმეს შესაშინებლად — გათავდა, მოგეჭრა ყველა გზაო — ანდა — არაფრის დამალვა არ გაგივა, აქ ყველაფერი ისევე შიშვლდება, როგორც მე და ჩემი მახვილიო. თუმცა, თავისუფლად შეიძლება, სულ სხვა .რაღაცას ნიშნავდეს მახვილიანი ჩონჩხი. საშიში კი ნამდვილად არაფერია. ადამიანია საშიში და არა იმის ჩონჩხი. ერთი მკლავმოწყვეტილი ჩონჩხი ხომ ნიკოს სკოლაშიც დგას, ფეხმოუცვლელად, მაგრამ არავინ არ იცის, რა მიზნითა და დანიშნულებით. ეგაა რომ, ყველა ხელს ართმევს. ვანო მასწავლებელმა დაამკვიდრა ეს წესი. პირველად რომ შემოვიდა გაკვეთილზე, ჯერ იმას ჩამოართვა ხელი, ძველი ნაცნობივით, და მერეღა მიესალმა კლასს. იმის მერე ყველა ვალდებულად თვლის თავს, დღეში ორჯერ — მოსვლისას და წასვლისას — თვითონაც ჩამოართვას ხელი ჩონჩხს. ჩონჩხიც, ხელის ყოველ ჩამორთმევაზე, ერთიანად ჩხრიალებს და ისე აცანცარებს მობრეცილ თავს, გეგონებათ, სალამს სალმითვე პასუხობსო. არავინ იცის, ცალხელა ამოილეს საფლავიდან თუ მერე შეაწყვიტა ვიღაცამ მკლავი. ალბათ მერე შეაწყვეტინეს — ვინმეს შეშინება თუ გინდათ, უკეთეს ვერაფერს მოიფიქრებთ. ჩონჩხის მკლავი პალტოს სახელოში გექნებათ დამალული და, ვისი შეშინებაც გინდათ, იმას გაუწვდით, ხელის მაგივრად. გამარჯობათ. გამარჯობათ. რა მოგივიდა? რა ფერი გადევს? არ იცოდი, მკვდარი რომ ვარ? უყვართ მოწაფეებს ასეთი გართობა და არც არავიზე ნაკლები ბრიყვები არიან, ხოლო, თუკი მკვდარი ცოცხალზე მეტია, მაშინ აქაც, სულეთშიც, ბრიყვი ჭკვიანზე მეტი ყოფილა. მაგრამ ნიკოს ამის გასარკვევად არ სცალია ახლა, სამსჯავროს წინაშეა წარმსდგარი. გულაბაგუნებული, სუნთქვაშეკრული ელოდება განაჩენს. „რა ბრალი მიგიძღვის ოჯახისა და ქვეყნის წინაშეო“ — ეკითხება უხილავი ხმა. რა ბრალი მიგიძღვის ...რა ბრალი მიგიძღვის... რა ბრალი მიგიძღვისო... — იმეორებენ უდულაბო, ფარღალალა კედლები, ერთმანეთს გადასძახიან მეციხოვნეებივით. კი მაგრამ, რა ითვლება დანაშაულად?! რომელი ერთი ჩამოთვალოს ნიკომ?! „ჩემი ყველაზე დიდი დანაშაულია“, — იწყებს ხმაათრთოლებული, ნიკაპმობრეცილი, და ჩუმდება, რადგან მართლა არ იცის, რა თქვას, რა გაიხსენოს. არაფერი არ ჩაუდენია აქამდე თურმე — არაფერი! — და, ჯერჯერობით, ესაა ალბათ მისი ყველაზე დიდი დანაშაული, თუკი არაფრის ჩადენაც შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. „რა ითვლება დანაშაულადო?!“ — კითხულობს ამ უეცარი, მოულოდნელი აღმოჩენით აღელვებული, დაძაბული, დაინტერესებული. რა ითვლება... რა ითვლება... რა ითვლება... — იმეორებენ კედლები. ნიკო კი პასუხს ელოდება, გულგაჩერებული, ყურებაწივლებული. ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა, რას იმსახურებს, ლიმონის ხესა თუ ცხვრის საკრეჭ მაკრატელს. როცა იცი, ისიც დიდი შვებაა. „რამე თუ მიგითვისებია სხვისიო“ — ისმის ყველა მხრი-

დან ერთდროულად. „ამერიკული ქილეტიო“ — დაუფიქრებლად პასუხობს ნიკო, თითქოს შეკითხვაც წინასწარ იცოდა და პასუხიც წინასწარ ჰქონდა მომზადებული. „ქილეტი?!“ — უკვირს უჩინარ ხმას. თავისთვის კითხულობს, ხომ არ მომეყურაო, ეტყობა, არ ელოდებოდა ასეთ პასუხს. „ხო... დიახ. — უდასტურებს ნიკო. — შარშან მოიტანეს ამერიკული ტანსაცმელი, ომშიწასულთა ოჯახებისთვის. დეიდამ წამიყვანა, ჩვენც გვეკუთვნისო, თუმცა, დეიდა გაუთხოვარია. იმისი შეყვარებული დაიღუპა ფრონტზე“ — უხსნის, როგორც შეუძლია. ხა, ხა, ხა, ხა — იცინიან კედლები — ხა. ხა, ხა, ხა... ნიკო კი დაბნეული იღიმება, რა ვთქვი ასეთიო. თავაწეული იყურება აქეთიქით, მაგრამ ვერაფერს ხედავს, ერთმანეთზე უდუღაბოდ დაწყობილი ქვების მეტს. საკვამურებში ქარი სისინებს, მახვილიანი ჩონჩხი ხელდაკრულ დაირასავით შეიჩხრიალებს ხოლმე, უცებ ჰოტი შეჰყვირებს, ტურა კი გადაიხარხარებს, ანუ, სამარისებული სიჩუმეა ირგვლივ, სიკვდილისეული, სულეთისეული. ხმაც, ეტყობა, ისვენებს, სიცილის შემდეგ. გულიანად იცინოდა. ნიკოსაც გადასდო, ცოტაც და, ნიკოც ახარხარდებოდა, სულელივით, მარტოდ-მარტო, უდუღაბო კედლებს შორის მომწყვდეული. „ეგ არ არის დანაშაული“ — ამბობს ბოლოს ხმა. არ არის... არ არის... არ არის... დანაშაული... შაული... — გუგუნებენ კედლები. „სხვა? სხვა არაფერი გახსენდება?“ — ეკითხება ხმა და, იმავე წამს ქალალდის ხელსახოცში ცუდად გახვეული, ცივი, თეთრად დათრთვილული კატლეტი ახსენდება ნიკოს. უკვირს კიდეც, აქამდე როგორ არ გამახსენდაო, რადგან თვითონ ამას თვლის თავის ყველაზე დიდ ცოდვად — ავადმყოფის, გინდაც მამის კატლეტის მითვისებას, შიმშილობისა და უკიდურესი გაჭირვების ჟამს. „არც ეგ არ არის დანაშაულიო — ფიქრსაც არ აცლის ნიკოს უჩინარი ხმა — ეგ დანაშაული არ არის, არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში — იმეორებს აღელვებული, თითქოს ერთი წამით დაეჭვებული საკუთარ სიმართლეში. — ძველ საბერძნეთში, — აგრძელებს უკვე ჩვეულებრივად, მბრძანებლურ-დამყვავებლურად. — ძველ საბერძნეთში ყველაზე დიდ დანაშაულად მამის ქონების განიავება ითვლებოდა, მაგრამ მამის კატლეტი, დიახაც, უნდა შეჭამოს შვილმა. კარგად მოქცეულხართ ორივენი. — ამთავრებს ხმაში ღიმილგარეული. „აბა?! — უკვირს ნიკოს. — აბა, რა ითვლება თქვენთან დანაშაულად?! რა არ უნდა ჩამედინა?!“ „რა არ უნდა ჩაიდინო“ — უსწორებს ხმა. „რა არ უნდა ჩავიდინო?“ — იმეორებს ნიკო. „არასოდეს არ მიითვისო, რისი მითვისებაც არ შეიძლება— ამბობს ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ხმა. — სხვისი აკვანი, ანდა, სხვისი საფლავი; სხვისი წუხილი, ანდა, სხვისი სიხარული; სხვისი სალოცავი, ანდა, სხვისი საგოდებელი“. „არა. არასოდეს“ — ამბობს ნიკო, მტკიცედ, მღელვარედ, ყაზბეგის გმირივით, და უცებ, დამწვარი რეზინის სუნი სცემს ცხვირში — თურმე, სულთქმის ციხეში კი არა, ნასაყდრალში დგას, ვიღაცის დანატოვარ ცეცხლთან, და ნაპერწკლიანი ჯოხით ჩხრეკს ნაღვერდალს. სრულებითაც არ უკვირს, ან სულთქმის ციხე სად გაქრა, ან მე როგორ აღმოვჩნდი აქაო. თითქოს, ასედაც უნდა მომხდარიყო. თითქოს იქ იყო მისი ადგილი. მაშინვე იცნო იქაურობა, დაბეჯითებით შეეძლო ეთქვა, სწორედ იქ, იქიდან რომ დაიწყო ამ ერთი თვის წინ, მისი უსასრულო, არსაიდან არსაით მიმავალი გზა. ეს კი, თავისთავად, რაღაცას ნიშნავდა უკვე — წრე შეკრულიყო და ჩავლილ დროს, ამ ერთ თვეში განცდილ-გადატანილი, ძველი, გატეხილი ბორბალივით მიეყუდებინა ნიკოს სულის კედელთან. ვიღაცის დანთებული ცეცხლიც ჩანავლებულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ წითლად იჭყიტებოდა შავი

ნაცრის ბზარებში. ცეცხლის დანმთებს რეზინის ნაკუწები მოემარაგებინა „შეშად“, მაგრამ, ეტყობა, უფრო ადრე წასულიყო აქედან, ვიდრე აპირებდა, ვიდრე „შეშის“ მარაგი გამოელეოდა. მყრალი ბოლი გველივით მიიკლაკნებოდა ჩამოქცეული თალისკენ და ნათალარის დამახინჯებულ წრეში უჩინარდებოდა უკვალოდ, ქარის ხელში ჩავარდნილი. წინ კარის ჭრილი მოჩანდა. თვით კარი აღარ იყო, დროს შეეჭამა, ანდა, რეზინის ნაკუწებისა არ იყოს, ისიც შეშად ეხმარა ვიღაცეებს. სიზმრებიდან, ჩვენებებიდან, ზღაპრებიდან მომავალმა ნიკომ შიშითა და მღელვარებით გაჰყო თავი კარის ჭრილში და თვითონაც რომ არ ელოდა, ისე ესიამოვნა, უაღრესად ნაცნობი გარემო რომ გადაეშალა თვალწინ. გარეთ ქარი იყო მარტო — გამალებული გადარბოდა გაქუცულ, მეჩხერ, ბალახზე და ჯიუტად, ზმუილითა და ქშენით აწვებოდა ხორკლიან, ძვლადქცეულ მკერდზე ტიტველ ჯაგნარს, თითქოს გადარჩენას უპირებდა ძველი, ღმერთისაგან მიჩენილი ადგილიდან. შორს თეთრად ელავდნენ ნიაღვრებით ჩამორეცხილი, ჩამოღარული ფლატეები. ისეთივე ფერის გზა მაღლა-მაღლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიუყვებოდა ჯაგნარს. ხოლო, სულ ზევით, მთის კინკრიხოზე, ქვის ბუდესავით იდო პატარა, გალავნიანი ქალაქი, თავმორღვეული სამრეკლოთი. „სილნაღი თავშესაფარს ნიშნავსო“ — გაიფიქრა და უცებ შესცივდა, თბილი ლოგინიდან წამომდგარივით შეაძაგძაგა სიცივემ. ქარს ჯერ კიდევ შერჩენოდა ზამთრის სუსხი. მიწა ისე იყო გაყინული, გამკრივებული, ბარს არ მიიკარებდა. ვერც ვერავინ შეებრძოლებოდა ალბათ, გიჟკოლას მეტი. ნასაყდრალში შებრუნდა და ჩანავლებული ცეცხლი გაალვივა, გააჩაღა. რეზინის ნაკუწებიც ბლომად დააყარა ზემოდან. ბოლი უფრო გასქელდა, გამუქდა, გამწარდა, მაგრამ ცეცხლის სიმხურვალე მაინც ვერ იგრძნო ნიკომ. სხვანაირი, იმქვეყნიური სიცივით იყო თითქოს გამსჭვალული და, უბრალოდ, სიამოვნებდა ცეცხლთან დგომა. აყროლებულ ცეცხლთან იდგა და ხმელი ჯოხის წვერით ნაღვერდალს ჩხრეკდა. სწორედ ამ დროს, ნასაყდრალში თვითონვე შემოიხედა გარედან და მოულოდნელობისაგან შეკრთა, თითქოს არ ელოდა, ვინმე თუ დახვდებოდა ნასაყდრალში, თუმცა, თავიდან, ბოლი რომ შეამჩნია, მაშინვე ის იფიქრა, ვიღაცეებს ცეცხლი დაუნთიათ და ალბათ მეც გამათბობენ ცოტასო, მაგრამ ცეცხლთან უცხო(!) რომ დაინახა, მაინც შეცბა, შეყოვნდა კართან, თითქოს მოერიდა (ანდა, შეიძლება, შეეშინდა კიდეც) უცხოსი. შემოდიო — ხელი დაუქნია ცეცხლთან მდგარმა კართან შეყოვნებულს. ისიც შემოვიდა და სიცივისგან დაკრუნჩხული, გაშეშებული თითები პირდაპირ ცეცხლში შეჰყო. მაგრამ სითბო ვერც იმან იგრძნო, თითები კი მაშინვე გაემურა. ვინა ხარ, საით გაგიწევიაო — ყასიდად ჰკითხა ცეცხლის ჩხრეკით გართულმა ცეცხლში ხელებშეყოფილს. მართალი რომ ვთქვა, დედა მომიკვდება, ტყუილი რომ ვთქვა, მამაო — შესცინა ცეცხლთან ჩაკუნცხულმა, ცეცხლში ხელებშეყოფილმა, და კიდევ უფრო ღრმად შეჰყო ცეცხლში ხელები. ცეცხლს სრულებითაც არ ჰქონდა ძალა. არა თქვა ახლა, ამირანის შვილი ვარო — დამცინავად გადმოხედა ცეცხლთან მდგარმა თავისი ერთთვიანი სიკვდილის სიმაღლიდან, როგორც საგვარეულო კოშკიდან ფეოდალი გადმოხედავდა თავის ქვეშევრდომს, და ნაპერწკლიანი ჯოხი კი არ შეუჩიჩხინა, ატაკა ნაღვერდალს, როგორც სტიმული — სახედარს. ცეცხლმა ჩინჩხლები გაჰყარა, ნაცარი წამოიშალა. ცეცხლთან ჩაკუნცხულმა თავი გვერდზე გასწია, ჩინჩხლებსა და ნაცარს სახე გაარიდა და თქვა: ვითომ რითი არა ვარ ამირანის შვილიო. მაგრამ უცებ ბოლი გადასცდა და იძულებული შეიქნა, წამომდგარიყო. გამურული ხელები შარვალზე შეიხოცა

და ხველებ-ხველებით გააგრძელა: მამაჩემი ლოგინსაა მიჯაჭვული, დედა კი თავზე ადგას, ჯაჭვს ულოკავსო. მე თუ მკითხავთ, არაფერია მაგაში სატრაბახოო — თქვა ცეცხლისმჩხრეკელმა, მოულოდნელად გალიზიანებულმა, და ნაპერწკლებდასეული ჯოხი ახლა სივრცეს აძგერა, დაშნასავით. ჯოხს, ნაცართან ერთად, მკრთალი, პაწაწინა ნაპერწკლებიც სცვიოდა. ნაპერწკლები მიწამდე ჩასვლასაც ვერ ასწრებდნენ, ჰაერშივე ქრებოდნენ. ის კი ჯიუტად ჩხვლეტდა ჰაერს, როგორც მოფარიკავე — წარმოდგენილ მოწინაალმდეგეს სამეცადინო დარბაზში, თითქოს მეორეს ეუბნებოდა, არა ხარ, არაფერი არ ხარ, შენი უაზრო, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკიანადო.

— მომისმინე, — ამბობს უცებ და თვითონვე ხვდება, მამასავით რომ თქვა ეს სიტყვა, „მომისმინე“, ზუსტად ასე თქვა მამამაც საავადმყოფოში, მათი განშორების დღეს. მაგრამ ამას თუ გამოეკიდა ახლა, ველარაფერი უთქვამს და ეგაა, რადგან, ჯერჯერობით, რასაც ამბობს სხვისას ამბობს და სხვასავით ამბობს, დავუშვათ, ისევ მამასავით, ანდა, ვანო მასწავლებელივით, მაგრამ არც ესაა ცოტა — მოსმენისა და დამახსოვრების უნარი, სხვა თუ არაფერი, სწორედ საკუთარი სათქმელის აღმოსაჩენადაა აუცილებელი, ის მიგახვედრებს მხოლოდ, რის სათქმელადა ხარ მოწოდებული თავად. — მომისმინე, — იმეორებს მაშინვე, ახლა უფრო მტკიცედ, მაგრამ მღელვარებისგან ჯერ კიდევ ხმაათრთოლებული, იმ ჯარისკაცივით, იძულებული რომაა, დროებით აღასრულოს დაჭრილი თუ დაღუპული მეთაურის მოვალეობა. — მომისმინე! ჩვენ ახლა მოვკვდებით. უფრო სწორედ, ერთერთი ჩვენთაგანი მოკვდება, უარესი უკეთესის გულისთვის. შეცდომით, შემთხვევით თუ დამსახურებულად, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ქვეყანას ამით არაფერი დააკლდება, ვერც გაიგებს, რადგან სინამდვილეში, ჩვენთვის მოკვდება მხოლოდ, ჩვენ მოგვიკვდება, ჩვენს სულში, ჩვენს სინდისში მოკვდება და მხოლოდ იმიტომ, სიცოცხლის ღირსი რომ გახდეს დარჩენილი, გაიზარდოს, გალონიერდეს, დაკაცდეს, ბოლოს და ბოლოს, გაიგოს ამ ქვეყნის ავანჩავანი. კი არ განუდგეს ქვეყანას, გადაარჩინოს, გამოაბრუნოს, როგორც ჩვენმა მშობლებმა გამოაბრუნეს ბაზარში ნაყიდი თევზები. ჩვენსავით გულნატკენნი, გაბრაზებულნი, გაწბილებულნი ბევრნი არიან. დღითი-დღე კიდევ უფრო მეტნი გახდებიან. აგერ ნახავ, ხვალ და ზეგ ქვიშასავით წალეკავენ ყველაფერს, ყველაფერს, რისი წალეკვაც შეიძლება. კალიასავით მოედებიან ქვეყანას, გადაძოვენ, გადაატიტვლებენ, გააუდაბურებენ საკუთარ სამშობლოს — რაღა სხვამ, რაღა პომპეუსმა და ჰიტლერმა, ბარემ ჩვენვე, ჩვენი ხელითო... და თუ ღმერთი გაწყრა, თუ არავინ გააჩერათ, თუ არავინ გამოუჩნდათ ნამდვილად გულშემატკივარი, შემბრალებელი, გამგები და მიმტევებელი, მტერს რომ არ უქნია, იმას დამართებენ თავს. იცოდე! გახსოვდეს! გეშინოდეს!

— მეშინია. მეშინია და დედა მენატრება. წყალს წაუღია ყველაფერი. — ამბობს ბოლნაყლაპი, ხელებგამშრალი.

— ძალიანაც კარგი, — აწყვეტინებს „დაშნიანი“, აყროლებულ ჰაერთან „მოფარიკავე“. — უნდა გეშინოდეს. დედა უნდა გენატრებოდეს. თუ დედა არ გენატრება და არც არაფრის გეშინია, სიცოცხლეს ფასი არ ჰქონია შენთვის. დედის მონატრებაა ადამიანობა, შიშის დაძლევაა გმირობა. ამიტომაც, რაცკი ცუდია ჩვენში, დროისაგან თავსმოხვეული, შიშით გახრწნილი, შიმშილობით დაუძლურებული, სიმარტოვით გაქვავებული — მოიკვეთება, სამუდამოდ. ჩვენს თვალწინ მოკვდება, რადგან ჩვენც გავიგოთ, ვიგრძნოთ, ვიწვნიოთ სიკვდილის ძალა, დაუნდობლობა, და თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ დარჩენილს, გადარ-

ჩენილს. არ დავანებოთ სიკვდილს, მტერს, წყვდიადს... ვიდრე შეგვეძლება, ვიდრე კბილი შეგვრჩება, ფრჩხილი, ფურთხი, გოჯი არ დავთმოთ ჩვენი სულისა, სინდისისა, სიყვარულისა, სიძულვილისა... ანუ, არასოდეს მივატოვოთ სანგარი, ოღონდ, ის სანგარი, სადაც განგება ჩაგსვამს, და კიდევ ერთი, მადლობა ღმერთს, გამახსენდა! არასოდეს, არასოდეს, არასოდეს, გესმის?! რაც არ უნდა მოხდეს, ვინც არ უნდა გიბრძანოს, დაგაძალოს, გთხოვოს, შემოგაჩჩოს — არ მიითვისო, რაც არ გეკუთვნის, რისი მითვისებაც არ შეიძლება.

მაგრამ მეორე, ბოლნაყლაპი, ხელებგამურული, უკვე სილნალისკენ გარბოდა და, ყელშიცრემლგაჩხერილს, უკან მოხედვისაც ეშინოდა, უკანვე რომ არ მიბრუნებულიყო, აღრიალებული, თავის უბედურ, ტანჯულ, გაწბილებულ, უგულველყოფილ წარსულთან, თავის ბავშვობასთან, რომელიც, ვინ იცის, ნასაყდრალის კარში იდგა და სევდიანად მომღიმარი გასცქეროდა თავის გამგრძელებელს, თავის მომავალს. მაგრამ იმას, მომავალს, მეორე ალმართიც არ ჰქონდა ათავებული, ცხენების ფრუტუნ-ხვიხვინი რომ შემოესმა და უფრო ადრე ისკუპა ბუჩქებში, ვიდრე გაიფიქრებდა, მე უნდა გადავრჩე, მე აუცილებლად უნდა გადავრჩეო. მისი თხუთმეტწლიანი წარსული კი აყროლებულ ცეცხლთან მიბრუნებულიყო, რომელიც მართლა ვინმეს გასათბობად კი არ ენთო, არამედ სიცივესთან შესაგუებლად, მარადიულ სიცივესთან, სიკვდილთან. იცოდა, გრძნობდა, სწამდა — აღარაფერი აკლდა აღსასრულამდე. მალე, ძალიან მალე უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი, ანუ, დაწყებულიყო სრულიად ახალი ხანა მის ცხოვრებაში, ხანა გადარჩენილი, გააზრებული, გამიზნული და, ამიტომაც, აუცილებელი, გარდაუვალი, სავალდებულო სიცოცხლისა. უკვე მოუთმენლად ელოდებოდა იმ დიადსა და უწმინდეს წამს, როცა ერთხელ ბრმად შობილი, მეორეჯერ უკვე შეგნებულად, საკუთარი ნებით, ტკივილამდე თვალგახელილი დაიბადებოდა და ახლა უკვე ჰერმე[illegible]ტად სამარადისოდ შეერთებოდა, შესისლხორცებოდა ცხოვრების დაუნდობლობით და სისასტიკით ორად გაგლეჯილი მისი არსება. მართლაც, თითქმის მაშინვე, ვიღაცამ (დავუშვათ, იმავე ლეიტენანტმა, როლანდმა, ლამარას მეუღლემ) დაუძახა გარედან: დაგვნებდი, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვსო. იმისთვის კი, სწორედ, წინააღმდეგობის გაწევას ჰქონდა აზრი. დანებება ისევ სიკვდილის პირქუშ სამეფოში ხეტიალს ნიშნავდა, უაზრო სიზმრებისა და ჩვენებების გახანგრძლივებას, თუნდაც რამდენიმე დღით, რამდენიმე საათით, მაგრამ ის სიცოცხლეს ეკუთვნოდა უკვე და აღარაფერი გაეგებოდა სიკვდილისა. იმიტომაც იყო, თავალერილი რომ გავარდა ნასაყდრალიდან, რაკი არ დავნებდები, ისინიც იძულებულნი იქნებიან, მესროლონო, და ასედაც მოხდა, რადგან ვიდრე ნასაყდრალიდან გამოვარდებოდა, მოალყეებში ისიც წინასწარ გამოარჩია, ვინც ნაკლებად დაინდობდა და იოლად გაიმეტებდა, თუნდაც თავისი სიხარბისა და თავისი სილაჩრის გამო. ლეიტენანტმა მაშინვე კი დაიყვირა — არ ესროლოთო — (მიხვდა ალბათ, რაშიც იყო საქმე), მაგრამ გოგია რის გოგია იქნებოდა, ასეთ მშვენიერ შემთხვევას თუ გაუშვებდა ხელიდან, როცა, ჩახმახის გამოკვრამდე, იმაზე კი არ იფიქრებდა, რაც არ უნდა იყოს, ადამიანია და, ვაითუ, მაინც მომკითხონ პასუხიო, არამედ — ნეტავი, ჯილდოს მომცემენ თუ არაო. მაგრამ ჯილდოს რაში მისცემდნენ, როცა თავად სიკვდილი გაბათილდა — ერთი ნიკო თუ მოკვდა, მეორე დაიბადა. „დაბადებული“ გონიერების ფრთებზე ეკიდა ცაში და სიბრალულის ცრემლით თვალებდაბლანდული ჩამოსცქეროდა „მკვდარს“. „მკვდარი“ პირქვე ეგდო მიწაზე, ხელებგადაშლილი, წამოხდილი პალტოს კალთას მო-

ტეხილ ფრთასავით უფრიალებდა ქარი, თითქოს, ეს წუთია, ციდან ჩამოვარდნილაო, ეს წუთია, დაენარცხა მიწას თავისივე უგნურობის, გაუგონრობის, სულსწრაფობის გამოო. სინამდვილეში კი, ისინი ახლაც ერთნი არიან, განუყოფლები, ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთს ავსებენ, ერთ დასრულებულ, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ აზრს, მცნებასა თუ სახეს წარმოადგენს, რაც მიწაზე დარჩა და რაც ცაშია, ოღონდ, მთელის უკეთესი ნაწილი გონიერების ფრთებზე ჰკიდია, უარესი კი პირქვე გდია მიწაზე.

გოგია ჯერ ისევ მუხლებზე იდგა, სახე და ხელები სისხლით ჰქონდა მოთხუპნული. არამინდარას ხმელი ბალახი მოეგლიჯა და იმით სწმენდდა სისხლს. გოგიას მამა და ნესვა დაფეთებულ ცხენებს დასდევდნენ. ლეიტენანტი და გრძელი მკვდარს დასდგომოდნენ თავზე. ის კი, „დაბადებული“, ყველას მაგივრად მიფრინავდა უკიდეგანო ცაში, ყველას მაგივრად, ვინც ქვის ბუდეში გამოეკეტა ბედს, ქვის ბუდიდან ამოფრენის საშუალება კი წაერთმია. მიფრინავდა, მიფრინავდა — სუნთქვაშეკრული, ეკალდაყრილი, თვალებაცრემლებული, მაგრამ მიწას კი არ შორდებოდა, კიდევ უფრო მძაფრად გრძნობდა მიწას, კიდევ უფრო აუცილებელი ხდებოდა მისთვის მიწის არსებობა, რადგან, ასე ცაში გამოკიდული, საერთოდ არაფერს წარმოადგენდა, არც მტრისთვის, არც მოყვრისთვის, არც წარსულისთვის, არც მომავლისთვის. გაფრენა გააზრებული გადაადგილებაა სივრცეში, ოღონდ, მიწიდან მიწამდე, მიწა არა მარტო ბიძგის მიმცემია, დამაგვირგვინებელიცაა გაფრენისა და, ამიტომაც, მიწაზე დაბრუნების უფლების წართმევა, გაფრენის უნარის წართმევაზე ნაკლები სისასტიკე როდია. ხოდა, ისიც უკვე მიწას ჩამოსცქეროდა — დაღლილი, გათოშილი, ცრემლით დაბრმავებული — უკვე იმაზეღა ფიქრობდა, დაშვებისას, ხის ტოტებს არ წამოვედოო, ხრამში არ ჩავიჩეხოო, ეკალბარდებში არ გავიხლართოო. უკვე ესმოდა მიწის მძიმე სუნთქვა, მიწის მძაფრი სუნი სცემდა ცხვირში და სუნთქვაშეკრული ელოდებოდა, (როგორც ოდესღაც, ლეონ ველოსიპედზე ამხედრებული), როდის დაასკდებოდა, როდის გადაიყვლეფდა მუხლებსა და იდაყვებს იმის ოღრო-ჩოღრო, ხორკლიან ზედაპირზე. მერე ძლივსძლივობით წამოდგა, როგორც შესძლო, ჩამოიფერთხა ტანსაცმელი და, გულამოვარდნილი, ასლუკუნებული, კბილებაკაწკაწებული წავიდა ღრეჯვის ხიდისკენ, იქნება, სამადლოდ, ვინემ ამიყვანოს სიღნაღშიო, საიდანაც, ეს წუთია, „ჩამოფრენილიყო“ აქ. პაპას, რა თქმა უნდა, ვერ დაენახვებოდა, ასე დაბღორტნილდაგლეჯილი. გულს გაუხეთქავდა მხოლოდ, და იქით გაუხდებოდა მისახედი; ისედაც გაწამებულს, უარესად გააწამებდა ამაო ფუსფუსითა და ვიშვიშით; თვითონაც მოკვდებოდა და იმასაც ამოხდიდა სულს, ვიდრე დაწვრილებით გამოკითხავდა, გამოარკვევდა და, ბოლოს და ბოლოს, ირწმუნებდა, მართლა რომ გადარჩენილიყო და სხვა, კიდევ უარესი განსაცდელი არ ელოდებოდა მის შვილიშვილს. მის შვილიშვილს კი, ბებიის მეტი, ვერავინ უშველიდა ახლა და ისიც, გუმანს მინდობილი, ბრმად, ალალბედზე, მიისწრაფოდა მშველელისკენ...

□დასასრული იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

## დიდება

*აზერბაიჯანელმა ჭაბუკმა რაჰიპ მამედოვმა ადიდებულ რიონთან ჭიდილში საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა ქალადიდელი ბავშვები.*

ირგვლივ წყალი და მხოლოდ თოვლია,
ყინვა, გრიგალი, უბედურება...
აქ გზა ტალღასაც ვერ უპოვია,
ასკდება კლდეს და უკან ბრუნდება.

ახლა აქ ბედის წამს წამი ქოლავს,
დაბლა დაეშვა ზესკნელი თითქმის.
ჰგავს ქალადიდი განწირულ ხომალდს
და ჯოჯოხეთი სათებს ითვლის.

სად გაქრა უცებ ცის სიკაშკაშე,
წყაროს რაკრაკი და ჟრუჟრუნტელი.
ო, დედის ძუძუს აგლეჯილ ბავშვებს
ნუთუ ნამდვილად დაღუპვა ელის?

და შენც გამოჩნდი იმედის ლამპრად,
რომ გაგერღვია ზვირთები ურჩი.
შენ იყავ მაშინ დედაც და მამაც
და ერთადერთი სიცოცხლის ბურჯიც.

მოდის და მოდის ავდარი რისხვის,
ცეცხლის თოვამაც აღარ გადიღო...
წინ აღუდექი შენ მკერდით სიკვდილს,
რომ ქალადიდმა იქალადიდოს.

მე მახსენდება ქარცეცხლი ომის,
ციდან სიკვდილი როგორ გვაწვიმდა.
საჭირო იყო შეტევა ლომის
და სამშობლოსთვის თავის განწირვა.

ვინ იფიქრებდა მშვიდობის ცისქვეშ,
როცა ტრიალებს სიამის განცდა,
დასჭირდებოდა მეომარს ისევ
ქვეყნად მხედრული ღირსების დაცვა.

მე ახლა ცრემლი როგორ დავღვარო
როცა შენს საქმეს დიდება შვენის,
თავად სიცოცხლით გაუმაძღარო
მოძმეს დაუთმე სიცოცხლე შენი.

რა ბევრს მეტყველებს ეს წუთი მძაფრი,
რა იმედს ნასკვავს ცრემლში ნაღველი.
ახლა მცირეა მადლობა, რაჰიპ,
ისე ამაღლდა შენი სახელი.

შეიმოსება ისევ მთა-ბარი,
დაიზრდებიან, ო, ეს ბავშვებიც,
მადლიერების გრძნობით გამთბარი
ქალადიდივით შენაც აღსდგები.

ფრთებს დაატოლებს კვლავ ცას არწივი
და მიუწვდენელს ისევ მისწვდება.
ბავშვებისაკენ ხელი გაწვდილი
აქ ძმობის ნიშნად ძეგლად იქცევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ჯანო ჯანელიძე**

## რაიც მწამდა და რაიც მიყვარდა

ტიუტჩევის წიგნზე მინაწერი.

რაიც მწამდა და რაიც მიყვარდა,
ფრთათა გრძნეულთა იყო შრიალი,
გავცქერდი ცრემლით მოქარგულ
ფარდას
და მეღვრებოდა ცა ნაღვლიანი.

ყველა გზა გწამდეს, გოლგოთას
ერთვის,
ყველა გზა გწამდეს, ჯვარია მძიმე,
ვცხოვრობდი შენთვის და მოვკვდი
შენთვის
და ხსოვნის ფრთებზე მეც მივიძინე.

## თეთრი დობილი

მე აპრილს როგორც თეთრ დობილს
ვუმზერ,
შვიდფერ მუზით რომ კაბა შეკერა,
ნელა დავისვი გრილ ხელისგულზე
და გავაფრინე, როგორც პეპელა.

საით ისწრაფვი, დობილო თეთრო,
სად გიპოვნია ბინა მარადი?!.
შენთვის მე შვიდი სანთელი მენთო,
ხელიდან ხელში მზედ რომ გადადის.

ყველა პოეტს აქვს თავისი ბედი,
თავისი ხვედრი, გზა და მიზანი,
ფეხი სინათლის ტაძარში შევდგი
და მზის გალობას ისე გიგზავნი.

მოდის აპრილი თეთრი მტევნებით
და მოაქვს მთვარის თეთრი იარა,
ყოვლის მხილველი და მიმტევები,
მე უკვდავებას რომ მაზიარა.

## მესამე

ჩემი ხსოვნის, შენი ხსოვნის
მალე ერთად შესვამენ,
დავისვენებთ ერთად ორი,
დაისვენებს მესამეც.

სიკვდილსაც და სიცოცხლესაც
ერთად მე მივესალმე,
ამ ყოფაშიც კი მომესმა, —
ხორხოცებდა მესამე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორხოცებდა, ქილიკობდა,
თვით ღმერთთანაც ქლესარედ,
წამს მეორე მხგავსი მოდგა,
იქვე გაჩნდა მესამეც.

მე კი ბედზე მოტირალი,
მწუხარე და მკვნესარე,
ვნახე გლოვა ორი მთვარის,
იცინოდა მესამე.

ჩემი ხსოვნის, შენი ხსოვნის
მალე ერთად შესვამენ,
დავისვენებთ ერთად ორი,
იზეიმებს მესამე.

## რიცხვი იყო ცხრა იანვრის

რიცხვი იყო ცხრა იანვრის,
თოვლის თეთრი თარეში,
სევდიანი, ნაღვლიანი
დაღმართისკენ დავეშვი.

გული თითქოს თასი იყო,
სავსე ჰმუნვით, კაეშნით,
ვჩურჩულებდი ნაცნობ სტრიქონს,
ნაწერს სიმწუხარეში.

საუბარი უცბად მესმა,
ვიღაც უცხო გარეშის,
გაიცინა ურცხვმა თესლმა
თავხედობით ფარეშის.

გადმოყარა რა ღოჯები,
რა კბილები, რა ეშვი!..
გაჩენიდან რად ირჯება,
ვნახე მე მის თვალებში.

რიცხვი იყო ცხრა იანვრის,
თოვლის თეთრი თარეში,
სევდიანი, ნაღვლიანი
ხევისაკენ დავეშვი.

## ნახვამდის!..

საიდუმლოს ყველა დროთა
მე სტრიქონში ვმარხავდი,
ქამი მაინც როგორ რბოდა, —
ვერც მოვასწარ: „ნახვამდის!..“

ვერ იქნა, ვერ გავიკვლიე
მე სავალი სახლამდის,
ვაი, ვხედავ, ისე მკლავენ,
ვერც კი გითხარ: „ნახვამდის!..“

მოსახდელი მოვიხადე
ყველა ჭირი, სახადი,
ახლა სხვა ჭირს ველი ხვალე,
შემდეგ გეტყვი: „ნახვამდის!..“

რაც ძვირფასი კი გამაჩნდა,
შენ გულდაგულ მარხავდი,
ოქრო, ვერცხლი, ძოწი, ფარჩა
და ბოლოს თქვი: „ნახვამდის!..“

ყველა შხამი უკვე შევსვი,
ყველა რჯულის ნახადი,
უკვე მოხდა უმთავრესი,
აწ ძვირფასო: „ნახვამდის!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდოსტატის მარჯვენა

ისე ღამდება,
ისე ღამდება,
თუ გათენდება, ვერც წარმოიდგენ,
წარსული ჩემი, როგორც ბრალდება,
თავსასთუმალთან უჩუმრად მიდევს.

და მე სიზმრებში მივემგზავრები,
სიზმრები შემრჩნენ დაღლილს
სასჯელად,
სვეტიცხოველზე სწუხან ზარები
და დიდოსტატის ხმება მარჯვენა.

## ...ოლონდ ფინალი

ჰო, როგორ გვინდა, სხვებს მივბაძოთ,
გავუსწროთ სხვათა,
ფასი ოქროსი რომ დავადოთ საკუთარ ნათქვამს,

ვიყოთ ყველაზე გონიერნი, მძლე და მდიდრები,
სხვები დავჩრდილოთ ჩვენი აზრით, ჩვენი დიდებით.

ბაჯაღლო სხვისი შევუფარდოთ ჩვენს მცირე მარცვალს,
მონღოლთა შორის ჩვენც განვერთხოთ თვით ცოტნეს
ნაცვლად.

გვინდა ილიას ტოლი ვიყოთ, მისი სიბრძნით ვიყოთ
მზირალი,
მისი ცხოვრების აღარ გვაწყობს ოლონდ ფინალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენო კალანდია

## ჰიმნი მზეს

იარე, მზეო, ამ ჭალებით და ხეობებით,
ჩასდიე ნაპრალს, ტყის ბილიკებს,
იმ პირველი ეგრის სახელით,
რომელმაც შვილებს დაუტოვა ცა—უტევანი,
აღგილის დედა—ძვალთშესალაგი.

ჩახედე უფსკრულს ლუსკუმისფერ, მღვრიე თვალებში,
გაათბე უბით მოძაგძაგე მინდვრის ხეები,
ყინულის ზროში ჩაჯექი ისევ,
ჩიტებს ბუდეში ჩაუფინე ბულული თივის,
იის ბუჩქებით ამოავსე ჭაობის ფაშვი.

მზეო,
აღმართე კვერთხი ცხოველი!
ციდან,
მთებიდან გადმოფინე დროშები ძლევის,
ბუკით,
დაფდაფით გამოჰყევი ხალხმრავალ ქუჩებს,
სახლის კედლებზე და ქალაქის ქვაფენილებზე,
აღბეჭდე ჩემი მიჯნურის ლანდი,—
ფორთოხლის მხრებით,
ბროწეულის წითელი ქუდით.

ეს გული იმ გულს გადააბი,
ვით ბოჩოლა — ბოჩოლას თოკით,
აჰყევ კიბეებს და ჩემთან ერთად
განთიადისას დააკვდი საწოლს...
ჩატოვე კოცნა და ღიმილი
მისი კარის ყველა ღიობში.

მადლობელი ვარ, მზეო, შენი,
საფლავის მიწა რომ გამითბე შენივე ბაგით
და ჩემს თითებში რომ აანთე სანთლები წყვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეო, ნახვამდის,
ყელი გედივით ჩაჰკიდე წყალში,
ზღვის ღრუბლებით გაივსე ფილტვი
და ღამის მკლავზე განისვენე დილამდე მშვიდად.

## პასტორალი

მინაწერი ბოშური ხალხური ლექსების წიგნზე.

წუთისოფლის ბალაგანზე ჩაჩოქილო მუხლით,
აფთარივით გითვალთვალებს ღრუბელი და მწუხრი.

რა მოთმენით ეგებები ღვთის რისხვას და ტკივილს,
შე პირველო მენესტრელო და მეუფევ რკინის.

რა გრიგალი, რა გეენა განვლე ცრემლის, ტანჯვის,
ორბის მხრები შეკრული გაქვს ვარსკვლავების ჯაჭვით.

როდის იყო სხვისი ღმერთი მფარველი ან მხსნელი,
თავზე როდის გადაუსვამს ყოვლისშემძლე ხელი?!

რკინას ფურჩნი და ტრამალის ქვიშას ღეჭავ კბილით,
ჭინკასავით თვალში გიზის მზის ობოლი სხივი.

ქამრის ბალთებს ათამაშებ საგიტარე თითით,
ხან აქ, ხან იქ გამოჩნდები, ვით ცოცხალი მითი.

მზენაჭდევი ზანზალაკით, გაღეღილი მკერდით,
ტრამალ-ტრამალ მიგაქროლებს ადათი და ბედი.

ტყიდან მთვარე მოგანათებს, ვით ზემფირას უბე
და გაკოცებს ატამანი სამამულე შუბლზე.

ქარი — მინდვრის დედოფალი აგიწეწავს ქოჩორს,
ცაა შეზარხოშებული და გზა ოღროჩოღრო.

ძაღლის ლეკვით და საკრავით მიადგები ქალაქს,
ცოლის მკერდზე ატირებ ცრუპენტელა დალაქს.

ყიჟინით და ჟრიამულით გაცოცხლდება ქუჩა,
სარკმლებიდან თეთრი ვერცხლი ცვივა მუჭა-მუჭა.

. . . . . . . .

ძველი ეტლის შორიახლო დევს მოწყენით ცხენი
და ქვითინებს ვიოლინო — საყვარელი შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხევები დავით გარეჯის უდაბნოში

ჩვენ წყალს როდი ვსვამთ,
ჩვენ ნაღველს ვსვამთ და აგონიას,
დახეთქილი გვაქვს გვალვით სხეული.

ჩვენ ეს ზაფხული ბიამანის ლანდებად
გვაქცევს
და გამოგვაყრის ტანზე ჭორფლივით
ქვიშის მარცვლებს და მარტოობას.
. . . . . . . .

საყდრით სინათლის ალი ციმციმებს,
თითქო სამოთხის ფეთქავს კარიბჭე
და ღრუბელივით აღმართს მიჰყვება
ბერმონაზვნების გუნდი დაღლილი.

## თანამედროვე მარინისტის ლექსი

რა მცხუნვარე მზე არი,
რა მჭვირვალი ამინდი,
თითქო სახურავებზე
სკდება ძველი კრამიტი.

ნავით, ორჩხომელებით
ილანდება სანაო,
ზღვის მშფოთვარე მკლავებზე,
ზღვის ქალწული ნანაობს.

ძველებურად ტორტმანებს
რკინის ნავსაყუდარი,
თითქო წყალში ჩამდგარა
ხვადი იაგუარი.

სული დამძიმებია
ქვრივის ზამბაკ-ნიქარას,
გაქცევია ხელბადეს
კიბორჩხალა მშიშარა.

თავი გაუწირია
ოქროს თევზის ქარავანს,
დარჩენილა სამეფო, —
ერთი ბებრის ამარა.

მზეზე გაშიშვლებულა
აფროდიტა გრძნეული,
ციხე — აღებულია,
კარი — ჩამონგრეული.

თევზი — დაჭერილია,
ბადე — ამოღებული,
ღუზა — ჩაშვებულია,
ქალი — აღელვებული!

## ავტოპორტრეტი ახალგაზრდა გოგონას ფონზე

ირწეოდა ლერწამი, —
ამორძალის სხეული,
გზისპირ მიკისკასებდა გოგნი-გოგო
რჩეული.

მიდიოდა, მიჰქონდა
უბით ჯადო-თილისმა,
მხრებზე შუქად ეფინა
ხელეური დილისა.

ნაწნავს ათამაშებდა
ორაზროვნად, ორკეცად,
თითქო პეშვით იღებდა მზის
ღვთაებრივ ნაპერწკალს.

ტუჩზე ღიმი უკრთოდა,
როგორც ცისკრის პეპელა,
სულო, რამ დაგამწუხრა, გულო, რამ
დაგაბერა?!

მითხარ, რამ აგიჭრელა,
ასე უცებ თვალები?

ოი, კიდევ რა გნებავს, ღმერთო,
რას მემართლები?!

ბიბლიოთეკა

არ მეკუთვნის, არ მხვდება,
შტო პირველი ვარდისა,
არ ვარ ღირსი, მაღალო, შენი
სუნთქვა-მადლისა?!

მოდი, მსხვერპლად მიმიღე, —
კრავად, მუხის შიმელად,
ჩემებრ ძეშეცთომილებს ქვეყნად თუ
ეშველებათ!

## ოპტიმისტური ბალადა კრავზე

ა. გოგუას.

კრაო — საწუთროს სულო
წმინდანო,
გაჩენის დღიდან ეწირები ადამის
მოდგმას.

ოდიშიდან ილორამდე პატარა გზაა,
ამ გზაზე მხოლოდ ტკივილი და
მორჩილებაა.

ცხოვრება ჩვენი — საახალწლო
კარნავალია,
საქორწე შუბლზე წარამარა
გკოცნიან ყრმანი,
ხავერდის მკერდზე გიხუტებენ
მტერ-მოყვარენი,
მანდილოსნები გიძღვნიან ამბორს.

ბავშვის, ქალწულის, ბებრის სახელით
ბაბთიან ყელზე გამოგისვამს
ღვთისშვილი დანას
და შენი სისხლი — ნორჩი და ცხელი,
შეელეკება მინდვრის ბალახს და
საყდრის კედლებს-,
ვით მაისის ჭიამაია.
თითის წვერებით ტყავს გაგხდიან,
ვით საღვთო კაბას,
მოინათლები საერო წესით.

მახსოვს წითელა ბატონები
გვესტუმრა ერთხელ,
ავად ვიყავი...
და სულთა შაბათს
თვალცრემლიანი გაგაყენეს ილორის
გზაზე.

ავად ვიყავი...
და სიცხე მქონდა,
და სიზმრად გნახე წუხელის, კრავო,
ღვთისმშობლის მუხლებს ეხვეოდა
მამიდა მკვდარი,
და გარს უვლიდა ეკლესიას დილამდე,
ძიძა.

ერთმწკრივად ისხდნენ მგალობლები
და წმინდანები,
ზე დაჰყურებდა უფალი სამწყოსს,
მეორე მწკრივად მთვრალი ხალხის
ხორხოცი იდგა,
იხარშებოდა ქვაბებში დილა.

მიუხედავად აღდგომისა და დღეობისა,
მიუხედავად ქორწილისა და ალაპისა,
კრავო, —
სამოთხის გზის წინამძღვარო,
— ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

## დედა — სამ დროში

ძველი ალბომის ორიოდ სურათს,
ახლაც რომ ვარდის სურნელი ასდის,
ის ქალიშვილი — დედაა ჩემი.

გაზაფხულიდან შემოდგომამდე,
იის ფოჩებს რომ უგავს თვალები,
ის თეთრი ქალი — დედაა ჩემი.

მუხლზე ჩონგური ფრთხილად რომ
უზის,
ის ქალბატონი — დედაა ჩემი.

ორშაბათიდან ორშაბათამდე,
ჩემს სასთუმალთან ტკბილად
რომ გალობს,
ის მგალობელი — დედაა ჩემი.

ეკალს შიშველი ხელით რომ პოტნის,
ის უბედური — დედაა ჩემი.

გზაზე რომ მიდის შავი თავსაფრით,
ის მარტოსული — დედაა ჩემი.

საფლავის ქვაზე ტირიფივით რომ
დამხობილა,
ის ბეჩავი — დედაა ჩემი.

მშობელი ოდის აივანზე რომ
გადმომდგარა,
ის საბრალო — დედაა ჩემი.

ო, ჟამისჟამო — მაცთურო ძველო,
სამი ყმის სულზე ლოცვად რომ დგება,
ის კოლხი ქალი — დედაა ჩემი.

## ძეგვე კალანდია

აქ, ლებარდეში, აგვისტოს 15,
თოფით, ჩიბუხით, ნანადირევით
ტყეში შემომხვდა მაღალი კაცი.

როგორც ფერმერი, როგორც ძველი რანჩოს მფლობელი,
ტყეში შემომხვდა მაღალი კაცი,
ზედგამოჭრილი რობერტ ფროსტი,
მიწის ქადაგი,
მიწის ძვალი და ხერხემალი.

გახედა ცას და...
მოეღრუბლა სახე ნახმლევი,
მთით ეშვებოდა ღამის ჯანღი და ნიაღვარი,
მინდვრად ბალახებს ძოვდა წვიმა და სოფლის ჯოგი,
ეხეთქებოდნენ მუხის ხეებს შუბლით ღრუბლები.

აქ, ლებარდეში, აგვისტოს 15,
დათვის ბელით და ჭრელი მეძებრით
ტყეში შემომხვდა მაღალი კაცი, —
სახელგანთქმული მონადირე და წინაპარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკა ჯოხაძე

# ფიჭვები უდაბნოში

ვუძღვნი ოტია პაჭკორიას ხსოვნას

მოთხრობა

ყველაფერი წვეთით დაიწყო და დამთავრდა. იმ წვეთით არა, ჭიქასაც და მოთმინების ფიალასაც ერთნაირად რომ აკლია ასავსებად, გადმოსაქცევად... აღმოჩნდა, რომ თვით ყველაზე ბანალური შემთხვევის დროსაც კი არ გამაჩნდა თვითგადარჩენის ინსტინქტი. იმის მაგივრად, შეშფოთებით ამეფარებინა ცხვირზე ხელი, რაღაცის ნებით თუ ძალით გაყურსული ვიდექი. იანვრის ყინვაში საბედისწეროდ იზრდებოდა შემთბარი სხეულიდან მოულოდნელად დაძრულ ცინგლი. გვერდით კი გოგო მეჯდა, გაჩენის დღიდან ნაოცნებარი, უკოცნელი, ვეებასაყელოიან სვიტრში ჩათბუნებული, ჩემი ხელების მოლოდინით თვალანთებული.

სუნთქვა შეწყდა თუ სული მიიპარებოდა? — სული! რა მზაკვრულად გამომეყო და მიმატოვა. რიყრაყივით აუმღვრეველმა, შეციებულმა, ანკარა ზედაპირზე როგორ თვალსაჩინოდ, დიდისამბით ჩამოატარა ნაფოტივით დამყოლი სამყაროსხელა სიყვარული. ქალობისაკენ მიმავალი გოგოს მოლიცლიცე სხეული! ხელგაშლილი რომ უნდა შევგებებოდი, სწორედ მაშინ გაჩნდა ეს წვეთი. უაზრო, სასტიკი, სარკასტული. ერთბაშად გამოჰფინა სულისაგან გათიშული სხეულის ბიწიერება. ერთბაშად უარყო არსებობა, კაცად ყოფნის შესაძლებლობა... ჩემმა ესთეტურმა მგრძნობელობამ ველარაფრით დაუბრუნა საკუთარ თავს უფლება, რომ ამიერიდან ქალს ვყვარებოდი, ანდა სიყვარულის იმედი მქონოდა. პირველად მაშინ გავიფიქრე — „მორჩა, მოვკვდი, აღარ ვარსებობ..." — შემდგომი წლების ციმბირული ყოფის ლაიტმოტივი...

ბნელოდა, მაგრამ გაძარცული ხეების ქვეშ შეყუყულს, ერთი წამითაც არ დამიშვია, შესაძლოა, გოგოს არც კი დაუნახავსთქო. ქვეყნიერება იხედებოდა ერთი ვეება ფხიზელი თვალით. მძაფრად, შეუბრალებლად ამუშავდა წარმოსახვა, რომლის ეკრანზეც, როგორც საკლასო დაფაზე, ბავშვური ხელით ეწერა — „ცხვირმოუხოცავი ლლაპი".

ველარაფერი უშველიდა, ველარაფერი აღადგენდა იმ ემოციებს, იმ უცნაურად ხელშესახებ განცდას სიცოცხლისას, როცა მთელი შენი არსება სულიანხორციანად ერთი ვეებერთელა მდინარეა, სიცოცხლის მაუწყებელი, სიცოცხლის განმანაწილებელი, უხვი, მოძრავი, ბედნიერი...

წამში შეჩერდა გულისცემა, გათავდა ყველაფერი, რადგან არ ვგავდი იმ ადამიანებს, უმნიშვნელო მოულოდნელო-

ბებს უცებ რომ დაალწევენ თავს. არადა, რა უნდოდა,—ჯიბეში ხელის ჩაყოფა, ჩაკუჭული ცხვირსახოცის ამოღება, თავის ოდნავ უკან გადაწევა და გაოცების გათამაშება: „როგორ უცაბედად წამსკდა სისხლი!“...

მაგრამ გაოცების გათამაშებასაც, ეტყობა, ნიჭი უნდოდა, ისე, როგორც საერთოდ, ყველაფრის თამაშს ამ ქვეყანაზე. ს ი ს ხ ლ ი! იოლი სათქმელია, სისხლი! ისეთ მიუწვდომელ ფუფუნებად ქცეულიყო... ისე ვიყავი გამომშრალი, მთელ სიცოცხლეს მივცემდი საკუთარ ერთ წვეთ სისხლში.

ამასობაში კი სვიტრის საყელოში თავჩარგულმა, რაღაცნაირად ამაყად მობუზულმა გოგომ თქვა: „შემცივდა, სახლში მინდა!“ ისე წამოდგა, არც მოუხედავს. არც მოიხედავდა, რადგან ეს სიტყვები მთლიანად მთქმელის ნებასურვილს ემორჩილებოდა, არავის არაფერს ეკითხებოდა, ანკი ვის რას უნდა შეკითხვოდა?

მთელი გზა უბრად ვიარეთ. მომეჩვენა, რომ ლამპიონების მკრთალ შუქზე აღარ ელავდნენ გოგოს თვალები. რაღაცნაირი უსხივო სიცივე ჩამდგარიყო მათში. პეტრიაშვილის აღმართზე გვიანი შემოდგომის უკანასკნელი ფოთლები ღამის პეპლებივით ღაფავდნენ სულს. სუსხიან ქარს ნელიად მოჰყვებოდა ქარხნის სარდაფიდან ამოყოლილი ღვინიანი კასრების გრილი სურნელი.

ეს სურნელი მანუგეშებლად მომეფონა დასიცხულ სახეზე, ქარხნის გაცრეცილ, ბათქაშჩამოყრილ კედელს გავხედე. მაღალი ტაბურეტის გვერდით მდგარ ყარაულს გრძელი თოფი მოეგდო ზურგზე, ისე იყო მხრებჩამოყრილი, ნადირობიდან პირწმინდად ხელმოცარული კაცი რომ დაუბრუნდება სახლს. ფეხის ხმაზე გამოგვხედა, ხელით მანიშნა, ასანთი ხომ არა გაქვსო. თითქოს ძალა მომეცა, ერთბაშად მოვეგე გონს: ქუჩის მეორე მხარეს კაცი იდგა და ჩემგან, როგორც ნამდვილი კაცისაგან, ცეცხლს მოითხოვდა.

სიხარულით მოვაფათურე ბაბუასეული ლაბადის ფართო ჯიბეში ხელი. სასოებით მოვიმწვდიე მუჭში ასანთის პაწია კოლოფი. თითქმის გავუქეცი, თვითონ ავუნთე. ყვითელი ალის მკრთალ ნათებაში წამით შევავლე მზერა. ერთი სული მქონდა, რაიმე ეკითხა კაცს, სრულიად უმნიშვნელო, ყოფითი, უაზრო, უსარგებლო, ოღონდ ეკითხა. როგორც იქნა მოუკიდა, მადლობის ნიშნად ორჯერ დამიქნია თავი. მეტი არაფერი, სულ არაფერი. ისეთი მედიდური სიზანტით შეტრიალდა, თითქოს მოწყალება მოიღოო, მაგრძნობინა — მორჩა, გათავდა, აღარ მჭირდები...

გამოვბრუნდი. გოგო აღარსად ჩანდა. მომეჩვენა, რომ მხოლოდ ამიტომ გავჩნდი ქვეყნად, აი, ამ უსუსტესი ლერის წამიერ ნათებაში უცხო კაცისთვის შემევლო თვალი და ეს კაცი სამუდამოდ უცხო დარჩენილიყო. მეგონა, რომ მხოლოდ იმიტომ დამავაჟკაცა ბუნებამ — იმედგაცრუებული, შეურაცხყოფილი გოგო სადარბაზოს ბნელ ხახაში შემეშვა... მეტი არაფერი, სულ არაფერი...

შემდეგ ჩემს ქალაქს მოშორებული, ისე ვიხსენებდი ამ საღამოს, თითქოს სხვა არაფერი მქონოდა მოსაგონარი. ისეთი გულისყურით, ისეთ ვნებით აღვადგენდი თითოეულ დეტალს, თითქოს მართლა ამისათვის, ამ უნებლიე „შერცხვენისათვის“ ვყოფილიყავი ამ სიშორეს გამოგზავნილი.

ვინ იცის, იქნებ იმ გოგოს სახით ჩემი სამშობლო მეძახდა ისევ, ჩემი პირველი სიყვარული, პირველი გრძნობა, პირველი განცდა, უანგაროდ რომ გამოიმეტებს განგება ყოფიერების ხვატში... გამოიმეტებს და მაშინვე წაგართმევს, აღარ დაგაცდის. თითქოს ეშინია, ბოლომდე არ გაუგო სიყვარულის თავისუფლებას გემო. თითქოს ეშინია, უმეცარს და თავბრუდახვეულს, პირველი სიყვარულის ჩვილი სხეული უნებლიედ არ შემოგაკვდეს ხელში.

* * *

ფიჭვების უკაცრიელი უდაბნო! რაგინდ ალოგიკურადაც უნდა ისმოდეს, ასეა — ფიჭვების უკაცრიელი უდაბნო!

როცა შენს ირგვლივ უკიდეგანო ოკეანესავით გადაშლილია ძვირფასი ტყე, ტყის სიძვირფასე მხოლოდ გონებაშიღა არსებობს. მგრძნობელობა, რა ხანია, გადაეჩვია ყველაფერს. ყველაფერს, რაც აქამდე არსებობდა და რაც აქ ჩამოსვლის პირველ დღეებში დამხვდა. ამიტომ ის მძაფრი სურნელიც, წაქცეული ხეები რომ გამოსცემდნენ, სადღაც უკვალოდ გადაიკარგა.

არადა, ხომ არსებობდა, ხომ ნამდვილად იყო. უფრო ცხადად, უფრო ნამდვილად, ვიდრე ამ ელექტროხერხის ცისფერი კვამლი და მონოტონური ცხელი ხავილი.

იქნებ არც ტყუოდნენ, ვილაც-ვილაცეებს იქნებ მართლა ახსენებდა მოჭრილი ხეები მომაკვდავ კაცებს. ალბათ იმიტომ, რომ ჯერ არ მოეკლათ, არც არასოდეს დაენახათ, როგორ ეცემა მოკლული კაცი. მანძილი, მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილი, ნელი კადრივით გაწელილი, ლამაზი, უსასრულო მანძილი, ფეხზე დგომიდან დაცემამდე, ერთბაშად ივსება შიშის, სიცივის, სილამაზის უცნაური ნამქერით. ზვავივით ჩამოიქცევა მშფოთვარე სულის წიაღში. ჩამოშლის, ჩამორეცხავს, ჩამოატიტვლებს ყველაფერს. ყველაფერს, რისგანაც შენდება ადამიანი... რჩება შიშველი, პიტალო სიცივე.

ვისაც მოუკლავს, სულ ერთია „უსამართლოდ“, „სამართლიანად“, უკვე იცის, რაა ნამდვილი სიცივე, ვერცერთი ცხედრის გაშეშებული კიდური რომ ვერ შეედრება... როცა დადიხარ, მოძრაობ, ჭამ, სვამ, ზოგჯერ კიდევაც იღიმები, ანდა ღიღინებ და მაინც სხვისთვის კი არა, შენივე თავისთვისვე ხარ საშიში. შენივე სხეულის უსიამოდ გათოშილ უდაბნოში მიაბიჯებ და იცი, რომ ვეღარასოდეს დააღწევ თავს მის ყინულოვან სიმარტოვეს.

და მაინც, თუკი რაიმეს მონატრება შემეძლო, ან აღარ შემეძლო, ეს სწორედ ის სურნელი იყო, წაქცეული ხეები რომ გამოსცემდნენ, მანუგეშებლად რომ შემეფეთა ჩამოსვლის პირველივე დღეს. არაფერი იყო ამ სურნელში არც სევდიანი, არც წარმავალი, პირიქით, მერქნის გულისგულში ჩაგუბებული წრიული ტბორები უცნაურად ალმაგზნებდა სიცოცხლისათვის. წრეთა წიაღში შეღწევა და მათი წესრიგი სიცოცხლის წყურვილს ამეფებდა. სანამ ამ სურნელს სული უდგას, მანამ გავძლებთქო-ვფიქრობდი. უკანასკნელი იმედივით ვეჭიდებოდი. ხავსივით არა, იმედივით, რადგან არ მინდოდა მომაკვდავი ვყოფილიყავი. იმედის მკვრივი ბურთულა ხანდახან ისე მეხირებოდა ყელში, მზად ვიყავი, დავმხრჩვალიყავი, ოღონდ არავის ეფიქრა, ოღონდ საკუთარ თავზე თავადაც არ მეფიქრა — „მომაკვდავი ხავსს...“ აღარ ვამთავრებდი. ესეც აქ ვისწავლე. — დავიწყებდი და რაც ყველაზე მეტად მზარავდა, იმაზე ფიქრს მტკივნეულ მომენტში ვწყვეტდი. ასე რომ ტკივილს ფიქრში მაინც არ ვაცლიდი, არ ვახარებდი. ისედაც უხვად, მძაფრად იყო ჩემს არსებაში ნაცემი მცენარე გაფოთლილი.

შევცდი. მოგვიანებით ეს სურნელიც გაჩვეულებრივდა. ისე როგორც ცის დასალიერს გაიწელება, გაიძენძება და ვეშაპის, ანდა ფასკუნჯის მაგიერ ღრუბლის ნაფლეთიღა გაბოლდება ჰორიზონტზე. ანდა რომელიმე უცხო კაცის უცნაურად ფაქიზი პროფილი შემოგხედავს და გიმტყუნებს: დაღიანი, უხეში სახე შეგრჩება ხელში.

მოჭრილ ფიჭვებს აღარ მოჰქონდა დარდის ამშლელი სამშობლოს სურნელი. ვეღარ ვამსგავსებდი, ვეღარ ვიხსენებდი, ვეღარ ვოცნებობდი. ასეულობით რუხი სატინის ტელეგრეიკანებიდან აღარაფერი გამომარჩევდა.

„მორჩა, მოვკვდი, აღარ ვარსე-

ბობ...“ ყოველი დილა ამ აზრით იწყებოდა, რადგან ასევე იწყებოდა ღამის უდაბნო, ფიქრის უდაბნო, უნაყოფო, უნიადაგო, აწრიალებული მგელივით სასტიკი, უგრძნობელი. ღამეულ სივრცეში უკვე აღარ იბურცებოდა დამშეული იმედის ნელთბილი ფერდი. მანუგეშებლად აღარ ფეთქავდნენ რიქრაყის ჭრილობები...

წარსულით ველარ ვიცხოვრებდი. გამოცდილება ის მარაგია, რომელსაც საგზალივით გინახავს ცხოვრება, რომელიც გშველის, გითანაგრძნობს და უკანასკნელი დღეების სიცივეში უკვე ჩასული მზის სარკიდან არეკლილ სხივებს გიგზავნის. რა შეუძლია ამ სხივებს? არაფერი, გარდა იმისა, რომ შეგიქმნას რწმენის ილუზია — არ გაიყინები!...

ახალგაზრდა ვიყავი, ამიტომ წარსულზე უფრო მეტად ჯერ ისევ მომავალი მჭირდებოდა. წარსულს აღარაფერი შეეძლო. ისე როგორც არეკლილ სხივებს არ შეუძლიათ არაფერი. წარსულში არ ქალდებოდა სადარბაზოს ხახაში გაუჩინარებული გოგო, არ ხუცდებოდა დედ-მამა, არ კვდებოდა ბებო და ბაბუ. ეს ყველაფერი აწმყოში ხდებოდა, ჩემს გარეშე, უჩემოდ. წარსული იდგა, როგორც იანვრის ყინვა. როგორც გარდაცვლილი მეგობრის გადიდებული სურათი, ურთიერთობიდან მხოლოდ უკანასკნელ ნაკვთებს რომ შემოინახავს — მოშვებულს, გალეულს, ცვილივით მიმავალს, თითქოს ამ მეგობართან ერთად არასოდეს გეცინოს გულიანად, არასოდეს გერბინოს... თითქოს იგი ყოველთვის ასეთი ყოფილიყოს — უფერო, უსხივო, ჩამოღვენთილი... და წარსული იქცევა ტვირთად, რადგან მას აღარაფერი შემოუნახავს ისე მძაფრად, რომ გაგამყაროს, ფეხი მოგაკიდებინოს, დაგაიმედოს.

არაფერია იმაზე დამთრგუნველი, როცა გაჰქრიან, გაცლიან აწმყოს. და მიდის აწმყო, შენი აწმყო მიდის უშენოდ, როგორც მამისაგან მიტოვებული ბიჭი, ნაწყენი, გაოგნებული, გაბითურებული, უკვე ცოტათი გამკაცრებული... შენ დგახარ აქეთ, შენ ჯერ სრულიად ახალგაზრდა, შენ ჯერჯერობით ცოცხალი, მაგრამ უკვე იმდენად დამნაშავე, რომ არ შეგიძლია თავს შეუძახო, ანდა ბიჭის აწურულ მხრებს დაადევნო — „მე მოვალ შენთან, მე დავბრუნდები!“ ისევ იქით ადებ ვალს, ისევ მისგან მოელი ნუგეშისცემას, მიტევებას... არადა, ვინ უნდა შთაგაგონოს, რომ უშენოდ მიტოვებულ აწმყოში შენ მაინც აქტიურად მონაწილეობ. ესე იგი, შენზე ფიქრობენ, შენზე დარდობენ, შენი ხსოვნა ჯერ ისევ ფეთქავს...

შენი აწმყოა ფიჭვების უკაცრიელი უდაბნო. სამარადისოდ გაცრეცილი ცა, რომელსაც არა და არ სწყალობს მზე. მზე თურმე მკაცრიცაა. შენს აწმყოსაც გააჩნია უცნაური თავისუფლება. როცა გარეთ გასულს შეგიძლია სივრცეს გახედო, უკიდეგანოს, ნაცრისფერს, არაფრისმთქმელს... აქა-იქ ფენა-ფენა სუნთქავს ჭაობის მდორე ფერდი. მატყუარა, ვერაგი, მიმზიდველი, არაერთი მგზავრის სიცოცხლის შემწირველი. ბოლო წელს სულ უფრო და უფრო მომეძალა ჭაობზე ფიქრი...

გაქცეული კაცები — აქტიური „ბავშვები“, გულუბრყვილოები, იმედიანები!...

ისინი ყოველთვის ამ ფერადოვანი პეიზაჟის წყალობით ტყუვდებიან და გარბიან. არავინ გასდევთ. არაფერია იმაზე დამთრგუნველი, როცა გარბიხარ და არავინ მოგდევს. იკარგება ის აზარტი, რამაც უნდა გაგაქციოს, გადაგარჩინოს. ვერ გადარჩები, ფონს ვერ გახვალ, რადგან ყველაზე დიდი მდევარი, თვითონ ბუნებაა, თვითონ რელიეფი, თვითონ პეიზაჟია აქმყოფთა ყველაზე დიდი მტერი. მაინც გარბიან იმედიანები, აქტიურები, მეოცნებეები...

საით გარბიხართ „დამნაშავე ბავშვებო?“ ისე, უბრალოდ? ქროლვა მოგე-

ნატრათ? შენც ადექი და აქეთ ირბინე, სულერთი არაა, რა მონაკვეთზე ირბენ, როცა მაინც ადგილზე გარბახარ. აქეთ მიწაც მყარია და მაგარია. აქეთ ირბინე! აქეთ გამოფიტვაა და ნაკლები სიმწვანეა, ნაკლები სილბო და სინოტივე, სამაგიეროდ უსაფრთხოა, მყარია, შენი სხეულის დამნდობია, შენი არსებობის მოერთგულეა მიწა. მიდი, ირბინე! გული ამოიგდე! ქროლვის ილუზიით შუბლი გაიგრილე, აზრი გაფანტე, ფიქრს შეეშვი, ოღონდ აღიარე: მთავარია, იმედი არ დავკარგო, მთავარია, სულიერად არ დავეცე...

აწმყო? სულ ერთია, სად იქნება აწმყო, აქ შენთან ერთად, იქ, უშენოდ, თუ საერთოდ არსად არ იქნება აწმყო. აქეთ თუ დაეცი, არა უშავს, შენნაირები დაცემულან, რომ წამომდგარან? მთავარია, ამ მონაკვეთში დაეცე, იქით ნუ იხედები, იქაურობას შეეშვი. იქით რომ მწვანე სიმდოვრეა, ის მატყუარა სიმწვანეა. იქით კვდომაა, სიკვდილია. იქით უწარსულო მწვანეა, უსამშობლო მწვანე, არასოდეს რომ არ ღირსებია პირველყოფილი ხასხასა ფერის სიწმინდე. იქით თუ დაეცი, მტრისას, წამოდგომას ველარ მოასწრებ, ისე დაგითრევს ჭაობის ფაფასავით მდორე, ხავსიანი ტორი. მიწა სულ სხვაა, არ დაგძირავს, არ გილალატებს. მიწა უნდა გასკდეს, რომ ჩაგიტანოს, ისე აგიტანს, შენნაირები აუტანია? ოღონდ ნუ გეზარება. სიცოცხლე ისე მაინც უნდა გინდოდეს, რომ აიკვიატო — სიცოცხლე მინდა! სიცოცხლე მინდა! არ იფიქრო სიმწვანეზე, სინაზეზე, სიხარულზე. ეს ყველაფერი მოახერხე და ჩაძირე შენში. შეინახე, შებოლე, შემჭვარტლე... გამოგადგება. ოღონდ გაძელი, ოღონდ არ დანებდე, ოღონდ თავი აიძულე, რომ აღიაროს — ცხოვრება აუცილებელია!...

რაც უფრო ხშირად ვმოძღვრავდი თავს, მით უფრო ვკარგავდი ნებელობას, მით უფრო მეუფლებოდა სასოწარკვეთა. ყველაზე სასტიკი, დაუნდობელი, მაცდური სწორედ ბოლო წელია. მომაკვდავი ხავსს ეჭიდებაო... ბოლო წელმა ეს ხავსიც გაქრა, ჩაძირა. ვგრძნობდი, მობუყბუყე ქვაბში გაუჩინარება არაფრით იყო ამაზე საშინელი — როცა ცოცხალი ხარ, როცა დადიხარ გამოფიტული, აწმყოდამარხული, უსასოო, უიმედო. როცა წლები ტკივილივით მიიზლაზნება. როცა სიცოცხლე ისე სწრაფად მიდის, როგორც ეს ღრუბელი, წყალწყალა, უშვილძირო, უმომავლო, უსამშობლო კაცივით რომ არასოდეს არავინ ჰკითხავს—საიდან მოსულო, საით მიდიხარო... რა უნდა იყოს ამაზე სასტიკი, ამაზე დამთრგუნველი, არასოდეს არავინ გკითხოს — საიდან მოსულო, საით მიდიხარ?

მეცხრე წელს აღმოვაჩინე, რომ სიცოცხლე აღარ მინდოდა. თანდათან ამ განცდამაც გამიარა, უფრო სწორედ ამ ფიქრმაც და ავიკვიატე — „მორჩა, მოვკვდი, აღარ ვარსებობ...“ უნებისყოფო ადამიანის მარტივი ფორმულა, ერთადერთი გამართლება მისი თვითკრიტიკული აზროვნების...

* * *

შებინდება აქ არ იცოდა. პირდაპირ ღამდებოდა. უეცრად, მოულოდნელად დააცხრებოდა, შეისრუტავდა დღისაგან მონარჩენ უკანასკნელ სხივს ღამე. ყველაზე მეტად რასაც ვერ შევეჩვიე, სწორედ ეს უეცარი დაღამება იყო. შებინდების სევდა და ფერი დედის რძესავით შემესისხლხორცებინა. ეტყობა, სხვაგან მოხვედრილ ადამიანში საკუთარი სამშობლოს ბინდის ნაკადებიც სისხლთან ერთად მოძრაობს და მონაწილეობს.

შებინდება! გარდამავალი ფერი და ტონალობა. რეჰანისფერი მინორი, ტკივილიდან სილურჯეში რომ ვაღაინაცვლებს და ბოლოს ისე ჩამუქდება, კარგად ვერც გაარჩევ — შავია? მელნისფერია?

ორად-ორი ფერი სულდგმულობდა აქ — შავი და თეთრი, თეთრი და შავი, კლასიკური სიმართლითა და სისა-

დავით, ყველაზე ნამდვილი, ყველაზე დამთრგუნველი. არაფერი რომ არ ესაქმებათ ერთმანეთთან, იმდენად რომ გულგრილობენ ერთმანეთს, რომ მტრებადაც ვერ ჩაითვლებიან, არაფრით რომ არ გამომდინარეობენ ერთმანეთისაგან, არაფერი რომ არ ანათესავებთ. აქაური დღე და ღამე, შავი და თეთრი, ორი ვამპირი, ორივე ერთნაირად საძულველი, ორივე ვერაგულად, შეურაცხმყოფლად რომ მოითხოვს შენგან ყველაფრის გაღებას, ერთნაირად რომ ეჭვიანობს — ეი, შენ! რამეს ხომ არ იტოვებ შენთვის ლალს, წმინდას, თავისუფალს?... აქაური დღე და ღამე, შავი და თეთრი, გაცნობაზე ლაპარაკი ზედმეტია, დღის გასაყართან ეცნობიან კი არა, თვალსაც არ შეავლებენ ერთმანეთს, არ ახსოვთ, არ აინტერესებთ, არ ფიქრობენ არასდროს ერთმანეთზე.

აქ დღე იმისათვის არსებობდა, ერთმანეთის სიძულვილით დავლილიყავით. ღამეს სიძულვილი უნდა წაეღო, გაექრო, მიეჩქმალა, დაევიწყებინა. იმიტომ კი არა, რომ ერთმანეთის ყურადღებას და შეჩვევას ვიწყებდით, უბრალოდ, ვთავისუფლდებოდით ერთმანეთისაგან. საკუთარ თავთან ვრჩებოდით მარტო. არადა, მარტოობას უმეტესობა ვერ უძლებდა. განსაკუთრებით ისინი, რომელთა მეხსიერებაშიც უამრავი ცოდვებით დამძიმებული წარსული სისხლის ტბორებივით ესვენა. ამიტომ ჰაშიშს, ანდა სხვა ნარკოტიკულ საშუალებებს ღამისათვის ინახავდნენ, კვამლივით დაშლილი, მოტივტივე რომ შეჰგებებოდნენ ბნელ წიაღს. ნაწილი ადამისდროინდელი კარტის თამაშით უძლებდა ღამეს. მარადიულ მოთამაშეთა თითებში თავბრუდამხვევი სისწრაფით მონაცვლეობდნენ დამები, ვალეტები, ტუზები, კაროლები, შავთეთრი რეალობის ფერადოვანი, ხალისიანი მოწმეები.

ყველაზე საშიშ დამნაშავეებს შუაღამე ქალივით უმღვრევდა სისხლს. არადა, საითკენ უნდა დაძრულიყო სისხლის ბოროტი ნაკადები? ვისი ბუდე უნდა მოეშალა, ვისი წიაღი უნდა დაეწიოკებინა?

მამასისხლად ნაყიდი არყით ისედაც ამღვრეულ გონებას, კიდევ უფრო მეტად იმღვრევდნენ, ისედაც გაბოროტებულები, კიდევ უფრო მეტად ბოროტდებოდნენ. ცოფიანი ძაღლებივით ყმუილით გადადიოდნენ ბარაკიდან ბარაკში, თან გადაჰქონდათ გავარვარებული სიძულვილი და გავავრვარებულ სხეულებზე სიძულვილითვე გაჩენილი ოფლის ნაკადები...

გამაღიზიანებლად, ნერვებისმომშლელად გაისმოდა ავადმყოფი კბილების ღრჭიალი. ამ ხმის გაგონებაზე ახალბედებს ტანში ზარავდათ, ზოგიერთს ხელისგული უწყებდა ქავილს, ძალთა უკიდურესი დაძაბვით ახერხებდნენ სიბრაზის მუშტშივე ჩახრჩობას. უხმოდ, სართულ-სართულ ვიგინებოდით გუნებაში და ვცდილობდით მისკენ არ გაგვეხედა.

ძველებს რეაქცია აღარ გააჩნდათ, შიგადუღილი აღარ აწუხებდათ. ისხდნენ ასე, გამომშრალები, შენახული მუმიებივით, დუხჭირი ყოფისა და სისასტიკის გახევებული მოწმეები, არაამქვეყნიურები და კაცმა არ იცის, მართლა ჭვრეტაში გადასულიყვნენ, თუ არაამქვეყნიურთა როლებს ასრულებდნენ.

ზოგი. მაინც ვერ ახერხებდა, ვერ ჯაბნიდა საკუთარ თავს. სულისშემძვრელ სიჩუმეში მოულოდნელად მოქნეული მუშტით ჭახანით ტყდებოდა უკანასკნელი კბილები. თუ ღმერთი წყალობას მოიღებდა და მუშტი საბედისწერო აღმოჩნდებოდა, ნოკაუტის მწვავე წიაღში ჩაძირული კბილებმოღრჭიალე ძველი ბინადარი აღარ წარმოადგენდა საშიშროებას. ყველაფერი თავისთავად განიმუხტებოდა. გამარჯვებულს ყველა ჩუმი აღფრთოვანებით ხვდებოდა.

არაფერი შეედრებოდა ამ ჩუმ ზეიმს, ყველაზე მეტად ასეთ წუთებში ვგრძნობდი, რომ ამ მოუხეშავ, გაბი-

თურებულ ადამიანებში ცხოვრებასა და დანაშაულს ბოლომდე მაინც ვერ ჩაეკლა ავისა და კარგის გარჩევის უნარი, სიმართლის ნდომა და გამარჯვების ჩუმი, მოზეიმე სურვილი.

არცთუ ისე იშვიათად ყველაფერი უარესად თავდებოდა. კბილებჩამტვრეული რეციდივისტი მოულოდნელ მოწინააღმდეგეს კუთხეში მიიმწყვდევდა. ისე იყო ჩაფრენილი, ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა. ყველას თვალწინ კედელზე თავმიხეთქილი მსხვერპლი საზარელ ხმასთან ერთად საშინელ ლაქასაც სტოვებდა...

ყველას ზარავდა მიახლოვება, ყველა დამნაშავედ გრძნობდა თავს... დანაშაულის შეგრძნება იმდენად დიდი იყო, რომ დამბლადაცემულებივით ველარ ვბედავდით ამ არაადამიანური ყოფის შედეგად გაჩენილი კვალის მოშთობას. სულისშემძვრელად ნელა შრებოდა დამპალი კედლის აფორაჯებულ წიაღში ჩაყონილი ტვინისა და სისხლის ნარევი. თვალის არიდებით უარვყოფდით სამარცხვინო ბრძოლის ნამუსრევს. გვიან, ძალიან გვიან მქრქალდებოდა ჩამუქებული წრიული ლაქა. ნესტიან კედელზე თანდათან იბუშტებოდა მუშტისოდენა კეფის ოვალი. გაციებული, ფერშეცვლილი, ადამიანური სისხლი თავისას აგრძელებდა...

ახალი ჯაჯგურისა და გაწევ-გამოწევის დროს რომელიმეს ზურგი მძლავრად წაეხახუნებოდა კედელზე ამობერილ სწორედ იმ ნაჭდევს. დამსკდარი კედელი ერთბაშად ფქვავდა და აქრობდა საბედისწერო მოგონების თვალსაჩინო საბუთს. უთქმელი მადლიერებითვე შევცქეროდით ახალი მღელვარების მოთავეს, ასე ბუნებრივად, უანგაროდ რომ გააქრო ჩვენი მზერის ნაცრისფერი ეკრანიდან არაადამიანური ყოფისა და არსებობის შეგინებული ხატი.

მე უკვე სტაჟიან „ძველ“ ბინადრად ვითვლებოდი, მაგრამ ერთხელ, შუაღამისას, მოულოდნელად ატეხილი ჩხუბის დროს მოხდა ისე, რომ ვერ იქნა და ვერ მოვერიე თავს, ველარაფრით ველარ ჩავმშვიდდი. ჩხუბზე უფრო ჩემში მოულოდნელად განახლებულ მღელვარებას დავუდარაჯდი. აფორიაქებულმა და მუშტის ინერციას აყოლილმა ის იყო გამოსარჩლება დავაპირე, რომ ნახევრად წამომდგარს მთელი სიძლიერით მომხვდა იდაყვი მუცელში. ტკივილმა მოცელილივით დამაგდო... სასთუმალთან ალექსი მეჯდა, კი არ მეჯდა, თავისი ზორბა სხეულით ჩემს გადაფარვას ცდილობდა. მაინც მოვასწარი მოპირდაპირე კედელთან მიმწყვდეული მსხვერპლისკენ გახედვა. მერე ალექსის ვეება ტორმა გადამილესა ტუჩები და სანამ საბოლოოდ დავკარგავდი გონებას, ჩასრესილი ხმის იოგებით საკუთარ წიაღს უფსკრულივით ჩავძახე: „მორჩა, აღარ მინდა, აღარ მინდა...“ ხმამაღლა რომ დამეყვირა, ან შევიშლებოდი, ან არადა ამ დამთრგუნველი შეგრძნებისაგან ცოტათი მაინც განვთავისუფლდებოდი, ოდნავ მაინც ვიგრძნობდი შვებას. არ დამანებეს, კიდევ ერთხელ არ დამანებეს თავისუფლება!..

„შენთვის იყავ, ბიჭო, ერთხელაც იქნება დაგკლავენ ღორივით...“ — საიდუმლოსავით მანდობდა თავის უტყუარ ვარაუდს ალექსი. რანაირად უნდა ამეხსნა ამ ტეტიასათვის, რომ ასე გულეხლდაკრეფილ ყოფას ქვეყნად ყველაფერი მერჩია...

იმ დღიდან მოკიდებული დავხუჭავდი თუ არა თვალებს, ჩემს არსებაში რაღაცას თუ ვიღაცას მოთარეშე ექოსავით გადაჰქონდა არაამქვეყნიური მონანავე ხმა: „მოორჩა, მოვკვდი, აღარ ვააარსებოოოობ...“

სიცოცხლე მართლა აღარ მინდოდა. იმდენად აღარ მინდოდა, რომ თავსაც კი ველარ ვიკლავდი. „ალექსი, ალექსი, შენ რა გითხარი, რას მერჩოდი, რას მაკავებდი... იქნება...“ — ვოცნებობდი.

კარი ხანდახან იღებოდა, ხანდახან მაინც ვთავისუფლდებოდი შეგინებული სულებისა და სხეულების სულისშემძვრელი მხურვალებისაგან. გარეთ

იყო ცა, რომელსაც არ შეეძლო თავისუფლების მოცემა. ცა კიდევ უფრო მეტად მთრგუნავდა, მისი სიშორე აღარ აღმანთებდა საოცნებოდ და საიმედოდ. პირიქით, ისე არავისგან, არაფრისგან ვგრძნობდი შეურაცხყოფას, როგორც ამ ცისგან. ისე აქტიურად, უკიდეგანოდ არავინ და არაფერი მონაწილეობდა ჩემი კაცური შესაძლებლობების დათრგუნვაში, როგორც ეს ცა. მჯაბნიდა, მსრესდა, მანადგურებდა.

ცისაგან და მიწისაგან ერთნაირად დაღლილი, მოვდიოდი მძიმედ, ოცდაშვიდი წლისა, გამხდარი, ფერმკრთალი, უკბილო, უთმო. მოვდიოდი და მომქონდა თვალები; რომელთაც თურმე ჯერაც გულისამაჩუყებელი ქართული სიტყვა თაფლისფერი ერქვა სახელად. სხვა თუ იტყოდა, სხვა თუ გაიმეორებდა ალექსის ამ აღმოჩენას, თორემ მე ამ ფერის არსებობაც დამვიწყებოდა, ისევე როგორც თაფლის არსებობა, როგორც სიტკბოს არსებობა საერთოდ.

უმადური არ ვიყავი, მაგრამ ეს ყველაფერი მართლა აღარ მახსოვდა, რადგან ეს ყველაფერი იყო დიდი ხნის წინათ, ეს ყველაფერი ბავშვობაში იყო და ვიცოდი, რომ ბავშვობა მოკვდა. უფრო სწორედ მოკვდა დრო, რომელშიც ჩემი ბავშვობა უნდა გაზრდილიყო. არადა... ალექსი რომ არა, იქნებ მომავალი ისევ ყოფილიყო...

არა, უმადური არ ვიყავი, მაგრამ მაინც უსაზღვროდ მძულდა კაცი, რომელმაც მართლა გადამარჩინა, პირზე ხელი ამაფარა, მუჯლუგუნი მკრა და უაზრო ბრძოლის ველიდან სამშვიდობოს გამიყვანა. მაგრამ ალექსიმ არ იცოდა, რომ მისთვის უაზრო, შესაძლოა სხვისთვის აზრიანი ყოფილიყო, ალექსიმ არ იცოდა, რომ სიცოცხლე კი არა, ისევ აწმყო გადამირჩინა. ისევ აწმყოში, დატბორილ ჭაობში ჩამახრჩო და მიმატოვა. ვეგდე ასე გონდაკარგული, მარადიული ბავშვივით დაბერებული და თვალდახუჭული შიგნით ვტიროდი.

„რა იყო, მაგას შეეშინდა?! — შემპარავი, მოქალაჩუნო, შიშისაგან აკანკალებული ხმით იკითხა ვიღაცამ.

„შეეშინდა არა, სუ ფეხებზე კიდია, მგონი, ჩაეძინა კიდეც“... ალექსის პასუხი იყო, ალექსის ტვინნაღრძობი გონებიდან ქვებივით გადმოყრილი სიტყვები, გამუდმებით რომ ზრუნავდა ჩემზე, გამუდმებით რომ ქვას ქვაზე ადებდა და ჩემი მოჩვენებითი ძლიერებისა და შეუვალობის გალავანს აშენებდა. ალექსის მარტო ეს შეეძლო, ალექსი მარტო ეს იყო. აი ასეთი დიდი, წაბლისფერი, ჩემი თაფლისფერი თვალის აღმნიშვნელი, კეთილი, ბრიყვი, წარსულში ალბათ ძალიან მოსიყვარულე და თბილი ქმარი, მამა, შვილი, თანაც ძლიერი, ისეთი ძლიერი, ამ სიყვარულს მომავალში გააგრძელებდა, ისე გააგრძელებდა, რომ კაცისშვილი ეჭვს ვერ შეიტანდა წლობით კი არა, თუნდაც ერთი დღით რომ შეწყვეტილიყო ეს სიყვარული. აქაც, ამ სიმწირეშიც, ამ ყინვაში, ამ სიმკაცრეში ისევ ძველებურად, ისევ ბუნებრივად გრძელდებოდა მისი სიყვარული, როგორც მისივე გულისცემა, როგორც ამოსუნთქვა... ამ სიყვარულის დასტურს აქაც ეძებდა, აქაც არჩევდა. გამომარჩია კიდეც, ოღონდ რის გამო, ვერაფრით ვერ გავიგე. გამუდმებით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მიმტკიცებდა თანადგომისა და მეგობრობის ულალატო უნარს...

ალექსი ეს იყო, ასეთი იყო, ასეთი უბრალო და მართალი. ამიტომ ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ მის გადარჩენილ კაცს შესაძლოა დედამიწის ზურგზე ისე არავინ სძულდებოდა, როგორც იგი, უფრო სწორად, როგორც ალექსისეული სიკეთე. რადგან ამ სიკეთემ სწორედ იმ წუთებში შემიშალა ხელი, როცა გაცამტვერება მოვუნდომე საკუთარ წიაღში ექოსავით მოთარეშე ხმას, — „მორჩა, მოვკვდი, აღარ ვარსებობ“. როცა ერთხელ კიდევ მოვიწადინე კაცად ყოფნა, იმის დამტკიცება, რომ ცოცხალი ვიყავი, ვარსებობდი და

სანამ პირში სული მედგა, გამოსარჩლება შემეძლო. სწორედ ამ დროს იყო, მოტაცებული ქალივით პირზე ხელი რომ ამაფარა ალექსიმ. არც ტკივილმა, არც სისასტიკემ, მხოლოდ და მხოლოდ ხელმეორედ დაძრულმა ექომ დამაკარგვინა გონება.

ასე ვფიქრობდი, ასე ვაზროვნებდი და ამიტომ უკვირდა ალბათ სწორხაზოვან, ბუნებით კეთილ და გამუდმებით ამ სიკეთის დამმალავ ალექსის იმ დღიდან, თავისთავის, როცა ჩემს მტრულ მზერას წააწყდებოდა, „ნეტა რას მერჩის, რა დავუშავეო“...

ათი სიცოცხლე რომ მიეცათ ალექსისათვის, ათივეში ამ შეკითხვას დაიტოვებდა, ვერ ამოხსნიდა, ვერ უპასუხებდა. ამ სიჩლუნგის გამო მიყვარდა და მძულდა ერთდროულად. ასე გვერდი-გვერდ მიიზლაზნებოდა წლები, ასე ვბერდებოდით გვერდი-გვერდ ეს ორი „დამნაშავე“ ბავშვი და ცხოვრებაც თითქოს ერთობოდა ბედისწერით დაკავშირებული და აღრეული სიმკაცრისა და სიკეთის ამ უცნაური ჰიბრიდით.

* * *

მიწა შემპარავად რბილი იყო. იმიტომ, რომ მიწაზე წიწვები ეყარა. კვლავინდებურად მეორდებოდა, წინ მიიწევდა ბუნება. ბავშვები იცვლიდნენ კბილებს, ფიჭვები იცვლიდნენ წიწვებს. ცხრა წელმა წაიღო ყველაფერი, რისი წაღებაც შეუძლია ყველაზე ღირსეულ და ძლიერ მტერს, ცხოვრებას. სულ უფრო და უფრო ფაფუკდებოდა ფეხქვეშ მიწა, სულ უფრო და უფრო მუქდებოდა მიდამო. სადღაც, ახლოს ეძინა ჭაობს, სადღაც ახლოს ლპებოდა სიმწვანე.

დაღამდა მზაკვრულად, მოულოდნელად. აღარ გავღიზიანებულვარ, პირველად შევხვდი ღამეს, როგორც გარდაუვალ ბედისწერას. ღამესაც, თითქოს არაფრით გამორჩეულს, თითქოს ძველებურად ბნელსა და უკუნს, თავისი ჰქონდა ჩაფიქრებული. სიბნელეში აქა-იქ ანათებდნენ ტუფის პაწია ალები, გაზის მოლურჯო ყვავილები, თითქოს ჭაობის მწვანე წყვდიადში იდუმალების მდორე ფარდას უპირებდნენ ახდას. აქა-იქ ფოსფორის ცივი, მკვდარი შუქიც ჭიატობდა. და მაინც ამაზე მიმზიდველი აღარაფერი მეგულებოდა. მივდიოდი და აღარ ვიცოდი, უფრო სწორად, აღარ მინდოდა მცოდნოდა, რომ ეს სილამაზე დამღუპველია, იმდენად ვიყავი დაღლილი გამუდმებით ამაზე ფიქრისაგან, დათრგუნული ეჭვებისაგან.

გარკვევით მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ყველაფერი მორჩა, გათავდა, სულერთია. ქვეშეცნეულად იმასაც ვგრძნობდი, მარტო ამის ცოდნით ვეღარ ვივლიდი ამ ქვეყანაზე. არაფერი ისე არ მამძიმებდა, მთრგუნავდა და წელში მწყვეტდა, როგორც საკუთარი სიცარიელის შეგრძნება; საკუთარ არსებაში უკვე ძალას კი არა, იმ ავტომატურად ჩართულ გონებასაც ვეღარ აღვიქვამდი, რომელიც წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ტრიალებდა ჩემი გადასარკული ყოფის უღიმღამო ზედაპირზე, ამ უზარმაზარ ფირფიტაზე და ნემსის წვერით კაწრავდა ერთი და იმავე სიტყვებს: „დროებითია“, „კრიზისია“, „დროებითია“... ვიცოდი, რომ არ შეიძლება ამდენხანს იყოს დროებითი, სულ დროებითი, განუწყვეტლივ დროებითი. დავიღალე ამ დროებითისაგან, განუწყვეტელი მოლოდინისაგან, გამუდმებული სიფრთხილისაგან, ბრძოლისაგან, თვითდამკვიდრებისაგან. გამოვშრი, გამოვიფიტე...

უკანასკნელი იმედიღა ბჟუტავდა. იმედი, რომ შემეძლო აი ასე, ღამის სიბნელეში, ჭაობის სიმდოვრეში, ღირსეულად, დაუნანებლად, ვაჟკაცურად მეთქვა სიცოცხლეზე უარი. რადგან ამ სიცოცხლეს, ჩემი ღრმა რწმენით, აღარავითარი ფუნქცია და დანიშნულება აღარ გააჩნდა. რადგან ეს სიცოცხლე თითქმის აღარაფრით განსხვავდებოდა ტაიგის ტრამალებში მოხეტიალე მგლის სიცოცხლისაგან, გამუდმებით რომ მტრობდა სისუსტეს ბუნებაში, გამუ-

დმებით რომ ანადგურებდა მშვენიერებას, გამუდმებით რომ შიოდა და გამუდმებით რომ იბრძოდა, რომ არ შიებოდა. მეტი არაფერი, მეტი სულ არაფერი — ეს იყო სულ მისი საბედისწერო მგლური არსებობისა და შესაძლებლობების თავი და ბოლო.

არ მინდოდა მგლობა, კაცი მინდოდა ვყოფილიყავი. კაცად დარჩენას კი, აღმოჩნდა, რომ გაცილებით თავგამეტებული ბრძოლა, მუდმივი მზადყოფნა და სიფრთხილე სჭირდებოდა. აღარ მქონდა ამისი ძალა, აღარ გამაჩნდა ამის უნარი, რადგან სითბოსათვის, სიკეთისათვის, სიყვარულისათვის განკუთვნილი აქტიური წლები (რომელიც ადამიანს ერთხელ ეძლევა ცხოვრებაში) აქ გავატარე, ამ ნახევრად ველურებში, იმედგაცრუებულ, მოტყუებულ, დამორჩილებულ, დამონებულ, გამგელებულ და გაბითურებულ ადამიანებში. მეგონა, რომ აღარ შემეძლო ადამიანობა, ამიტომ დროზე მინდოდა მომხდარიყო ყველაფერი, კაცად მაინც მოვმკვდარიყავი. დროზე, სანამ საბოლოოდ დავიშრიტებოდი, გავველურდებოდი.

მივდიოდი ღამეში, მივდიოდი სიბნელეში და უკვე ვიცოდი, რომ გ ა დ ა ვ წ ყ ვ ი ტ ე. მიხაროდა, რომ გადავწყვიტე. და სანამ საბოლოოდ შევდგამდი ფეხს ჭაობის წიაღში, სანამ საბოლოოდ გამოვეთხოვებოდი სიცოცხლეს, ისევ სიცოცხლისაკენ, ისევ ცისაკენ გამექცეოდა თვალი. ამ თვალის გაქცევას მაინც ვერსად გავექცეოდი. ამჯერად ცაც მოწყალე იქნებოდა, რადგან ცა ისევ უვარსკვლავო, ისევ უმნათობო, ისევ უკუნი და ბნელი დამხვდებოდა. ცას არ ექნებოდა გარიჟრაჟის სუსხი და ფერი და ამიტომ გაიოლდებოდა სიკვდილიც...

მივდიოდი მიზნიანი, მიზნით გამხნევებული, რაღაცნაირად საცოდავად, განწირულად გაძლიერებული, რადგან ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება საკუთარი ღირსების გრძნობას ზრდის ადამიანში. მივდიოდი უკვე თითქმის მკვდარი, ამიტომ ისე, როგორც არასდროს, ღირსეული.

ახლოვდებოდნენ, ხშირდებოდნენ ტუფის ალები. წყვდიადში აქა-იქ იელვებდა ხოლმე მიწის პაწია მონაკვეთი. აღარ მაშინებდა ჭაობის ნალმი, ერთი სული მქონდა დროზე გამომცლოდა ფეხქვეშ ნიადაგი. აჩქარებით მიმავალმა რაღაცას წამოვკარი ფეხი. ტერფიდან ხავსიანი ბელტის უცნაური სითბო მომაწვა და თხიერმა ყრუანტელმა დამიარა ტანში. რაღაც გაურკვეველმა გრძნობამ შემზარა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ჭაობის შემოგარენს ძველისძველი, ხავსმოკიდებული მიწა სულიერივით დარაჯობდა. ახლა უკვე ბოლომდე გადავდგი ის შეყოვნებული ნაბიჯი. ჩემი მარჯვენა ტერფი მთლიანად დააწვა ხავსის გუნდას და სანამ მეორე ფეხითაც შევდგებოდი, სისხლი გამეყინა. ცალკე, გარეთ, გამოყოფილად კი არა, შიგნით, ჩემს არსებაში მოკალათებულიყო ვიღაცა. აშკარად გავიგონე კვნესა, მომაკვდავივით კვნესოდა, ადგილს აღარ ტოვებდა, სისხლძარღვები ამ კვნესას ამოევსო. ეს არ იყო ტკივილის კვნესა. ეს უფრო შეურაცხყოფით გაჩენილი, უენო სევდა და წუხილი იყო იმის გამო, რომ არად ჩააგდეს, ვერ შეგამჩნიეს და ამიტომაც ფეხითაც შეგდგნენ. ეს იყო გასასრესად გამზადებული სიცოცხლის უკანასკნელი ამოხავილი. რაღაც წამებში თუ წამის მემილიონედ ნაწილში გავიცნობიერე ყოველივე და გულშეძანებული უკან რომ გადავხტი, წავიქეცი.

ცის უკუნში ამოვლებული, გულაღმა ვეგდე, გაფაციცებით ვაყურადებდი რაღაცას. ქვევით, ფეხებთან ის რაღაცა ფუთფუთებდა. მდორედ, საცოდავად მოფუთფუთებდა და ისე ახლოს იყო უკვე ჩემთან, რომ მისი სხეულიდან გადმოსული სითბო მათრთოლებდა, სუნთქვის რიტმს მირღვევდა. საშინლად დავძაბე მზერა, იმდენად საშინლად, თვალის ჭრილთან მიბჯენილი გუგები კინაღამ დამისკდა. „ნეტა ვინ

არის?“ — ზუსტად ასე გავიფიქრე — „ვინ?“ ერთი წამითაც არ დამიშვია, რომ სულიერზე „რა“ მეკითხა. ვეგდე გასუსული, სისხლგაყინული, გულაფეთქებული. მოფუთფუტებდა ჩემსკენ ფეხადგმული ხავსის მოზრდილი ბელტი... წამოდგომას ველარ ვბედავდი, ოღონდ ეს კი იყო, წამოდგომისათვის განკუთვნილმა საჭირო ძალამ მიწაზევე მომრკალა, მომკუნტა. ვიწექი ასე გასუსული, მარჯვენა მხრით, მარჯვენა მკლავით, მარჯვენა საფეთქლით მიწას მიყურადებული, შეზრდილი, რაღაცნაირად მომლოდინე, შიშნაჭამი სიხარულის გახევებული მოწმე. ვიწექი ჭაობის შემოგარენის უკანასკნელ წრესთან, ბოლო საზღვართან, რაღაც სასწაულით მდორე წიაღს გადარჩენილი. წამით კი არა, სამუდამოდ შეყოვნებული. უკვე მოსულიერებული, უკვე გონსმოსული, გადარჩენილი...

მოფუთფუტე ხავსის ბელტმა კი ამასობაში გაარღვია ჩემი სხეულით შექმნილ წრედში ყველაზე სუსტი სრუტე. მისთვისაც ბნელოდა, ამიტომ თვალით კი არა, გუმანით მიაკვლია, მოძებნა ის სივრცე, წრეში შეღწევის შესაძლებლობას რომ მისცემდა. ეს იყო კარი, ღიად რომ დარჩენოდა მოდრეკილ ტანს. იძალა, თავსა და მუხლებს შორის დარჩენილ სივრცეს, როგორც იქნა, დაუძვრა, შუაგულში შემოაღწია. ერთიორჯერ კიდევ შეინძრა (შეტოკდა), თითქოს საბანს იკეცავსო ისე და ჩამშვიდდა. ფერდთან მოწოლილი სიცოცხლის ტალღა ვიგრძენი. აღარაფრის თავი აღარ მქონდა, აღარაფერი შემეძლო, ისე ვიყავი სიჩუმის მოსმენით დაღლილი, უკუნთან ბრძოლით ნაგვემი... ნაბრძოლსა და გადარჩენის თავზარდამცემი სიხარულით მადლიერს, მოულოდნელად ჩამეძინა. ისიც გაყუჩდა, ალბათ იმასაც ჩაეძინა,სხვის სიცოცხლეს ჩემს თბილ ფერდთან.

უკუნი იწვა ცაზეც, მიწაზეც. უკუნთან ერთად მიწაზე მეც ვიწექი, მოზღუდული, აუთქვეფავი, ირგვლივეთს, ბნელეთს გამოყოფილი, იქვე ახლოს სუნთქავდა ჭაობიც, უკმაყოფილო, უხასიათო, გაღიზიანებული იმით, რომ ზედ მის საზღვართან, ზედ მის ცხვირწინ ჩანასახივით ეგდო ზრდასრული კაცის სიცოცხლე და ამ სიცოცხლეში, როგორც დედის კალთაში, იწვა მეორე სიცოცხლე, თბილი, მანუგეშებელი, მიმნდობი, სითბოსა და ზრუნვას დახარბებული...

მსუბუქ სიოს ნელიად მოჰყვებოდა მთვლემარე ჭაობის წიაღიდან წამოყოლილი ლპობისა და კვდომის ნაზი სურნელი. ჩაძინებულს, იქნებ მთვლემარესაც, ერთადერთი სურვილი მქონდა. კი არ მქონდა, მაწუხებდა — ამ თავბრუდამხვევი სურნელისგან როგორც ბინა, ისე მინდოდა გამენიავებინა საკუთარი სხეული.

* * *

ბნელი ღამე ელოდა... ყველაზე გრძელი ღამე. წყვდიადის სიღრმეში წამდაუწუმ დედდებოდა შუაღამის ვეება ნაფლეთები. წამდაუწუმ ელანდებოდა ვეება, ზორბა ტანი, ლაწალუწით რომ გადმოივლიდა გარდიგარდმო ჯვარედინად გართხმულ ტოტებს. შემოაღწევდა ბუნაგში, შემოიტანდა ტყის სუნს, საჭმელს, სითბოს...

შუაღამე გადადიოდა... დედა არ ჩანდა... შეციებულმა ველარ გაუძლო. თვითონ გამოვიდა ჯერ შესახვედრად, მერე საძებნად. გამოვიდა, მიატოვა ჯერ ისევ მთვლემარე ჩვილი ბრმა ძმები. თვითონაც ბრმად აჰყვა წყვდიადის სუსხს. საწყალობლად აძაბძაბებული, განწირული, დედის ალერსს მოსურვილებული. კრუსუნით, ოხვრით მოიარა შემოგარენი, ყნოსავდა თითოეულ ხის ძირს, თითოეულ ბუჩქს, გირჩებს, წიწვებს... აღარსად იყო დედა... გაწბილებულს აღარ შეეძლო, აღარ უნდოდა უკან მიბრუნება...

ჩემი არ იყოს, ესეც ჭაობისაკენ წამოვიდა იმ ღამით, ამანაც სიკვდილისაკენ აიღო გეზი, თავისი მხეცური დარდით, გუმანით ესეც აქაურობას

წაეპოტინა... თვითგადარჩენის ინსტინქტმა კი ჩემსკენ, ჩემამდე მოიყვანა... ჩემს ფერდს მიადო იმ ღამეს დაობლებული თავი და მისი მოდგმისათვის უჩვეულო მიმნდობლობით ჩაეძინა...

სიზმარში დედა ნახა, თაფლივით მძიმე, საყვარელი. ჭაობს გაღმა დაძუნძულებდა წინ და უკან, რაღაცაზე გაბრაზებული. ბელმა აქედან დაუძახა „დედი, აქ კაცი წევს, მე შენთან მინდა". დედა უკანა ფეხებზე წამოიმართა ადამიანის დასანახად, თვითონაც გოლიათ კაცს დაემსგავსა. მერე მარჯვენა თათი გამაფრთხილებლად ასწია და — „აქეთ არაო" — ანიშნა. „ნუ გეშინია, მანდ დარჩი, კარგი კაცია, არაფერს გავნებს"...

ბელმაც დაუჯერა, დაიმახსოვრა...

გათენდა და უკვე ჩემს ხელში ატატებული კანკალებდა, თრთოდა...

ნუ გეშინიამეთქი — ჩუმად ვუთხარი.

„არ მეშინია, მცივაო" — გუნებაში მიპასუხა. გულში ჩავიკარი და დასამშვიდებლად კიდევ უფრო მეტად შემოვხვიე მკლავები.

ჩემი ესმისო — გაუხარდა ბელს, თანაც გაუკვირდა და მენდო.

ის დღე და ის დღე, მომეკედლა, მომეჩვია, მისთვის, ალბათ, ძალიან უცნაურ, ორფეხზე მოსიარულე თბილსა და კეთილ დედისნაცვალს...

„მოდი, მოდი, მოდი" — უკან-უკან მივდივარ სწრაფად, თამაშ-თამაშით და მაინც თითქოს კი არ ვართობ, კი არ ვეხუმრები, თითქოს მართლა მინდა, აქაურობას რაც შეიძლება სწრაფად გავაცილო, თითქოს მეჩქარება სილრმეში, სიმწვანეში შევიტყუო ეს პატარა, ჩურჩუტი არსება. კი არ შევიტყუო, გავაგებინო, რატომ არა ღირს ამათთან დარჩენა. სამშვიდობოს მინდა გავიყვანო...

ნახევრად მოხრილი ხელები წინა მაქვს გაშვერილი. ჰაერის პაწია ტალღებს სწრაფსწრაფად ვეზიდები პეშვებით, თითქოს ვცდილობ მოძრაობით მაინც დავაინტერესო ჩემს წინ მდგარი პატარა არსება. არადა, ამ სანახეროდ შეკრულ მუჭაში არც შაქარი მაქვს, არც სხვა ნუგბარი, ისე რომ უყვარს მის ძველისძველ მოდგმას.

„მოდი, მოდი პატარა, მოდი სიცოცხლე, მოდი, მოდი.." — უკან-უკან გავრბივარ. ესეც მომდევს ხალისით, ბანდალ-ბანდალით. თამაშით მოგვრილ სიხარულში ერთიანად ამოგანგლული. მეჩვენება, რომ ხანდახან მაინც გეშს აიღებს. გაყუჩდება, ხანდახან ისევ ახსენდება უდედოდ რომაა დარჩენილი, ამ ცის, ამ სტეპის, ამ სასაცილოდ მორბენალი კაცის ამარა. შეჩერდება საკუთარი ბავშვობის, საკუთარი ბელობის შუაგზაზე. გაინაბება, გაიტრუნება. თითქოს თავს აიძულებს — დამძიმდი, იეჭვიანეო. ეჭვიანობს კიდეც სკასავით აზუზუნებული მისი ბელური თავი — „ეი, შენ, შტერო! რო მისდევ, სად მისდევ, თამაშია ეგ? სიყვარულია? იქნება ხაფანგია, იქნებ გერჩიან, იქნებ რალაცას კიდევ გიმზადებენ ეგ ორ ფეხზე მორბენალი ცხოველები... მერე რა, რომ ჯერ პატარა ხარ... ხომ გადის დღეები, ხანი ხომ გემატება, შენც ხომ იზრდები... მაშ რად არ ფიქრობ, სად გარბის კაცი, რო მისდევ, სად მისდევ?.."

„მოდი, პატარა, მოოდი, რას გაჩერდი... გამოიქეცი, ისწავლე სირბილი, ნუ ჩერდები წამდაუწუმ, შე ზარმაცო, შენა... მოდი, ნახე რა მაქვს შენთვის გადამალული... ააა! იკადრე? დაგაინტერესა არა?..."

უკულმა აღარ გავრბივარ, აღარც ხელები მაქვს მისკენ გაშვერილი. შუა თამაშში მივატოვე, ნახოს, როგორია უნდობლობა. ჩემთვის მივდივარ ვითომ ნაწყენი, სიყვარულით, სითბოთი, სილბოთი, სიცოცხლით, სინაზით სავსე, ამსუბუქებული. ესეც მომდევს ძუნძულით, ნდობით, პატივისცემით...

გადიოდა დღეები. იზრდებოდა. ხანდახან ისევ შეჩერდებოდა, ასწევდა დანამულ, თბილ დრუნჩს, გაყუჩდებოდა. კაცის გვერდით ამდენხანს ნამყოფს, კაცივით ფიქრი ესწავლა, ეჭვიანობდა — „მართლა ვუყვარვარ, მა-

რთლა თამაშია?“ მერე თავისთავს კაცივით უწყრებოდა — „ფუი, შენს ბელობას, შეგირცხვა ნამუსიო“...

ისევ მივრბოდით, მივდევდით, ერთმანეთს. ესეც პატიმარი, მეც პატიმარი, ესეც უბედური, მეც უბედური, მაინც გადარჩენილები, მაინც წყალობამილებულები, ბედის მადლიერები, მაინცდამაინც იმ ღამით რომ გამოგვიყვანა ორივე ჩვენ-ჩვენი გათოშილი ბუნაგებიდან, მაინცდამაინც ერთმანეთს რომ შეგვახვედრა და ამ უცაბედმა გადაწყდომამ გადაწყვიტა კიდეც თითქმის გადაწყვეტილი ჩვენი ბედი. აღარცერთს აღარ გვქონდა სიკვდილის უფლება (თუ სურვილი?), ორივეს უნდა გვეცოცხლა, ერთმანეთი გადაგვერჩინა.

როგორც გვალვაში ჯუფთა ღრუბელი, ჩვენს წინ იდგა ორი იმედი. ერთი — ბელური ყოფიდან დათვად ქცევის იმედი და მეორე — გაურკვევლის, მაგრამ სიტყვა „მომავლის“ სინათლით გაშუქებული გზა.

მომავალი მართლა შორს იყო: „ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო“... მაგრამ მაინც იყო, ნამდვილად იყო. და მე მეჩქარებოდა უკვე მზით გაჩახჩახებულ ქვეყანაში, მზის იმედად დარჩენილ ქვეყანაში დაბრუნება. რადგან აღმოჩნდა, რომ კიდევ მახსოვდა, კიდევ შემეძლო ადამიანურ ენაზე ლაპარაკი — „ჩემო სიყვარულო, ჩემო სიცოცხლე, ჩემო პატარა...“ ეს სიტყვები თუ აქ დათვის ბელს დასტრიალებდა აბეზარი კრაზანებივით, იქით, იმ მზიან ქვეყანაში უცხო მხრის პეპელასავით ჩვილს ყიფლიბანდზე დააჯდებოდა (სულ ერთია, ბიჭი იქნებოდა, გოგო იქნებოდა. თუ ბიჭი გაჩნდებოდა, დათოს დავარქმევდი, დავითისა და ამ დათვის სიყვარულით. თუ გოგო — თათიას, იმასაც ამ ბელის სიყვარულით, მადლიერების ნიშნად), მუხლს გაუმაგრებდა, ფეხს აადგმევინებდა. ამ სიტყვების სითბო და ანდამატი ბაგეს გაუპობდა, აუქავებდა ოდნავ შესიებულ ღრძილებს. წყვილ-წყვილად ამოჭრიდნენ, ამოხეთქავდნენ კბილები...

მომავალი ამ წყვილად ამოჭრილი შუქივით სუსტად ანათებდა, ისე, თითქოს რძეში ჩაგდებული სხივი წვალობდა, ბურუსიდან თავდაღწევას ცდილობდა.

გავრბოდი ისევ, ხანდახან მივუბრუნდებოდი, შეუმჩნევლად გავუშვერდი მარჯვენას, მივიზიდავდი პეშვით ჰაერის პაწია ნაკადებს.

„მოდი, პატარა, მოოოდი...“

მომდევდა ბელი, გათამამებული, ჩემი ნებიერი, ყველაზე თბილი. მომდევდა და მადლობას ვწირავდი გუნებაში ჩემში ჩაძირული ამ სიტყვებისათვის, ამ უნარისათვის გამოგლოვილი რომ მყავდა, მკვდარი რომ მეგონა. მივრბოდით ორნი — დათვი და კაცი და ვგრძნობდი, რომ ამ უფერულ, გათოშილ გარემოში, საცა მალავდნენ თბილ სიტყვებს და შებინდების გარდამავალ ფერს, ჩვენ ვგავდით სხივებს, ბუნაგიდან მოულოდნელად თავდახსნილებს. გაუფრთხილებელი, ბრმა სისწრაფით მივიკვლევდით წყვდიადში გზას და უკვე იქით ვეძებდით სასოწარკვეთის პირზე მისულ გზააბნეულ მგზავრს. გულუბრყვილოდ გვწამდა, რომ უკანასკნელ წამებში იმედის პაწია ნაპერწკლებით მაინც გადავულობავდით გზას.

* * *

ელვისუსწრაფესად გავარდა ხმა — ქალი ჩამოვიდა!

დაუწერელი კანონის თანახმად, ამ სიტყვას უკვე რახანია აღარავინ ხმარობდა. უხერხულობას იწვევდა მისი ხმამაღლა ხსენება, რადგან ამ სიტყვის მიღმა დარჩენილი ერთ დროს სანატრელი, სანუკვარი სხეულის კონტურს უკვე დაეკარგა რეალობა, კონკრეტულობა. ოდესღაც სახიერი, უბიწო, ფორმადღა ქცეულიყო, სხეულგათქვეფილს და გადამწიფებულს, ლპობა დაეწყო...

და მაინც, დასახლების რუხ საფარქვეშ ასობით ერთმანეთზე მიყრილ მამაკაცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთბაშად მოუარა შეურაცხყოფის განცდამ, ერთბაშად გააქრქოლა, აფორიაქდა. ნაგაზივით კანაჯაგრულებს, მოზღუდვა და განცალკევება მოუნდათ.

არცერთს არ უფიქრია ამ დროს, რომ ჩამოვიდა ქალი და არა ქალები, იმდენად იყო თითოეული დარწმუნებული, იმდენად მისი იყო უკვე წარმოდგენაში ის ერთადერთი ქალი, მხოლოდ მისი და არა სხვისი... სულერთია, რა ფერის, რა ასაკის, რა ხნის, რა რჯულის... ოღონდ ნამდვილი.

ქალის ხსენებაზე რატომღაც ავალიშვილების თოვლიან ეზოში გადაფერდილი კარალიოკის ხე გამახსენდა... ქათიბიან შტოთა აყურში მთვარესავით ანათებდა ერთადერთი კრიალა ნაყოფი... შიგნით, სიღრმეში ნაყოფის გულივით მკვრივი, ყავისფერი გოგო იცდიდა.

ეს სურათი თავისთავად გამოჩნდა თვალსაწიერზე, თავისთავად გადმოსცურა ნისლოვანი მეხსიერების შეციებული სანახები, გადმოიარა მთები, ზღვები, იქნება უფსკრულებიც. უკან მოიტოვა ჩაბერებული წლოვანების სახსარატკიებული მარწუხები და ასე ხელუხლებელი, ძველისძველი და ნორჩივით კრიალა ყვითელი სითბოთი მეახლა ამ დასაქცევში.

ეს მხოლოდ სურათი იყო, თვალსაწიერზე ხელახლა დახატული კი არა, აღდგენილი. ამიტომ არ გამჩენია არავის და არაფრის მიმართ მადლიერების გრძნობა, პირიქით, ქალის ხსენებაზე ისევ გამიმძაფრდა საკუთარი არარაობის განცდა. ჩემს წარმოდგენაში ჩამოსული „ნამდვილი ქალიც" ისევე მშვიდად, გულგრილად და ცივად ეგდო, როგორც ის ყვითელნაყოფიანი სურათი თოვლში. ეგდო და არაფრის აფორიაქება, ამღვრევა, ანდა სულაც გაღიზიანება არ შეეძლო.

ჯუჯა ბარაკებში შებინდებამდე ჩაიკარგა ღელვით მოგვრილი თრთოლვა. ქალის სალუქი სხეულის ოვალი ახლა უკვე წყალივით მდორედ გადადიოდა ხელიდან ხელში, ბარაკიდან ბარაკში, ფიქრიდან ფიქრში, განცდაში, შიმშილში, მოლოდინში...

„ქალი ჩამოვიდა" — გაფერმკრთალდა ელდის ნათება. ჩაიშალა, ჩაიფქვა ცის სანახებში ატეხილი გრგვინვა, გრუხუნი, ჭექა-ქუხილი...

კაცებშიც რაღაც ჩათბა, ჩამტკნარდა, მოდუნდა. ერთბაშად შემცბარებმა აღმოაჩინეს, რომ ეპოქალური მოვლენა — „ქალი ჩამოვიდა" — სულ რაღაც რამდენიმე საათში ისევე გაცვდა და გაჩვეულებრივდა, როგორც ყველა და ყველაფერი დამნაშავეთა სამყაროში. სუნთქვაშეკრულებმა ისევ თავიდან დაიწყეს სუნთქვა, ჩვეულებრივად, უაზროდ, უინტერვალოდ, ზომიერად, ნეიტრალურად. აღარ სჭირდებოდა ყოველი მათგანის სუნთქვას ძახილის ნიშანი. არც ოხვრა, არც ფშვინვა, არც ალტყინება... ეს უკვე სუნთქვად იქცა, ყოველდღიური, შეჩვეული. პურივით სველი, მათლაფაში ჩარჩენილი მაკარონის მატლივით მოტივტივე, ჩვეულებრივი, რომელსაც გემო არ უნდა გაუსინჯო, ისე უაზროდ, დაუყნოსავად, პირდაპირ უნდა უდურთო ხახაში. რა დროს სურნელებაზე და სიმწვანეზე ფიქრია. თუ ასე მოეშვი, უჭმელი დარჩები და შეციებული კუჭიც აგიჯანყდება. აქ ორი რამ დარჩენილა თავისუფალი და პატივსაცემი — ფიქრი და კუჭი.

ჩამოსული ქალიც დააპურებს მოშიებულ კაცებს და სტეპივით გადამწვარი ფიქრის ხრიოკშიც კიდევ ერთხელ ააბრიალებს (სულ ცოტა ხნით მაინც ააბრიალებს) იმედის კოცონს.

აგერ უკვე მესამე დღეა ქალი ჩამოვიდა. „ნამდვილი ქალი", „მაგარი ქალი", „გიჟი ქალი", „მხეცი", „საშიში", „გამსწორებელი"...

სამი დღეა ნათრევი კატებივით დაიძურწებიან ეკლოვან მავთულხლართებში სქესალრეული, ფერწასული, ბაგესველი ბინძური კაცები. „ნამდვილ ქალს ტალღოვანი თმა ჰქონია, სხეულიც ისე უღელავს თურმე, როგორც

ხშირი თმის უსიერი ტალანები. ნამდვილ ქალს ტალღოვანი თმა ჰქონია“.

გამდიდრდა იაგორა, ღამის გუშაგი.

„ცხელ მაშაში ეს შობელძაღლები არაყივით ბევრ ფულს მიხდიან. სხედან და საათობით იხვევენ ქოჩორს ეს გაქუცული ნაბიჭვრები. „ზავივკით“ უნდათ გაეჯიბრონ იმ თეძოების ბატონპატრონს“... — თან შაქარს კვნიტავს, თან სამოვრის მოშლილი ონკანიდან გადმოსული მდუღარეთი თითებს იფუფქავს იაგორა, მოჭუტული თვალებიდან ბილწადწებოვან მზერას (წელავს) აპარებს ცოლისაკენ. დამდუღრულივით შესიებულ, აჭარხალებულ ცოლს ეგლა აკლია, ბებერ ქმარზე იეჭვიანოს. რახანია ვნებადაკარგულს თავისი გაუმაძღარი ახალგაზრდობის მსუყე-მსუყე ცოდვები ახსენდება, ატკრციალებული, აცეტებული უშნოდ, ვითომ გოგოსავით, აგულიანებს ქმარს:

— მერე, მერე, ის როგორ იყო, რო მიბეგვა ეგ თქვენი...

— მიბეგვა რომელია, ისეა ფერდებაზელილი, მთელი ღამე სისხლი არწყია...

— ეჭვიანობა წამოიწყო, არა?

— მერე როგორი... გაიპუდრა და ისეთი ისტერიკა ატეხა! იცოდე, იმ ქალს თუ მიეკარე, ვენებს გადავიჭრიო... ჩოლოხამ ძლივს წაართვა სამართებელი, მერე სულ წიხლებით შედგა მურდალ სხეულზე. ეს კიდევ ღრიალებდა თავისი პედერასტული ხრინწით: „რათა კაცო, ერთგულებისათვის? სიყვარულისათვის?... ხა ხა ხა ხა, სიყვარული მომინდომა გვრიტმა...

რა დროს გაპუდრულის სიყვარულია, როცა ნამდვილი ქალი ჩამოვიდა, მესამე დღეა ჩამოვიდა. გააჯანსაღა, გამოაცოცხლა, შეაფაქიზა აქაურობა. თუ ეგრე არაა, ეს კაქტუსოვანი ყვავილები საიდანღა გაჩნდა შემოგარენში, პაწია ეკლებით ლამაზად რომ ირქინებიან...

ნამდვილმა ქალმა იაშა ბარხატოვის ზამთრის ცრემლში ანაზელი ცომიც მარგალიტებივით ჩამოიკონწიალა მკერდზე. ისე მოიხდინა პურის ფქვილისაგან გამოჩეკილი ბურთულები, იაშას იმედი მიეცა ოცნებისა და ერთგულების. ნურას უკაცრავად, ნამდვილ ქალს ნამდვილი დოხტურივით უჭირავს თავი. არავითარი გამორჩევა პაციენტების, თითქოს ფულის საკეთებლად კი არა, ხალხის სამკურნალოდ იყოს ჩამოსული. სითბო ყველას აკლია, ყველას შველა უნდა, ყველა მარტოა, ყველას ერთნაირად უჭირს..

არავითარი რჩეულებიო?! — გაცოფდნენ ყოჩები, როგორც „აკულას“, ისე „შიბზიკასო“... ქალმა კიდევ, ცეცხლზე ნავთიო, რომ იტყვიან, ადგა და პირდაპირ ბარაკებზე მითხაპნილი ნუმერაციით კექსივით დაიწყო სხეულის ჩამორიგება.

ზოგიერთები ისე აალელვა ამ დემოკრატიზმმა, ქვესკნელში კაცი აფრინეს, ტალახისფერ ქოთნებში ჩარგული ბალბები აშოვნინეს. გაფცქვნეს მცენარე, ფოთლების მჟაუნა წვნიანით უმასპინძლეს, ხოლო ბალბის ყვავილებისაგან შეკრული პაწია სისხლოვანი კონა გულისჭრილთან მიამაგრეს ნამდვილ ქალს...

„აირია მონასტერი, ბალაგანად იქცა ნაცრისფერი დასახლება“—თავისთვის იმეორებს უფროსებისაგან განაგონს იაგორა, თავისთვისვე ასწორებს მათ ნათქვამს ფიქრში: „ხელმძღვანელობას ფერებში ერხევა, რუხს რო ნაცრისფერს დაუძახებს. რუხი საცაა ჩაშავდება და იფეთქებს, ნაცრისფერს აფეთქება სად შეუძლია“... დასახლების უფროსი აღულებულია: „დროზე გაათრიეთ ეგ ნამდვილია თუ ტყუილი, ცხვარივით მშვიდი ბიჭებიც კი გადამირია მაგ ჯოჯოხეთის კახპამ. „აზიზოვი აღულებულს ემუქრება, კასრისხელა მუშტებს ცხვირწინ უტრიალებს: „კიდევ ერთი აუგი მაგ ქალზე და საცოხნელად გაჩენილ ბებერ კბილებს ცხელი მაშით დაგაძრობ, იცოდე!„

— შენ არა, აზიზჯან, შენ არ გეხება... მაგან თუ შენი გულის კამჩატკასაც ძვრა უყო, მართლა ნამდვილი

ყოფილა და ეგ არი... ორი კვირით კი არა, თუ გინდა სუ შენთან ერთად ჩავაბერო აქ...

— აქ ჩალპობა შენ მოგიწევს, შობელძაღლო, მე ჩემდათავად აქ დარჩენას არ ვაპირებ...

— ეშმაკის მოციქულიო, ტყუილა არ უთქვამთ ქალზე, რას არ დააცდენინებს კაცს!..

— რაღაც ვერ გაგიგე, უფროსო...

— ბარემ დღეც გაუმხილე შენს ტურფას და „ახრანკას" მოგიხსნი, უფრო იოლად რო გადაფრინდე ლობეზე, ჩიტო!...

— გასაქცევი მე რა მჭირს, ბებერო, აქაც და იქაც ქურდად ვზივარ. იმდენ „იკრას" და ორაგულს ვთოხლავ, რომ არ მოგლანდებია ერთად.

— ჰა, მოგენატრა თავისუფლება, მზიური ქვეყნის შვილო...

— ჩემი ქვეყანა რა შენი სახსენებელია, მკვდარო, მზე არ გინახავს, რა ფერისაა!

— შენ ხო მაგრა შეიფერე ზღვა და ქალები...

ზღვისა და ქალების ხსენებაზე აზიზოვს „ლომკები" ეწყება. არადა უფროსი მაინც უფროსია, გინდა დასახლებისა იყოს და გინდა... ხელი არ უნდა ახლო, ძვირად დაგიჯდება. მეტი რა ჩარაა! სატრფოს ნაჩუქარი ჩინური ბებუთით ბარძაყებს იჯიჯგნის აზიზოვი. სპირტიანი დოლბანდებით „პეშკები" ქვედა კიდურებს უხვევენ. ყვითლები ჩიბუხს უტენიან, თან ხვეწნით კისრებს ილადრავენ: „ხუთი წუთიც რა, აზიზ, ძვირფასო, ხუთი წუთიც და შენი მირაჟიც დაიწყება". აზიზოვი თუ გადაირია, ჩიბუხის ორმო რას ეყოფა, ცხენის დოზანა მაინც უნდა იყოს... დატენვას ველარ აუდიან აზიელები... „ნამდვილი ქალის" გარდა ვერაფერი დააწყნარებსო... ცდა მაინც ბედის მონახევრეა, ერთხელაც მივაწოდოთ... გაჭრა ანდაზამ. როგორც იქნა, ჩაითრია ჩიბუხის ბნელმა ხახამ აზიზოვის ამღვრეული თვალები. ცისფერმა კვამლმა გადაუნისლა ვეებერთელა თეთრი გუგები. გადათეთქვილ სახეზე ბარმენის იოლი ღიმილი პეპელასავით დააჯდა.

— მგონი გვეშველა — ამოისუნთქეს „პეშკებმა".

— პლიაჟზეა გასული — დაასკვნა ხილვების ამხსნელმა...

—მაგას ერთი საქსაფონი ან კლარნეტი ყურის ძირში და წავიდა კაიფი...

— მერე აქ შავი რისთვისაა, აბა, ჯაზმენ, აგვილილინდი...

— ბებოშენისამ, სუ ამსტრონგი გილილინებდა აკვანთან...

— ააა, მურდალო, სუ კი არ იკაიფებს, ერთხელაც იქნება გამოფხიზლდება...

— გამოფხიზლდება და რიგიც მოუწევს!..

„რიგიც მოუწევსოოოო", ისეთი ხორხოცი ატყდა, გაბზეკილი გისოსები კუზებად დაასხდა ფანჯრებს.

— ისე, ძაან თავის ხუშტურებზეა ეგ „ნამდვილი"...

— ჰო, გაუტია მე და ჩემმა ღმერთმა.

— გაჭირვებას რა უთხარი... „თოხლოს" მერე მაგის ჩახუტება...

ისევ ახორხოცდნენ, აყაყანდნენ, ისევ გაეხსნათ მადა. სუ სართულებიანი ბილწტკბილები ამოსდით პირიდან. ღმერთმა უწყის, მარტო ენით იგინებიან თუ გულისგულშიც ასე ფიქრობენ. რას გაუგებ აქმყოფის ფიქრებს. უკანასკნელი სიტყვებით რომ ილანძღება, იქნებ სწარმოსახვაში პრინციპით დაჰფოფინებს „ნამდვილი ქალის" თითებზე წამობურცულ ნებებს...

ეს ყველაფერი შორიდან ისმოდა, ეს ყველაფერი ყურისმოკვრით იყო. ამას ყველაფერს მყრალი რეალობის, თანაც წარმავალი ნისლების სუსხი და სურნელი ასდიოდა...

იმდენი იყბედეს, იმდენი იოხრეს, იხუმრეს, იხმაურეს, რომ მგონი კიდევაც დამაინტერესეს ყველაფერზე გულაყრილი, საკუთარ თავზეც ხელჩაქნეული, ბოლმაჩახვეული, განზედგომის უფლებამოპოვებული კაცი. პირველად

იმ ღამით აღმოვაჩინე, რომ აღარ მყოფნიდა ბედი. აქეთ მინდოდა მომფერებოდა ვინმე, ვინმე კი არა, ქალი...

* * *

ყველაფრისათვის მზად ვიყავი, ყველაფერს ველოდი, მაგრამ არაფერს ამდაგვარს. არც მიოცნებია. ოცნება კი არა და ეს დღეები არც მიფიქრია ამ ქალზე. არაფერი მასთან არ მაკავშირებდა, არაფრად მიღირდა, თითქმის თვალის შევლებაც კი არ მაინტერესებდა. თუ მაინტერესებდა, ისიც მხოლოდ იმდენად, რომ ამ აღრენილი, აფორიაქებული, ერთბაშად შეცვლილი კაცების უბადრუკი მიზეზი მენახა და თუ შემთხვევა მომეცემოდა, მეთქვა კიდეც მის პირისპირ დარჩენილს, რომ ჩალის ფასად ღირდა, ჩირად ღირდა ასეთი ნაუცბათევი აღელვება, რომ ეს იოლი გამარჯვება პირადად მას კი არ ეკუთვნოდა, არამედ ამ საქმისათვის ჩამოსული ნებისმიერი ძუკნა, როგორც კი ქვედა სართულს გაიშიშვლებდა, ფულთან ერთად ჯილდოდ მიიღებდა სისხლივით შეგუბებულ, კოლტებად ქცეულ აღფრთოვანების უნარს, რომელსაც არაფერი ექნებოდა საერთო ნამდვილ გრძნობასთან, ნამდვილ სიხარულთან.

დაბინდულ თვალსაწიერზე უკვე მოჩანდა მისი ოვალი, ხელშესახებლობით, სითბოთი, სურნელით. ქალი სადღაც ძალიან ახლოს იყო... ყოველივე უკვე იმდენად გადმოსულიყო ჩემს არსებაში, იმდენად დაპატრონებოდა მთელს ჩემს სხეულს, იმდენად აემღვრია, გამოეყვანა წონასწორობიდან, რომ ვგრძნობდი, საცაა ხელს გავიწვდენდი მოულოდნელი საჩუქრისაკენ. ისევე ალალად, ბუნებრივად, როგორც ამას ბავშვები სჩადიან ხოლმე უცნობი სათამაშოს დანახვაზე...

და მაინც ვიცოდი, რომ ეს არ იყო სათამაშო. გამაბრუებელი სურნელი ასდიოდა თმის უღრანიდან ჩამოსრიალებულ ტევრს. ოდნავ ირხეოდა თმის ფარდა. და თუმცა გარკვევით ჯერ ვერც ვერაფერს ვხედავდი და ვერც ვერაფერს ვარჩევდი, ვგრძნობდი, რომ წაბლისფერი ტევრიდან დარჩეული ბგერები თავდაღწევას ცდილობდნენ...

რაღაცას ნამდვილად ამბობდა, რაღაცა ნამდვილად თქვა. თან ეს რაღაცა ისეთი უცნაური სიტყვა უნდა ყოფილიყო თავისი მოხაზულობით, შემართებით, მღელვარე სასოწარკვეთით, იმდენს სხივჩამდგარი უმწეო შუქით, რომ აშკარად შემეშინდა მისი გაგონების, მერე გაგების... ქალი უკვე ორივე ხელით ჩამფრენოდა მხრებზე, უმწეოდ მაჯაჯგურებდა და ჩემს დახშულ სმენას ჩუმად, თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ერთგვარი სიჯიუტითაც უმეორებდა: „შენ უნდა მიშველო, შენ უნდა მიშველო, გესმის, უნდა მიშველო“...

უკვე ვიცოდი, რაც უნდოდა. ჯერ ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი მისი სახის გამომეტყველებას, მის ზამბარასავით დაჭიმულ კიდურებს, მკრივ მკლავებს...

„ნეტა როგორია?“... თვალი გავახილე.

— რა გინდა? — მშრალი სასოწარკვეთით ვიკითხე. — ჩემგან რა გინდა?
— წამოვჯექი.

ქალმა იგრძნო მხოლოდ ზუსტი, გარკვეული პასუხი გადაარჩენდა. ყოველგვარი ქალური სენტიმენტი საქმეს გააფუჭებდა. პირდაპირ მიპასუხა:

— უნდა გამაქციო აქედან...

ოდნავ გამეღიმა იმ ღიმილით, რომლითაც ელიან ხოლმე მოსალოდნელ თხოვნას.

— რა იყო, არ მოგეწონე?

— პირიქით, შენ ყველაზე ნამდვილი...

— შენზედაც ასე თქვეს, ნამდვილი ქალი ჩამოვიდაო... — აღარ დავამთავრებინე. მერე თითქოს დასტურს ველოდი, ისე შევხედე. ქალმა არაფერი მიპასუხა. უეცრად რატომღაც მტრულად განვეწყვე, მისი გაბითურება მომინდა.

— მართლა ნამდვილი ხარ?

ისევ არ მიპასუხა. დამცქეროდა

მდუმარედ. მერე ნელნელა უკან-უკან გადაიხარა, ქვემოთ ჩაცურდა და გვერდით მომიწვა.

მოვეშვი. სადღაც უკვალოდ გაქრა გაღიზიანება. ხმის იოგები ძლივს დავიმორჩილე და ჩუმად ვთქვი:

— მე შენ იმდენ ფულს მოგცემ, დარჩი...

მიხაროდა რომ ბნელოდა, რადგან ვგრძნობდი, ახლა ქალი მიყურებდა მტრულად, გამომწვევად. მაინც მოერია თავს:

— ფულს იქით მოგცემ, რაც ავიღე, მთლიანად მოგცემ, ოღონდ მიშველე!

ვიგრძენი, როგორ უმწეოდ აღელდა. რაღაცა ჩამეფუფქა გულის არეში. გული არა, რაღაცა...

— გარბიხარ? — მაინც დავცინე.

— იმ დღესვე გავიქცეოდი, ვერავინ ვნახე სანდო!

— მე მიყიდე, ამიტომ მენდობი, არა?

ჯერ გაჩუმდა, მერე დამნაშავესავით თქვა:

— შენ ისედაც გენდობი, თითონ დაიწყე ფულზე ლაპარაკი...

ამ ნდობის გამო ერთბაშად ჩავთბი, ისევ თავიდან მოვეშვი. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად მოვიქციე მისი სახე ხელებში და კი არ ვთქვი, თითქოს აღმოვაჩინე:

— ქალი ხარ...

ჩემს პეშვში ოდნავ აიწია თბილი ლოყა, მივხვდი რომ გაეღიმა. მერე წამოიწია და საფეთქელთან ფაქიზად მაკოცა. საშინლად მესიამოვნა ეს სინაზე, მთელი სხეულით, მთელი არსებით. უცებვე შემზარა ჩემმა სისუსტემ. სიბრაზის ტალღამ სადღაც შიგნიდან, ჯურღმულიდან შემომიტია.

— შენ რა, ყველას ასე ნაზად ეფერებოდი?

— მე არავის ვეფერებოდი, მე ვიწექი და პირობას ვასრულებდი. თითოეულისაგან წერილობითი დასტური მიმაქვს, — ხმადაბლა, მტრული სიმშვიდით თქვა ქალმა. მთლიანად გაცივდა. ამ სიცივემ შემზარა. წამოვჯექი, ზემოდან დავაცქერდი. სიბნელეში უკვე ვარჩევდი მის სახეს. ქალი დაწოლილი გაცილებით უფრო ახალგაზრდა ჩანდა. გადავბრუნდი, თავი მისი თმის ხშირ ტევრში ჩავრგე. ისევ დამეხვა თავბრუ. მაინც მოვახერხე, სადღაც შორიდან, ღრანიდან მაინც ვიკითხე:

— რა გინდა შენ აქ?..

ქალმა არაფერი მიპასუხა და მივხვდი, რომ ისეთივე აბსურდული კითხვა დავუსვი, როგორიც თვითონ შეეძლო ჩემთვის დაესვა. ვერც მე ვუპასუხებდი. ამ აღმოჩენამ ნდობა შემმატა, აღმომაჩენინა ადამიანის თავი, რომელიც არა მხოლოდ პირველი ქალი იყო ჩემს ცხოვრებაში, სითბოს, სინაზის გაღებას რომ აპირებდა, ბუნებრივად, ძალდაუტანებლად, არამედ ეს იყო საერთოდ პირველი ქალი, ვინც ჩემს არსებობას, ამდენად მომავალსაც ნდობა გამოუცხადა. ვინც ამ დამპალ, ბნელ, ნესტიან, შარდისა და ოფლის სუნით აქოთებულ გარემოში მაინცდამაინც მე გამომარჩია, იმ ბელისა არ იყოს, მაინცდამაინც მე წამეპოტინა და ამ არჩევანით ფაქტიურად ხაზი გაუსვა ჩემს დაფარულ ადამიანურ უპირატესობას სხვების წინაშე. იმ უპირატესობას, ასე რომ მტანჯავდა, მაწამებდა და მანადგურებდა ეს ბოლო წელი.

სიჩუმე იწვა ჩვენთან ერთად. მძიმე, სავსე, ბოლმითა და ანგარიშით შესიებული სიჩუმე. თვალგახელილი ვიწექი, ისე ვიწექი, თავს აღარ ვეკუთნოდი და ვგრძნობდი, რომ ამდენი ხნის დუმილისა და ტანჯვის მერე ახლა ისეთ რამეს ვიტყოდი ხმამაღლა, რაც ჩემს კაცად ყოფნას, ჩემს სიცოცხლეს, უაზროდ გაფლანგული და განადგურებული წლების არსებობას წერტილს დაუსვამდა, გაამართლებდა. ვიწექი თვალგახელილი, რაღაცნაირად გამთბარი, ამ საძულველი, საგინებელი ქალის მადლიერი. მერე ისე ვუთხარი, თითქოს საკუთარ თავთან უფრო დავდე პირობა:

— დაგეხმარები.

— ღმერთი გადაგიხდის, — დადარაჯებულივით შემაგება, კი არ შემაგება, აღმოხდა.

— ღმერთიიი! — ღიმილით გავაგრძელე, თითქოს დამეზარა ამ სიტყვის გაშვება. მაჯაზე მოვუჭირე ხელი. მერე ნელნელა შევუშვი თითები და საწამ მთლიანად მოვაცილებდი, ვიგრძენი როგორ სუსტად ფეთქავდა ჩემი შუათითის ქვეშ დატნეული რომელიღაცა ნერვი. ალბათ სიცოცხლის...

* * *

დამხობილი ცის ტყვიისფერ წიაღში ერთმანეთს აჰკიდებოდნენ დაძენძილი ღრუბლები. ფენა-ფენა წაწყობილები, მშვიდი ტაატით აღწევდნენ მიზანს. მოქუფრული, უმომავლო, ნაცრისფერი ჩანდა ირგვლივეთი. ჩხაოდნენ ყვავები, ბებრები, გულგრილები. ფრთის მდორე მიმოხვრით, ზანტი ტყლაშუნით აქუცმაცებდნენ სივრცეს. სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ყაყანებდნენ. ფრენის ამაოებას იუწყებოდნენ.

მაგრამ ყველაფერი უკვე ცალკე იყო, როგორც უსიცოცხლო, უნიჭო პეიზაჟი, როცა სიბრტყეზე (ტილოზე) დაცემისთანავე სულს ღაფავეენ, კვდებიან ფერები.

„მორჩა, მოვკვდი, აღარ ვარსებობ“ — სასოწარკვეთილთა უკანასკნელი თავშესაფარი, რომლის სიცივეშიც დიდხანს ვერ გაძლებ. ან უნდა მართლა მოკვდე, ანდა გადაგვარდე. არადა რა ბუნებრივი სიმეტრიით წაწყობილა ოთხივე სიტყვა — „მორჩა, მოვკვდი, აღარ ვარსებობ“ — გადაღლილი სულის მარაო, მარტივი ფორმულა, რომლის სირთულეც მხოლოდ ის არის, რომ ამ სიტყვებს ყოველთვის მომაკვდავი ამბობს.

ახლა ეს ფორმულაც ღრუბლის ფარასავით სადღაც წასულიყო, დაშლილიყო, გაძენძილიყო, ისე როგორც ათიათასობით ფორმულას შლის და აქრობს ყოველფეხისნაბიჯზე ცხოვრება.

თვალდახუჭული ვაცოცხლებდი სულ რაღაც ორიოდე საათის წინ მოჩვენებასავით ჩავლილ რეალობას, რომელიც უკვე სურათად ქცეულიყო: ხვიარა ხის მარწუხებისაგან დაწნულ ლასტებზე ქალი იდგა და როგორც ტყვიისფერ ცაზე ღრუბელი, შეუმჩნევლად გადადიოდა უკიდეგანო ჭაობის გაღმა...

არ ქროდა ქარი, არ იძროდა ნიავი. შემოგარენში ჩქამს არ იღებდა არაფერი. თვალებგადმოკარკლული ბაყაყიც ასე გაყურსულიყო, ყელში გაჩხერილ ყიყინს ამოსვლას არ ანებებდა, უკანვე აბრუნებდა, სუნთქვას უერთებდა. თითქოს საკუთარს თავს ემუქრებოდა, აქა-იქ წყლულებივით ებუშტებოდა კანი. ისე უსაშველოდ გაბერილიყო, საცაა გასკდებოდა.

არც ლასტებზე შემდგარი არსება იყო ხმის გამღები. არ იმუქრებოდა მისი სხეული, სული ხმაურით. თანდათან მქრქალდებოდა, მწვანე ბურუსში თანდათან იშლებოდა მიწისფერი უხეში მაუდის ქვედატანსა და დაბამბულ ტელეგრეიკაში ჩასმული სილუეტი. თმაც იმფერივე ხილაბანდით წაეკრა, გლეხურად, ციმბირულად, ჯერ წინ, ნიკაპქვეშა ნასკვით იმედიანად, მერე უკან კისერთან, ზედ ხერხემლის პირველ მალასთან. ვითომ ჰაიჰარად, თან პრაქტიკულად, თანაც ქვეშეცნეული ეშმაკობით ნებისმიერ დაუდევრობაში რომ ახერხებს ქალად დარჩენას, პატარა, ლამაზი თავის ფორმის წარმოჩენას. ყველაზე უკეთ ამ პაწია თავის კონტურით ვგრძნობდი, რომ ლასტებზე შემდგარი არსება რეალური ქალი იყო. თითქოს ჩემი წყალობით არ მომხდარიყოს ეს ყველაფერი.

მიდიოდა, კი არ მიდიოდა, მიცურავდა, ასაკსმიუღწეველი გოგოსავით უმწეო, გამოზომილი სრიალა ნაბიჯებით. თითქოს არც სჯეროდა, ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინა, რომ ამ ოვალურ, საცრისხელა სიფრიფანა ლასტებს მისი ატანა შეეძლო. ისე იყო მხრებაწურული, საკუთარი სხეულიდან სიმძიმის გამოწურვას თუ ცდილობდა. ლასტის წნულიდან ფესვებივით ამოფშეკილი ხვიარებით ჯვარედინა სიმჭიდროვით აეკრა წვივები, თითქმის მუხლებამდე

ასდევდა. ლაქაშებში შეცურებული და ასე უცნაურად შემოსილი, თვითონაც მცენარის ღეროს ჰგავდა ჭაობიდან ამოზრდილს, ჭაობის პირმშოს, რატომღაც ჭაობის წიაღიდან თავდაღწევას რომ ცდილობს, ალბათ იმიტომ, სინათლეს რომ გაუგო გემო, რამდენიმე მტკაველით რომ ამაღლდა მშობელზე და ზემოდან, რაღაც წამებში ისეთი მდორე, უსიცოცხლო, ბნელი ეჩვენა მისი ზედაპირი!

სიცოცხლე უნდოდა, მიცურავდა. ერთადერთხელ შეირხა მძიმე ფარდასავით. რა უნდოდა? რისი თქმა სურდა წამით შეყოვნებულს, სანახევროდ შემობრუნებულ ტანს? უსაზღვრო მადლიერების თუ უსაზღვრო შიშის გამოხატვა? ვინ იცის, იქნებ არც ერთის, არც მეორის. უბრალოდ მანძილს დაადევნა მგზავრის სულსწრაფი მზერა, განვლილი გზით მოიწადინა გასავლელის შემოწმება, აზომვა, აწყვა, ასე ულვთოდ, სისხლგამყინავად რომ გაწოლილიყო ჭაობის თბილ ზედაპირზე და დასასრული აღარ უჩანდა.

სადღაც სიღრმეში კვნესოდა ფრინველი. კრთოდა ხიდან ხეზე გადამხტარი ციყვის ცეცხლისფერი კუდი, იმედის ალი რომ შემოჰქონდა პირქუშ გარემოში, აფორიაქებულ სულში. ისეთი სწრაფი ნაბიჯით ვბრუნდებოდი, თითქოს სამახარობლო მიმქონდა რამე ჭაობს გამოღმა დარჩენილი ძმებისათვის.

წერაქვების კაკუნსა და ხრეშიან ნიჩბებში ხამუშხამუშ უკვე აღწევდა ამოთხრილი ქვებივით ცივი, საშიში ხმები.

„პასუხს მომთხოვენ“ — პირველად ახლაღა გავიცნობიერე. ოღონდ საპასუხოდ არაფერს ვამზადებდი. არც გონებას ვძაბავდი, არც სხეულს. რაღაცნაირი უცნაური სიმშვიდე მესხა თითქოს ძარღვებში სისხლის მაგივრად. ეს სიმშვიდე წინ სიარულს მაიძულებდა. წინ, დროებითი სადგომისაკენ, ისე როგორც მოძალებული ბინდის ნაკადი მიერეკება მხეცს თავის ბუნაგში.

არაერთხელ ჩამიგდია საფრთხეში თავი სუსტის დასაცავად. არაერთხელ დავდგომივარ საწყალს ქომაგად, ამის გამო არაერთხელ მოუთხოვიათ „არამკითხესათვის“ პასუხი. მუშტზე უფრო ხშირად ქარაგმით, არაკით, მომწუსხველი სიმშვიდით განმიარაღებია ყველაზე ჩლუნგიც კი.

თითქოს ტრანსიდან გამოვდიოდი, ისე ვიცოდი მოგებული ბრძოლის მერე მოშვება. ვიჯექი მორღვეული, მოწყენილი. ვიჯექი მათ წიაღში, მათ გვერდით, მათნაირი და აპათიური გულგრილობით ვისმენდი, როგორ ბილწსიტყვაობდნენ არაფრის შემძლე, არაფრისმქონე, ჰიქა არაყზე გაყიდული გარყვნილი კაცები. ღირსეულებიც იქვე მიყრილიყვნენ. ცეცხლის შესაკეთებელი შეშებივით ჩაჩეხილები, იოლად რომ არ გახსნიდნენ შუბლს, ტყუილა რომ არ გაიღიმებდნენ. ისხდნენ და საკუთარ სიმაღლეს ამათსას რომ ადარებდნენ, საკუთარი „ცოდვა“, აქ მოხვედრის მიზეზი ავიწყდებოდათ, ბოღმით იხრჩობოდნენ. ბოლმაშივე ჩამხრჩვალი სიტყვები ერჩიათ ამ ენაგადატყაულებთან ლაქლაქს, გულის გადახსნას. მით უფრო, რომ ჯოჯოხეთის მოციქულებიც იქვე ისხდნენ სვავებივით, გადახრილი სიტყვის მომლოდინე, მსხვერპლს დადარაჯებულნი. ლურჯადმოხატულ რეციდივისტებს ნაგლეჯი არ გააჩნდათ სხეულზე ნემსისწვერით მოუკირწყლავი, სულ სხვისი სისხლის და ხორცის გამოცდა აბოდებდათ.

ვიჯექი და რიგრიგობით გადამქონდა უსულოდ დარჩენილ სხეულებზე მზერა. ისე ხარბად ვუმზერდი, თითქოს სამუდამოდ ვემშვიდობებოდი, მათი სახეები დასავიწყებლად მაინც არ მემეტებოდა. ხანდახან გონსმოსული მეც უაზროდ ვიწყებდი უხეში ჟარგონით გადამწიფებული წინადადებების წვალებას, სრესას. აქაოდა არაფერი შეგეშალოთ, მეც თქვენთანა ვარ, მეც თქვენნაირი სასტიკი, ანგარიშგამსწორებელი. მეშინოდა, არავის ეგრძნო ჩემი უცნაური მარტოობა, ჩემი სევდა,

წყალდიდობასავით ისევ რომ დამიბრუნდა ამდენი ხნის გამოფიტვისა და გულგრილობის შემდეგ.

აღარც სისასტიკეს დამიჯერებდნენ, აღარც ჩემს ძლიერებას იწამებდნენ.

ვგრძნობდი, როგორ მითვალთვალებდა უშნოდ დაყურსული არსება, ჩლუნგ მზერაში მაინც ირეკლებოდა გაკვირვებული ფიქრები: „ეს იყო, კაცო?! ამანა კაცო?! ეს ისა, კაცო?!“ ვერ ერეოდა, თავს ვერ უყრიდა, ვერ ალაგებდა, ვერ ამთავრებდა, ისე როგორც ენაბლუ ვერ ამთავრებს მარტივ, თანწყობილ წინადადებებს. ფიქრშიც ენაბლუ რჩებოდა, ფიქრშიც ვერ ამბობდა ბოლომდე სათქმელს... ნუთუ ამდენად ვასხივებდი ჩემში მომხდარ შინაგან ცვლილებას? ნუთუ ამდენად ფაქიზი ბუნებისა იყო ეს დადარაჯებული უფერო კაცი? მაშინ რატომ ჰქონდა გამოხედვა ასეთი ჩლუნგი, არაფრისმთქმელი?

დამთავრდა! უკვე იყო, უკვე გასრულდა, როცა ჩემს ძლიერებას, დამოუკიდებლობას ჩუმი ბოღმითა და ბოროტი ღრენით აღიარებდნენ ცივსისხლიანები.

ახლა რა პასუხით, რომელი სიბრძნით, სიმტკიცითა და მჭერმეტყველებით ავხსნიდი ამ გაუგონარ კეთილშობილებას? რომელი მაღალი ზრახვებით, რკინის ლოგიკით დავამტკიცებდი საკუთარი საქციელის აუცილებლობას? როგორ, რა გზით დავაშოშმინებდი მათ ამღვრეულ სისხლს? ტვინს? როგორ ავუხსნიდი საკუთარ სიმართლეს, როცა მას მხოლოდ ღმერთის წინაშე ერქვა სიმართლე, თორემ ისე ჩვეულებრივ, ადამიანურ ენაზე გაუგონარი ღალატი. დიახ, გაუგონარი, რადგან ჩვეულებრივი, პატარ-პატარა ღალატებით დამნაშავეთა სამყაროში კი არა და უდანაშაულოთა სამოთხეშიც კი ალბათ ვეღარავის გააკვირვებდი.

თითოოროლა თავზეხელაღებული ტიპი კი არა, მთელი დასახლება მომთხოვდა პასუხს. ასეთი შფოთიანი, გაწირული იმედით რომ ელოდა საუკუნეში ერთხელ ქალთან შეხვედრას. დასახლება, რომელიც ისე იყო სითბოს და ალერსს მოწყურებული, რომ გამუდმებით წყევლა-კრულვასა და გინებაში ახრჩობდა ულიმღამო დღეებს, სისხლისფრად ღებავდა მოსაწყენი ყოფის ერთფეროვნებას. დასახლება, რომელსაც ზოგჯერ ისეთი ხუშტური მოუვლიდა, ჩვეულებრივ კახპას წმინდანად აქცევდა და წმინდანის ხატს ფეხით შესდგებოდა. აი, ამათთან მივდიოდი ახლა, ამათ უნდა დავდგომოდი პირისპირ და პასუხს რომ მომთხოვდნენ, რადაც უნდა დამჯდომოდა, უნდა გამეცა პასუხი.

შეხვედრის სცენა გულუბრყვილოდ წარმომედგინა: შევაბიჯებდი თუ არა სამტეხლოში, მაშინვე კისერს მოიგრიხავდნენ, წერაქვებს, ნიჩბებს, ბარებს იქვე მიყრიდნენ, კალთის ფერთხვა-ფერთხვით წამოვიდოდნენ ჩემსკენ. მერე რაღაც ზღვართან შეჩერებულები, შეთქმულებივით გამოარჩევდნენ ერთს, ყველაზე თამამს, ყველაზე სანდომიანს და ის ერთი ყველას მაგივრად იკითხავდა — „ს ა დ ა ა ქ ა ლ ი?“

სისხლთან ერთად ეს შეკითხვა ვეება ტალღებად მაწვებოდა ყურებში, საფეთქლებს მიხეთქავდა, გულიც ისე მიცემდა, მარცხნივ დახედვისა მეშინოდა, ამოგდებული რომ არ დამენახა.

შევცდი. ქვის კარიერში მუშაობა არ შეწყვეტილა, თითქმის ვერც კი შემამჩნიეს, ისე შევერიე მუშახელს. არასოდეს მიგრძვნია ასეთი დიდი მარტოობა. რა უნდა მექნა. ამ უნაპირო, ყოვლისმომცველ, უცნაურ მდგომარეობას სულისას ციხე-სიმაგრესავით ხომ ვერ შემოვუვლიდი, ასე იოლად ვერც ვერავის დავანახებდი, ვერც ვერავისთან ვაღიარებდი. რადგან ეს დიდი მარტოობა არც იმ ქალიდან მოდიოდა, არც ზეციდან, არც სამშობლოდან, არც ზღვიდან, არც ხმელეთიდან... არსაიდან იღებდა სათავეს და მაინც არსებობდა, ღმერთმა უწყის, საიდან არსებობდა.

დამნაშავესავით თავჩაქინდრულს მეც წერაქვი მეჭირა ხელში. დაძაბუ-

ლი, ასმაგი ყურადღებით ვუსმენდი ალექსის, ზანტი მღელვარებით რომ შეხვდა ჩემს გამოჩენას. მიყვებოდა — ბურღვისას ფლატედან ასხლეტილი ქვის ვეება ანატკეჩს კინაღამ საძილე არტერია გადაეჭრა ახალი, გამოუცდელი ბიჭისათვის სულ რაღაც საათის წინ". „ბეწვზეა გადარჩენილი, ცოტა ახლოს რომ ყოფილიყო, დაკლავდა ღორივით". ბოლო ორ სიტყვაზე სისხლი გამეყინა. უფრო იმიტომ, რომ რაიმე მეთქვა, ვიკითხე: — სადაა ახლა? „წაიყვანეს უკან"... — აღარ გააგრძელა ალექსიმ. აწი აღარაფერი უჭირდა გამოუცდელს. ჭირისუფლებივით შეენაცვლებოდნენ მის სასთუმალთან დანარჩენები და უმალ ერთმანეთს გაიმეტებდნენ, დახოცავდნენ, ვიდრე აი ასე, უაზროდ, ბუნების წიაღიდან დაუკითხავად ასხლეტილ ქვას დაანებებდნენ თანამოძმის სიცოცხლეს. მადლიერი დარჩებოდა ბიჭიც, უნდა დარჩენილიყო კიდეც, ოღონდ გაფრთხილება მაინც იყო საჭირო. გულუბრყვილო ჩანდა ახალი, უნდა სცოდნოდა, რომ იმავე სახლიკაცს, ასე რომ უვლიდა და დაჰფოფინებდა თავზე, სულ პატარა რამეზე შესაძლოა, ისე გადაბრუნებოდა ტვინი, ამაგი წყალში გადაეყარა, ალექსის თქმისა არ იყოს, „ღორივით დაეკლა" ნარზე.

მომაკვდავის ბღავილივით აღწევდა შორეული საყვირის მოგუდული ხმა, სამუშაო დღის დასასრულს რომ იუწყებოდა. აყრილიყვნენ, ახმაურებულიყვნენ ფიქრში ღრმად წასულები, თითქოს ენანებოდათ, აუტანელი ყოფის ყველაზე ერთგული თავშესაფრის — ფიქრის მიტოვება. აქა-იქ ცივად გაკვესავდა ერთმანეთზე მიყრილი ვეება ჩაქუჩები და წერაქვები. ხამუშ-ხამუშ გაისმოდა რომელიმე გაციებულის მძიმე ხველა, ჩახვეულ ბოღმას რომ ჰგავდა უფრო, ვიდრე ავადმყოფის ხველას.

ჯიბეში ხელებჩაწყობილი მივაბიჯებდი, უფრო მეტი მხნეობა რომ მიმენიჭებინა სხვის თვალში საკუთარი არსებობისათვის. მძიმედ მაწვა შეკითხვა, დანაშაულსა და სიმართლეს რომ შეიცავდა ერთდროულად. სიმართლეს, რომლის არსებობასაც ქვეცნობიერად გრძნობენ ადამიანები, მაგრამ მხოლოდ ერთეულებს შესწევთ უნარი გაცნობიერებული სიმართლის ტვირთს შეუგებონ ზურგი, გაცნობიერებულ სიმართლეს შემოუნახონ თავი.

მივაბიჯებდი მათ შორის. მათი ჩამოტყაული სამოსის, მწირი ლუკმის, ნაჯიჯგნი ღამეების, მათი ჩალურჯებული ბედ-იღბლის მოზიარე. მივაბიჯებდი სხვის თვალში ალბათ ძველებური —მკაცრი, გამოფიტული, ძლიერი, თითქმის მათნაირი, მაინც უკვე გამორჩევის ნიშნით დაღდასმული, ავი წინათგრძნობით შეპყრობილი, რაღაცას შინაგანად დადარაჯებული და მაინც მხნე, შეუმჩნევლად განახლებული... მომავლისაკენ სახემიქცეული.

მარჯვნივ, განაპირა ქვედა ნარზე თავშეკავებით კვნესოდა დაჭრილი. ერიდებოდა სხვების შეწუხებას. დანარჩენებიც ხმადაბლა საუბრობდნენ, ესენიც ანგარიშს უწევდნენ ავადმყოფს (ჩუმად მიხაროდა ეს ანგარიშგაწევა) აქა-იქ უკვე ისმოდა ზომაზე მეტად დაღლილი ადამიანების ჩუმი ხვრინვა.

დაჭრილს სასთუმალთან ებრაელი მორიგე ეჯდა. ფიქრებიდან გამორკვეული, ხანდახან წამოდგებოდა, მზრუნველად დახედავდა ავადმყოფს. ვაკვირდებოდი ამ ყურჩამოთლილ ქერა ებრაელს და ვფიქრობდი, რომ ფერმკრთალი ჭაბუკი სწორედ ზრუნვისათვის, თანაგრძნობისათვის, ერთგულებისათვის უნდა ყოფილიყო გაჩენილი და არა ღალატისათვის. ვზვერავდი ურთიერთპატივისცემის ბანგში გახვეულ გაფაქიზებულ ლაზარეთს და მოწყალების დასავით გულუბრყვილოდ ვფიქრობდი — „იქნება ამ შემთხვევამ დაავიწყათ ქალი?" არ აყოვნებდა მოწყალების დაც, მოდიოდა უჩუმრად, თეთრად, ფეხაკრეფით. მოდიოდა და მოჰქონდა ძილის ბადეში გახვეული სიმშვიდე. უცნაური სიმშვიდე, ჩვილივით სურნელოვანი, სასურველი. მეძინა, მაგრამ ეღვიძა

სიზმარს. ცრიდა სიზმარში ცხადზე ცხადად. ცრიდა და ხვეტავდა ქარი სივრცესავით გადაჭიმული სტეპის ზედაპირს. წამოყრილი, დაფეთებული ნამქერი ზუზუნით გადაჰქონდა ჰაერის წამობურცულ, წამოზრდილ ტალღებში. კიოდნენ ტურები, გაუსაძლის ზამთარზე მოთქვამდნენ, დამშეულ ღამეებს იტყობინებოდნენ... ღმუოდა კარს მიღმა უეცრად მომდგარი ზამთარი.

ღმუოდა, მაგრამ მკვდარივით მეძინა. გამალებით მივაბიჯებდი სიზმრის წიაღში. აღარ მემორჩილებოდა დაპრესილი, თითქმის ყინულად ქცეული თოვლი. მაინც მივრბოდი, მომდევდა თოვლი, წელამდე მწვდებოდა. ისე ხვავრიელად, უმოწყალოდ ბარდნიდა, ეჭვი არ იყო, მალე მხრებამდე ამოაღწევდა, მერე ხერხემალსაც დამიტორავდა თეთრი აფთარი... ცოტაც და თუ ვერ გავასწრებდი, ჩამახრჩობდა კიდეც ამ უკიდეგანო თეთრ სამეფოში შარშანწინდელი თოვლივით. არადა, არც ის ვიცოდი, გარკვევით საით გავრბოდი. ამის არცოდნამ უცებ დამაფრთხო, ამაფორიაქა. ისედაც სასოწარკვეთილს, კიდევ უფრო მეტად გადამიწურა იმედი... სწორედ ამ დროს შევამჩნიე ირგვლივ გაფანტული წითელი ჭორფლი, ჩუმად, შემპარავად რომ აღნობდა და ისრუტავდა აფორაჯებული თოვლის დასვრეტილ ზედაპირს. იმედი მომეცა. იქვე, ასიოდე ნაბიჯზე ვიღაცას გაევლო. თოვლის სიღრმეში, როგორც სანგარში, ისე გაეკვალა გრძელი დერეფანი... როგორმე უნდა გამეძლო, როგორმე უნდა გამევლო საკუთარი გზა და უვნებლად გავსულიყავი კაცის სიმაღლეზე გაკვალულ თოვლის დერეფანში...

წამით სულმოთქმულს, შეყოვნებულს თითქოს ვიღაცამ ხელი მკრა, ისეთი ბიძგი ვიგრძენი ძილში. მერე ეს ბიძგი რამდენჯერმე ისე მძლავრად განმეორდა, რომ კინაღამ უფსკრულში გადავეშვი და შიშმა გამომაფხიზლა. ჭაბუკი ებრაელი შეშფოთებული სახით დამდგომოდა თავზე, რაც ძალა და ღონე ჰქონდა მანჯღრ[illegible]

„ადექი, ადექი, [illegible]მართა რაღაცა“. მის გადაბელილ სახეს შევავლე თვალი, მერე თითქმის დაცარიელებული ბარაკის წყვდიადს შევაჩვიე მზერა და გონს რომ მოვეგე, წამოვხტი — „ჰა, ალექსის? ალექსის რა დაემართა?!“

„არ ვიცი, ვიღაცასთან მოსვლია ჩხუბი“ — დაფრთხა ებრაელი ჭაბუკი. მივხვდი, გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ეს უწყინრად ნათქვამ „ვიღაცასთან ჩხუბი მოსვლია“ იყო. აღარ ჩავეძიე, უსიტყვოდ გამოვედი კარში.

გარეთ ლილისფრად ელავდა თოვლი. კირით შეფეთქილ საგუშაგო კოშკურასთან ოციოდე ადამიანი შეტბორილიყო. მათგან მოშორებით ორმოციოდე ნაბიჯზე მუხლჩახრილი სამი კაცი რაღაცას დასჩერებოდა. ამ შედედებულ მასას ხანდახან თუ შეატოკებდა ნაგაზის გაგიჟებული ყეფა... სანამ მივუახლოვდებოდი, ინსტიქტურად კოშკურის მარცხენა კედლისაკენ აველე გეზი. შენობის გასწვრივ სიღრმეში უზარმაზარი წყვილი ფიჭვი იდგა. მიწისკენ გადმოხრილ, დათოვლილ ტოტებს ჩავაყოლე მზერა და სანამ დავინახავდი, მაინც გამიელვა მანუგეშებელმა ფიქრმა — „იქნება თოვლის გამო არა ჩანს“... გამოჩნდა. — დათოვლილ შტოთა აყურში რაღაც უმწეოდ, თავისთვის იდგა ჩემივე ხელით გაჭედილი ცარიელი გალია. გულმა რეჩხი მიყო. გიჟივით გამოვბრუნდი უკან. სიცივის, შიშისა და ავი წინათგრძნობის სიბრაზით დაძაგრული წავადექი სამივეს თავზე. დამნაშავისმაგვარი სირცხვილის გრძნობა დავლანდე წამომდგარი კაცების სახეზე. ახლა მე თვითონ დავჩერებოდი იმ ადგილს უაზროდ, გაყინული, ცარიელი სხეული, ცარიელი გვამი. სული გამცლოდა, მაგრამ იქვე იყო, ოდნავ ზემოდან დამცქეროდა. არხევდა ჰაერში, აფრიალებდა გაწეწილ დროშასავით თვალით უხილავ, უჩინარ

ტანჯვას. ძირს, თოვლზე, ტალახშერეულ გუნდასავით ეგდო ყელგამოღადრული ბელი. მერე ტანჯვა ისევ სხეულში ჩამისახლდა, აშკარად წარმოვიდგინე სიცოცხლესთან გამოთხოვების წამებში დაკლული ბელის მოცახცახე ტანი როგორ ისროდა სისხლის თბილ წვეთებს ირგვლივ და გამაჟრჟოლა.

„ღმერთო!“—ერთბაშად მოვეშვი, მოვდუნდი. აღარ მინდოდა მარჯვნივ გახედვა, აღარც შემეძლო. მაინც მოვიკრიბე უკანასკნელი ძალღონე, მაინც ვაიძულე თავი ადამიანად დავრჩენილიყავი. როგორც იქნა თავს მოვერიე, ახლა იმ მეორე მოზრდილი ტბორისაკენ, შეჯგუფულებისაკენ წავლასლასდი. ერთბაშად შემამჩნიეს მათკენ მიმავალი, უკან დახეულებმა გზა მიტიეს, ისეთი ცნობისმოყვარეობა აუთამაშდათ სახეზე, ურჩხულის პირისპირ მარტო დარჩენილი კაცის დანახვაზე რომ აუთამაშდება ბრბოს.

სისხლიან თოვლში გულაღმა ეგდო აზიზოვი. სახეზე ვერ გავარჩიე სხეულითდა ვიცანი. ეგდო სიკვდილივით ცივი, უგრძნობელი, ჩალურჯებული. მარცხნივ კისრის დაყოლებაზე, ლავიწის ძვლის ღრმულში ბოლომდე ჩასობილი დანის შავი ტარი მოსჩანდა. იმდენად რეალურად, ხელშესახებად გამოყოფოდა რიჟრაჟის შუქს ეს გლუვი, შავი საგანი, რომ ერთბაშად მივხვდი ყველაფერს. ამ ტარის წყალობითვე დავუკავშირე აქამდე დათრგუნული, ასე ერთბაშად თავაწყვეტილი ვნებებით ერთმანეთს გადაჯაჭვული მოვლენებისა და სახეების მთელი წყება.

ასე გაიქარვა აზიზოვმა ქალის გაქრობით მოგვრილი სევდა, ასე დაიწყნარა ამღვრეული, აბორგებული სისხლი. ასე გადამიხადა, გინდაც პირშშო დაეკლა ჩემი... იცოდა აზიზოვმა, მართლა მტერმა, იცოდა რასაც აკეთებდა, რასაც ბედავდა. კარგად ესმოდა ამ უკაცრიელ გარემოში რას ნიშნავდა სინაზისა და სიცოცხლის ეს პაწია გუნდა, მაინცდამაინც მე რომ გადმომიგდო, მე რომ მიწყალობა, მაინცდამაინც ჩემს გასაზრდელად რომ გამოიმეტა განგებამ.

„ალექსი?!“ — ახლაღა ამოტივტივდა, ახლაღა ამოეტია ალექსის ზორბა, ვეება მხარბეჭი ჩემს წარმოსახვაში. „კი მაგრამ, ალექსი რა შუაშია?!“ — ისე გულუბრყვილოდ მივმართე ჩემს წინ შეჯგუფულ კაცებს, თითქოს ყაზარმას კი არა, იმ გადაფითრებულ, ყურმოჭრილ ებრაელ ჭაბუკს ვუსვამდი ისევ შეკითხვას, ხუთიოდე წუთის წინ რომ მანჯღრევდა და სიზმრიდან გამოვყავდი.

„ალექსიმ ქნა ეს“ — ღორივით დაკლული აზიზოვისაკენ ხელი გაიშვირა რომელიღაცამ.

„ალექსიმ ქნა ეს...“ ჩემს არსებაში ისევ ჩამოშალა ვიღაცამ ეს მოთარეშე ხმა. ისევ დაუბერა ამ ხმიდან მონაბერმა ქარმა, ისევ გამაჟრჟოლა, უსიტყვოდ გამოვბრუნდი. მოვდიოდი, მომდევდა მდევარივით: „ალექსიმ ქნა ეს, ალექსიმ ქნა ეს“... მომდევდა უჩინარის, არარსებულის, თითქოს იმ სიზმრიდან წამოყოლილის ხმა: „ალექსიმ ქნა ეს, ალექსიმ დაგასწრო, ალექსიმ გადაგარჩინა...“

* * *

არც შიში, არც სინანული, აღარც სასოწარკვეთა. მხოლოდ მადლობა! მოვდიოდი ფეხადგმული მადლიერება, ოღონდ არ ვიცოდი, გარკვევით არ მესმოდა, ვისი მადლიერი ვიყავი —

ი მ ხ მ ი ს? — წლების განმავლობაში უჟმურივით რომ მეკიდა და მხოლოდ ახლაღა გამარკვია ყველაფერში?

კ ა ც ი ს? — კიდევ ერთხელ რომ დამზრდა, კიდევ ერთხელ რომ შემოუნახა ჩემი თავი მომავალ წლებს — „ჭკუით, თავს გაუფრთხილდი, არავინ შემოგაკვდეს, თორემ შენ ისეთი გულისა ხარ, ვერ გაუძლებ, იცოდე...“

ბ ე დ ი ს? — რომელმაც ასე გამიმეტა, ამდენი მათრია, ამდენჯერ დამმარხა და ამდენჯერ გამომცადა...

ან იქნებ

ღ მ ე რ თ ი ს, — რომელმაც მიწყალობა სიცოცხლის მძიმე წვეთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზია ჩხეტიანი

## სევდა დონ კიხოტზე

ყველა წავიდა,
აქ ჩვენ ვართ მხოლოდ:
მე და ჩემი მწარე სიკვდილი —
ჩემი ნატვრა,
ჩემი იმედი,
ფრთებდაჭრილი და ფესვებმოთხრილი.
რაღა დროსია,
მოხვალ თუ წახვალ,
შენ სიკვდილისგან ვერ განმაშორებ!
როგორც სინათლის კეთილი სხივი,
როგორც შუქურა ქარიშხლისას,
ბობოქარ ზღვაში,
უცბად გამოჩნდი
და აანთე იმედის კონცხი.
მაგრამ მე მაინც უსასოოდ,
უმწეოდ ვდგავარ,
ფრთებჩამოყრილი,
მობუზული,
გულგატეხილი...
მაინც მიყვარხარ,
მაინც გმადლობ,
რადგან არსებობ.
მაგრამ რა ვიცი,
მართლა ისა ხარ?!
შენ მართლა გინდა?!
ბედნიერება მზის ჩქერებივით
დააფრქვიო ადამიანებს?
შენ მართლა გინდა?!
თუ ხვალ — ზეგ ისევ
შენი ძლიერი ხელის მტევნებიც
დრაკონის ბრჭყალებს დაემსგავსება?
აბა რა ვიცი...
არც ლურჯი ჩიტი,
არც თეთრი ჩიტი,
არც ცეცხლოვანი,
მეწამული ფერის ფრინველი
აღარ არსებობს,
რადგან ამ ჩიტებს
მხოლოდ თავისთვის,
მხოლოდ თავისთვის
დაეძებს ყველა.
მე კი დონ კიხოტის სიყვარულზე
ვოცნებობდი,
მხოლოდ დონ კიხოტის,
რომელიც სხვისთვის,
სხვისთვის და სხვისთვის
ჰყოფდა ხოლმე თავს
ბედისწერის მუხთალ მარყუჟში,
ლურჯ თუ თეთრ ჩიტებს,
მეწამული ფერის ფრინველებს
სდევდა და სდევდა
მხოლოდ სხვებისთვის.
ნუ მიკაკუნებთ!
ამ ოთახში ჩვენ დავრჩით მხოლოდ —
მე და ჩემი ვეება სევდა:
დონ კიხოტები აღარ არიან!
დონ კიხოტებს დასცინოდნენ,
დონ კიხოტებს გვემდნენ.
დონ კიხოტებს სულს ხდიდნენ,
დონ კიხოტებიც გონს მოეგნენ!
მაინც... ვინ იცის,
იქნებ მართლა დონ კიხოტი ხარ?!
და მეც მიყვარხარ,
მაგრამ, რა ვქნა, რომ
ამ სიყვარულს ფრთები არა აქვს —
იმედის კვლავაც გაცრუების
შიში მზაფრავს,
ეჭვები მტანჯავს
და ალმაფრენის ფრთაშეტრუსულ,
მწარე სურვილთან —
ამ სიკვდილთან უსიტყვოდ ვრჩები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აბა, ვინ რას გვიკარნახებს

დრო კითხვათა ბულში გახვევს —
რა და როგორ გადაფასდა.
მაგრამ ვინ რას გიკარნახებს
წუთისოფლის შავ დაფასთან!
შენ სადა ხარ,
მე კი — სადა!
სად გაიყო ჩვენი გზები!
აგერ კაცი ისე დადნა,
რა სჭირს, აღარც ვეკითხებით!
თანალმობის რომანტიკა
სულ მოდიდან გადავიდა,
ძველმა სევდამ მოგვაკითხა?
ახლებურად გადავიტანთ!
გადავიტანთ? —
კი, ატყვია
ჩვენს უძილო,
ჩაყრილ თვალებს,
ჰოდა, ბოლოც ინფარქტია
დღეს თუ არა,
ალბათ — ხვალე!
ილეჰება ვილაც გოგო
გულცივად და არც გვიყურებს,
სად წავიდეთ.
რა ვქნათ,
როგორ,
ან რა ნატვრას ავისრულებთ?
იქნებ არც ღირს ფიქრად, ჩირად
წუთისოფლის გზები ესე?
რამ დაგწვა და აგატირა,
რა გვტანჯავს და რა გვაკვნესებს?
არც ეშმაკი,
არცა ღმერთი,
სხვისი ჭირი —
ლობეს ჩხირი,
შენი გყოფნის,
იჯექ შენთვის,
სხვის სატკივარს რასა სტირი!
დრო კითხვათა ბულში გახვევს.
და რა როგორ გადაფასდა...
მაგრამ ვინ რას გიკარნახებს
წუთისოფლის შავ დაფასთან?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ჭიჭინაძე

## უმისამართო წერილი

უმისამართოდ გაგზავნილ წერილს,
ჭირს თუ სიხარულს — სხვათა
გასანდობს,
არვინ უჩნდება ახლა მფარველი,
დევს ფოსტის ყუთზე უმისამართოდ...

და ჩუმი ფიქრი ბალღივით წრფელი,
ბალღივით წრფელი და უღალატო,
მთელი კვირაა წამკითხველს ელის
და რჩება ისევ უმისამართოდ.

იქნება ვინმემ წაავლოს ხელი,
გახსნას ბარათი თუგინდ სამადლოდ
და გამოუჩნდეს ვით ახლობელი
უცნობის განცდას უმისამართოს.

## გამხმარი ხე

შენ გამხმარ ტოტებზე
ხავსიც არ ამოდის.
დაგტოვა, გაფრინდა
ფრინველი ფრთაჭრელი.
მანამდე ამქვეყნად
არავის მოაგონდი,
ვიდრე არ გახმი და
გახდი მოსაჭრელი.

* * *

გული ორთავეს ხელით დაგვაქვს
და ძველი ჭრილობაც არ რჩება.
სულ შორით წვა და შორით დაგვა
რისთვის დაგვიწესა გამჩენმა!
როდის მოვრჩებით ჩვენ ამდაგვარ
ბედისწერასა თუ არჩევანს?
როს სული ავა ზეცას და გვამს
ცოდვილი მიწალა დარჩება.

## თეძამი

მტკვარი, არაგვი... რიონი?
იქნებ სხვა გახლავთ მესამე —
ვერცხლისწყალივით ფიორი,
ჩვენი ჭალარა თეძამი.
ბულბული შემოდგომისა,
ტკბილი დუდუნით რომ გალობს:
— ვიდრე ზამთარი მომწნისლავს,
მზეო, ალერსით მომკალო!
ტყეები გაღმა — გამოღმა,
ხევზე ცისთვალა ყვავილი...
და წიფელს დარდით ჩამომხმარს
დავლანდავ ქვრივი ქალივით.

მზეს რაღად ნატრობს თეძამი
უცოლო ბერიკაცია.
ირგვლივ სიკეთის მთესავი
რა ვნებებს დაუნაცრია.
ნუთუ ეს ნატვრა არად ღირს,
მაშ რაა სრბოლა დღე-ღამის?
ძუძუმტე მტკვრის და არაგვის
ჩვენ გვეკითხება თეძამი.
მტკვარი, არაგვი... რიონი?
იქნებ სხვა გახლავთ მესამე —
ვერცხლისწყალივით ფიორი,
თეძამი, ჩვენი თეძამი.

. . . . . .

აქეთ ყელს რად ვილერებდი,
ამ ტყისპირას რა მინდოდა?!
გახსენება იმ დღეების, —
ზეობა და ამინდობა;
სიხარული იყო ბევრი,

წყენაც, მაგრამ ძალზე ცოტა.
ირგვლივ ენთო მზე თებერვლის,
წრფელი გული გულსა ცნობდა...
ექო ძველი სიმღერების
დღეს ჩემამდე აღწევს ოდნავ.

* * *

სიყვარულიც გაჭკნა სულში
ტოტზე მიმჭკნარ ატამივით.
გზად ყვავილებს არვის ვუშლი,
რადგან გულშიც არვინ მივის.
ანდა გზას გზა როგორ ეთქმის
დაწრეტილი მდინარისას,

თუ არ ფეთქავს სისხლში დენთი
და სამზეოს ეჭვი ნისლავს,
ნაადრევი სუსხით შემცბარს
რაღა მრჩება აბა მაშინ,
მხოლოდ საბნის ამოკეცვა
და ჩაყვინთვა ძილ-ბურანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმედი ჯახუა

## ლოცვა გადარჩენის შემდეგ

მთელი ღამე ვწერდი ლექსებს,
მთელი ღამე წამალს ვსვამდი,
თავი ლამის გავიმესხე
სარკმლით სხივის შემოსვლამდის...

მთელი ღამე ვწერდი წერილს
ღვთის და კაცის მისამართზე...
— ღმერთო, ერთი ასი წელი
მსგავსი ტანჯვა მითავაზე!

ღმერთო, ერთი ასი წელი
შენს ხატებას მაცქერინე!
ჩემი სული, ასე ვრცელი,
წიგნად გადამაწერინე!

მთელი ღამე გულს ვუთიე,
ტანზე ჭირის ნამი მედო...
— ღმერთო, რამე მაპატიე,
უღმერთოდ არ გამიმეტო!

უმორჩილეს მსახურისა
გული ეკლებს მახლევინე,
ოღონდ სათქმელს ამ გულისას
შავეთს ნუ წამაღებინებ!..

## სამშვიდობო

კვლავ ჩემს ბილიკს მივკვალავ,
ჩემს წყალ-ჭალას მივტოპავ,
ეშველება ყველაფერს,
ღმერთმა თუ ქნა მშვიდობა...

ღმერთმა თუ ქნა შენდობა,
დანდობა და მინდობა,
მოვესწრებით მირიად
ვარდობას და მინდობას...

თუ მავნემ და მოშურნემ
გზები არ დაგვითოფა,
თუ კაცობად არ ითქვა
ლაჩრობა და ფლიდობა...

თუ წყალს არ გავატანეთ
ჩვენი ავლადიდება...
თუ ღმერთი არ გაგვიწყრა,
მთლად არ დაგვემშვიდობა...

მივნდობილვარ მზის ტაძარს,
ვით მხსნელ ნოეს კიდობანს...
— ამ ცასა და ამ მიწას
ღმერთო მოეც მშვიდობა!

## ოდა მარტვილს

რალაცამ გული უნდა გატკინოს,
რომ სიხარულზე ლექსი დაწერო...
— ცაშიმც ასულხარ, ჩემო მარტვილო,
საჰურჰლევ ჩემო, აურაცხელო!

მთელი სიცოცხლე როგორ მტკიოდი,
გულს მილოლნიდა ფერი ყვითელი...
— საით წაბრძანდა დიდი გიორგი,
უკვდავი მორდუ და ჰყონდიდელი?!

სად ახლავს ომში ალმაშენებელს,
სარდლად, მოძღვრად და დარდის
მტვირთველად,
ან რომელ ნადიმს დაამშვენებენ,
ბრძენი მორდუ და ყრმა პირტიტველა?..

ჯერ ხმლის ჩაგება აბა ვის უნდა,
მომხვდურის სისხლი ჯერ ვინ იკმარა?!.
იქნებ თბილისი განთავისუფლდა,
იქნებ დიდგორმა ჯავრი იყარა!..

რომელ კუთხიდან მოდის ღალატი,
საით მიგელავს თეთრი მხედარი?..
რომელ დილეგში დუმს ლიპარიტი,
თვალებდათხრილი ქვეგამხედვარი?!.

ამირანივით იკრებს ძალღონეს
ქართლი, კვლავ მკვდრეთით
ტანაზიდული
და სისხლშიც უკვდავ გენს მოაგორებს
გული ქართული და ჰყონდიდური!

არ დაბერდება ჯიში მხცოვანი,
ზიდა ერთგულად ჯვარი რომელმან...
გელათით ზარად რეკს სახსოვარი;
— გულზე დამადგით ფეხი ყოველმან!..

გუმბათი შენი, ჯვრით შემკობილი,
ათასი წელი დგას ცის ჰიშკართან,
დაღლის, დაცემის უარმყოფელი,
ელდად მომხდურთა და მოსისხართა!

დე, სულს მარადი რწმენით ნალმავდე
ძეგლი, სივრცეთა გამაოგნები
და შენს გუმბათქვეშ ისევ აყვავდეს
ივანე მინჩხის საგალობლები!

ათასი წელი გულს მიკორტნიდა
სვავი შავი და სნება ყვითელი...
ჰყონდიდი დარჩა თუმცა ჰყონდიდად,
მაგრამ ალარსად სჩანს ჰყონდიდელი...

და მაინც, როგორც ღრუბლის ნახევი,
ქარს მისდევს ეჭვის ლანდი ვერაგი...
მიწიდან დგება ნოქალაქევი
და რუხის ციხის რუხი პერანგიც

მთელდება ისევ და წყლულთ იშუშებს
და ხავსს ფესვს უხმობს მტკიცე
ქვიტკირი
და ისტორიის სული პირქუში
ზნელ ალსარებას ამბობს ქვითინით...

და მეც კვლავ ველი, რომ გადიწევა
საუკუნეთა ჯანლის ფარდები...
— შენს თბილ აკვნებში ახლა ირწევა
მორდუ ახალი გოლიათების!..

და რად გსურს, უქმად გული ატირო,
შენი წუწუნი ვის ყურს სმენია?!.
ცად ამაღლება შენი, მარტვილო,
ეს ხომ ღვთის ნება-განაჩენია!..

ღიაა შენი კარი ცისმარე
და საამაყო — შენი მკვიდრობა
და მრევლი შენი როგორ იკმარებს
ერთ მორდუობას და ჰყონდიდლობას!..

ეს სისხლი ისე როგორ დაწდება,
რომ არ იმღეროს ერთი მაჰრულიც!..
ანდა ეს გული როგორ გაცდება
წვრილმანზე ზრუნვით ვაინაჩრულით..

ალსამართია სვეტი ახალი,
სვეტი — ცხოველი და ულმობელი,
— ოთხგზის წილხვედრი და წილნაყარი
არს თუკი ღმერთთან მიწა მშობელი!

დაუბრუნდება ყველა უკლებლად
ბრძენი და გმირი მამულ-დედულეთს...
მწარეა შენი თავისუფლება!
მკაცრია ფრაზა:
—ქართლს უერთგულეთ!

ერთად დავდგებით გაშლილ დროშებთან
წინაპრები და ახალუხლები!
პონტოს ზღვასავით არ ამოშრება
სისხლი მწყურვალი თავისუფლების!..

ნიადაგ ველი ზეცის გაღებას
და გულიც უცხო ხილვით ითრობა...
— უკუნისამდე შეამაყება
ეს ერთგულება და ჰყონდიდლობა!..

პონტოს ზღვის მხარეს სივრცეს
გასცქერი —
ხომ არ ბრუნდება შორით მედეა?!.
იცი, ვინც არის შენი დამქცევი,
და ვინ — მცველი ან მტერმოკეთეა...

გულს არ გაიტეხ შენ გაძარცვულიც,
თუმც დაკაწრულან შენი ფრესკებიც...
სიმღერა, ცისკენ ერთხელ აძრული,
ველარასოდეს ჩაიმეწყრები!..

იდექ ასე და ყური მიადე
ცას, რომ უსმინო ჩურჩულს
ღვთისმშობლის!..
როგორ გიხდება ეგ სიდიადე
და ირგვლივ თესვა ღვთისმოშიშობის!..

იდექ ასე და ციდან ლოცვიდე
მზისქვეშ ქართული აკვნის მრავლობას!
ნანას უმღერდე ათას ჰყონდიდელს,
მკვდრეთით აღდგომის გარდუვალობას!

დამეჟანგვოდა გული ულექსოდ,
ვით მახვილი და ხმალი ულესი...
— ამაღლდი, შენ, ღვთის უერთგულესო!
გიმრავლოს ქვეყნის უერთგულესი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

# ქამუშის სევდა

კავკასიონის მაღალმთიანეთის მკვიდრთათვის ზამთარი ყოველთვის წარმოადგენდა „ბერმუდის განსაცდელს“ — მთელი ძალების მობილიზაცია იყო საჭირო, რათა მშვიდობიანად გადაელახათ იგი. ხოლო სვანეთისათვის ზამთრის მრისხანებასა და სიმკაცრეს აორკეცებდა ამ კუთხის კლიმატური თავისებურება, გეოგრაფიული მდებარეობა — მიუვალობა, ბარსა და ქვეყნის ცენტრებთან სიშორე. ლამის მთელი შვიდი თვის მანძილზე გარემოსამყაროს მოწყვეტილი „თეთრი კუნძული“ საკუთარი ძალებითა და საშუალებებით უნდა გამკლავებოდა ბუნების სტიქიას. ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულიდან მოყოლებული, უკვე სათანადო სამზადისი დაეჭირა, მოსამარაგებელი (სურსათ-სანოვაგე, შეშა, თივა...) მოემარაგებინა, ფსიქოლოგიურადაც შემზადებულიყო, რათა როგორმე საღ-სალამათი დახსნოდა მის კლანჭებს.

აქაური კაცის მუხლჩაუხრელ ორთაბრძოლას ბუნების სტიქიასთან თითქოს სიმბოლურად ეხმაურებაო ლენჯერში, ლაშთხვერის ეკლესიის კედელზე გამოხატული სცენა „ამირან-დარეჯანიანიდან“ — დაუნდობელი ორთაბრძოლა ბაყბაყდევისა და ხეფედავლესი, ანუ, როგორც აქაური მოხუცები განმარტავენ ბაყათართან შერკინება ბადრის, ვისიბის, შეფეთანისა და ამირანისა (სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავთ, რომ ლაშთხვერის კედლის მხატვრობა თავისი უცნაური ეკლექტიზმით წარმოადგენს უნიკალურ მაგალითს მსოფლიო კულტურის ისტორიაში საერო და საკულტო მოტივების თანაარსებობისა, მათი თავისებური სიმბიოზისა).

მართლაცდა, ოდითგან მოყოლებული, აქაურ მკვიდრთა შემეცნებაში ზამთარი აღიქმებოდა, როგორც ბაყართანი, იგივე ბაყბაყდევი, რომლის დამარცხებაც არც ისე ადვილი საქმე გახლდათ, მაგრამ არსებობისათვის ბრძოლის გზაზე აუცილებელ დილემად ქცეულიყო. ნათქვამისა არ იყოს — „ერთიც მგლისკენო...“ ბაყართანის ფაქტორს მეორე მხარეც გააჩნდა — იგი ადამიანებს ბადრის, უსუპის, ამირანისა და ხეფედავლეს მსგავსად, ერთიანობისაკენ, კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებდა, ურთიერთნდობას, სიყვარულსა და გატანას ასწავლიდა. ამ საერთო საშიშროების ფონზე უკვე ფერმკრთალდებოდა პირადი გრძნობები, უკან იხევდა ურთიერთმტრობა, შური და მოშურნეობა.

პარადოქსია, მაგრამ ამ მხრივ ბაყართანი ხშირად, თავისდაუნებურად, მომრიგებელ-მოსამართლედ მოევლინებოდათ ხოლმე. მართლაცდა, „ერთი კაცი ქამაშიდაც ბრალი იყო“ და გამძვინვარებული სტიქიის შემოტევასთან მარტოკელა რას გახდებოდა, ამიტომაც პირად გრძნობებზე უნდა ამაღლებულიყო, მთელი ქვეყნიერებისადმი სიყვარულით განმსჭვალულიყო. ამ ერთი შეხედვით ბანალურ დასკვნებში, თითქოსდა მარტივ საარსებო ფორმულებში იყო გამოხატული აქაური კაცის მთელი ცხოვრებისეული ფილოსოფია, აქ იყო კონდენსირებული წარსულის მთელი გამოცდილება, ისტორიული გაკვეთილები. ამ ფილოსოფიის მიხედვით ადამიანის დაბადება ნიშნავდა ბაყართანის შევიწროებას. თავისი ცხოვრების გზაზე ნაბდისქუდიანს უამრავი ბაყართანი უნდა დაემარცხებინა. ამისათვის კი საჭირო იყო სათანადო თავდაცვითი მიმიკრიისა და ათასგვარ საფრთხესთან გამკლავების ნაირნაირი ჩვევების გამომუშავება, ბუნების ხასიათის შემეცნება, მის საიდუმლოებებში ჩაწვდომა, მეგობრობა ბუნებასთან...

მართალია, ამ გზაზე იყო მრავალი წარუმატებლობა, იმედგაცრუება, მოულოდნელი ჩავარდნა, მაგრამ მიღწევებიც ჰქონდათ. არც თუ იშვიათად გამოერეოდა ხოლმე პერიოდები, როცა მთელი წლების მანძილზე ლომის ხირბაში მშვიდობიანობა სუფევდა, მრისხანე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაუბაუდევი დათვივით შეძურწულიყო თავის ბუნაგში და ძილქუშს მიცემული თავის წამოყოფას ველარ ბედავდა. ანდა იქნებ საკუთარი დიდსულოვნება იმასაც გააჩნდა და თავისებურად იბრალებდა, სულს ათქმევინებდა შეუშიშარ მთიელებს?

წელს კი თავის სახუნდარში გატვრენილმა, თითქოს ეშმაკმა შეუჩიჩხინაო, ერთბაშად დაიქუხა. ამ რამდენიმე წლის წინ მომხდარი ქუბერის ტრაგედიის მერმე, როცა ზვავმა რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა და საცხოვრებელი სახლებიც მიწასთან გაასწორა, ეს იყო მეორე მრისხანე შემოტევა სტიქიისა. თოვლის ნამქერმა თავის გზაზე ყველაფერი წალეკა და ჟოაშით, მთის ფერდობზე შეფენილი სოფელი ჟამუში — ნავერიანების ტრადიციული სამოსახლო, მიწის პირისაგან აღგავა. მსწრაფლ ამოვარდნილმა უმაგალითო ძალის ქარბორბალამ — ზამთრის კუდიანმა ქარაშოტმა, გარშემო ფერდობებზე მოხვეტილი ხველი თოვლის ნაბუქში გაახვია იქაურობა, მარტო მეათე საუკუნის ცაში ატყორცნილ მურყვამს ვერ დააკლო ვერაფერი, ირგვლივ შემოტკეცული ახალი საცხოვრისები კი სულ ერთიან მიშანშლ-მოშანშლა, თითქოს ამით თანამედროვე ქვითხუროთათვის სურდა ნიშნის მოგება, — ეგ რა ხუხულები გიშენებიათო. ოცდაექვს ადამიანს მოუსწრაფა სიცოცხლე, მათ შორის — ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, ახალგაზრდებსაც...სულ ერთიან გაწყვიტა მთელი სოფლის საქონელი, ფერდობებზე ფესვიანად მოთხარა ხეები და ხევ-ხუვებსა და მინდვრებში მოაბნია...

თუმცა თვალსაჩინოებისათვის წამიერად თვალი გადავავლოთ იმდღევანდელი ტრაგედიის ავბედით რეტროსპექტივას. ოღონდ ამთავითვე მოვიკრიბოთ ნებისყოფა, რათა გვეყოს გამძლეობა მისი ბოლომდე ჩაკითხვისა; მსგავსი გულისდამწველი დოკუმენტური „ინვენტარიზაცია" დაღუპულებისა ომიანობისათვის არის დამახასიათებელი, იმ წლებს კი საკმაო დრო გვაშორებს და ამასობაში წამოსწრებულმა თაობებმა სხვისი ნაამბობით და წიგნებში წაკითხულიდანღა თუ იციან იმჟამინდელ საშინელებათა შესახებ, მაგრამ, როგორც ცნობილია, შთაბეჭდილებათა და შეგრძნებათა მხოლოდ ოცი პროცენტი მოდის კომუნიკაციური ხასიათის ინფორმაციაზე, დანარჩენი ოთხმოცი პროცენტი საკუთრივ ნანახისა და აღქმულის წილად რჩება. ჟამუშის ტრაგედია ჩვენი თაობებისათვის ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება.

მაშ, ასე, რეტროსპექტივა:

90 წლის **ხემლარ ნავერიანი** ბედნიერი ბაბუა გახლდათ (იმ წუთებამდე, რა თქმა უნდა).

დაწყევლილი ცხრა იანვრის დილას რვასულიანი ოჯახიდან ნახევარიც არ დარჩენილა ცოცხალი. დაიღუპა ხემლარი, მისი ოთხი შვილიშვილი, ორი ბიჭი და ორი გოგო:

დათო;

ნათია;

ჯონი;

თქმუნა.

გადარჩნენ:

მშობლები — ვიტია და გულნაზი და ვიტიას მამიდა — ნინა.

**ბაჩი ნავერიანი** რვა შვილის მამა იყო. ჰყავდა შვილიშვილებიც. დაიღუპნენ თვითონ ოჯახის უფროსი;

მისი მეუღლე — მედიკო.

შვილებიდან — ლეილა;

ვასილი;

თამილა;

ვალიკო

და ერთი შვილიშვილი.

სულ შვიდი სული ერთი ოჯახიდან.

გადარჩნენ სამი ბიჭი და ერთი გოგო. მათგან ორნი ამ დროს შინ არ იმყოფებოდნენ.

**ჩათო ნავერიანის** ოჯახიდან დაიღუპნენ:

თვითონ, ჩათო;

მისი შვილი — ჯემალი;

ჯემალის ძმის ჯოტოს მეუღლე დალი ორ შვილთან ერთად.

გადარჩნენ ჯემალის მეუღლე — დოდოჩი, ძმა — ჯოტო.

**ნაპოლეონ ნავერიანის** ოჯახიდან დაიღუპნენ:

მისი მეუღლე — თამარა;

შვილი — ტარიელი;

ტარიელის მეუღლე — ციური.

მათი აკვნის ბავშვი ლელა.

ტარიელის სიდედრი, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა მათთან.

ტარიელის ძმის ცოლი მცირეწლოვანი ბავშვით.

გადარჩნენ თვითონ ნაპოლეონი, მისი შვილი ფრიდონი (ჩვენ მას სატელევიზიო გადაცემიდან ვიცნობთ) და ფრიდონის შვილი ბესო.

**ბალდას** ოჯახიდან დაიღუპნენ:

მეათეკლასელი იგორი და მეექვსეკლასელი — ზურიკო.

გადარჩნენ:

ბალდა;

მისი მეუღლე,

შვილები — დამირი, ზაზა და მანანა.

სულ ოცდაექვსი ადამიანი გამოესალმა წუთისოფელს.

გადარჩენილებიდან, ესე იგი, ნანგრევებისა და თოვლშვავიდან დახსნილებიდან ოთხნი ჯერ კიდევ მესტიის საავადმყოფოში წვანან და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან: მაგრამ ეს ჩამონათვალი სრულყოფილი მაინც არ არის. მართალია, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ ამ უბედურების შედეგად სიცოცხლეს გამოესალმა კიდევ ერთი ადამიანი, სამი შვილის მამა, მულახის საშუალო სკოლის ფიზკულტურისა და რუსული ენის მასწავლებელი **სერგო ნავერი-**

ანი, რომელმაც ვერ გაუძლო ამდენ უბედურებას და მეოთხე დღეს ნერვული გადატვირთვისაგან ტვინში სისხლი ჩაექცა.

მთელი სამი დღე ღებულობდა სერგო მონაწილეობას ბიძაძეთა სამაშველო სამუშაოებში თანასოფლელებთან, მესტიელებთან ერთად, თითქოს სხვებზე უფრო გულმაგრობდა, ამხნევებდა კიდევაც დანარჩენებს, და როცა უკანასკნელი ოცდამეექვსე მსხვერპლიც ამოიყვანეს ნანგრევებიდან და თავისი ვალი პატიოსნად მოიხადა მიცვალებულების წინაშე, თითონაც სიკვდილს დაეშურა.

სერგო ნავერიანი ოცდამეშვიდე გახლდათ.

* * *

როგორ დაიწყო ქამუშის ტრაგედია? — ჩვენს შეკითხვაზე მულახის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, მულახელთა ღირსეულმა თავკაცმა ქამუშის მკვიდრმა და ტრაგედიას ბეწვზე გადარჩენილმა შანჯიაი ქალდანმა შემდეგი გვიამბო:

— ურემგადაბრუნებულზე, ცხადია, გზაც უფრო ნათლად გამოჩნდება ხოლმე; ჩვენს უბედურებას საფუძველი 19 დეკემბერს ჩაეყარა, იმ დღეს თოვა რომ დაიწყო ბარე მთელი სამი კვირის მანძილზე არ შეწყვეტილა. მსგავსი რამ არავის სმენია ჩვენს ხეობაში. ზვავთ საშიშროება დღითი-დღე იზრდებოდა, მაგრამ ის კი ვერ წარმოგვედგინა, რომ იგი ზუზივ ჩვენს სოფელზე წამოვიდოდა. საერთოდაც სოფლების დაზვავება იშვიათია ხოლმე — წინაპრები შეუმცდარი ალღოთი არჩევდნენ სამოსახლოდ უსაფრთხოო ადგილებს, მაგრამ, ეტყობა, შეცდომისაგან არავინაა დაზღვეული; თუმცა ქამუშური მოულოდნელობა შეცდომათა რიგს არც განეკუთვნება, იგი უფრო ამინდის ანომალური მოვლენის შედეგით აიხსნება ანომალური შემთხვევის მონაცემება და თანაც წლევანდელის ანალოგიურისა, მითუმეტეს იმ სიშორიდან, ალბათ, პრაქტიკულად შეუძლებელიცაა კონკრეტული სოფლისა თუ დასახლებული ადგილისათვის.

ახე, რომ ჩვენაც მინდობილნი ვიყავით წარსულის გამოცდილებას, თოვლი ხეთა კენწეროს რომ ასცილდა, მერმე კი საგონებელმა მოიცვა თვითოეული ჩვენგანი, მაგრამ განგაში მაინც არ აგვიტეხია — პანიკას ვერიდებოდით, იქნება დღეს თუ ხვალ გამოიდაროს, ამინდი ჩაცხრეს და ყველაფერმა მშვიდობით ჩაიაროსო...

კიდევ კარგი, რომ სოფლის ბაგა-ბაღი დიდთოვლობის გამო არ მუშაობდა, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ რა იქნებოდა. იგიც ხომ ნანგრევებად იქცა...

იმ დილით კვლავ თოვდა, ჩხუტის მთა, ჩვენს სოფელს რომ დასდგომია თავზე, თვალსა და ხელს შუა ამაღლებულიყო. სველი თოვლი ლავაშებივით მოფრიალებდა ციდან და მძიმედ ეფინებოდა სახურავებზე, რომელთა გადმოთოვლასაც ვეღარ აუდიოდა მოსახლეობა.

დიდთოვლობის დროს სვანი კაცის მთავარ საზრუნავს სახურავების დროული გადმოთოვლა წარმოადგენდა. რამდენჯერ ყოფილა შემთხვევა დირეებსა და პოწოლკავებს ვეღარ გაუძლიათ სიმძიმისათვის და ოჯახში უბედურება დატრიალებულა, თუ უბედურება არა, მოსახლეს დიდი მატერიალური ზარალი მაინც მისდგომია. ეხუმრები ამ სიცივეში საცხოვრისის გაფარღალავებას? ადამიანი რომც გადარჩეს საქონელი ხომ ამოწყდება და გაბენდრაგდება... საქონელი კი, მოგეხსენებათ, მთიელთათვის არსებობის საფუძველთა-საფუძველია. ჰო და ჩვენაც რეალურ საშიშროებას ამ მხრივ უფრო მოველოდით...

მთიდან დაქანებული ხევი გვერდზე ჩაუდიოდა სოფელს. ქამუშის თავზე ყანები და საძოვრები იყო, ცოტა ზემოთ კი ტყიანი ფერდობები. ზვავი აქ არავის ახსოვდა, მარტოოდენ სოფლის სახელწოდება თუ ჩააფიქრებდა ცნობისმოყვარე ადამიანს, სვანური ენის სპეციალისტს, ტოპონიმისტს, სახელთწარმოქმნის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერს, გნებავთ, ენის ისტორიაში მოკირკიმალავე მკვლევარს. ამათ ცოტა უფრო მეტს ეუბნებოდა სიტყვა „ქამუში“. იგი ქამის შავი ჭირის ასოციაციას აღძრავდა... და შესაძლოა, ქვეშეცნეულად რაღაც ძველთაძველ, აწ მივიწყებულ, უხსოვარ დროში მომხდარ რაღაც უსიამოვნო პრეცენდენტზე, ტრაგიკულ შემთხვევაზე მიგვანიშნებდა — ადგილის სახელწოდებაში ხშირად იყო ხოლმე კოდირებული აქ მომხდარი რაიმე ღირსსახსოვარი მოვლენა, ისტორიული შემთხვევა და ამბავი, გამარჯვება თუ დამარცხება, სტიქიური უბედურების შედეგად გამოწვეული თუ სხვა სახის ტრაგედიები.

ერთ-ერთი ასეთი სოფელი იყო, მაგალითად, ლანჩვალი — მესტიაში. „ჩვალ“ სვანურად მეწყერს ნიშნავს, ესე იგი, ნამეწყრალი, დამეწყრილი ადგილი. ამ უძველესი, კოშკებიანი სოფლის ბოლოს ერთ პატარა მოედანს „ლაგუნიაში“ — ესე იგი, საჭირისუფლო, სატირალი ადგილი ჰქვია.

არსებობს სევდიანი ლეგენდა ლანჩვალის ტრაგედიასთან დაკავშირებით, გალმასვანეთიდან, ესე იგი, ისტორიულად ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მდებარე სვანეთიდან შინ მობრუნებულა ერთ-ეთი მესტიელი (გვარსაც კი ასახელებენ) და სოფლის ზემოთ მდებარე ჩახის წმინდა ტბაში გაურეცხავს თავისი წვირიანი ჯაბრალები — ქალამნები, რითაც წმინდა ელიას რისხვა დაუმსახურებია. მესტიის თავზე გადმოყუდებულ ცხაკვზაგარის (არწივის მთის) ქედამდე არც ყოფილა მისული, რომ ისეთი წარღვნა მოუვლენია, სულ წაულეკავს იქაურობა, თვითონაც ნიაღვარში ჩაუხრჩვია, ეს მთაც მაშინ გადმომსკდარა;

უძველესი სოფელი ლანჩვალი, უფრო სწორად ლანჩვალამდელი დასახლება, ერთიან ქვასა და ლორღს დაუფარავს. კოშკებიც ბლომად ყოფი-

ლა, ისინიც მიწაში ჩამარხულან მათ პატრონებთან ერთად. სწორედ იქ, სოფლის ბოლოში, ლაგუნიაშთან, ხალხი დასტიროდა თურმე მიცვალებულთ...

ეს ლეგენდა-გადმოცემა არ უნდა იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული, სულ ახლახან, იმ ნამეწყრალ ადგილზე მიწაში ჩამარხულ კოშკის ქონგურებს წააწყდნენ მშენებლები. კოშკის სიმაღლე, მოგეხსენებათ, ორმოც მეტრამდე აღწევს, ჩანს, აქ მართლაც დიდი ტრაგედია დატრიალებულა ოდესღაც...

მაგრამ, საბედნიეროდ, ის ძველი ჭრილობები უკვე მოშუშდა. ჟამთამდინარებამ წაშალა ადამიანთა მახსოვრობიდან ის ავბედითი ისტორიები. ლანჩვალმაც, ჟამუშმაც და ეტიმოლოგიურ-სემანტიკური თვალსაზრისით ამ კატეგორიის სხვა სოფლებმაც თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგეს და საგანგაშოს არაფერს ეუბნებოდათ ადამიანებს. ამ სოფლებში ჩვეულებრივი სისხლსავსე ცხოვრება სუფევდა, მრავლობისა და ნაყოფიერების ორკიოლი ძალუმად თუხთუხებდა. ჟამუშელები ხნავდნენ, თესავდნენ, იმკიდნენ, თიბავდნენ, საქონელს ამრავლებდნენ, თვითონაც მრავლდებოდნენ, ნამეტი მოსახლეობა, რასაც სოფელი ვეღარ იტევდა, ისევე, როგორც მთელი სვანეთიდან, ბარად გადმოედინებოდა და იქ ეფუძვნებოდა. უყვარდათ ჟამუშელებს, უხაროდათ, სწყინდათ კიდევაც, სამონაგროდაც დადიოდნენ, როცა მათი მოწინავე მეურნეობის საქმეებს მოითავებდნენ, მშენებლობდნენ, ადგილის დედის მადლს იხსამდნენ, იქაურობას ცხოველმყოფელობას სძენდნენ, მგლური ნაბიჯით აჭერებდნენ მთათა იალაღებს...

უმშვენიერესი მულახის თემის გარემომოს იმათი „ლილეოს" ჰანგებიც ეფინებოდა. ეამაყებოდათ ჟამუშელებს, რომ მულახის ხატმა დააწერინა პოეტს უმშვენიერესი სადიდებელი ლომის ხეობისა:

შენ გინახავს სვანეთი — შემოსილი მწვანეთი.
ჩემი ეზო პატარა, ჩემი კოშკი მაღალი,
მუხა დაბერებული, ტოტებმოლერებული,
ძველებური სიმღერა — ჩემთვის მუდამ
ახალი?

შენ გინახავს სვანეთი — მთები დათოვლილები,
ჩემი კალო პატარა — ყურშას ერთი ნახტომი,
შენ გსმენია ჰანგები — ჩანგზე აწყობილები,
მონადირის გულიდან გრგვინვად ამონახდომი?..

ასეთი იყო მართლაც მულახი. გამორჩეული, ხელთუქმნელი მარგალიტი. ოდითგან სიმტკიცისა და შეუვალობის ბურჯი სვანეთისათვის. მულახზე გაედინებოდა ჩრდილო კავკასიაში საურთიერთობო გზები. აქ მდებარეობდა ერთ-ერთი შედარებით ადვილდასაძლევი ტვიბერის გადასასვლელი. მაგრამ ადვილდასაძლევი იყო იგი მტრისთვისაც. ეს გარემოება კი მულახელებს სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა. ამიტომაც აქაურ მკვიდრთა ყურთა სმენა ფონენდოსკოპივით იყო მიყურადებული ჩრდილოეთის კლდეკარებისადმი, ვინძლო მომხდურთა ჩქამი არ გამოჰპაროდათ.

ისინი მუდამ შემართულნი უნდა ყოფილიყვნენ განსაცდელისათვის. და იყვნენ კიდევაც. მულახელთა ბრძოლები გარეშე მტრის წინააღმდეგ მრავლად აისახა სვანურ ზეპირსიტყვიერებაში, მითოლოგიასა და ლეგენდებში.

გასაბჭოების შუქმაც პირველად აქ შემოაღწია. აქაური სოფლების იმჟამინდელ მეტსახელში — „წითელი მულახი" სიმბოლურად არის ასახული ჟამუშელ, არცხელელ, მუჟალელ რევოლუციონერთა საგმირო საქმეები, მათი თავდადება ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის, რომელთაც სათავეში ედგა ტრაგიკული სოფლის—ჟამუშის მკვიდრი სილიბისტრო ნავერიანი. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ლექსის სტრიქონების ავტორი, პოეტი რევაზ მარგიანიც წარმოშობით მულახელი გახლდათ, წყალქვეშა ნავის ლეგენდარული გმირი იაროსლავ იოსელიანიც ამ მიწის შვილი იყო. სვანი ახალგაზრდობის სახელოვანი წინამძღოლის, უდროოდ დაღუპული ბორია კახიანის წინაპრების სამშობლოც აქ არის—სოფელ მუჟალში, ახალგაზრდობისა, რომელთაც, მართლაც რომ სასახელო საქმეები მოიმოქმედეს, თავიანთი ვაჟკაცური ნატორალი ალალად დააჩნიეს ჩვენი რესპუბლიკის მთასა და ბარს...

და კიდევ მრავალი სახელოვანი მამულიშვილის აკვანი დარწეულა მულახში.

* * *

როგორც უკვე ითქვა, ნაპოლეონ ნავერიანი რაღაც ბედად დაუსხლტა სიკვდილს. მაგრამ რა ფასი აქვს მის სიცოცხლეს, თორმეტსულიანი ოჯახიდან სამნიღა დარჩნენ ცოცხლები.

— განა ეგ სამართალია, ახალგაზრდები დაიღუპნენ და მე ცოცხალი ვარ, ნუთუ ეგ არის ბუნების სამართალი? — ქვითინებს იგი, თან ებრძვის საკუთარ გულჩვილობას, ცდილობს თავშეკავებას, მაგრამ უძნელდება. გარს შემოჯარული ხალხის ნუგეშინი რომ არა, ალბათ, ვერც გადაიტანდა ამდენ უბედურებას, სერგო ნავერიანივით მასაც გული გაუსკდებოდა, თავში სისხლი ჩაექცეოდა. მაგრამ ამ თანაგრძნობით, დახმარების სურვილით ანთებულ ადამიანებს რომ ხედავს, მასში ილვიძებს მოვალეობის, სოფლის თუ ნასოფლარის წინაშე პასუხისმგებლობის მამაპაპური გრძნობა. ჭირს გაკლდევება უხდება. ესე იგი, მან უნდა იცოცხლოს, უნდა შეიძლოს, ძალ-ღონე მოიკრიბოს, არ დაბეჩავდეს და არ გაეთელინოს დარდსა და ვარამს.

— ვინმეს მტრობითა და ნება-სურვილით არ მომხდარა ეგ უბედურება — ძუნწად, მძიმედ

ამხნევებს ვითომ ხალხი — რას იზამ, ყველა სიკვდილის შვილები ვართ. — ეს უფრო ვალის მოხდაა სინამდვილეში, რაღაც ხომ უნდა უთხრან. ძნელია სანუგეშებელი სიტყვების შერჩევა, ძნელი კი არა, შეუძლებელი რამეა. მაგრამ მდუმარება ხომ უნდა დაირღვეს და ისინი შორეულ მაგალითებს, უფრო მძიმე შემთხვევებს იშველიებენ სვანეთის წარსულიდან, ძველი გადმოცემებიდან, როცა ლამის მთელი ოჯახი ამოწყვეტილა, მაგრამ ერთი გადარჩენილიდან ისევ გამრავლებულა, კვლავ მოძლიერებულა გვარი... აქ კი, ღვთის წყალობით, მათ საძმოს, გვარს გადაშენება არ ემუქრება, იავარქმნა არ ემუქრება. გადარჩნენ ფრიდონი და მისი ვაჟიშვილი — ბესო... გადარჩნენ სხვებიც...

ხალხი მოხერხებულად აგებს საუბარს — ამ მინიშნებაში ღრმა აზრია ჩაქსოვილი, ოჯახის უფროსი უნდათ როგორმე სააქაოს მოახედონ, ჟამური ფიქრებიდან გამოარკვიონ... ყველაფერი გათვლილია, შორს გამიზნულია. საუბარში აყოლიებაც კი რამეს ნიშნავს ამ წუთში...

და ეკითხებიან ისინი, მაინც როგორ მოხდა ეგ ყველაფერი, როგორ გადარჩა თვითონ ნაპოლეონი?

უჭირს ხმის ამოღება, უჭირს, მაგრამ ერიდება ამ ხალხისა, ამ კეთილი ადამიანებისა და ბორძიკით, თითქოს თოვლსა ზეკავსო, ტკეპნა-ტკეპნით ჰყვება იმდილანდელ ამბავს.

მაშ, ასე, ნაპოლეონ ნავერიანი:

— დილით სხვებს დავასწარი ადგომა. საქონლისთვის უნდა მიმეხედა, სახლისთვის დამეკვლია, სამსახურშიც უნდა წავსულიყავი... თან ამინდის ამბავიც მაინტერესებდა — ხომ არ გამოიდარა-მეთქი. გული ვერ მითმენდა საწოლში. ის იყო, გზაზე გამოვედი, რომ ჯოჯოხეთური ქარბორბალა დატრიალდა. ჩხუტის მხრიდან საშინელი ხმაური მოაწყდა ყურთასმენას, ასეთი რამ არასოდეს მენახა და გამეგონა, ვერც გავერკვიე, რა ხდებოდა, ზვავმა თუ ძლიერი ქარისაგან ფერდობზე ახვეტილმა თოვლის ქარბუქმა ჰაერში ამიტაცა და სადღაც შორს მომისროლა. მე ინსტიქტურად შინ შებრუნებას ვაპირებდი, ხიფათის მოახლოებაზე ან „დედა" უნდა დაიძახო, ანდა თავშესაფრისკენ გაიქცე... მაგრამ ვინ გაცალა, თოვლის ნამქერში დათხლეშილმა, უკან რომ მოვიხედე სადღა იყო სახლი...

ყველაფერი მიწასთან გასწორებულიყო, კოშკიღა იდგა მოშორებით, მარტოდშთენილი აწურულიყო.

მერე კიდევ წამოვიდა მეორე ტალღა. ან იქნებ მომეჩვენა ყველაფერი, მე ხომ უკვე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნოდი...

* * *

დღეს აქ გლოვის ზარი გუგუნებს. ოცდაექვს ადამიანს მარხავს მულახი. უგზოობისა და დიდთოვლობის მიუხედავად შორეული სოფლებიდანაც კი მოსულან სვანები. მესტიელები, ლენჯერლები, ბეჩოელები და ეცერლები, იფარლები და წვირმელები, უშგულელები, ადიშელებიც კი აქ არიან. ცალ-ცალკე დამდგარა ყველა სოფელი და თავის ზარს ამბობს. ერთმანეთს ენაცვლებიან მოზარეები, ჭირისუფალი ქალების მოთქმა ზაფრავს გარეშემოს. მთელი სვანეთი ჭირისუფლობს მულახელებს, აქ უკვე შინაურისა და გარეშეს გარჩევა აღარაა. ყველა ახლობელია, ყველა ნათესავია, გულშემატკივარი და ჭირისუფალია. შაოსანი ქალები მოჰყვებიან პროცესიას. შავი ფერი მრუმედ გაღვრილა ფუმფულა სითეთრეში, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ადამიანებს და შეურყიათ სიმბოლური რწმენა თეთრი, ნათელი ფერისადმი.

ძმათა სასაფლაო გაუთხარეს მულახელებმა მიცვალებულებს, ომში დაღუპულებს რომ უთხრიდნენ ხოლმე, ისეთი, დაახლოებით, ასე, ოცდაათი მეტრის სიგრძისა. ტექნიკა არ გააკარეს სამარხს, თავისი ხელით გაჭრეს დამზრალ-გაყინული მიწა.

ამდენი ხალხის სიკვდილის მონელება ყოვლად წარმოუდგენელი რამ იყო და ახლა ამას ზედ ემატებოდა კიდევ მეორე დიდი საფიქრალი, სხვა სიკვდილის მოახლოების შიში — სოფლის გაუქმების საშინელი პერსპექტივა. იყო სოფელი ჟამუში და ნუთუ უეცრად უნდა გამქრალიყო მისი სახსენებელი დედამიწაზე? როგორც ხელმძღვანელობას ისევე რაიონის მშრომელებს მსგავსი რამის შესაძლებლობაც კი დაუშვებლად ეჩვენებოდათ.

სვანური სოფელი თავისი ძლიერებითა და მედგრობით, საოცარი ცხოველმყოფელობითა და სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩეოდა ოდითგანვე. პარადოქსია, მაგრამ ისევე, როგორც ადამიანებს შორის, სოფლებს შორისაც იყო განსხვავება — ერთნი უფრო ღონივრებია, ერისა და ქვეყნისათვის საიმედონია, ვიდრე მეორენი. ერთს ხვართქლა მორევია, ძილქუში დასცემია, მეორე უფრო ფხიზლობს, უფრო გულმაგრობს; ერთი ზარმაცების, ბედოვლათების საბუდარია, მეორე კაი ყმათა სამკვიდრო. ერთს უძრაობის ქონი მორევია, მეორე ცხოვრების მიზანს მოძრაობაში ხედავს, დაუზარელია, ყოჩაღია, თავგანწირვა შეუძლია; ერთი ცვედანებით გავსებულა, მეორე მრავლდება და მწარმოებელია...

სწორედ ამ მეორეთა რიგს განეკუთვნებოდა სვანური სოფელი და მათ შორის ჟამუშიც. შესაძლოა ზოგმა უფრო მარტივად განსაჯოს ეს საკითხი — სოფელი სოფელია, ქვეყნის ბურჯია, მისი ეკონომიკის საფუძველია, აქ იქმნება ხვავი და ბარაქა, ასე იყო ოდითგან და ასე იქნება მომავალშიცო. ასეთი მიდგომა არ იქნება მოკლებული ჭეშმარიტებას, მაგრამ არის კიდევ სხვა მრავალი ნიუანსი და მათ შორის ზემოთ ჩამო-

თვლილი ფაქტორებიც, რის მიხედვითაც ისინი მაინც გამოირჩევიან ერთმანეთისაგან.

ჩვენის აზრით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებათა შორის სოფლის სახეს უპირველესად სამშობლოს, ქვეყნის გასაჭირისა თუ გასახარელის გულთან მიტანის უნარი, საზოგადოებრივი აქტიურობის დონე განსაზღვრავს. სოფელი იგივე ადამიანებია, მათი ერთობლიობაა. „კოკასა შიგან რაცა სდგასო...“ აქაც ზედგამოჭრიალა, რადგანაც, სოფლად თუ ქალაქად, სადაც გინდა აიღე, ჯანსაღი ოჯახისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტის გარეშე შეუძლებელია კარგი მოქალაქის ჩამოყალიბება. ასეთი რამ საერთოდ გამორიცხულია.

არა და კეთილშობილებას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას დღეს მრავალი მტერი გამოუჩნდა, ადამიანთა მოდგმას ნაირნაირი ცთუნებანი მოეძალა: ენაჭარტალა შაშიშები და ტროყაფეხება დევები კი არ გადაშენებულან, თანამედროვეობის, ეპოქის სულისკვეთების შესაბამისად იცვალეს სახე, ანუ. „გადაეწყვნენ“ ერთნი კვლავ ძველებური ენალაქარდიანობითა და ლაქუცით, ლიქნითა და მაამებლური დაპირებებით იტყუებენ სულსწრაფ, ანგარებიან ადამიანებს და უფსკრულებში ჩეხავენ, მეორენი კი ერთბაშად შიშის ზარს სცემენ მშიშრებსა და ქალაჩუნებს, სამუდამოდ იბრიყვებენ და გადაარჯულებენ, იმონებენ და მანქურთებივით საკუთარი მშობლისა და ხალხის წინააღმდეგ შემართავენ.

როგორც ყოველთვის ადამიანები კვლავ ორი არჩევანის წინაშე დგებიან — ან „უბერებელი და უკვდავი“ ყანსავ ყიფიანივით უნდა შეერკინონ ამ ცთუნებათა მოძალებას, ანდა საკუთარ სინდის-ნამუსთან კომპრომისის შმორიან ჩეროში მიყრილნი და წელზე მურყნის ქვერებშემორტყმულნი უზნეობის ძილქუშს მისცემოდნენ.

მარადიული შეკითხვა დღესაც ძველებურად ჟღერდა:

რომელ გზას გაჰყვებოდნენ ისინი ცხოვრებაში — ზენას თუ ქვენას?

იოლსა და ყოვლად უსახურს თუ ძნელსა და სასახელოს?...

* * *

ზაურ ნავერიანი:

— თახუშერების საძმოდან ერთად-ერთი ჩვენი სახლიღა დაინდო სტიქიამ. მრცხვენია კიდევაც ამას რომ ვამბობ — უხერხულობის გრძნობა მეუფლება — დღემდე გაყოფილი თითქმის არაფერი გვქონია, ათადან და ბაბადან მოყოლებულნი ერთ ულელში შებმულებს ერთი სიხარული და ერთი დარდი გვასაზრდოებდა. ჩვენი ბიძაშვილობა შეიძლება დედმამიშვილობასაც კი აღემატებოდა. და, აი, უეცრად, სტიქიამ მაინცდამაინც ჩვენ გამოგვარჩია, შეგვიბრალა... არა და ეს ჩვეულებრივი ზვავი არცა ყოფილა, ზვავს თავისი ტრაექტორია აქვს, თავისი მიმართულება ახასიათებს. პირდაპირ რომ დაეშვება, ძნელად თუ გადაუხვევს გვერდზე, ისიც მაშინ თუ რაიმე წინაღობა შემოხვდა. ეს კი ეშმაკივით დატრიალდა ჩვენს უბანში, აი, იმ სიმაღლო კოშკსაც კი შეახტა, ქონგურებზე გადაევლო, თავისი ჭკუით წაქცევა დაუპირა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბიძაშვილების სახლები კი ერთიან მოსრა. ქვა ქვაზე აღარ დაუტოვებია, ჩვენამდე რომ ჩამოაღწია, უეცრად კუდი მოიქნია და გვერდზე გასხლტა; აი, ცოტა მოშორებით სამზადი სახლი რომ გვიდგას, იმასა და გომურებს ეტაკა, რვა სული მსხვილფეხა საქონელი იმსხვერპლა, იმათ ვილა ჩივის, მაგრამ, ბოლოს, როცა მიცვალებულების ძებნას მოვრჩით და იქაურობას დავკვლიეთ, ის საქონელი თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერაფერი ნაკვალევი იქ ვერ აღმოვაჩინეთ... მარტო თოკზე დაბმული ძაღლები ეყარნენ უსულოდ. ეგ იყო და ეგ...

მანჯიაი როა, ქალდანი, ჩვენი მეურნეობის დირექტორი, ერთადერთი სხვა გვარის კაცი ჩვენს საძმოში — თახუშერებში, იმისი სახლიც ასე ბეწვზე გადარჩა, ქარბორბალამ და თოვლის ნამქერმა მარტო მინები ჩაულეწა, სულ ეგ იყო...

იმას ვამბობდი, ჩვეულებრივი ზვავი არ იყომეთქი. ზვავი, ბოლოსდაბოლოს, რო გაჩერდება იმოდენა ქვა-ღორღსა და თოვლის გორებს დაყრის ხოლმე, მთელი ზაფხული დნება იმისი ნამქერი და ველარ გამდნარა. აქ კი ეგეთი რამ არ ყოფილა, ჩემის ფიქრით ეგ უფრო კუდიანი თუ შტორმული ქარის ამბავი იყო, სველი თოვლი ახვეტა ჩხუტის წარაფებზე, და მაინცდამაინც ჩვენს სოფელს მოაყარა. შესაძლოა, ადგილობრივი მნიშვნელობის ციკლონიც იყო, რა ვიცი...

* * *

მართლაც და, სოფლის, კუთხისა თუ რაიონის სახეს, მის ავტორიტეტს, საზოგადოებრივ მნიშვნელობას ყოველთვის მისი მკვიდრნი, მეტადრე კი ახალგაზრდობა წარმოაჩენს ხოლმე. ამ მხრივ აქაურ ახალგაზრდობაზე მართლაც ბევრი სიკეთის თქმა შეიძლება. თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეში, უფრო მეტიც, ალბათ, მთელს ჩვენს ქვეყანაშიაც ახალგაზრდობის უშუალო ინიციატივით, მათი თაოსნობით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივ საწყისებზე, არსად იმდენი ახალგაზრდული ცენტრი, სპორტულ-კულტურული დანიშნულების კომპლექსი, კლუბი არ აშენებულა რამდენიც სვანეთში, განსაკუთრებით კი მესტიის რაიონში. ესენია: მიხეილ ხერგიანის სახელობის ახალგაზრდული კლუბი მესტიაში, გაბრიელ ხერგიანის სახელობის სპორტული დარბაზი და მოედანი ასევე მესტიაში , რომელიც

ბორია კახიანის ღირსეული მოწაფისა და მის საქმეთა მიმდევარის, რაიონში სპორტული მოძრაობის თავკაცის გაიოზ ჩართოლანის უშუალო ინიციატივითა და თაოსნობით ახლახან ჩადგა მწყობრში; ეს არის გურამ თიკანაძის სახელობის სპორტული კომპლექსი სოფელ ლატალში, ილია გაბლიანის სახელობის სპორტული დარბაზი — მულახში, ასევე სპორტული კომპლექსები, ჰუბერში, იფარში, ბეჩოში... მათი ქსელის გაფართოება ამჟამადაც გრძელდება.

ფაქტიურად აქაური კომკავშირლების ზურგზე გადაიარა სვანეთის გზების მშენებლობისა და განსაკუთრებით კი ამ კუთხის ტელეფიცირების ურთულესმა პროცესებმა. ტელეანძების მშენებლობაზე უსასყიდლოდ თვეობით მუშაობდნენ აქაური კომკავშირლები, საკუთარი თვალით უნდა იხილოს ადამიანმა ის მიუვალი მთები და ქარაფები, მათ რომ უხდებოდათ საქმიანობა, რთული ტექნიკის ატანა და დამონტაჟება, რათა მთელი სისრულით წარმოისახოს მათი მოღვაწეობის მასშტაბურობა... მშვიდობიანობის ჟამს, ცოტა არ იყოს, საერთო-საზოგადოებრივი ინერტულობის ვითარებაში, ამაზე დიდი და ნამდვილი გმირობა წარმოუდგენლად მესახება.

მაგრამ ახალგაზრდობის საგმირო საქმეთა „სადემონსტრაციო დაფა" ჯერ კიდევ არ შევსებულა ბოლომდე. სვანი ახალგაზრდობის ენთუზიაზმი ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებმა ვერ დაიტია. მათი შრომითი ბრიგადები კომკავშირული საგზურებით ჩვენს დედაქალაქსაც ეწვივნენ. სწორედ მულახელი ახალგაზრდები მუშაობდნენ ამ რამდენიმე წლის წინათ ოპერისა და ბალეტის შენობის აღდგენაზე. სვანმა ახალგაზრდებმა კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე დაამშვენეს ბუმბერაზი მურყვამითა და სვანური საცხოვრებელი კომპლექსით. როგორც ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, მთელ რიგ ამ მშენებლობებს ხელმძღვანელობდა ტრაგიკულად დაღუპული ბორის კახიანი — სვანი კომკავშირელების აღიარებული ლიდერი.

ამჟამადაც როდი განელებულა მათი მამულიშვილური შემართებულობა და სულისკვეთება — ბორის კახიანს არა მარტო სვანეთში, აქეთაც, დიდ მიწაზეც მრავლად გამოუჩნდნენ მიმდევრები, მისი საქმის ერთგული გულშემატკივრები. ერთ-ერთი უპირველესთაგანი გახლავთ ბორისის თანაკლასელი, გარდაბნის რაიონის სოფელ ნაგების შემოქმედი, ასე ვთქვათ, დამაარსებელი, გარდაბნის მესაქონლეობის კომპლექსის დირექტორი ავთანდილ მარგიანი, რომელიც, აგრეთვე თავისი წარმომავლობით მულახელია.

ნაგები სვანი ახალგაზრდობის მამულიშვილური საქმიანობის ჭეშმარიტი გვირგვინი გახლავთ. ჩვენი რესპუბლიკის სამხრეთის საზღვარზე, ეკონომიკურ, სამეურნეო და მრავალი სხვა ასპექტით მნიშვნელოვან რეგიონში გაჩნდა ახალი ქართული დასახლება („ნაგები" სვანურად კედელს ნიშნავს). დიახ, მან უნდა განწიოს მტკიცე ბალავრის, ისტორიული გალავნის მაგივრობა. სოფლის მშენებლებმა, აწ უკვე ნაგებელებმა, რომელთა უმრავლესობას მულახელები შეადგენენ, თავიანთი დასახლება დაამშვენეს სვანური კოშკითა და საცხოვრებელი სახლით, და მას ბორია კახიანის სახელი უწოდეს. ამით მათ ერთგვარად განიქარვეს მშობლიური სვანეთის მონატრება...

ასე რომ სვანურ დასახლებებს კახეთში, ლილოსა და კრწანისში, აღარას ვამბობთ სვანეთის მესამე რაიონზე— დალის სვანეთზე, სადაც ისტორიულად ბინადრობენ და მრავლდებიან ამ კუთხის შვილები, ერთი სოფელიც შეემატა, მართლაც მტკიცედ ნაგები ქართველთა საჭმემკვიდრო. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მის ხვედრს მალე ტანძია და სხვა ახალდასახლებანიც გაიზიარებენ: სვანეთის ნამეტი მოსახლეობა დაფუძვნდება ამ ადგილებში და მამაპაპის სისხლით ნაბან ველ-მინდვრებს აახმიანებს. მზის სადიდებელი „ლილეოს" ჰანგები მანუგეშებლად მოეფინება აქაურობას.

სტიქიისაგან შევიწროებულ მესტიელებს შორის ბევრი მსურველია მეზობლად, აქვე, ქედს გადაღმა, სვანეთის აფხაზეთში, თავიანთ ნათესავებთან საცხოვრებლად გადასვლისა. აქ ხომ ყველაფერი მშობლიური და ახლობელია მათთვის და რაიმე კლიმატურ-იმუნოლოგიური და სხვა სახის შეუთავსებლობანიც გამორიცხულია...

ამრიგად, „სადემონსტრაციო დაფა", ასე თუ ისე, შეივსო სვანი ახალგაზრდობის საზოგადოებრივი აქტიურობის ფრაგმენტული მონაცემებით.

სახეზეა „სვანური ინიციატივის" ეროვნული, გნებავთ, საკავშირო მნიშვნელობა.

როგორც ზემოთაც ითქვა, ამ საერო მიგრაციისა და მოზარდი თაობის ერთი ნაწილის საზოგადოებრივი მოშვებულობის ვითარებაში მათი მამულიშვილური მოწადინება და შემართება განა ნამდვილი გმირობა არ იყო? დასანანია, რომ მათი წამოწყება არც კი განზოგადებულა.

არა და ეს იქნებოდა სიმბოლური აღიარება მათი ღვაწლისა და კიდევ უფრო მეტ ენთუზიაზმს შეჰმატებდა აქაურ ახალგაზრდობას.

* * *

გაუქმება...

ნაირნაირ ასოციაციებს აღძრავს ეს სიტყვა ადამიანებში.

შეიძლება გააუქმო საშტატო ერთეული, ნებისმიერი ბილეთი, ლიმიტი, საშვი და ათასი რამ, მაგრამ სოფლის გაუქმება?.. თანაც მერმე რა სოფლისა, თავის ტოლებში გამორჩეულისა, ჯანსაღისა, სალსალამათისა, თვითმართვადისა — აქ ხომ ჯერ ქურდობას არ ჰქონია ადგილი, საზოგადოებრივი წესრიგი არავის და-

ურღვევია, მეზობლისთვის არავის უგინებია, საჩივარი არ დაუწერია, ცოლი ქმარს არ გაურია, ქმარი — ცოლსა, და ყველაფერი ეს განა მილიციისა და რაიკომის, ანდა კიდევ უფრო ზემდგომი ორგანოების შიშითა, არაფერი მაგის მსგავსი, და არცა ვისიმე მორიდებითა, უბრალოდ, საკუთარი შეგნებითა, წინაპართა ჯანსაღი ტრადიციების გავლენითა, ერთურთის პატივისცემითა, სიყვარულითა.

სოფლის გაუქმება....

მერე და რა სოფლისა, სადაც ნაყოფიერების მუხტი ძველებურად ფეთქავს, კაცი არ გაცვედანებულა, მრავალ შვილებს უზრდის სამშობლოს, ქვეყანას, გნებავთ, საკუთარ თავს... შვილებსა, რომელთაც მერმე სურვილისამებრ გამოიყენებ, ეს ის შვილებია ქართული მოსახლეობის ქრონიკულ დეფიციტს წამლად რომ ედება.

ოჯახთმრავლობა დღეს პირველი სალბუნია ჩვენთვის. და ამ დროს მარტო ერთ სოფელში (ჩვენ აქ მხედველობაში არა გვაქვს ვედისა და უშგულის დანაკარგები, ზუსტი ცნობების უქონლობის გამო) ოცდაშვიდი ადამიანის დანაკარგს ეხუმრები? ეგ ხომ ერთი პირობითი სოფელია, მაგალითად, ტანძიაში, ახალქალაქში, აფხაზეთ-სვანეთში, ასპინძასა თუ მარნეულში, საქართველოს ნებისმიერ ცხელ რეგიონში.

მე შენ გეტყვი და თავს ვერ გაიტანენ.

მე შენ გეტყვი და იწუწუნებენ.

... ივალალებენ — ის გვაკლია, ეს გვაკლიაო.

მე შენ გეტყვი და ფუფუნებას ვერ შეელევიან, რითაც ისინი არასოდეს ყოფილან განებივრებულნი.

ყველაზე დიდი ფუფუნება მათთვის შვილები იყო.

ყველაზე დიდი საგანძური, დიდი სიმდიდრე. მილიონები და ოქროს კრუხ-წიწილები იმათთვის შვილები იყო.

* * *

ფრიდონ ნავერიანს — ორი შვილის მამას, ერთი ჰვალის დახამხამებაში რამდენი ვინმე გამოეცალა ხელიდან: დედა, მეუღლე, შვილი, ძმა, რძალი, ძმისშვილი, კიდევ მეორე ძმის ცოლი და კიდევ ძმისშვილი, სტუმარი — რძლის დედა.., მერმე კიდევ თანასოფლელი ნათესავები — ბიძები და ბიძაშვილები...

თვითონ? თვითონაც იმათთან იყო — მიცვალებულებთან — საიქიოში, მაგრამ,ეტყობა, ბედად არ ეწერა სიკვდილი...

მაინც როგორ მოხდა ყველაფერი?

რამდენიმე დღის მერმე მკვდრეთით აღმდგარი ადამიანი არეულად გაიხსენებს იმდღევანდელ ამბებს:

— ის იყო ავდექით, ძლიერი გრუხუნი გაისმა. მეუღლე ფანჯარასთან მდგარ აკვანს ეცა, ბავშვს გადაეფარა. შემდეგ ელვისსისწრაფით მოხდა ყველაფერი — დაინგრა კედლები, ჩატყდა დირეები, კოჭები, სახურავი თავზე ჩამოგვემხო. თოვლის ნამქერსა და მტვრის ღრუბელში გავეხვიეთ. ინსტიქტურად ისეა მოვასწარი, რომ მეც ჩემს პატარა ბიჭს ბეხუს გადავეფარე, ვითომც რამეს ვუშველიდი.

იმ გრიგალსა და უბედურებაში ვინ არ შეიშლებოდა ჭკუაზე. მე კი, ეტყობა, ბავშვმა მიხსნა განსაცდელისგან. ახლა რომ ვუფიქრდები მაშინდელ საშინელებას, ვხვდები, რომ საიქიოში მართლაც შვილმა გამაძლებინა. უკვე ნანგრევებსა და თოვლის ნამქერში ჩამარხულები ერთმანეთს ვათბობდით და ვანუგეშებდით. ბედად ჩვენს თავზე დირე გაიხიდა და იმის ქვეშ აღმოვჩნდით...

გვციოდა, ვიყინებოდით. მიწაზე გართხმულებს გვიჭირდა გაძლება, სუნთქვაც, გვიჭირდა, მაგრამ რაღა გაეწყობოდა. სად გავიქცეოდით რო... ახლა ვერც ვიხსენებ რა ფიქრები მიტრიალებდა თავში. გაუგებარი იყო, რა ღვთის რისხვა დაგვატყდა. ვისთან რა შევცოდეთ ასეთი, მთელი ქვეყნიერება დაიქცა თუ მარტო ჩვენ ვიყავით ამ დღეში? გადარჩა ვინმე ძეხორციელი ზესკნელში?.. ან ჩემიანები რა დღეში იყვნენ?

რა მეღონა, საით გამებრძოლა...

ეგ კი ვიცოდი, რომ დიდხანს აქ ვერ გავძლებდით, ნამდვილად ვერ გავატანდით... მე რომც მემაგრა... ბავშვი? და რაც შემეძლო გულში ვიხუტებდი, რომ მეტი სითბო გამენაწილებინა... მეშინოდა ჭკუაზე არ გადავმცდარიყავი... მაგრამ უფლება არ მქონდა... იმ წუთში ბესოს გამო არ მქონდა..

და კვლავ იმედი მესახებოდა გულში. გავალწიეთ კიდევაც... ბარმა ჩვენს თავზეც ამოჭრა სიცოცხლის სარკმელი... ქვესკნელს დავუსხლტით ხელიდან, მაგრამ ვაი ამ დასხლტომას...

* * *

ამასწინათ ავთანდილ მარგიანთან სამხრეთ საქართველოს სამეურნეო და ეკონომიკური ათვისების პრობლემებზე ჩამოვარდა შინაურული საუბარი. როგორც ცნობილია, აქ ჩვენს რესპუბლიკას; სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტი ნაკლებათვისებული და სუსტად ინტენსიფიცირებული სამეურნეო სავარგულები გააჩნია. მიზეზი კი გახლავთ მუშახელის ნაკლებობა. აჭარის მთიანეთიდან გამოსახლებულნი ამ დეფიციტს, ბუნებრივია, მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეავსებენ, საჭიროა მათთვის სხვა დამხმარე ძალების მიშველიება, ნაგების გამოცდილების განვრცობა სხვაგან და სხვაგან.

რას ფიქრობდა ამ საკითხზე ავთანდილ მარგიანი?

როგორ ესახებოდა მას სამხრეთის თავისუფალი მიწების ათვისების პრობლემა?

— როგორც არ უნდა იყოს, ერთი სოფლის დაარსება მეორის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. მართალია, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება

გახლავთ, მაგრამ ხანდახან მისი გამეორება და მავანთადმი შეხსენება მაინც საჭიროა ხოლმე. ასე, რომ ახალი ნაგები გამორიცხულია ნამეტი მოსახლეობის გარეშე. — მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება ავთანდილმა. ესე იგი, ჩვენ კვლავ გამრავლების პრობლემას მივადექით. სვანეთი ამ მხრივ ზიარჭურჭელივითაა, მისი ბარაქიანი რეზერვუარიდან ბარში გადმოედინება მოსახლეობის ერთი ნაწილი; როგორც ცნობილია, მთას რეგიონებისდა მიხედვით მხოლოდ განსაკუთრებული კონტიგენტის, განსაკუთრებული რაოდენობის მოსახლეობის დატევალა ძალუძს, რაც დამოკიდებულია აქაური საარსებო სივრცის შესაძლებლობებზე. მხედველობაში გვაქვს მთიანეთისთვის დამახასიათებელი მწირმიწიანობა, სამუშაო ადგილების, შტატების განსაზღვრული რაოდენობა და სოციალურეკონომიკური და საყოფაცხოვრებო ფაქტორების სპეციფიური შებოჭილობა.

საჭიროა ჩვენი მცდელობა წარვმართოთ იქითკენ, რომ ამ „მწარმოებელ რეზერვუარს“ ჩვეული ცხოველმყოფელობა ბოლომდე შევუნარჩუნოთ, ნამეტი მოსახლეობის ქაოტური დენადობა კი ეროვნული ინტერესების სფეროს დავუმორჩილოთ, სათანადო მიმართულებით წარვმართოთ ეს პროცესი. მაშინ ახალ ნაგებებს წინ ვერაფერი დაუდგება..

რაც შეეხება ჩვენს დასახლებას, ეს გახლავთ ახალი ტიპის სოფელი, ასე ვთქვათ, თვითმართვადი ხასიათისა,—განაგრძო შემდეგ ავთანდილმა — ჩვენ დავთქვით, რომ აქ დავამყარებთ ხანიმუშო წესრიგს და რაც მთავარია, გავმრავლდებით, ასე რომ ნაგები იქნება მრავალშვილიანი ოჯახების სამკვიდრო, თუ შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით სვანეთის მცირე ფილიალი. მრავალშვილიანობა, ეს იქნება ნაგებელების, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი დატვირთვა. მგონია, რომ ამ მხრივ „ზეგეგმიური მაჩვენებლებიც“ გვექნება... ვიმედოვნებთ, რომ ჩვენთან საბინაო პრობლემა კვლავ დადგება დღის წესრიგში, მაშინ ჩვენც დავიძრებით, გავფართოვდებით, გავიწევ-გამოვიწევით, მხრებს გავშლით... ნეტავი შეგვეძლოს და მთელი სამხრეთი საქართველო მოვიცვათ. მაშინ ხომ ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა...

* * *

რას ფიქრობენ სოფლის გაუქმებაზე აქაური თავკაცები?

— არ მეგულება რაიონის ხელმძღვანელი, რომ ამ საკითხზე დადებითი აზრი გააჩნდეს — ამბობს ჩემთან საუბარში პარტიის მესტიის რაიკომის პირველი მდივანი მურად უშხვანი — დადებითი — ამ შემთხვევაში — უარყოფითის მნიშვნელობით, რა თქმა უნდა. ვის ესიამოვნება თავისი კუთხის დაცარიელება? მითუმეტეს, რომ ამისი მწარე გაკვეთილები უკვე საკმაოდ გაგვაჩნია რესპუბლიკაში.

რაიონის ხელმძღვანელი მართალს ბრძანებდა — ახლა, როცა წინა თაობების გაკვეხილმა მაყალომ „კბილები მოგვიკვეთა“ და ჩვენსავე დაუდევრობით იავარქმნილი სოფლების აღორძინებას შევუდექით, კიდევ ახალი დასახლების თვალდახელშუა გაქრობა, რაღა თქმა უნდა, ყოვლად დაუშვებელი რამეა...

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ სოფლის გადასარჩენად, მითუმეტეს ისეთ სისხლსავსე რეგიონში, როგორიც მესტიის რაიონია, აქედან მოსახლეობის ტოტალურ გაყვანას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა მივმართოთ. ადგილზე უნდა მოვუაროთ და მივხედოთ მრავალ პრობლემას და თანაც მაღალ დონეზე, ჩვენ ეს შეგვიძლია ეკონომიკურადაც და ფიზიკურადაც.

ხოლო, რაც შეეხება ნამეტი მოსახლეობის გეგმიურ ჩასახლებას ბარის რაიონებში, ეს უნდა ხდებოდეს შერჩევისა და „გამოხშირვის“ პრინციპით — მრავალშვილიანი ოჯახების ხარჯზე. ამ პროცესს მეკომურის გაუქმება არ უნდა ჰყვებოდეს... მხოლოდ ასე დავიჭერთ ორივე კურდღელს. საქმის გაიოლება ამ სფეროში სიკეთეს ნამდვილად არ მოგვიტანს. ჩვენ რთული გზით უნდა ვიაროთ...

პირველი მდივნის ნათქვამს მთლიანად ეთანხმება რაიაღმასკომის თავმჯდომარე ელდარ ხვისტანი.

იგი ამბობს:

— ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ხაიში რომ უნდა აიყაროს ჯერ ისიც ვერ მოგვინელებია ახლა კიდევ ჟამუშის გაუქმების ახალი სადარდებელი შემოგვემატა. მთელი უბედურება კიდევ ის არის, რომ ზამთარი ჯერ კიდევ წინაა. თოვა კი გრძელდება. მრავალი სოფლის თავზე დაეკიდა დამოკლეს მახვილი. ჩვენ, მართალია, ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დახმარებით სათანადო ღონისძიებები განვახორციელეთ მომავალში საფრთხის თავიდან ასაცილებლად — სტიქიური უბედურების მოსალოდნელი ადგილებიდან გამოვარიდეთ ხალხი, მაგრამ, ჩვენს მტერს და... რომ რამე მოხდეს, მატერიალურ ზარალს მაინც ვეღარსად გაექცევი...

აქ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ჩვენთან ზვავების სეზონი, ჩვეულებრივ, მარტიდან იწყება ხოლმე, მაშინ თოვლი დნობას იწყებს და მძიმდება, ყველაფერი ეს მედლის ერთი მხარეა — ზვავებს რომ გადავრჩეთ ახლა წყალდიდობასაც უნდა გავუმკლავდეთ... მის შესაძლო შედეგებზე, ალბათ, უკვე ფიქრობენ ჩვენი ჰიდროლოგები და ხუდონისა და ენგურჰესის მშენებლები...

მრავალი საფიქრალ-სადარდებელი გაგვიჩინა ჟამუშის ტრაგედიამ.

ექსტრემალური სიტუაცია ლაკმუსის ქაღალდივითაა ხოლმე — ათას ნაკლსა და საზრუნავს გამოავლენს. მაინც რაში მდგომარეობს ჟამუშის გაკვეთილის მთავარი არსი? მომხდარ ტრაგედიის გამოწვლილვითი ანალიზიდან ირკვევა, რომ ადამიანმა, მართალია, ბევრი რამ ისწავლა, დიდი გამოცდილებაც დააგროვა თავის გადარჩენისათვის ბრძოლის გზაზე, მაგრამ ბუნების სტიქიურ ძალებთან გამკლავების ხელოვნებას სრულყოფილად მაინც ვერ დაეუფლა. ბუნება მისთვის „ზემდგომ ორგანოდ", ერთგვარ „ზეინსტანციად" რჩება, რომელსაც თავზე, ალბათ, ვერასოდეს ვერ გადაახტება. ამაში არცაა რაიმე უჩვეულო და მიუღებელი. ადამიანი ბუნების ჩვილი შვილია ასევე დარჩება მომავალშიაც. მშობელი კი ყოველთვის ძლიერი, აღმატებული იქნება თავის ჩვილ პირმშოზე. და მცდარია ყველა თეორია, რომელიც ამ კანონზომიერებას უარყოფს, სამყაროში არსებულ „ინსტანციურობას" ეწინააღმდეგება. მეორე მხრივ კი ამისი აღიარება, ვითომ თავმოყვარეობის შემლახველია ყოვლისშემძლე ჰომო საპიენსისათვის, როგორადაც მას წარმოუდგენია თავი, ოღონდ ჟამუშის, გნებავთ, ჩერნობილის და ათასობით სხვა ისტორიები კვლავ გვაქვებს ამაში.

მაშ, როგორ მოვიქცეთ, რა დასკვნები გამოვიტანოთ ჟამუშიდან?

როგორ, რა საშუალებებით შევებრძოლოთ და აღვუდგეთ წინ ბუნების სტიქიონის მზაკვრულ მოძალებას ახლაც და მომავალშიაც? რა ღონე ვიღონოთ, რა გზას დავადგეთ, რათა ნაწილობრივ მაინც ავინაზღაუროთ დანაკარგები? რა ძალგვიძს ჩვენ ამ შემთხვევაში?

არავინ უარყოფს და გამორიცხავს თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა და სოციალურ შესაძლებლობათა დიდ როლს ამ ორთაბრძოლაში, და ეგ ყველაფერი თავისთავადაც იგულისხმება, ოღონდ აქ მთავარ მაგისტრალურ გზად მაინც რჩება აქტიური პოზიცია მოსახლეობის გამრავლების საკითხში. ამჟამად ორმაგი ამოცანის წინაშე ვდგავართ — პირველია ჟამუშის, ჰუბერისა და თავისებურად, რაღა თქმა უნდა, ხაიშის სამომავლო დანაკარგების კომპენსირების ამოცანა, მეორე პრობლემა კი უფრო ზოგადი ხასიათისაა, რაიონმა კვლავაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი რესპუბლიკაში სოციოლოგურ-დემოგრაფიული „გარღვევების" აღმოსაფხვრელად. იქაც და აქაც საჭიროა მარქაფი — ნამეტი მოსახლეობის რეზერვი, საფუძველთა-საფუძველი ახალი ნაგებებისა, ლილოებისა, კრწანისებისა...

და ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ჟამუშის ტრაგედიამ დოკუმენტურად საცნაურჰყო. სწორედ მრავალშვილიანობის ფაქტორმა იხსნა ნავერიანების ოჯახები სრული გადაშენებისაგან. სადაც მეტი შვილებია იქ ყოველთვის მეტია ალბათობა ხსნისა და გადარჩენისა.

უკიდურესობამდე დაძაბულ ვითარებაში, როცა ეროვნულ-სოციოლოგიურ-დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებისათვის ასე მწვავედ დგება ორიოდე „თავისუფალი" მეკომურის პრობლემაც კი, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაურად გვეჩვენება ზოგიერთის მტკიცება, თითქოს მოსახლეობის რეპროდუქტოლოგიის უბანი ემოციების სფეროს ნაკლებად განეკუთვნებოდეს და იგი გონებრივი და მეცნიერული განსჯის საგანი უფრო იყოს, რომ თითქოს, დღეს ჩვენს მთავარ საზრუნავს შეადგენდა საარსებო სივრცის მეცნიერული კვლევა და არა გამრავლება. საარსებო სივრცის ვითომც და უკმარისობის პრობლემით თავის მოტყუება, ცვედანობისა და უნაყოფობის წისქვილზე წყლის დასხმას უფრო ჰგავს, ვიდრე მამულიშვილურ ჩაფიქრებას ერის მომავალზე, მის პერსპექტივებზე. და ეს იმ დროს, როცა მრავალი ვინმე ისედაც მშვენივრად მრავლდება, მკვიდრად ფუძნდება ჩვენს მადლიან მიწაზე, იფურჩქნება, მხრებსა შლის და ომახიანად გაიძახის ჰარიჰარალეს. და სულაც არ ედარდება რაღაც უკმარისობა. ვიდრე ჩვენ მეცნიერულად რამეს გამოვიკვლევდეთ და საბოლოოდ გავერკვეოდეთ მის არსში, ამასობაში, ადვილი შესაძლებელია, მეტად არასასიამოვნო ვითარებაშიაც აღმოვჩნდეთ — ჩვენი წინაპრების სისხლით გაპოხილი ანაგული მიწები დაკავებული და ათვისებული დაგვხვდეს. შექმნილი ვითარების ანალიზი იმაში გვარწმუნებს, რომ გამრავლების პრობლემა მეცნიერული განსჯის საგანს არასოდეს არ წარმოადგენდა. ყოველშემთხვევაში, ჩვენი ქვეყნისათვის მაინც და რომ იგი სწორედ ემოციების, საზოგადოებრივი აქტიურობის სფეროს უფრო განეკუთვნება; მეთევზე, საქონელი რომ შემოაკლდებოდა, ზღვაში გადიოდა თევზის დასაჭერად და ოკეანის რესურსების მეცნიერულ კვლევას კი არ იწყებდა. ასე, რომ უპირველესად „ოკეანეში" გასვლა გვმართებს. საარსებო სივრცის ვითომც უკმარისობის შეთხზული პრობლემა ოჯახთმრავლობის გზაზე მარჯვედ დაგებული ეშმაკური ფანდია. და თუ ეს მაინცდამაინც აუცილებელია, მოდით, ჯერ იმათ იფიქრონ იმ გალაღებულლებმა, ჩვენს სანახებში მხრებგაშლილებმა და გაფურჩქვნილებმა. მე მგონია, ეს უფრო უპრიანი იქნება, რაც არ უნდა იყოს, სტუმრები ისინი არიან და არა ჩვენ.

საბედნიეროდ, საზოგადოებრივი აზრი დღეს მობილიზებულია ეროვნული პრობლემების მაღალ დონეზე გადასაჭრელად; უკვე მრავალი ფიქრობს იმაზე, თუ რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება ჟამუშის მკურნალობა, მისი კვლავ აღორძინება; მესტიის რაიალმასკომის სახელზე ბევრმა მოასწრო თანაგრძნობის დეპეშებისა და ფულადი სახსრების გადაგზავნა ჟამუშელთა დასახმარებლად.

ეხე იგი, ეროვნული ძარღვი ქვეშეცნეულად ფეთქავს. ადამიანები გრძნობენ მოქალაქეობრივ

და მამულიშვილურ მოვალეობას ხაქვეყნო საქმეებისადმი და ისინი დამოუკიდებლად, თავისებურად ცდილობენ ამ შინაგანი წადილისადმი ლარის სათანადოდ მიმარჯვებას.

მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით აღიქვამს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, პირადად ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის მამულიშვილურ ღვწვას არა მარტო სვანეთისათვის არამედ საქართველოს სხვა რეგიონებში ზამთრის სტიქიით მიყენებული ზარალის ლიკვიდირებისათვის. მხოლოდ ასეთ ალალ თანადგომას შეუძლია დაზარალებული ოჯახებისათვის მძიმე სულიერი მდგომარეობის, სტრესული განწყობილების შემსუბუქება.

რესპუბლიკის მთელი მოსახლეობა მზად არის ამ კრიტიკულ ვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს ეროვნული ტრაგედიის შედეგების აღმოსაფხვრელად. ჟამუშელთათვის დახმარების ფონდის შექმნა — ეს არის, ალბათ, ყველაზე ოპტიმალური გამოხატულება ჩვენი სულიერი ფორიაქისა. ხოლო გამოზაფხულებისთანავე, როგორც კი თოვლი თავის კალთებს აიკეცავს, დაზარალებული სვანეთი უნდა გამოცხადდეს კომკავშირულ-დამკვრელურ ობიექტად. აქამდე თუ მთელს რესპუბლიკას ემარებოდნენ აქაური ახალგაზრდები, ახლა ამ სიკეთის წილ სიკეთით მიაგებენ მათ:

ხელმძღვანელის თუ რიგითის, ყველა ქართველის სურვილია, რომ ჟამუში აღდგეს იმაზე ლამაზი, იმაზე მაგარი და ძლიერი, ვიდრე იყო იგი იმ საბედისწერო ცხრა იანვრის დილამდე. ბოლოსდაბოლოს, სხვა მრავალი სოფელი და ქალაქიც აღდგენილა მკვდრეთით და იქ კვლავ უოფიერების ორკიოლი ათუხთუხებულა, ბუხრიდან კვამლი აბოლებულა, მამალი აყივლებულა... თუმცა რაღა შორს მივდივართ — ლანჩვალი — დამეწყრილ-დამარხული სოფლის ბედი გავიხსენოთ! განა აქვე არ არის, ყურისძირში? ულან ჩვალოდ, აბა, რა იქნებოდა მესტია, გნებავთ, მთელი სვანეთი? თუმცა ეს უფრო სხვა საუბრის თემაა. ერთი სიტყვით, „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო", ასეა აქაც.

და გვჯერა რომ ასე იქნება — მაშინ კვლავ გაცხადდება წინაპართა სიბრძნე — „ხიდი — ნახიდარზე, ბილიკი — ნაბილიკარზეო!"

სიკეთე უკან მობრუნდება მთაში.

ჟამუშის ჭრილობა თანდათან შეხორცდება.

ჟამუშის სევდა განიკურნება.

სვანეთის ძველთაგან მომდინარე ცხოველმყოფელობა კვლავ განივთდება საქართველოს მთასა და ბარში.

21. 1. 87 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიზბარ ჯაველიძე

# უკეთუ სულით ცხოველ არს იგი

(ზოგიერთი ზნეობრივი პრობლემა თანამედროვე ქართულ პროზაში)

ქართული მწერლობის უძველესი ძეგლი — „მარტვილობაი შუშანიკისი“ — რომელიც ჩვენი ერის სულიერი სამყაროს კარიბჭედ გვევლინება, ფაქტიურად იწყება მაშინ, როცა ეშვშეპყრობილი დედოფალი, „ვითარცა წინასწარმეტყველი“, იკითხავს: „უკეთუ სულით ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკეთუ სულით მომკუდარ ხართ“... ამ კითხვის დასმით ნაწარმოების ცენტრალური პრობლემა მაშინვე რელიგიურ და, უფრო ზოგადად, ზნეობრივ სიბრტყეზე გადაინაცვლებს. მართალია, ეს კითხვა კონკრეტული შემთხვევით არის წამოჭრილი, მაგრამ მას, ჩვენი აზრით, უფრო ზოგადი მიზეზი უდევს საფუძვლად. ის უფრო განზოგადებულ სიბრტყეზეა მოაზრებული და გამიზნულია იქით, რომ საერთოდ გაარკვიოს ადამიანის არსებობის დანიშნულება, ცხოვრების არსი, უფრო სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ კონკრეტული კითხვის შინაარსი და მიზანი აბსტრაგირებულ დონეზე ასე წარმოჩინდება: ოდენ ფიზიკური სიჯანსაღე და არსებობა, მატერიალური და ხორციელი ტკბობა აპირობებს ადამიანის ჭეშმარიტ ცხოვრებას, თუ ამისათვის კიდევ საჭიროა ერთი არსებითი რამ — სულიერი სიფაქიზე და „ამაღლებულობა“. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ზნეობრივად გახრწნილი ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც რაგინდ დიდ ფუფუნებასა და კეთილდღეობაში არ უნდა მიედინებოდეს, შეიძლება თუ არა ვუწოდოთ ნამდვილი ცხოვრება?!

პრობლემა წარმოჩინდება როგორც დიაქრონულ, ასევე სინქრონულ ჭრილში და ატარებს როგორც ზოგადსაკაცობრიო, ასევე ეროვნულ ხასიათს, მისი წარმომშობი მიზეზები კი შეიძლება ვეძებოთ როგორც ერის ბედუკუღმართ ისტორიულ წარსულში, ასევე თანამედროვეობაში, როცა ხდება ნივთისა და მანქანის გაფეტიშება. ასე რომ, დღეს ჩვენ მას უნდა შევხედოთ ორი კუთხით: გლობალური და ეროვნული და მისი ახსნაც სწორედ ამ თვალთახედვით უნდა წარიმართოს.

თუ ქართული ფილოსოფიური და ესთეტიკური აზრის განვითარებას თვალს გადავავლებთ, დავრწმუნდებით, რომ ზნეობრიობის პრობლემა ოდითგანვე იყო ჩვენი ერის სულიერი ცხოვრების ქვაკუთხედი, რომელზედაც ამოზრდილი იყო პრაქტიკულ-ყოფითი ჩვევები თუ სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი კონცეფციები. ეს პრობლემა ყოველთვის აწუხებდა ქართულ ლიტერატურასაც. აწუხებდა თუნდაც იმიტომ, რომ შავბედითი სინამდვილე აპირობებდა და მწვავედ წამოჭრიდა მას წინ. მტერთა ურიცხვი მოზღვავებები ფიზიკურად გვაჩანაგებდა. მაგრამ უფრო საშიში ის იყო, რომ, როცა ფიზიკურად გაგვიჭირდებოდა, ზნეობრივადაც ვიწყებდით გახრწნას. ეს კი ერის სრული გადაგვარების საშიშროებას ქმნიდა. ამას ძალზე კარგად გრძნობდნენ ჩვენი წინაპრები, ამიტომაც მთელი ქართული მწერლობის („შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული დღემდე) არსებით და ძირითად პრობლემად გვევლინებოდა იგი. მეტიც, ხშირად ზნეობრივი გახრწნა ერის ტრაგედიის მთავარ მიზეზად მოიაზრებოდა (გავიხსენოთ თუნდაც სულხან-საბა და დავით გურამიშვილი!..), რადგან ჩვენ წინაპრებს ღრმად სწამდათ, რომ ქვეყნის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ერის ჭეშმარიტ სიცოცხლეს. უკვდავებისათვის ხორცთან ერთად სულიც რომ იყო საჭირო, ამას ქვეცნობიერად თუ ცნობიერად ყოველთვის გრძნობდა ქართველი კაცის გული და გონი. სხვაზე რომ ალარაფერი ვთქვათ, ილია ჭავჭა-

ვაძის „კაცია ადამიანი?!“ — ესთეტიკურად მშვენიერი, მაგრამ ჭეშმარიტი ტრაგიკულობის სიმძაფრით ხულის შემძვრელი მოთხრობის — გახსენებაც კმარა. ამ მოთხრობის დედააზრი ხომ სწორედ ადამიანის სიცოცხლის არსისა და ცხოვრების მიზნის ახსნაა, რომელიც სულისა და ხორცის შეჯერებისა და შეპირისპირების ფონზეა გააზრებული. დიდმა ილიამ მისთვის ჩვეული სიღრმითა და დამაჯერებლობით გვიჩვენა ქართველი კაცის ტრაგედია და უსახური ცხოვრება (თუ კი მას, საერთოდ, შეიძლება ცხოვრება ვუწოდოთ), რაც განაპირობა მუცლის ზედმეტმა პატივისცემამ და სულის მივიწყებამ და უგულებელყოფამ, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სულისა და ხორცის ურთიერთმიმართებათა პროპორციების დარღვევამ და განუყოფელი მთლიანობის დაშლამ და დისჰარმონიამ.

ეს პრობლემა დღესაც საოცარი სიმწვავით დგას ჩვენს წინაშე. ვინმეს თუ ჰგონია, რომ იგი გარდასულ საუკუნეთა კუთვნილებაა, მწარედ ცდება, რადგანაც, ჩვენი აზრით, დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს ამ საკითხებზე ფიქრი და წუხილი, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ ჩვენს ეპოქაში მოხდა მორალურ-ესთეტიკურ ღირებულებათა გადაფასება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის, რომ სავსებით უმტკივნეულოდ მატერიალურმა დაჩაგრა სულიერი და სრული გამარჯვება იზეიმა. სულიერ ღირებულებათა დევალვაცია, როგორც უკვე ითქვა, adრეც ხდებოდა, მაგრამ მისი განმსაზღვრელი მიზეზები თვისობრივად სავსებით სხვა იყო, ვიდრე ამჟამად: ჯერ ერთი, დღეს იგი ატარებს გლობალურ ხასიათს. ტექნიკისა და მანქანის არაჩვეულებრივად სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია „ტექნიკის კულტი“, რომელსაც მოჰყვა, ერთი მხრივ, ადამიანის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობა და მატერიალური უზრუნველყოფა. მაგრამ ამ „სიკეთეს“, მეორე მხრივ, აქვს უარყოფითი მხარეებიც: ერთი, ადამიანმა მთელი ყურადღება გარესამყაროზე, კოსმოსზე გადაიტანა, ხოლო შინაგანი, სულიერი კი დაივიწყა; ამას მოჰყვა სწორედ სოციალურ ღირებულებათა ერთგვარი გაუფასურება და, რაც მთავარია, იგნორირება. მეორეც, მანქანას თუ სხვა საჭიროებისა და ფუფუნების საგნებს ადამიანი ქმნიდა თავისი სიამოვნებისა და კეთილდღეობისათვის, მაგრამ ზედმეტმა სურვილმა და სწრაფვამ მათდამი, შექმნა მათი კულტი და გაფეტიშება და ის, რაც ადამიანის სიამოვნებისა და კეთილდღეობის საშუალება უნდა ყოფილიყო, უნებურად იქცა მისი წუხილისა და უსიამოვნების მიზეზად. ასე რომ, შექმნილი პროდუქტი გაბატონდა თავის შემოქმედზე, რაც ტელეოლოგიურ ქმედებას სავსებით არ შეესაბამებოდა. მაგრამ მთავარი, ამჯერად, ჩვენთვის ის არის, რომ მატერიალური და სულიერი ღირებულების შეჯერებისა თუ შეპირისპირებს დროს ზემოჩამოთვლილ და კიდევ სხვა მიზეზთა გამო უპირატესობა მიენიჭა პირველს, ხოლო სულიერმა ან მეორე პლანზე გადაინაცვლა, ანდა სულმაც დაკარგა მნიშვნელობა. ამან განაპირობა მეოცე საუკუნის ადამიანის „ტრაგედია“, სულიერი „დალუპვა“, რასაც ძალზე ზოგადად შეიძლება „გაუცხოების“ ავადმყოფობა ვუწოდოთ.

ჩვენი ღრმა რწმენით, დღევანდელობის ყველაზე წყევლაკრულვიანი პრობლემა სწორედ ეს არის, რომელიც საერთოდ მხატვრული შემოქმედებითი აზრის დიდ ჰირისუფლობას საჭიროებს. ტექნიკის საუკუნეში ტექნიკით უსაზღვრო გატაცებამ შეიძლება დაგვავიწყოს ბუნების უმაღლესი ქმნილება, ადამიანი, რომელიც არის ყოველგვარი არსებობის და ცნობიერი ქმედების თავიც და ბოლოც. ამის საშიშროებაც აშკარად შეიგრძნობა. ყოველ შემთხვევაში, ადამიანი სულიერად დაკნინდა და წახდა, რაც საერთოდ მის გადაგვარების საფრთხეს ქმნის. ეს არის ზოგადი, გლობალური ხასიათის მიზეზი, რომელიც მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში ვერ თავსდება.

ახლა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მომენტზეც გვმართებს შეჩერება. როგორც უკვე ითქვა, გარდასულ საუკუნეებში მტერი ძალმომრეობდა ჩვენში, გვჩაგრავდა და გვავიწროებდა. ისეთ დღეში ვვაგდებდა, რომ ქვეყნის ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, საერთოდ, ქართველი კაცის „ყოფნა-არყოფნა“ ქცეულიყო მთავარ საფიქრელად. ამ ძალმომრეობის ჟამს სულისთვის ველარ იცლიდა კაცი და ზნეობრივად კნინდებოდა. სწორედ ამ „ყოფნა-არყოფნის“ დროს ქართულმა „სულმა“ მრავალი უარყოფითი თვისება შეიძინა, რაც გენეტიკურად გადმოგვეცა. მაგრამ ამ სიტყვითუთქმელ უბედურებას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა. რაც უფრო მეტი იყო ძალმომრეობა და დაწოლა, მით უფრო მეტი უნარი გაჩნდა ადამიანს წინააღმდეგობისა. ეს ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც თანამედროვე მეცნიერებაში „უარყოფის სკალით“ არის ცნობილი, გარკვეული კუთხით დადებითად მოქმედებდა ქართველი კაცის ფსიქიკაზე: ყველაფერს მძაფრად აღიქვამდა, ფხიზლობდა და ნათლად, მტკივნეულად შეიცნობდა თავის სულიერ დაკნინებას და მის გადარჩენას ლამობდა. ახლა კი, როცა არავითარი ფიზიკური საფრთხე არ გვემუქრება... 

ფრთხე არ გველის, როცა არავინ არ გვავიწროებს და არ გვაჩანაგებს, დავკარგეთ ოდინდელი სიფხიზლე, ერთგვარად მოვდუნდით და ველარ აღვიქვამთ იმ დიდ უბედურებას, რასაც ზნეობრივი გადაგვარება ჰქვია. თითქოს ძილღვიძილში ვართ და ვერ მივმხვდარვართ იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ ქართველმა თავისი ზნეობრივი სიწმინდე თუ დაკარგა, თუ კი თვისება-ხასიათი გადაუგვარდა, ფიზიკურად სამუდამოდაც რომ იარსებოს, ქართველი ვე-

ლარ იქნება. ქართველობას ვილა დაეძებს, საერთოდ ადამიანის სახეს დაკარგავს!.. ერთი შეხედვით, ვინმეს შეიძლება ეს ჩვენი აზრი პათეტიკურ და მყვირალა ფრაზად მოეჩვენოს, მაგრამ არც კაცი და არც ერი განსხვავებული და სპეციფიკური ფსიქიკისა და თვისება-ხასიათების გარეშე რომ არ არსებობს, ამის დავიწყებაც არ გვმართებს და არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ქართული ეროვნული სული ცალკეულ ქართველთა სულთა სიწმინდით იკვებება და საზრდოობს. ხოლო ცალკეულის დამახინჯება რომ საბოლოოდ მთელზე მოქმედებს უარყოფითად, ამის გაგებაც, ვგონებ, დიდ ფილოსოფიურ განსჯას და გამჭრიახობას არ საჭიროებს.

ახლა ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ადათწესებს და ქცევის მანერას თუ გამადიდებელი შუშით შევხედავთ, ხოლო სულიერ შრეებში ჩამარხულ ბაცილებს მიკროსკოპით შევისწავლით, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ, რაც უნდა გაზვიადებულად გვეჩვენოს, მძიმე სენით ვართ შეპყრობილი, ავთვისებიანი სიმსივნე მოგვდებია ისე, რომ ვერც კი ვგრძნობთ.

მაინც ასეთი რა გვჭირს იკითხავს ვინმე ოპტიმისტი და „კეთილმოსურნე"!..

უარესი აღარ შეიძლება! თავი და თავი ის არის რომ საკუთარ ნაკლს ველარ ვამჩნევთ თვალისჩინწართმეულნი, სხვისი შენიშვნებიც გვეთაკილება და ნაკლის მხილება გვაღიზიანებს. განდიდების სურვილს აყოლილნი თავმოთნეობას შევუპყრივართ. ძალზე გვსიამოვნებს, როცა გველაქუცებიან, მაგრამ არც ჩვენ ვთაკილობთ მაამებლობის პოზიციას. მართალმა სიტყვამ დაკარგა ფასი, ფარისევლობა ზეიმობს ირგვლივ.

მეორეც, დიდ პატივს ვაგებთ საკუთარ მუცელს. მუცლის ესთეტიკამ იმძლავრა ჩვენში. კარგი სმა-ჭამა და ღრეობა იქცა ჩვენი ცხოვრების მთავარ მიზნად. ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ არა საოცარი სწრაფვა და ლტოლვა ფუფუნებისაკენ, რომელმაც თითქოს ყველა ჩვენგანში წამოჰყო მეტ-ნაკლები სიცხადით თავი. კარგი და უზრუნველი ცხოვრება: აი, ერთადერთი საზრუნავი ჩვენი საზოგადოების უმეტესი ნაწილისა. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი, საკუთარი „მეს" განდიდება, რომელიც ეგოცენტრიზმის მძლავრი ფესვებით საზრდოობს. სხვათა ღირსებების მიჩქმალვა და საკუთარის დაუმსახურებლად და უსაზღვროდ წინ წამოწევა—თითქოს ცხოვრების ნორმად ქცეულა!

მესამეც, კარიერიზმმა მძლავრად მოიკიდა ფეხი ჩვენ ცხოვრებაში: დიდი თუ პატარა, მუშა თუ ინტელიგენტი, მეცნიერი თუ მწერალი — ყველა თანამდებობას ესწრაფვის. „სავარძლის" სიყვარული შესჩენიათ, პატივმოყვარეობის ჭია ღრღნით, ძალაუფლება სწადიათ, ამ ქვეყნის ძლიერთა რიცხვს სურთ თავი მიაკუთვნონ. უფრო საოცარი ის არის,რომ პოეტს მინისტრობა სურს, მეცნიერს — რაიკომის მდივნობა. ამ სურვილს ზოგჯერ არ ამხელენ, მაგრამ გულში ფარულად ინახავენ, ხელსაყრელ წუთს ელიან. იმასაც ვერ ხვდებიან, რომ მოწოდებით პოეტი თუ მეცნიერი, ვერასოდეს გახდება პოლიტიკური მოღვაწე!.. ამ უადგილო სურვილს კიდევ მოეძებნებოდა გამართლება, რომ მამულზე ფიქრით იყოს გამოწვეული. მაგრამ, როგორც წესი, თანამდებობა იმიტომ გვსურს, რომ მხოლოდ პირად კეთილდღეობას „მოვახმაროთ"... ახლა ხშირად შეხვდებით ახალი ტიპის „ქართველს", რომელიც სუფრასთან აღტყინებული გულში ხელს იცემს და საქართველოს მზეს ლოცულობს, სინამდვილეში კი ერთ გროშად გაჰყიდის მას.

ახლა იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ამ ბოლო დროს იმძლავრა ფულის ტრფიალმა, მექრთამეობამ, შურმა, ბოღმამ, დაბეზღებამ, დასმენამ, ქილიკმა, ცინიზმმა, ვერაგობამ და ურთიერთ ქიშპმა, საკუთარის, ეროვნულის უგულებელყოფამ სხვათა ნახელავის თაყვანისცემამ, საკუთარი ფესვის ამოძირკვამ და უცხოს გახარებამ, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დაემართა ქართულ სულს, როგორ წაიბილწა და უზნეობის წუმპეში როგორ ამოიგანგლა!.. ვინმე იკითხავს — ეს ყოველივე მხოლოდ ქართველებს გვჭირსო? იქნება, სხვას არანაკლებ უჭირდეს! მაგრამ ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს, ჩვენ თუ ჩვენს თავს არ მივხედეთ, საშველი არსაიდანაა... შეიძლება ასეც ვიფიქროთ, რომ როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო; მართლაც, ჩვენ შეგნებულად ვამუქებთ ფერებს, ზედმეტად ვაზვიადებთ კიდეც სათქმელს, მაგრამ, როცა ჟამი თავს იჩენს, დროზე უნდა განგაშის ატეხა, თორემ მერე უკვე გვიან იქნება. ეს ერთი და მეორეც, ასეთ ვითარებაში, ვფიქრობთ, მკვახე თქმა სჯობს თავაზიან დუმილს და განზე დგომას, სინამდვილის შეგნებული დეფორმაცია — განზრახ შელამაზებულ ფაქტს... სატკივარმა თავისით უნდა იჩინოს თავი. გავიხსენოთ თუნდაც ჩვენი დიდი წინაპრის სულისშემძვრელი სიტყვები: „მე კი ვჰფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს; მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს!"

უკვე ზემოთ ვთქვით, რომ ქართველი კაცისათვის სულიერი სიწმინდე თუ უწმინდურება ყოფნა-არყოფნის ტოლფასი იყო. ამიტომაც ეს პრობლემა ქართული მხატვრული აზროვნების ქვაკუთხედს ქმნიდა. ბუნებრივია, რომ თანამედროვე ქართული მწერლობაც დუმილით მხარს ვერ აუვლის ამ მტკივნეულ და, ვიტყოდით, საგანგაშო პრობლემათა რიგს. სწორედ სულიერმა აქიმმა — ქართველმა მწერალმა უნდა შესძლოს ამ სენისგან ჩვენი განკურნება. ამიტომაც დღეს თითქმის ყველა ქართველი მწერლის შემოქმედებაში თავი იჩინა ამ სატკივარმა, რომლის წარმოსახვაც და კონცეფციური გადაჭრაც სხვადასხვა განზომილებებსა და სიბრტყეებზე

ხორციელდება. პრობლემის მკითხველამდე დაყვანა, ესთეტიკური ზემოქმედება თუ ზნეობრივი კათარზისი განსხვავებული მეთოდებით და საშუალებებით მიიღწევა: როგორც დადებითი, ამაღლებული სურათების, ასევე უარყოფითი, შემზარავი ვითარების დახატვით. ეს ორივე გზა სასურველია მიზნის მისაღწევად, რადგან ადამიანის სულიერ აღზრდაზე ორივე ამ გზას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

შეუძლებელია ერთი წერილის ფარგლებში, თუნდაც ზერელედ, შეეხო ყველა იმ მწერალთა შემოქმედებას, რომლებიც ადამიანის და ერის სულიერ ღირებულებათა ავ-კარგის წარმოსახვას ლამობენ. ამიტომაც გადავწყვიტეთ რამდენიმე ნაწარმოებზე შევჩერდეთ, რომელთა ეთიკურ-ესთეტიკური ღირებულება უაღრესად ფასეულად გვეჩვენება ჩვენ დროში.

ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ამ განსხვავებულ ქმნილებათა ერთად განხილვა მხოლოდ საერთო თემატური რკალით არის განპირობებული. ამახთანავე პრობლემების წარმოსახვა სხვადასხვა დროსა და ეპოქაშია გადატანილი, რაც ერთგვარ საშუალებას გვაძლევს დიაქრონულ ჭრილში მოვიაზროთ საკითხი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს დღევანდელობისათვის უაღრესად მტკივნეული პრობლემა საანალიზო ნაწარმოებებში სხვადასხვა მხატვრული დროის ასპექტშია დახატული, კერძოდ, წარსულში, აწმყოსა და მომავალში. ასე რომ, უფრო ზოგადად ასე შეიძლება განვჭვრიტოთ იგი: რა დაგვემართა, რა გვემართება, რა დაგვემართება?!

## I. ჟამი ჟამისა

პირველესად მივმართოთ გურამ გეგეშიძის მოთხრობას „ჟამი", რომელიც „ცისკარში" გამოქვეყნდა (1985, № 2).

ამ მოთხრობას შეიძლება პირობითად ისტორიული ვუწოდოთ, თავად ავტორიც ხაზგასმით მიგვანიშნებს ამაზე, როცა სათაურის ქვემოთ საგანგებოდ აკონკრეტებს ამ ფაქტს. მკითხველი, ალბათ, ამ მინაწერის გარეშეც მიხვდებოდა, რომ მოთხრობაში გადმოცემული ამბავი ჩვენი ქვეყნის წარსულს ეხება მაგრამ, როგორც ჩანს ამ რემარკით ავტორს სურს ამბის ისტორიული, დოკუმენტური მხარე წამოსწიოს წინ, ხაზი გაუსვას არა ახაპულის მხატვრულ პირობითობას, არამედ ისტორიულ მნიშვნელობას. ავტორის ამ განზრახვაზე მეტყველებს ისიც, რომ ამბის მთხრობელი (ამბავი პირველი პირით არის გადმოცემული) ორგზის „მემატიანედ" მოიხსენიება მოთხრობაში. ჯერ თავად ის გვაუწყებს, თუ როგორ და რა მიზეზით გახდა „მემატიანე". მისი „აღსარებით, ამის მიზეზი „პირველობის განცდა" ყოფილა, რომელიც „მაღლა მიგაქროლებს... და გავიწყებს მიწის სიმძიმეს", ხოლო ეს „შეგრძნება იმდენად საამო იყო", რომ მას სწადდა „უსასრულოდ გაწელილიყო ეს ბედნიერი წამი". ცხადია, გურამ გეგეშიძის გაგებით, მემატიანის აღმაფრენა მწერლის შემოქმედებითი აღტყინების იდენტურია. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მწერალი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალით კვლავაც მიგვანიშნებს, რომ ისტორიკოსი-მემატიანე და მწერალი — შემოქმედი ურთიერთმსგავსი და ურთიერთმონათესავე ცნებებია, რითაც ერთხელ კიდევ წარმოჩინდება ნაწარმოების მხატვრული და ისტორიული დიალექტიკური ერთიანობის მნიშვნელობა. ასე და ამგვარად, მემატიანე-მწერალი ისე შეეჩვია ამ საქმიანობას, რომ აღნუსხავდა ყველაფერს, რაც იცოდა, რასაც გაიგებდა, კარგსა თუ ცუდს და არა მარტო იმას, რაც მას თავად შეემთხვეოდა, არამედ იმასაც, რაც სხვებს ეხებოდა. ამბის მთხრობელი სხვა კონტექსტშიც იხსენიება მემატიანედ, მაგრამ ამჯერად უკვე სხვათა მიერ არის ამ სახელით მონათლული.

ცხადია, მთხრობლის ორჯერ „მემატიანედ" გამოცხადება შემთხვევითი როდია. თანაც იმავდროულად ხაზგასმულია ისიც, რომ მემატიანე გადმოგვცემს მხოლოდ იმას, რაც განიცადა, რაც გაიგონა, რაც მოისმინა, რაც მას ან სხვას გადახდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გზით მწერალი ჯიუტად გვარწმუნებს, რომ საქმე გვაქვს არა გამოგონილ ამბავთან, არამედ სინამდვილესთან, არა მხატვრულ პირობითობასთან, არამედ ისტორიასთან. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ, ჯერ ერთი, ამ მეთოდით გურამ გეგეშიძე ზრდის ამ მოთხრობის ესთეტიკური ზემოქმედების ძალას. ერთი შეხედვით, პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ გამოგონილსა და მხატვრულობაზე „უარის თქმით", იზრდება ნაწარმოების ემოციის აღმძვრელი ველი. რადგანაც კონკრეტულ შემთხვევაში მკითხველის სულზე ზემოქმედება, მისი აღტყინება და განწმენდა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა იგი მოთხრობის რეალურობას, უფრო სწორედ, ისტორიულ ჭეშმარიტებას იწამებს. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადმოცემული ისტორია, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ დროსა და სივრცეს, კონკრეტულ ისტორიულ მასალას და ფაქტებს, უფრო ზოგად ხასიათს ატარებს, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ მწერლისათვის მოცემულ შემთხვევაში ისტორიულის წინ წამოწევა მხოლოდ ხერხი და საშუალებაა ჩანაფიქრის სრულყოფილი მხატვრული განსხეულებისათვის.

მეორეც, ავტორის ასეთი პოზიცია განსაზღვრავს მოთხრობის სტრუქტურის კომპოზიციას: ნაწარმოების კითხვის დროს გეუფლებათ გრძნობა, რომ ის სიუჟეტურად გაუმართავი და შეუკვრელია, ერთგვარად აკლია მთლიანობა, ალაგ-ალაგ სტილისტურად დაუხვეწავი და გაურანდავია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მწერალი ამას შე-

განებულად ხჩადის: ჯერ ერთი, მას სურს მოთხრობილი ამბავი „ჩანაწერის“ ფორმით მოგვაწოდოს, რაც გარკვეულად გამართლებულია მწერლის ჩანაფიქრით და ამ ჩანაფიქრის გაფორმების მეთოდით. მეორეც, გურამ გეგეშიძე კარგად გრძნობს, და ეს მის მწერლურ ალღოსა და ჭეშმარიტ ნიჭიერებაზე მეტყველებს, თუ სათქმელი რა სახით მიაწოდოს მკითხველს. მან იცის, რომ საანალიზო მოთხრობის ფაბულას გულდაგულ გაშალაშინებული და სავსებით დახვეწილი არქიტექტონიკა კი არ მიესადაგება, არამედ გაუმართავი, ალაგ-ალაგ ამობურცული და დამსხვრეული ხაზები, რადგანაც, მწერლის რწმენით, კონკრეტულ შემთხვევაში დამსხვრეული სარკის ზედაპირი უფრო კარგად ასახავს იმ საშინელებას და ტრაგედიას, რისი გადმოცემაც განუზრახავს მას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწერალი ასახვის საშუალებად განზრახ იყენებს დეფორმირებული სარკის ზედაპირს, რაც ვლინდება როგორც მოთხრობის აგების კომპოზიციაში, ასევე მომხდარი ფაქტის შეგნებულ გამრუდებაში. ჩვენ ხშირად ჩაგვიხედავს ისეთ სარკეში, რომელიც გონჯად წარმოაჩენს ჩვენს ფიზიკურ გარეგნობას. მაგრამ ამ „დეფორმაციას“ ჩვენი გულწრფელი სიცილი გამოუწვევია, რადგან ვგრძნობთ, რომ ეს სიმახინჯე სინამდვილეს არ შეეფარდება. დაახლოებით ასეთ ვითარებასთან, ოღონდ განსხვავებულ განცდასთან, გვაქვს საქმე, როცა მხატვრულ ქმნილებას ვკითხულობთ. აქაც იგრძნობა წინასწარი და განზრახ დეფორმირება მოვლენებისა, მაგრამ, რეალურობის ეს მსხვრევა მხოლოდ ლაღი სიცილის გამომწვევი როდია?! მკითხველი კარგად გრძნობს, ყოველ შემთხვევაში, უნდა გრძნობდეს იმას, რომ ამ დეფორმაციას სინამდვილე ასაზრდოებს. ამიტომაც მისი აღქმა, რომელიც გარკვეული კუთხით ყველა რეციპიენტს ეხება, ტრაგიკულია და აღძრული განცდაც უფრო წუხილის მომგვრელია, ვიდრე სიხარულისა.

ამავე დროს ზემოთ მინიშნებული ხერხით ავტორი ახერხებს ერთგვარ „განკიდევანებას“, ის უშუალოდ არ ერევა ამბავთა და მოვლენათა განვითარებაში, არ გვაძლევს შეფასებას და, რაც მთავარია, არ გვიმჟღავნებს, შეძლებისდაგვარად მალავს თავის დამოკიდებულებას თუ პოზიციას წამოჭრილი პრობლემისადმი. ის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გარედან დამკვირვებლის“ როლში გვევლინება. ალბათ, სწორედ ამ მიზეზით მკითხველი ვერ აღიქვამს ნაწარმოების ტენდენციურობას, ავტორის წინასწარ შემუშავებულ თვალსაზრისს, რომელიც, თუ კი გამჟღავნებულია, ერთგვარი ძალდატანების, „თავზემოხვევის“ ფორმას იღებს და ამდენად მკითხველის უკურეაქციას და უკმაყოფილებას იწვევს.

ზემოთ უკვე ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ საანალიზო მოთხრობას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ისტორიული, რადგანაც ნაწარმოების დრო არ ატარებს კონკრეტულ ხასიათს. ის არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ზოგადად წარსული, აბსტრაგირებულ სიბრტყეზე დახატული გარდასული ჟამი და არა რომელიმე კონკრეტული პერიოდი, გარკვეული ისტორიული ვითარება ჩვენი ქვეყნისა. არც მოთხრობის სივრცეა კონკრეტულ ჩარჩოებში მოქცეული. მკითხველი მხოლოდღა იმას ხვდება, რომ ამბავი საქართველოში უნდა ხდებოდეს, მაგრამ კონკრეტულად რომელ კუთხეში და სად — ამაზე არაფერია მინიშნებული. ერთი კია, რომ მოთხრობის პერსონაჟები განუწყვეტლივ მოგზაურობენ, მიდიან ქალაქიდან სოფლისაკენ ანდა, პირიქით, სოფლიდან ქალაქისაკენ, მიისწრაფვიან ჩრდილოეთისაკენ, დასავლეთისაკენ და კიდევ სხვა მიმართულებით.

საერთოდ, მოთხრობაში ამბავი იშლება იმ დროს, როცა ქვეყანაში თათრები მძლავრობენ. ვგონებ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ „თათრები“ ამ შემთხვევაში არა რაიმე ეთნიკურ ელემენტს და ნაციონალობას გადმოგვცემენ, არამედ ზოგადად იმ მტრის, დამპყრობლის სიმბოლოდ არიან წარმოდგენილნი, ჩვენ ქვეყანას რომ ათახსირებდნენ და ფიზიკურად და სულიერად აჩანაგებდნენ.

ყველაფრისაგან ცხადი ხდება, რომ გურამ გეგეშიძე მოთხრობის სტრუქტურის აგების დროს ორ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ურთიერთგამომრიცხავ ხერხს მიმართავს: ერთის მხრივ, მას სურს მკითხველი დაარწმუნოს, რომ ისტორიულ ამბავთან, უტყუარ ფაქტებთან აქვს საქმე, ხოლო, მეორე მხრივ, დროისა და სივრცის აბსტრაგირებით გადმოცემულ მოვლენებს განაზოგადებს. სწორედ ამ ისტორიულობის წინ წამოწევით და შემდგომ მისი დეკონკრეტიზაციით აღწევს მწერალი სასურველ ეფექტს: მოვლენები, ამბები ისტორიულ სინამდვილედ, ჭეშმარიტებად აღიქმება, მაგრამ მათ აქვთ არა ლოკალური, მხოლოდ გარკვეული დროისა და ეპოქისათვის ნიშანდობლივი ხასიათი, არამედ უფრო განზოგადებული. უფრო სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ჭირი“, რომელზედაც მოთხრობაში არის საუბარი, გავრცელებული იყო არა ჩვენი ერის რომელიმე ქრონოლოგიურ პერიოდსა და კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, არამედ საერთოდ, უფრო სწორად, მაშინ, როცა ჩვენი ერი მტერთაგან იყო ძლეული და დაპყრობილი. უფრო მეტიც, მოთხრობაში პრობლემა იმ კუთხით არის დასმული, რომ მთელი ყურადღება გადატანილია არა იმაზე, ჰქონდა თუ არა ამა თუ იმ ფაქტს მართლაც ადგილი ჩვენი ერის ცხოვრებაში, არამედ იმაზე, რომ ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო ანდა, რაც უფრო საყურადღებოა, მომავალში შესაძლებელია, რომ მოხდეს. აქედან გამომდინარე კი მოთხრობის გარდასული, ისტორიული დრო, მხატვრული პირობითობით რომ არის

წარმოსახული, ტრაგიკულ წარსულთან ერთად, აწმყოსა და მომავალზე გვაფიქრებს და სევდიან ფიქრებს აღძრავს. საერთოდ, ყველა ისტორიულ რომანს, თუკი ჭეშმარიტ მხატვრულ ქმნილებასთან გვაქვს საქმე, ეს თვისება უნდა გააჩნდეს. ისტორიულ „გაკვეთილს“ მაშინ აქვს ფასი, თუკი მომავალს თუ არა, დღევანდელობას მაინც ესიტყვება, რაღაცაზე გვაფიქრებს და გვაღელვებს. საანალიზო მოთხრობის ერთ-ერთ ღირსებად სწორედ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ისტორიული წარსულისკენ მიმართული მზერა, მხოლოდ იქ არ სრულდება და პერსპექტივაშიც არის გატყორცნილი. მაგრამ ახლა დავუბრუნდეთ მოთხრობას და მის მთავარ გმირს — მემატიანეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთხრობის ამბავთა მთხრობლად „მემატიანე“ გვევლინება, რომელსაც თავისი საკუთარი ხვედრი და ცხოვრებისეული გზა გააჩნია. ერთი სიტყვით, ის, რაც მოთხრობაშია გადმოცემული, არის „მემატიანის“ პირადი ცხოვრება, საკუთარი თვალით დანახული და გულით განცდილი, შინაგანი მზერით განჭვრეტილი და გათავისებული. ამის აღნიშვნა იმიტომაც არის საჭირო, რომ არც თუ იშვიათად „მემატიანე“ ზედმეტად მუქ ფერებში აღიქვამს სამყაროს და, საერთოდ, ამქვეყნიურ ყოფიერებას. ამას კი მწერალი ნაწილობრივ იმითაც ამართლებს, რომ „მემატიანის“ პიროვნული ჩამოყალიბება განსაკუთრებულ მძიმე პირობებში ხდებოდა. ჯერ იყო და ერთმანეთის ალერსში გართულმა მშობლებმა ვერ შეამჩნიეს, თუ როგორ ჩაწიხლა ცხენმა მათი მცირეწლოვანი ბავშვი და სახე სამუდამოდ დაუსახიჩრა. მერე მამის მოქნეულმა მათრახმა სახე კიდევ უფ „შეულამაზა“. ფიზიკურად გონჯს და მახინჯს უჭირს ადამიანებთან ურთიერთობა, არც კაცთა მოდგმა ინდობს მას: შინაური თუ გარეული დრო და დრო ახსენებს ფიზიკურ ნაკლს და ირონიით გესლავს. მხოლოდ ოჯახში, თავისიანებთან გრძნობს შედარებით თავისუფლად თავს. მაგრამ არც ოჯახში სუფევს სრული სიმშვიდე. მწერალი დაწვრილებით მოგვითხრობს მემატიანის ოჯახის ისტორიას. მართალია, აქ თითქოს ერთი ოჯახის თავგადასავალია მოთხრობილი, მაგრამ მკითხველი კარგად გრძნობს, რომ ცალკეულ, გამონაკლის შემთხვევასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ზოგად, ტიპიურთან. ეს არის საერთოდ ქართველი კაცის ოჯახის ისტორია. მეტიც შეიძლება ითქვას, ეს ოჯახის კი არა, საერთოდ საქართველოს ბედუკუღმართი ისტორიაა!..

როგორც მემატიანე გვაუწყებს, პაპამისის მიუდგომელი ციხე მთელ გვარს იფარავდა, მაგრამ პაპის სიკვდილის შემდგომ შვილები გადაეკიდნენ ერთმანეთს. პაპისეული მამული დააქუცმაცეს, ძველი ციხე დაანგრიეს: „რაც მტერმა ვერ მოახერხა, თვითონ დააწიეს თავს“. მათ კინკლაობას ბოლო არ უჩანდა: „მიწის გოჯს არ უთმობდნენ ერთმანეთს, თუნდაც ჭირს წაეღო იჭაურობა, ოღონდ ერთი მეორე არ ესარგებლებინათ“. აი, ასეთი სული სუფევდა მემატიანის ნათესაობაში და რა გასაკვირია, რომ იგი ასე აფასებს თავის მოდგმასა და ჯიშს: „მაშინ მივხვდი ბორველად, რომ ჩვენი მოდგმის თვისებაა შინაურის არ დანდობა, გამწარება, შური. რასაც უცხოს, თუნდაც მტერს ვერ გაუბედავენ, იმას შინაურს დამართებენ, ახლობელზე იყრიან გულს“. მძიმე მოსასმენია კაცისათვის ასეთი განაჩენი, მაგრამ მკითხველი იმასაც ნათლად ხედავს და იგებს, რომ ის ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს. მემატიანის აზრით, ეს და კიდევ მრავალი სხვა უარყოფითი თვისება ჩვენში უცხოთა გავლენით არის დამკვიდრებული. მტერმა იმდენი მოახერხა, რომ ის თვისებები, რის გამოც გვეზიზღებოდა ჩვენი მოსისხლე, თანდათან ჩვენშივე გადმონერგა. ასე და ამგვარად ჩვენ ყოფაში ფეხი მოიკიდა და დამკვიდრდა: „საყოველთაო სულმოკლეობა“, „მოყვასის კილვა-ძაგება“, ანგარება, წვრილმანობა, მოუთმენლობა, უნდობლობა, გაუტანლობა, უზრდელობა და ვინ იცის, რა“. თანაც საყურადღებო ის არის, რომ სიმართლეს თვალს ველარ ვუსწორებდით და თავს ვიტყუებდით, „ვითომც მაინც ვჯობდით ჩვენ დამაქცევარ თათრებს“, ხოლო ამგვარმა თავის მოტყუებამ იქამდეც კი მიიყვანა ზოგიერთი, „რომ საკუთარი მანკიერებით ტრაბახობდა“.

მაგრამ მემატიანის შეფასება ჩვენი ხალხის ზნეობისა ამით არ ამოიწურება. ის კიდევ ერთ საოცარ ზნეს ამჩნევს თავის მოდგმას- „რაც მართლა სამარცხვინოა, იმისი არ რცხვენიათ და რაც არც ისე სათაკილოა, იმას უკადრისობენ. ღალატი, სიტყვის გატეხა, გაუტანლობა, სიზარმაცე, უმეცრება, უსინდისობა, — ჭრაფრად მიაჩნიათ, მაგრამ ყოველივე ამაზე რომ მიუთითოთ — თავს შეგაკლავენ, ვინ კითხავს ამ არამკითხესაო. ბევრჯერ შემიმჩნევია: დიდ საქმეში სინდისს უყოყმანოდ ღალატობენ, წვრილმანში — მტკიცედ იცავენ ღირსებას“.

ასეთი „შეფასებანი“ და მსჯელობანი, რომლებსაც ხშირად ვხვდებით ნაწარმოებში, ერთი შეხედვით, ამოვარდნილნი არიან მოთხრობის კომპოზიციური სტრუქტურიდან და მხატვრული ქსოვილიდან ამობურცულნი, ერთგვარ დევიზურ ხასიათს ატარებენ. მაგრამ, ჯერ ერთი, მოთხრობაში გადმოცემული მოვლენები თავისთავად აღძრავენ ასეთ ფიქრებს; მეორეც, ამგვარი მსჯელობანი თუ ჩანაწერები დოკუმენტური თხრობის იერს ანიჭებენ ნაწარმოებს და, მესამეც, რაც მთავარია, მწერალი ცდილობს, არა სათავგადასავლო ამბავთა გადმოცემით ანდა დეტექტიური ელემენტის წინ წამოწევით მოხიბლოს მკითხველი, არამედ ფიქრისა და განსჯის გზით მასში აღძრას დარდი და წუხილი თავისი ერის წარსულსა თუ მომავალზე. ამ შემთხვევაში მწერალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ ცდილობს, ჩაიყოლიოს მკითხველი მოვლენათა მხატვრული განვითარების რკალში და ტრაგიკულის ალქმის

შედეგად აღძრული თანაგანცდა გამოიწვიოს მასში, რაც ერთგვარ „სანტიმენტალურ“ ცრემლს მოჰგვრიდა დამწუხრებულ თვალებს, არამედ „გარედან დამკვირვებლის“ როლი დააკისროს მას და განსჯისა და მსჯელობის სურვილი აღუძრას. ასე რომ, მოთხრობის აგების არქიტექტონიკა, წარმოსახვის სპეციფიკა და კონცეფციური თვალთახედვანი, ერთი სიტყვით, ნაწარმოების სტრუქტურის ყველა ელემენტი მიმართულია იქით, რომ მკითხველში ამგვარი განსჯისა და შეფასების განწყობილება შექმნას. ამიტომაც ამ შეფასებებს აქვთ უაღრესად დიდი მნიშვნელობა და ჩვენ კვლავაც გავიხსენებთ მათ. ახლა კი მემატიანის ოჯახის ისტორიას დავუბრუნდეთ:

მემატიანის უფროსი ძმა — გიორგი და მამა წვრილმანის გამო წაეკიდნენ და ერთმანეთს გადაემტერნენ. თავიანთ ციხეებში გამაგრდნენ და ურთიერთს ექიშპებოდნენ. მთავარი ის არის, რომ ცალ-ცალკე მტერს ველარ უმკლავდებოდნენ. თათრებმაც არ დაახანეს და სასტიკად გაუსწორდნენ, მემატიანის „სახლეული“ ისე გაჟუჟეს და ამოწყვიტეს, რომ, როცა მემატიანე შემოსევის შემდგომ „ბნელ და საიდუმლო ხაროდან“ ამოძვრა, „აყროლებული სუნი „ძგერა“ და შეზიზღდა იქაურობა და, საერთოდ, დღის სინათლე, „დაუნდობლად რომ ამზეურებდა ამ საშინელ სასაკლაოს“. ამიტომაც მოუნდა „ისევ ჯურღმულის უკუნ წყვდიადში... ჩამარხვა, სადაც არაფერია, არც ბუნების სილამაზე და არც ცხოვრების სიმახინჯე“. ასე მიიდრიკა ის განკიდეგანებული ცხოვრებისაკენ. უფრო სხვაგვარად რომ ვთქვათ, მემატიანე ბნელი ჯურღმულის წყვდიადში ჩაფლული ეძლევა ყოფიერების რაობაზე ფიქრს. მხოლოდ ამ მდგომარეობაში მას ეუფლება „პირველყოფილი სიმშვიდე“. ის თავის თავში ჩაძირული ეძიებს გამოსავალს, გზას და, საერთოდ, სიმართლეს. ეს არის ერთგვარი მისტიკური თვითშემეცნება, რომელიც საკუთარი „მე“-ს ყოველმხრივი გაანალიზებით მაღლდება სულის ნეტარ სიმშვიდემდე. მაგრამ ეს ჰარმონია ირღვეოდა მაშინვე, როგორც კი გამოვიდოდა „სამზეოზე“ „სადაც დაუსრულებელი ფუსფუსი, გულგრილობა, სისასტიკე და ვერაგობა ბატონობდა. იყო სიკეთეც, იყო სიყვარულიც, იყო ცნობისწადილიც, მაგრამ შელანძღული და დამარცხებული. მიმნდობი და კეთილი კაცი მალავდა თავის სიკეთეს და ცდილობდა თავი თავხედად და „ნემსში გამძვრალად მოეჩვენებინა“. ერთი სიტყვით, ჯურღმულიდან ამოსულს „მხოლოდ უბრალო უაზრობა“ რჩებოდა ხელთ და ისევ ჯურღმულისაკენ მიისწრაფვოდა. ასეთ „ასკეტურ“ თვითგვემამდე და თავის თავში მისტიკურ ჩაძირვამდე მემატიანე რეალობამ, ისტორიულმა სინამდვილემ მიიყვანა. ამიტომაცაა სამყაროსადმი მისი დამოკიდებულება მძაფრია, უფრო სწორად, ტრაგიზმის ზღვრამდე მისული. ბუნებრივია, ამა სოფლის მისეული აღქმაც ტრაგიკულია და მკვეთრად კონტრასტული. მწერალი ამ გარემოების წინ წამოწევით თითქმის ამართლებს მემატიანის პესიმისტურ, უარყოფით დამოკიდებულებას საერთოდ „მზის ქვეშეთისადმი“ და იმ მსოფლმხედველობრივ პოზიციას, რომელიც მას გააჩნია. ამავე დროს, ეს ხერხი ერთგვარად ბუნებრივს ხდის მემატიანის იმ მონოლოგებს, ფიქრებს თუ განსჯებს, რომლებიც ძალზე ხშირად გვხვდება მოთხრობაში. მარტივად რომ ვთქვათ, მხატვრული ლოგიკით სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება მემატიანის აზრებიც და მათი განსხეულების ფორმაც: ბოროტებას გარიდებული, თავის თავში ჩაძირული ადამიანი ეძლევა განსჯას. მისი აზროვნების თვალსაწიერში ცხოვრებისა და, საერთოდ, წუთისოფლის მრავალი წყევლაკრულვიანი პრობლემა არის მოქცეული. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მემატიანის მსოფლგანცდას მთლიანად ტრაგიზმის მძაფრი განცდა ასაზრდოებს. ხოლო ამ ტრაგიზმის ფესვები, ერთის მხრივ, უნდა ვეძებოთ მის ინდივიდუალურ, ფსიქოლოგიურ დონეში, პიროვნულ, სულიერ თუ ფიზიკურ თვისებებსა და თავისებურებებში, მეორე მხრივ კი იმ საზოგადოებრივ, სოციალურ-პოლიტიკურ ყოფაში, რომელშიც მას უხდება ცხოვრება.

მოთხრობაში მემატიანის ცხოვრების გზა ისეა წარმოდგენილი, რომ მკითხველს აღარ უკვირს, პირიქით, ბუნებრივადაც კი ეჩვენება ის ერთგვარი „ზიზღი“, რომელსაც იგი განიცდის ადამიანთა მოდგმისადმი. ერის და ქვეყნის დაცემამ და დაკნინებამ, სოფლისა და ადამიანთა გაუტანლობამ, პირადმა თუ სხვათა უბედურებამ მემატიანის მსოფლგანცდა იმ დონემდე მიიყვანა, როცა ყველაფერი და ყოველივე, რაც გარს გარტყამს და გახვევია, მხოლოდ არარაობის ბნელეთშია დანთქმული და მხოლოდ უარყოფითი ემოციების და განცდის მიზეზად იქცევა. „სასტიკად ცდება, ვისაც ჰგონია, რომ ოდესმე კეთილი სძლევს ბოროტს... ცხოვრება მართლაც ბნელი ხაროა, ადამიანები — ვერაგები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაუტანლობის და „უმეცრების მოწმედ ყოფნა, ყოველივეზე გულს გიცრუებს. ნებსით თუ უნებლიეთ, ყველას ვიღაცის დაჩაგვრა, დამონება, გამწარება და მოკვლა უნდა. არ არსებობს კაცი, ვიღაცის მოსპობა რომ არ სურდეს და სპობენ კიდევაც ერთმანეთს სხვადასხვა საშუალებებით. იმისათვის არსებობენ, რომ ერთმანეთი ჟლიტონ. ერთმანეთს თავს მოახვიონ საკუთარი ნება-სურვილი, თითქოს სისხლში თვითგანადგურების მძაფრი ჟინი უდუღდეთ, რომელსაც ათასგვარი ტყუილით ნიღბავენ. მთელი ცხოვრება ტყუილებზეა აგებული! ეს არის ადამიანის მაღალი დანიშნულება?“

აი, ასეთ მუქ ფერებში ესახება ადამიანის მოდგმის დანიშნულება და ცხოვრების წესი მემატიანეს. განაჩენი მართლაც მკაცრია და დაუნდობელი. ახლა ნუ შევუდგებით იმის განსჯას, სწორია თუ არა ამგვარი განაჩენი. ნურც იმის

გარკვევას გამოვეკიდებით, ვიზიარებთ თუ არა ამ თვალსაზრისს. ამჟამად, მთავარი ის არის, რომ მთხრობელი მოთხრობის დასაწყისშივე გვთავაზობს მას და ამგვარი განცხადებით იმთავითვე გვზაფრავს და გვმუხტავს. თანაც ისეთი განწყობილება გვეუფლება, რომ რაღაც ზღვარდაუდებელი უბედურება და საშინელება ჯერ კიდევ წინ გველის. ერთი სიტყვით, მკითხველი ქვეცნობიერად გრძნობს, რომ ამ უკიდურეს აზრამდე ადამიანი მძიმე წილხვედრს უნდა მიეყვანა. მართლაც, შემდგომ ამბავთა მსვლელობა ამართლებს ამ წინათგრძნობას. აქვე იმის აღნიშვნაც არის საჭირო, რომ გურამ გეგეშიძე ხატავს ისეთ სიტუაციებს, როცა მკითხველი უთანაგრძნობს და სწამს მემატიანისა. მაგრამ არც თუ იშვიათად. მას უჩნდება სურვილი ეკამათოს და თავად კრიტიკულად შეაფასოს მთავარი გმირის ნამოქმედარი. მეტიც, ხშირად „გაგულისებული“ მკითხველი უფრო შორსაც მიდის: მემატიანესთან მალულ დავაში ის ბრაზობს მასზე და სხვა მოქმედ გმირებზე, არ მოსწონს მათი მორალურ-ზნეობრივი მრწამსი თუ მსოფლმხედველობრივი პოზიცია, ზნეობრივი „განკითხვის“ სამსჯავროზე გამოაქვს მემატიანის თუ სხვათა ნაფიქრალი და ნამოქმედარი, აფასებს, საერთოდ, ადამიანის ადამიანურ პოზიციას. მკითხველს კონკრეტულ სიტუაციაში აინტერესებს არა მომხდარი ფაქტის სინამდვილე, არამედ მას აფიქრებს მოვლენის შესაძლებლობის „სიხშირე“.

ამ უჩინარ დიალოგში, რომელშიც მონაწილეობს მთავარი გმირი — მემატიანე, ხშირად ავტორის თვალსაზრისს რომ გვაუწყებს, მკითხველი და შეგნებულად „განზე მდგომი“ მწერალი, პოლიფონიური ხმები გამოსჭვივის და დიდი აზრთა სხვადასხვაობაც სუფევს. მაგრამ სწორედ ასეთ დიალოგურ მიმართებაში მკითხველი ხდება უშუალო მონაწილე მოთხრობაში დატრიალებული მოვლენებისა და თავისი აქტიური პოზიციით, როცა ის სხვათა განმსჯელის როლში გამოდის, არ ავიწყდება საკუთარი „მე“-ს განკითხვაც. ამგვარად მყარდება მკითხველსა და მოთხრობის პერსონაჟებს შორის ის „სულიერი ნათესაობა“, რომელიც თანდათან ძლიერდება და საბოლოოდ „ერთსულობაში“ გადაიზრდება. აი, ამ დროს მოთხრობის პერსონაჟების ტრაგედიას მკითხველი, როგორც წესი, თავის საკუთარ უბედურებად მიიჩნევს, რასაც ბუნებრივად მოჰყვება ხოლმე განსჯითი პოზიციის შეცვლა და თანაგანცდის აღმოცენება.

სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, ეს გამუქებული შავი ფერი, ეს შემზარავი აზრები, რომლებიც მკითხველის სულზე ძალზე მძაფრად მოქმედებს და ფსიქიკურ სტრესამდე მიჰყავთ იგი, „უკუთქმითი“ გზით ახდენს მის განწმენდას და „გაკეთილშობილებას“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნათელი უფრო მკვეთრად აღიქმება კონტრასტულ შავ ფონზე. როგორც ერთი შუა საუკუნეების ფილოსოფოსი ამბობდა: — მზის ნათების სიძლიერეს ჩვენ ღამის წყალობით აღვიქვამთ. გურამ გეგეშიძეც ამ კლასიკურ ხერხს მიმართავს, ის შეგნებულად ამუქებს და ამძაფრებს ფონს, რათა მკითხველმა უფრო კარგად მიხვდეს, თუ რაში ჰგიებს ადამიანის ზნეობრივი სიწინდე. ეს მეთოდი, როცა კონტრასტის და უარყოფითის წინ წამოწევით ხდება ადამიანის განწმენდა, ძალზე ძველია და კლასიკური ხელოვნების თუ ლიტერატურის ერთ-ერთი არსებითი სპეციფიკურობაა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ბუნებრივი და ზომიერი გამოყენება მხოლოდ მაღალი პროფესიულობის წყალობით ხდება, რაც, საბედნიეროდ, არ აკლია გურამ გეგეშიძეს. ამიტომაც ახერხებს იგი თავისი ჩანაფიქრის მკითხველამდე უშუალოდ. ყოველგვარი ხელოვნურობის შეგრძნების გარეშე, დაუვანას. მოთხრობაში დატრიალებული ტრაგედიის ბუნებრივი აღქმა მით უფრო გასაკვირია, თუ გავიხსენებთ, რომ მწერალი არც ჰიპერბოლიზაციას, არც კონტრასტულობას და არც ხელოვნური სიტუაციების შექმნას ერიდება. მაგრამ მთავარი მაინც ის უნდა იყოს, რომ ეს „მაქსიმალიზმი“ და ზოგიერთ შემთხვევაში შეგნებული ხელოვნურობა, რომელიც მოთხრობის სტრუქტურის გარკვეულ დონეზე იჩენს თავს, მხოლოდ იდეის „შიშველ“ წარმოსაჩენად როდია გამიზნული, როგორც ამას ზოგიერთი თანამედროვე მწერლის შემოქმედებაში ვხვდებით. მწერალი ახერხებს ეს „უკიდურესობანი“ ბუნებრიობით შემოსოს და მათ ხავსებით სარწმუნო და ადვილად დასაჯერებელი ელფერი მიანიჭოს რაც გურამ გეგეშიძის მხატვრული განსხეულების და გამოსახვის სტილის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს.

ახლა კვლავ მოთხრობის სიუჟეტს მივუბრუნდეთ. მწერალი „ქართლის ჭირს“ მხოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედიის ფონზე როდი გადმოგვცემს? ის მოგვითხრობს მემატიანის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდს, რომლებიც დიდი ტრაგედიის ცალკეულ დრამატულ სცენებს წარმოადგენენ.

მონასტერში, სადაც ის „განსასწავლად“ მიაბარეს, „ჩარჩული სული“ მძლავრობდა, „რადგანაც თავისუფლებას გადაჩვეული ერი ჩარჩულად აზროვნებდა“ და სწორედ ამიტომაც „სკოლაც თანდათან ირყვნებოდა“. ისინი, ვისაც უნდა აღეზარდათ და ესწავლებინათ, „თავად იყვნენ უვიცნი და ხარბნი“. მათი მთელი მცდელობა იქით იყო მიმართული, რომ როგორმე „თავისთვის ეშოვნათ ლუკმა“. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში „არავინ იყო მასწავლებელი და არც არავის სწყუროდა სწავლა. ქვეყნის საერთო მდგომარეობა, სადაც საყოველთაოდ გაბატონებული იყო „ქურდობა, მტაცებლობა, ლალატი და კაცის კვლა“, პირდაპირ ირეკლებოდა მონასტრის ცხოვრებაზე. ყველაფერში და ყველგან სუფევდა „გარყვნილი სული, ერთმანეთში არეულიყო მრუდი და მართალი. უმეცრება ზე-

იმობდა. ტყუილს და მართალს ერთმანეთისგან ვერ გაარჩევდი და მხოლოდ ერთი ქინი ამოძრავებდა ერსა და ბერსა.—გადარჩენილიყვნენ და რაიმე გამოეგლიჯათ ამ ცხოვრებისათვის". აღარავის ახსოვდა, ერი, არც მისი დიდებული ისტორია.. თათრებიც ამას ლამობდნენ, ანადგურებდნენ და სპობდნენ ყველაფერს, რაც ქვეყნის ისტორიასთან იყო დაკავშირებული, „რათა ერს დავიწყებოდა თავისი წარსული". ეს კი იმ განზრახვით კეთდებოდა, რომ ეროვნულ სულს დავიწყებოდა თავისი წარმომავლობა და ამგვარად თავისთავადობაც დაეკარგა. ბუნებრივია, ასეთ უკიდურეს ვითარებაში ეროვნული ტრაგედია გარდაუვალია!.. მაგრამ მწერალი მოულოდნელად ცვლის აზრთა მსვლელობას და განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს საკითხს: „უნდა კი წარსული, უმომავლოდ დარჩენილს?!" —იკითხავს მემატიანე უბრალოდ, ზედმეტი პათეტიკის გარეშე და ეს კითხვა, თითქოს შემთხვევით რომ წამოიჭრა, შემდგომში მწუხრის ზარის სალოცარ ჟღერადობას და განგებით განსაზღვრული გარდაუვალობის შინაარსს იძენს. ის სხვადასხვა ნიუანსით რამდენიმე გზის მეორდება მოთხრობაში: „დაუსრულებელ წუწუნს წარსულზე არაფერი სანუგეშო არ მოაქვს, ვიცი კარგახანია მომბეზრდა წარსულით ტრაბახი აწმყოსა და მომავლის არამქონეს". ანდა კიდევ: „მხოლოდ ის იწრთობა, ვისაც მომავალი ელის. უმომავლოდ დარჩენილს რას შველის წარსულის გამოცდილება?" ეს გამეორებები შემთხვევით ხასიათს როდი ატარებს?! ისინი გარკვეული აზრით დამუხტულნი, ერთგვარი რეფრენივით მეორდებიან და საგანგაშო და გამაფრთხილებელ შუქ-ნიშნად გვევლინებიან. ვგონებთ, დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო, რომ ამოიკითხოთ ამ კონტექსტის სემანტიკა: როცა ეროვნული სული ივიწყებს თავის პირველად სამშობლოს, ანუ წარსულს, ის გადაგვარების გზაზე დგება და უგზოუკვლოდ და უმიზნოდ დახეტიალობს. — ეს დიდი უბედურებაა!.. მაგრამ გაცილებით უფრო დიდი ტრაგედია ის არის, რომ მას მომავალი და პერსპექტივა არ გააჩნია. დიდებული წარსულის ღირებულება მხოლოდ მომავლის პერსპექტივაში უნდა ალვიქვათ — აი, ის დედააზრი, რომელიც ამ მოთხრობაში პირდაპირ თუ ქვეტექსტურად იკითხება. მართლაც, რაღა ფასი აქვს წარსულს და წარსულით სიამაყეს, როცა სვე გადაწყვეტილია და მომავალი არ გააჩნია?! ვგონებთ, არავითარი!.. ამიტომაც არის, რომ ამბავთა მთხრობელს წარსულზე უფრო მეტად მომავალი აწუხებს, ხვალინდელი დღის „როგორობა" აფიქრებს.

ბუნებრივად ალიძვრის კითხვა. რა ასაზრდოებს მემატიანის ესოდენ დიდ სასოწარკვეთილებას, ტრაგიკულ განცდას და უიმედობას?! მაინც რა ხდება ისეთი, რომ ქვეყანას და ერს მომავალი და არსებობის პერსპექტივა არ უწერია?!

ამ მიზეზებზე ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა საუბარი და მათ აღარ გავიმეორებთ. მაგრამ მთავარი და ძირითადი მიზეზი არ გვითქვამს — ეს არის ის, რომ ერი დამონებული და დაპყრობილია სხვათა მიერ, ხოლო მისი ხალხი კი „დამონებულ ბრბოდ" ქცეულა, რომელსაც აღარ შესწევს უნარი „ერთობლივი ფიქრისა და მოქმედებისა". დღითი დღე უკან მიდის ერის საქმე, ანდა რა გასაკვირია ეს?! როცა თავისუფლება წარკვეთილს არა თუ ბრძოლისა და მოქმედების, არამედ აზროვნების უნარიც დაუკარგავს. მემატიანის და მხატვრის დიალოგი ამ თეზას ასე ავითარებს: „მონებისაგან შენ რას მოითხოვ? მონის ცხოვრება — ეს არის ცოცხლად სიკვდილი. თავისუფლების გარეშე არ შეიძლება არსებობა და წინსვლა.. ამიტომ ყველაფერი, რაც ჩვენში კეთდება, უაზრობად მეჩვენება, თუ თავისუფლების მოსაპოვებლად არ არის მიმართული აშკარად ან ფარულად". ხოლო მემატიანე პასუხობს: „ჭურში ხომ არ ზიხარ, ძმაო ჩემო? მაგ სიტყვის აზრი კარგა ხანია დაავიწყდა ბრბოს, ახლა ჭამაა ერთადერთი გასაგები ცნება". ვგონებ, უფრო ნათლად და დაბეჯითებით მეტის თქმა აღარ შეიძლებოდა. ერის მომავლის და მისი ბედის ეს ერთგვარი წინასწარმეტყველური ხილვა, რომელიც დიდი განსჯის და ფიქრის შედეგია და არა ეგზალტირებული წვდომით აღძრული ემოციების ნაყოფი, ერის ყოფნა-არყოფნის რეალურობას ისეთი შიშველი შემზარაობით წარმოგვიდგენს, რომ მკითხველის უკიდურეს გაღიზიანებას და უარყოფით ემოციებს იწვევს, ხოლო ამ გაღიზიანების ერთერთი მიზეზი ისიც არის, რომ მკითხველი გრძნობს ამ სიტყვების ჭეშმარიტებას და სიმართლეს, რაც ერთგვარ გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს მას. ფსიქოლოგთათვის ცნობილია, რომ ტრაგიზმის ზღვრამდე მისულ ადამიანს თუ ქვეყანას ურჩევნია თავი მოიტყუოს და ილუზიებს მიეცეს, ვიდრე სიმართლეს თვალებში შეხედოს და სინამდვილე ობიექტურად გაიაზროს და მართებულად შეაფასოს, მწერლის აზრით, სწორედ ეს თვითდამშვიდება და საფუძველს მოკლებული ილუზიები არის ქვეყნისათვის ყველაზე დამღუპველი და საშიში. ამიტომაც, ერთგვარი „ჩხვლეტებით" გურამ გეგეშიძე ცდილობს ამ ცთუნების ძილიდან გამოიყვანოს ხალხი. აი, ამ მიზნით გამოაქვს მემატიანეს ასეთი მკაცრი და შეუბრალებელი განაჩენი.

პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ და ვიკითხოთ: მოთხრობაში აღწერილ კონკრეტულ სიტუაციაში აღმოაჩნდა თუ არა ხალხს ეს „შინაგანი ძალა"?! პასუხი მხოლოდ ერთია: — არა. მიზეზი ამისა კი რამდენიმეა. ერთი, როგორც უკვე ვთქვით, მონობა და დამონებაა! აკი შეგვახსენებს კიდეც მემატიანე: „მონობამ წაგვახდინაო, მიხსნიდნენ ამ ამბავს ჭკვიანი კაცები"... დამონებულმა, აზროვნების და მოქმედების უნარწართმეულმა ხალხმა კი დაკარგა სულიერი

სიწმინდე. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, მას საერთოდ არ შერჩა სული!.. მოთხრობის ერთ-ერთ საინტერესო პერსონაჟს, მხატვარს, მემატიანე, კამათით გაღიზიანებული, ასე პასუხობს: „რის სული, რა სული, სად არის სული“ სული ჩაკვდა, მოკვდა, არ არსებობს, ვერ ხედავ?“ მართალია, კონკრეტულ შემთხვევაში შემოქმედების ინდივიდუალურ სულზეა საუბარი, მაგრამ ის შეიძლება აბსტრაგირებულ სიბრტყეზე გავიაზროთ და უფრო განზოგადებული მნიშვნელობით გავიგოთ, რომ საერთოდ ხალხმა და ერმა დაკარგა შემოქმედებითი სული; ეს კი, არც მეტი — არც ნაკლები, ნიშნავს იმას, რომ ერმა დაკარგა საზრიანი სიცოცხლის უნარი, რაც გადაგვარების გზაზე დადგომის პირველი ნიშანია.

მაგრამ უფრო ნიშანდობლივი ის არის, რომ ასეთ მდგომარეობას ჩვეულებრივ მოჰყვება ხოლმე თავდავიწყებისაკენ ლტოლვა. იმის ნაცვლად, რომ ხალხს გონება ევარჯიშებინა და აქტიურად ეძებნა გამოსავალი, სმასა და ღრეობას მიეცა. უცხოეთიდან დაბრუნებულ მემატიანეს დახვდა ქვეყანა, სადაც „მხოლოდ ერთი კერპი ბატონობდა. ეს იყო „დროსტარება, თავდავიწყება. და მართლაც, დროს ატარებდნენ, მხიარულობდნენ, ჭირს არ იმჩნევდნენ“. თუ რა ჭირზეა აქ საუბარი, ამას ქვემოთ მოგახსენებთ. ამჯერად კი იმას შეგახსენებთ, რომ დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთ არსებით მიზეზად „დასახელებულია“ ზნეობრივი გადაგვარება.

ახლა ძნელია იმის გარკვევა და, ალბათ, არც არის ამის საჭიროება, რომ ვიკვლიოთ, — ფიზიკურ დაუძლურებას მოჰყვა სულიერი გახრწნა თუ, პირუკუ, სულიერმა გახრწნამ დააჩაჩანაკა ხალხი. აქ, თუ, შეიძლება ითქვას, ისეთი მიზეზ-შედეგობრივი მიმართება გვაქვს, როცა უმტკივნეულოდ ხდება ამ ცნებათა ურთიერთშენაცვლება, მაგრამ მთავარი და არსებითი ის არის, რომ ზნეობრივი გახრწნა და გადაგვარება მოაზრებულია, როგორც ერის ცხოვრების უპერსპექტივობის ძირითადი მიზეზი. ამიტომაც ამ მოთხრობის იდეურ ხაზს სწორედ ეს პრობლემა წარმოაჩენს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პრობლემა არა მხოლოდ ეროვნული თვალსაზრისით არის დანახული და გახსნილი (რაც ჩვენთვის, ამჯერად, ყველაზე საინტერესოა), არამედ ზოგადად ადამიანური თვალთახედვითაც. ამიტომ მემატიანეს მსჯელობა და ნაფიქრალი მხოლოდ სხვათა საქციელის შეფასების შედეგად კი არ არის აღმოცენებული, არამედ საკუთარი „მეს“, რომელიც არცთუ იშვიათად ადამიანის განზოგადოებულ ცნებამდეა ამაღლებული, თვითანალიზს ემყარება.

ამ დროს მრავალი „წყევლა-კრულვიანი საკითხავი“ იჩენს თავს. აი, ზოგიერთი მათგანი 1. „დაუნდობელი შეიძლება იყოს სამართლიანი და სისასტიკით შეიძლება თუ არა სიმართლის მიგნება?“ 2. ქვეყნის სამართალი რატომ არის ხოლმე ულმობელთა და გულგრილთა ხელში, „რომელთაც არ ძალუძთ შეიგნონ სხვისი ტანჯვა“. 3. საერთოდ, რატომ არის ადამიანი [illegible]დობილი, რატომ ჭრის ყელს, „შვილივით მინდობილ“ ცხოველს და რატომ შეექცევა მას ეს „ვითომ ზნემაღალი და ზნესრული არსება?“ 4. არსებობს თუ არა ბუნებით ცუდი და კარგი კაცი, თუ „მხოლოდ ცუდი და კეთილი ვითარებანი არსებობენ“? 5. არის თუ არა ადამიანის ნება თავისუფალი, თუ რაღაც განგების ხელი წარმართავს მას? 6. „ვინ უწყის რა არის მართალი და რა არის ტყუილი“?- და მისთ...

ყველა ზემოჩამოთვლილი და კიდევ სხვა მრავალი პრობლემა, რომელსაც მემატიანე წამოჭრის და თავისებურად იაზრებს კიდეც, ისევე ძველია, როგორც ეს „ბებერი“ დედამიწა. ცივილიზებულ გონებას ყოველთვის — შუმერული მითოლოგიიდან მოყოლებული დღემდე — აწუხებდა ამ და სხვა ამგვარი საკითხების გადაჭრა. მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ არც დღეს არსებობს რაიმე დადგენილი, საბოლოო პასუხი და მათი გაშუქებაცა და ახსნაც იმდენგვარად შეიძლება, რამდენგვარ სიტუაციაშიც უხდება ადამიანს ყოფნა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ზნეობრივი მოდუსები, რომლებითაც შეიძლება შეფასდეს ამ პასუხების სისწორე თუ არა სისწორე, ცვალებადია და დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი ფორმაციების გარდაქმნასთან ერთად სხვაგვარდება. ამიტომაც ამ პრობლემებს დღესაც არ დაუკარგავს საზოგადოებისათვის მნიშვნელობა და, ალბათ, არც დაკარგავს, ვიდრე კაცობრიობა არსებობს.

ვერ ვიტყვით, რომ ის თვალსაზრისები, რომელთაც მემატიანე გვთავაზობს ამ პრობლემათა განსჯის დროს, ყოველთვის მართალი იყოს და ჩვენც უსიტყვოდ ვიზიარებდეთ მათ. ერთი შეხედვით, კიდევაც გიკვირთ, საიდან შეიძლება გასჩენოდა მას ასეთი არაკაცთმოყვარე აზრები, ადამიანთა მოდგმის სიძულვილი. მაგრამ ჩვენ თუ გავიხსენებთ მისი ცხოვრების გზას და იმ ობიექტურ რეალობას, რომელშიც მემატიანეს უხდება ყოფნა, მაშინ ეს გაკვირვება თანდათან მეორე პლანზე გადაინაცვლებს და უფრო სიბრალულის გრძნობა შეგვიპყრობს. თანაც არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მემატიანის კაცთმოძულე აზრები მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის დიდმა სიყვარულმა და მის მომავალზე ფიქრმა წარმოშვა. ხოლო მწერლისათვის კი ეს გახლავთ ერთ-ერთი იარაღი — მკითხველის სულის შეძვრისა და ამ გზით მისი გაკეთილშობილებისა. ასე რომ, მთლიანი კონტექსტის გარეშე მათი შეფასება არ იქნება მართებული და ამგვარმა მიდგომამ შეიძლება არასწორი წარმოდგენა შეგვიქმნას მოთხრობის დედააზრზე.

მაგრამ ჩვენ ახლა არსებით სათქმელს მოვუბ-

რუნდეთ. მოთხრობაში აღძრულ ფილოსოფიურ და ეთიკურ პრობლემათა შორის განსაკუთრებით წინ წამოწეულია ერთი: ადამიანს, რომელიც მორალურად შეურაცხყვეს და ზნეობრივად გახრწნეს, აქვს თუ არა საერთოდ სიცოცხლის უფლება. მოთხრობის ერთ ეპიზოდში გადმოცემულია თუ როგორ აუპატიურებს რამდენიმე ყმაწვილი პატარა გოგოს. მხატვარი და მემატიანე ამ ფაქტს შემთხვევით წააწყდებიან. მხატვარი გაცლას ამჯობინებს და ამასვე ურჩევს მემატიანეს, რადგან მოძალადეთა სიმრავლე აფიქრებს. მაგრამ მემატიანე უკან არ იხევს, რაღაც შეუნელებელი ძალა მიაქანებს ადამიანის საშველად. ცხადია, ეს საქციელი მის სიკეთესა და დიდსულოვნებაზე მიგვანიშნებს. მაგრამ მალე ის შეგვზარავს თავისი შეუბრალებლობით და სიმკაცრით. მემატიანე ყმაწვილებს ველარ მიუსწრებს, მათ უკვე საქმე მოეთავებინათ და გაუჩინარებულიყვნენ, გაუპატიურებელი, გულწასული გოგონა კი იქვე ეგდო. მხატვარმა გულზე ყური მიადო და მემატიანეს აუწყა, რომ გოგონა ცოცხალი იყო. „მით უარესი!“ — მიუგებს მემატიანე და შემდგომ გვაუწყებს: „მახვილი ალვმართე და მთელი ძალით ჩავარტყი უბედურ გოგონას. შემომესმა, როგორ შეენგრა გულის ფიცარი, ჭრილობიდან სისხლმა გადმოხეთქა... თვალი გაახილა და იქვე დახუჭა. „ეს რა ქენი“ — თავზარდაცემული ყვირის მხატვარი. ხმას არ ვცემ. განა თვითონ არ უნდა მიხვდეს, რომ სამუდამოდ შელანძღულ და შეურაცხყოფილ ცხოვრებას სიკვდილი სჯობს“.

მემატიანის ეს საქციელი შეიძლება აგვეხსნა აფექტური მდგომარეობით, მაგრამ ჩადენილი აქტის მისეული ანალიზი უკვე მეტყველებს მის გაცნობიერებულ მოქმედებაზე. მემატიანის ღრმა რწმენით, „სამუდამოდ შელანძღულ“ ცხოვრებას სიკვდილი სჯობს. აქ იმის აღნიშვნაც არ იქნება ზედმეტი, რომ მემატიანემ ასეთი თვალსაზრისი შეიმუშავა არა მხოლოდ ცალკეული, ინდივიდუალური პიროვნებისადმი, არამედ, საერთოდ, ხალხისა და ერის მიმართაც. თუმცა, როცა მას გაგულისებული მხატვარი მიატოვებს, ეულად დარჩენილს ათასი ეჭვი იპყრობს და ალმაცერად უყურებს როგორც პირად ღირსებას, ასევე საკუთარ ნამოქმედარს. და აქ მას ათასი ფიქრი გაუელვებს თავში. რა უფლებით მოუსწრაფა უგულო მხეცივით სიცოცხლე საბრალო გოგონას? ანდა აქვს კი მას, საერთოდ, უფლება ამაღლებულის პოზიციებიდან უმზიროს მოვლენებს, როცა თავად ლაფშია ჩაფლული? თუმცა უმჯობესია თავად მას მოვუსმინოთ: „ისიც იარსებებდა ამ ლაფში, რომელსაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით და რომელიც ყველას და ყველაფერს იტანს. ისიც შეეგუებოდა თავის შეურაცხყოფას, როგორც ყველანი ვეგუებით ყოველი ფეხის ნაბიჯზე, შეიძლება, ეს შეურაცხყოფად არც კი მოსჩვენებოდა ან კიდევ სიცოცხლის სიტკბოებას მთლიანად წაეშალა ოდესღაც განცდილი სიმწარე, ასე არა ვართ ყველა? ასე არ ვეგუებით ყველაფერს? მაგრამ ღირს ეს დაუსრულებელი და მდაბალი შეგუება? ალბათ, ღირს, რატომაც არ ღირს, თუკი ასეთია ცხოვრება. მე ვინ მეკითხება ამის განსჯას?“ მემატიანის ეს დაეჭვება გადადგმული ნაბიჯის სიმართლეში ძალზე ბუნებრივია და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადამიანთა საქციელის ავ-კარგის განმსაზღვრელი მზამზარეული თარგები არ არსებობს. გარკვეულ სიტუაციაში ადამიანი მოქმედებს შინაგანი ხმის კარნახით, ანდა, უარეს შემთხვევაში, ინსტინქტურად. ხოლო ამ მოქმედების შეფასება „გარედან“ დამკვირვებლის თვალით ყოველთვის როდია გამართლებული?! საერთოდ, რა არის სიმართლე და ვინ არის მართალი — ამის გარკვევა ყოველთვის, განსაკუთრებით კი „ზღვრულ“ ვითარებებში, ძალზე ჭირს. მწერალს ამ შემთხვევაში თავისი, ვიტყოდით, ანგარიშგასაწევი თვალსაზრისი გააჩნია. კერძოდ, მისი აზრით, მართალია ის, „ვისაც ბოლომდე სწამს, რომ მართალია“.

მართლაც, აქვს თუ არა არსებობის უფლება ზნეობრივად შერყვნილ ადამიანს თუ ერს — ეს გარეშე კაცის და უცხო ქვეყნის გადასაწყვეტი არ არის. ამგვარი განაჩენის გამოტანა მხოლოდ თავად „დაავადებულს“ შეუძლია. მაგრამ საკითხის ამგვარი დაყენებაც კი უკვე გვაფიქრებს ზნეობრივი და სულიერის სიწმინდის დიდ მნიშვნელობასა და რაობაზე და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს მოთხრობის მსოფლმხედველობრივი კონცეფციის ქვაკუთხედს, ნაწარმოების იდეურ-სემანტიკურ განვითარებას რომ წარმართავს. როგორც უკვე ალვნიშნეთ, ამგვარი დეტალები მრავლად არის გაბნეული მოთხრობაში და ისინი ყოველთვის მთელთან მიმართებაში ფუნქციონირებენ და ერთი ძირითადი აზრის თვალსაჩინოდ წარმოსაჩენად არიან გამიზნულნი. მაგრამ ახლა შევეხოთ მოთხრობაში დახატული „ფიზიკური რიგის“ მეორე არსებით მიზეზს, რომელიც ერის სიცოცხლეს უპერსპექტივოდ გვისახავს!

ეს არის ის, რომ ქვეყანაში „ჟამი“, ანუ ჭირია გავრცელებული. ჟამიანობა ბატონობს ირგვლივ. ამიტომაცაა, რომ მოთხრობის ყველა პერსონაჟი გარბის, უფრო მართებულად, გაურბის ჭირს. ზოგი სოფლიდან ქალაქს მიეშურება, ზოგიც, პირუკუ, ქალაქიდან სოფელში იხიზნება. დაუსრულებელი მიმოქცევაა ხალხისა, ვის ჩრდილოეთით გაუწევია, ვის დასავლეთით. მაგრამ ამ მოგზაურობას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ჟამი ყველგან ბატონობს. ეს ერთგვარი ქაოტური მოძრაობაა, რომელსაც გააჩნია გარკვეული მიზეზი, მაგრამ არ აქვს კონკრეტული მიზანდასახულობა. ხალხი უთავბოლოდ და უაზროდ მიილტვის ჩრდილოეთისა თუ დასავლეთისაკენ, მაგრამ ნაწარმოების მხატვრულ ორგანიზმში ეს უმიზ-

ნობაც და ეს, ერთი შეხედვით, შემთხვევითი მიმართულებანი გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობით იტვირთება და ქვეტექსტურ გაგებას იძენს.

საერთოდ, ამ მოთხრობაში მრავალი კონტექსტი ქვეტექსტური აზრით არის დატვირთული, რომელთა წაკითხვასაც ახლა ვერ შევუდგებით, მაგრამ არსებითზე ორიოდე სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ: სიმბოლური სემანტიკით არის დატვირთული თუნდაც ერის ტრაგედიის მთავარ მიზეზად მოაზრებული — „ჟამი“, რომელიც მწერალმა მოთხრობის სათაურადაც აირჩია. ამ მარკირებული სათაურით გურამ გეგეშიძემ, ჯერ ერთი, ხაზი გაუსვა ამ სიტყვის სემანტიკას და ის გამოაცხადა ერთგვარ გასაღებად ამ მოთხრობის მსოფლმხედველობრივი კონცეფციის გასაგებად. მეორეც, როგორც ჩანს, მან შეგნებულად აირჩია ეს სიტყვა — ჟამი, რომელსაც გააჩნია ორი მნიშვნელობა: დრო და ჭირი, ხოლო ამ გზით ეს განსხვავებული შინაარსის მქონე სიტყვები მან ერთ სემანტიკურ რკალში მოაქცია, რითაც ხაზი გაუსვა ერთდროულად როგორც ამ სიტყვათა განსხვავებულ შინაარსს, ასევე მსგავსებას და იდენტურობას. ჟამი მძლავრობს დროსა და ჟამში, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭირი გავრცელებულია დროის გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთხრობაში წარმოსახულ დროს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ისტორიული“. მეტიც, ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისეთი ისტორიული დრო, რომელიც უფრო აწმყოსა და მომავალზე გვაფიქრებს და გვაღონებს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის წარსულზე. გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობის კითხვისას მკითხველი კარგა ხანს ვერ ხვდება სათაურის სემანტიკას, უფრო სხვაგვარად, ვერ იგებს, რომელ ჟამზე — ჭირზე თუ დროზეა საუბარი. ბუნებრივია, ესეც მწერლის გარკვეულ განზრახვასა და ჩანაფიქრზე მიგვანიშნებს. მხოლოდ მოგვიანებით ვგებულობთ მოთხრობის სათაურის სემანტიკას და მის სიმბოლურ მნიშვნელობასაც. მკითხველი მხოლოდ მოთხრობის დასასრულს შეიცნობს, რომ ის ჭირი, რომელიც ჩვენში იყო გავრცელებული, სულ სხვა, ეროვნული ჭირი ყოფილა და არა შავი ჭირი. ხოლო ჟამის სიმბოლური მნიშვნელობის უეცარი და მოულოდნელი გახსნა, რომელსაც მწერალი, როგორც ვთქვით, ნაწარმოების ფინალში გვთავაზობს, ძალზე ეფექტურად და, ამავე დროს, რადიკალურად ცვლის პრობლემის ხედვის კუთხეს და იძენს საოცარი ემოციური ზემოქმედების ძალას. მემატიანეს და მგზავრებს შორის ასეთი დიალოგი იმართება: „ერთი აქაური ამბები გვითხარი. ჩვენ ანტიოქიიდან მოვდივართ და არაფერი ვიცით.

— რა უნდა გითხრათ, აქ ჭირია მოდებული.

— შავი ჭირი?

— არა, სხვანაირი ჭირია. უზომო ჭამა-სმასა და ლაზღანდარობასაა გადაყოლილი ხალხი. ამისათვის ქურდობენ, ავაზაკობენ, არც მკვლელობას ერიდებიან. ბოლოს სივდებიან, წყალმანკი უჩნდებათ, ტვინი ულაყდებათ. ტკივილებს ვერ გრძნობენ და ამიტომ არც მკურნალობენ, თუმცა არც არავინ იცის ამ ავადმყოფის წამალი.

— დაღუპულხართ!

— კი, ვიღუპებით“.

აი, ეს საშინელი ჭირი შეგვყრია თურმე ქართველებს და მძლავრად გამჯდარა ჩვენ სისხლში. მემკვიდრეობით, გენეტიკურად გადადის თაობიდან თაობაში. არ ვიცი, რა სახელი ვუწოდოთ ამ ავადმყოფობას?! ალბათ, ისევ გამოდგებოდა დიდი ილიასეული „დიაგნოზი“ — „თათქარიძეობა“. მაგრამ მთავარი და სამწუხარო მაინც ის არის, რომ ეს ჭირი დღესაც მძვინვარებს ჩვენში. მეტიც, ისე გავრცელებულა და გამჯდარა ძვალ-რბილში, რომ ვეღარც კი ვგრძნობთ. ხოლო, როცა ავადმყოფობას ვერ ვამჩნევთ, წამალს რატომღა დავუწყებთ ძებნას. გურამ გეგეშიძეს, როგორც მამულიშვილს და მწერალს, სწორედ ეს აწუხებს, უპირველეს ყოვლისა, ის კარგად ხედავს „კატასტროფის“ მოახლოებას, გუმანით გრძნობს და გონითაც სწვდება, რომ „წყალმანკ“ გაჩენილი და „ტვინგამოლაყებული“ ადამიანები, წარსულს რომ თავი დავანებოთ, ვეღარც აწმყოს მოუვლიან და ვერც მომავლის იმედი ექნებათ. მართალია, მწერალს უჭირს, უძნელდება ყოველივე ამის თქმა, მაგრამ შინაგანი ხმა მართებულად კარნახობს, რომ სათქმელი უნდა ითქვას პირდაპირ და მოურიდებლად, რაც არ უნდა მსხვერპლს მოითხოვდეს ეს პირდაპირობა. ასეთი იყო და ასეთი უნდა იყოს ჭეშმარიტი მამულიშვილი მწერლის პოზიცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საანალიზო მოთხრობაში მრავალი პრობლემაა დასმული და თავისებურად გადაჭრილი. მაგრამ ყველა ამ პრობლემის მოაზრებას გააჩნია ერთი საფუძველი — ზნეობრიობა — რომელზეც, მწერლის აზრით, მთლიანადაა დამოკიდებული ერის სულიერი სიცოცხლე. თუ ეს საფუძველი მოინგრა, სული გადაგვარდება და გაიხრწნება და შეგვრჩება მხოლოდ ხორცი და ძვალი, ე. ი. ვიარსებებთ, მაგრამ ჭეშმარიტად ვერ ვიცხოვრებთ! ეს ელემენტარული ჭეშმარიტება აშინებს მწერალს, ის მერმისზე დაფიქრებული აუგი წინათგრძნობით გვიხატავს ამ პრობლემას ისტორიულ ჭრილში. ერთი სიტყვით, მას სურს ჩასწვდეს და ჩვენც გაგვაგებინოს, თუ რამ გადააგვარა ჩვენი მოდგმა ისე, რომ შვილი დედას უღელში აბამდა და გასაყიდად იმეტებდა, მამა და შვილი ერთმანეთს არ ინდობდნენ, ძმა ძმას კლავდა და მისთ... რა არის ამ ზნეობრივი გახრწნის მიზეზი? — კიდევ ერთხელ გაუელვებს მკითხველს გონებაში

ეს ძირეული კითხვა მოთხრობის დასასრულს და კვლავ მრავალი მიზეზი ამოტივტივდება, რომელთაგანაც ზოგიერთზე უკვე ვიმსჯელეთ, როგორც ჩანს, ამ კითხვას, რომელიც მოთხრობის კითხვისას თითქმის არ ასვენებს მკითხველს, ერთმნიშვნელოვანი და ერთგვაროვანი პასუხი არ გაეცემა. ამბავთა მსვლელობა ისე ვითარდება, რომ ერის ბედის ტრაგიკულ ტრიალში განგების მსახვრალი ხელიც ურევია და გარეშე მტრის ძალმომრეობაც, რომელმაც თავისუფლების სურვილი ჩაუკლა ხალხს, თავად ჩვენი ხალხის სულიერი მიდრეკილებანი თუ პოტენციური ენერგია და მრავალი სხვა, რაზედაც ნაწილობრივ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

მოკლედ რომ ვთქვათ, გურამ გეგეშიძე ცდილობს შექმნას ერთგვარი მოდელი ჩვენი ერის სულიერი დაცემისა, რაც, ჩვენი აზრით, მეტად მძიმე მისიაა. მაგრამ, ვგონებ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ მოდელის შესწავლა დღეს გაცილებით უფრო საჭიროა, ვიდრე ჩვენი სულიერი ფენომენის კვლევისას დადებითი თვისება-ხასიათების გამომზეურება, თუმც არც ეს უკანასკნელია ურიგო საქმე.

ვფიქრობთ, გურამ გეგეშიძემ ამ ძნელ მისიას პირნათლად გაართვა თავი. მართალია, ეს მოთხრობა დენთით არის დატენილი და არ იცის კაცმა, როდის იფეთქებს მკითხველის სულში, მაგრამ ამ ნაწარმოების სტრუქტურის ძირითად დონეებს მაინც ქმნის ის ფიქრები თუ მსჯელობანი, რომლებიც თავიდან ბოლომდე ორნამენტივით გასდევენ ამ მოთხრობის პალიტრას. ისიც მართალია, რომ ამ მოთხრობის წამყვანი ფერი შავია, რომელსაც თითქმის მთლიანად განუდევნია ნათელი, მაგრამ, როგორც უკვე არაერთგზის ვთქვით, ეს შავი ფერი, ხელოვნურად კიდევ უფრო გამუქებული, იმიტომ არის გამოყენებული, რომ ნათელის ნამდვილი ღირსება შეაცნობინოს მკითხველს.

სრული პესიმიზმი დაუფლებია მოთხრობის მთავარ გმირს, მემატიანეს, იმედის არავითარი ნაპერწკალი არ ულვივის გულში. ამიტომაც, როცა ჰკითხავენ — „მერე, რისი იმედი გაქვთ, რა გეშველებათ? — პასუხობს — „მე არაფრის იმედი არა მაქვს". ეს უბრალოდ და სხვათაშორის ნათქვამი სიტყვები, რომელშიც მთლიანად იყო გაცხადებული ჩვენი უპერსპექტივო არსებობა, საოცარი ძალისხმევით მოქმედებს მკითხველზე და მოთხრობის კითხვის დამთავრების შემდეგაც კარგა ხანს კიდევ არ ავიწყდება. სულის შემძრავი და შემზარავია ნაწარმოების ფინალიც, ცალფება მოსამართლე, ტიპიურად გამოძერწილ პირატს რომ გვაგონებს, მთელი რიგი საინტერესო და ყურადსაღები არგუმენტების გამო, სიკვდილს მიუსჯის მემატიანეს: „ისინი ორნი, აჰა, უკვე მოიახლოვდნენ, რათა ხელი მკრან და ხრამში გადამაგდონ, — გვაუწყებს მემატიანე, — ვიცი, ასე სჯიან ამ უსამართლო ქვეყანაში მოღალატეებს, მუხა კი ისევ დგას, მაგრამ უცებ თავდაყირა შეტრიალდა და გაფრინდა ცისკე-ე-ე-ე"... ამ ბოლო აკორდით სრულდება ნაწარმოები. ეს კონტექსტი თხრობის სიზუსტითა და ჭეშმარიტად რეალური დეტალების გადმოცემით გვხიბლავს, მაგრამ მას გააჩნია უფრო ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა. ქვეყანაში, სადაც ბატონობს უსამართლობა, ყველაფერი თავდაყირა დგება. მუხა, რომელიც შეიძლება გავიაზროთ, როგორც ჩვენი ერის მარადიული არსებობის სიმბოლო, როგორც ჩვენი სულიერი სიწმინდის ხე, დედამიწას წყდება და ზეცისკენ მიფრინავს, ქართველი კაცი კი თავდაყირა მიჰქრის უფსკრულისაკენ, ცოდვილთა სამყოფლად და ქვესკნელად რომ უნდა ალვიქვათ.

ტრაგედია დასრულდა, მაგრამ მით აღძრული განცდა დროთა განმავლობაში კი არ ნელდება, არამედ ძლიერდება და მძაფრდება ყველა იმ რეციპიენტის სულში, ვინც ამ მოთხრობას გულდასმით წაიკითხავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთხრობაში წამყვანია შავი ფერი, ხოლო გამოსახვის ერთ-ერთ სპეციფიკურობად ჰიპერბოლიზაცია და სინამდვილის დეფორმაცია უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ამ დეფორმაციასა და გაზვიადებაში ხვალინდელი დღის რეალობა და უტყუარი სურათი უნდა დავინახოთ. ერთი სიტყვით, გურამ გეგეშიძე შეგნებულად მიმართავს მუქ ფერთა გამას, რათა უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს ნათელი და სულის სიწმინდე. უფრო სხვაგვარად რომ ვთქვათ, მწერალი იმიტომ იმზირება და ჩვენც გვახედებს ქვესკნელის ბნელეთსა თუ ჯოჯოხეთურ წრეებში, რომ მომავალში ზეცის სიმაღლეს გავუსწოროთ თვალი. თუმცა აჯობებს, ამის შესახებ თავად მოთხრობის გმირის მრავლისმეტყველი სიტყვები მოვიშველიოთ და ამით დავამთავროთ ამ ძალზე საინტერესო მოთხრობის ანალიზი: „რაგინდ დაქცეული, გადაგვარებული და უგნური არ უნდა იყოს ჩემი ქვეყანა, როგორი ჟამიც არ უნდა მძვინვარებდეს აქ, მე მაინც ყველაფერს მირჩევნია იგი, რადგან მხოლოდ აქ ვგრძნობ თავს მყარად, აქ არის ჩემი ასპარეზი, აქ ცხოვრობს ჩემი ნათესავი და, რაც ყველაზე მთავარია, აქ ისმის ჩემი ენა. *თუ მე აქედან ახლოს შევხედავ ჯოჯოხეთს, ვინ იცის, იქნებ ეს იმისთვის გამოდგეს, რომ ოდესმე ზეცის სიმაღლეს გავუსწოროთ თვალი*". (ხაზგასმა ჩვენია — ე. ჯ.).

## II ბედი „თეთრი ცხენისა“

არჩილ სულაკაურის რომანი „თეთრი ცხენი“ მრავალმხრივ საინტერესო, დიდი ეპიკური ტილოა, რომელიც ჭეშმარიტი რეალიზმის პრინციპებით ასახავს მრავალ პრობლემას, ცხოვრება რომ მოულოდნელად წამოჭრის კაცთა მოდგმის წინაშე. საერთოდ, ვინც არჩილ სულაკაურის პოეზიასა და პროზას თვალს ადევნებს, მისთვის აშკარაა, რომ მწერლის წერის მანერის და მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი სპეციფიკურობა სისადავე და სიმარტივეა, რაც ყოველთვის იყო ნატიფი ესთეტიკური გემოვნების საფუძველთა საფუძველი. ჯერ კიდევ პლატონი და მერმე პლოტინი ამ ცნების პრიორიტეტს ამტკიცებდნენ. მართლაც, ჩვენ დროში, არცთუ იშვიათად უსამართლოდ მივიწყებული სისადავე უდიდეს და ნიჭიერ მწერალთა შემოქმედებით ლაბორატორიაში იძენს იმ საოცარ ძალისხმევას, რომელსაც ვერავითარი ხელოვნურად გართულებული სტრუქტურით აღძრული ემოციები ვერ შეედრება. ჩვენ ხშირად გვავიწყდება ჰორაციუსის მარტივი, მაგრამ სამართლიანი შეგონება, ორი ათასი წლის წინათ რომ გვამცნო: „საქმე ისაა, რასაც ქმნი, იყოს მარტივი და მთლიანი“ ხოლო ის, ვინც ცდილობს, „უბრალო და მარტივი სახე ნაირნაირად და სასწაულებრივ წარმოგვისახოს, ამისთვის დელფინს ტყეში გვიხატავს, გარეულ ღორს კი — მღელვარე ტალღებში“,... „ამაოდ იჭაჭება“. სამწუხაროდ, ჩვენი მწერლების უმეტესი ნაწილი, დასავლეთის „მოდას“ აყოლილი, შეგნებული „ხელოვნურობით“ ართულებს მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურას და ემსგავსება სარკის წინ მოკეკლუცე იმ ხანდაზმულ ქალებს, ბუნებრივი სილამაზე რომ დაუკარგავთ და ზედმეტი ფერუმარილით და ექსტრავაგანტური ჟესტებით ცდილობენ თავიანთი „მშვენიერების“ წარმოჩენას. არჩილ სულაკაურის პროზა თუ პოეზია შორსაა ამგვარი „შელამაზებისაგან“. საერთოდ, მწერალი წერს იმაზე, რაც განუცდია, რაც უგრძვნია, რაც საკუთარი თვალით უნახავს და ყურით მოუსმენია. ამიტომაც მის თხრობას გააჩნია, ვიტყოდით, სხვათაგან განსხვავებული დარწმუნების ძალა. ალბათ ამავე მიზეზით მისი ნაამბობის, თუნდაც ის გარკვეულ მისტიკურ ელემენტებს შეიცავდეს, ყოველთვის სჯერა მკითხველს. სჯერა იმიტომ, რომ მწერალი ახერხებს ნამდვილი ცხოვრების მხატვრულად ასახვას; ხოლო ცხოვრება კი, სხვა მოკვდავთათვის ჩვეულებრივ და მოსაწყენად რომ გამოიყურება, ნიჭიერი შემოქმედის კალმით გამოძერწილი იმ ძვირფას ქვას ჰგავს, რომელიც ხედვის კუთხის ცვლასთან ერთად ათას ფერთა ციალში წარმოუდგება მნახველს. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ მწერალს გააჩნია ზომიერების გრძნობა, ის ძალზე კარგად გრძნობს რეალობასა და მხატვრულ პირობითობას შორის არსებულ მიჯნას, რომლის მოშლაც მხატვრული ორგანიზმის გადაგვარების ტოლფასია.

როგორც უკვე ვთქვით, ეს რომანი მრავალმხრივ საინტერესოა, მაგრამ, ამჯერად, ჩვენ ერთი კუთხით, კერძოდ, მორალურ-ზნეობრივი კონცეფციის თვალსაზრისით გვაინტერესებს და ჩვენი მსჯელობაც უმეტესად ამ მიზნით იქნება წარმართული.

ნაწარმოებში მწერალი მოგვითხრობს თავისი ყმაწვილობის ჟამზე, ე. ი. რომანში გადმოცემულია ის დრო, როცა ჩვენში მეორე სამამულო ომი მიმდინარეობდა. მაგრამ ნაწარმოების სტრუქტურაში ფუნქციონალური დროის კატეგორია, მხოლოდ ომის ქრონოლოგიური მიჯნებით არ იფარგლება და რომანის მხატვრულ ქსოვილში მოგონებების თუ გახსენების ფორმით იჭრება უფრო ადრეული ხანაც, კერძოდ, კოლექტივიზაციის პერიოდი, როცა, მწერლის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ქვეყანა ჯერ არ იყო დალაგებული“ და ყველაფერი თავის ადგილას როდი იდგა. ალბათ, იმის ხაზგასმაცაა საჭირო, რომ ნაწარმოებში მეორე სამამულო ომის ექო ყრუდ ირეკლება. მწერალი შეგნებულად არ ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტებსა თუ დეტალებზე, რომლებიც დაუვიწყარი უბედურების შედეგებს კვლავ ხელმეორედ მწვავედ განგვაცდევინებდნენ. არჩილ სულაკაური უბრალოდ გვაუწყებს ადრინდელ, ყმაწვილურ შთაბეჭდილებებს და უშუალო განცდებს და ამ გზით სურს აზიაროს მკითხველი იმ დიდ საზოგადოებრივ თუ ზოგადმნიშვნელობის მოვლენებს, რომლებმაც მისი პიროვნების ფორმირებაზე დაუვიწყარი კვალი დატოვეს. ამიტომაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს მართალი ზოგიერთი კრიტიკოსის აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს ეს რომანი სამამულო ომის თემატიკას ეძღვნებოდეს. თუ დროის ფუნქციისა და სემანტიკის თვალთახედვით გავიაზრებთ საანალიზო ნაწარმოებს, მაშინ ის ადრეული პერიოდი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მოგონების ფორმით იჭრება ნაწარმოების კომპოზიციაში, უფრო აქცენტირებულია და საინტერესოა, ვიდრე მოქმედი, „ძირითადი“ დრო. რაც შეეხება მოთხრობის სივრცის კატეგორიას, ეს უკანასკნელი უფრო მარკირებული და წარმოჩენილია ორი ერთმანეთთან ერთგვარად დაპირისპირებული ცნებით — სოფლით და ქალაქით, სადაც ყმაწვილობის ჟამს ცხოვრება მოუხდა მწერალს.

არჩილ სულაკაური დედაქალაქში დაბადებული და გაზრდილი მწერალია. მან თავისი ბავშვობა ჩუღურეთში, თბილისის ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს უბანში გაატარა. მას

ძალზე უყვარს თავისი უბანი, რაც არაერთგზის აქვს გამჟღავნებული არა მხოლოდ ამ რომანში. მაგრამ მწერალს, როგორც ჩანს, მოუხდა გარკვეული წლები ეცხოვრა „მამულეთში“. ასე რომ. არც სოფელი იყოს მისთვის უცხო და უცნობი. მოქმედებაც რომანში ამ ორ ადმინისტრაციულ ერთეულში თუ შეიძლება ასე ითქვას, სივრცულ განზომილებაში იშლება, რომლებიც რომანის მხატვრულ სტრუქტურაში ბუნებრივად ქმნიან ზნეობრივ თუ ყოფით ჩვევათა ურითერთგანსხვავებულ ხედვათა კუთხეებს. არჩილ სულაკაური საანალიზო რომანში ზემოხსენებულ ცნებათა შეპირისპირების დროს არ ეხება ურბანიზაციის პრობლემას, რომელიც დღეს ძალზე გავრცელებულია და მწვავედ დგას. კაცმა რომ თქვას, ის საგანგებოდ არც ზნეობრივ პრობლემებს წამოსწევს წინ. მწერალი თავისი განსხვავებული, მაგრამ რეალისტის თვალით ხედავს ცხოვრებას, მაგრამ, რადგანაც ცხოვრება თავად შეიცავს ზნეობრივ კანონებს და თავადვე ქმნის მას, ამიტომაც, ბუნებრივია, მწერლის დაკვირვებული თვალი ადამიანის სულიერი სიღრმეებისკენ იმზირება და ცდილობს ისე წარმოაჩინოს ავი და კარგი, რომ ზნეობრივ მსაჯულად თავად მკითხველი მოგვევლინოს. არჩილ სულაკაურმა ისიც კარგად იცის, რომ ამ ჭრილში ქალაქის და სოფლის ცხოვრება ურთიერთისგან გვარიანად განსხვავდება, ამიტომაც ბუნებრივად ხდება ამ სივრცეული ცნებების დაპირისპირება, რაც საბოლოო ჯამში მსოფლმხედველობრივი კონცეფციის აგების ორ საყრდენ წერტილს წარმოადგენს. ასე რომ, მწერლის ჩანაფიქრის, მისი ზნეობრივ-ეთიკური თვალთახედვის წარმოსაჩენად, კონკრეტულ შემთხვევაში, სივრცის კატეგორია უფრო საინტერესოა. უფრო სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომანში წარმოსახული სოფლისა და ქალაქის ცხოვრება მწერალს აინტერესებს ზოგადად და არა რაღაც განსაკუთრებული ძნელბედობის და ავგი ჟამის გამო. ერთი სიტყვით, მართალია, „თეთრ ცხენში“ აღწერილია გარკვეული დროის პერიოდი ,მაგრამ ამ დროს იდეის გახსნისათვის თავისთავადი ღირებულება არ გააჩნია. მეტიც, მწერალი თითქმის არსად არ მიგვანიშნებს, რომ ესა თუ ის მომხდარი ფაქტი დროის უკუღმართობის შედეგია, რომ დატრიალებული ტრაგედიის მიზეზი დიდი სამამულო ომის უმძიმესი დღეებია. ამგვარად, რომანის „ძირითადი“ დრო (წარსულში ექსკურსების გამოკლებით) ფუნქციონალურად თითქმის ნეიტრალურია, ოლონდაც ჭეშმარიტი რეალისტური სტილისათვის ჩვეული სპეციფიკურობით გამოირჩევა. საყოველთაოდ ცნობილია, ყოველ წელს, ყოველ ეპოქას თავისი სატკივარი გააჩნია, თავისი საჭირბოროტო პრობლემები აქვს გადასაჭრელი, რაც მეტ-ნაკლები სიცხადით ასახულია ამ რომანში.

რომანში მოქმედი „ძირითადი“ დროის სპეციფიკურობით აიხსნება სწორედ ერთ-ერთი საინტერესო პერსონაჟის — კარიაულის ქვრივის — სახე. ეს ხასიათი, რომელსაც მწერალი ძუნწი „შტრიხებით“ ძერწავს, დღევანდელობისათვის უჩვეულო, და, შეიძლება ითქვას, გაუგებარი ფსიქოლოგიური ფენომენია და მისი მოქმედებაც შეიძლება სარწმუნო და გასაგები გახდეს მხოლოდ ისტორიული კონტექსტისა და დროის მოშველიებით, რადგანაც მხოლოდ იმ დროს, იმ ძნელბედობის ჟამს შეიძლება მომხდარიყო ის, რასაც მწერალი გვაუწყებს: კარიაულის ქვრივი იყო გეოგრაფიის მასწავლებელი, „ერთი კრუხივით დალეული ქალი“, „შავი, უშნო და კაპასი, იმთავითვე შინაბერად განწირული“, მითუმეტეს მაშინ (ე. ი. ომის დროს), იმ უმამაკაცობის ჟამს, „როცა სოფლის უმშვენიერესი და უტურფესი მადონებიც კი ვერ ბედავდნენ გათხოვებაზე ოცნებას“.

მაგრამ მოხდა საინტერესო რამ: როცა სოფელში მოვიდა მიხა კარიაულის დაღუპვის ამბავი, ამ ქალმა, „ძაძები ჩაიცვა და ისე იგლოვა, ვითომ საქმრო თუ ქმარი დამეღუპაო“. თავდაპირველად სოფელს არ სჯეროდა მისი, რადგანაც თანასოფლელებმა იცოდნენ, რომ მიხოს სხვა ქალი უყვარდა და „ღიმილით იმასაც კი დასძენდნენ ხოლმე, — გეოგრაფიის მასწავლებელი თავის დროზე რომ გათხოვილიყო, ალბათ მიხოს ტოლი შვილი ეყოლებოდაო“.

მაგრამ თავად გეოგრაფიის მასწავლებელმა „თავი ღრმად დაირწმუნა, მიხო კარიაულის ცოლი თუ საცოლე ვარო“ და ისეთი „სიწრფელით გლოვობდა“ მას, რომ ბოლოს მთელი სოფელიც დაარწმუნა ამაში. მიხოს ოჯახმაც ირწმუნა მისი და თავის ჭირისა თუ ლხინის მოზიარედ გაიხადა. მეტიც, „მიხოს მშობლებს ისიც კი უთქვამთ, — ჩვენ ვაჟს მხოლოდ ასეთი განათლებული, ჭკვიანი და თვინიერი ქალი შეეფერებოდაო“. არჩილ სულაკაურს ხელეწიფება სულ რამდენიმე სიტყვით გადმოგვცეს „თვითგვემას“ მიცემული ქალის ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა. ეს „ტანსაცმლიანად შავი... და დალეული ქალი“ კარიაულების ოჯახის წევრების ფონზე, რომლებიც „ღაჟღაჟებდნენ“ და „ჯანმრთელად ჰყვაოდნენ“, „დამჭკნარი ფოთოლივით გამოიყურებოდა“. მაგრამ სწორედ ამ ფიზიკური კონტრასტის წყალობით წარმოჩინდება მასწავლებლის სულიერი სიწმინდე და სიმტკიცე, რაც საბოლოოდ გამარჯვებას აზეიმებინებს მას და აამაღლებს ყველას და, მათ შორის, მწერლის თვალშიც. ზნეობრივად სწორი პოზიცია საზოგადოების დიდ მოწონებას და პატივისცემას იმსახურებს: „კა-

რიაულის ქვრივი მობრძანდება!... კარიაულის ქვრივი მობრძანდება!.. — გავიგონე მორიდებული ჩურჩული. — გვაუწყებს მწერალი. — ყველა განსაკუთრებული მოკრძალებით ესალმებოდა და უთმობდა გზას პატარა, კაფანდარა, შავ ქალბატონს, რომელიც თავდახრილი, ნაღვლიანი და დაფიქრებული მოდიოდა სკოლის შენობისაკენ, უცებ შევკრთი, თითქოს ჩემ თავს დანაშაულზე წავასწარი: მეც პატივისცემით ავსებული თუ გამსჭვალული, მოკრძალებული ღიმილით ვესალმებოდი კარიაულის ქვრივს, ისევე როგორც სხვები"...

კარიაულების ქვრივის ეპიზოდი მრავალი თვალთახედვით არის საინტერესო: ჯერ ერთი, მწერალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „შემოვლითი გზით" გვიჩვენებს იმ ძნელბედობის ჟამს, როცა უმამაკაცოდ დარჩენილი და იმედგადაწყვეტილი ქალები, რომელთაც არ სურდათ საზოგადოებაში მტკიცედ დამკვიდრებული ეთიკური ნორმების დარღვევა, როგორ ეძლეოდნენ თვითგვემას და ქვრივობას იბრალებდნენ. აქ მწერალი სულ სხვა კუთხით, ვიტყოდით, სავსებით ორიგინალური მანერით ახერხებს გადმოგვცეს მძვინვარე ომის საშინელებანი, რაზეც იმდენი დაწერილა, რომ ძალზე ჭირს, თითქმის შეუძლებელიც არის, რაიმე ახალი თქვას კაცმა. მეორეც, მასწავლებლის გაცნობიერებული მოქმედება, რა დროებითი სიძნელეებით და ზნეობრივი პრინციპებით არ უნდა ავხსნათ, მაინც საინტერესოა, როგორც ადამიანის ინდივიდუალური, განუმეორებელი ფსიქოლოგიური დონე, რომელიც თავისთავადობას ანიჭებს პერსონაჟის სულიერ სამყაროს. მესამეც, მასწავლებლის ასეთი ქცევა, როცა ის იბრალებს მამაკაცის ცოლობას თუ საცოლეობას, და შემდგომ მის ქვრივად აცხადებს თავს, სხვა დროთა ვითარებაში კომიკურ და სასაცილო მდგომარეობაში ჩააგდებდა მას, მაგრამ ომის მძვინვარე დღეებში, როცა მეუღლის ზნეობრივი საქციელით და სიწმინდით ბევრი რამ წყდებოდა არა მარტო ზურგში, არამედ წინა ხაზზედაც, მასწავლებლის ნაბიჯი სხვაგვარად შეაფასეს და ის იდეალის და მისაბაძ სიმაღლემდე აიყვანეს, ანუ იდეალურობის გაგების შარავანდედით შემოსეს. როცა სოფელი დარწმუნდა, რომ ამ კაფანდარა ქალის გადადგმული ნაბიჯი შინაგანი რწმენით იყო ნაკარნახევი და არა საზოგადოების გულის მოგების მიზნით, მას დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოუცხადა. დაბოლოს, მწერლის ღრმა რწმენით, სულიერი სიწმინდით და რწმენის სიმტკიცით ნასაზრდოებ ზნეობრივ-ეთიკურ მრწამსს გააჩნია ის ძალისხმევა, რომელმაც, განურჩევლად დროისა და ეპოქისა, საბოლოო ჯამში უნდა იზეიმოს გამარჯვება, უფრო მეტიც, მან უნდა გააკეთილშობილოს და აამაღლოს ყოველივე, რასაც დროების ჭუჭყი და მტვერი დასდებია.

რადგან რომანის პერსონაჟებზე ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ აქვე შევეხებით სხვა გმირების ზნეობისა და, საერთოდ, ხასიათის ზოგიერთ მხარესაც.

განსაკუთრებით საინტერესოა ოზოს მამიდის — ანანოს — სახე. ამ ქალმა „ოცდაათ წელს ისე მიატანა, სოფლიდან ფეხი თითქმის არ გაუდგამს". ამის მიზეზად კი ის მოუცლელობას ასახელებდა. მართლაც, მამიდას ერთი წუთით მოცლილს ვერ ნახავდით. როგორც მეზობლები ამბობდნენ ხოლმე, „ამ ქალს თავისი კალო გალეწილი აქვს და ჩამუხლულს მაინც ვერ ნახავო". მართალია, არჩილ სულაკაური გაურბის პერსონაჟების პორტრეტების დეტალურ გამოძერწვას, ის ცდილობს მათი ბუნება თუ ხასიათი მათ ქმედებაში წარმოაჩინოს. ამავე დროს! მწერალი ერიდება თავისი პირადი დამოკიდებულების თუ განწყობის, სიმპათიისა თუ ანტიპათიის გამომჟღავნებას პერსონაჟის ხატვის დროს. მაგრამ ვერ მალავს ანანოსადმი დიდ სიყვარულს და მოკრძალებას. ძუნწად, მაგრამ მაინც შთამბეჭდავად გადმოგვცემს მის გარეგნობასაც: ეშხიანი, ლამაზი, შავგვრემანი და ტანადი, სწორი და დახვეწილი ნაკვთებით — აი, ასეთად წარმოუდგება ოზოს მამიდამისი. მისი შეუვალი ხასიათი, თავის თავში ჩაღრმავებულობა და ყველგან და ყველაფერში ზომიერი თავდაჭერილობა, გაუმჟღავნებელი, ზედმეტ ემოციებში არგადასული დიდი უნარი და ნიჭი სიყვარულისა, ამ ქალის სახეს საოცრად ამაღლებს და რაღაც მისტიკური იდუმალებით და სიწმინდით მოსავს. ისიც უნდა ითქვას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ტერმინი მისტიკური შემთხვევით ნახსენები ეპითეტი როდია. ანანო, მართლაც, გამოირჩევა „ნათელმხედველობის" ნიჭით. ამიტომაც მას სოფლად გულთმისანს უხმობენ. ვინმემ ისე არ გაიგოს, თითქოს იგი მკითხაობით იყო ცნობილი სოფლად. არა! იგი ბუნებამ დააჯილდოვა შინაგანი ხილვის იშვიათი ნიჭით და უნარით. ეს ხილვა კი, შინაგან რწმენაზე რომაა აღმოცენებული, არის ადამიანის ამოუწურავ და შეუცნობელ პოტენციურ შესაძლებლობათა ერთ-ერთი იშვიათი გამოვლინება, რომელსაც მხოლოდ რელიგიური საფუძვლები როდი აქვს?!

უჩვეულოდ დაიწყო ანანოს სიყვარულიც და ასევე უჩვეულოდ დამთავრდა კიდეც. სოფელს ერთი უცხო კაცი შემოეხიზნა, სახელად საბა, გამრჯე, ყველას დამხმარე და ხელის გამწოდი. ერთ დღესაც ანანოს კარს მისდგომია და წითელი მამალი უხსენებია ვინმე უპატრონო და ხიზანი დიდოს გადასარჩენად. მეორე დღეს კი უკანვე ჩაუხსენებია. მწერალი შეგნებულად ამარტივებს და აუბრალოებს ამ დიდი გრძნობის დასაწყისს და მისთვის ჩვეუ-

ლი სიხადავით გვაუწყებს: „მეორე დღეს მართლაც მისულა საბა. ხმამაღლა გაუცინია და დიდი, წითელი მამალი ღობეზე გადმოუფრენია. იმ მამალს თვითონაც შემობყოლია. ალბათ, მარტო დღისით კი არა, სხვა დროსაც მოდიოდა ხოლმე“... ეს არის და ეს, რასაც გვაუწყებს მწერალი. რომანში ისიც ხაზგასმულია, რომ ანანოს და საბას ხელიც არ ჰქონდათ მოწერილი. მაგრამ შემდგომ, თანდათან მკითხველი ღრმად რწმუნდება, რომ მათ სიყვარულს წმინდა და მაღალი ზნეობა ედო საფუძვლად. მწერალმა ისიც კარგად იცის და ახერხებს ამაში ჩვენც დაგვარწმუნოს, რომ, რაც ნამდვილი და ჭეშმარიტია, ის ზნეობრივიც არის და მას არ ესაჭიროება ოფიციალური აღიარება და დაკანონება. ამას კარგად გრძნობს სოფელიც, ამიტომაც მოკრძალებით და სათუთად ექცევა ანანოს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ნაწარმოებში ერთი სიტყვითაც არ არის შეფასებული ამ გრძნობის ზნეობრიობა, არაფერია ნათქვამი მის მორალურ თუ ამორალურ მხარეებზე. არჩილ სულაკაური თითქოს შეგნებულად გაურბის ამ გრძნობაზე დამრიგებლის ტრიბუნიდან ბრტყელ საუბარს და იმის გადმოცემას, რასაც სხვა მწერალი მთელ თავს დაუთმობდა. ის რამდენიმე აბზაცით წარმოგვიდგენს. ამავე დროს, პროზაიკოსი ახერხებს მხოლოდ შედეგის ჩვენებით, ყოველგვარი შეფასებებისა და განზოგადებული მსჯელობის გარეშე, რეტროსპექტულად წარმოაჩინოს მიზეზის არსი, რაც ,ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებოა და მწერლის მხატვრული აზროვნების ორიგინალურ მანერაზე მეტყველებს. მკითხველი მხოლოდ საბას „სიკვდილის შემდგომ“ იგებს, თუ რაოდენ დიდი, ამაღლევებელი და ყოვლისმომცველი ყოფილა მათი სიყვარული.

თუმც საბას სიკვდილიც სიმბოლურ-მისტიკურ საბურველშია გახვეული. ნამდვილად ვერც იმას ვიგებთ, დაიღუპა თუ არა საბა? ერთ მშვენიერ დღეს ანანოს გულმა რეჩხი უყო, რაღაც ცუდი წინათგრძნობა დაეუფლა, შემდგომ სიზმარი ნახა, უფრო მართებულად, ხილვამდე ამაღლდა და ოზოს განუცხადა: „საბა დაიღუპა!.. გათავდა!... ახლა ყველაფერი დალმა დაეშვება“... შემდგომში მამიდის ეს წინათგრძნობა ერთმა უჩვეულო მოვლენამაც დაადასტურა: საბას წითელმა მამალმა წრიალი დაიწყო, „შეშფოთებულ ხმებს გამოსცემდა, თან ცალი თვალი სულ ცისკენ გაურბოდა“... მერმე მამალი საბძელზე აფრინდა, ყელი მოიღერა, მაგრამ ყივილის ნაცვლად, ხროტინი აღმოხდა, შემდგომ ფერი იცვალა, „სახურავზე წითლის ნაცვლად ყორანივით შავი მამალი შემართულიყო... მამალმა კიდევ ერთხელ შემოჰკრა ტკაცანით ფრთა ფრთას და... გაფრინდა. — ასეც ვიცოდი! — თქვა ანანომ“. მოცემულ შემთხვევაშიც არჩილ სულაკაური ახერხებს საოცარი ლაკონურობით გადმოგვცეს ანანოს დიდი წუხილი და მძაფრი განცდა. ანანო არც მოსთქვამს და არც წივის, ის არც თმებს იგლეჯს და არც სახეს იხოკავს, მხოლოდ ორიოდ სიტყვას ამბობს: „დაიღუპა! გათავდა!.. ახლა ყველაფერი დალმა დაეშვება“... და ეს რამდენიმე სიტყვაც, სულის სიღრმიდან რომ არის ამოტანილი, სავსებით საკმარისია, რათა მკითხველი მიხვდეს, რომ მოხდა რაღაც გამოუსწორებელი უბედურება, არა მარტო მიხვდეს, არამედ ანანოს დიდი მწუხარების თანამოზიარეც გახდეს. მწერალი კარგად გრძნობს, რომ მოცემულ შემთხვევაში ერთი ზედმეტი სიტყვაც სიყალბედ შეიძლება აჟღერდეს. მან ისიც კარგად იცის, რომ დიდი და ჭეშმარიტი წუხილი თუ განცდა უტყვია, მისი გამოხატვის სრულქმნილ ფორმად დუმილი თუ გამოდგება. ალბათ, ამიტომ მწერალი არ მიმართავს განცდის გამოხატვის პლასტიკურ ჟესტებს, არც არავითარი დაძაბული, ნერვიული მდგომარეობის ჩვენებით ამძაფრებს ამ განცდას, რაც ჩვენი აზრით, მოცემულ კონტექსტში სავსებით ამართლებს და უფრო ფუნქციონირებს, ვიდრე მჭევრმეტყველური აღწერა მომხდარი ფაქტისა. მთელი ეს ტრაგედია თითქოს ანანოს სულის სიღრმეში იწყება და იქვე ჰპოვებს დასასრულს. ალბათ, ამიტომ და კიდევ თავისი ზვიადი ბუნების გამოც ანანო გარეგნულად არაფერს იტყობს, ის ჩვეულებრივ აგრძელებს ცხოვრებას. მაგრამ შინაგანად იგი უკვე გამზადებულია სასიკვდილოდ, ფაქტიურად მისი სიცოცხლე დასრულდა, რადგან მან ღრმად ირწმუნა, რომ საბას სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე კარგავს ყოველგვარ აზრსა და ფასს. ანანო ამჯერადაც წინასწარმეტყველის წინათგრძნობით განსაზღვრავს თავის მომავალს და ასეთ ანდერძს უბარებს თავის ძმისწულს: „ოზო, კარგად დაიხსომე: მე რომ მოვკვდები, სწორედ წლისთავზე ჩემი ძმა სანდრო, მამაშენი გაყიდის ამ სახლს, კარ-მიდამოს, ყველაფერს, რაც ჩვენს გვარსა და ჯილაგს, ჩვენს მამაპაპათ უშენებიათ, უშენებიათ წმინდა ოფლითა და მართალი ხელით. წინ ვერავინ აღუდგება, ვერავინ დაარწმუნებს, რომ ამ სახლის გაყიდვა, ამ ბუდის მოშლა არ შეიძლება... არ შეიძლება... არ შეიძლება, აქ სხვები მოვლენ, აქაურობას სხვები დაეპატრონებიან!“..

ანანოს ეს წინასწარმეტყველება თავისთავად უკვე შემზარავია, მაგრამ მას გააჩნია ქვეტექსტური და სიმბოლური გაგება, რაც უფრო მეტად აძლიერებს ამ „დატირების“ ემოციური ზემოქმედების ძალას. ამავე დროს, მკითხველი იმასაც გრძნობს, რომ „დატირებაში“ მთელი ქვეყნის ბედი და მომავალი ტრაგედიაა გაცნობიერებული და არა მხოლოდ ცალკეული ოჯახისა; თუმცა რა არის აქ გასაკვირი? განა ჩვენი ქვეყანა ცალკეული ოჯახებისგან არ შედგე-

ბა. რომელთა სვებედნიერი ყოფა საბოლოოდ ქვეყნის კეთილდღეობას აპირობებს!..

მართლაც, ანანოს ანდერძი აღსრულდა, ის მალე გარდაიცვალა და მამამ სახლ-კარი გაყიდა. მაგრამ ამ ეპიზოდში ნიშანდობლივი მაინც ის არის, რომ ანანოს სახლ-კარს კარიაულები დაეპატრონენ. საერთოდ, ამ ბოლო დროს კრიტიკოსთა უმეტეს ნაწილს „სიმბოლომანია" სჭირს და ნაწარმოების თითქმის ყველა ეპიზოდს — აქვს თუ არა მას ქვეტექსტური გაგება — სიმბოლურ დონეზე იაზრებს, რაც არც მართებულია და არც სასურველი. მაგრამ, ამჯერად, ნაწარმოების ზოგიერთი ელემენტი მაინც იქითკენ გვიბიძგებს, რომ ვიფიქროთ, ეს კონტექსტი ქვეტექსტური აზრით არის დატვირთული; კარიაულები, რომელთა ჯანსაღ სხეულებზე და ხორციელობაზე საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება რომანში, ეპატრონებიან სულიერად ფაქიზი და ამაღლებული ანანოს კარ-მიდამოს. როგორც ჩანს, აქ ის აზრია გატარებული, რომ დგება დრო, ეპოქა, როცა ხორცმა სულზე გამარჯვება უნდა იზეიმოს. მართლაც, ასე ხდება ხოლმე, როცა ადამიანს ძალიან უჭირს, ხორცზე უფრო მეტად სულის გადარჩენას ცდილობს, ხოლო, როცა მომაგრდება და დაუღხინდება, მუცელს უფრო მეტ პატივს მიაგებს. სამამულო ომის მძვინვარე დღეებში, რაც არ უნდა პარადოქსულად გვეჩვენოს, ხალხი სულის გადარჩენას უფრო ლამობდა, ვიდრე ხორცისა. ხოლო ომის შემდგომ იწყება სხვა ეპოქა, როცა ადამიანი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ეკონომიკურ საქმეთა მოგვარებას, ვიდრე ზნეობრივ სიწმინდეს.

მაგრამ ახლა ჩვენთვის უფრო საინტერესოა საბას მამის — იოთამის თავგადასავალი, რასაც საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს რომანში. იოთამს ერთი ფიქრი აკვიატებია: „ჯერ მშობლიური ქიზიყი და მერე მთელი კახეთი უნდა გავამდიდრო და ავაღორძინოო: გამდიდრების წყაროდ კი თუშური ცხვრის მომრავლება მიაჩნდა თურმე". ამ დროს კოლექტივიზაცია დაწყებულა და ამ საქმის „თავკაცი" ბარნაბიშვილი კრიჭაში ჩასდგომია იოთამს. არ დაუჯერებია მისი გულწრფელობა, როცა ამ უკანასკნელს ხუთი ათასი სული ცხვარი სახელმწიფოსთვის ჩაუბარებია და თავისი სამსახურიც შეუთავაზებია. ეჭვითა და სიხარბით დაავადებულ ბარნაბიშვილს, რომელსაც აუგი ზრახვები ამოძრავებდა, იოთამისთვის ურჩევია, სოფელს გასცლოდა და თანაც დაუყოლებია: „შენ წურბელა ხარ და თავიდან უნდა მოგიშოროო". მერე მთავრობის სახელიც მოუშველებია და ცოლ-შვილის აწიოკებითაც დამუქრებია... მართლაც 18 წლის ვაჟისა და მეუღლის სიყვარულით იოთამი გადახვეწილა. „თითქოს მიწამ უყო პირი, დაიკარგა, გაქრა ადამიანი... — გვაუწყებს მწერალი. — მოიკითხეს, მოიკითხეს, მკვდარიც ეძებეს, ცოცხალიც, გადაქექეს ქვეყანა, სულ ტყუილად, იოთამის მნახველი კაციც ვერ იპოვნეს".

ამის შემდგომ გამოხდა ხანი, იოთამი ყველას გადაავიწყდა... აქა-იქ თუ გაიხსენებდნენ... მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს იოთამი კვლავ გამოჩნდა შირაქის საძოვრებზე. მწერალი ამჯერად დეტალურად გადმოგვცემს იმ დიდ სიხარულს, რომელიც ძაღლებს გამოუჩენიათ დაკარგული პატრონის ნახვისას. „ძაღლები საცოდავად წკმუტუნებენ, წკავწკავებენ, გულაღმა გაწოლილ ბერიკაცს სახესა და ხელებს ულოკავენ... სხვები ისევ ეხვევიან, ეგლისებიან, ძაღლურად ელერსებიან".

ცხენებიც დიდი სიხარულის ჭიხვინით შეხვედრიან ყოფილ პატრონს: „ტორებს სცემდნენ მიწას და ყალყზე დგებოდნენ". ამ სანახაობით გაოცებულ და სულშეძრულ „იოთამს ორივე ხელი ცისკენ აღუპყრია და მოწყვეტით დაშვებულა მიწაზე — დიდება შენ სახელს, შენი სახელის ჭირიმე!" მწყემსებსაც გახარებიათ იოთამის მოსვლა, მაგრამ საიმედო მისთვის ვერაფერი უთქვამთ: „ენადაბმულებს" გავდნენ თურმე... ბარნაბიშვილის მზაკვრობა ვერც კი გაუმხელიათ მოხუცისათვის. ამ გაიძვერამ კი, რომელიც იმ დროის ხელმძღვანელი მუშაკის და კარიერისტის გავრცელებულ ტიპად უნდა მივიჩნიოთ, როგორც კი იოთამი სოფლიდან გაიგულა, მისი ფარეხის ორი მესამედი საქართველოს გარეთ გარეკა და შემდგომში დარჩენილი ნაწილიც, ხალხის თვალის ასახვევად კოლმეურნეობის ბაკებში რომ შერეკა, თანდათან გააქრო და, როგორც ამბობენ, დიდი ფულიც მოიგო. სამწუხაროდ, „ბარნაბიშვილობამ" დიდი და წარუშლელი ზიანი მიაყენა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებას. მაგრამ ამ საკითხს ცოტა ქვემოთ შევეხებით.

ახლა კი ისევ ზემოხსენებულ თავგადასავალს მივუბრუნდეთ: იოთამმა ოჯახი მოიკითხა, ყველა გააფრთხილა, მისი გამოჩენის შესახებ არავისთვის ეთქვათ და თანაც წასვლის წინ ესეც უთქვამს: „ეტყობა, მაგათ ცხოვრებას მარტო მე ვუშლიდი ხელს, მაგათ გზაზე ლოდივით ვეგდე... აბა, ხომ გადავათრიე ჩემივე თავი გზის შუიდან გზის ნაპირამდე! ხომ გავერიდე?!" უთქვამს და წასულა იმავე გზით, რომლითაც მოსულა. მწყემსებს იოთამი ვერ გაუცილებიათ, რადგან „ყველა თავის საქმით იყო დაკავებული", „იოთამს მხოლოდ ძაღლები გაჰყოლიან. მიდიოდა აბგამოკიდებული ბერიკაცი და უკან მოწყენილი ქოფაკები მისდევდნენ, ჯგროდ, თავჩაკიდებულები". შემდგომ მოგვიანებით მობრუნებულ ძაღლებს „დრუნჩები ცისკენ აუშვერიათ და ისეთი ყმუილი გაუბამთ, რომ იქაურობა შეუძრავთ". ისინი თავიანთ ყოფილ პა-

ტრონს, უეცრად გარდაცვლილ იოთამს, დასტიროდნენ. მწყემსებს კი მწყემსური წესით იოთამი იქვე დაუსაფლავებიათ.

თხრობა ძალზე გაგვიგრძელდა. მაგრამ სხვაგვარად, ვფიქრობთ, ვერ დავიყვანდით მკითხველამდე ამ ეპიზოდის სიღრმისეულ აზრს. მწერალი ამ კონტექსტში, რომელსაც საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს რომანშიც, ნებსით თუ უნებლიეთ, უპირისპირებს ადამიანთა მოდგმას და ცხოველთა სამყაროს ურთიერთს. მკითხველი ამ კონტრასტის და დაპირისპირების ფონზე უფრო ნათლად შეიცნობს, თუ რა გაუტანელი და დაუნდობელია ადამიანი თავისი მოდგმის მიმართ: თითქოს არ გინდა დაიჯერო, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგჯერ ერთგულება უფრო მეტი გააჩნია ცხოველს, ვიდრე მოაზროვნე არსებას, რომელიც არც თუ იშვიათად მხოლოდ მისთვის სპეციფიკურ ატრიბუტს — გონიერებას — იყენებს ოდენ თავისი პირადი კეთილდღეობისათვის, უსაფრთხოების და სარგებლობისათვის. ამ ეპიზოდითაც სწორედ ეს აზრი აღგეძრება კაცს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იოთამის გამოჩენით ცხოველებმა უფრო გაიხარეს, ვიდრე ადამიანებმა, რომლებიც განსაკუთრებული გულგრილობით როდი გამოირჩევიან თავიანთ მოძმეთაგან. ასევე იოთამის სიკვდილი ძაღლებმა ინსტინქტით უფრო იგრძნეს და თავისი „წუხილი“ გამოხატეს კიდეც, ვიდრე გონიერმა ადამიანებმა, ყველას თავისი საკუთარი გულისწუხილი რომ აფიქრებს ხოლმე. ამ ეპიზოდის ხატვისას გამოჩნდა არჩილ სულაკაურის დიდი ნიჭი და უნარი ბუნების საიდუმლოს წვდომისა. მწერალი ძალზე კარგად იცნობს ადამიანის ფსიქოლოგიას, მის სულიერ სამყაროს. ამიტომაც, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ფუსფუსში, ყოველგვარი „ლაბორატორიული“ სიტუაციების გარეშე, აზერხებს ადამიანის იმ თვისებების წარმოჩენას, რაც განსაკუთრებულ სიტუაციებში ვლინდება ხოლმე. ეს უნარიც მწერლის აზროვნების ერთ-ერთ არსებით ნიშანდობლიობად შეიძლება მივიჩნიოთ. კითხულობთ ამ ეპიზოდს და არ შეიძლება არ შეგიპყროთ დიდმა სევდამ ადამიანთა გულგრილობის, ურთიერთის არ გატანის გამო, დიდმა წუხილმა მოყვასისადმი უდიერი დამოკიდებულების, აბუჩად აგდების გამო. მართალია, რომანის მიხედვით, ეს მორალური პოზიცია განსაკუთრებულმა ვითარებამ შექმნა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ადამიდან მოყოლებული დღემდე კაცი თავისი თავის სიყვარულისგან, ეგოცენტრიზმისგან ვერ განთავისუფლებულა. თუმცა ახლა კვლავ ბარნაბიშვილის „მოღვაწეობას“ მივუბრუნდეთ.

ცხვარი რომ მოინელა ბარნაბიშვილმა, ახლა იოთამის ცხენებს დაადგა თვალი. აქ კვლავ თავგადასავალის ელემენტის მოხმობა დაგვჭირდება. საქმე ის გახლავთ, რომ იოთამს თელავში ვაჟა-ფშაველასთან ერთად უსწავლია და მასთან მეგობრობდა კიდეც. „ერთხელ ვაჟას გულისტკივილით უთქვამს: საქართველოში ქართული ჯიშის ცხენი თითქმის გაწყდაო. ყარაბახულს, არაბულს, ინგლისურს, მეჯეთანეთ და ჩვენი ფარაჯებიანი ლურჯა, რომელიც აღნაგობით, ამტანობით, ერთგულებით და სილამაზით სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იყო, თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა და გადაგვიშენდაო“.

ეს რომ იოთამს გაუგია, გაუფიქრია, „ვაჟას გული ამ ჯავრს არ უნდა შევაჭმევინო“ და ქართული ჯიშის ცხენის მოშენების ძნელ საქმეს შესდგომია. მართლაც, დიდი წვალების შემდეგ მოუშენებია. რემა, რომელიც ლაღად დანავარდობდა ტყისპირა ფერდობებზე. მაგრამ ბარნაბიშვილს და მის თანამოძრახეებს, ვითომც იმ მიზეზით, რომ ეს უპატრონო ცხენები იქაურობას თელავდნენ და აფუჭებდნენ, ადიდებულ ალაზანში შეურეკავთ, მერე საქართველოს საზღვრებს გაღმა, აზერბაიჯანში გაუდევნიათ. ამ საზარელ სანახაობას, რომელსაც მწერალი საოცარი შთამბეჭდაობით ხატავს, საბაც შესწრებია. მაგრამ მან მაშინ არ იცოდა, რომ ეს „ასცხენიანი რემაც — ისევე, როგორც ოთხი წლის წინათ ცხვარი, ბარნაბიშვილმა წინასწარვე გაჰყიდა, ადიდებულ ალაზანს გაატანა, გააშორა საქართველოს ფარგლებს, იქ კი იმ ცხენებს, რომლებსაც მდინარის ტალღა ვერ მოერეოდა, სხვა ახალი პატრონი ელოდებოდა“.

საერთოდ, მწერალი ამ ეპიზოდში დაწვრილებით გადმოგვცემს ქართული ჯიშის ცხენის ღირსებებს, იშველიებს დოკუმენტურ მასალასაც, რაც კონკრეტულ კონტექსტს ისტორიულ ღირებულებას და დოკუმენტურ ხასიათს ანიჭებს და ვაჟა-ფშაველას ავტორიტეტსაც მოიხმობს. (აქ ზედმეტი არ იქნება, თუ გავიხსენებთ, რა დიდი ადგილი უჭირავს ვაჟას შემოქმედებაში ლურჯას!). ამ ეპიზოდის ეს დეტალურობა, მისი დოკუმენტური ხასიათი და დაწვრილებით თხრობა, მოწმობს იმაზე, რომ თეთრი ცხენი მწერლის ცნობიერებაში გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის მატარებელია და საანალიზო კონტექსტით უფრო მრავლის მეტყველია, ვიდრე ეს თვალის ერთი გადავლებით აღიქმება. ჯერ ერთი, აქ გაკვრით, მაგრამ მაინც ჩანს ქართველის ხასიათის ერთი სპეციფიკურობა: სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად საკუთარს არ ვაფასებთ და ვივიწყებთ მაშინ, როცა უცხოს ვეთაყვანებით და ვალმერთებთ. სწორედ ამ მიზეზით მრავალი რამ ჩვენი ეროვნული, სისხლხორცეული, — დიდი ყურადღების და სიყვარულის ღირსი რომ არის, მივივიწყეთ და მის ნაცვლად უცხო თუ უცხოური გავაბატონეთ. ასე მოხდა, კერძოდ, ქართული ჯიშის ცხენთან დაკავშირებით. მეორეც, ეს კონტექსტი უფრო ზოგად დონეზეც გაიაზრება. არჩილ სულაკაურის მხატვრულ სამყაროში თეთრი ცხენი შეიძლება გავიგოთ, როგორც, საერთოდ, ქართველი კაცის

ჯიშის სიმბოლო. ამაზე მეტყველებს თავად ამ რომანის სათაური — „თეთრი ცხენი“, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში მარკირებულია და ერთგვარი გასაღებიც არის რომანის მსოფლმხედველობრივი კონცეფციისა თუ ქვეტექსტური აზროვნების გასაგებად. ამასვე გვაფიქრებინებს არჩილ სულაკაურის ერთი ლექსიც, რომელიც მან არცთუ დიდი ხნის წინათ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა, თავს უფლებას მივცემთ, მოვიხმოთ ეს ლექსიც:

„მე ვარ თეთრი ცხენი,
მოჯირითე უბელოდ;
ის მუხა ვარ, მუმლო,
ძირს რომ არ დაეცემის,
მე ვარ საიდუმლო
მარადიულ ფესვების;
ვარ უკვდავი სული
მინდვრების და ჭალების
მე ვარ სიყვარულის
გახელილი თვალები“.

ეს თავისთავად მშვენიერი ლექსი, არჩილ სულაკაურისათვის ჩვეული სისადავით და მაღალი გემოვნებით, დახვეწილი ფორმით რომ გადმოგვცემს მარადიულობას ჩვენი ერისა, კერძოდ კი, მისი სულის უკვდავებას და გენეტიკურ კავშირს თავის ქვეყნის ბუნებასთან, რაც მშობლიური ბუნების სხვადასხვა მოვლენებსა თუ სახეობებში მარადიული განფენილობით ცნაურდება და რაც, საბოლოო ჯამში, მეტაფორულ დონეზე სამშობლოს უკვდავებისა და გაუნელებელი სიყვარულის მაუწყებელია და სხვა არაფერი, აქ მხოლოდ იმიტომ მოვიხმეთ, რომ საფსებით ამართლებს „თეთრი ცხენის“ სიმბოლური მნიშვნელობის ჩვენეულ გაგებას. ამ შემთხვევაში მწერალი უკვე პირდაპირ, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, გვიხსნის „თეთრი ცხენის“ მნიშვნელობას და აზრობრივ დატვირთვას.

გარდა ამისა, ჩვენ ინტერპრეტაციას მხარს უჭერს რომანის მთელი რიგი დეტალები. ერთგან ოზო პირდაპირ ამბობს: „არა, მე ვარ ლურჯ ფორაჯებიანი თეთრი ცხენი“. ცხადია, ასეთი განცხადებაც შემთხვევით არ არის ნახროლი და გარკვეული მნიშვნელობით არის გააზრებული. ამგვარ გაგებაზე მიგვანიშნებს ნაწარმოების ფინალიც. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

ერთი სიტყვით, ჩვენი აზრით, ამ ვრცელი ეპიზოდის გადმოცემით მწერალს მხოლოდ ქართული ცხენის ჯიშის გადაგვარების ისტორია როდი უნდოდა მოეთხრო, რაც, როგორც ისტორიული ფაქტი, თავისთავად მნიშვნელოვანია. ვფიქრობთ, ამ კონტექსტს უფრო ზოგადი და აბსტრაგირებული მნიშვნელობაც გააჩნია. შეიძლება ვინმემ ჩვენც „სიმბოლომანიით“ დაავადებულად მიგვიჩნიოს, მაგრამ მაინც, ჩვენი ღრმა რწმენით, მწერლის მიერ ვრცლად მოთხრობილ ამ ეპიზოდში სიმბოლურად საუბარი უნდა იყოს საერთოდ ქართველი კაცის ჯიშისა და ჯილაგის გადაგვარების საშიშროების შესახებ.

დაბოლოს, რაც, ამჯერად, მთავარია, მწერალი გვაუწყებს თუ გვახსენებს იმას, რომ იმ ძნელბედობისა და განუკითხაობის ჟამს, როცა „ქვეყანა ჯერ არ იყო დალაგებული“ ბარნაბიშვილის მსგავსი მედროვე ნაძირალები, რომლებიც ქვეყნის თავკაცობას იბრალებენ, მისხალ-მისხალ ყიდიდნენ ჩვენ მიწას, ქართული ოფლითა და სისხლით მორწყულს, ახხვისებდნენ და უდარდელად გასცემდნენ ყველაფერს და ყოველივეს, რასაც შეიძლებოდა „ქართული“ დარქმეოდა. „ბარნაბიშვილები“ მხოლოდ თავის კეთილდღეობასა და კარიერაზე ფიქრობდნენ და პირად ამბიციებს აყოლილნი, არას დაეძებდნენ და არც ენაღვლებოდათ, ამ ქვეყნად საერთოდ ქართველი კაცის ჯიში და ჯილაგი რომ გადაგვარებულიყო. იდგა ასეთი ჟამიც და არც თუ ისე დიდი ხნის წინათ!... არც ამის დავიწყება გვმართებს.

მაგრამ „ბარნაბიშვილობა“ ისეთივე დროებითი მოვლენაა, როგორც „უვარყვარეობა“. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ გარკვეულ პერიოდში, ჩვეულებრივ, ძნელბედობის ჟამს, სახე-თუ ფორმაშეცვლილი „ბარნაბიშვილობა“ იჩენს ხოლმე თავს. ამიტომაც, არც ის იქნება სწორი, თუ ვიფიქრებთ, რომ, თითქოს იგი განვლილი ეტაპი იყოს. ბოროტება ათასი იერსახით, სამწუხაროდ, ყველა დროში და ეპოქაში ვლინდება. მაგრამ ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ საბოლოოდ ბოროტება დაუსჯელი არ რჩება. კონკრეტულ შემთხვევაშიც ბარნაბიშვილს საკადრისი მიუზღო ჩვენმა სახელმწიფომ, მაგრამ ყველაზე დიდი განაჩენი განგების იდუმალმა ხმამ გამოუტანა მას. აქვე არჩილ სულაკაური წამოწევს ერთ უძველეს პრობლემას, კერძოდ, როგორ უნდა გაუსწორდეს ჩდამიანი ბოროტსა და ბოროტებას. უფრო სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ უნდა მოექცეს ადამიანი იმ პიროვნებას, რომელიც უსამართლობას სჩადის და უმართებულად ექცევა მას; მიუზღოს თუ არა სამაგიერო, როცა ამის შესაძლებლობა მიეცემა თუ მიუტევოს დიდსულოვნად?!

კონკრეტულ ეპიზოდში საბას შეეძლო მკაცრად დაესაჯა ბარნაბიშვილი, რომელმაც დიდი უბედურება დაატეხა მის ოჯახს, მაგრამ საბამ ეს არ მოიმოქმედა; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მას მიმტევებლის პოზიცია უკავია; მეორეც, როცა ის ბარნაბიშვილს შეხვდა, ეს უკანასკნელი უკვე „ბარნაბიშვილი“ ველარ იყო. უფრო მეტიც, ის სულიერად დაავადებული, დაბეჩავებული და განადგურებული ადამიანი იყო, რომელზედაც ხელის აღმართვა ზნეობისა და ვაჟკაცობის არცერთი კოდექსით არ იქნებოდა

გამართლებული. ბარნაბიშვილი თავისივე სიხარბემ, ოქროსტრფიალმა, მომხვეჭელობის ჟინმა და, რაც მთავარია, კაცთმოძულეობამ და ბოროტებამ გააგიჟა. ცხადია, ასეთი პიროვნებისაგან ძალზე შორსაა ჩადენილი დანაშაულის ანალიზის შედეგად აღძრული უარყოფითი ემოციები და სინდისის ქენჯნა. საერთოდ, არჩილ სულაკაური, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაურბის ადამიანის პორტრეტის დახატვას, მაგრამ ამჯერად თავის „ტრადიციას" ღალატობს და მხატვრის თვალით ძერწავს ამ პარსონაჟის გარეგნობას. „დაბალი, თითქმის ოთხკუთხედი, პირმრგვალი და მელოტი, ულვაშივით აპრეხილი ხშირი წარბები. წვრილი, ერთმანეთთან ახლოს ჩამჯდარი, მოძრავი თვალები. სწორი და თხელი, დიდნესტოებიანი ცხვირი, უტუჩო, პატარა ფოსოხავით პირი, ხაკისფერი, ძველი და გაცვეთილი ხალათი. თეთრ, გაჭუჭყიანებულ სოფლურ წინდებში ჩატანებული ხაკისფერი გალიფე. ფეხები წვეტიან კალოშებში წაყოფილი"... სხვა რომ არაფერი ვიცოდეთ ამ კაცის შესახებ, მხოლოდ ეს პორტრეტიც იკმარებდა მის ბუნებასა და სულში ჩასაწვდომად. მოკლედ ასე ვიტყოდით: ეს არის ერთ დროს ბოროტებით აღზევებული, მაგრამ ამავე ბოროტებითვე განადგურებული ტრაგიკული პიროვნება.

მაგრამ უფრო მეტად სულის შემძვრელია და დიდი ემოციური ზემოქმედების ძალისხმევით არის დამუხტული ხაბას და უკვე ჭკუიდან შემცდარი ბარნაბიშვილის დიალოგი. საერთოდ, ეს სცენა, რომელიც ერთგვარად გვაგონებს კლასიკური ტრაგედიის ფინალს, მაღალნიჭიერებით არის განსხეულებული. არჩილ სულაკაური, ამ კაცთმოძულე ნაძირალას აღსასრულის დახატვის დროს, მიმართავს „ფარულ" პარალელიზმს, რომელსაც მკითხველი ერთი შეხედვით ვერც კი ხვდება და ვერც კი აცნობიერებს. „ბარნაბიშვილი ოდნავ გვერდზე შებრუნებულა, მერე პირქვე დამხობილი გახოხებულა, თითქოს გასაძვრომი იპოვა და გაძვრაო. ასე მუცელზე ხოხვით მისულა"... ცხადია, მწერალი შეგნებულად ისე გვიხატავს ბარნაბიშვილის მოძრაობებს, რომ მკითხველს ასოციაციურად ქვეწარმავალი წარმოუდგება თვალწინ. მაგრამ ცოტა ქვემოთ ბარნაბიშვილის მოძრაობანი უკვე აშკარად ბაყაყს გვაგონებს: „ბარნაბიშვილს წამოდგომა არც უცდია, მხოლოდ თავი წამოუწევია, იქაურობა მიმოუთვალიერებია და ხოხვით დაძრულა ალაზნისაკენ, უკან აღარ მიუხედავს, ოღონდ დრო და დრო სკუპ-სკუპით იმოკლებდა გზას მდინარემდე. ალაზნის ნაპირთან მისული სულ ერთ წამში, თვალის ერთ დახამხამებაში გადამხტარა, გადაშვებულა... თითქოს ბაყაყი იყო და ბავშვმა ჯოხი მოუქნია, იმანაც თავს უშველაო, წყალში ისკუპა... თითქოს, თავის სტიქიას შეერია, თითქოს იქ იყო ერთადერთი ხსნა, ერთადერთი თავშესაფარი".

ასეთი პასაჟები, რომლებიც ხშირად გვხვდება რომანში, დაამშვენებენ ყველა დროის და ყველა რანგის ნაწარმოებებს და ისინი კიდევ ერთხელ მეტყველებენ არჩილ სულაკაურის მაღალ ნიჭიერებასა და მხატვრული აზროვნების დიდ კულტურაზე.

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ, ალბათ, ვერანაირი ფიზიკური სასჯელი ვერ მიუზღვავდა ბარნაბიშვილს საკადრისს. მხოლოდ მწერლის განაჩენი ესადაგება იმ დიდ დანაშაულს, რაც მან ჩაიდინა ქვეყნისა და ერის წინაშე. არჩილ სულაკაური ქვეტექსტურად იმასაც მიგვანიშნებს, რომ დიდი ბოროტება ყოველთვის თავის თავში ატარებს მსჯავრსა და განაჩენს და ის არასოდეს დაუსჯელი არ რჩება. ალბათ, აქვე იმის აღნიშვნაც არის საჭირო, რომ მწერლის ფიქრით, ზნეობრივი გახრწნით ადამიანი, როგორც წესი, ცხოველთა და ქვეწარმავალთა დონეზე ეშვება და ის მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებს ადამიანობას, ხოლო მისი ფიზიკური არსებობა ჭეშმარიტ ცხოვრებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, როდი ნიშნავს.

რომანში „ბარნაბიშვილების" სხვა ანასხლეტიც, სხვა იერსახეც არის გამოყვანილი, კერძოდ, ბატონი ვარლამი, იმ ქალიშვილის მამა, ოზო რომ ეტრფოდა. ამ პირის დანაშაულის და ჩადენილი ბოროტების შესახებ თითქმის არაფერია ნათქვამი ნაწარმოებში. მხოლოდ ნაწარმოების დასასრულ ბატონი გედეონი მოუთხრობს ოზოს და მის მეგობარს კაცთმოძულე გამომძიებელზე—ვარლამ ვარდანაშვილზე, რომელსაც ბარნაბიშვილის „კარგი კაცობა" დაწვრილებით მოახსენა. ამ უკანასკნელმა კი, იმის ნაცვლად, რომ მართალი და მტყუანი გაერჩია, გედეონს ამოაყოფინა თავი ციხეში. როგორც ირკვევა, ის ბარნაბიშვილის მეგობარი ყოფილა, მაგრამ „მერმე თავის მეგობარიც აღარ დაინდო ცოდვების გამო, მშიშარაც იყო და დაუნდობელიც; თითქოს ამ შიშის გამო არ ინდობდა შინაურსაც და გარეულსაც". გვაუწყებს მწერალი და საკმარისია ეს რამდენიმე სიტყვა, რომ წარმოგვიდგეს ჩვენი ქვეყნის ერთი უმძიმესი და საშინელი პერიოდი, როცა მართალი და პატიოსანი ადამიანების ბედს წყვეტდნენ „ჯუჯა და გულდედალი ვარდანაშვილები".

მაგრამ, ვიდრე ბატონი გედეონის მონათხრობს მოვისმენდეთ ვარდანაშვილის შესახებ, მანამდე რომანში გვხვდება ერთი საყურადღებო ეპიზოდი, რომელიც, როგორც შემდგომში გაირკვევა, ამავე პერსონაჟთან არის დაკავშირებული. ოზოს ერთ ღამეს, როცა ის თავის მიჯნურს, ლამარას, მიაცილებდა, გზას შემოეყრება ნასვამი, ჩია კაცი, რომელსაც ბეწვის დიდი ბოხოხი ახურავს. ოზოც და მკითხველიც

პირველად ხვდება ამ კაცს, რომლის შესახებაც არაფერი იცის. მაგრამ ამ ჩია კაცის მოქმედება გვარწმუნებს, რომ ჩვენ წინაშე მხდალი და გულდედალი ადამიანია, ადამიანი, დიდი ცოდვა რომ აძევს კისერზე და მით არის შეშინებული და წამხდარი. სწორედ ამ შიშის გამო, საერთოდ, ცოდვაჩადენილ ადამიანს რომ ეუფლება, ის შემთხვევით შეხვედრილ და უდანაშაულო ოზოს რევოლვერს მოუღერებს და ესვრის კიდეც. ამ ეპიზოდს ნაწარმოებში ერთი გვერდიც არ ეთმობა, მაგრამ სულ რამდენიმე ჟესტით მთლიანად გაცხადებულია ვარლამის სულიერი სამყარო, ზნეობრივი დაცემა და მხდალი ბუნება. აქაც, ისევე როგორც უკვე ზემოთ განხილულ ეპიზოდში, მწერალი ახერხებს რამდენიმე სიტყვით გვიჩვენოს მომხდარი ფაქტის სიღრმე; თანაც ის ისე გვახედებს შედეგის არსში, რომ ამ მოვლენის მიზეზთა მთელ ჯაჭვს აღძრავს ჩვენ ცნობიერებაში. ოღონდაც ეს მიზეზშედეგობრივი მიმართება რეტროსპექტულად ისეა წარმოჩენილი, რომ მიზეზების შესახებ თითქმის არაფერია თქმული. უფრო სხვაგვარად რომ მოგახსენოთ, მწერალი გმირის ცხოვრების ერთ ეპიზოდს ისეთი შტრიხებით გადმოგვცემს, რომ მკითხველი საკუთარი ანალიზით და განსჯით სავსებით ნათლად წარმოიდგენს, თუ რა გზა განვლო ან რა ჩაიდინა ამ სუბიექტმა.

უფრო სრულად რომ წარმოსახოს ვარლამის სახე, რომელიც იმ დროისათვის ძალზე ტიპიური იყო, არჩილ სულაკაური მიმართავს კიდევ რამდენიმე შტრიხს; კერძოდ, მწერალი მოგვითხრობს მისი მდიდრულად მოწყობილი აპარტამენტების შესახებ; დაწვრილებით აღწერს იმ მეშჩანურ ატმოსფეროს, რომელიც ვარლამის ოჯახში სუფევს. ამ შემთხვევაშიც არჩილ სულაკაური არას გვაუწყებს იმის შესახებ, თუ როგორ დააგროვა ეს ქონება ჯუჯა ვარლამმა. მაგრამ მკითხველი თავად ხვდება, რომ ეს ქონება პატიოსანი შრომის გზით არ არის ნაშოვნი, რომ ამ სიმდიდრეს ადამიანების, უდროოდ, უნუგეშოდ დარჩენილი და უპატრონო ქვრივობლების სისხლის სუნი ასდის. სამწუხაროდ, იყო დრო და არცთუ ისე დიდ ხნის წინათ, როცა ბარნაბიშვილები და ვარდანაშვილები განუკითხავად პარპაშობდნენ ქვეყანაზე და სახელმწიფოს მართვის სადავეებიც კი ეკავათ ხელში. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ზიანი მიაყენეს მათ და მათ მსგავსებმა ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებას. ხოლო ჩვენ მივიღეთ ეს ნაიარები და დაღდასმული სული, რომელიც ძალადობის შედეგად შიშის ავადმყოფობას შეუპყრია და უფრთხის ჭეშმარიტებას შეხედოს თვალებში, ალბათ ამიტომაც ვამჯობინებთ პირდაპირობას და სიმართლეს თვისი ზიგზაგებით სვლასა და მიეთმოეთს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს ავადმყოფობა, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით დღესაც შემოგვრჩა, სათნო და ფაქიზ აქიმობას მოითხოვს და ეს მისია, უპირველეს ყოვლისა, ქართულ მწერლობას ეკისრება. მაგრამ ახლა კვლავ მივუბრუნდეთ ძირითად სათქმელს:

ზემოგანხილული ეპიზოდის (ბარნაბიშვილმა რომ ქართული ჯიშის ცხენი და ცხვარი ალაზანს გაატანა და შემდეგ ულვთოდ გაჰყიდა) ქვეტექსტური აზრი, ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს. მაგრამ ამ კონტექსტის უფრო ღრმა გააზრებისათვის უნდა მოვიხმოთ სხვა ეპიზოდიც. კერძოდ, მწერალი გადმოგვცემს, რომ ოზო ზიზის მეშვეობით (ზიზი ოზოს თანასოფლელი და თანაკლასელია) ქალბატონ მარიამს გაიცნობს, ძველ ინტელიგენტ და არისტოკრატ ქალს, რომელსაც უმდიდრესი ბიბლიოთეკა გააჩნია (თერთმეტი ათას ას სამოცდა თექვსმეტი უნიკალური წიგნი!...). ამ ბიბლიოთეკით თურმე ხშირად ჩვენი დიდი წინაპრები სარგებლობდნენ, მაგრამ ამ ბოლო ხანაში წიგნისათვის ვიღას ეცალა. ქალბატონ მარიამს კეთილი საქმე განუზრახავს და თავისი უნიკალური წიგნები უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის უანდერძია. მაგრამ შემთხვევითობამ იმსხვერპლა იგი: ბედის დაცინვაა თითქოს, ტექნიკის ეპოქაში ძველ არისტოკრატ ბანოვანს ეტლი დაეჯახა. ეს, თითქოს ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი ღრმა აზრის შემცველი და მრავლისმეტყველია. საერთოდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რომანის ყველა დონეზე მოქმედი ელემენტი მწერლის მიერ ღრმად არის გააზრებული და ტელეოლოგიურ მიმართებას ამყარებს შემოქმედის მსოფლმხედველობრივ კონცეფციასთან. ასე რომ, რომანში თითქმის ვერ ნახავთ უმნიშვნელო ელემენტს, რომელსაც გარკვეული ფუნქცია არ ეკისრებოდეს. ესეც თავისთავად მეტყველებს რომანის ავტორის მწერლურ კეთილსინდისიერებაზე და პასუხისმგებლობაზე, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი დროის მრავალ მწერალს აკლია.

მაგრამ მოვიდეთ პირველსავე სიტყვას. ქალბატონო მარიამი ტრაგიკულად დაიღუპა (ალბათ, ამაში განგების ხელიც ერია!), უპატრონოდ დარჩენილ წიგნებს კი ხალხი, უფრო სწორედ, ბრბო ეძგერა. მწერალი ამჯერად აღარ გაურბის ამბის დაწვრილებით, მისხალ-მისხალ, თითქმის ნატურალისტური დეტალებით აღწერა-გადმოცემას. თავს უფლებას ვაძლევთ მოვიხმოთ ამ ვრცელი ეპიზოდის ზოგიერთი ადგილი გარკვეული შემოკლებით: „ეზოში წიგნების ზვინი იდგა, ეგრევე ეყარა მიწაზე და ხალხი ესეოდა. წიგნებს ვედროებში, ტომრებში, ბალიშის პი-

რებში ჩურთავდნენ განურჩევლად... ბებრები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები, ბავშვები ერთმანეთში ირეოდნენ“... როდესაც ოზო მოინდომებს გახელებული და გაშმაგებული ხალხის დაწყნარებას, მას ჯერ გამოაპანღურებენ და მერე მაგრა მიბეგვავენ კიდეც. ბრბო კი განუკითხავად ეზიდება ჩვენს სულიერ სიმდიდრეს. „მუქთად იშოვეს და მიაქვთ, ახლა მაგათ ვინ შეაჩერებს, ვინ დააკავებს “ — ირონიულად ჩაურთავს მწერალი და ამ სიტყვებით თითქოს ერთი დიდი ეპოქაც ამოტივტივდება ჩვენ მეხსიერებაში, ეპოქა, როცა სრულმა განუკითხაობამ, სხვისი სიკეთის არ დანახვამ, საკუთარის და პირადულის უმართებულო განდიდებამ და, რაც მთავარია, ზღვარდაუდებელმა მომხვეჭელობამ და უსამართლო ძალმომრეობამ წაახდინა ერიცა და ბერიც. მაგრამ, ამჯერად ჩვენთვის უფრო საინტერესოა ამ ეპიზოდის დასასრული. „თვალი უნებურად მარჯვნივ გამექცა, იქ, ხიდის ახლოს, პირდაპირ მდინარეზე აღმართული აგურის შენობის ერთ-ერთ ფანჯრიდან წყალში ცვიოდა წიგნები; ქაღალდები, ნაგავი, მტვერი... მტკვარში იყრებოდა მორჩენილი, დაგლეჯილი და დაფურცლული წიგნები, რის წაღებაც არვინ ინდომა... ჩვენ მუხლამდე წყალში ვიდექით და გავცქეროდით, მტკვრის გლუვი ზედაპირი თითქმის მოფენილი იყო წიგნის სველი ფურცლებით. სწორედ ჩვენს წინ ჩქერი იწყებოდა და ჩვენამდე მიღწეული, მოტივტივე ფურცლები ჩქერში ინთქმეოდა... რატომღაც იოთამის ცხენები გამახსენდა, ალაზანში შეყრილი რემა, ტალღებს შეჭიდებული, თავაწეული, კისერწაგრძელებული თეთრი ბედაურები... თავი ველარ შევიკავე და ცრემლი წამსკდა“.

დიდი მიხვედრილობა არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ ეს კონტექსტი მჭიდრო კავშირს ამყარებს ზემოთ განხილულ ეპიზოდებთან. ამას თავად მწერალიც მიგვანიშნებს, როცა იოთამის ცხენებს გაიხსენებს. არც ის უნდა იყოს საკამათო, რომ ამ კონტექსტების ქვეტექსტური აზრი ერთ განზოგადებულ მსოფლმხედველობრივ კონცეფციას კვებავს და მის მკითხველამდე დაყვანას ემსახურება. მართალია, ეს ეპიზოდები კონკრეტულ ფაქტებს შეიცავენ, მაგრამ მწერალი ახერხებს ამ კონკრეტულის ისეთ დონეზე აყვანას, რომელიც მოვლენის განზოგადოებას თავისთავად გულისხმობს. სწორედ ამ ზოგადის წინ წამოწევით მწერლის სათქმელს ეროვნული ღირებულება ენიჭება.

ახლა თუ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ ყოველივე ზემოთქმულს, უთუოდ გაგვიჩნდება ასეთი თვალსაზრისი: ჩვენი სისხლხორცეული საკუთრება, ქონება თუ ავლადიდება ალაზანს გავატანეთ და ჩვენი ჯილაგიც ზედ მივაყოლეთ, სულიერი საგანძური და ზნეობა კი-მტკვარს! სწორედ ამიტომაც ფიზიკურად დავჩიავდით და სულიერად დავკნინდით, ისევ ჩვენივე მოდგმის „წყალობით“ და ხელის შეწყობით! მაშ, ასეთ დღეებგამოვლილებს რაღას გვიკვირს, რომ ზნეობრივად წავხდით და „გადაგვარების“ გზას დავადექით?! არ ვიცით, შეიძლება ვცდებოდით, მაგრამ პირადად ჩვენ ასეთი აზრი და გუნება-განწყობილება შეგვიქმნა ამ ეპიზოდების კითხვამ. ის ცრემლი კი, რომელსაც მკითხველი მალავს, მაგრამ რომელიც მწერალმა ვერ დამალა და წასკდა, მხოლოდ ჩვენი ოდინდელი დიდების და სულიერი სიწმინდის დაკარგვის დატირება როდია?! ეს ცრემლი ერის მომავალზე, და, საერთოდ, ადამიანის ბედზე დაფიქრებული კაცის წუხილის სულიდან გარეთ გამოტანაც არის, რაც ერთგვარ შვებას ანიჭებს მას.

ზემოთ უკვე ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ, რომ არჩილ სულაკაურის ეს რომანი ჭეშმარიტი რეალიზმის მეთოდით არის დაწერილი. მწერალი ცდილობს ცხოვრება დაგვიხატოს თავისი ნათელი და ბნელი მხარეებით. ამიტომაც ის შეგნებულად არ მიმართავს დეფორმაციას და ფერთა გამუქებას, როგორც მოვლენის არსის ახსნისა და გამოხატვის საშუალებას. არც რომანის დასასრულია რაიმე ტრაგიკული ტონებით აჟღერებული, ხელოვნურად გაზვიადებული მელანქოლიითა და უარყოფითი ემოციებით დატვირთული. პირუკუ, მწერალი გარკვეული თვალსაზრისით ოპტიმისტურადაც კი არის განწყობილი და იმედის თვალით შესცქერის მომავალს. ეს ოპტიმიზმი თუნდაც იმაში ჩანს, რომ რომანის დასასრულს ოზო გარკვევით იხილავს თეთრ ცხენს, რომელიც საოცარი სისწრაფით მიჰქროდა ტყის გასწვრივ, მაგრამ მკითხველიც და თავად ოზოც ბოლომდე ვერ გარკვეულა, ნამდვილად დაინახა მან თეთრი ცხენი, თუ ეს იყო მოლანდება, უფრო სწორედ, „ხილვა“. ოღონდაც ამ „ხილვის“ დროს ოზოს კიდევ ერთხელ წარმოუდგება, თუ როგორ მიჰქონდა აზვირთებულ ალაზანს თეთრი ცხენების რემა, რომელსაც „ყოველ ნაბიჯზე ხმაურით და კეტების ქნევით ხვდებოდა ჩასაფრებული ხალხი“; კიდევ ერთხელ გაიხსენებს, თუ როგორი სიგიჟით ეზიდებოდა ხალხი ტომრებით და ვედროებით წიგნებს, როგორ ნთქამდნენ ღრმა ჭაბურღილები დაფურცლულ წიგნებს და მისთ... რა თქმა უნდა, თეთრი ცხენის „ხილვა“ და უკვე მოთხრობილი ეპიზოდების ხელმეორედ გახსენება შემთხვევითი როდია?! მწერალი ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მეხსიერებაში აღბეჭდილი მოვლენების დიდ და განზოგადებულ მნიშვნელობას. მართლაც, ეს

კონტექსტები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანის მხატვრულ სტრუქტურაში მკვეთრად აქცენტრირებული და მარკირებულია. მაგრამ რომანის დასასრულს თეთრი ცხენის გამოჩენა იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მთლიანად არ „გადაგვარებულა" ქართული ჯიში, რომ მომავალში, თუ კი სულიერი ძალების ერთობა და სიყვარული იქნება, შეიძლება თეთრი ცხენის გადარჩენა!.. ამიტომაც, მომავალს იმედის თვალით უნდა ვუმზიროთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ იმედიან მზერას მრავალი დაბრკოლება და ფარდა ელობება წინ.

ამ მიზეზთაგან ერთ-ერთზე საანალიზო რომანშიც არის საუბარი. კერძოდ, მწერალი დიდი გულისტკივილით გადმოგვცემს ნიჭიერი, მაგრამ „უპატრონო" ბავშვების უპერსპექტივო ხვედრს და მათი მომავალი ძალზე აფიქრებს. ეს საკითხიც ზნეობრივ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, რადგან მომავალი თაობის ხვედრის სწორად წარმართვაზე ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი ერის ხვალინდელი ცხოვრების წესი და რიგი, მისი ზნეობრივი შეურყვნელობა. ამიტომაც მოკლედ შევეხებით მას.

რომანში რამდენიმე გზის საუბარია „ილოს ბალღებზე" — ორ დასა და ერთ ძმაზე. ომის პერიოდში მრავალი ბავშვი დარჩა ობლად და მათი მძიმე ხვედრის აღწერას არაერთი ნაწარმოები მიეძღვნა. მაგრამ არჩილ სულაკაური ამ თემას ტრადიციული კუთხით როდი წარმოსახავს. მწერალი კონკრეტულ შემთხვევაში ობლობის, როგორც სოციალური და ყოფითი მოვლენის, მძიმე შედეგებს კი არ გვიხატავს, არამედ მას აწუხებს ნიჭით დაჯილდოებული და რჩეული ბავშვების მომავალი, რომელიც სწორედ უპატრონობის და ობლობის გამო უპერსპექტივოდ მოჩანს. საქმე ის გახლავთ, რომ „ილოს ბალღები" აბსოლუტური სმენით დაჯილდოებული მუსიკოსები იყვნენ, რომლებიც საოცარი ოლმაფრენით ასრულებდნენ „ვენის ტყის ზღაპარს" და სხვადასხვა მელოდიებს. როგორც მწერალი გვაუწყებს, ისინი იყვნენ „ღვთიური მადლით აღბეჭდილები. პატარა, ნაღვლიანი მუსიკოსები, რომლებსაც სხვებისთვის სიხარულის მინიჭება შეეძლოთ".

სწორედ ამ პატარა მუსიკოსებს მწერალი „ერთნაირ გარემოში" გვიხატავს. ისინი თბილისისკენ მიმავალ მგზავრებს აცილებენ ხოლმე: „...გაცილებისას თავიანთ ძველ ამორჩეულ ადგილზე, როგორც საგუშაგოზე, იდგნენ ხელიხელჩაკიდებული ილოს ბალღები და ნაღვლიანი ღიმილით, გულის სიღრმეში ჩაგუბებული თუ ჩაბრუნებული, თავისთვის შეუმჩნეველი სიხარულით ხელს უქნევდნენ თბილისში მიმავალ თანასოფლელებს"... რომანში მწერალი კიდევ რამდენიმე გზის გვესხურება ამ ნიჭიერ ბავშვებზე. რომანის მთავარი გმირიც, რომელშიც ძნელი არ არის თავად მწერალი შევიცნოთ, დიდი მოკრძალებით ეპყრობა მათ. „ამ ბავშვების დანახვისას გაუგებარი, ჩემთვის აუხსნელი გრძნობა მეუფლებოდა, — გვაუწყებს ოზო, — თითქოს მებრალებოდნენ და ამავე დროს რაღაცნაირად ვეკრძალებოდი კიდეც, მოულოდნელად ისეთი პატივისცემით ვიმსჭვალებოდი, თითქოს ჩემზე უფროსები იყვნენ". გასაგებია, რომ ოზოს ეს მოკრძალება მათდამი შემთხვევითი არ არის და მათი მაღალი ნიჭიერების გამო გაუჩნდა. მათზე ფიქრი ოზოს თბილისშიც არ ასვენებს, ხშირად ახსენდება მათი სახეები, ფიქრობს და ჩხუბობს მათ გამო. ოზო, თავისი თანატოლების გულგრილობით და გაუგებრობით გაღიზიანებული, ერთგან შენიშნავს: „ის, ვინც წამოვიდა, არ უნდა წამოსულიყო... ისინი კი, ვინც წამოსვლის ღირსნი არიან, იქვე დარჩნენ, გზის პირას დგანან და წამოსულებს ხელებს უქნევენ". ამ თითქოსდა სხვათაშორის ნათქვამ საყვედურში დიდი სოციოლოგიური ჟღერადობის პრობლემა იჩენს თავს, რომელიც, შეიძლება, ერთ-ერთი მიზეზი იყო ადამიანთა უმეტესი ნაწილის ტრაგედიისა: ადამიანი ვერ პოულობს თავის ადგილს, უბრალოდ არ იცის, რა არის მისი მოწოდება და ლობე-ყორეს ედება. ასევე ვერ იპოვა თავის ადგილი ნაწარმოების ერთ-ერთმა მთავარმა პერსონაჟმა ზიზიმ, რომელმაც მხახიობობა გადაწყვიტა და თბილისს მიაშურა. მაგრამ, როგორც ჩანს, საკმარისი ნიჭი და ტალანტი არ აღმოაჩნდა და დიდი ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში დაინთქა ხალმოცარული, ფაქტიურად უადგილოდ დარჩა. მაგრამ აქვე წამოიჭრება მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი და არსებითი საკითხი: გამოუჩნდება თუ არა მფარველი და გზის გამკვლევი ამ ნიჭიერ, მაგრამ უპატრონო ბალღებს?! აი, რა კითხვა აწუხებს მწერალსაც და მასთან ერთად ამ რომანის მკითხველს.

მაგრამ იმ ჟამად როცა ჯერ კიდევ ომის ჭრილობები მოშუშებული არ იყო, ილოს ბალღებისთვის ვერავინ მოიცლიდა, ყველა თავის პირადი სატკივარით იყო დაკავებული. რომანის დასასრულისკენ ისინი თითქოს მწერალმაც მიივიწყა და მათზე აღარაფერს გვაუწყებს. მაგრამ ვფიქრობთ, ეს ერთგგვარი ხერხია (თუ გნებავთ, მინუს ხერხი), რომლის საშუალებითაც მწერალს ყოველგვარი რემარკის და თქმის გარეშე მკითხველამდე დაჰყავს თავის აზრი და სათქმელი: ილოს ბალღები და მათი მაღალი ნიჭიერება დასაღუპად არის განწირული; განწირულია იმიტომ, რომ მათ ტალანტს პატრონი არ გამოუჩნდა, ადამიანურმა სიყვარულმა ვერ გაათბო და ვერ გამოკვება.

არადა, ყველა ამგვარი ბავშვის დაკარგვა და მათ ნაცვლად დროების უვარგისობისა გამო თუ მფარველობისა და პროტექციონიზმის ძლიერი

ხელის შემწეობით უნიჭოთა გამოყვანა ასპარეზზე, რომელიც საბოლოო ჯამში, შედეგს ვერ გამოიღებს და ტრაგიკულიც კი შეიძლება შეიქმნეს ზოგიერთი ნახათუთევი ახალგაზრდისათვის. ჩვენი ერის კულტურისა და დეგრაციის ერთ-ერთ არსებით მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს.

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები გახშირდა ამ ბოლო დროს და ისინი ცალკეულ, გამონაკლის შემთხვევებს კი არ წარმოადგენენ, არამედ უფრო მეტად ტიპიურ მოვლენად წარმოგვიდგებიან, მეტიც შეიძლება ითქვას, დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ სამწუხარო ფაქტმა არსებობის ისეთი უფლება მოიპოვა, რომ იგი არც არავის უკვირს და არც არავის აწუხებს: ეს კი ძალზე დამაფიქრებელია და საგანგაშოც!..

თეთრი ცხენი კი დაქრის საქართველოს ველებზე, მაგრამ გამოუჩნდება თუ არა მას პატრონი?! ღვთით მომადლებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები კი, რომელთაც ხვალ უნდა შექმნან ჩვენი სულიერი კულტურა, ჩვენი ზნეობა და წესი, დგანან დიდი გზის დასაწყისში, მაგრამ გამოუჩნდება თუ არა მათ გზის გამკვლევი და გზაზე დამყენებელი?! აი, რა ფიქრები და მწუხარე აზრები აღეძვრება და დიდხანს არ ასვენებს მკითხველს რომანის წაკითხვის შემდგომ.

მართლაც, ეს არის ჩვენი დღევანდელობის კიდევ ერთი და, ვიტყოდით, მეტად თავსატეხი და წყევლაკრულვიანი პრობლემა, რომელიც პასუხს მოითხოვს.

□დასასრული იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

# უღირსებო კაცი

საუბრის დაწყება შორიდან მომიწევს და მკითხველს ვთხოვ, მოთმინებით აღიჭურვოს.

1976 წლის 25 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ „კოლხეთის ცისკრის“ ახალი თავი გამოაქვეყნა. თითქოს ეს რომანი დიდიხანია დასრულებულია და ახალი თავის დამატება ერთგვარად მოულოდნელიც იყო მკითხველისათვის. თვითონ ავტორმა კი ეს ფაქტი ასე განმარტა:

„არის მწერალი სიკვდილამდე რომ ვერ დაშორდება ვერც ერთ თავის ქმნილებას. უსრულობის, უკმარობის მტანჯველი გრძნობა არ ეყრება მის სულს და უჭირს წიგნთან გამოთხოვება.

შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ სათქმელი ბოლომდე არ ითქვა თავის დროზე.

ან იმიტომ, რომ დამცხრალი გული უკეთესად ხედავს, სად რა ნახტომი შეეშალა სიტყვას. სად რა სალებავი დააკლდა სურათს, გესმის მათი ძახილი და რა გული გაგიძლებს, შემწეობა არ აღმოუჩინო...

მთელი ჩემი ცხოვრება მე ამ ჯგუფის მწერლების კვალზე ვდგავარ“.

მართალია, ამ განმარტებაში ძირითადად მხატვრული სრულქმნის საკითხია გამოყოფილი, მაგრამ ორი დამაფიქრებელი ფრაზაც არის ნათქვამი — პირველი, „სათქმელი ბოლომდე არ ითქვა თავის დროზე“ და, მეორე, „დამცხრალი გული უკეთესად ხედავს...“ ამას უნდა დავსძინო ისიც, რომ ახალი თავის გამოქვეყნებამ ძირეულად შეცვალა „კოლხეთის ცისკრის“ ზნეობრივი ატმოსფერო.

მკითხველს გავახსენებ, რა მოხდა.

კულაკ ბარნაბა საგანელიძის ქალიშვილი თალიკო სოფლის კომკავშირის უჯრედის მდივანს ბაჟუა ვარდოსანიძეს სთხოვს — კომკავშირში მიმიღეთო. ბაჟუა თალიკოს შეჰპირდა ამ თხოვნის განხილვას, ოღონდ ულტიმატუმი წაუყენა — „თუ ჩვენთან ყოფნა გინდა, მაშინ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოშორდეო იმ პირსისხლიან კაპიტალიზმს!“ თალიკო დაიბნა, ვერ მიხვდა, რა კავშირი ჰქონდა კაპიტალიზმთან და როგორ უნდა ჩამოშორებოდა მას. ამიტომ გაუბედავად ჰკითხა ბაჟუას — „მითხარი რაფერ და...“, რაზეც კომკავშირის უჯრედის მდივანმა კატეგორიულად უპასუხა — „მამაშენს უნდა გაეყარო!“ თალიკომ თვალები დააჭყიტა და დაბნეულმა იკითხა — „მამაჩემი რა შუაშია?!“ ქალის მიუხვედრელობით გაბრაზებულმა ბაჟუა ვარდოსანიძემ აუხსნა:

„— შუაშიც არის, თავშიც და ბოლოშიც! შენ თუ ფიქრობ, კაპიტალიზმი მარტო ინგლისში არისო, ძალიან შემცდარხარ! აბა, ვინ არის, გოგო, მამაშენი, ბარნაბა საგანელიძე! ჩაგრულთა კლასის მყვლეფელი და სისხლის მწოველი ბობოლა! გაეყარე, გადმოდი ჩვენს ბარიკადებზე და ბაჟუა ვარდოსანიძე მოგიკვდეს, თუ შენი განცხადება ხელახლა არ განიხილოს ჩვენმა უჯრედმა“.

ახლა დააკვირდით, როგორ მიიღო თალიკომ ბაჟუა ვარდოსანიძის სიტყვები.

„მექიმ თვალი მოატანა, რა საშინელი სინანულის ღიმილმა დაუგრიხა ტუჩ-პირი საგანელიძის ქალს. ეს რა უთხრა ამ ბიჭმა, ვისთანაც ერთად სკოლაში სწავლობდა, გაკვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ, თამაშითაც ერთად თამაშობდნენ... ეს კი რას მეუბნება! ნუთუ შეიძლება ასეთი რამ გააგონო ადამიანის ყურს!“

კომკავშირის უჯრედის მდივანს კი თალიკომ ასე უპასუხა:

„— ენა რაფერ მოგიბრუნდა, ბაჟუა, ამის სათქმელად! შენ რომ იცოდე, მამაჩემს როგორ ვუყვარვარ, გავეყრები კი არა, ქალამნის ძირად დავედები! არა, ბაჟუა, ახო-ახოდ რომ ამკუწონ, მე მაგას ვერ ვიზამ! ესეც არ იყოს, ისეთი ადამიანი რად გინდათ, ბიჭო, მშობელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა, ხვალ

თქვენ გიღალატებთ! მამაზეციერს არ დაინდობს! კარგად ბრძანდებოდეთ!“

ცხადად ვხედავთ, რომ ზნეობრივად აჯობა და დაამარცხა თალიკომ ბაჩუა ვარდოსანიძე. მაგრამ ამ ეპიზოდს არ აქვს მხოლოდ ერთ კონკრეტულ რომანში აღწერილი კონკრეტული შემთხვევის ღირებულება. იგი გაცილებით ფართოა და მრავლისმომცველი.

მივაქციოთ ყურადღება ორ გარემოებას.

პირველი: თალიკო ზნეობრივი კრიტერიუმით დაუპირისპირდა არა მხოლოდ ბაჩუა ვარდოსანიძეს, არამედ 20-იანი წლების პროლეტმწერლობაში გაბატონებულ მორალურ მოთხოვნილებას.

მეორე: თალიკოს ზნეობრივი სიმაღლით უნდა გაიზომოს „კოლხეთის ცისკრის“ მთავარი პროტაგონისტის მექი ვაშაკიძის საქციელი.

პროლეტმწერლის სევასტი თალაკვაძის რომანში — „გადასახვლელი“ (გამოცემულია 1933 წ.) — საშუალო გლეხი გლახუნ ზვიადაძე კოლექტივიზაციის წინააღმდეგია. მას ორი ქალიშვილი ჰყავს — თინა და ოლღა. ისინი კოლექტივიზაციის მომხრენი არიან. მამასა და შვილებს შორის ბრძოლაა. როცა გლახუნ ზვიადაძემ კულაკურ შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღო, იგი შვილმა, თინამ, გასცა. ამის გამო ბოლშევიკი პორფილე ეუბნება ანდრო კარსანიას, კოლექტივიზაციის ერთერთ ორგანიზატორს:

„...თინა საუცხოვო ტიპია ბოლშევიკის. იცი, რა მითხრა: ბაიაშვილი მამაჩემს მეგობრობს ძალიანო. მამაჩემი კი ფარული მენშევიკია და ჩვენი მტერიო. ეს მე აქამდის მინდოდა განმეცხადებინა, მაგრამ ამ უბედურებამ მომისწრო (თინა კულაკებმა დასჭრეს — ა. ბ.) და ვეღარ შევძელი. ახლა კი როგორც გამოვეწერები, ცეკას მინდა ვუთხრა ყველაფერი. ამიტომ ჩქარობს გამოწერას საავადმყოფოდან“.

თინა აღშფოთებულია იმით, რომ მამამისი გლახუნ ზვიადაძე ბაიაშვილმა არ დააჭერინა. ამიტომ კრებაზე თინა ბაიაშვილს ამხელს, როგორც ინტრიგანს:

„— იგი, ამხანაგებო, ჩემს მენშევიკ მამას, რომელთანაც მე მუდამ დავაში და ჩხუბში ვარ, მეგობრობს და ამას წინად მას (თინას მამას — ა. ბ.) გეპეუმ ხელი სტაცა დასაჭერად, ბაიაშვილმა იგი დაიფარა და იხსნა“.

როცა თინას გამცემლობა ანდრო კარსანიას მოხუცმა დედამ გაიგო, არ მოეწონა ეს და შვილს უთხრა:

„— მაგრამ ის ვიღაც თინა ყოფილა, მამის წინააღმდეგ წასვლას და მტრად გამოცხადებას მე თქვენსავით ვერ მოვუწონებ, როგორც შვილს. ესაა მისი კაი ქალიშვილობა?“

დედის ასეთი ჩამორჩენილობის გამო ანდრო კარსანია სირცხვილით დაიწვა და მოხუცი ქალი დაარიგა: „— შენთვის ძნელია ახლა გაიგო ჩვენი კლასობრივი ბრძოლის საიდუმლოება, მისი პრინციპი, პოლიტიკური ბრძოლის ლოგიკა და დაუნდობლობა“.

ამგვარი ზნეობის მქადაგებელი ბევრი ეპიზოდის ამოწერა შეიძლება პროლეტმწერლების თხზულებებიდან, მაგრამ ამჯერად ეს ერთიც კმარა.

ზემორე ციტირებული ორი ეპიზოდის შედარებით უკვე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა.

20-30-იანი წლების მოთხოვნაა: „თინა საუცხოვო ტიპია ბოლშევიკის, იცი, რა მითხრა: ბაიაშვილი მამაჩემს მეგობრობს ძალიანო. მამაჩემი კი ფარული მენშევიკია და ჩვენი მტერიო“.

70-იანი წლების მოთხოვნაა: „...ისეთი ადამიანი რად გინდათ, ბიჭო, მშობელ მამას რომ გადაუდგება! დღეს მამას გადაუდგა, ხვალ თქვენ გიღალატებთ! მამაზეციერს არ დაინდობს!“

მაგრამ ძალიან გვიან ხომ არ მოხდა უზნეობიდან ზნეობრიობისაკენ შემობრუნება? ძალიან გვიან ხომ არ გაგვახსენდა ის ეთიკური მცნება, რაც ორი ათასი წელიწადია იცის კაცობრიობამ და რისი უარყოფა და დავიწყება გვინდოდა? ვგონებ, რომ გვიან მივხვდით იმ სიბრძნეს, რასაც იოანე მოციქულის პირველი ეპისტოლე (4; 20) გვეუბნებოდა:

„უკეთუ ვინმემ თქვას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი და ძმაი თუისი სძულდეს, მტყუარ არს, რამეთუ რომელსა არ უყვარდეს ძმაი თუისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არ უხილავს, ვითარ ძალ-უც შეყვარებად?“

რაკი ზნეობრიობისაკენ მობრუნება აუცილებელი გახდა, ბუნებრივია ისიც, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის ქმედება-საქციელი ეთიკურ-მორალური თვალსაზრისით გავზომოთ.

„კოლხეთის ცისკრის“ მთავარი პროტაგონისტი მექი ვაშაკიძე უპატრონო, უსახლკარო, ოხერ-ტიალი ყმაწვილი იყო, მაგრამ უაღრესად პატიოსანი და უეშმაკო. როცა ჭიდაობის დროს ვერაგმა ხაჟომიამ მხარზე უკბინა და მზაკვრობით დაჯაბნა, ვერცკი თქვა ეს. ვერ ამხილა ხაჟომიას უკულმართობა. მხოლოდ უკან დასდევს და ერთს ეხვეწება, ისევ დამეჭიდეო. ამ უთქმელმა და დაჩაგრულმა ბიჭმა ახალგაზრდობა ერემო პირტახიასა და ბარნაბა საგანელიძის მოჯამაგირეობაში გაატარა. მერე, ტარასი ხაზარაძის მზრუნველობით, იგი კომუნაში მიიღეს. აქედან დაიწყო მისი შეცვლა. არა მარტო სოციალურად გათავისუფლდა, არამედ ზნეობრივადაც გადასხვაფერდა. ეს ფერისცვალება მკაფიოდ მაშინ გამოვლინდა, როცა ბარნაბა საგანელიძეს, როგორც კულაკს, ქონების ჩამორთმევა გადაუწყვიტეს.

ქონების შესანარჩუნებლად ბარნაბამ ეშმაკობას მიმართა: ნივთები ურემზე დააწყო. ზევიდან ლეიბ-საბანი გაშალა და „ავადმყოფი“ თალიკო დააწვინა. დასახმარებლად მექის მოუხმო: როგორმე „ხნეული“ თალიკო ქუთაისში

ჩაიყვანეო. ბარნაბა აგრე ვარაუდობდა: მექი ხელისუფლების კაცია და ურემზე ეჭვს არავინ მიიტანსო. თან ისიც იცოდა: მექის თავდავიწყებით უყვარდა თალიკო და ქალის ქუთაისში ჩაყვანაზე უარს არ იტყოდა.

ურემმა, რომელზეც თალიკო იწვა და წინ მექი მიუძღოდა, ქალაქისაკენ გასწია. გზაზე მათ ხაჟომია წამოეწია. ხაჟომიას დაუდევრობამ და სულწასულობამ ბარნაბა საგანელიძის საიდუმლო გასცა. მექი ყველაფერს მიხვდა. მტკიცედ გადაწყვიტა: კულაკისათვის ქონება აღარ გაეტანებინა და იგი ხელისუფლებისათვის ჩაებარებინა.

თავგამეტებული ეძგერა მექი ხაჟომიას, ხარმა გამოჰკრა და მიწაზე დააგორა. იგი ზურგზე მოექცა ხაჟომიას „საფეთქელში მუშტი ჩაჰკრა და უსულოდ მიაგდო“.

თალიკოს რაღა უყო, ეს ზუსტად არ ვიცით. უკანასკნელად ეს მოხდა, რომ თალიკოს მძულვარებით შეხედა მექიმ, — მეზიზღებიო, — უთხრა და გაეცალა ქალს. მერე ვხედავთ, მექის სოფელში მიჰყავს საგანელიძეების ქონებით დატვირთული ურემი, მაგრამ თალიკო არსად ჩანს.

ასე გაძარცვა მექი ვაშაკიძემ საგანელიძეების ოჯახი. იმას, რაც მექიმ გააკეთა, სხვა სახელი არ ჰქვია და სიტყვა „გაძარცვა“ მკითხველს ნუ გააკვირვებს. უნდოდა თუ არა ეს მექის, გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა, რას სჩადიოდა. სულერთია, მან მაინც მძარცველის როლი შეასრულა. ბარნაბა საგანელიძე არ მალავდა ზღაპრულ, უთვალავ განძს. იგი აპირებდა იმის შენარჩუნებას, რაც ყოველ ნორმალურ ოჯახს უნდა ჰქონდეს. ჩემს ამ სიტყვებს უკვე ის ადასტურებს, რომ ბარნაბა საგანელიძის ქონება ერთ ურემზე დაეტია. მაგრამ მაინც ნუ მენდობა მკითხველი და თავად რომანში ვნახოთ, რა წერია: — რა წამოიღეთო, — ეკითხება ხაჟომია თალიკოს. ქალი უპასუხებს — „ხალიჩები, ოქრო-ვერცხლი, ჭურჭელი, ტანისამოსი...“ ნუ დაგაბნევთ თალიკოს პასუხში ნახსენები ოქრო-ვერცხლიც. ცოტა ქვემოთ შევიტყობთ — რა ოქრო-ვერცხლია ეს. მექიმ „ხურჯინს ხელი მოუფათურა. მაღალყელიანი სურები შეიცნო, ვერცხლით მოჭედილი ყანწები“.

სულ ეს არის. ბარნაბა საგანელიძეს ჩვეულებრივი საოჯახო ნივთები ჰქონდა და მეტი არაფერი

იქნებ ეს მცირე ქონებაც ბარნაბა საგანელიძემ სხვას წაართვა ან უნამუსო გზით იშოვნა და ამდენად, ასე თუ ისე, სამართლიანად ჩაითვლება, თუ მასაც ჩამოართმევენ? არა, ბარნაბა მუშაკაცი იყო და, რაც ჰქონდა, ყველაფერი მწარე და მძიმე შრომით იყო შეძენილი. აი, საბუთიც რომანიდან:

„ბარნაბას მძიმე, ხაოიანი ხელისგული დღეცისმარე მიწას ეფერებოდა, მიწაც გამგონი და მორჩილი იყო.

ოცდასამი წელიწადი გავიდა, ქეიფში არ გაუთენებია, ძილში არ დაუღამებია, არც ქალის კაბას გამობმია: მიწის რჯული დროს ტარებას უკრძალავდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მგონია, ყველაფერი ნათელია, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მექი ვაშაკიძეს არ განუცდია არც კაცის მოკვლა და არც საყვარელი ქალის ოჯახის გაძარცვა. პირიქით, თავი გალაღებულად იგრძნო და დიდად კმაყოფილი დაბრუნდა სოფელში.

ახლა მექის საქციელი შევადაროთ თალიკოს პასუხს. თალიკომ არ იკადრა ადამიანური ღირსება გაეცვალა შემოთავაზებულ შეღავათში. არ დაიმცირა თავი, არ გაემიჯნა ოჯახს და ამ გზით არ აიცდინა მოსალოდნელი სასჯელი. მას რომ სასჯელი ელოდა, ეს „კოლხეთის ცისკარშიც“ კარგად სჩანს და იმდროინდელი ყოფის ამსახველ სხვა მხატვრულ თუ დოკუმენტურ თხზულებებშიც. გაგახსენებთ ორიოდეს.

მარშალი ვასილევსკი მემუარებში გვიამბობს: ერთხელ სტალინმა მკითხაო, მამათქვენს ოთხი შვილი ჰყავს. ოთხივე კარგი მდგომარეობის მქონე. რატომ არ ეხმარებით მოხუც მამას, რატომ გაქვთ მასთან კავშირი გაწყვეტილი? ამის პასუხად ვასილევსკის უთქვამს: „..1926 წლიდან ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ მშობლებთან. ასე რომ არ მოვქცეულიყავით, მაშინ, როგორც ჩანს, არა მარტო ჩვენი პარტიის რიგებში ვერ მოვხვდებოდით, არამედ მუშურ-გლეხური არმიის რიგებშიც კი საეჭვოა რომ მემსახურა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1979 წ. 21 დეკემბერი). ვასილევსკის მამა მღვდელი იყო. ხუცესის შვილს სამუშაო რომ ეშოვნა, აუცილებელი იყო სასულიერო წოდების მშობელზე უარი ეთქვა. მარშალი თურმე ანკეტაში ყოველთვის აღნიშნავდა — მამასთან კავშირი აღარ მაქვსო.

დანიელ გრანინის მოთხრობის — „უკანსამგზავრო ბილეთი“ („ნოვი მირ“, 1976 წ., № 8) — პერსონაჟი პეტრე სერგეის ძე უნდა გადაესახლებინათ, რაკი მამა ჰყავდა კულაკი. მამამ ურჩია შვილს — წადი, მთავრობასთან დამასმინე. უარი თქვი ჩემზე, როგორც კულაკზე. ეს მოეწონებათ, შეგიყვარებენ და ცხოვრებაში გზა გაგეხსნებაო. შვილიც ამ რჩევის შესაბამისად მოიქცა და გამცემლობით იხსნა თავი.

ამ ფონზე თალიკო საგანელიძის ზნეობა უმწიკვლოა, იგი ხიბლავს მკითხველს. ალტაცებისაგან პროზაიკოსიც ვერ შეიკავებს თავს და წერს — „რა გულმოკლული ლაპარაკობდა თალიკო. დღემდე მექი ვაშაკიძეს სულ მისი უდარდელი კისკისი ესმოდა, სულ მისი სიმღერა და გიტარის წკრიალი, — და ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, თუ ამ დიდგულა გოგოს ამდენი ნაღველი ჩაექცეოდა ხმაში ოდესმე... წავიდა

თალიკო. წავიდა და სამუდამოდ თან გაიყოლა მზით დამწვარი ბალახის სუნი“.

ზნეობრივად რით დაუპირისპირდა მექი თალიკოს? ვერაფრით. მოპოვებული სოციალური მდგომარეობის შესანარჩუნებლად მან სიყვარულიც გაიმეტა და საკუთარი ადამიანური ღირსებაც. მექიში შურისგებამ დათრგუნა ადამიანის პატიოსნება. ამით წააგო მან თალიკოსთან ზნეობრივი ბრძოლა.

აქ მახსენდება ერთი რუსული ფილმი „მიჩმანი პანინი“.

პანინი რევოლუციონერებთან არის დაკავშირებული და მონაწილეობს სიკვდილმისჯილი 18 მეამბოხის გადარჩენაში. იგი მოახერხებს ინსურგენტები ჩუმად სამხედრო გემზე აიყვანოს და უცხოეთში გააპაროს. მათი დამალვის დროს პანინი ჰკლავს გემის ბოცმანს. გემი მეგობრული ვიზიტით საფრანგეთში, ჰავრში ჩავა. აჯანყების მონაწილეებს პანინა გააპარებს.

გემის კაპიტანი ყველაფერს შეიტყობს. მან უნდა დააპატიმროს პანინი, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ მიჩმანი კატორღას ვერ გადაურჩება. კაპიტანი პანინს გაქცევის და მიმალვის საშუალებას აძლევს. ამ საქციელით გაოცებულ პანინს კაპიტანი ეუბნება — „მე მეზღვაური ვარ და არა ჟანდარმი“.

ამგვარ სიტყვებს მექი ვაშაკიძე ვერასოდეს იტყვის. მისმა საქციელმა ამის უფლება წაართვა და ულირსებო კაცად გახადა.

მექი ვაშაკიძის საქციელიდან კერძო დასკვნაც გამოდის და საერთოც.

კერძოა: მექი ვაშაკიძე სოციალურად გათავისუფლდა, მაგრამ ზნეობრივად დაქვეითდა.

საერთოა: სოციალური თავისუფლება არაფერს ნიშნავს, თუ იგი ადამიანს ზნეობრივად არ აამაღლებს, არ გაასპეტაკებს.

თუ ადამიანს შინაგანი ღმერთი, ანუ სინდის-ნამუსი, არ აკონტროლებს, მას არც კლასობრივი მტრის ძარცვა ეძნელება და არც კლასობრივი მოყვასის გაყვლეფა ეთაკილება.

ახე რომ ხდება, ამის დასტურად ისევ კ. ლორთქიფანიძის დოკუმენტურ პროზას მოვუხმობ, კერძოდ, „მთას დაუბრუნდა მთიელი“.

სოფელი ჰერემი აჰყარეს და ბარში ჩამოასახლეს. დაცარიელებულ, უხალხო, უპატრონო სოფელში ერთადერთი ოჯახია დარჩენილი ნიკა ჯაჭვაძისა. „ერთხელ შუაღამისას ჯავრისაგან გულგამოხრულმა ნიკამ ყური მიუგდო ნადირის ყმუილს. მერე უეცრად თვითონაც აყმუვლდა, ბანი მისცა ტყიურს.

— რა დაგემართა, ნიკავ, გაგიჟდი, კაცო! — გამოსძახა ოთახიდან ქალმა.

— მგლებში ვცხოვრობ, ანეტა, და მგელივით უნდა ვიყმუვლო! — მიუგო ნიკამ.“

ადამიანს იმდენად უჭირს, რომ მგლადქცევას ნატრობს. მგლადქცევის ნატვრა სრულიად ახალი მოტივია ქართულ მწერლობაში.

ეს კიდევ არაფერი. როცა სოფელმა ჰერემმა უარი თქვა გადასახლებაზე, მაშინ „გაჯიქება ეგრე არ უნდაო, გაჯავრდნენ ხელისუფალნი და ჰერემს ჯერ ელექტროსადგური მოუშალეს, სოფელი ბნელში დატოვეს. მერე წისქვილებს წყალი გადაუგდეს და, როცა ძალმომრეობამ სოფელი მაინც ვერ გატეხა, მაშინ უებრო წამალი მოიგონეს: სახლის სახურავებზე მილიციელები ავიდნენ და კრამიტი გადმოყარეს, არცახლა წახვალთო? წავიდნენ“.

თუ არ ვცდები, გლეხის აწიოკების ყველაზე შემზარავი სურათი ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილშია“ აღწერილი. მაგრამ იქ უბედურება მხოლოდ ერთ ოჯახს ატყდება თავს და არა მთელ სოფელს. ჰერემში კი მთელი სოფელი გახდა ძალადობის მსხვერპლი.

ვინც ამ უსამართლობას სჩადიოდა, უცხონი არ ყოფილან არც კლასობრივად და არც ეროვნულად. ისინი თანამოძმენი იყვნენ კლასობრივადაც და ეროვნულადაც. ისინი იყვნენ, რომელთაც ჯერ კლასობრივი მტრის ძარცვაში გაიწაფეს ხელი და მერე კლასობრივი მოყვასიც აღარ დაინდეს.

ძარცვა ნარკოტიკს ჰგავს. როგორც ნარკოტიკი ჩაგითრევს, შეგბოჭავს, შეგკრავს და მხოლოდ იმას გაკეთებინებს, რაც ნარკომანის ბუნება-მდგომარეობას შეეფერება, ასევეა ძარცვაც. ისიც ითრევს ადამიანს ჭაობში, რომლისგან ხსნა აღარ ხერხდება. როგორც ნარკომანია აკარგვინებს ადამიანს ღირსებას, ასევე უშვრება ძარცვაც. ისიც ღირსებას ართმევს ადამიანს. მით უმეტეს, გაუგონარი უბედურება ტრიალებს, თუ ძარცვით კაცმა კეთილდღეობაც მოიპოვა. უკვე ულირსებო კაცი საკუთარი სინდის-ნამუსის კარნახით აღარ მოქმედებს. იგი სოციალური მდგომარეობის ან თანამდებობის განკარგულების ბრმა შემსრულებელია. მას პატიოსნების დაკარგვაზე მეტად სკამის დაკარგვა აშინებს და ამიტომ მზად არის ყველაფერი იკადროს.

ორიოდე ლიტერატურული მაგალითით მინდა მკითხველს ვუჩვენო, რომ ზნეობრივ ადამიანში ღირსების გრძნობა სჯობნის ყველა სხვა გრძნობას.

ვიქტორ ჰიუგოს რომანში — „ოთხმოცდაცამეტი წელი“ — ასეთი ამბის მოწმე ვხდებით:

რესპუბლიკისა და მეფის მომხრეთა ჯარებს შორის გააფთრებული ბრძოლაა. მეფის ერთგული მარკიზი დე ლანტენაკი დამარცხდა. რესპუბლიკის ჯარმა ალყა შემოარტყა მარკიზის ციხე-სიმაგრეს. მაგრამ რესპუბლიკელებმა დე ლანტენაკი მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში. იგი ერთგულმა ადამიანებმა საიდუმლო ხვრელით გაპარეს ციხე-სიმაგრიდან. ციხე-დარბაზში დარჩა მხოლოდ იმანუსი. იგი უკანასკნელ წინააღ-

მდეგობას გაუწევდა მტერს, რომ ამით მარკიზს დრო მოეგო და უვნებელი გასულიყო სამშვიდობოს.

იმანუსი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა რესპუბლიკელებს, სანამ იგი მტერმა სასიკვდილოდ არ გაფატრა. სიკვდილის წინ მან მოასწრო ჩირაღდნით ცეცხლი წაეკიდებინა ზონარისათვის. ცეცხლი ზონარს გაჰყვა და მალე მთელ ციხე-დარბაზს მოედო.

მარკიზი დე ლანტენაკი უკვე გავიდა გვირაბიდან. იგი ტყეში იდგა და მას აღარაფერი ემუქრებოდა. რესპუბლიკელები ველარ დაეწეოდნენ. ამ დროს მარკიზს ქალის შემზარავი კივილი მოესმა. ჰკიოდა მიშელ ფლეშარი, მარკიზის მოახლე. მიშელ ფლეშარმა, რომელიც ციხე-დარბაზში ბრუნდებოდა, დაინახა ცეცხლმოკიდებული სასახლე. ციხე-დარბაზის ფანჯრები ღია იყო და გორაკზე მდგარმა დედამ თვალნათლივ გაარჩია: სასახლის ბიბლიოთეკის ოთახში უდრტვინველად ეძინა მის სამ შვილს. თავზარდაცემული ქალი მშველელს მოუხმობდა, მაგრამ არავის ძალუძდა დახმარება. რესპუბლიკელი ჯარისკაცები გაოგნებულნი იდგნენ. ციხე-დარბაზის რკინის კარები მტკიცედ იყო დაგმანული. ვერარა ძალა მას ვერ შეანგრევდა. ცეცხლი თანდათანობით ძლიერდებოდა. ბავშვებს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრებოდა. ირგვლივ კი მხოლოდ უძლურების გმინვა ისმოდა. მთელი არმია გულხელდაკრეფილი მისჩერებოდა ბავშვების საზარელ სიკვდილს.

ქალის კივილზე შემობრუნებულმა მარკიზმაც დაინახა, რაც ხდებოდა. იგი ცოტა ხანს თავჩაქინდრული იდგა. მერე მოტრიალდა და საიდუმლო გვირაბში შებრუნდა, მარკიზმა დე ლანტენაკმა მშვიდად გაიარა ენაჩავარდნილი რესპუბლიკელი ჯარისკაცების წინ, რკინის კარები გაალო და აბობოქრებულ ცეცხლში შეაბიჯა. რამდენიმე წუთის შემდეგ მარკიზი ბიბლიოთეკის ფანჯარაში გამოჩნდა. ცეცხლის ენები უკვე ბიბლიოთეკის კედლებს ლოკავდნენ. დე ლანტენაკმა სარკმლიდან თოკის კიბე დაუშვა. ჯარისკაცები კიბეზე აცვივდნენ. მარკიზი სათითაოდ აძლევდა მათ მიშელ ფლეშარის შვილებს. როცა გადარჩენილი პაწიები გულწასულ დედას შემოეხვივნენ, მარკიზი ერთხანს კიდევ იდგა ზევით ჩაფიქრებული. მერე ისიც დაეშვა კიბით ძირს.

მარკიზი დე ლანტენაკი რესპუბლიკელებმა დააპატიმრეს.

არისტოკრატი, როიალისტი უკან მობრუნდა და თავი გასწირა გლეხის ქალის შვილების გადასარჩენად. ეს იმიტომ, რომ მარკიზის კაცური ღირსება გაცილებით მაღლა დგას და ძლიერია ყოველგვარ კლასობრივ განსხვავებაზე. აქ კაცური ღირსება ამარცხებს კლასობრივ განსხვავებას, წინააღმდეგობას, შუღლს.

მეტად საგულისხმოა, რომ რომანის იმ თავს, სადაც ეს ამბავია აღწერილი, ეწოდება In daemone Deus (დემონში ღმერთია). კაცში საერთოადამიანური ღირსების გაღვიძება და გამოვლენა ნიშნავს ღვთაებრივი სულის აღორძინებას. ყოველგვარი მტრობა-შუღლი კი ეშმაურია ადამიანში. ამიტომ უნდა დაიძლიოს იგი საერთოადამიანური სიყვარულით, ღირსებით.

ალექსეი ტოლსტოის რომანში — «Хождение по мукам» — ორი კაცი შეხვდება ერთმანეთს — ვადიმ როშჩინი და ივანე ტელეგინი. მართალია, ისინი ქვისლები არიან, მაგრამ იმ დროს, როცა როსტოვის ვაგზალში მოულოდნელად შეიყარნენ, მტრები იყვნენ: როშჩინი თეთრი გვარდიის რიგებში იბრძოდა რევოლუციის წინააღმდეგ, ტელეგინი კი წითელ არმიაში მსახურობდა.

როსტოვი თეთრგვარდიელებს ეკავათ. ტელეგინსაც თეთრგვარდიელი პოდპოლკოვნიკის ფორმა ეცვა. ცხადი იყო, იგი ქალაქში შემოეგზავნათ, როგორც მზვერავი. ასე რომ ვაგზალში, როშჩინის გვერდით, სკამლოგინზე იჯდა მტერი, თუ როშჩინი შეასრულებდა თეთრგვარდიელი ოფიცრის მოვალეობას, მაშინვე უნდა ემხილებინა ტელეგინი, გაეცა იგი და დაეპატიმრებინა. მართლაც, პირველი, რაც როშჩინს თავში მოუვიდა, იყო აზრი ტელეგინის დაჭერისა, მაგრამ მაშინვე გაუჩნდა საპირისპირო ფიქრიც. ტელეგინი მისი მოყვარეა, ქვისლია. თუ გაამხელს ტელეგინს, მას დახვრეტა არ ასცდება. მაშასადამე, უნდა ჩაიდინოს ღალატი მოყვასის მიმართ, ადამიანის მიმართ. ადამიანურმა ღირსებამ გაიმარჯვა და როშჩინმა არ დაასმინა ტელეგინი. ივანე ტელეგინი მშვიდობიანად გავიდა ვაგზლის შენობიდან და მიიმალა.

ცხადია, ჯაშუშობა გაანადგურებდა ვადიმ როშჩინის ადამიანურ ღირსებას. ეს ღირსება კი მას სიცოცხლეს ერჩია.

არ შეიძლება მარკიზ დე ლანტენაკის ან ვადიმ როშჩინის საქციელმა აღტაცება არ მოჰგვაროს მკითხველს. ისინი ადამიანის დიად ბუნებას ავლენენ და, ცხადია, ეს საზოგადოების ემოციურ სამყაროზე დიდ ზეგავლენას ახდენს. მაგრამ, პირადად მე, დღევანდელი ყოფის ამსახველ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ვერ ვნახე პერსონაჟი, ისე იქცეოდეს, როგორც ლანტენაკი ან როშჩინი მოიქცა. ვერ ვნახე პროტაგონისტი, რომელსაც შეუძლია საკუთარ სოციალურ მდგომარეობას, თანამდებობას ამჯობინოს საკუთარი ადამიანური ღირსება. ყველაფერი დათმოს და ღირსება შეინარჩუნოს. არ იკადროს ის, რაც მის ადამიანურ ღირსებას დაამცირებს.

ქართულ ფილმში „წუთისოფელი“ ასეთი ეპიზოდია: ბოლშევიკის დასაპატიმრებლად მენშევიკი გვარდიელები მოდიან. სახლი ალყაშემორტყმულია. რევოლუციონერი ვერსად გაიქცევა. იგი გამოუვალ მდგომარეობაშია. დაჭე-

რას ვერ გადარჩება. შვილი რომ იხსნას, ბოლშევიკის დედა ამას მოიფიქრებს: ტანთ გაიხდის და ოთახში შიშველი გაჩერდება. იმედოვნებს: გვარდიელთა შორის არ აღმოჩნდება კაცი, რომელიც თავს დაიმცირებს, საკუთარ მამაკაცურ ღირსებას შეურაცხჰყოფს და იმ ოთახში შევა, სადაც ასე გამომწვევად დგას ტიტველი ქალი. დედის ვარაუდი გამართლდა. არ იკადრეს გვარდიელებმა უკადრისი და უკან გაბრუნდნენ. რევოლუციონერი დაჭერას გადაურჩა.

ეს დახატულია, მაგრამ არსად აღწერილია, არსად უჩვენებიათ — მოქცეულა თუ არა ასე, ვთქვათ, საბჭოელი მილიციელი. რა ხდება? საქციელი მოგვწონს, აღტაცებული ვართ, მაგრამ ასე ღირსეულად ყოველთვის მოქმედებენ სხვები და არა საბჭოელი მოქალაქეები. რატომ? რატომ გაგვეპარა ღირსებიანი ადამიანი და მისი ადგილი დავუთმეთ უღირსებო კაცს? ეს არ მომხდარა არც შემთხვევით და არც მოულოდნელად. ოფიციალური კრიტიკა ებრძოდა ღირსებიან ადამიანს მხატვრულ მწერლობაში. თავი თუ არ შევაწყინეთ მაგალითებით, კიდევ ერთ ნიმუშს მოვიტან ამის დამადასტურებელს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აბსტრაქტულ, ზოგად ლაპარაკს ყოველთვის სჯობს კონკრეტული მაგალითებით მსჯელობა. ასე უფრო დამაჯერებელიც არის და ობიექტურიც.

ლევან მეტრეველის მოთხრობაში „ბოლშევიკი“ (ალმანახი „არიფიონი“, №1) ერთმანეთს უპირისპირდება სვიმონი და ჩაჩანო.

ისინი ბავშვობის მეგობრები არიან. რევოლუციურ საქმიანობაშიც ერთად ჩაებნენ. ერთად გადაუტანიათ ბევრი გასაჭირი. ერთად დაუღწევიათ თავი ბევრი საფრთხისათვის. ერთად უბრძოლიათ ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მერე მათი გზები გაიყარა. სვიმონი ბოლშევიკი გახდა, ჩაჩანო — მენშევიკი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მენშევიკები დამარცხდნენ. ჩაჩანო ჯერ გაიქცა საქართველოდან. მერე დაბრუნდა და ბოლშევიკების წინააღმდეგ არალეგარულად მუშაობა დაიწყო. ჩაჩანოს დასაჭერად ეძებენ.

ერთხელ, შემთხვევით, მენახშირედ გადაცმული ჩაჩანო იმ ეზოში აღმოჩნდა, სადაც სვიმონი ცხოვრობს. სვიმონი მასთან ნახშირის საყიდლად მივიდა. უცბათ მენახშირეში ძველი მეგობარი და ახლანდელი მტერი იცნო. ცხადია, ჩაჩანომაც იცნო სვიმონი. გაქცევა უკვე შეუძლებელია. ჩაჩანო იძულებულია სვიმონს შინ შეჰყვეს.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა სვიმონი. არ იცის, რა ჰქნას — დაიჭიროს თუ არა ჩაჩანო, რევოლუცია თუ მეგობარი? ასე იდგაო, წერს ლ. მეტრეველი, დილემა სვიმონის წინაშე. სვიმონს ახსენდება: „...ქუჩაში რომ დაატყვევეს იგი, ვინ იხსნა? ამ საბედისწერო ჟამს განა ჩაჩანო არ იყო, თვითვე განსაცდელში მყოფი ჩაჩანო — რომ გადმოეშვა მეხივით, ორივე პოლიციელი სასიკვდილოდ დასჭრა და იხსნა იგი უმძიმესი ხიფათისაგან? ან საზღვარგარეთ ვინ გააპარა? ვინ შეაგროვა გროშებით ფული? და თვით უცხოეთში სასოწარმკვეთ სიმშილის დროს განა ისევ ჩაჩანო არ ევლინებოდა გაჭირვების ტალკვესად?..“

„როცა ჩაჩანო მინისტრის მოადგილე იყო მენშევიკობისას, განა მასთან არ იმალებოდა სვიმონი?..“

ყოყმანობს ბოლშევიკი სვიმონი. ეს შეამჩნია ჩაჩანომ. გავიდა სვიმონის ბინიდან, ეზოში ჩავიდა და ის-ის იყო ქუჩაში უნდა გასულიყო, რომ ჩეკისტები გადაუდგნენ წინ და დააპატიმრეს. სვიმონს არ გაუცია ჩაჩანო. თურმე მას გამუდმებით ადევნებდნენ თვალს, მისი ასავალდასავალი იცოდნენ და მოუსწრეს კიდეც. მაგრამ ჩაჩანოს სჯერა, რომ სვიმონმა გაყიდა იგი. ჩაჩანო მოახერხებს და ციხიდან შეატყობინებს თავის პარტიულ ამხანაგებს, რაც მოხდა და მათ სვიმონის დასჯას სთხოვს.

არალეგალური მენშევიკები ჩუმად, ღამით სვიმონს გზაში დახვდებიან, დაიჭერენ და სარდაფში დამალავენ. მენშევიკები სვიმონს ემუქრებიან: თუ გინდა ცოცხალი დარჩე, „ჩამოთვალე ყველა ის მენშევიკები, ვინც თქვენთან თანამშრომლობენ ჩუმად. აგრეთვე ვისგან ვინ არის გაცემული და ან რა საქმე“. სვიმონი ამ მოთხოვნას არ შეასრულებს. მას მენშევიკები მოკლავენ. სიკვდილის წინ სვიმონი დასწერს: „ბოლშევიკებს გამცემლობა არ ეხერხებათ, სიკვდილისა კი არ ეშინიათ“.

როგორც ხედავთ, სვიმონს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. პირიქით, მამაცურად მოკვდა. ოღონდ ოდნავ შეყოყმანდა, როცა მეგობრის დაპატიმრების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა.

ლ. მეტრეველი ფიქრობდა, უდრეკი ბოლშევიკი დავხატეო, მაგრამ მოტყუვდა. ოფიციალურ კრიტიკას სვიმონი არ მოეწონა.

პუბლიცისტი გრიგოლ მუშიშვილი წერდა: „მკითხველისათვის აშკარაა ავტორის მთელი უსუსურობა. მეგობრობა თუ რევოლუცია? რასაკვირველია, რევოლუცია. განა შეიძლება აქ ყოყმანი და ორჭოფობა? ბოლშევიკისათვის ეს საკითხი არ სდგას, ბოლშევიკმა საკითხის ასე დაყენება არ იცის... მეტრეველი ამ თემას ანვითარებს, აგრძელებს, აჭიანურებს. კითხულობ სვიმონის სენტიმენტალურ, არაბოლშევიკურ მონოლოგებს და ბრაზი მოგდის, რა საჭიროა ამდენი „უა'.რო ხეტიალი?“ მეგობრობის გრძნობა არყევს ბოლშევიკურ სიმტკიცეს... ბოლშევიკი სვიმონი ჰკარგავს ბოლშევიკურ გამბედაობას. „სიყრმის მეგობარი“ მას უმზადებს აჯანყებას. სვიმონმა ყველაფერი იცის ეს, მაგრამ ბოლშევი,კი იკლაკნება ლვედივით, მას არ გააჩნია ბოლშევიკური ხერხემალი, არ აღმოაჩ-

ნდა აზრის სიმტკიცე. გაბედული მოქმედება. მეგობრობის მეშჩანური გრძნობა სამარცხვინოთ იმარჯვებს რევოლუციურ გრძნობაზე! ჩვენც ვამბობთ პირდაპირ: ს ვ ი მ ო ნ ი  ბ ო ლ შ ე ვ ი კ ი ს  ტ ი პ ი  ა რ  ა რ ი ს (ხაზი გრ. მუშიშვილს ეკუთვნის — ა. ბ.) სვიმონი თვითონ მეტრეველია და მას არაფერი აქვს საერთო ნამდვილ ბოლშევიკებთან" (ჟურ. „მნათობი", 1928 წ., № 3, გვ. 224-225).

მხატვრული ნაწარმოები, მართალია ილუზიური. მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამყაროა. როგორია ეს სამყარო, როგორი ადამიანები ცხოვრობენ მასში, ამას მკითხველი ავტორის (მწერლის) დახასიათების მიხედვით კი არ იგებს, არამედ იმის შესაბამისად — რა მოვლენები ხდება მასში, როგორია პერსონაჟის საქციელი, ფიქრი, დამოკიდებულება ცალკერძ თავისთავისადმი, ცალკერძ სხვათადმი. ეს ისევე ხდება როგორც რეალურ სინამდვილეში. ყოველ ჩვენთაგანს რეალურ სინამდვილეზე წარმოდგენა იმის მიხედვით კი არ ექმნება, — სიტყვით რას ჩაგვჩიჩინებენ, — არამედ იმის თანახმად—საქმით რა ხდება, მოცემულ რეალურ სინამდვილეში, როგორ ცხოვრობს მასში ადამიანი.

ადამიანი ბევრნაირ საქმიანობას უნდა ეწეოდეს. იგი გვალვასაც უნდა ებრძოდეს, კარგი მოსავალიც უნდა მოჰყავდეს, რკინიგზასაც უნდა აშენებდეს, ქარხანა-ფაბრიკებსაც უნდა აგებდეს და ბაღ-ვენახსაც უნდა უვლიდეს, მაგრამ ჯერ მკაფიოდ და ნათლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული თავისთვისაც და სხვისთვისაც, ვინ არის იგი, როგორი ადამიანია. ამ საქმეში მას ხელოვნება და მწერლობა უნდა ეხმარებოდეს.

თუ მწერლობა ადამიანის ზნეობრივ ღირებულებას მხოლოდ იმით შემოფარგლავს, რომ მავანმა და მავანმა კაცმა გვალვას აჯობა, დიდი ჭირნახული მიიღო, გიგანტური ქარხანა ააშენა ან ჭაობი ამოაშრო, მაშინ ლიტერატურა ადამიანის სულიერ გამშვენიერებას, ამაღლებას ხელს ვერ შეუწყობს. პირიქით, დააკნინებს მას. ბორის ჩხეიძის რომანის „ფეროხ" პერსონაჟი მელაშა ქარხანას აშენებს. დიდი აქტივისტიც არის. მაგრამ არც ეს რომანი და არც მისი პროტაგონისტი დღეს აღარავის ახსოვს. დღევანდელი ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე არავითარ გავლენას არ ახდენს. სტენდალის ჟულიენ სორელი არც საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობს, არც ქარხანას აშენებს, მაგრამ ყოველი ადამიანის სულიერ სამყაროზე მოქმედებს, რაკი ადამიანური ღირსების დაცვას გვასწავლის. ალბათ, მეტყვით აქ მნიშვნელობა სტენდალის და ბორის ჩხეიძის მწერლური ნიჭიერების სხვაობას აქვსო. ნაწილობრივ, მაგრამ, ჩემი აზრით, გადამწყვეტი ეს არ არის. გადამწყვეტია მწერლის ადამიანისადმი დამოკიდებულების პრინციპი ბ. ჩხეიძეს არ აინტერესებს მელაშა-ადამიანი. იგი ცდილობს დახატოს მელაშა-მშენებელი. ამგვარი მწერლობისათვის უმთავრესია ქარხანა აშენდეს. ამიტომ მელაშას ზნეობრივი ფუნქცია შემოიზღუდა. მკითხველს ხელთ ის საქმე შერჩა, რომელსაც ზემოქმედების ძალა არა აქვს. სტენდალისათვის კი მთავარია ადამიანი, მისი ტკივილითა და სიხარულით. ეს ტკივილი და სიხარული მკითხველზეც მოქმედებს და ღირსებიანი ადამიანის ემოციურ სამყაროში შევყავართ. ეს ემოციური სამყარო მკითხველის სულს ამდიდრებს, აფიქრებს, აკეთილშობილებს, ასწავლის სიყვარულსა და თანაგრძნობას. შეიძლება ვერც შევამჩნიოთ, მაგრამ „წითელისა და შავის" წაკითხვის შემდეგ, ცოტად თუ ბევრად, ჩვენს სულში რაღაც იცვლება, სხვანაირი ვხდებით. ამ თითქოსდა შეუმჩნეველი კვალის დატოვებაა მწერლობის ერთ-ერთი ფუნქცია. ამ კვალს მხოლოდ ღირსებიანი ადამიანი ტოვებს.

ღირსება, როგორც უანგარობა, კეთილშობილება, პატიოსნება, ვაჟკაცობა და სხვა თვისებანი, მეტად იშვიათი ნიჭია. ღირსებიანი ადამიანები არასოდეს ყოფილან დაყრილი ფეტვის მარცვლებივით. არც ოდესმე იქნებიან. ყოველთვის ცოტანი იყვნენ და ასევე დარჩებიან. არანაირ ნიჭს არ არიგებს უზენაესი უხვად. ამიტომ მას მოვლა, პატრონობა, მოფრთხილება უნდა, სათუთად გადატანა სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში.

ყოველგვარი სახის მოძღვრება, იქნება იგი რელიგიური, ფილოსოფიური, სოციალ-პოლიტიკური თუ რომელიმე სხვა გვარეობისა, ადამიანის ცხოვრებას სამყაროს რომელიმე აკვიატებული დოქტრინის, დოგმატის თვალსაზრისით უყურებს. მხოლოდ ეს ამოჩემებული აზრი მიაჩნია ჭეშმარიტებად და ყველაფერს საწინააღმდეგოს უარყოფს, მიიჩნევს სიცრუედ და სიყალბედ. ივიწყებს ჭერმან ჰესეს შეგონებას — „ყოველი ქეშმარიტების საწინააღმდეგო მოსაზრებაც ჭეშმარიტია" („ზიდჰართა").

ადამიანური საქმიანობის ერთადერთი დარგი მწერლობაა, რომელიც ცდილობს კაცი, ცხოვრება, სამყარო წარმოადგინოს, დახატოს ისე მრავალფეროვნად და მრავალმხრივად, როგორც სინამდვილეშია.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მწერლობა არ ცდება და ყოველთვის უტყუარად ასრულებს თავის მისიას, სამწუხაროდ, ხშირად ცდება. მაგრამ საქმე მაინც ის არის, რომ ან უნდა დაუშვას უმთავრესი შეცდომა: ღირსებანი ადამიანის ადგილი არ დაუთმოს ულირსებო კაცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრე კარბელაშვილი

# „ივერიის“ კორესპონდენტი ლონდონში

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე ქართველი საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენდა არა მარტო საშინაო, არამედ სხვა სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკურ-კულტურული და პოლიტიკური მოვლენებისადმი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართველი მოღვაწენი უცხოელებთან ინტენსიური კონტაქტების დამყარებას ცდილობდნენ.

გაზეთი „ივერია“, რომელსაც ი. ჭავჭავაძე რედაქტორობდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცხოეთის ამბების პუბლიკაციას.

ილიასეულ „ივერიას“ საკუთარი კორესპონდენტი ჰყავდა ლონდონში. ეს იყო ვ. მარველი.

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ, ვინ იყო ვ. მარველი, გვინდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში „ივერიაში“ (როგორც გაზეთი 1901 წლის № 199-ში იუწყებოდა) აქტიურად თანამშრომლობდნენ: „დავით ერისთავი, შემომღებელი განყოფილებისა „უცხოთა შორის“, დონ ენის ფსევდონიმით, რაფ. ერისთავი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), რომელიც სწერდა მდაბიოთათვის ადვილად გასაგებს და სახალისო სამეცნიერო წერილებს, გ. მათიაშვილი (ფსევდონიმი), ალ. ნანეიშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი) სტ. ჭრელაშვილი, ა. კავკასიძე (ფსევდონიმი), ძმანი რაზიკაშვილნი — ვაჟაფშაველასა და ბაჩანას ფსევდონიმებით, აკ. წერეთელი, შ. არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ეგ. ნინოშვილი (ფსევდონიმი), არბოელი (ფსევდონიმი), მარველი (ლონდონელი კორესპონდენტი) ,სოფრომ მგალობლიშვილი და სხვ.“

მაგრამ „ივერიამ“ არ აღნიშნა, „მარველი“ ფსევდონიმი იყო თუ გვარი!

„ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ, რომ ლონდონის გაზეთები ფართოდ იუწყებოდნენ ცირკის ახალ წარმოდგენაზე, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მსახიობები მონაწილეობდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ გაზეთები ცხენოსნების გამოსვლას არენაზე. ამიტომ ყოველ საღამოს მრავალი მაყურებელი აწყდებოდა ცირკის სალაროებსო.

ერთ წარმოდგენას „ივერიის“ ლონდონელი კორესპონდენტი დაესწრო. ბევრი რამ მოეწონა, მაგრამ, როცა არენაზე ცხენოსნები გამოჩნდნენ, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდაო.

— ხედავთ, — გადაულაპარაკა გვერდით მჯდომ ინგლისელს, — ეს ქართველები არიანო.

— ქართველები? საიდან, რომელი მხრიდან?

— კავკასიიდან...

შემდგომ ლონდონელი კორესპონდენტი „ივერიაში“ წერდა:

„აი, ამერიკამ სცენა დასცალა. ეხლა გამოდიან ჩვენი გურული ცხენოსნები სხვადა-სხვა ფერის ჩერქეზულის ტანისამოსით; ყველანი იარაღში სხედან. ჯერ ტარებით ნელ-ნელა, მწყობრის სიმღერით გარს შემოუარეს უშველებელ სცენას. სცენის შუა გულში გაჩერდნენ. ცხენებიდან ჩამოჰხდნენ, ირგვლივ დადგნენ, სიმღერა შემოსძახეს, ტაში დაუკრეს და ლეკური დაუარეს. საზოგადოება აღტაცებაში მოდის და მრავალი ათასი კაცი ტაშს უკრავს მოწონების ნიშნად. მერე იწყება ჯირითი და ცხენების თამაშობა... ჩვენებურ ახალგაზრდობის ჯირითი და თამაშობა, ისეთი, როგორსაც ეხლაც ჰხნავთ ხატობასა და ღრეობებში ძველებურ ეკლესიებთან ტყიან მთებში. გურულების ჯირითი და თამაში ძლიერ აკვირვებს ინგლისელებს.

— საკვირველი ცხენოსნები არიან! — მითხრა ერთმა ინგლისელმა — ავსტრალიისა და ამერიკის მინდვრებში ვყოფილვარ, ასობითა და ათასობით ვიცნობდი ცხენოსნებს, მაგრამ მაგათი მსგავსი კი არაფერი არ მინახავს. ეს კაცები, ასე გგონია, ცხენზე ამოსულები არიანო. ვერ გაგვირჩევია: სად თავდება კაცი და სად იწყე-

ბა ცხენი. ალბათ, იმათ ქვეყანაში კარგი ცხენოსნობის სკოლაა გამართული.

— რასა ბრძანებთ! ვუპასუხე, რის ცხენოსნობის სკოლა! ჩვენებური სოფლის ახალგაზრდობაა; ჩვენებური სახალხო დღეობებში ყოჩაღი და მარჯვე ახალგაზრდა კაცები ყოველთვის ასე აჯირითებენ ცხენებს თავიანთ სატრფო ქალებისა და ტოლების წინ.

— საკვირველია! სკვირობდა კიდევ ჩემი მოსაუბრე. აი, მექსიკელებმაც, ეხლა რომ ვნახეთ, კარგი ცხენზე ჯდომა იციან, მაგრამ ამ მოიელების შნო, სიმკვირცხლე და ყოჩაღობა არა აქვთ. მართალს ამბობთ: ცხენოსნობის სკოლაში კაცი ვერ შეისწავლის ასეთ კარგ მხედრობას. აქ საუკუნეების ეროვნულის ცხოვრების ტრადიცია სჩანს. საკვირველი კია და...“.

წარმოდგენა რომ დამთავრდა, ლონდონელი კორესპონდენტი მხედრების გასახდელში შევიდა.

ერთი მხედარი წამოდგა.. კორესპონდენტთან მივიდა. ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს, გენაცვალე! — და ხელი მაგრად ჩამოართვა.

შემოეხვივნენ გურულები გარს ლონდონელ კორესპონდენტს.

— ბრწყინვალედ გამოხვედით, ბიჭებო, მთელი ლონდონი თქვენს ხელშია. საქართველო ასახელეთ!

— ახლა თქვენი თავი გაგვაცანით.

— მე მრავალი წელია, რაც გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი ვარ ლონდონში.

— ბატონ ილია ჭავჭავაძეს გამოუგზავნიხართ, არა?

კორესპონდენტს გაეცინა.

— ასე გამოდის.

— გვარს არ გვაჩუქებთ?

— „ივერიაში“ ჩემს წერილებს მარველის გვარით კითხულობენ. ვარლამი შეგიძლიათ დამიძახოთ.

შემდგომ მარველი თავის წერილში განაგრძობდა:

„... კარგა ვისაუბრეთ. ამას გარდა კიდევ ვნახე რამდენჯერმე: ქართული გაზეთების ახალი ნომრები და „მოამბე“ მივუტანე, ზოგიც ფოსტით გავუგზავნე. ისეთის დიდის ინტერესით სტაცეს ხელი ამ გაზეთებსა და „მოამბეს“, რომ სწორედ გაშტერებული დავრჩი. მაგრამ ამაზე ძლიერ უფრო მაშინ გავშტერდი, როცა ერთმა გურულმა მთხოვა: ლონდონის უნივერსიტეტის პროგრამა მიშოვე, ჩემ ძმისათვის მინდაო; აქედან ფულს ვუგზავნი და საშუალო სასწავლებელში ვზრდიო; გავოცდი მაშინაც, როცა მეორე გურულმა მიამბო: ჩემი ძმა სამკურნალო ფაკულტეტს ათავებს და ფულს აქედან ვუგზავნიო. შევყურებდი ამ გურულებს და თან სიხარულისგან ძლივსღა ვიდექ ფეხზე. ამ კაცებმა რუსული ლაპარაკი არც კი იციან (ბ. ქაჯაიას გარდა. ქაჯაია ამათი მეთაურია და რუსულიც კარგად იცის), მეცნიერებისა არაფერი არ გაუგონიათ და თავიანთ ნაშიერს ფულით ძმებს მზრდიან უმაღლეს სასწავლებლებში! — ასე ვფიქრობდი და ძლიერ ვკვირობდი. თუ ეს იშვიათი საარაკო შემთხვევა არაა, თუ გურიაში და მთელ საქართველოში საშუალო სოფლელი კაცი ასე აფასებს მეცნიერებასა და განათლებას — ეს ძლიერ კარგი ნიშანია, ეს მომავალი განვითარების თავდებია და თანაც იმის მაჩვენებელია, რომ ძველთაგანვე განათლებულ და კულტურულ ხალხს ღირსეული და საკადრისი შთამომავლები ჰყოლია. მერე საუბრიდან შევიტყე, რომ ამ გურულებს მთელი შეერთებული შტატები თავიდან ბოლომდე სულ მოუვლიათ და შტატების ყველა დიდი ქალაქი უნახავთ... შტატებზე აღტაცებით ლაპარაკობენ, თუმცა დიდ ქალაქებში წვრილმან საქმის კაცთა გაიძვერობა და თავხედობაც შეუნიშნავთ“.

ლონდონელი კორესპონდენტი თბილისში გამოგზავნილ წერილის დასასრულს შენიშნავდა. — გურულებს ძალზე დამეგობრებიან ბურებიო. „სადილსა სულ ამათთან სჭამენ, თუმცა ეს ბურები გურულებთან ერთის სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებენო“, — დასძენდა იგი.

„ივერიის“ ლონდონელი კორესპონდენტის ვრცელი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთში „ვ. მარველის“ ფსევდონიმით. ვ. მარველი ვარლამ ჩერქეზიშვილი გახლდათ.

როგორ მოხვდა იგი ლონდონში?

1870 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 4) დაბეჭდილ ერთ-ერთ ინფორმაციაში ვკითხულობთ: „ამბობენ, რომ პეტერბურგში გამოვიდა დაბეჭდილი პროკლამაცია, რომელზედაც გამოხატულია ცული, ამ ცულ ქვეშ პროკლამაციაში მოყვანილი არიან იმ პირების სახელები, რომლებიც პარტიას რუსეთისათვის მავნებლად დაუნახავთ და რომელნიც დანიშნულნი არიან მოსაკლავად. ამ ნაირი პროკლამაციები, ერთი სამზღვარს გარედან საეჭვო წიგნის შემწეობით, ერთად შეკრული უნახავთ უფ. ჩერქესოვის კამერაში; შემდეგ, ამბობენ, უნახავთ მეორე წიგნი, რომელშიაც ჩერქესოვს აცნობებენ, რომ ტიუკი იმას შეცდომით მოუვიდა სამზღვარს გარედან და სთხოვენ დრომდე ნუ გახსნით იმასაო. ამ მეორე წიგნის გამო, ამბობენ, ჩერქესოვი გაათავისუფლეს ტუსაღობისაგან“.

ერთი წლის შემდეგ „დროება“ (№ 84) იუწყებოდა, რომ პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განჩინებაში საიდუმლო საზოგადოების II კატეგორიის დამნაშავეთა შორის მოხსენებული იყო ვ. ჩერქეზიშვილი.

1871 წელს ახალგაზრდა "ჩერქესოვს" რევოლუციური მოღვაწეობისთვის მიუსაჯეს ყოველგვარ უფლებათა ჩამორთმევა და ხანგრძლივი ვადით ციმბირში გადასახლება. ჯერ ქ. ტიუმენში, ხოლო 1878 წლიდან ქ. ტომსკში იყო, სადაც დაახლოებით 2 წელიწადს იხდიდა სასჯელს. 1876 წელს ვარლამ ჩერქეზიშვილმა მოა-

ხერხა ციმბირიდან ევროპაში გაქცევა, და ლონდონში ქართველი კაცი ილიასეული „ივერიის" კორესპონდენტი გახდა.

როგორც ცნობილია, გაზეთ „ივერია" განსაკუთრებით პატივისცემით მოიხსენიებდა იმ უცხოელ მოღვაწეებს, რომლებიც დიდ ამაგს სდებდნენ ქართული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების სხვა ქვეყნებში გატანის საქმეს.

1894 წლის 27 აგვისტოს „ივერია" წერდა: „ამას წინათ იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, ქ. ბ. ვარდროპმა ალნიაშვილის მიერ შეკრებილი ზღაპრები ინგლისურად სთარგმნა და უკვე დაიბეჭდაო. ეს წიგნი ისე მოსწონებიათ ინგლისის რჩეულ საზოგადოებას, რომ უკვე მეორე გამოცემას აპირებენ და პირველი გამოცემისა ისე ცოტა დარჩენილა, რომ წიგნის ფასი ოთხი შილინგის მაგივრად ხუთად გაუხდიათ. წათამამებული მთარგმნელი ახლა თურმე ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეს" ბეჭდავს და მომავალს თებერვლისათვის მზად ექნება გასაყიდად; სთარგმნის აგრეთვე „ვეფხისტყაოსანს". ქ. ბ. ვარდროპს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს ქართულის წიგნებისა, ყოველი ახალი წიგნი, ჟურნალი და გაზეთი მოსდის, რომ თვალყური ადევნოს ჩვენს მწერლობას".

და აი, ლონდონში მყოფმა ვ. ჩერქეზიშვილმა გადაწყვიტა ამ საინტერესო პიროვნების გაცნობა. მართლაც, როგორ არ უნდა ენახა ინგლისელი, რომელიც ასე იყო დაინტერესებული ქართული ლიტერატურით.

ლონდონის გარეუბანში, ჩიზლეხორსტში ცხოვრობდა „ვარდროპების" ოჯახი.

სახლში ჩერქეზიშვილს დედა დახვდა. როცა მას მისვლის მიზეზი აუხსნა, მაშინვე სახლში შეიპატიჟა. ქალიშვილი მალე მოვა და დაელოდეთო.

დედამ სტუმარს საქართველოზე ჩამოუგდო ლაპარაკი. ბევრი რამ სცოდნოდა მის შესახებ და ჩერქეზიშვილი მიხვდა, შვილების საქართველოს სიყვარული გადასდებოდა მშობელს. მალე „მისს ვარდროპიც" მოვიდა და სულ უფრო გაცხოველდა საუბარი.

— ალბათ იცით, გაზეთმა „ივერიამ" თავის მკითხველებს უკვე აცნობა თქვენს მიერ ინგლისურად ნათარგმნი ქართული ზღაპრების პირველი კრებულის გამოშვება.

— დიახ,, მე გამოწერილი მაქვს „ივერია" და ამოვიკითხე ეს ამბავი, — გაიღიმა ვარდროპმა, მერე ფეხზე წამოდგა და ვარლამს კრებული მოუტანა მეორე ოთახიდან.

— მე მინდა სახსოვრად გიბოძოთ ეს კრებული.

წარწერა გაუკეთა და სტუმარს გაუწოდა.

— კრებულში შევიტანე ალნიაშვილისა და ცაგარელის არაკები. როგორც კრებულის წინასიტყვაობაში აღვნიშნე, შეიძლება არც გამებედა ეს საქმე, ნათარგმნი რომ არ მოსწონებოდა პროფესორ ტეილორს.

— ეს ცნობილი მეცნიერია, თუ არ ვცდები? — ჰკითხა ვარლამმა

— დიახ, ინგლისში დიდი პატივისცემით სარგებლობს. სწორედ მან მომცა წინადადება ნაბეჭდის სახით გამომეცა ქართული არაკები. ახლა მინდა გიჩვენოთ, რას წერს ოქსფორდის უნივერსიტეტის სლავური ენის სპეციალისტი და ფოლკლორისტი მორფილდი.

ქალიშვილი ისევ მეორე ოთახში გავიდა და ჟურნალი შემოიტანა.

— აბა, წაიკითხეთ.

„დაიწყო გრამმის ბიბლიოთეკის სერიის ბეჭდვა და პირველ წიგნად გამოვიდა ქართული ეროვნული ზღაპრების კრებული. მშვენიერია და გულწრფელად ვუსურვებთ კრებულს ალიარებას. ეს ზღაპრები წავიკითხეთ, მათში ჩვენს მეგობრებს ვხედავთ ქართულ, მეგრულ და გურულ ტანსაცმლებში". — ამოიკითხა ხმამაღლა ვარლამმა და ყურადღებით ჩაიკითხა წერილი.

სტატიაში ძირითადი ადგილი ჰქონდა დათმობილი პროფესორ მორფილდის აზრს ახალ კრებულზე. „ივერიაში" შემდეგ ასე გადმოგვცა ჩერქეზიშვილმა პროფესორ მორფილდის შეხედულება: „მრავალმა მოგზაურმა აგვიწერა კავკასიისა და იმის მკვიდრთა მშვენიერება, მაგრამ ეხლაც კი იმ ეროვნებათა სხვა-და-სხვა ენისა ჩვენში არა იციან-რა, ბროსსეს, ცაგარელისა და უსლარის შრომათა მიუხედავად. ამ ენათა შორის მხოლოდ ქართულს ენას, და იმის შტოებს მეგრულს, ლაზურსა და სვანურს, აქვს ლიტერატურა, რომელიც მე-VIII საუკუნიდგანვეა დაწყებული. ძალიან ბედნიერი აზრი დაბადებია მის ვარდროპს, მოუწადინებია რა ჩვენი ამ ნაკლებადცნობილ ქვეყნის ფოლკლორთან, ზღაპრებთან და საერთო ლიტერატურასთან გაცნობა. მამაცადაც შეუსრულებია თვისდა ნაკისრი საქმე. მამაცადაო ვამბობთ, რადგან ქართული ენა სავსეა ათასის სიძნელით; ამ ენისთანა სიძნელეს ზმნების გარჩევის მხრივ მხოლოდ ბასკების ენაში თუ შევხვდებით, მართლაც მსგავსება ამ ორ ენის ფორმებს შუა დიდია, თუმცა სიტყვაში საერთო არა არის რა".

დიდხანს ესაუბრებოდა იმ დღეს ჩერქეზიშვილი მარჯორი ვარდროპს. პირადად მისგან შეიტყო, რომ ქართული ენა ბროსსეს გრამატიკით შეუსწავლია, რომ ძალზე მოსწონს ილია ჭავჭავაძის „განდეგილი".

— ჩემი დიდი სურვილია ინგლისის საზოგადოება ინგლისურ ენაზე გაეცნოს „ვეფხისტყაოსანს", ეს ჩემი ნამდვილი ოცნებაა! ახლა კი ველოდები წიგნის დაბეჭდვას, რომელშიც სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუეაო".

— დიდი საქმეს აკეთებთ, ქალბატონო ვარდროპ, მე მჯერა მთელი ქართველი ერი გულთან ახლოს მიიტანს თქვენს ღვაწლს, — უთხრა ვარლამმა ინგლისელ ქალიშვილს.

გვიან დაბრუნდა ჩერქეზიშვილი თავის ბინაში. შეისვენა და მერე მაგიდას მიუჯდა.

1894 წლის „ივერიის“ 168 და 198 ნომრებში დაიბეჭდა მისი წერილები მარჯორ ვარდროპთან შეხვედრასა და ინგლისში ქართული არაკების გამოცემის გამოხმაურებაზე.

აი. რას იწერებოდა ჩერქეზიშვილი ინგლისელი მწერლის შესახებ: „ამასთან იგი დიდად მოხდენილი და თავ-დაჭერილიც არის, რაც ინგლისის საუკეთესო განათლებულ დედათა თვისებას შეადგენს; ...„არა, ვარდროპი თავ-დაჭერილზედ მეტიც არის, იგი მეტად წყნარია და ცოტა მორცხვიც-კი. თუმცა ამ უკანასკნელის გარემოების მიზეზი შეიძლება ჩემი, უცხო-ქვეყნელის აქ ყოფნაც იყოს. მაგრამ ამ ტანადს, ნარნარს, მოხდენილს, წყნარსა და მორცხვ ყმაწვილ ქალს დიდი ცოდნა აქვს. ცოდნა, საკუთარის შრომითა, სურვილითა და მოწადინებით შეძენილი... იგი ახალგაზრდაა, მუშაობის მხნეობითა და უნარით სავსე და, ეჭვი არ არის, შეიძლებს თავისის სურვილის მიღწევას. ეს სურვილი ის არის, რომ თავისს თანამემამულეებს გააცნოს თანამედროვე ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი. ვისურვოთ, რომ არჩეულს ასპარეზზედ სრულიად გაემარჯვნოს და სახელი და დიდება დაემსახურებინოს“.

სავსებით სწორად შენიშნავდა თავის კორესპონდენციაში ლონდონელი კორესპონდენტი, რომ მარჯორი ვარდროპი ღირსეულ საქმეს აკეთებდა. როცა ცდილობდა ინგლისელებისთვის ქართული მწერლობა გაეცნო.

ამ კეთილშობილურ საქმიანობას ხაზგასმით აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე წერილში, რომელიც მან 1894 წლის სექტემბერში ლონდონში მარჯორი ვარდროპს გაუგზავნა.

ილია ახალგაზრდა მწერალს სწერდა:

„— დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემს „განდეგილს“ თქვენი ყურადღება მიუქცევია, ხასახელოდ მიმაჩნია, რომ მოგიწადინებიათ და გადაგითარგმნიათ ინგლისურად...

ყოველს ქართველს თავ-მოსაწონებლად ექნება, რომ თქვენ და თქვენს პატივცემულ ძმას ჩვენ ყველასაგან დავიწყებული ქვეყანა შეგყვარებიათ და მოგინდებათ თქვენს ერს მისი ავი და კარგი აუწყოთ იმ სიყვარულით, რომელიც ახე ამშვენებს ადამიანს, და გულის ტკივილით, რომელიც დაუფასებელი ნუგეშია ბედისაგან დაჩაგრულთათვის.

სასურველია ერმა ინგლისისამ იცოდეს, რომ ამ ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც საქმოსნობს გონება და იძგრის გული; რომ აქაც აქვთ თავისი ნატვრა და თავის იმედი, რომ აქაც არის თავისი წამება და წვალება უკეთესს დღეთათვის და არა რას კაცობრიულს არ ეუცხოებიან.

ყოველივე ეს ზედ დაჩნეული აქვს ჩვენს პატარა მწერლობას, რამოდენადაც კი გარემოება ნებას იძლევა. ამიტომაც გადაღება ინგლისურად ჩვენის მწერლობისა გადაღებაა ჩვენის გულისცემისა, ჩვენის გულითადის ნატვრისა, ჩვენის ჭირისა და ლხინისა, ჩვენის გონების და გრძნობის ძალღონისა საყოველთაო საცნობელად.

ამ მხრით თქვენი განათლებული და გულშემატკივარი მეცადინეობა ჩვენის გონების ნაწარმოებთა თარგმნისათვის დიდ სამსახურად მიჩნეული იქმნება ყოველის ქართველისაგან და ჩვენს მადლობას თქვენდამი საზღვარი არ ექმნება.

ჩემი „განდეგილი“ მომირთმევია თქვენთვის, როგორც გნებოთ ისე იმსახურეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ნაწერს თქვენზე უკეთეს პატრონს და მფარველს ვერ ავუჩენდი.

გვპირდებით ჩვენში მობრძანებას, სიხარულით დაგიხვდებით და უმორჩილესად გთხოვთ წინადვე გვაცნობოთ, როდის და რა გზით მობრძანდებით. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი უბედური, მაგრამ მშვენიერი ქვეყანა თავს მოგაწონებთ და დაგანახვებთ, რომ ღირსია თქვენის ყურადღებისა და სიყვარულისა.

თქვენი მობრძანების სიხარულით მომლოდინე და ღრმად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე“.

როგორც ცნობილია, მარჯორი ვარდროპი (1869-1909) ქართველი ხალხის დიდი მეგობარი იყო. ეს კარგად იგრძნო ვარლამ ჩერქეზიშვილმაც მასთან ლონდონში შეხვედრის დროს. საინტერესოა, რომ ჩერქეზიშვილი თავის წერილში აღნიშნავდა: „ეს ყმაწვილი ქალი თანამედროვე ქართულ ლიტერატურასაც სწავლობს. თუ არ ვსცდები, იგი დიდად აფასებს ილია ჭავჭავაძის პოეზიის მშვენიერებას და განსაკუთრებით — კი მისი სიმართლითა და ღრმა პოეზიით ადამიანის მხიბლავი პოემა „განდეგილი“ მოსწონს“.

„ინგლისელი მეცნიერი და პროფესორი ბ-ნი მორფილი, რომელმაც უკვე რამდენიმე წერილი უძღვნა ჩვენს მწერლობასა და ისტორიას, ამ ჟამად სწერს ვრცელს წერილს საკუთრად ჩვენის მწერლობის შესახებ. ეს წერილი დაიბეჭდა „ჩემბერსის ენციკლოპედიაში“. თავ-თავის დროზე ჩვენ მოგვივა ნაწილ-ნაწილად ბ-ნის მორფილის ნაწერი, რომლის შინაარსს ვაცნობებთ მკითხველებს“, — წერდა ილიასეული გაზეთი 1889 წლის 187-ე ნომერში.

1892 წელს „ივერია“ (№ 125) აუწყებდა მკითხველებს, რომ ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში გამოქვეყნდა პროფესორ მორფილის წერილი „პროფ. ბ-ნ ალ. ან. ცაგარელის თხზულებათა შესახებ: „სიგელნი და სხვა საბუთნი მე-XVIII საუკუნისა, საქართველოს შესახებ და „ურთიერთობა რუსეთისა და კავკასიისა მე-XVI-XVIII საუკუნოებში“.

ვფიქრობ, ეს ინფორმაციებიც „ივერიის“ ლონდონელ კორესპონდენტს ეკუთვნის.

ილიასეული გაზეთის ლონდონელი კორესპონ-

დენტი „ბ-ნი მარველი“ ხშირად გზავნიდა თბილისში სხვადასხვა ხასიათის ვრცელ ინფორმაციებს ინგლისის საზოგადოების ცხოვრებიდან, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ საკითხების გაშუქებას, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოს ისტორიასთან, ინგლისელებისა და უცხოელების კავკასიაში მოგზაურობასთან და მათ ინტერესს ქართველი ხალხის ცხოვრებისადმი.

„ივერიის“ 1898 წლის № 69-ში დაიბეჭდა ასეთი ინფორმაცია: „ლონდონიდგან ჩვენი ინგლისელი კორესპონდენტი ბ-ნი მარველი შემდეგს ამბავსა გვაწვდის: ამ ბოლოს დროს ინგლისში სულ უფრო და უფრო გაძლიერებულის ინტერესებით ადევნებენ თვალყურს თქვენს მშვენიერს ქვეყანას. ინგლისის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრმა ბ-ნმა ფრეშფილდმა გამოსცა ორი დიდი წიგნი თავისის საქართველოში მოგზაურობის შესახებ. გამოცემა მეტად ძვირფასია და მშვენიერი ლონდონისათვისაც-კი. იგი სავსეა კავკასიის, იმერეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის საუცხოო ფოტოგრაფიული სურათებით. შვეიცარიელმა სწავლულმა, ბოტანიკის პროფესორმა ემილლევიემ გამოსცა ორის წლის წინათ კავკასიაში მოგზაურობის ამბავი „შენიშვნები ბოტანიკოსისა“. წიგნი სურათებით არის სავსე და ავტორი დიდის თანაგრძნობითა და სიყვარულით იხსენიებს თქვენს სამშობლოს საქართველოს. იტალიელმა ბიქტორ სელლამ გამოიარა ძალიან ძნელი მოგზაურობა ელბრუსსა (იალბუზი) და სვანეთში. თან საფოტოგრაფიო მანქანა ჰქონდა და სურათებს იღებდა. მის მიერ გადაღებული სურათებით ისარგებლეს ფრეშფილდმა და ლევიემ. ინგლისელმა კლიტონ დენტმაც საფოტოგრაფიო მანქანით საქართველოს მრავალი ადგილი მოიარა. ინგლისელები ვ. დონკინი, გ. ფოქსი და მუმმერი მოგზაურობდნენ არა როგორც სწავლულები არამედ ვითარცა თოვლიანს მთებზედ ასვლის მოყვარულნი; რაც ასე გავრცელებულია ინგლისელთა შორის, რომელნიც ათასობით მოგზაურობენ ყოველი წლივ ამ აზრით შვეიცარიაში“.

ლონდონელი კორესპონდენტი საქართველოში უცხოელების ყოფნას სამართლიანად ადარებდა შვეიცარიაში მათ მოგზაურობას.

„ივერიის“ კორესპონდენტმა ასევე სრულიად ღირსეულად მიაქცია ყურადღება ინგლისელი მწერლისა და გეოგრაფის ფრეშფილდის, აგრეთვე, სხვა ინგლისელების განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოსადმი.

მართლაც, ჯერ კიდევ 1887 წელს „ივერია“ (№ 164) მოიხსენიებდა „ტფილისკი ლისტოკის“ ცნობას და აღნიშნავდა: „იმავე გაზეთში ვკითხულობთ: სეკრეტარი ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოებისა, ბ-ნი ფრეშფილდი, რომელიც ამ დღეებში ავიდა ყაზბეგის მთაზე, მიემგზავრება სვანეთში და უნდა შეისწავლოს ეს ქვეყანა“. იმავე წლის № 192-ში „ივერია“ ასე აღწერდა ფრეშფილდის და სხვა უცხოელების სვანეთში ყოფნას: „მოგზაურთაგან წელს სვანეთს ეწვივნენ რემდენიმე გერმანელნი, ვენგრიელნი, გეოგრაფი, წევრი ლონდონის გეოგრაფიული საზოგადოებისა, ბ-ნი დეიჩი, რომელიც ეს სამი-წელიწადია ყოველს ზაფხულს ადის სვანეთში; სეკრეტარი იმავე ლონდონის საზოგადოებისა, ბ-ნი ფრეშფილდი, და ორიც რუსი. გერმანელები გადავიდნენ „დონდუზორუმის“ უღელტეხილზე იალბუზისაკენ, დეიჩმა განვლო ბუეალისა და ეიწენის შუა მდებარე უღელტეხილი, რომელიც უძნელეს უღელტეხილად არის ცნობილი და რომელზედაც გამოცდილ სვანეთის მონადირეებსაც უჭირთ სიარული. დეიჩს თანა ჰყავდა ფოტოგრაფი; ბ-ნი ფრეშფილდი კი მდ. ენგურის სთავიდამ გაუდგა გზას და მდ. რიონის სათავეში მივიდა, იმ გზით, რა გზითაც ჩვენ წავედით 1885 წ.; რომელიც აღწერილი გვქონდა შარშანდელს „ივერიაში“. ბ-ნი ფრეშფილდი კიდევ ყოფილა სვანეთში, სახელდობრ, 1868 წ. და ამავე წელს ასულა იალბუზსა და ყაზბეგზე, რომელიც დანიშნული აქვს თავის სამგზავრო ჯოხზე“.

1895 წელს „ივერია“ (№ 231) კვლავ იხსენებდა ინგლისელ ფრეშფილდს. გაზეთი აღნიშნავდ, რომ 1896 წელს ლონდონში გამოვიდოდა მისი წიგნი, რომელშიც აღწერილი იყო დასავლეთ საქართველო. როგორც უკვე ზევით მოვიხსენიეთ, „ივერიის“ ლონდონელმა კორესპონდენტმა ვ. მარველმა 1898 წელს გაზეთის მკითხველებს აუწყა ფრეშფილდის ორი წიგნის გამოცემა ლონდონში საქართველოს შესახებ. საინტერესოა, რომ დღეს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ინახება ინგლისელი მწერლისა და გეოგრაფის ორივე წიგნი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს წიგნებში გამოქვეყნებული სვანეთში გადაღებული ფოტოსურათები.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ცდილობდა საქართველოსთვის მოეწოდებინა ცნობები იმდროინდელი მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეთა შესახებ. ამ მხრივ, საინტერესოა 1898 წელს ლონდონიდან გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელიც „ივერიის“ № 189-ში დაიბეჭდა. დაწვრილებით უამბობდა რა მკითხველებს შვეიცარიაში წყლის ენერგიის ელექტროენერგიად გარდაქმნაზე, იგი წერდა: „ახლა არ იკითხავთ, რა ჰღირს ასეთი ძალა? ის, ვისაც იმდენი ძალა აქვს დაკვეთილი, რამდენის გამოჩენაც შეუძლიან ცხენს ერთს დღეს, იხდის სულ ერთს ფრანკს (ჩვენებურად ხუთი შაური). თავის დროზე, იმედი აქვთ, რომ ეს ფასი ერთიორად შემცირდება, ესე იგი, ერთის ცხენის ოდენი ძალა ელექტრონისა ეღირება არა უმეტეს 50 სანტიმისა, ანუ ნახევარ-

ფრანკისაო... ასე გადაქცევა წყლის ძალღონისა, წყლის დიდის ქარისა ელექტრონად, შესაძლებელია მხოლოდ ისეთს ქვეყანაში, სადაც ჩქარი და მთა-ალაგიდამ მომდინარე წყლებია. და, აი, სწორედ ამ მხრივ თქვენს მშვენიერს სამშობლოს ბრწყინვალე მერმისი მოელის: ტფილისს ადვილად შეუძლიან მოახერხოს, რომ ელექტრონის განათება იქმნას შემოღებული; ადვილადვე შეუძლიან შინ, სახლში, უგზავნოს ყველას ელექტრონის ძალა თავის საქმის საკეთებლად. ადვილად შეუძლიან იმიტომ, რომ ისეთი ჩქარი და წყალმრავალი მდინარე აქვს, როგორიც არის მტკვარი. წყლის ძალის გამოყენება და ხმარება მანქანების სატრიალებლად დაუშრეტელი წყაროა სიმდიდრისა და წარმატებისა".

„ივერიის" ლონდონელ კორესპონდენტს უნდოდა საქართველოში უფრო ღრმად შეეგნოთ ელექტროენერგიის გამოყენების აუცილებლობა და სათანადო „მაშინების" როლი ამ საქმეში. ამავე საკითხს ეძღვნება მისი მომდევნო წერილიც „ივერიაში" (1893, № 191).

მრავალ თემაზე იწერებოდა ლონდონელი კორესპონდენტი თბილისში. აი, ზოგიერთი წერილის სათაური: „ამერიკელების მიერ ინგლისის დაპყრობა", „დრეიფუსის საქმე ინგლისში", „ზოლას საქმე და ინგლისელები", „ჯორჯ გრეი, დამაარსებელი ეხლანდელის ავსტრალიისა", „ინგლისური პრესა კაპიტალიზმის სამსახურში", „ინგლისის მხატვრობა", „ლიუდვიგ კოშუთი და უნგრეთის ეროვნებანი", „ეხლანდელი ინგლისელი დედაკაცი", „მონოპოლისტები და ბირჟის ბატონები", „ხვნა-თესვა და მეურნეობის საქმე ინგლისში", „შავი ქვის მრეწველობა" და სხვ.

ვარლამ ჩერქეზიშვილი აცნობდა „ივერიის" მკითხველებს ლონდონს. იგი ხშირად წერდა ამ ქალაქის პარკებსა და ბაღებზე, ქუჩებზე, ღარიბ უბნებში მცხოვრებთა სილატაკეზე, საერთო გასართობებზე, ხიდების მშენებლობაზე, საბავშვო ჰ მატარებლებსა და კლუბებზე... ძნელია ყველაფერი ჩამოითვალოს. მას ჰქონდა წერის შესანიშნავი ჟურნალისტური ნიჭი და ფაქტების მკითხველებისადმი მიტანის თავისებური უნარი. ესეც გახლდათ იმის მიზეზი, რომ ლონდონელი კორესპონდენტის მასალებს „ივერიის" ფურცლებზე საკმაო ადგილი ეკავა.

საერთოდ, ვარლამ ჩერქეზიშვილის წერილები და სტატიები დიდი ცოდნით და კონკრეტულობით აღწერდნენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ საკითხებს. ამის მიზეზი იყო თვით ავტორის ღრმა ცოდნა და განათლება.

ვ. ჩერქეზიშვილის ლონდონიდან გამოგზავნილი წერილები ილიასეულ გაზეთში დაუყოვნებლივ იბეჭდებოდა (მაგალითად, ლონდონიდან 1894 წლის 12 აგვისტოს გამოგზავნილი წერილი ინგლისის საზოგადოების ცხოვრებაზე 28 აგვისტოს ივერიის" № 184-ში გამოქვეყნდა). ინგლისიდან მიღებული მასალების ძალზე ოპერატიულად გამოქვეყნება აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ „ივერიას" თავისი ლონდონელი კორესპონდენტი ერთ-ერთ აქტიურ ავტორად მიაჩნდა და დიდად აფასებდა მას. თავის მხრივ, ლონდონში მცხოვრებ ქართველ კაცს უსათუოდ ეამაყებოდა, რომ გაზეთი ყოველთვის უთმობდა ადგილს მის კორესპონდენციებს, ხოლო „ივერიას" ქართველი ერი როგორ აფასებდა — ეს კარგად იცოდა ვარლამ ჩერქეზიშვილმა.

„ივერიის" ლონდონელი კორესპონდენტის ღვაწლი კიდევ ერთ შტრიხს მატებს გაზეთს, რომელიც დიდი ილიას რედაქტორობით გამოდიოდა, და რომელიც ასე ძვირფასი და ახლობელია ყოველი ჩვენთაგანისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ თვარაძე

# სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება და ქართული მწერლობა

სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება ქრისტიანული მოძღვრებაა, მასში არაფერია ისეთი, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის შეუთავსებელი იქნებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძღვრებაში შემოტანილია პლატონის ფილოსოფიისა და ნეოპლატონიზმის ელემენტები. ამ ელემენტთა მოხმობა შესაძლოს ხდის უფრო რელიეფურად გამოიკვეთოს ქრისტიანულ რელიგიაში ოდენ გაკვრით მოხსენიებული ან მხოლოდ ნაგულისხმევი იდეები. ეს ანიჭებს თავის განუმეორებლობას სიყვარულის არეოპაგიტულ მოძღვრებას.

შევეცდები მოკლედ გადმოვცე არსება ამ მოძღვრებისა, რომელიც უმთავრესი სახით ჩამოყალიბებულია ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ტრაქტატში „საღმრთოთა სახელთათვის" (მეოთხე თავი).

მოძღვრების ცენტრში დგას ზესთაარსებული ერთი (ქრისტიანული სამება), ყოველივეს შემოქმედი, ყოველივეს საწყისი, მიზეზი, ყოველივეს დასაბამი და დასასრული, ზესრული ზღვარი, ნიმუში.. იგი არის აგრეთვე სიკეთე, მშვენიერება და სიყვარული, კეთილი, მშვენიერი, საყვარელი და სასურველი, ყოველივეს გამაერთიანებელი, ერთმოქმედი და ერთმყოფელი ძალა, ყოველივეს თავისკენ მიმწოდებელი, მიმზიდველი და მძვრელი, ყოველივეს თავისკენ მიმაქცეველი და შემკრებელი. ყოველივე, მის მიერ შექმნილი, მისივე მეოხებით არსებობს, არსებობს, ვითარცა სიკეთე და მშვენიერება, რომელიც ზესთაარსებული სიკეთისა და ზესთაარსებული მშვენიერებისკენ მიისწრაფვის, ვითარცა საწყისისკენ, შემკრებისა და მიზნისკენ. „ყოველივე მშვენიერისა და კეთილისგან წარმოდგება, მშვენიერსა და კეთილში ჰგიეს და მშვენიერისა და კეთილისკენ მიისწრაფვის". ეს მისწრაფება, სურვილი, სიყვარული არსის ყოველ საფეხურზე მოქმედებს: „მისკენ (ღმერთისკენ) არიან მიმართულნი გონიერი და სიტყვიერი არსებანი შემეცნების გზით, გრძნობადნი — შეგრძნებათა მეშვეობით, უგრძნობელნი — სასიცოცხლო მისწრაფებათა ბუნებრივი მოძრაობით, ხოლო ოდენ არსებული ნივთნი—არსებობაში მონაწილეობის უბრალო ვარგისიანობით". ამავე დროს, სიყვარული იგივე არსებობის წესია ყოველი არსისა: „სიყვარული, სულერთია, საღმრთოს ვუწოდებთ მას თუ ანგელოზურს, სულიერს თუ ფიზიკურს, ჩვენ გვესმის, ვითარცა ერთყოფისა და შერწყმის ძალა, რომელიც უაღრესთ აღძრავს უდარესთა განსაგებლად, თანამოდასეთ ურთიერთისკენ, ხოლო უდარესთ უაღრესთაკენ მიაქცევს". ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობის ნებისმიერ საფეხურზე გამოვლენილი სიყვარული საღმრთო რაიმედ არის მიჩნეული, რადგან, რაც კი რამ არსებობს, ყოველივე არის სიკეთე, საფეხურებად განფენილი სიკეთე, რომელსაც არსებობაში მონაწილეობის ანუ ზეაღსვლის საკუთარი, თავისი საფეხურის შესატყვისი ბუნებრივი (იგივე ღვთაებრივი) წესი აქვს მიჩენილი, და სიყვარული არსებობის ყოველ საფეხურზე ვლინდება ამ საფეხურისთვის შესატყვისი ძალის მიხედვით, არსებობა და სიყვარული ერთი და იგივეა როგორც უმაღლეს, ისე მიწიერ პლანშიც, არსებობა ნიშნავს სიკეთეს და უფრო მაღალი სიკეთისადმი სწრაფვას ანუ სიყვარულს. არსებობის კაცობრიულ საფეხურზე ვლინდება აგრეთვე სიყვარულის ის სახეობა, რომელიც უშუალოდ ღმერთისად არის მიმართული, „როცა გარესამყაროსგან უკუქცეული სული თავისთავში დაინთქმის... გარესამყაროს სიმრავლეს განეშორება, თავის-

თავში შენივთდება, შემდეგ კი შინაგანად ერთქმნილი შემოიკრებს ერთყოფის გამაერთიანებელ ძალებს, რათა ყოველთა ზედა აღმატებულ მშვენიერსა და კეთილს მიესწრაფოს“. ეს არის სიყვარულის ის სახეობა, მისტიურ სიყვარულს, საღმრთო მიჯნურობას რომ უწოდებენ, საღმრთო სიშმაგე რომ ახლავს. „მისი წყალობით შეყვარებულნი თავისთავს კი არ ეკუთვნიან, არამედ საყვარელ არსებათ... ამიტომ იყო, საღმრთო ეროსით შეპყრობილმა და მის ექსტატურ ძალასნაზიარებმა პავლემ რომ ღაღადყო: „არღარა მე ცოცხალ ვარ, არამედ ცხოველ არს ჩემ შორის ქრისტე, — ვითარცა ჭეშმარიტად შეყვარებულმა, საღმრთო სიშმაგით შეპყრობილმა და საკუთარი სიცოცხლით კი არა, საყვარელის — ფრიად საყვარელის — სიცოცხლით მცხოვრებმა“.1

სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება მოწოდებული იყო ისეთივე როლი შეესრულებინა დასავლურ-ქრისტიანული ქვეყნიერების კულტურულ ცხოვრებაში, როგორიც აღმოსავლურ-მუსლიმანურ გარემოცვაში სუფიზმმა შეასრულა. რიგ განსხვავებათა და სპეციფიკურ ნიშანთა მიუხედავად, ორსავე ამ მოძღვრებას ანათესავებდა როგორც საერთო ცენტრალური იდეა (არსთა თავგადაკლული სწრაფვა ღმერთისკენ), ისე წყაროები, რომლებსაც ორივე მიმართავდა: ორი მონოთეისტური რელიგია — ქრისტიანობა და ისლამი — პრინციპულად არცთუ დიდად დაშორებული ერთიმეორეს, აგრეთვე, სიყვარულის პლატონური და ნეოპლატონური მოძღვრებანი (არეოპაგელისთვის — უპირატესად პლატონური და მხოლოდ შემდეგ ნეოპლატონური, სუფიზმისთვის — უპირატესად ნეოპლატონური და მხოლოდ შემდეგ პლატონური). განსხვავებას რაც შეეხება, აქ უმთავრესი ის არის, რომ საღმრთო მიჯნურობა სუფიზმისთვის, უწინარეს ყოვლისა, სასიყვარულო აქტია, გრძნობად დაღვრა, და გულისხმობს პიროვნების ღმერთთან შერწყმას, მასში განზავებას, ხოლო არეოპაგიტული მოძღვრების თანახმად, ეს არის ღმერთთან მიახლოება რამდენადაც შესაძლოა. ამ მომენტის გაუთვალისწინებლობა ზოგჯერ შეცდომის წყაროდ იქცევა ხოლმე.

სიყვარულის არეოპაგიტულ მოძღვრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეთა ქრისტიანული ქვეყნიერებისთვის. ამ მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენად ზოგიერთი რამის გახსენება გვმართებს.

სიყვარული ერთმყოფელი, გამაერთიანებელი ძალა რომ არის, ჯერ კიდევ მითოსის ხანაში იყო ცნობილი (დიონისეს მითი). ეს იდეა ფილოსოფიამაც იმემკვიდრა (ემპედოკლე) და შემდგომ განავითარა. კერძოდ, პლატონის ფილოსოფიაში იდეამ ამგვარი სახე მიიღო: ყოველგვარი სიყვარული არის უკვდავებისკენ ანუ ღმერთისკენ სწრაფვა; უკვდავი სულის ზესწრაფვის გარდა, მოკვდავ ბუნებაში გამოვლენილი ეს გრძნობა იგივე საღმრთო საქმეა.

ნიშანდობლივია, რომ ეს მაღალი გაგება სიყვარულისა ნეოპლატონიზმში აღარ განვითარებულა. ამ მოძღვრებაში სიყვარული ძირითადად ინტელიგიბელური სფეროს კუთვნილებაა (კოსმოსს უყვარს სამყაროული სული, სულს უყვარს გონება, გონებას უყვარს ერთი), ჩვეულებრივი, მიწიერი სიყვარულისთვის აქ თითქმის აღარსად რჩება ადგილი.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ ქრისტიანულ რელიგიაში?

„ძველ აღთქმაში“ ჩვეულებრივი, მიწიერი, ქალ-ვაჟის სიყვარული იმდენად ბუნებრივ გრძნობად არის მიჩნეული, რომ მასთან დაკავშირებით რაიმე საგანგებო პოზიციის გამომუშავება აზრად არავის მოსდის. გავიხსენოთ: „შესაქმე“, 2,24; „მეორე მეფეთა“, დავითის ძის ამნონისა და თამარის სიყვარული (მხატვრულ ლიტერატურაში მარადიულ მოდელად ქცეული — რომენ როლანი, უილიამ ფოლკნერი...); ასევე — „მეორე ეზრა“, 4,17-22; „ქება ქებათა“ თავისთავად და სხვა მრავალი.

„ახალ აღთქმას“ რაც შეეხება, აქ ამ საკითხს დელიკატურად აქვს გვერდი ავლილი. მაგრამ „ახალ აღთქმაში“ სავსებით არაორაზროვნად არის ნაკურთხი ცოლქმრობის ინსტიტუტი და ცოლქმრული სიყვარული (მათე, 19, 3-6; ქრისტეს მიერ კანას ქორწილში აღსრულებული სასწაული, იოანე, 2, 1-10; აგრეთვე, I კორინთელთა მიმართ, 7,2-9, ეფესელთა მიმართ, 5,25, I ტიმოთეს მიმართ, 4,3, ცნობილი ფორმულა — „ქორწილი წმიდა არს“ და სხვა.).

ასე რომ, „ძველი აღთქმისა“ და „ახალი აღთქმის“ მონაცემთა საფუძველზე უნდა დავასკვნათ: პირველადი ქრისტიანობა ჩვეულებრივს, მიწიერ სიყვარულსაც სრული გაგებით ეკიდებოდა.

მაგრამ გარკვეულ ეპოქაში, როდესაც მონაზვნურ-ასკეტურმა მისწრაფებებმა ერთობ იმძლავრეს, სიყვარული, მამაკაცისა და ქალის დამოკიდებულება არამცთუ უაღრესად დელიკატურ საკითხად იქცა, ერთგვარად ტაბუირებულიც აღმოჩნდა და ამ საკითხის აღძვრა, მის ირგვლივ საუბარი გარკვეულ რისკს დაუკავშირდა. საამდროოდ ცოლქმრული ურთიერ-

---

1. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით არის საუბარი ჩემს ნაშრომებში: „სიყვარულის პლატონური მოძღვრება“ („მაცნე“, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1985, № 2), „სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება“ (იგივე გამოცემა, 1986, № 2), „პლატონი და არეოპაგელი“, „არეოპაგელი და რუსთაველი“ (წიგნში: „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“).

10. „მნათობი“, № 3.

თორნაც კი ზოგჯერ მომაკვდინებელ ცოდვად ისახებოდა, ხოლო მამაკაცისა თუ ქალის მიერ უქორწინებლობა და სამუდამო ქალწულად დადგება — ღვთის სათნო საქმედ (ამასთან, სრულიად გაუთვალისწინებელი რჩებოდა „სახარებაში“ მოცემული გაფრთხილება, რომ „არა ყოველთა დაიტიონ სიტყუაჲ ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს“, მათე, 19,11). ამგვარი იყო ვითარება არეოპაგიტულ წიგნთა შექმნის ეპოქაში, აგრეთვე, მომდევნო საუკუნეებში: შავი სამღვდელოების გავლენა და ავტორიტეტი ცხოვრების ლამის ყველა სფეროს გადასწვდა და მონაზვნური ყოფისთვის შემუშავებული ფორმულები პრეტენზიას აცხადებდნენ საერისკაცო ყოფის კანონმდებელნიც ყოფილიყვნენ.

და, აი, ამგვარ ვითარებაში არეოპაგიტული მოძღვრება აღორძინებს პლატონურ იდეას, ქრისტიანობის ულრმესი ბუნებისთვის სავსებით ორგანულს, რომლის თანახმადაც არსებობის ნებისმიერ საფეხურზე გამოვლენილი სიყვარული იგივე ღმერთისკენ სწრაფვაა, იგივე საღმრთო საქმეა, ოღონდ, ამასთან, არსებობის კაცობრიულ საფეხურზე თავს იჩენს სიყვარულის უმაღლესი სახეობა — არსთა იერარქიების უგულებელყოფით უშუალოდ ზესთაარსებული ერთისკენ მიმართული თავდავიწყებული სიყვარული, უზესთაესი სიკეთისკენ, უზესთაესი მშვენიერებისკენ, უზესთაესი საყვარელისკენ თავგადაკლული სწრაფვა — საღმრთო მიჯნურობა.

საღმრთო მიჯნურობის მომხსენებელი ჩვენთვის ცნობილი უძველესი ძეგლი ქართული მწერლობისა არის „ვეფხისტყაოსანი“. პოემის პროლოგში ვკითხულობთ:

ვთქვა მიჯნურობა პირველი
და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო
გამოსაგები ენათა,
იგი საქმე საზეო,
მომცემი აღმაფრენათა,
ვინცა ეცდების, თმობამცა,
ჰქონდა მრავალთა წყენათა.
მას ერთსა მიჯნურობასა
ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან,
ენა დაშვრების, მსმენლისა
ყურნიცა დავალდებიან.
ვთქვნე ხელობანი ქვენანი,
რომელნი ხორცთა ჰხვდებიან,
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ
არ სიძვენ, შორით გზნდებიან.
მიჯნური შმაგსა გვიქვიან
არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა
ვერმიხვდომისა წყენითა.
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე,
დაშვრების აღმაფრენითა.
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება
კეკლუცთა ზედა ფოფენითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ რომ საღმრთო მიჯნურობის შესახებ არის საუბარი, ამას, ალბათ, არავინ უარყოფს. გასარკვევი სხვა რამ არის: „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის ხანაში არსებობდა რუსთაველისთვის ხელმისაწვდომი ორი მოძღვრება საღმრთო მიჯნურობისა — სუფიური და არეოპაგიტული. ამათგან რომელს ემყარებოდა, რომელს გულისხმობდა რუსთაველი მოტანილი სტროფების (და, საერთოდ, მთელი პოემის) შექმნისას?

სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება ქართულსა და საბჭოურ მეცნიერებაში დღემდე შეუსწავლელი იყო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს მოძღვრება არც დასავლურ მეცნიერებაში უქცევიათ სპეციალური კვლევის საგნად. მით უფრო ბურუსით იყო მოცული სიყვარულის არეოპაგიტულ მოძღვრებასთან დაკავშირებული საკითხები ამ ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინათ, როდესაც იქმნებოდა აკადემიკოს კ. კეკელიძის შრომები — „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი (1941 წლის გამოცემა) და „აღმოსავლური სუფიზმის ანარეკლი ძველ ქართულ პოეზიაში“ (გამოკვლევა რუსულად არის დაწერილი, დაბეჭდილია წიგნში: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945). ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ, ჩემი აზრით, მცდარად ახსნა რაობა და წარმომავლობა საერთოდ ქართულ მწერლობაში, კერძოდ კი, „ვეფხისტყაოსანში“ თავჩენილი საღმრთო მიჯნურობისა.

აკად. კ. კეკელიძის თვალსაზრისის არსება შემდეგში მდგომარეობს: რამდენადაც ქართულ მწერლობას იმთავითვე მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა აღმოსავლურთან, უნდა ვიფიქროთ, რომ მასში აისახებოდა აღმოსავლეთის სუფისტური პოეზია, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ალეგორიულობა (ორი სქესის წარმომადგენელთა ურთიერთსწრაფვაში, მიწიერ, ხორციელ სიყვარულში არამიწიერი, საღმრთო, მისტიური სიყვარული იგულისხმებოდა). არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ ფილოსოფიურ მიმართულებას საქართველოში ჯერ კიდევ კლასიკურ პერიოდში, რუსთაველის ხანაში იცნობდნენ. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში რუსთაველი ეკამათება და კატეგორიულად ემიჯნება სიყვარულის სუფისტურ თეორიას. მაგრამ განსაკუთრებით ნაყოფიერი ნიადაგი დაუხვდა სუფისტურ იდეალებს XVII-XVIII საუკუნეთა საქართველოში. ამ

ხანის ქართველ პოეტთა შემოქმედებაში საკმაოდ მკაფიოდ ვლინდება აღმოსავლური პოეზიის სუფისტური ალეგორია. სუფიზმის იდეოლოგიის გავლენაში აღმოჩნდნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი.[2]

ამგვარია ზოგადად კ. კეკელიძის თვალსაზრისი. ზემოთქმული რომ გავიმეოროთ, ეს თვალსაზრისი, ალბათ, არ ჩამოყალიბდებოდა, აკად. კ. კეკელიძე გაცნობილი რომ ყოფილიყო სიყვარულის არეოპაგიტულ მოძღვრებას. იმიტომ, რომ შუა საუკუნეთა ქართულ მწერლობაში, სადაც კი რაიმეა ნათქვამი საღმრთო მიჯნურობის თაობაზე, ან კიდევ სადაც ამ მიჯნურობის დამადასტურებელი ელემენტები იპოვება, ყველგან, უკლებლივ ყველგან, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება საღმრთო სიყვარულის არეოპაგიტული (იგივე ქრისტიანული) გაგება და არა სუფიზმი.

სხვაგვარად, ალბათ, არც ეგებოდა: თუკი არსებობდა საღმრთო სიყვარულის ქრისტიანული მოძღვრება, გაუგებარია, რატომ უნდა შეექციათ ქართველ მწერლებს მისთვის ზურგი და რატომ უნდა მიემართათ უცხო, ამასთან — იდეოლოგიურად მტრული მოძღვრებისთვის? მსგავსი რამ XII საუკუნეში ასე თუ ისე კიდევ მოსათმენი იქნებოდა (იმხანად ისლამი ქართველთათვის ეროვნული გადაგვარების საფრთხის სინონიმი აღარ იყო), მაგრამ XVII-XVIII საუკუნეებში ისლამის ძირებზე აღმოცენებული სუფისტური მსოფლმხედველობის გაზიარება ეროვნული ღალატის ტოლფასი უნდა ყოფილიყო უეჭველად. მით უფრო ვერ დაადგებოდნენ ამ გზას ბაგრატიონთა ტახტის მპყრობელნი (სამი მეფე — თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ მეექვსე)! რიგით პოეტს რომ შეშლოდა რაიმე, შესაძლოა უჭირველად მიჩქმალულიყო საქმე, მაგრამ ხელმწიფეთა მხრივ ჭეშმარიტი სარწმუნოებიდან მსგავსი იდეოლოგიური „გადახრა“ არნახულ სკანდალს გამოიწვევდა. არადა სკანდალის არავითარი ნიშანწყალი არ ჩანს ხსენებულ ეპოქაში. მართალია, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლის“ ცნობილ მინაწერში (დიდი ხნის მანძილზე თავად ტიმოთეს რომ აკუთვნებდნენ) კარგად გამოსჭვივის ეკლესიის გარკვეული წრეების უკმაყოფილება — ვახტანგმა „ვეფხისტყაოსანი“ საღმრთოდ რატომ განმარტაო, მაგრამ აქ ვითარება არავითარ ეჭვს არ იწვევს: ნაგულისხმევი წრეები „საღმრთოდ თარგმანებას“ (ანუ, კ. კეკელიძის გაგებით, სუფისტურ ინტერპრეტაციას) კი არ ებრძვიან, არამედ „ვეფხისტყაოსნისთვის“ არ ემეტებათ ამგვარი „თარგმანება“!

ვფიქრობ, ფაქტები დაადასტურებს ჩემს შეხედულებებს.

მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა, რუსთაველის დამოკიდებულება საღმრთო მიჯნურობისადმი.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე წერს (მომაქვს რუსული ტექსტის ჩემეული თარგმანი):

„...თავისი პოემის პროლოგში რუსთაველი შეუფარავად ეკამათება სიყვარულის სუფისტურ თეორიას. აი, რას ამბობს აქ (მოტანილია ორი სტროფი: „ვთქვა მიჯნურობა პირველი...“ და „მას ერთსა მიჯნურობასა...“, რ. თ.)... ამ სიტყვებში პოეტი გვაძლევს სუფისტური, მისტიური სიყვარულის ცხად სურათს და გვიჩვენებს მისდამი თავის დამოკიდებულებას... პოეტი კატეგორიულად ემიჯნება სუფისტურ სიყვარულს, ოღონდ უკანასკნელ ორ სტრიქონში (იგულისხმება: „ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან, მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან“, რ. თ.) შენიშვნას აკეთებს, ეტყობა, იმ წრეების გულის მოსაგებად, რომლებსაც, როგორც ჩანს, ერთობ გულს ეხატებოდათ სუფისტური სიყვარული“.[3]

დავიწყოთ იმით, რომ, აკად. კ. კეკელიძის შეხედულების საწინააღმდეგოდ, რუსთაველი კი არ ეკამათება, კატეგორიულად კი არ ემიჯნება საღმრთო სიყვარულის მოძღვრებას, არამედ მისით მოხიბლული გადმოგვცემს ამ სიყვარულის რაობას. ან რატომ უნდა დაპირისპირებოდა და გამიჯვნოდა რუსთაველი „საზეო“ და „აღმაფრენის მომცემ“ საქმეს, „პირველ მიჯნურობას“, სიყვარულის უმაღლეს სახეობას? პირიქით: ორივე ციტირებული სტროფის შინაარსი იმას მოწმობს, თუ რაოდენ ჩინებულად იცის რუსთაველმა არსება ამ სიყვარულისა, იცის, რომ ეს არის „ტომი გვართა ზენათა“, რომ ეს სიყვარული ძნელად გამოითქმის, რომ მის მიმდევარს მრავალი სიძნელის გაძლება მოუწევს. ამას მოსდევს დიდად საგულისხმო სტრიქონი: „მას ერთსა მიჯნურობასა ჰქვიანნი ვერ მიხვდებიან“. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი, „ადამიანური“ კრიტერიუმებით საღმრთო მიჯნურობა ვერ შეიცნობა, მიწიერ პლანში მოქმედი გონება ამ საქმეს ვერ სწვდება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საღმრთო მიჯნურობას თავმიცემული კაცი უკვე აღარ არის „ჰქვიანი“, იგი შმაგია (ეს შეხედულება პლატონის მოძღვრებაში, დიალოგ „ფედროსში“ იღებს სათავეს და მას იზიარებენ ნეოპლატონელნიც, არეოპაგელიც და სუფისტებიც. ეს კარგად იცის რუსთაველმაც:

2. კ. კეკელიძე, ეტიუდები... II, 1945, გვ. 282-286.

3. იქვე. გვ. 282-283. ხაზი აქაც და ქვემოთაც ჩემია.

„მიჯნური შმაგსა გვიქვიან...“). მეორეც იმიტომ, რომ, ნეოპლატონური და არეოპაგიტული მოძღვრების თანახმად, მისტიურ ექსტაზში აღტყორცნილმა გონებამ უკანასკნელ მომენტში უნდა „თავიცა თვისი დაუტეოს“ და ისე მიეახლოს უზენაესს, ექსტაზის ჟამს გონება აღარაფრის მაქნისია, საღმრთო მიჯნურობა „ჭკვიანთა“ ხელობა არ არის.

ახლა ყურადღება მივაპყროთ აკად. კ. კეკელიძის ბოლო ფრაზას: „პოეტი კატეგორიულად ემიჯნება სუფისტურ სიყვარულს, ოღონდ უკანასკნელ ორ სტრიქონში შენიშვნას აკეთებს, ეტყობა, იმ წრეების გულის მოსაგებად, რომლებსაც, როგორც ჩანს, ერთობ გულს ეხატებოდათ სუფისტური სიყვარული“.[4]

მაშასადამე, რუსთაველი რომ ამბობდა — მე „ქვენა ხელობათა“ ამბავს ვიტყვი, იმ სიყვარულისა, რომელიც სხეულს უკავშირდება, მაგრამ ეს სიყვარულიც „საზეო საქმის“, საღმრთო მიჯნურობის ბაძვაა, თუკი სიძვა კი არ არის, არამედ შორით ბნედაო (წმინდა არეოპაგიტული თვალსაზრისი), ამას, აკად. კ. კეკელიძის შეხედულებით, ამბობდა იმ წრეთა საამებლად, რომლებსაც საღმრთო მიჯნურობა დიდ რაიმედ მიაჩნდათ, ხოლო თავად მისი რწმენა სულ სხვაგვარი იყო, თავად კატეგორიულად ემიჯნებოდა საღმრთო მიჯნურობას.

ვფიქრობ, „კატეგორიული გამიჯვნის“ გარდა, აქ სხვა გაუგებრობებთანაც გვაქვს საქმე.

რაოდენ მცდარი წარმოდგენა უნდა გვქონდეს რუსთაველის პიროვნების, მისი მსოფლმხედველობის შესახებ, თუკი წუთით მაინც დავუშვებთ, რომ მას შეეძლო ვისიმე საამებლად თუ გულის მოსაგებად გადაეხვია საკუთარი თვალსაზრისიდან და კომპრომისული დებულება ჩამოეყალიბებინა ისეთ კარდინალურ საკითხში, როგორიცაა საღმრთო მიჯნურობა და მასთან დამოკიდებულება!

გარდა ამისა, აკად. კ. კეკელიძე არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ „ბაძვა“ (სტრიქონში: „მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან“) შემთხვევით წამოსროლილი სიტყვა კი არ არის, უმნიშვნელოვანესი პლატონური ტერმინია. ბაძვის მეოხებით ხორციელდება უდარესთაგან უაღრესთაკენ, საბოლოოდ—არსთა ღმერთისკენ, აღსვლა. პლატონის ეს თეორია გადმოვიდა არეოპაგიტიკაში. პლატონის მოძღვრებაშიც და არეოპაგელის ნააზრევშიც ბაძვის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება საღმრთო ტრფიალების საკითხსაც და განღმრთობის საკითხსაც. ამ მომენტების გაუთვალისწინებლად „ვეფხისტყაოსნის“ სიღრმისეულ კვლევაზე ძნელი იქნება საუბარი.

დაბოლოს იმის შესახებ, რომ, აკად. კ. კეკელიძის თვალსაზრისით, თუკი ლაპარაკია საღმრთო სიყვარულზე, უეჭველად და მხოლოდ და მხოლოდ სუფიზმი უნდა იგულისხმებოდეს.

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება, ქრისტიანულ პირველსაფუძვლებთან ერთად პლატონის ფილოსოფიასა და ნეოპლატონიზმს დამყარებული, ეს არის *საღმრთო სიყვარულის ქრისტიანული მოძღვრება*, ცხადი უნდა იყოს, რომ შუა საუკუნეთა საქართველოში, როცა კი საზეო სიყვარულს შეეხებოდა საქმე, სუფიზმის უწინარეს ამ მოძღვრებას მიმართავდნენ. სხვაგვარად: სუფიზმისადმი მიმართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა აუცილებელი თუ გამართლებული, სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება რომ არ არსებულიყო და შუა საუკუნეთა საქართველოში (კერძოდ, მეთორმეტე საუკუნეში) გაცნობილნი რომ არ ყოფილიყვნენ ამ მოძღვრებას. კიდევ სხვაგვარად: სუფიზმი ამ ქვეყნად საერთოდაც რომ არ არსებულიყო, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოცემული დახასიათება საღმრთო სიყვარულისა იოტისოდენადაც არ შეიცვლებოდა, რამეთუ სიყვარულის ამ სახეობაზე საუბრისას რუსთაველი არეოპაგიტულ მოძღვრებას ემყარება და არა სუფიზმს, საღმრთო მიჯნურობის რუსთაველისეული დახასიათებისთვის სავსებით საკმარისი იყო არეოპაგიტული მოძღვრების ცოდნა.

მცირე განმარტება: ყოველივე ზემოთქმული არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, თითქოს მე კატეგორიულად უარვყოფდე, რომ, ვთქვათ, მეთორმეტე საუკუნის საქართველოში სუფიზმს შესაძლოა გაცნობილნი ყოფილიყვნენ. მე გამოვრიცხავ ამგვარი ნაცნობობის *აუცილებლობას და არა შესაძლებლობას*. სხვა მხრივ, ყოველი განათლებული ქართველი, ვინც კი სპარსულსა და სპარსულენოვან პოეზიას გაიცნობდა (ასეთები კი, უნდა ვიგულისხმოთ, მრავლად იქნებოდნენ), სუფიურ იდეებსაც თავისთავად ეზიარებოდა და ამ პროცესში აღმოაჩენდა, რომ საქმე აქვს სიყვარულის იმავე სახეობასთან, საღმრთო მიჯნურობასთან, რომელიც მისთვის მანამდეც ცნობილი უნდა ყოფილიყო არეოპაგიტული წიგნებით.

რუსთაველის შესახებაც იგივე ითქმის. რუსთაველი *შესაძლოა იცნობდა* სიყვარულის სუფიურ მოძღვრებას, მაგრამ არაფე-

4. მეტი სიზუსტისთვის უთარგმნელად, რუსულადაც მოვიტან აკად. კ. კეკელიძის ტექსტს: «Поэт, категорически отмежиёвываясь от суфистической любви в последнем двустишии делает оговорку, в угоду, очевидно, тем кругам, которым суфистическая любовь, как видно, слишком уж импонировала».

რი ადასტურებს, რომ თავისი პოემის (კერძოდ — პოემის პროლოგის) შექმნისას მაინცდამაინც ამ მოძღვრებას ემყარებოდა თუ გულისხმობდა. სამაგიეროდ, არაერთი ფაქტი სწორედ იმას მეტყველებს, რომ რუსთაველი უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ი ც ნ ო ბ დ ა სიყვარულის არეოპაგიტულ მოძღვრებას და თავის პოემაში (კერძოდ, პოემის პროლოგშიც) ამ მოძღვრებას ემყარებოდა და გულისხმობდა.

რუსთაველის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შესრულებული აქვს ორ მოძღვრებას: ქრისტიანულ რელიგიურ ფილოსოფიას, კერძოდ, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ნააზრევს, და პლატონის ფილოსოფიას. არასგზით არ არის შემთხვევითი, რომ თავის პოემაში რუსთაველი მხოლოდ და მხოლოდ ამ ორ მოაზროვნეს იხსენიებს. მთავარი მაინც ის არის, რომ მან ჩინებულად იცის ის უღრმესი შინაგანი კავშირი, რომელიც პლატონის ფილოსოფიასა და არეოპაგიტიკას შორის არსებობს (არეოპაგიტული მოძღვრება თავის მთლიანობაში პლატონური ელემენტების გარეშე ვერ მოიაზრება) და ამ ასპექტით აქვს გააზრებული სიკეთის მონიზმის, ბოროტების უარსობის, არსთა ღმერთისად სწრაფვის ანუ სიყვარულის, ამ პროცესში ბაძვისა და აღმაფრენის როლის საკითხები. აქ ერთ რიგში დგება „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა... იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“, „მართ მასვე ჰბაძვენ...“, „მიჯნური შმაგსა გვიქვიან...“, „წაგიკითხავს სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?... სიყვარული აღგვამაღლებს...“, „მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა“, „ღმერთო... შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“, „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ და სხვა მრავალი. ეს ყოველივე ის ორიენტირებია, რომლებიც პლატონისა და არეოპაგელისკენ (უკეთ, ამ ორი მოძღვრების სინთეზისკენ) მიგვანიშნებენ მხოლოდ და მხოლოდ, აქ სუფიზმის მოხმობა აღარაფრის მაქნისია.

არსებობის ნებისმიერ საფეხურზე გამოვლენილი სიყვარული საღმრთო საქმეა, ეს არის ერთმყოფელი ძალა, რომელიც ყოველ არსს ღმერთისკენ მიაქცევს — ეს მაღალი იდეა, კულტურული განვითარების ისტორიაში განუზომელი მნიშვნელობის მქონე, სათავეს პლატონის ნააზრევში იღებს, ქრისტიანულ რელიგიურ ფილოსოფიაში — არეოპაგელის მოძღვრებაში ვითარდება და ბოლოს რუსთაველის მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად იქცევა. განუზომელი იყო ამ იდეის მნიშვნელობა კულტურული განვითარების ისტორიაში, მაგრამ მის შესაცნობად, მთელი სიღრმით საწვდომად, სულ მცირე, ორი წინაპირობა ივარაუდებოდა: ქრისტიანობის არსების არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ რელიგიურ-ფილოსოფიური გააზრება და ანტიკური სიბრძნის, კერძოდ, უწინარეს ყოვლისა, პლატონის მოძღვრების საფუძვლიანი ცოდნა.

თავისთავად ცხადი უნდა იყოს, რომ ამ პირობათა დაცვა ვეღარ მოხერხდებოდა „აღორძინების“ ხანის საქართველოში, როდესაც ანტიკურ კულტურასთან უშუალო კავშირიც საბოლოოდ გაწყდა და ქრისტიანული რელიგიური ფილოსოფიის საკმაო სისრულით ათვისებაც ერთობ საძნელო შეიქნა უბრალო მიზეზის გამო — ცოდნის დონე დაქვეითდა.

ასეთ ვითარებაში სიყვარული კვლავ დელიკატურ საკითხად იქცა. რუსთაველის მიერ მოპოვებული ფორმულის — „მართ მასვე ჰბაძვენ“ სათანადო სიღრმით გააზრება რაკი ვეღარ ხერხდებოდა, აზრი დაუბრუნდა მრავალი საუკუნის წინათ ძლეულ საფეხურს, რომელზეც სიყვარული, გარდა ცოლქმრული ურთიერთობისა, სიძვასა და ცოდვასთან იყო გაიგივებული (ქრისტიანობის ერთმნიშვნელოვანი და ვულგარული გაგება).

ეს ყოველივე იმ ეპოქაში ხდება, როდესაც საქართველო ფაქტიურად მოწყვეტილია მთელ კულტურულ ქვეყნიერებას და კონტაქტი, ისიც ცალმხრივი, აქვს მხოლოდ სპარსულენოვან მწერლობასთან. ხოლო საამდროოდ სპარსული ლიტერატურული ტრადიცია, როგორც ვიცით, ძირითადად სასიყვარულო თემებითა და მოტივებით სულდგმულობდა. და ამ მაცდუნებელ ნაკადს ხარბად დაწაფებული ქართველი მწერლები მართლაც რომ ორ ცეცხლს შუა არიან მოქცეულნი: ერთი მხრივ, ისინი მიიჩნევენ, რომ სპარსული პოეზიის ქმნილებები ლამის უმაღლესი ეტალონებია ლიტერატურული სინამდვილისა და, ამდენად, თავიანთ მწერლურ მოვალეობად ესახებათ მათი მიბაძვა ან ამ პოეზიის ნიმუშთა თარგმნა თუ გადმოქართულება; მეორე მხრივ, მათ დიდ ცოდვად მიაჩნიათ სასიყვარულო თემის დამუშავება და დაუსრულებელ ბოდიშებს იხდიან და შენდობას ითხოვენ ამის გამო (ბოდიში ხშირად იმ ფორმითაც გამოითქმის, რომ „საღვთოს“ ნაცვლად „საერო“ ხასიათის ნაწარმოები გამოდის მათი ხელიდან). ამ მხრივ ტიპიურია თეიმურაზ პირველის გამონათქვამები: „შენ მომიტევენ სიტყვანი უქმნი, არ ნაყოფიანი... ვაიმე, ცუდის ლაყბითა თუ სული დავიზიანი“ („ვარდბულბულიანი“); „კვლავც მითქვამს: სიტყვა უქმისა პატიუმან შემაშინაო“ („მაჯამა“) და მისთანანი.

ამგვარი პოზიციის მიხედვით თავისთავად, წინასწარვე უნდა გამოირიცხოს საღმრთო მიჯნურობის არსებობა თეიმურაზის შემოქმედებაში (სიყვარული ღმერთს რომ მიემართებოდეს, იმავე ღმერთის წინაშე საბოდიშო რაღა

იქნებოდა!). მაგრამ ნუ ვენდობით აპრიორულად გამოტანილ დასკვნას, მით უმეტეს, რომ ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორიც იყო კ. კეკელიძე, გულდაჯერებული ამტკიცებდა — თეიმურაზის პოეზიაში წარმოდგენილია საღმრთო მიჯნურობა და ეს სუფიზმის გავლენის შედეგიაო.

ეგ არის, რომ ამჯერადაც წინასწარ აღიძვრის კვიმატი კითხვა: რომელ ღვთაებას ემიჯნურება პოეტი? თუკი მართლა სუფიზმის გავლენასთან გვაქვს საქმე, საბოლოოდ, გვსურს თუ არა, ისე გამოვა, რომ ეს არის მაჰმადიანთა ღვთაება. ანდა იქნებ ქრისტიანულ ღმერთს ემიჯნურება თეიმურაზი, ოღონდ, ასე ვთქვათ, სუფიური „მეთოდებით"?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემამდე ჩვენ გვმართებს გავიხსენოთ, რაგვარად ესახებოდა აკადემიკოს კ. კეკელიძეს საღმრთო მიჯნურობა და სუფიზმის გავლენა თეიმურაზის შემოქმედებაშიც და, საერთოდ, „აღორძინების" ხანის ქართულ მწერლობაში. ვრცელი ციტატების ამოწერა მოგვიწევს.

„საბოლოო ანგარიშით თეიმურაზის პოეზია არის სინთეზი სპარსული ლიტერატურული ტრადიციებისა და ქართული სინამდვილისა. მიზანი ამ პოეზიისა არის ღვთაებასთან მისტიური გაერთიანება, რომლის მიღწევასაც ის ლამობდა ღვინო-სიყვარულისა და ასკეტიზმის რელიგიის გზით. რომანტიკული მანგები, რომელიც ასე მკვეთრად გვესმის ლეილ-მაჯნუნიანში, იოსებ-ზილიხანიანში, ვარდ-ბულბულიანში, შამი-ფარვანიანში და მაჯამაში, მემკვიდრეობაა, სპარსული ლიტერატურიდან მიღებული... ყველაფერი ეს სპარსული ჩანგის გამოძახილია, რომელშიც ისმის სუფისტური ნოტები".[5] „თეიმურაზმა კარები გაუღო ქართულ მწერლობაში სპარსული პოეზიის სუფისტურ ტენდენციებს. სუფიზმის მთავარი ძარღვი შემდეგია: ადამიანი უნდა ცდილობდეს განთავისუფლდეს თავისი საკუთარი „მე"-სა და გრძნობა-ნებისყოფის აქტებისაგან, დაივიწყოს თავისი თავი და, ღრმა ექსტაზისა და მატერიისაგან განთავისუფლების გზით, სამარადისო მშვენების ტაძრად იქცეს. ეს შესაძლებელია სიმთვრალისა და სიყვარულის საშუალებით. სიმთვრალესა და სიყვარულში ადამიანი ივიწყებს თავისთავს, ის უგრძნობელი ხდება და შეეზავება სამარადისო არსებობასთ. სიყვარულით აგზნება, სუფიზმის შეხედულებით, იგივე სიმთვრალეა.. ქვეყნიური სიყვარული სუფისტებისათვის ალეგორიაა ზეციური, ღვთაებისადმი სიყვარულისა. ყველა ეს მოტივი წარმოდგენილია, როგორც დავინახეთ, თეიმურაზის პოეზიაშიც".[6] სუფიზმის იდეოლოგიის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ თეიმურაზ პირველი, არჩილი, ვახტანგ VI, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი".[7] „უფრო გაამშვლა შემდეგ ეს ტენდენცია, ყოველ შემთხვევაში სიტყვით, არჩილ მეორემ... ღვთისადმი მიჯნურობა ალეგორიურად წარმოდგენილი უნდა ჰქონდეს არჩილს... აგრეთვე ნაწარმოებში: „ა სულ ასულა, მჭვრეტნი დასულა". უფრო მაღალ საფეხურზე ეს ტენდენცია აიყვანეს შემდეგ ვახტანგ მეექვსემ და დავით გურამიშვილმა".[8] „რელიგიური სულითაა გაჟღენთილი ყველა თითქმის მისი (არჩილის. — რ. თ.) თხზულება, რომელთაგან ზოგიერთი სუფისტური ტენდენციის ცხადლივი მატარებელია".[9] „ღვთაება და სამშობლო მას (ვახტანგ მეექვსეს. — რ. თ.) გამოყვანილი ჰყავს როგორც კეკლუცი სატრფო და დამოკიდებულება მათთან — როგორც ტრფობა მოტრფიალესა და სატრფოს შორის. ამ შემთხვევაში ვახტანგმა პრაქტიკულად განახორციელა ის, რაც ცოტა ხნის შემდეგ მამუკა ბარათაშვილმა თეორიულ დებულებად წამოაყენა თავის ჭაშნიკში... თავის ნაწერებში ვახტანგი სატრფიალო ლექსებით „ეაშიყება" ღმერთს, ეკლესიას, წმიდანებს... ამ მიმართულებით ის ამტკიცებს ჩვენს მწერლობაში ალეგორიულ-სიმბოლისტურ მიმართებას, რომელშიც ისმის სუფისტური პოეზიის ნოტები".[10]

თეიმურაზ პირველის შემოქმედებაში, როგორც ნათარგმნში, ისე ორიგინალურში, მართლაც დიდი ადგილი ეთმობა სიმთვრალესა და სიყვარულს, მაგრამ არსად მინიშნებაც კი არ არის იმისა, რომ სიმთვრალე და სიყვარული ემსახურებოდეს იმ მიზანს, რომ ადამიანი „განთავისუფლდეს საკუთარი მე-საგან, დაივიწყოს თავისი თავი" და ღმერთს შეერწყას, რომ „ქვეყნიური სიყვარული ალეგორიაა ზეციური, ღვთაებისადმი სიყვარულისა". კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ თეიმურაზი ან საერთოდ არ იცნობს საღმრთო მიჯნურობის იდეას, ან განზრახ გვერდს უვლის, უგულვებელყოფს მას. საღმრთო მიჯნურობა თეიმურაზის შემოქმედებაში არსად იპოვება. არსად იპოვება, აგრეთვე, „სუფისტური ნოტები", საერთოდ, სუფიზმი. ვფიქრობ, თეი-

5. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. II, 1941, გვ. 516.

6. იქვე, გვ. 518.

7. კ. კეკელიძე, ეტიუდები... II, 1945, გვ. 286 (რუსულად).

8. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. II, 1941, გვ. 518.

9. იქვე, გვ. 535.

10. იქვე, გვ. 552-553.

მურაზს არც განსწავლულობა ეყო, არც ნიჭი, არც სულიერი სიღრმე საიმისოდ, რათა საღმრთო მიჯნურობის რთულ პრობლემატიკას გამოსდევნებოდა, მისი ინტერესთა სფერო მიწიერი სიყვარულის ტრაფარეტულ ფორმებსა და ქრისტიანული ალმსარებლობის საეკლესიო დონეს არ გასცილებია.

ამ უკანასკნელ მოსაზრებას, გარდა სხვა მომენტებისა, ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი უნდა უჭერდეს მხარს.

საქმე ის არის, რომ თეიმურაზ პირველი თავის ნაწარმოებებში რამდენჯერმე ახსენებს დიონისე არეოპაგელს. „შამი-ფარვანიანში" ამგვარი სტროფიც გვხვდება: „დიონოს ბრძენმან მოგვითხრა ანგელოზთ განწყობილობა, იგ ცხრა დას-დასი გუნდობა, უკანა ანუ წინობა, წმინდა არსობით ხმობა და იგ გალობისა ტკბილობა, ვერც ხილვა შენი, ვერ ცნობა, ვერცა რას მიწდომილობა". ეჭვი არ არის, ამის დამწერი კარგად იცნობს არეოპაგელის ტრაქტატს „ზეციური იერარქიისათვის" („ზეცათა მღდელმთავრობისათვის"). მაგრამ იცნობს თუ არა თეიმურაზი არეოპაგელის სხვა შრომებს, კერძოდ, ტრაქტატს „საღმრთოთა სახელთათვის" (ეს კითხვა იმიტომ აღიძვრის, რომ სიყვარულის არეოპაგიტული მოძღვრება, როგორც ითქვა უკვე, სწორედ ამ ტრაქტატშია დამუშავებული)? ნაცნობობის სასარგებლოდ ის ფაქტი უნდა მეტყველებდეს, რომ არეოპაგიტული კორპუსის ქართული ხელნაწერები, როგორც წესი, არეოპაგელის ხუთსავე თხზულებას ერთად წარმოადგენს ხოლმე.11 თუ ეს ვარაუდი სწორია და ხსენებულ ტრაქტატს გაცნობილმა თეიმურაზმა საღმრთო სიყვარულის მოძღვრება მაინც უგულებელყო (ანდა უბრალოდ ვერ აღიქვა ეს მოძღვრება, ვერ ჩასწვდა მას), ეს დამატებითი საბუთი იქნება ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისის გასამაგრებლად, რომლის თანახმადაც თეიმურაზმა თარგმნილ ნაწარმოებებშიც კი ნებსით თუ უნებლიეთ თავი აარიდა სიყვარულის სუფისტურ მოძღვრებას, რომ მას არ თუ ვერ აინტერესებდა მსგავსი პრობლემები.

მაგრამ, თეიმურაზ პირველისგან განსხვავებით, საღმრთო მიჯნურობა სრულიად უეჭველი ფაქტია როგორც არჩილის, ისე ვახტანგ მეექვსის, მამუკა ბარათაშვილის (მხედველობაში მაქვს არა პოეზია მისი, არამედ „ჭაშნიკი"), დავით გურამიშვილის შემოქმედებაში. ამ ფაქტს პირველად აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ მიაპყრო ყურადღება და ეს არის მისი უდავო დამსახურება. ოღონდ კ. კეკელიძე, ჩემი აზრით, ცდებოდა იმაში, რომ სუფიზმის გავლენით ხსნიდა ამ მოვლენას.

კ. კეკელიძემ მიუთითა ორ შემთხვევაზე, რომლებშიც დასტურდება საღმრთო მიჯნურობის მოტივი არჩილის შემოქმედებაში. ერთია არჩილის მიერ გალექსილი „ვისრამიანის" მე-17 სტროფი, სადაც არჩილი ამბობს, რომ ძველი დროის ბრძენმა მელექსეებმა სამიჯნურო ამბები „ამად თქვეს, მათმან ნათქვამმან შენს (ფრაზა ღმერთს მიემართება, რ. თ.) მიჯნურობას მიგვზიდოს, შენ გეტრფიალნენ მონანი, შენს სურვილს თვისად მიზიდოს". მეორეა „ანბანთქებებში" შესული ლექსი „ა სულ ასულა, მჭვრეტნი დასულა".

ამ თვალსაზრისით არჩილის შემოქმედების შესწავლა ცხადყოფს, რომ საღმრთო მიჯნურობის დამადასტურებელი ფაქტები მის შემოქმედებაში კ. კეკელიძის მიერ მითითებული მაგალითებით არ ამოიწურება.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს იგივე შესავალი არჩილის მიერ გალექსილი „ვისრამიანისა", სადაც 16-24-ე სტროფებში საღმრთო მიჯნურობის მთელი თეორია არის ჩამოყალიბებული. მართალია, აქ ვერ ვპოვებთ იმ სიმწყობრესა და სინათლეს, რაც რუსთაველს ახასიათებს ხოლმე მსგავს შემთხვევებში, მართალია, საღმრთო მიჯნურობის ეს თავისებური „მანიფესტი" შესრულებულია არჩილისათვის ჩვეული ერთობ მდარე ლექსით, მაგრამ, პოეტურ ასპექტებსა და გემოვნების კაპრიზებს წუთით მაინც თუ დავეხსნებით, თავისთავად უნიკალურ მოვლენასთან გვექნება საქმე.

ოღონდ ამჯერად ჩვენთვის ის არის განსაკუთრებით საგულისხმო, რომ მთელი ეს თეორია საღმრთო მიჯნურობისა აბსოლუტურად ქრისტიანული თვალთახედვით არის დამუშავებული, ქრისტიანული ცნებებისა და წარმოდგენების ორბიტას ერთი ნაბიჯითაც არსად სცილდება. საღმრთო მიჯნურობის ამოსავალ დებულებად მიჩნეულია სწორედ სახარებისეული სწავლა (რომელსაც თავის დროზე ფსევდო-დიონისე არეოპაგელიც ემყარებოდა): „ღვთისმეტყველმან სიყვარული ჭეროვანი მას უწოდა, ღმერთი არსო სიყვარული, — ყოვლთა მიზდა მიგვიწოდა" (შდრ. I იოანე, 4,8).

დაახლოებით იგივეა ნათქვამი არჩილის „იამბიკო ლექსების" 15-18, მე-20 და 31-ე სტროფებში. ამ უკანასკნელ სტროფში ყურადღებას ისიც იპყრობს, რომ ღმერთის მიმართ გამოყენებულია არეოპაგიტული ტერმინი „სასურველი" (შდრ. „საღმრთოთა სახელთათვის", თავი IV, პარ. 7).

საღმრთო მიჯნურობას ვპოვებთ აგრეთვე არჩილის ვრცელ ნაწარმოებებში „ლექსნი აქაიქ ნათქვამი". აქ, ისევე როგორც კ. კეკელიძის მიერ მითითებულ ლექსში — „ა სულ

11. იხ. ს. ენუქაშვილის გამოკვლევა, რომელიც წინ უძღვის პეტრე იბერიელის (ფსევდო-დიონისე არეოპაგელის) შრომების 1961 წლის ქართულ გამოცემას, გვ. 015–030.

ასულა", უკვე წმინდა ალეგორიასთან გვაქვს საქმე: პოეტი აღწერს უტურფეს, იგავმიუწვდენელ არსებას და გულისხმობს ღმერთს. ამ არსების მომხიბვლელობა იმდენად დიდი იყოო, ამბობს არჩილი, რომ — „მოშორვებით ბრძენნი ისხდეს, ყველა ვინმე მას ამკობდა. დევანოსიმ თქვა ენოსით: დავშვერი მისის ქებითა". ამისწამკითხველთ, რაღა თქმა უნდა, მაშინვე მოგვაგონდება „თამარიანის" დასაწყისი სტროფი: „მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო, თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა, დიონოსითგან, ვით ენოსითგან სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა!" ჩვენს წინაშეა კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციის აშკარა გამოვლინება. მაგრამ, გარდა ამისა, აქ სხვა რამეც არის: ჩახრუხაძე ფილოსოფოსთ რომ მოუწოდებდა — თამარი თქვენ შეაქეთო, ეს სრულიად გასაგები იყო, თავისი დროის ტრადიციას გამოხატავდა (შეადარეთ რუსთაველი: „მე ვინ ვაქებ, ათენს ბრძენთა ხამს აქებდეს ენა ბევრი"). მაგრამ არჩილის ლექსში „დევანოსი" (დიონისე არეოპაგელი) ნამყო დროს ხმარობს: „დავშვერი მისის ქებითა". როდის, სად აქო არეოპაგელმა ტურფა ასული? ცხადია, ავტორი აქ შიფრავს თავის ალეგორიას — ტურფა ასულის სახით იგულისხმება ღმერთი, ხოლო ღმერთის ქებით არეოპაგელი დიდად რომ დაშვრა მართლაც, ამის დადასტურება ლექსის ყოველ წამკითხველს შეეძლო, ვისთვისაც კი უცნობი არ იყო არეოპაგიტული თხზულებები.

საბოლოოდ უნდა დავასკვნათ: სალმრთო მიჯნურობის მოძღვრება ქართულ მწერლობაში აალორძინა სწორედ არჩილ მეფემ — არცთუ პირველხარისხოვანმა პოეტმა და მოაზროვნემ. მანამდე ეს მოძღვრება, ჩვენს ხანამდე მოღწეული მასალის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, ხანგრძლივი დროის მანძილზე, რუსთაველის ეპოქის შემდეგ, მივიწყებული იყო. არჩილი, ცხადია, ვერ ავიდა სალმრთო მიჯნურობის ისეთ მაღალ გაგებამდე, როგორსაც რუსთაველი იყო მიწევნილი, მაგრამ თავისი დაკნინებული ეპოქისთვის არჩილის მიერ გადადგმული ნაბიჯი უცნობი სამყაროს აღმოჩენას უდრიდა. ამ მხრივ არჩილმა ფაქტიურად (და თავისდაუნებურად!) შექმნა მთელი სკოლა, რომელშიც შემდგომ გაერთიანდნენ ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი, დავით გურამიშვილი. ოღონდ, წინააღმდეგ აკადემიკოს კ. კეკელიძის თვალსაზრისისა, არც ვახტანგ მეექვსის, არც მამუკა ბარათაშვილის და, მით უფრო, არც დავით გურამიშვილის სალმრთო მიჯნურობას საერთო არაფერი აქვს ხუფიზმთან. მათს შემოქმედებაში თავჩენილი მოტივები სალმრთო მიჯნურობისა ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებიდან, ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან არის ამოზრდილი. ამის ნათელყოფა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს და ამას მიეძღვნება მომდევნო წერილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ პატარიძე

# დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი

მკითხველმა უკვე იცის, რომ 1984 წლის ოქტომბერში დავათის ეკლესიაში ადრე-ქრისტიანული ხანის ქართულწარწერიანი სტელები აღმოჩნდა. ეკლესიის კედლებში ჩაშენებული და თვალისათვის უხილავი სტელები გამომზეურდა. ამის თაობაზე გაზეთ „კომუნისტის“ 1985 წლის 19 მაისის ნომერში გურამ აბრამიშვილის, ზაზა ალექსიძისა და რამინ რამიშვილის ერთობლივი წერილი გამოქვეყნდა — „აღმოჩენა არაგვის ხეობაში“. ამ წერილით მკითხველ საზოგადოებას ემცნო თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სრულიად არაჩვეულებრივსა და ერთერთ საუკეთესო არქეოლოგიურ აღმოჩენას.

ერთობლივი წერილის გამოქვეყნების დროიდან საკმაო ხანმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში არც მეცნიერული არც არქეოლოგიური მუშაობა არ შეწყვეტილა. ზოგი რამ დაზუსტდა, ზოგიც ახალი გამოირკვა. მაგრამ ერთი რამ უცვლელი რჩება: დავათის ქვა-ჯვრების (სტელების) იკონოგრაფიულ მონაცემებსა და ზედწერილებს ქართული კულტურის ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. აღნიშნული სტელების იკონოგრაფიული შინაარსის ამოცნობის შედეგად გამოირკვა, რომ ეს ძეგლები სახვითი ხელოვნების ხერხებითა და ზედწერილების მეშვეობით ქართული მწიგნობრობის შემოღებისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინების საიდუმლოს გვიმხელენ, და არა მხოლოდ...

გ. აბრამიშვილის, ზ. ალექსიძისა და რ. რამიშვილის ერთობლივ წერილში ის უეჭველი ფაქტი დადგინდა, რომ დავათის ქვა-ჯვრები ნაკეთებია მანამდე, ვიდრე დავათის ღვთისმშობლის ეკლესია აიგებოდა. მათ, ამ ძეგლებს, ეკლესიისაგან დამოუკიდებელი ღირებულება და დანიშნულება ჰქონიათ. როგორც ჩანს, შემდგომში დავათის ქვა-ჯვრებს თავისი მნიშვნელობა დაუკარგავთ. ეს თავისთავად საინტერესო გარემოებაა. საკითხავია რატომ მოხდა ასე?! ამის თაობაზე მეცნიერული თვალსაზრისი უნდა გამოითქვას, ოღონდ ამჯერად უმჯობესია მოლოდინს დავჯერდეთ, ვიდრე სტელების იკონოგრაფიულ შინაარსს საბოლოოდ ცხადვყოფდეთ.

ერთი რამ უდავოა: დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის შენებისას, იმ დროისათვის „დრომოჭმული“ სტელები საშენ ქვად ეკლესიის ბურჯის წყობაში ჩაუშენებიათ და ჩაუდუღაბებიათ. ხატოვნად შეიძლება ითქვას: ოდესღაც როცა დავათის ღვთისმშობლის ბაზილიკა აიგო, ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის „უოველი საიდუმლო“ ამ ეკლესიის კედლებში დაიმარხა.

ცხადია ამიტომ, ერთერთ უპირველეს და გადაუდებელ ამოცანად დაისახა ზუსტად გამორკვეულიყო ღვთისმშობლის ბაზილიკური ნაგებობის ხუროთმოძღვრული რაობა და შეძლებისამებრ ზუსტად დადგენილიყო მისი აგების ხანა. ეს თავისთავად გაარკვევდა ღვთისმშობლის ტაძარში სტელების ჩაშენების ხანასაც.

სოფელ დავათის ღვთისმშობლის სატაძრო ნაგებობათა ნანგრევებში მდინარე არაგვის მარცხენა შენაკადის — ნოკორნისხევის (აბანოსხევის) სათავესთან შორიახლო, ტყით დაბურულ მთაზე მდებარეობს. არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე ღვთისმშობლის სატაძრო ნანგრევები ხშირი ბუჩქნარითა და ახწლოვანი ხეებით იყო დაფარული, რაც ამ ძეგლის აღქმასა და შესწავლას აძნელებდა.

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ერთობლივი წერილის სამივე ავტორმა (გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, რ. რამიშვილი) დავათის ეკლესია ორნავიან ბაზილიკად ცნო და VIII-IX საუკუნეებით დათარიღდა. ოღონდ, ტაძრის ასეთი დათარიღების გამო წერილში საგანგებოდ აღინიშნა: „სანამ დავათის ღვთისმშობლის ნანგრევები მთლიანად გათხრილი და გასუფთავე-

ბული არ არის, იგი საკმაოდ დიდი ალბათობით შეიძლება VIII საუკუნით დათარიღდეს".

„საკმაოდ დიდი ალბათობით" იმის გამო, რომ ავტორთა აზრით ტაძარი უფრო გვიანდელიც (IX საუკუნე) შეიძლებოდა ყოფილიყო.

ცხადია, ღვთისმშობლის სატაძრო ერთობლიობა დაუყოვნებლივ უნდა შესწავლილიყო არქეოლოგიურად. რამინ რამიშვილის ხელმძღვანელობით ყინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ უმოკლეს ხანაში მეტად შრომატევადი სამუშაო შეასრულა. 1985 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე დავათის ღვთისმშობლის სატაძრო ერთობლიობა მთლიანად გაიწმინდა ნანგრევებისაგან. ტაძრის აღდგენისა და კონსერვაციის გასაადვილებლად, გათხრების დროს აღმოჩენილი სამშენებლო ქვა დაგროვდა ცალკეული ფასადების გასწვრივ; ასევე ცალკეული ფასადების მიხედვით დალაგდა შირიმის ქვისაგან გამოკვეთილი დეტალები და კვადრები, რომლებიც უხვად ყოფილა გამოყენებული ტაძრის კედლის წყობაში.

არქეოლოგიური სამუშაოების პირველი ეტაპი ამჟამად დასრულებულია. სატაძრო კომპლექსი მთლიანად აიზომა და გამოიხაზა სატაძრო ნაგებობათა გეგმარება. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები კი ჟურნალ „მნათობის" 1986 წლის მე-8 ნომერში გამოქვეყნდა: რამინ რამიშვილის წერილი „არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში". რაკი ეს კვლევა-ძიებანი „მნათობის" მკითხველთათვის უკვე ცნობილია, მკითხველს აქ მხოლოდ მოკლედ შევახსენებთ.

უპირველეს ყოვლისა გაირკვა, რომ დავათის ღვთისმშობლის ტაძარი ორნავიანი ბაზილიკა კი არ არის, როგორც ეს მანამდე იყო მიჩნეული, არამედ განეკუთვნება სამნავიან ბაზილიკათა ისეთ სახეობას, რომელთაც აკად. გ. ჩუბინაშვილი VI საუკუნით ათარიღებდა.

არქეოლოგიურმა კვლევამ ცხადყო, რომ დავათის ბაზილიკის სამივე ნავი ერთდროულად და ერთდროს არის აგებული. ჩრდილოეთი და შუა ნავი ერთ სივრცობრივ მთლიანობას ქმნიან: ჩრდილოეთ ნავს შუა ნავი საკმაოდ მაღალი, ნახევარწრიული თუ ოდნავ ნალისებური წყვილი გამჭოლი თაღით უკავშირდება. და პირიქით, შუა ნავი სამხრეთ ნავს ყრუ კედლით ემიჯნება. ამ ორ ნავს მხოლოდ კარის ღიობი აკავშირებს;

ჩრდილოეთ და სამხრეთ ნავებთან შედარებით შუა ნავი გაცილებით მაღალია, რაც ბაზილიკის სიძველის მომასწავებელია; თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი ეკლესიის საკურთხეველი, რომელიც სამსაფეხურიანი კიბით უკავშირდება ეკლესიის იატაკს და შირიმის ქვით ნაგები კანკელი, რომელიც აბსიდის ხაზზე კი არ დგას, არამედ წინაა წამოწეული, რაც აგრეთვე დამახასიათებელია ადრეული ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის;

კანკელთან მიჯრით დგას შირიმის ქვეშ გამოკვეთილი კვარცხლბეკი, რომელზედაც საკურთხევლის წინ აღმართული ჯვარი იდგა. ესეც ეკლესიის სიძველის მომასწავებელია (ღვთისმშობლის სამხრეთი ნავის ამოწმენდისას, მოყვითალო ქვაში ნაკეთები დიდი ჯვრის ერთ-ერთი მკლავის ნატეხი აღმოჩნდა, რომელიც, რამინ რამიშვილის ვარაუდით, სწორედ საკურთხევლის წინ აღმართული ჯვრის ნაწილი უნდა ყოფილიყო).

ყველა ძირითადი არქიტექტურული ნიშნებისა და სხვადასხვა სატაძრო დეტალების გათვალისწინების შედეგად, რამინ რამიშვილს შესაძლებლად მიაჩნია დავათის ღვთისმშობლის ბაზილიკა VI საუკუნის შუა ხანებითა ან VI საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგით დათარიღდეს.

კერძოდ რ. რამიშვილი ამის თაობაზე წერს:

„როდესაც დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის აგების დროის საბოლოო განსაზღვრის ჯერი დგება, ვფიქრობთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ შენობის გეგმის შედარებით — ტიპოლოგიურ ანალიზს. თავისი გეგმარებით დავათის ღვთისმშობლის ეკლესია დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს კახეთის სამნავიანი ბაზილიკების ერთ განსაკუთრებულ ჯგუფთან, რომელიც კახეთის ხუროთმოძღვრების შესწავლისას პირველად გამოყო აკად. გ. ჩუბინაშვილმა და რომლის ყველაზე ტიპიური ნიმუშებია მატნის ცხრაკარა და ახმეტის ღვთაების ეკლესია. ტიპოლოგიური თვალსაზრისით დავათის ღვთისმშობლის ეკლესიასთან განსაკუთრებით ახლოს დგას ახმეტის ღვთაების ეკლესია, რომელმაც მოგვიანო ხანებში დიდი გადაკეთება განიცადა, მაგრამ თავდაპირველი გეგმით იგი ანალოგიურია დავათის ღვთისმშობლისა. ამ რიგის ძეგლთა მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზი გ. ჩუბინაშვილს საშუალებას აძლევს პროვინციული ქრისტიანული ხურომოძღვრული ნაკადის წიაღში შექმნილი ეს ძეგლები ძირითადად დაათარიღოს VI საუკუნით. ბაზილიკურ ნაგებობათა ამ განსაკუთრებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია ჩრდილოეთი და ცენტრალური ნავების სივრცობრივი მთლიანობა და სამხრეთი ნავისაგან გამყოფი კედელი, რომელიც ყრუ თაღებითაა შემკული, აგრეთვე განსაკუთრებით ამაღლებული შუა ნავი და სამხრეთ ნავში ღია თაღედით შესასვლელი. ამ ძირითადი ნიშნებით და კიდევ სხვა მრავალი დეტალით, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, დავათის ღვთისმშობლის ეკლესია შესაძლებელია დათარიღდეს VI საუკუნის შუა ხანებით ან ამ საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისით" („მნათობი", №8. 1986 წ.).

არ უნდა ვაზვიადებდე თუ დასასრულ ვიტყვი, რომ დავათის ღვთისმშობლის ხატაძრო გორაზე უზარმაზარი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩატარდა. დავათის ღვთისმშობლის ტაძრის თაობაზე კი არქეოლოგმა რამინ რამიშვილმა საკმაოდ დამაჯერებელი და საფუძვლიანი თვალსაზრისი გამოთქვა.

უთუოდ სასურველია, საამისოდ ყველა პირობა არსებობს, ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა და ქართული ხუროთმოძღვრების სპეციალისტებმა მოიხილონ ქართული კულტურის ძველთა-ძველი კერა — დავათის ღვთისმშობლის ბაზილიკა და ძეგლის შესახებ წერილობითი სახით საკუთარი თვალსაზრისი გამოთქვან. მეტი საფუძველი გვექნება ვიცოდეთ, თუ როდის დაიმარხა ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის „ყოველი საიდუმლო“ დავათის ღვთისმშობლის ტაძარში.

დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის დათარიღების შემდგომ, დავათის სტელების დათარიღების ჯერი დგება. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მქვსი სხვადასხვა სტელის მომცრო თუ მოდიდო ნაწილები აღმოჩნდა. ყველა ექვსივე სტელის ნაწილები „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილში აღწერილი აქვს რამინ რამიშვილს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სტელები ერთ თემატურ რკალს განეკუთვნება და ერთ იკონოგრაფიულ თემას ეძღვნება. ამიტომ გამორიცხული არ არის ყველა სტელა დაახლოებით ერთ დროს იყოს ნაკეთები. ამათგან ყველაზე უკეთ ჩვენამდე მოაღწია იმ სტელამ, რომელზედაც ქართული ანბანი აღმოჩნდა. ამ სტელის ქვაში გამოკვეთილი იკონოგრაფიული კომპოზიცია თითქმის მთლიანად გადარჩენილია. ერთიანი კომპოზიცია ორი — ზედა და ქვედა მონაკვეთისაგან შედგება. ზედა მონაკვეთზე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს ხელთ უპყრიათ ჭილის გაშლილი გრაგნილი. გაშლილ გრაგნილზე, ანბანური რიგის შესაბამისად, ჩამოწერილია 37 ასო-ნიშანი ქართული ანბანისა. მთავრული ასო-ნიშნები ქვაზე ამოკაწრულია გაკრული მწიგნობრული ხელით. ქართული ანბანის 37 ასო-ნიშანი ხატოვნად ქართულ ენას აღნიშნავს. (სახვითმა ხელოვნებამ ქართული ენა ამგვარად გამოსახა). ხოლო გაშლილ გრაგნილზე ასო-ნიშნების შესრულების გაკრული ხელი ქართული მწიგნობრობის აღმნიშვნელია.

მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები ღვთის ნება-სურვილით ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის მოსვლას გვამცნობენ. ასეთია ერთიანი კომპოზიციის ზედა მონაკვეთის იკონოგრაფიული შინაარსი.

ერთიანი კომპოზიციის ქვედა მონაკვეთზე გამოსახულია ორი ხელისუფალი (en face), ვარაუდად ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის ორი მესვეური. ორთავე ხელისუფალს ცალ-ცალი ხელი მაღლა აღუმართავთ და ურთიერთისათვის ჩაუჭდიათ, ან, გამორიცხული არ არის, ხელთ ძალაუფლების აღმნიშვნელი ინსიგნია სჭეროდათ (აქ იკონოგრაფია დაზიანებულია), ხოლო მეორე ხელით ორივე ხელისუფალი ზედა კომპოზიციის ქართულ ანბანს უთითებს.

ამგვარად, ორივე, ზედა და ქვედა კომპოზიციას გაშლილი გრაგნილის ქართული ანბანი აერთიანებს. ე. ი. ამ კომპოზიციათა ერთიანობას ქართული ანბანი უნდა ცხადყოფდეს. კვლევა-ძიებამ გაარკვია, რომ გაშლილ გრაგნილზე ჩამოწერილ ქართულ ანბანში საიდუმლოდ სამი ძირითადი თარიღია მოცემული. რატომ არის ეს თარიღები გასაიდუმლოებული? უნდა ვიფიქროთ, იმდროინდელი მრწამსია ამით გამოხატული, რაკი:

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

ამ სამ თარიღთაგან ორი თარიღი ქართულ ენასა და ქართულ მწიგნობრობას შეეხება. ერთი თარიღია ძვ. წ. 284 წელი. ეს თარიღი, როგორც ცნობილია, ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღია; მეორე თარიღია ახ. წ. 311 წლის 25 მარტი. ეს მეორე თარიღი, როგორც ქვემოთ გაირკვევა, ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინების თარიღია.

თუ ქართული მატიანეების ცნობებს გავითვალისწინებთ ამ თარიღებს ორი პიროვნება უკავშირდება: ფარნავაზ მეფე (ძვ. წ. IV-III სს.) და მირიან მეფე (ახ. წ. III-IV სს.).

1. ქართული მატიანე — „ცხოვრება ფარნავაზისი“:

„ესე ფარნავაზ იყო — პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

2. „ქართლის ცხოვრების“ ქრონოლოგიური ჩანაწერი XVII საუკუნისა: „აქა მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა ქართული ადამს აქეთ ძლიბ წელს“ (ე. ი. ძვ. წ. 284 წ.).

3. ქართული მატიანე — „ცხოვრება მირიანისი“:

„და აღიზარდა მირიან მსახურებასა მას შინა შვიდთა მათ კერპთასა და ცეცხლისასა. ხოლო შეიყუარნა ქართველნი, და დაივიწყა ენა სპარსული და ისწავლა ენა ქართული. და ჰმატა შემკობა კერპთა და ბომონთა, კეთილად იპყრნა ქურუმნი კერპთანი, და ყოველთა მეფეთა ქართლისათა უმეტეს აღასრულებდა მსახურებასა მას კერპთასა, და შეამკო საფლავი ფარნავაზისი. ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათ-

ვის ქმნა, და კეთილად იპყრნა ქართველნი ნიჭითა და ყოვლითა დიდებითა“...

ფარნავაზ მეფის ზეობის წლებია: ძვ. წ. 308 (2—ძვ. წ. 238) 7 წწ. ე. ი. ძვ. წ. 284 წელს ქართული ენა და მწიგნობრობა შემოღებულია ფარნავაზ მეფის მიერ. იგი ფარნავაზ მეფეა დავათის სტელაზე ქართული ენისა და მწიგნობრობის ერთერთი მესვეური. მირიან მეფის ზეობის წლებია: ახ. წ. 265-342 წწ. (ვახუშტი ბატონიშვილით). ე. ი. ახ. წ. 311 წელს ქართული ენა და მწიგნობრობა აალორძინა მირიან მეფემ. იგი მირიან მეფეა დავათის სტელაზე ქართული ენისა და მწიგნობრობის ერთ-ერთი მესვეური.

ამგვარად, დავათის სტელის კომპოზიციის ქვედა მონაკვეთზე გამოსახულია ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის ორი მესვეური — ფარნავაზ და მირიან მეფენი. თარიღი — ძვ. წ. 284 წელი ფარნავაზ მეფის თარიღია, ხოლო თარიღი — ახ. წ. 311 წლის 25 მარტი მირიან მეფის თარიღია.

როგორც უკვე ცნობილია, ქართული ენისა და მწიგნობრობის შემოღების თარიღი ერთდროულად ქართული წელთაღრიცხვის დასაბამი თარიღიცაა. აგრეთვე გამორკვეულია, რომ ქართული წელიწადის საწყისად მიჩნეული იყო მზის საგაზაფხულო ბუნიობა. ასტრონომიულად დადგენილია, რომ ძვ. წ. 284 წელს გაზაფხულის ბუნიობა ზუსტად 25 მარტს მოდიოდა. სწორედ ამ დროიდან მიაჩნიათ ქართველებს წელიწადის დასაწყისად 25 მარტი.

დავათის სტელის ქართულ ანბანში მოცემულია თარიღი 5820 წელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული დასაბამითაგან ათმა 532-წლიანმა ციკლმა განვლო და ეს თარიღი ძვ. წ. 285 წლით დასრულდა. შესაბამისად მინიშნებულია, რომ მე-11 532-წლიანი ციკლი ძვ. წ. 284 წლის 25 მარტს იწყება.

შეიძლება დავასკვნათ: დავათის სტელის ქართულ ანბანში ქართული ენისა და მწიგნობრობის ორი თარიღი დასტურდება:

1. ძვ. წ. 284 წლის 25 მარტი და
2. ახ. წ. 311 წლის 25 მარტი.

ვფიქრობ, საბოლოოდ გაირკვა, რომ თარიღი ძვ. წ. 284 წლის 25 მარტი ქართული ენისა და მწიგნობრობის შემოღებისა და ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამი თარიღია. ეს თარიღი ქართულ წყაროებში უკვე სამგზის დასტურდება: ერთგზის „ქართლის ცხოვრების“ XVII საუკუნის ქრონოლოგიურ მინაწერში; მეორედ — თარიღიან ქართულ თხზულებაში 342 წლისა — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ (იხ. რ. პატარიძე — „ქება ქართული ენისა“ „მნათობი“, 1987 წ. № 1; ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე — „კალენდარულ-ქრონოლოგიური მაჩვენებელი 94 წელი და ქართული წელთაღრიცხვა“, „მნათობი“, 1987 წ. № 2); ხოლო ახლა მესამე გზის იგივე თარიღი დავათის სტელაზე დადასტურდა. ოღონდ, დავათის სტელაზე თარიღი ძვ. წ. 284 წლის 25 მარტი ქართული ენისა და მწიგნობრობის პირველმოსვლის თარიღია. შესაბამისად, დავათის სტელის თარიღი ახ. წ. 311 წლის 25 მარტი ქართული ენისა და მწიგნობრობის მეორედ მოსვლის თარიღია.

რატომ ვფიქრობ ასე?!

საქმე ის არის, რომ დავათის სტელის იკონოგრაფიული კომპოზიცია გაცილებით მეტ ცნობებს შეიცავს და გაცილებით მრავლისმეტყველია. ამ მიმოხილვით წერილში მთელი სისრულით ამ ცნობების განხილვას არ ვაპირებ, ოღონდ ზოგ-ზოგი საკითხის შესახებ შედარებით მოკლედ ვიტყვი.

აკაკი ბაქრაძემ „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ს განხილვისას ერთ-ერთ წერილში ძალიან კარგად თქვა, რომ „ქებაჲ“-ში ქართული ენა უფლის ენაა. მართლაც: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა, მესიისა საწამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

რაკი ქართული ენა უფლის ენაა, ამით მინიშნებულია მისი ლოგოსური ბუნება. ადრე-ქრისტიანული ქართული ღმრთისმეტყველური მრწამსით ქართული ენა არის „სიტყუაჲ ღმრთისაჲ“. ამიტომ არის იგი „დამარხული“ ანუ საიდუმლოდ შენახული და ამიტომვე:

„ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

იგივე ქართული ღმრთისმეტყველური მრწამსია იკონოგრაფიულად გადმოცემული დავათის სტელაზე.

ქართული ენა უფლის ენაა, ქართული ენა ღმრთის სიტყვაა, რაკი მის მოსვლას მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები გვამცნობენ; როგორც ცნობილია, მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები ღვთის წინაშე მდგომელი და ღვთის ნების აღმსრულებელი ანგელოზები არიან; ორივენი ღვთის ნების მაუწყებელი ანგელოზები არიან. მაგრამ გარდა ამისა, მიქაელ მთავარანგელოზი ღვთის წინაშე მდგომელი მწერალი ანგელოზი და საიდუმლო დამწერლობათა მფარველი და მცველი მთავარანგელოზია.

ცხადია, უფლის ენის — ქართული ენის მოსვლა ფარნავაზ და მირიან მეფეთათვის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს უნდა ეუწყებინათ.

ქართული ენა უფლის ენა რომ არის, ამას დავათის სტელაზე კიდევ ერთი გარემოება ცხადყოფს.

კარგა ხანია შემჩნეულია და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების მიერ გაშლილ გრაგნილს თევზის მოყვანილობა აქვს. ანგელოზებს შორის დადაბლებული სიბრტყე — რელიეფურ გამოსახულებათა ფონი ერთ შემთხვევაში აღიქმება როგორც გაშლილი გრაგნილი, მაგრამ მეორე შემთხვევაში შეიძლება თევზი დავინახოთ.

თევზი თავ-ქვეა გამოსახული, ე. ი. შვეულად ზემოდან ქვემოთ ეშვება. როცა თევზის გამოსახულებას ვუყურებთ, მაშინ ძალა-უნებურად მის რელიეფურ მოქნეულ კუდსაც დავინახავთ. ასეთ შთაბეჭდილებას ანგელოზთა მოხრილი ხელის თითები ჰქმნიან.

სტელაზე რომ მართლაც თევზია გამოსახული და თევზია ნაგულისხმევი, ამას მისი თავისა და სხეულის გამყოფი ჰრილი მოწმობს. მაგრამ ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვის სიბრტყე აქ რაიმე შემთხვევის გამოისობით დაზიანდა? ასეთი ვარაუდი გამორიცხულია, რადგან ჰრილი ქვაში საგულდაგულოდ და დიდი ხელოვნებით არის გამოკვეთილი. ცხადია, ხელოვანმა საჰრელით ქვაზე თევზის ლაყუჩი გამოსახა. თევზის სამივე ნაწილი — თავი, სხეული და კუდი სახეზეა. თევზის სხეულზე კი ქართული ანბანის ასო-ნიშნები ისეთი წვრილი და მკრთალი ნაკაწრებით არის დასერილი, ერთი შეხედვით თევზის ქერცლის შთაბეჭდილებას ტოვებს.



ცნობილია, ადრექრისტიანულ ხანაში თევზი ქრისტე ღმერთის სიმბოლოა.

«Мифы народов мира» ამის თაობაზე წერს: Не случайна в этом отношении «рыбная метафорика Иисуса Христа прослеживаемая как на формальном уровне, (греческое слово — «рыба» расшифровывалось как аббревиатура греческой формулы «Иисус Христос, божий сын, спаситель»), так и по существу, Иисус Христос иногда называется в ранней христианской литературе «Рыбой» (сравни этот образ в катакомбном искусстве).

როგორც ვხედავთ, ადრექრისტიანულ რომის კატაკომბებში თევზის გამოსახულება ქრისტეს სინონიმად არის მიჩნეული. დავათის სტელაზე უთუოდ ეს ადრექრისტიანული მრწამსი იგულისხმება. თევზის სხეულზე ქერცლის სახით ქართული ანბანი კი იმის მინიშნება უნდა იყოს, რომ ქრისტე ღმერთი და „სიტყუაჲ ღმრთისაჲ" განუყოფელია, ხოლო ქართული ენა ღმრთის სიტყვაა ანუ უფლის — ქრისტე ღმერთის ენაა.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ღმრთისმეტყველების თანახმად, ხარება დღე — 25 მარტი სული წმინდის მოსვლისა და ქრისტე ღმერთის მომავალი მოსვლის მომასწავებელია.

დავათის სტელის იკონოგრაფიული კომპოზიციის ქვედა მონაკვეთზე, როგორც უკვე აღინიშნა, ქართული ენისა და მწიგნობრობის ორი მესვეურია გამოსახული — ფარნავაზ და მირიან მეფენი. ამ გამოსახულებათა შორის სივრცე, ზედა მონაკვეთის ანგელოზთა შორის სივრცის მსგავსად, აგრეთვე დახშულია. თუ კომპოზიციის ზედა მონაკვეთზე თევზი იკითხება, ქვედა მონაკვეთის დახშული სივრცის მოხაზულობა გაცილებით მარტივი და თვალსაჩინოა — ტოლფერდა ჩამოგრძელებული სამკუთხედი, რომლის წვერი ბოლომდე დაბლა ეშვება. ნიშნეულია, რომ კომპოზიციის ორივე დახშული სივრცის მიმართულებაა ზემოდან ქვემოთ (როგორც თევზისა, აგრეთვე სამკუთხედისა).

ქვედა დახშული სივრცის მოხაზულობა ტოლგვერდა სამკუთხედი რომ ყოფილიყო, სამების აღმნიშვნელი იქნებოდა. მაგრამ რაკი სამკუთხედი ჩამოგრძელებულია და დაბლა ეშვება, ვფიქრობ, სული წმინდის მოსვლა უნდა იგულისხმებოდეს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დავათის სტელის იკონოგრაფიული კომპოზიცია ასე უნდა განიმარტოს:

ძვ. წ. 284 წლის 25 მარტს სული ღვთისა (ქრისტიანულ ხანაში სული წმინდა), მადლი ღვთისა გადმოვიდა ფარნავაზზე და მიქაელ და

გაბრიელ მთავარანგელოზებმა ფარნავაზ მეფეს ღვთის სიტყვის — ქართული ენის მოსვლა ამცნეს; ღმრთის სიტყვის — ქართული ენის მოსვლა ქრისტე ღმრთის პირველმოსვლის მომასწავებელია;

ახ. წ. 311 წლის 25 მარტს სულიწმინდა გადმოვიდა მირიან მეფეზე და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებმა მირიან მეფეს ღვთის სიტყვის ქართული ენის მეორედ მოსვლა ამცნეს. ღმრთის სიტყვის — ქართული ენის მეორედ მოსვლა ქრისტე ღმრთის მოსვლის მომასწავებელია.

ამგვარად, დავათის სტელა ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის პირველ მოსვლასა (ძვ. წ. 284 წ: 25 მარტ.) და ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის მეორედ მოსვლას (ახ. წ. 311 წ. 25 მარტი) გვამცნობს.

როგორ უნდა გავიგოთ ქართული ენის მეორედ მოსვლა ქრისტიანულ ხანაში, სახელდობრ 25 მარტს, ხარება დღეს?

ასე ვფიქრობ: დავათის სტელას იკონოგრაფია ქართული ენის აღორძინებასა და მკვდრეთით აღდგომას უნდა გულისხმობდეს.

აკაკი ბაქრაძის თქმისა არ იყოს, ქართულმა ენამ ქრისტეს ცხოვრების გზა განვლო: ცოცხლობდა, მოკვდა და მკვდრეთით აღდგა. რატომ აღდგა, ქართული ენა მკვდრეთით ხარება დღეს? ასე ვფიქრობ, დავათის სტელის შემსრულებლისათვის ცნობილია როგორც ქართული ენის აღორძინების თარიღი, აგრეთვე ის ქრისტიანული ტრადიციული მრწამსი, რომლის მიხედვით ქრისტე მკვდრეთით აღდგა ახ. წ. 81 წლის 25 მარტს, ხარება დღეს.

ახ. წ. 311 წლის 25 მარტს ხარება დღეს აღდგომაც იყო.

ამგვარად, დავათის სტელა იმას მიგვანიშნებს, რომ ქართული ენა, ქრისტე ღმრთის მსგავსად, მკვდრეთით აღდგა აღდგომა დღეს. ხარება დღე და აღდგომა დღე ორივე შემთხვევაში 25 მარტს მოდის.

ქართული ენა რომ მკვდრეთით აღმდგარი და აღორძინებული ენაა, ამას რამდენადმე ქართული მატიანე „ცხოვრება მირიანისი“ უნდა მოწმობდეს:

„ამან მირიან დაივიწყა ენა სპარსული და ისწავა ენა ქართული... და შეამკო საფლავი ფარნავაზისი...“

უთუოდ აქ, ქართული მატიანე, ქართული ენის აღორძინებას გულისხმობს.

ქართული ენა, რომ მკვდრეთით აღმდგარი ენაა, ამას ქართული თხზულება — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ გვამცნობს:

„და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“..

ქართული ენა, რომ მკვდრეთით აღმდგარი ენაა, ამასვე მოწმობს კიდევ ერთი ქართული ძეგლი — ბრდაძორის სტელა. ბრდაძორის სტელაზე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები სუდარაში გახვეული ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას გვამცნობენ. დავათისა და ბრდაძორის სტელებზე გამოსახული იკონოგრაფიული სცენები ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თუ ერთგან — დავათის სტელაზე — მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები ქართული ენის მეორედ მოსვლას გვაუწყებენ, მეორეგან — ბრდაძორის სტელაზე — ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას გვამცნობენ ამასთანავე, ბრდაძორის სტელაზე მიქაელ მთავარანგელოზი ლაზარეს მეორედ მოსვლას საუვირით გვატყობინებს.

რა თქმა უნდა, ბრდაძორის სტელაზე, არა ლაზარეს მეორედ მოსვლა, არამედ ქართული ენის მეორედ მოსვლა იგულისხმება, რაკი „სახარებასა შინა ამას ენასა (ქართულ ენასა) ლაზარე ჰრქვიან“.

უნდა ვიფიქროთ, ქართული ენისა და მწიგნობრობის აღორძინების ისტორიული სინამდვილე, მხატვრულად, ჯერ ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში აისახა. ამის ცხადმყოფელია ქართული თხზულება მე-4 საუკუნისა — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“, ხოლო შემდეგ, მხატვრულად ასახული ეს სინამდვილე, სახვით ხელოვნებაშიც განხორციელდა, რისი ცხადმყოფელიცაა დავათისა და ბრდაძორის სტელები. ცხადია, ჯერ „ქებაჲ და დიდებაჲ...“ უნდა დაწერილიყო, მერე კი დავათისა და ბრდაძორის სტელები უნდა აღმართულიყო.

ერთი რამ უეჭველია: მე-4 საუკუნის დამდეგიდან საქართველოში ეროვნული ქართული კულტურის აღორძინება იწყება. ქართულმა ენამ და ქართულმა მწიგნობრობამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მოიპოვა. მე-4 საუკუნის საქართველოში ქართული ენისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინებას ოთხი სხვადასხვა ქართული ძეგლი გვაუწყებს:

1. ქართული მატიანე — „ცხოვრება მირიანისი“;

2. ქართული მხატვრული თხზულება — „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“;

8 სახვითი ხელოვნების ძეგლი — დავათის სტელა;

4. სახვითი ხელოვნების ძეგლი — ბრდაძორის სტელა.

ამ ძეგლთაგან ქართული მხატვრული თხზულების — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“-ს შექმნის თარიღი უკვე გამორკვეულია. ეს ძეგლი თარიღიანი თხზულებაა ახ. წ. 342 წლისა. შესაბამისად, დავათისა და ბრდაძორის სტელები შექმნილია 842 წლის შემდეგ. შესაძლებელია თუ არა დავათისა და ბრდაძორის სტელები დათარიღდეს? — ორივე სტელაზე მე-4 საუკუნის ქართული ისტორიული სინამ-

დვილეა ახსნული. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, სტელები ვერ შეიქმნებოდა უადრეს 842 წლისა. ეს, თუ გნებავთ, სტელების შექმნის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია.

სტელების დათარიღება შესაძლებელია, თუ ჩვენ მათ შინაარსობრივი, ქრისტოლოგიური, იკონოგრაფიული და პალეოგრაფიული თვალსაზრისით განვიხილავთ.

შინაარსობრივად, დავათისა და ბრდამორის სტელები ღვთის სიტყვის — ქართული ენის მკვდრეთით აღდგომასა ანუ ქართული ენის მეორედ მოსვლას გვაუწყებენ. რაკი ქართული ენა ღვთის სიტყვაა, ქართული ენის პირველმოსვლა ქრისტე ღმრთის პირველ მოსვლის მომასწავებელი იყო; რაკი ქართული ენა — „სიტყვაჲ ღმრთისაჲ“ მეორედ მოვიდა, ქართული ენის მეორედ მოსვლა ქრისტე ღმრთის მეორედ მოსვლის მომასწავებელია; მოახლოვებულია ჟამი ქრისტე ღმრთის მეორედ მოსვლისა. ადრე ქრისტიანული ქართული მრწამსით ქრისტეს მეორედ მოსვლა ქართული წელთაღრიცხვით უნდა მოხდეს: ქართული დასაბამიდან 6.000 წლის თავზე, ე. ი. ახ. წ. 896 წელს.

დავათისა და ბრდამორის სტელების იკონოგრაფიული შინაარსის დედააზრი სწორედ ეს არის: გარდუვალია ქრისტე ღმრთის მეორედ მოსვლა ახ. წ. 896 წელს.

ცხადია, დავათისა და ბრდამორის სტელები გარდუვალი მეორედ მოსვლის მოლოდინის ამსახველი ძეგლებია.

ამგვარად, 896 წელი სტელების შექმნის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია, ხოლო 842-896 წლების ქრონოლოგიური პერიოდი სტელების შექმნის ჟამეულად უნდა მივიჩნიოთ.

დავათის ქვა-ჯვრის იკონოგრაფიული კომპოზიციის მოკლე მიმოხილვის შემდგომ, დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი პალეოგრაფიული თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ.

რატომ არის ჩამოწერილი დავათის სტელაზე ქართული ანბანი თავიდან ბოლომდე? იმიტომ რომ ქართული ანბანი ხატოვნად ქართულ ენას აღნიშნავს. ქართული ენა კი ღმრთის სიტყვაა. ადრექრისტიანული მრწამსით „სიტყვაჲ ღმრთისაჲ“ და ქრისტე ღმერთი განუყოფელია. ქრისტე ღმერთი ღვთის სიტყვად იწოდება: „და წოდებულ არს სახელი მისი: სიტყვაჲ ღმრთისაჲ“ (გამოცხადება იოანესი. 19.13).

„მე ვარ ანი და ჰოე — იტყვის უფალი ღმერთი — პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ .

დავათის სტელაზე ამიტომაც ჩამოწერილია ქართული ანბანი თავიდან ბოლომდე „ან“-იდან „ჰოე“-მდე.

ისლა დაგვრჩენია დავათის სტელის ქართული ასო-ნიშნები პალეოგრაფიულად დავათარიღოთ.

დავათის ანბანის პალეოგრაფიულ დათარიღებას თავისი სიძნელეები ახლავს, ასო-ნიშნები შესრულებულია არა რელიეფურად, როგორც საერთოდ უძველესი ქართული ეპიგრაფიკული წარწერები, არამედ გაკრული, მწიგნობრული ხელით. გარდა ამისა, ასო-ნიშნები გამოსახულია იმდენად მკრთალად და ისე ფრთხილად არის ამოკაწრული, რომ მისი ზუსტი მოხაზულობის ამოცნობა ზოგჯერ ჭირს. მას შემდეგ, რაც წარწერის შესანიშნავი ფოტოგრაფიული პირი გაკეთდა, დავათის სტელაზე ანბანის ყოველი ასო-ნიშნის მოხაზულობა საბოლოოდ დაზუსტდა. გამოირკვა: ასო-ნიშანი „ბან“-ი სტელაზე თავშეკრულია და არა თავგახსნილი (სწორედ იმის გამო, რომ „ბანის“ თავი შეიკრა, შეკრული თავის ქვა ამოტყდა. ამიტომ სტელაზე „ბანი“ თავგახსნილი გვეჩვენება); გამოირკვა: „ჟან“-ის გამოკლებით ყველა, უძველეს ხანაში თავშეკრული, ასო-ნიშანი სტელაზე თავშეკრულია (ჳ, შ, ყ, ბ), რაც შეეხება „ჟან“-ს იგი თავგახსნილია სულ სხვა მიზეზის გამო, რის შესახებ ცალკე მექნება საუბარი;

ასო-ნიშან „ჯან“-ს სტელაზე არქაული მოხაზულობა აქვს. ასეთი არქაული მოხაზულობის „ჯან“-ი დღემდე ცნობილი არ იყო.

საქმე ის არის, რომ ასო-ნიშან „ჯან“-ს დაუკარგეს ჯვარის ფორმა, როცა ქართულ ანბანს ბოლოში „ჰაე“ და „ჰოე“ („ჰოი“) ასო-ნიშნები დაურთეს. „ჯან“-მა დაიბრუნა თავისი ჯვარის ფორმა მხოლოდ VII საუკუნეში, ოღონდ ეს პროცესი თანდათანობით ხდებოდა. დავათის სტელაზე კი „ჯანს“ ეს პროცესი დაწყებულიც არა აქვს.

რაც მთავარია, დავათის სტელაზე აღმოჩნდა ისეთი ასო-ნიშანი, უფრო სწორად ასო-ნიშნის იმდაგვარი მოხაზულობა, რომელიც ქართულმა დამწერლობათმცოდნეობამ არ იცის, მაგრამ იგი ივანე ჯავახიშვილმა იწინასწარმეტყველა.

ასო „პარ“-ის გამო ივანე ჯავახიშვილი წერდა: „რაც უფრო ძველი იქნება ხანა, ასომთავრული „პარ“-ის მარჯვნითი ტოტი შეიძლება უფრო მოკლედ ვიგულისხმოთ“-ო („ქართული პალეოგრაფია“, გვ. 215).

ივ. ჯავახიშვილის ეს ვარაუდი გაიზიარა პავლე ინგოროყვამ, ხოლო შემდეგ მეც ჩემს წიგნში „ქართული ასომთავრული“.

დავათის სტელაზე ასო „პარ“-ის მარჯვენა ტოტი მარცხენა ტოტზე მოკლეა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს გარემოება წარწერის ფოტოგრაფიულ პირზე, რაკი მარჯვენა ტოტის სიმოკლე დამამთავრებელი წერტილით გაცილებით კარგად ჩანს.

ქართული ანბანის შექმნისას, ასო „პარ“-ის მარჯვენა ტოტი ძალიან მოკლე უნდა ყოფილიყო. ახ. წ. II საუკუნიდან, ჩემი ადრე გამოთქმული ვარაუდით, უნდა დაწყებულიყო ასო

„პარ“-ის მარჯვენა ტოტის თანთადანობითი ზრდა ზემოთ, ხოლო მე-4 საუკუნის დამდეგს მარჯვენა ტოტი მარცხენა ტოტს უნდა გატოლებოდა. („ქართული ასომთავრული“, გვ. 205).

ცხადია ამიტომ, მე-4 საუკუნეში, მომდევნო საუკუნეებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ასო „პარი“ მოკლე მარჯვენა ტოტით არ უნდა აღმოჩენილიყო. დავათის სტელაზე კი აღმოჩნდა, როგორ ავხსნათ ეს?

საქმე ის არის, რომ ასომთავრული ასონიშნები სტელაზე გამოსახულია არა მკაცრი, მონუმენტური სტილით, არამედ გაკრული მწიგნობრული ხელით. ცხადია, წარწერა სტელაზე რელიეფური მონუმენტური დამწერლობით რომ შესრულებულიყო, ასო „პარ“-ის მარჯვენა ტოტი მარცხენა ტოტის ტოლი იქნებოდა. გაკრული ხელით შესრულებულმა წარწერამ ასო „პარ“-ის ძველი მოხაზულობა წარმოაჩინა. უნდა ვიფიქროთ, დავათის სტელის წარწერა შესრულებულია იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არსებობდა ასო „პარ“-ის ძველი მოხაზულობის ცოდნა ან გაკრული ხელით წერისას ასო „პარ“-ის ძველი მოხაზულობა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, მკითხველს თავი რომ არ შევაწყინოთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ:

დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი პალეოგრაფიულად თარიღდება მე-4 საუკუნის პირველი ნახევრით ან უკიდურეს შემთხვევაში მე-4 საუკუნის მეორე ნახევრის დამდეგით.

ჩვენ ვიცით, რომ დავათის ქვა-ჯვარი ვერ შეიქმნებოდა უადრეს 842 წლისა, როცა „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ დაიწერა. ამიტომ, დავათის ქვა-ჯვრის ქართული ანბანი დაახლოებით 850-იანი ან 860-იანი წლებით უნდა დათარიღდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# ბუნების სადარაჯოზე

1931 წელს ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილი. ახალგაზრდა, 28 წლის სპეციალისტს ჩააბარეს სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი მეტყევეობის კათედრა. ვაჟკაცურმა გარეგნობამ, ომახიანმა მეტყველებამ, ენერგიულმა მოქმედებამ, მარილიანმა სჯა-ბაასმა, მცენარეთა ბიოლოგიისა და ეკოლოგიის ღრმა ცოდნამ ქართველ მეცნიერ-მეტყევეს გზა გაუხსნა საზოგადოების ყველა ფენაში.

1935 წელს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვასილ გულისაშვილი უკვე პოპულარული იყო, როგორც მეცნიერი და პედაგოგი, როგორც მეცნიერების ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე. ყველაზე მეტად მაინც იგი ახალგაზრდობას იზიდავდა, იზიდავდა საიდუმლოებებით მოცული ტყესავით. როცა ვასილ გულისაშვილს უსმენდი, თითქოს ვაჟას ზვიად მთებსაც ხედავდი, მთის ჩანჩქერების ხმაც გესმოდა, კლდიდან მოვარდნილ დელგმასაც გრძნობდი, ხარ-ირემიც ბღაოდა, შვლის ნუკრსაც ჩაჩერებოდი თვალებში და მოყმისა და ვეფხის ბალადაც გიხმობდა. ვასილ გულისაშვილი და ტყე, თავისი უსაზღვრო სიცოცხლითა და საიდუმლოებებით, ერთი და იგივე ასპექტში აღიქმებოდა...

მე და ჩემი ამხანაგები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომლები: საშა ლორთქიფანიძე, ბორის ივანოვი და ანტონ გოგნიაშვილი მეგობრულად შევეკედლეთ ვასილ გულისაშვილის ფართო ბუნებას. საშა, როგორც ბოტანიკოსი, საქართველოს მუხებზე მუშაობდა და საქმით იყო მასთან ახლოს, ანტონ გოგნიაშვილი, როგორც სუბტროპიკული ზონის მერქნიან მცენარეთა მცოდნე, ბატონ ვასილს თვით აინტერესებდა. მე და ბორისსაც აღმოგვაჩნდა მასთან შეხების საერთო არე; ვასილ გულისაშვილმა ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის ორი ფაკულტეტი დაამთავრა. სატყეო მეურნეობის 1926 წელს და ქიმიურ-ტექნოლოგიური 1931 წელს. შესანიშნავად ფლობდა ქიმიას და მუდამ ჰქონდა ჩვენთან სასაუბრო საკითხები მცენარეთა ბიოქიმიიდან. განსაკუთრებით აინტერესებდა ეკოლოგიური ბიოქიმია, საქმიანი შეხვედრები ნელ-ნელა გადაიზარდა ახლო ურთიერთობაში და „დაკანონდა“: ყოველი ახალი წელი ჩვენ ოთხს მისთვის შინ უნდა მიგველოცა. ბატონ ვასილს მეუღლე არ ჰყავდა, მაგრამ ყოველთვის შესანიშნავი მასპინძელი იყო, ყველაფერს სადღესასწაულო იერი დაჰკრავდა, თვითონაც ლამაზად ჩაცმული დაგვხვდებოდა ხოლმე. ჩვენს დროს ტარებას ღრეობასთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგიდასთან ისეთი სიტუაცია შეიქმნებოდა, რომ გრძნობა და გონება ერთგვარად კვესავდა. ახალი წლის დილას მასთან გატარებული რამდენიმე საათი მთელი წლის განმავლობაში გვკვებავდა მეგობრული გრძნობებით.

1938 წლის 1 იანვარს ბატონ ვასილს ჩვეულებრივ ვესტუმრეთ ბინაში მოსკოვის ქუჩაზე და ახალი წელი მოვულოცეთ. კვლავ ავივსეთ ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლის სურვილებით, ავმაღლდით შინაგანად და ერთმანეთი კიდევ უფრო მეტად შევიყვარეთ, ხმამაღლა ავამეტყველეთ ოცნებები და დაბეჯითებით ვარწმუნებდით ერთმანეთს, რომ ჩვენი ქვეყანა დევის ნაბიჯებით ივლის წინ... ჩვენთვის განკუთვნილი დრო მიიწურა და მასპინძელმა მეორე სართულიდან ქუჩაზე გამოსასვლელამდე გამოგვაცილა. ჩვენი ტრადიციის მიხედვით ჩვენ ცალ-ცალკე ვემშვიდობებოდით ბატონ ვასილს. ასაკით იგი ყველა ჩვენთაგანზე რამდენიმე წლით უფროსი იყო და ესეც გვავალებდა მასთან დამოკიდებუ-

ლებაში ერთგვარ მოკრძალებას. დაშორებისას ოახრევენი ჯარს შემოვეხვიეთ და ვკითხეთ: ბატონო ვასო, რაშია საქმე, დღეს პირველი ახალი წელია, როდესაც თქვენ საშინაო ხალათ-შარვალში ხართ, თქვენ ხომ ყოველთვის საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი გვხვდებოდით ხოლმე?

—თქვენს მოსვლამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე კარზე ვიღაცამ დააკაკუნა, მე თქვენ მეგონეთ და კარები სასწრაფოდ გავაღე. ორი ახალგაზრდა კაცი ხელში რევოლვერებით თავზე დამადგნენ და მიბრძანეს არ გავნძრეულიყავი, მესამემ გამოაღო კარადები, გახსნა ჩემოდნები და სრულად გამწმინდეს. თქვენ რომ მოხვედით, ისინი 10-15 წუთის წასულები იყვნენ. თქვენთვის სუფრა მე უკვე გაშლილი მქონდა, მაგრამ მათ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მშვიდად დამშორდნენ! მე ყველაფერი გარეგნულად სასწრაფოდ მოვაწესრიგე და, როგორც უკვე დარწმუნდით, დღევანდელ ჩვენს შეხვედრაზე ამ ინციდენტს გავლენა არ მოუხდენია. მე უკვე დავურეკე არჩილ გულისაშვილს და ალბათ მომიტანს რაიმე ჩასაცმელს, რომ გარეთ გამოსვლა შემეძლოს. როგორ შეიცვალეთ, რა მოხდა, იქნებ არც უნდა მეთქვა თქვენთვის. როდესაც ტყეს მთლიანად ჭრიან, ამას ჩვენ პირწმინდა ჭრას ვეძახით. ჩემმა ახალმა „მეგობრებმა“ ჩემს ბინაში სწორედ პირწმინდა ჭრა ჩაატარეს, ვთხოვე ერთი კოსტიუმი დამიტოვეთ, თუ გინდათ მომყიდეთ-მეთქი, მაგრამ ერთ-ერთმა მათგანმა აგდებით მიპასუხა:

— ძია, ჩვენი ნამუსი იმ წელიწადს გაჰყვა, ჯერ სულ რამდენიმე საათისანი ვართ და, აბა, რა მოგვეთხოვება.

სახტად დავრჩით. ორი საათის განმავლობაში როგორი გატაცებით ვპურობდით, ვხუმრობდით, რამდენი კალამბური ითქვა, რამდენ რამეზე ვსაუბრობდით და ვერცერთმა ჩვენთაგანმა ვერ ვიგრძენით, თუ რა გადახდა თავს ბატონ ვასილს სულ რამდენიმე წუთის წინ. მიხვდა, რასაც ვფიქრობდით და კიდევ ერთხელ დაგვამშვიდა:

— თქვენ ტრიალ მინდორში განმარტოებული მუხა არ გინახავთ, დიდი ჭექა-ქუხილის შემდეგ შემოიძარცვება ხოლმე, მაგრამ შემდეგ კვლავ ძველებურად გაშლის თავის ვარჯს და ვერც შეატყობთ, თუ რა ტანჯვა-წამება გადაიტანა. ჩვენც ვალდებული ვართ ვიყოთ მუხასავით, გაიხსენეთ: მუმლი მუხასაო...

ამჯერადაც საოცრად მიმზიდველი და ნებისყოფით აღსავსე იყო ბატონი ვასილი!

1946 წელს ვასილ გულისაშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს და აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების ბიუროში შეიყვანეს. ამ დროიდან ჩვენი ურთიერთობა ახალ საფეხურზე ავიდა. მე თელავში ვმუშაობდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში და ვასილ გულისაშვილი ხშირად იყო ხოლმე ჩვენთან ინსტიტუტის სხვადასხვა საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებით. 1945 წლიდან იგი უკვე ხელმძღვანელობდა თბილისის სატყეო ინსტიტუტს, რომელიც აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ეკუთვნოდა. ამდენად ბატონი ვასილი, ნიკო კეცხოველთან ერთად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერების ერთ-ერთი მეთაური იყო.

იმხანად ტყეების ექსპლუატაციის გადიდების მომხრენი ძლიერად უტევდნენ საქართველოს ტყეებს. მოსკოვიდან ისეთი გეგმები მოდიოდა, რომ მათი შესრულება საქართველოს ტყეების მომავალს განსაცდელში აგდებდა. სამწუხაროდ, ამ გაზრდილ გეგმებს საქართველოშიაც ჰყავდა დამცველები. შემოტევა ყოველმხრივ სერიოზული და საშიში იყო. ვასილ გულისაშვილი ლომივით ებრძოდა საქართველოს ტყეების ყველა შეგნებულ და უნებლიე მტერს. გამბედაობა, პირდაპირობა, მეცნიერული დასაბუთება, უცხოეთის გამოცდილებათა მოხმობა უაღრესად დამაჯერებელს ხდიდა ვასილ გულისაშვილის ძირითად დებულებას: საქართველოში ტყეების ჭრა უნდა ვაწარმოოთ ისეთი მასშტაბით და ისეთი წესებით, რომ საქართველოს ტყეების არსებობა უზრუნველყოფილ იქნეს, საქართველოში ტყეებს კი არ უნდა მოაკლდეს ფართობი, არამედ უნდა მოემატოს კიდეც. ვასილ გულისაშვილი ხშირად აღწევდა სრულ გამარჯვებას, მაგრამ დროდადრო კვლავ წამოყოფდა ხოლმე თავს ჩვენი რესპუბლიკისთვის შეუფერებელი მერქნის დამზადების გეგმები. სხვა გზა არ იყო: ვასილ გულისაშვილი და მისი ხელმძღვანელობით მომუშავე სატყეო ინსტიტუტი დღენიადაგ სადარაჯოზე უნდა ყოფილიყვნენ.

არც საქართველოს სოფლის მეურნეობის პრაქტიკა ექცეოდა ფაქიზად ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს, საქართველოს ტყეებს. იჩეხებოდა ტყეები, ახლად ათვისებული სახნავ-სათესი მიწების გამოყენება კი უწესოდ წარმოებდა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. განსაკუთრებული განსაცდელის წინაშე იდგა საკოლმეურნეო ტყეები. რამდენი ასეთი ტყე განადგურდა ჩვენ თვალწინ! ეს უბნებიც ვასილ გულისაშვილის გულის წუხილის ობიექტი იყო. არც ეს ბრძოლა იყო ადვილი მოსაგები! რამდენ რაიონში, რამდენ ხელმძღვანელს რამდენჯერ უნდა შებმოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარე, სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, რომ საქართველოს თავისი შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტები შეენარჩუნებინა!

საქართველოს ტყების, საქართველოს ბუნების დაცვის პრობლემები ქართველი ერის არსებობის პრობლემები იყო და არის. მაშინ ბუნების დაცვისათვის ისეთი ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არ არსებობდა,

როგორც ახლაა. ამიტომ ვასილ გულისაშვილის პირად თვისებებს, მის გმირულ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის ხვალინდელი დღისათვის.

ვასილ გულისაშვილი მრავალჯერ მინახავს ბრძოლით დაღლილი, მაგრამ ყოველთვის ყოფილა გამარჯვებით გალაღებული. იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც ეჭვი შეჰპარვია თავისი მოქმედების შედეგიანობაში და გულზე ნაღველი მოსწოლია. ამ დროს საქმეს დროებით გაეცლებოდა, სადმე, ორ-სამ მეგობართან ერთად ბუნების წიაღში განცალკევდებოდა და, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ერთი ან ორი დღე სუფთა ჰაერზე შვებით ამოისუნთქებდა.

გვიან შემოდგომაზე, ერთ კვირა დღეს, დილით ადრე, ვასილ გულისაშვილმა და ლევან ყანჩაველმა თელავში მომაკითხეს. შენი სტუმრები ვართ, სადმე გლეხის ოჯახში წაგვიყვანე, მხოლოდ იცოდე, ისე, რომ მასპინძელი არ შევაწუხოთ. საღამომდე მოგვიარე, მოგვეფერე; გუშინ ცუდი დღე გვქონდა, ვისაც ვეყრდნობოდით ტყეების დაცვის საქმეში, იმან გვიღალატა. რას იზამ! სერგი, შენ გიყვარს თქმა! ერთი იუდა თავის მოწაფეებში ქრისტესაც ჰყავდაო. ჯანდაბას, იყოს ასე! ახლა სად წაგვიყვან — ქრისტესთან თუ იუდასთან?! მე ორივეს კარგად ვიცნობდი. აკადემიკოსი ლევან ყანჩაველი ჩემი ყოფილი მასწავლებელი იყო, იგი იმხანად მის მიერ დაარსებულ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

სამი ინსტიტუტის დირექტორი სოფ. შაშიანს მივადექით. იქ ცხოვრობდა კოლმეურნე ილო გოგიშვილი. ილო პატიოსანი, მშრომელი ქართველი გლეხის განსახიერება იყო. შრომაც გულუხვად იცოდა და მასპინძლობაც. რამდენიმე წელი იყო, რაც მასთან ვმეგობრობდი. მისი ვაჟი სიმონი, განათლებით აგრონომი, მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის ვაზისუბნის ბაზის გამგე იყო, მაგრამ მე უფრო მეტად მამა მიზიდავდა.

ავუხსენი ილოს, თუ ვინ იყვნენ ჩემი და მისი სტუმრები და შევთანხმდით, რომ ოჯახს არაფერზე არ შეაწუხებდა, რაც ჰქონდათ შინ, მხოლოდ იმით გაგვიმასპინძლდებოდნენ. სუფრა მარანში გაიშალა, დაბალ მაგიდაზე დაალაგეს კახური შოთი პურები, თუშური ყველი, ნივრის მწნილი და ჯონჯოლი. ტრადიციული ხელადების ნაცვლად ოთხი პატარა ჯამი მოიტანეს. მასპინძელმა ღვინით სავსე ქვევრს ფიქალის სახურავი გადახადა, სუფრა ქვევრთან ახლოს მიიტანა და მიგვიპატიჟა. ქვევრში შარშანდელი მოსავლის რქაწითელი იყო. ილომ ახლად წყალგადავლებული თიხის ჯამი ნახევრამდე შეავსო ქვევრში და ვასილს მიაწოდა.

— სერგიმ მითხრა საგარეჯოელი ყოფილხარ, ღვინის ყადრი გეცოდინება, კახურ ღვინოს ხილის გემო და სურნელება მხოლოდ ქვევრის თავზე აქვს, შემდეგ იკარგება, მირჩევთ, იქნებ გესიამოვნოთ.

პური გავტეხეთ, თითო ჯამი ღვინო შევსვით და, ვასილის თხოვნით, სუფრის უფროსად ოჯახის მეთაური ავირჩიეთ. ილოს უარი არ უთქვამს. მასპინძელმა სტუმრები ყოველმხრივ უნდა ასიამოვნოსო.

— თქვენ ნასწავლი ხალხი ხართ, მე დაწყებით სკოლას არ გავცილებივარ, ალბათ, მოგწყინდათ ნასწავლი სადღეგრძელოები და გინდათ მოისმინოთ, თუ რას ამბობს კახელი გლეხი, როდესაც თავის ნაჭირნახულევ ღვინოს გემოს უსინჯავს, გულს რა სიტყვებით მოიფონებს. — ილო არ ჩქარობდა, სადღეგრძელოსა და სადღეგრძელოს შუა სოფლის ამბებს ჰყვებოდა. ძველ ხალხსა და ადათს იგონებდა.

— თქვენ არაფერი ძველი არ მოგწონთ. მე კი მგონია, რომ ბევრი რამ ძველადაც კარგი იყო. აი, მაგალითად, ნათელ-მირონობა. იქნებ ორი-სამი ნათესავის მეტი არა მყავს, როგორ გინდა ამ ქვეყანაში იცხოვრო, გეყოფა ორი-სამი შენი დამცველი და ახლობელი?! ნათელ-მირონობით ხალხი ერთმანეთთან თავისი სურვილის მიხედვით შეიკვროდა და სიკვდილამდე ოჯახების ავი და კარგი საერთო იყო. სერგის რომ ღმერთი სწამდეს, ჩემს შვილიშვილს მოვანათვლინებდი, რა დაუშავდებოდა, ნათლი-მირონობა კიდევ უფრო დაგვაახლოებდა, საქმეშიაც გამოგვადგებოდა. მე მეგობრობის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ღვთის დასტური მაინც სულ სხვაა.

— ილო, სერგი ულმერთო კაცია, მაგასთან არაფერი არ გამოგივა, აი ლევანი დაინათლიავე, მაგას ხატი ახლაც სახლში აქვს, მაგისმა მეუღლემ იყიდა ძველებური ნივთიაო.

— თქვენ ხუმრობთ, რა გაეწყობა. ეტყობა ამ ქვეყანაზე ყველაფერი მოსავალია!

ჩვენი პურის ჭამა შესანიშნავად აეწყო. ვასილი გამხიარულდა. მას და თამადას საგარეჯოში საერთო ნაცნობებიც აღმოაჩნდათ. ილომ ვასილ გულისაშვილს ჰკითხა: — მამათქვენი რა ჯილობის კაცი იყოო. — ილო ბატონო, მამაჩემის ამბავი უმჯობესია სერგიმ მოგითხროს, უფრო დაიჯერებთ. — ვუამბე ვასილის მამის ზაქარიას ცხოვრების ისტორია. როდესაც გაიგო, რომ ზაქარიას ხალხი უყვარდა, უყვარდა ვაების და შრომის შვილები, ლატაკები, მწარედ დარიბები, სამართლიანი, სვინდისიანი გლეხობა და მათზე მოთხრობებს წერდა, ქვევრიდან ჯამით ღვინო ამოიღო და კვნესით მოგვმართა.

— ღმერთმა ნუ გამოულიოს საქართველოს ასეთი შვილებიო. ამის შემდეგ ჩვენი საუბარი მშრომელ კაცსა და ზარმაცებს შეეხო. ილოს აზრით, ზარმაცი კაცი სოფლიდან უნდა გავაძევოთო. არც არაფერს ქმნიან და ახალგაზრდობის აღზრდაში კი ხელს გვიშლიანო. — ნაშუა-

დღევი იქნებოდა, როდესაც ილოს დავემშვიდობეთ, სამივემ გულით გადავკოცნეთ. ილოც ჩვენი ქვეყნის მუზაარ, იმეორებდა გზაში ვასილი. ცივ-გომბორისაკენ გამოვეშურეთ. პირობა ისეთი გვქონდა, რომ უჯარმამდე უნდა გავყოლოდი. უჯარმაში ერთი პატარა სასადილო იყო. ვასილი არ მოგვეშვა და შეგვიყვანა. ათამდე გლეხი პურს ჭამდა. ჩამოართვა თეთრი ხელსაწმენდი სასადილოს გამგეს, გადაიგდო მხარზე და გამოაცხადა: კარები დახურეთ, გარეთ არავინ გაუშვათ, აქ მასპინძელი დღეს მე ვარ. რაც გინდათ მოითხოვეთ. მგზავრები უჩვეულოდ გამოცოცხლდნენ. პატარა მაგიდები ერთმანეთს მიადგეს და კითხულობდნენ: რა ხდება, თქვენ ვინ ხართო. ვასილმა ორიოდე სიტყვით აუხსნა, რაც ხდებოდა.

— მამაჩემი ქართლსა და კახეთში სახალხო მასწავლებელი იყო, მთელი სიცოცხლე თქვენი წინაპრების განათლებას მოანდომა. მე ამ ხანობამდე მოვიყარე და გლეხობისათვის ჯერ პატივი არ მიცია. დღეს ერთმა გლეხმა მამა გამახსენა და ახლა მინდა თქვენ, გლეხებს გცეთ პატივი, მოგემსახუროთ. ძალიან გთხოვთ, რაც კი შეიძლება ისიამოვნეთ, არ დამზოგოთ.

უჯარმაში ერთი საათი დავრჩით. სასადილოში სტუმრად მყოფი გლეხობა და მათი მასპინძელი უზომოდ კმაყოფილნი დარჩნენ.

დაშორებისას ვასილი ამბობდა, არავინ თქვას ერთი დღე არაფერია, ერთ დღეს რა შეუძლიაო. მე აქედან გულზე ლოდმოცილებული მივდივარ, მივდივარ ისე, რომ მზადა ვარ ახალი ბრძოლებისათვის...

1955 წლის ბოლოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივნად ამირჩიეს. ახალი თანამდებობა ბევრ რამეს მავალებდა. თანაც ისეთ დიდ მეცნიერთან და პიროვნებასთან უნდა მემუშავა, როგორიც ჩვენი პრეზიდენტი — ნიკო მუსხელიშვილი იყო. ყველა ახლობელი თავისებურ რჩევას მაძლევდა, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ყველაზე მეტად ვასილ გულისაშვილის მოსაზრებები ჩამრჩა მეხსიერებაში.

— სერგი, რჩევა-დარიგებებით თავი ალბათ უკვე მოგაბეზრეს და მაინც მინდა, ორიოდე სიტყვა გითხრა. მამაშენი მგონი მეურნეობასაც მისდევდა, მაგრამ იქნებ ხარ-ურემი არ ჰყავდა. იცი, რა არის ტაბიკები? ტაბიკები მაგარი ხისაგან, მაგალითად, შვინდისაგან გაკეთებული ცერის სისხო ჯოხებია. ხარს როდესაც კისერზე უღელი ადევს, უღელში გაყრილი ტაბიკები ჩამოშვერილია ხარის კისრის იქით და აქეთ. ხარების უღელში შებმისას ტაბიკები ერთმანეთთან ტყავის თასმით — აპეურით მაგრდება. თუ ხარები გახედნილია და მეხრეს უჯერებს, ტაბიკებს ძალა არ ადგას, აპეურები არ გაწყდება, ხარები მხოლოდ იქით მიიწევს და მიდის, საითაც მეხრე მიერეკება. მაგრამ, როდესაც უღელში გაუხედნავი მოზვრებია შებმული, ისინი ზოგჯერ გზას ასცდებიან, გზიდან მარჯვნივ ან მარცხნივ გაიწევენ, ცდილობენ ტაბიკებისაგან თავი გაითავისუფლონ და ტაბიკებს გატეხავენ ხოლმე. შენ სერგი, მაგარი უღელი დაგადგეს, შენი უღლის ტაბიკები ბზის ხისგანაა გაკეთებული. აკადემიის მეხრის — ნიკო მუსხელიშვილის მიერ ნაჩვენები გზით იარე, ტაბიკები არ გატეხო. გახსოვდეს, როგორც კი რაიმე ხაეჭვოს შეგნიშნავს, სადაც უნდა იყო, მოგაძახებს: სერგი, ტაბიკები!..

მივუხვდი ბატონ ვასილს გულისნადებს. დავამშვიდე: პირობას გაძლევ, ისე ვიარო ნიკო მუსხელიშვილის „სახრის“ ქვეშ, რომ არც მან იგრძნოს და არც მე, რომ კისერზე მძიმე უღელი მადევს და თავისუფალ მოძრაობას „ტაბიკები“ მიზღუდავს.

— სერგი, კიდევ მინდა ერთი რჩევა მოგცე. შენზე შვიდი წლით უფროსი ვარ და ხომ მაქვს ამის უფლება! ჩვენში, სამწუხაროდ, ძლიერ არის გავრცელებული საქმის გაკეთება საჩვენებლად, უფრო სწორად, მოსაჩვენებლად. ნურასოდეს ნუ იფიქრებ: ამას გავაკეთებ და გაკეთებისთანავე გამოვაჩენ კიდეც, რომ ყველამ გაიგოს ჩემი საქმიანობა. შენ საქმე გააკეთე, ჩვენი მეცნიერების წინსვლას ყველა პირობა შეუქმენი და რასაც მიაღწევ, თავისთავად გამოჩნდება. იმაზე ფიქრით თავს ნუ შეიწუხებ, რაც გავაკეთე ახლა ეს უფროსობას როგორ გავაგებინო, საზოგადოებას როგორ ვამცნოო. აბა, ნიკო მუსხელიშვილს დააკვირდი: თუ კარგად არ იცნობ, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს, რომ აკადემიის საქმეებზე ბევრს არც კი ფიქრობს, ხშირად ხუმრობს, სხდომებს მსუბუქად ატარებს, თავის მოსაზრებებს ორი-სამი ნათელი წინადადებით გვამცნობს. სინამდვილეში როგორაა საქმე? სინამდვილეში ჩვენ ხომ ვიცით, რამდენი რამ კეთდება მისი დროული მხარდაჭერით. ისე არ გამიგო, რომ მე ბრმა მიბაძვის მომხრე ვიყო. ნიკო კეცხოველს ერთი ასისტენტი ჰყავდა, რომელიც დაფაზე წერისას მარცხენა ხელს მოტეხილივით იკავებდა, ნიკოს ბაძავდა. როდესაც ეს პირველად შევნიშნე, დავიბარე და ვუთხარი: ბიჭო, ნიკოს ხელი ტყვიით აქვს გადატეხილი, და შენ ხომ ჯანმრთელი მკლავები გაქვს, რას ჰგავს შენი მოქმედება, ვაჟკაცი არა ხარ, რაღა გარეგნულად ჰბაძავ, საქმის ცოდნაში მიჰბაძე კეცხოველს-მეთქი. გამიგე? დღეს პირველად ვარ შენთან, როგორც მთელი აკადემიის აკადემიკოს-მდივანთან და ამიტომ გესაუბრები ასე. მე სხვა პრეტენზიაცა მაქვს შენთან. შენ აკადემიის საერთო კრებამ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წარდგინებით აგირჩია, ჩვენ, განყოფილების წევრები, მოვითხოვთ შენგან ამის გამართლებას. მართლა, ნიკო კეცხოველი თუ იყო შენთან და რა გითხრა, ის ხომ შენ ჩემზე უკეთესად გიცნობს.

— ბატონო ვასილ, მან მხოლოდ ერთი წინა-

დადება გადმომიგდო: — სერგი, იცოდე, აქ იმეროული ლხუცაანობა არ დაიწყო, თორემ ქართლ-კახელები დაგახრჩობთო. ბეჭებზე ხელი მაგრად დამარტყა და გამშორდა. ეს იყო და ეს.

ვასილ გულისაშვილს ძლიერ აინტერესებდა ჩემი არჩევის შემდეგ ბატონ ნიკო მუსხელიშვილთან ჩემი პირველი საუბარი. მეც მოკლედ ვუამბე. მთავარი ის იყო, რომ შევთანხმდით: მე უფლება მქონდა ყველა საკითხზე ჩემი მოსაზრება მისთვის გულახდილად მომეხსენებია, ჩემი აზრი არ დამემალა, თუ გინდ ეს აზრი მისი მოსაზრების საწინააღმდეგო ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ამ დროს მხოლოდ ჩვენ ორი უნდა ვყოფილიყავით. მისი მთავარი თხოვნა იყო: ისე დაგვეახლოვებინა წამყვანი მეცნიერები, რომ მათაც გაეზიარებინათ ჩვენთვის თავიანთი ნამდვილი მოსაზრებები. მლიქვნელობა ყოველ დროში უშლიდა ხელს საქმეს, ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს საქმის ნამდვილი ვითარება, გამარჯვების პირველი საწინდარი ესაა.

ვასილ გულისაშვილის მეგობრული რჩევები არც შემდგომში მომკლებია...

სამაგალითო იყო ჩვენთვის მისი მეცნიერული მიღწევებიც. 1956 წელს რუსულ ენაზე მოსკოვში დაისტამბა „სამთო მეტყევეობა", 1957 წელს გამოაქვეყნა „ზოგადი მეტყევეობა", 1960 წელს — „მცენარეთა ეკოლოგია", ხოლო 1964 წელს რუსულ ენაზე დაისტამბა „კავკასიის ბუნებრივი ზონები და ბუნებრივ-ისტორიული ოლქები".

1953 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" გამოსცა ზაქარია გულისაშვილის მოთხრობები და ნარკვევები. წიგნი გამოვიდა გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობითა და რედაქციით. ზაქარია გულისაშვილის მოთხრობები და ნარკვევები იბეჭდებოდა 1870-80-იან წლებში „ივერიაში", „დროებასა" და „იმედში". მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „მაქრო", „ბერი მინდია" და „ზ. გული".

ზაქარია გულისაშვილის ნაწერების ცალკე წიგნად გამოცემამ ვასილ გულისაშვილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა:

— პირველად დავინახე მამა ისე, როგორც მას ეკადრებოდა. ვენაცვალე გოგლა ლეონიძეს, ვაჟკაცი კაცია და ვაჟკაცური საქმე გააკეთა. გამორჩენილი და დავიწყებული მამაჩემი მკვდრეთით აღადგინა, ძეგლი დაუდგა. გიორგი ლეონიძე წერს: „ზაქარია გულისაშვილის ბიოგრაფია ტიპიური ბიოგრაფიაა ქართველ ხალხოსანთა მოძრაობის ერთი ენერგიული ჯარისკაცისა, მისი მწერლობაც ამ საზომით უნდა გავზომოთო".

— სერგი, მოგიტანე „მაქროს" წიგნი. წაიკითხე, ვიცი, შენ გიყვარს ამგვარი ლიტერატურა და შემდეგ ვისაუბროთ. მე ძალიან მინდა, რომ მამაჩემი მოგეწონოს. აქ რომ მოვდიოდი, დერეფანში გიორგი ლეონიძეს შევხვდი, დაინახა თავისი გამოცემული წიგნი და მკითხა ვისთან მიგაქვსო. როცა ვუპასუხე, სერგის უნდა მივცე-მეთქი, ამოიბუზღუნა [illegible]

წიგნი გულდასმით წავიკითხე. გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობაში საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი ზაქარია გულისაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მაქროს მწერლობა განუყოფელი ნაწილია მისი ბიოგრაფიისა. მაქრო ძველი სოფლის ამსახველი ნიჭიერი მხატვარია; მისი მიზანი იყო ეჩვენებინა სინამდვილე თავისი ტკივილებით. საყურადღებოა მაქრო გულისაშვილის ენის ხალხურობა, სიუხვე და ბარაქიანობაო, წერს გ. ლეონიძე. მაქროს მოღვაწეობას თურმე მაღალ შეფასებას აძლევდნენ აკაკი, ილია, ვაჟა. ზ. გულისაშვილი უმწიკვლო და მეტად ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ქართლსა და კახეთში. თბილისის სასულიერო სასწავლებელში მაქროს მასწავლებელი იყო იაკობ გოგებაშვილი. მთელი სიცოცხლის მანძილზე ისე ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდას ზ. გულისაშვილი, როგორც მისი დიდი გამზრდელი ასწავლიდა.

რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ვასილ გულისაშვილი აკადემიის პრეზიდიუმში ჩემთან მოვიდა, მე ზაქარია გულისაშვილს, როგორც მწერალსა და მოღვაწეს უკვე ვიცნობდი. ვიცნობდი ვასილის ბუნებას და ზ. გულისაშვილის წიგნს აკადემიაში ვინახავდი, ვიცოდი, რომ მოვიდა, წამიკითხა ის ადგილი, რომელიც გულზე მოგედვა, მამაჩემის სამყაროსთან თუ გაქვს რაიმე საერთოო. ასეც მოხდა და მე წიგნი 155-ე გვერდზე გადავშალე და მოთხრობიდან „მთვარიანი ღამე" შემდეგი ადგილი წავუკითხე:

„ხედავ, ძამია, იმ ყანების ნაწვერლებს, ნათეს-მოშორებულ არემარეს, სახნავ-სათესს?! მართლა რომ დედამიწა მკვებავია თავის შვილთა მძიმე ტანჯვისა და ნაყოფიერებისაგან განთავისუფლებული ისვენებს იგი. მე მწამს, რომ სიკვდილი არარაობაა... არსებობს მარტო ძალა, რომლის აღორძინებას მარცვლების საყანეებში, მზრდის მათ თავთავმოშრიალე ყანათ... იგივე ძალა სცვლის მას, რომ ადგილი დაუთმოს მეორე მოსავალს, ახალს.

— ჩემი აზრიც ეგ არის, ძამია! — უთხრა მეორემ — სიკვდილი, ვაება, ტანჯვა ცვალებადია... რომ სიკვდილმა არსებობა დაიქადნოს, წინ სიცოცხლე უნდა უძღოდეს, როგორც ტანჯვავაების წინ სიხარული-სიამოვნება. იმიტომ არ ვეთანხმები ფილოსოფოს შოპენჰაუერს. სიკვდილი, ტანჯვა-ვაება, არარაობად მიმაჩნია; სიცოცხლე, ბედნიერება, სიხარული არსებითი საქმე მგონია. სიკვდილი შესვენებაა სიცოცხლისა, როგორც სინათლის ოდნავ დაფარვა სიბნელეა. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ სიცოცხლე ვითომ გადახურდავდებოდეს სხვა ახალ ცხოვრებაზე, როგორც ბუდმელთა სარწმუნოებაშია. იგი არას დროს არ სწყდება... იგი მუდმივია.. სიცოცხლეც ხანდახან მიბინდდება ხოლმე, მაგრამ განა ეს მისი შეწვეტაა?! გაქრობაა?!

განა კვდება მარცვალი ხორბლისა, რომელსაც ჩაჰფლავ მიწაში? განა მალე არ ამოღორძინდება ხოლმე და მერე როგორ? ნაცვლად ერთისა, ოცი, ოცდახუთი.

ასეთია სიცოცხლეც...

ერთი რამ მწამს შეურყევლად, სიკვდილი არსებობს ქვეყნიურ სისაძაგლისათვის, ბოროტებისათვის! ბიჭო! გეფიცები, კეთილი არასოდეს არა კვდება! კვდება ავკაცობა, ეგოიზმი, სიხარბე, ბოროტი... სიყვარული, თავგანწირულება, ქველობა, ვაჟკაცობა ცოცხალია, მუდამ ცოცხალია!! განა მოკვდება ჩვენთა მამა-პაპათა ვაჟკაცობა, ქველობა, გულლომობა?!

არა, სიმართლე საუკუნოა და სიცოცხლეც საუკუნო!"

დავამთავრე კითხვა და მივაჩერდი ბატონ ვასილს. სახე უღიმოდა, კმაყოფილებას ვერ მალავდა.

— დახედე რომელ წელსაა ეგ მოთხრობა გამოქვეყნებული?

— 1902 წელსაა დასტამბული.

— რას იტყვი, როგორი ბიჭი ყოფილა შაქრო გულისაშვილი, რომ 1902 წელს დაწერილში დღეს შენც კი მონახე საკუთარი ლუკმა!

ვასილ გულისაშვილის მეხსიერებაში მამა ღირსეულად, დამსახურებულად, უკვდავად იდგა ყოველთვის.

1938 წლის მიწურულს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბიოორგანული ქიმიის კათედრაზე ერთმა ქალიშვილმა მომაკითხა. მე მის ოჯახსაც კარგად ვიცნობდი და მისი გამოჩენა არ გამკვირვებია, მეგონა სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით იყო მოსული, იმ წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი.

— სერგი, რასაც ახლა გაიგონებ, ალბათ გაგიკვირდება, მაგრამ ამ ნაბიჯს დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ვდგამ, სხვა გამოსავალი ვერ მოვნახე. შენი ამხანაგი მომწონს, იქნებ მიყვარს კიდეც, არ ვიცი. მინდა გთხოვო დახმარება. არ შეფიქრიანდე, ჩემს მაგიერ, ხომ იცი, არავის არაფერს ვათქმევინებ. მთავარია მირჩიო როგორ მოვიქცე, რომ მას ხშირად ვხვდებოდე. თუ დახმარებას აღმითქვამ, ახლავე გეტყვი, ვინც არის. დავეთანხმე თუ არა, მომახალა: ჩემი არჩეული მამაკაცი ვასილ გულისაშვილიაო. მის ლექციებს ვუსმენდი და დავიკოდე. რატომ გამოლენჩდი, ხმა გაიღე, შევეფერები მას თუ არა. ვიცი, რასაც იტყვი: მამისტოლა კაცია და ეგ რამ გაფიქრებინაო. არც აგრეა საქმე, „ძია ვასო" ჩემზე მხოლოდ 13 წლით არის უფროსი. შენ თუ იცი, ალექსანდრე გრიბოედოვი რამდენი წლით იყო უფროსი ნინო ჭავჭავაძეზე?!

დიდხანს ვისაუბრეთ. ჩემი სტუმარი ძველი ტრადიციული ცნობილი ქართული ოჯახის შვილი იყო და დაფარულად, შინაურულად რაიმეს მოგვარება გამორიცხული იყო. მივედით იმ დასკვნამდე, რომ ბოტანიკის კათედრის დოცენტის საშა ლორთქიფანიძის მონაწილეობა ამ „შეთქმულებაში" აუცილებელი იყო. ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა ჩვენ სამის თათბირები, თუ ვინ და როგორ მიუდგებოდა ვასილ გულისაშვილის ქაჯეთის ციხეს. ჩვენი „ნესტანი" ჩქარობდა. როგორც იქნა, დავარწმუნეთ, რომ მე და საშა ვასილ გულისაშვილს ცოლის შერთვაზე საუბარს ვერ გავუმართავდით. დაიქანცა ლოდინისაგან ჩვენი „ნესტანი" და დაგვემუქრა: ბოლოს და ბოლოს, რას მიზამს, მივალ და ვეტყვი, რა გრძნობაც მაქვს მის მიმართ, კულტურული კაცია და ალბათ ყველაფერს სწორად გაიგებსო.

სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის შენობაში ბიოქიმიის ლექციები მქონდა და ერთხელ, ლექციის დამთავრების შემდეგ, დირექციის კორპუსში ვასილ გულისაშვილს შევხვდი. ხელი მომკიდა, დენდროლოგიის კათედრის მუზეუმში შემიყვანა და იქ გამენდო:

— სერგი, ერთმა ახალგაზრდა ქალმა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო, მიყვარხარ და ცოლად უნდა შემირთოო. ნურაფრის ნუ გეფიქრება, შესანიშნავ შვილებს გაგიზრდი, შენი მეგობარიც ვიქნები, ბიოლოგიის იმ დარგში ვიმუშავებ, რომელსაც შენ ამირჩევო. მთელ მის ნათესაობას ვიცნობ, ვაი თუ ეს ამბავი გახმაურებულია, როგორ უნდა მოვიქცე, არ ვიცი! თვითონ მიმანიშნა: სერგი დურმიშიძე და საშა ლორთქიფანიძე კარგად მიცნობენო. ჯერ ერთი, მე მასზე ალბათ 15 წლით მაინც ვიქნები უფროსი, მეორეც, შაქარი მაქვს. შაქრიანი დიაბეტი ხშირად მემკვიდრეობით გადადის და რატომ უნდა ვტანჯო შთამომავლობა. მე რასაც ვწვალობ, არ კმარა! შენ და საშამ რაიმე უნდა მოიფიქროთ, ის ქალიშვილიც ცოდვაა და მეც ცოდვა ვარ.

რამდენიმე დღის შემდეგ მე და საშა ჩვენს „ნესტანს" შინ ვესტუმრეთ. შევედით თუ არა, მოგვახალა: „ძია ვასომ" გამოგაგზავნათ, უარია, ერი დაილუპება ჩვენ თუ შევუღლდებითო, არა?! — საუბარი არ გამოგვივიდა.

— მეგობრებო, წაბრძანდით და „ძია ვასოს" მიხედეთ, ჩემს თავს მე თვითონ მოვუვლი.

ჩვენი ვიზიტის შედეგი, რა თქმა უნდა, ვასილს მოვახსენეთ.

ამის შემდეგ ვასილ გულისაშვილი „ნესტანს" სათოფე მანძილზე არ გაკარებია და მასთან პირისპირ შეხვედრას ყოველთვის ერიდებოდა.

ათ წელზე მეტი გავიდა ამ დროიდან. ბატონ ვასილს შაქრიანი დიაბეტი მკვეთრად გაუძლიერდა და ინსულინის გარეშე არსებობა უკვე აღარ შეეძლო.

„ნესტანი" კარგა ხნის გათხოვილი იყო და მის შესახებ ბატონ ვასილთან აღარ გვისაუბრია, თითქოს ყველას ყველაფერი დაგვავიწყდა კიდეც.

ერთხელ აკადემიის პრეზიდიუმის სხდომის შემდეგ ბატონმა ვასილმა ჩემთან შემოიარა,

ჩვეულებრივ წავიჭორავეთ, ადგა, წასვლა დააპირა და ისევ დაჯდა.

— სერგი, ამ დღეებში ოპერის თეატრში „ნესტანს“ შევხვდი, თან მშვენიერი გოგონა ახლდა, გამაცნო, ჩემი შვილია, მუსიკის დიდი მიდრეკილება აქვს, ვინ იცის, იქნებ მუსიკოსიც გამოვიდესო. სიცილით მითხრა: თქვენ დამიწუნეთ, შეიძლება არც ჩვენი შვილი ყოფილიყო უნიჭო. ისევ უცოლო თუ ბრძანდებითო. გათხოვილია, დედაა და ისევ ისეთივე შეუპოვარი საუბარი აქვს, როგორც ქალიშვილობის დროს ჰქონდა. თუ იცი ვის გაჰყვა, ქმარი ვინ არის?

როდესაც გაიგო, რომ საუკეთესო ქართული ოჯახის რძალი იყო, ესიამოვნა.

— სერგი, სიმართლეს გეტყვი: მეც ძალიან მომწონდა „ნესტანი“, მაგრამ ჩემმა ასაკმა და დაავადებამ შემაშინა. დიდი ვერაფერი ვაჟკაცობა გამოვიჩინე, ახლა ზოგჯერ ვნანობ კიდეც.

გავიდა ხანი და „ნესტანი“ უეცრად გარდაიცვალა. ვასილმა შემატყობინა და ჩვენ ორივენი ერთად ვიდექით მის ცხედართან სასაფლაოზე.

რაც დრო გადიოდა, დაავადება უფრო უძლიერდებოდა ბატონ ვასილს. შაქრიან დიაბეტს სხვა დაავადებებიც აჰყვა და ეს მთასავით კაცი ახლა ხშირად მიაკითხავდა ხოლმე სარეცელს. მივეჩვიეთ კიდეც მის ავადმყოფობას. როცა იტყოდნენ, ვასილ გულისაშვილი ავადაა, შინ წევსო, ჩვენი ჩვეულებრივი რეაქცია იყო — „არა უშავს, მალე ადგება და ისევ ძველებური ვასო იქნებაო“.

**1979** წლის **18** ოქტომბერს დავამთავრე ლექცია თბილისის სახელმ;იფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე და დერეფანში გამოვედი. ვხედავ, შეგროვილან ფაკულტეტის თანამშრომელი ქალები და ტირიან. მივედი, გამოვიკითხე თუ რა ხდებოდა.

— ბატონო სერგი, ვასილ გულისაშვილი კვდება, მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში წევს და უკვე აღარავის აღარ უშვებენ მასთან. ყოველგვარ წამალზე უარი უთქვამს და ელის სიკვდილს, მუცლის არედან წყლის გამოღების უფლებას არ აძლევს, როდემდე უნდა ვიწვალო და გაწვალოთ, ბარემ გათავდეს ყველაფერიო.

იმავე წამს საავადმყოფოში წავედი. ავადმყოფთან არ შემიშვეს, არავის არ ღებულობსო. მივმართე საავადმყოფოს ხელმძღვანელებს ამირან კავკასიძეს და თენგიზ ბეგიშვილს. ვერაფერი გადაწყვიტეს, ყოველ საათში ველით კატასტროფას, აბა რა გითხრათო. ისევ ოჯახის წევრებს თხოვეთ, იქნებ თქვენ მიგიღოთ ბატონმა ვასილმაო. მეც ასე მოვიქეცი; შევუთვალე, რომ სერგი დურმიშიძე ვარ და თუ შეიძლება განახოთ-მეთქი. იმ წუთშივე მიმიწვიეს. მობრძანდესო, უთქვამს ბატონ ვასილს. შევედი. იწვა პირით კედლისაკენ და მძიმედ სუნთქავდა. გადმობრუნება არ შეეძლო. აშკარად ჩანდა, რომ ვასილი „უცდიდა“ როდის გაჩერდებოდა გული! შესვლისთანავე მომმართა: სერგი, ბედნიერი ვარ, უაზროდ ვკვდები, საკუთარმა წყალმა უნდა დამახრჩოს, სუნთქვა მან უნდა შემიჩეროს! მადლობელი ვარ, რომ შეწუხდი. პაპა რომ ვიყო, ცაცხვის კუბოს გთხოვდი! ნუღარ გაჩერდები ახლა, ჩემი ცქერა ძნელია. დიდი მადლობელი ვარ ძველი მეგობრობისათვის, აქ მობრძანებისათვის, ყველაფრისათვის...

ლაპარაკობდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ გარკვევით, მკაფიოდ... მეორე დღეს დილით გარდაიცვალა ჩვენთვის ყველასათვის უაღრესად საყვარელი მეგობარი და მეცნიერი, სამაგალითო ქართველი ვაჟკაცი და საზოგადო მოღვაწე, განუმეორებელი კოლორიტის პიროვნება.

ახლაც ზოგჯერ მომაგონდება ხოლმე ბატონი ვასილი, შემომესმება კიდეც მისი „პაპა რომ ვიყო...“

ზაქარია გულისაშვილს აქვს მოთხრობა „პაპა“, რომელშიაც შვილიშვილი იგონებს პაპის გარდაცვალებას: გარემოებამ „მეც სევდის ფიქრებში გამახვია და თან უნებურად მათქმევინა: „იქნებ, პაპაჩემო, სიკვდილი გაშინებს — გაფიქრებს-მეთქი?“

—სიკვდილი სამღვთო მოვალეობაა, შვილო! მისი შიში ლაჩრობაა... რაზე შემეშინდება, როდესაც ამდენი მოსიყვარულენი დასტკეპნიან ჩემს საფლავს, — და მიმითითა ყმაწვილებზე, — ესენი ამოვლენ, ყვავილებს დამაყრიან, ჩემი სამარის გვერდზე იხტუნებენ, იხმაურებენ, — თქვა ეს პაპამ, მაგრამ სევდიანად კი... მეც შემარცხვა ჩემი უადგილო შეკითხვის გამო.

მეორე დღეს მოხუცი ფიცრებს სთლიდა ცაცხვის მორისას. თლის დროს ხშირად იღებდა ნაფოტს და გატაცებით ყნოსავდა. ასე დამზადებული რამდენიმე ფიცარი სათუთად შეინახა...

ბოლოს პაპამ მიიხმო შვილიშვილი და დაუბარა „ქალაქური კუბო არ მოატანინო, — იმ დღეს ცაცხვის ფიცრები რომ დავთალე, იმის კუბო შეჰკარი: რბილი იქნება და ნაზი სუნისა“.

„ორი დღის შემდეგ დავმარხეთ პაპა რბილი და სურნელოვანი ფიცრებისაგან შეკრული კუბოთი“.

ასე დაასაფლავა ზაქარია გულისაშვილმა თავისი მოთხრობის გმირი „პაპა“.

ამაზე ფიქრობდა კი ვასილ გულისაშვილი სიკვდილის წინ?! ვინ იცის! იქნებ წუხდა კიდეც, რომ ზაქარია და ვასილ გულისაშვილების შტო წყდებოდა, ზაქარიას სიცოცხლე ვასილმა გაუგრძელა, ვასილს კი ვინ გაუხანგრძლივებდა?! ერთი კი ცხადი იყო: მას გარდაცვალებისას უზადო გონება ჰქონდა, ძველებურად ყველაფერს ნათლად ხედავდა და გრძნობდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ

ქალაქის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის შესწავლა ყოველთვის იქცევდა ისტორიკოსთა ყურადღებას. ამ პრობლემაზე ისეთი მეცნიერები მუშაობდნენ, როგორიც იყვნენ ა. ტოინბი, ვ. ჟუკოვსკი, ვ. ბარტოლდი, კ. კაენი და მრავალი სხვა. შესწავლილი და გარკვეულია მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ეხება ქალაქთა წარმოშობას, ტოპოგრაფიას, მართველობის სისტემას, ხელოსნურ წარმოშობას თუ სხვა სფეროებს. მიუხედავად ამისა, ქალაქთა ტოპოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ ელის თავის მკვლევარებს. ამ თვალსაზრისით სრულიად კანონზომიერია პ. თოფურიას შრომა „ამიერკავკასიის ქალაქები“, რომელშიც მრავალრიცხოვანი პირველწყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით შესწავლილია X-XIII საუკუნეების ამიერკავკასიის ქალაქების გარეგანი სახე და ხელოსნური წარმოება.

შრომის შიდა, სასათაურო დაყოფაც ძირითადად ამ ორი პრობლემის მიხედვით არის გატარებული. **პირველი თავი**, რომელშიც ავტორი ამიერკავკასიის ქალაქების გარეგან სახეს განიხილავს, მტკიცე აქსიომატურ საფუძველს ემყარება. ეს არის ჯერ კიდევ ვ. ბარტოლდის მიერ შემუშავებული სქემა, რომლის მიხედვითაც აღმოსავლური ქალაქის ტოპოგრაფიაში აშკარად გამოიყოფა სამი ნაწილი: ციტადელი, ქალაქი და რაბადი.

ამიერკავკასიაში ქალაქის წარმოშობის ერთ-ერთ შესაძლო გზად ავტორს მიაჩნია ციხე-სიმაგრის მახლობლად სათანადო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პირობების არსებობა. ეს გზა კარგად ჩანს ანისის, ატენის, მცხეთის და სხვა მაგალითებზე. დასახელებულია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ადგილი ჰქონდა არა ქალაქის წარმოშობის ხანგრძლივ, ევოლუციურ პროცესს (ციხე-სიმაგრესთან დასახლების წარმოშობა), არამედ ფეოდალურ სამფლობელოში გარკვეული ხასიათის სამუშაოების ჩატარებასთან ერთად ქალაქის დაარსებას (იაზიდია, მარაღა, მიჰიიარია).

განიხილავს რა ამიერკავკასიის ქალაქების ციტადელებს, ავტორს გამოაქვს მართებული დასკვნა, რომ ქალაქსა და ციტადელს შორის არსებული მკვეთრი დიფერენციაცია, არსებული სოციალურირ სხვაობის ასახვას წარმოადგენდა. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა ბაილაკანის ე. წ. „მცირე ქალაქი“, რომელიც დანარჩენი ქალაქიდან ცალკე კედლით იყო გამოყოფილი.

მართალია ქალაქების პოლიტიკური მნიშვნელობის და მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად ციტადელის არსებობა მრავალს მეტყველებს, მაგრამ ჯერჯერობით ყოველთვის არ არის იმის შესაძლებლობა, რომ გაირკვეს საკითხი, ჰქონდა თუ არა ყველა ქალაქს (განურჩევლად მათი სიდიდისა) ციტადელი.

კონკრეტულ მაგალითზე მეტად საინტერესოა ორი თვალსაზრისის დაპირისპირება: ვ. ბარტოლდი და კ. ტრევერი უარყოფდნენ ციტადელის არსებობას X საუკუნის დარუბანდში, პ. თოფურიას კი მიაჩნია, რომ ამ პერიოდის დარუბანდის მძაფრი საქალაქო ცხოვრება, აღსავსე პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური თუ შიდაკლასობრივი წინააღმდეგობებით იქ უეჭველად გულისხმობს ციტადელის არსებობას. ავტორის ეს დასკვნა, რომელიც წმინდა ანალიტიკური ხასიათისაა, სათანადო მონაცემებითაც დასტურდება.

მკვლევარი ყურადღებას უთმობს თვით ციტადელლის ტოპოგრაფიას, რომ მასში საზოგადოების მაღალი ფენებისთვის განკუთვნილ საცხოვრებელ შენობებთან ერთად არსებობდა აგრეთვე საკულტო ნაგებობანიც. ამასთან ერთად, დამოწმებულია ფაქტები, რომლებიც მიუთითებს ქალაქის მმართველის მიერ ქალაქის გარეთ სხვა სარეზიდენციო ადგილების არსებობას.

შრომაში სათანადო ყურადღება ექცევა იმ საკითხების გარკვევას, თუ კონკრეტულად რა შინაარსისაა ის ტერმინები, რომლებსაც წყაროები იყენებენ ქალაქების აღწერის დროს (კუხენდიზ, კალა, ჰისნ, შაჰრ, ციხე, ციხე-ქალაქი, მიჯნაბერდ).

ავტორის აზრით, შუა საუკუნეების ზოგიერთი წყარო (მაგ. მუკადასი) მათი კონკრე-

**პ. თოფურია.** ამიერკავკასიის ქალაქები, „მეცნიერება“, 1985.

ტული შინაარსის მიხედვით თითქოს ასხვავებს **ჰისნს** და **კალას**, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში გაურკვეველია თუ რა იგულისხმება ამ ტერმინებში — კოშკი თუ ციტადელი. ამ საკითხის გადაჭრა შესაძლებელი ხდება მხოლოდ არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე.

ავტორის მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ კორელაციას, რომელიც კუხენდიზსა და შაჰრისტანს შორის არსებობდა (კალა-მადინა), ქართულ ისტორიულ სინამდვილეში გამოხატავდა ციხე და ციხე-ქალაქი.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ცნობებს, რომლებიც ქალაქების სასიმაგრო კედლებს ეხება. ირკვევა, რომ ახალქალაქის გალავნის წინ არსებობდა დაბალი კედელი „ფასილ“ (არაბ.), რაც ამიერკავკასიის ქალაქებში საფორტიფიკაციო მშენებლობის მაღალ დონეზე მიუთითებს. გარკვეული თავისებურება ჩანს შუა საუკუნეების არაბი და სომეხი ავტორების მიერ მოწვდილ ცნობებში, რომელთა მიხედვითაც ანისისა და დერბენტის სასიმაგრო კედლებში მოწყობილი იყო ეკლესიები და მეჩეთები. მართებულად არის აღნიშნული, რომ ზოგიერთ ახლადდაარსებულ ქალაქს (ახალქალაქი, იაზიდიია) დასაწყისში არ გააჩნდა სასიმაგრო კედლები, გალავანი მათ შემდეგ შემოარტყეს, რაც გამოწვეული იყო არა მარტო გარეშე მტრის თავდასხმების მოსაგერიებლად, არამედ საკუთრივ ქალაქის ტერიტორიის საიმედოდ ჩაკეტვის მიზნითაც, რათა საბაჟო სისტემის ქმედითობა უზრუნველეყოთ. გალავნის უაღრეს მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სადამსჯელო ღონისძიებები ითვალისწინებდა ქალაქის გალავნის დანგრევას.

შრომაში დაწვრილებით არის განხილული ამიერკავკასიის ქალაქების კარიბჭეები. სამართლიანად არის აღნიშნული, რომ კარიბჭეების რაოდენობა ქალაქის სიდიდეზე მეტყველებს, ხოლო სახელები მიუთითებს იმ კულტურულ-ეკონომიკურ კავშირებზე, რომლებიც ამ ქალაქებს სხვა ქალაქებთან და ქვეყნებთან გააჩნდათ. რა თქმა უნდა, რომ ქალაქის ციტადელთან და გალავანთან ერთად, კარიბჭე ნათლად მეტყველებდა ქალაქის საზოგადოების ეკონომიკურ სიძლიერეზე. ამის გამო, ყოველთვის ესწრაფოდნენ, რომ ის შთამბეჭდავი სიდიდის და არქიტექტურულად გაფორმებული ყოფილიყო. მტრის მიერ ქალაქის კარიბჭის ჩამოხსნა დამამცირებელ და დამსჯელ ღონისძიებად ითვლებოდა. სწორედ ამ თვალსაზრისით არის შეფასებული დემეტრეს დროს განჯის ერთ-ერთი კარიბჭის ჩამოხსნა და გელათში გადმოტანა.

რაბათის ერთ-ერთ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობად ავტორს მიაჩნია 1) სანახები, 2) სადგომი (საქონლის) და ამის გათვალისწინებით განიხილავს შუასაუკუნეების აღმოსავლური ქალაქის ამ არსებით ნაწილის წარმოშობის გზებს, შეისწავლის თვით რაბათის ტოპოგრაფიას: ბაზრებს, საკულტო ნაგებობებს, აბანოებს, საცხოვრებელ-კომუნალურ თუ ადმინისტრაციული დანიშნულების შენობებს, ყოველივე იმას, რაც მთლიანობაში ქმნიდა და განსაზღვრავდა ქალაქის გარეგან სახეს. ეს უკანასკნელი კი ძირითადად განპირობებული იყო ქალაქის სოციალ-ეკონომიკური განვითარებით, წმინდა ქალაქური მეურნეობის სოფლის მეურნეობისგან გამოყოფის ხარისხით. გარდამავალი ეტაპი კი უეჭველად აისახებოდა ქალაქის ტოპოგრაფიაში. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ისეთი ტერმინის არსებობა, როგორიც არის „სოფელ-ქალაქი“.

აანალიზებს რა წყაროების ცნობებს, მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შუასაუკუნეების ავტორთა მიერ ქალაქების ტოპოგრაფიული აღწერის დროს მოცემული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები ყოველთვის უშუალოდ არ შემოდიოდა თვით ქალაქში. ხაზგასმულია, რომ დეტალური შესწავლა და გადაწყვეტა ამ პრობლემასთან არსებული საკითხებისა, უნდა მოხდეს ამიერკავკასიის ქალაქების ტიპოლოგიურ შესწავლასთან მჭიდრო კავშირში.

**მეორე თავში** განხილულია ამიერკავკასიის ქალაქების ხელოსნური წარმოება. მკვლევარი წინასწარ მიმოიხილავს რეგიონის ბუნებრივ პირობებს, იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობდა ხელოსნობის განვითარებას: სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სიუხვე და მრავალფეროვნება, სასარგებლო წიაღისეული და სხვ. დაწვრილებით არის წარმოდგენილი ხელოსნური წარმოების ყველა ის დარგი რომლებიც ძირითადად ითვლებოდა.

მკვლევარისთვის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქალაქში სახელოსნოების ადგილის განსაზღვრა, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის ხასიათის გარკვევა, ფეოდალური ეკონომიკის პირობებში ხელოსანთა შრომის სპეციალიზაციის და სტანდარტიზაციის ხარისხის დადგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხების შესახებ სხვადასხვა ენაზე ლიტერატურის საკმაოდ ფართო წრე არსებობს, ყოველ კერძო შემთხვევაში მკვლევარისათვის ახალი სიძნელეები იქმნება ხოლმე. მით უმეტეს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პ. თოფურია ამიერკავკასიის ქალაქთა ტიპოლოგიურ შესწავლას ისახავს მიზნად.

განიხილავს რა საფეიქრო წარმოებას, როგორც შუა საუკუნეების ხელოსნობაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მასიურ და ფართოდ გავრცელებულ დარგს, ავტორი დაწვრილებით ჩამოთვლის და ახასიათებს აბრეშუმის, შალის, სელის და სხვა ქსოვილებს.

სათანადო წყაროების მონაცემების საფუძ-

ველზე მართებულად არის წარმოდგენილი ახლო აღმოსავლეთში აბრეშუმწარმოების გავრცელების გზები. ეჭვს არ იწვევს ავტორის მიერ მიღებული დასკვნა, რომ ამიერკავკასიის ხელოსნური წარმოების ცენტრებში ამზადებდნენ როგორც ყაჯს, ასევე აბრეშუმის ქსოვილებს და ყოველივე ეს განკუთვნილი იყო არამარტო ადგილობრივი ბაზრისათვის, არამედ გასატანადაც.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის გარეთ განსაკუთრებით აფასებდნენ სომხურ ნოხებს. ეს იმის ნათელი დადასტურებაა, რომ აქ შალის წარმოება, იმდროინდელი საერთაშორისო სტანდარტების დონეს არამარტო არ ჩამოუვარდებოდა, არამედ აღემატებოდა კიდეც.

ასეთივე მდგომარეობა იყო ტილოს წარმოების დარგშიც ტილოს ქსოვილების წარმოების ცენტრს წარმოადგენდა დერბენდი. კერძოდ, ყურადღებას იმსახურებს აქ დამზადებული ტილოს ზედა ტანსაცმელი ე. წ. ბადანა (იბნ ჰაუკალი), რომელიც მთლიანად იქსოვებოდა ისე, რომ არ საჭიროვბდა ნაწილების გადაბმას. ფართოდ იყო გავრცელებული განჯასა და ხოიში დამზადებული ტანსაცმელიც.

შედარებით მწირია ცნობები, რომლებიც ტყავის წარმოებას ეხება. მაგრამ ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემების მიხედვით მკვლევარი მაინც აღადგენს გარკვეულ სურათს ხელოსნობის ამ დარგის ხასიათისა და მასში ერთგვარი სპეციალიზაციის შესახებ.

წყაროები საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდიან ხისდამმუშავებელი წარმოების ირგვლივ. მათზე დაყრდნობით გარკვეულია მთელი რიგი საკითხები, რაც ბაზარზე გასაყიდად დამზადებულ ხის ნაკეთობათა პროდუქციას ეხება. ირკვევა, რომ ამიერკავკასიის ქალაქებში გასაყიდად მზადდებოდა არა მარტო მცირე და საშუალო მოცულობის ხის ნივთები, არამედ საკმაოდ დიდი საზიდრებიც (გარდუნ).

როგორც წყაროების მონაცემებით, ასევე არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება ამიერკავკასიაში ლითონდამუშავებითი წარმოების მაღალი დონე. აღმოჩენილია სახელოსნოს ნაშთები, სადაც ხდებოდა ფოლადის გამოდნობა და მისგან სხვადასხვა ნივთის დამზადება. გამოკვლევის მიხედვით აშკარა ხდება სპეციალიზაციის ნიშნები ამ საზოგადოებრივ შრომაში. ეს როგორც ცალკეული დეტალების დამზადების მხრივ („ტფილისური შესაკრავები" — გაბაბიშ ატ-ტიფლისიია), აგრეთვე უფრო ფართო მასშტაბითაც — იარაღის წარმოებაშიც: აქ სპეციალდებიან ცალკეული ქალაქები და სასოფლო ადგილები (ზირიხ-გერან-კუბაჩი). არსებობს ცნობები, რომლებიც აზერბაიჯანში ხმლის პირების დამზადებას ეხება. ეს პროდუქცია შორს, ჩრდილოეთში გაჰქონდათ (ღარნათი).

შრომაში დეტალურად არის განხილული საზოგადოებრივი განვითარების ყველა ის პირობა, რაც ხელს უწყობდა ხელოსნობის განვითარებას.

დადგენილია როგორც მინის წარმოების ძირითადი ცენტრები (დვინი, რუსთავი და სხვ.), ასევე განსხვავებული ხერხები წარმოების ტექნოლოგიაში და ნაწარმის მხატვრულ გაფორმებაში (ჩამოსხმა ყალიბში, თავისუფალი ბერვა, დაწახნაგება და სხვ.), გამოვლენილია ფართო გამმა ძირითადი და ნახევარტონური ფერებისა, მითითებულია მინის ხარისხი, აღნიშნულია ხელოვნური ბროლის ტექნოლოგიის ათვისების ფაქტი, გარკვეულია მინის ნაწარმის სულ უფრო ღრმად შეჭრა მოსახლეობის ფართო ფენების ყოველდღიურ ყოფაში.

მეჭურჭლეობის შესახებ არსებული არქეოლოგიური მასალა რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც წარმოადგენს ძირითად წყაროს შრომის ამ სახის და თვით სახელოსნო საწარმოს სტრუქტურის შესწავლის საქმეში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია ის წარწერები და დამღები, რომლებსაც ატარებს ამიერკავკასიის სახელოსნოებში დამზადებული კერამიკული ნაწარმი. არსებული მასალა მკვლევარს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლოს წარმოების ტექნიკური მოწყობილობა და ტექნოლოგია, გამოავლინოს როგორც საერთო, ასევე მხოლოდ მეთუნეობის ერთი სახელოსნო ცენტრისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

წიგნში არის ზოგიერთი საჭოჭმანო საკითხი, რომელთა გაზიარებაც ერთობ ძნელია (მაგალითად, თბილისის ე. წ. „ზემო ციხის" შესახებ). მაგრამ, მიუხედავად ამისა, გამოკვლევა მაღალ დონეზეა შესრულებული და ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სერიოზულ შენაძენს წარმოადგენს. შრომისადმი ინტერესი კიდევ უფრო ღვივდება, რადგანაც ის უფრო ფართო გამოკვლევის მხოლოდ პირველი ნაწილია.

დაველოდოთ მეორე წიგნს.

**როლანდ ბურჭულაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით

იყო დრო, როდესაც ქართველი ეთნოგრაფები ძველსა და ახალ ყოფას ცალ-ცალკე სწავლობდნენ და ზოგიერთმა ამ ერთიანი პროცესის გასამიჯნავად ლამის ჩინური კედელიც კი გაავლო, მაგრამ ასეთმა მეთოდოლოგიურმა მიდგომამ ვერ გაამართლა. მიჯნები ძალიან ხელოვნური გამოდგა და ძველის გაუთვალისწინებლად ახლის წარმოჩენა თანდათან შეუძლებელი გახდა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ ეთნოსის შესწავლას გულისხმობს, აქედან არსებითია საცხოვრისის ზუსტად განსაზღვრა, ეთნიკურ თავისებურებათა გამოვლენა და დღემდე მოღწეული მოსახლეობის სადაურობის დადგენა. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულისყურს ჯერ კიდევ ძველი ქართველი მემატიანეები იჩენდნენ, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონმა სამაგალითოდ შესძლო საქართველოს ყოველი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის ლოკალიზაცია და ცხოვრების წესის ჩვენება. სწორედ ეს იყო დიდი ეროვნული საქმის მეტად შედეგიანი დასაწყისი. შემდგომ, წინაპართა ღვაწლის გათვალისწინებით, თანდათან უნდა გარკვეულიყო ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხის რაობა და ყოფა, დადგენილიყო როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრები, საერთო ყოფითი მოვლენების ჩვენებასთან ერთად, გარკვეულიყო განსხვავებანიც, რაც თავს იჩენდა მკვიდრთა ხასიათსა და ტემპერამენტში, საქმიანობასა თუ გართობა-დასვენებაში. ეს ვეებერთელა სამუშაო ქართულმა ეთნოგრაფიულმა მეცნიერებამ უნდა შეასრულოს, სხვანაირად არც ძველ ყოფას მოევლება და არც ახალს. უპირველესად უნდა ვიცოდეთ საქართველოში მცხოვრები ყოველი ეთნოსის წარმოშობის ისტორია, უფრო სწორად ეთნოგენეზი, გავრცელების არეალი დღევანდელი ვითარებით და ისტორიული სიღრმით. ამის გარეშე ეთნოგრაფიულ კვლევას აზრი არა აქვს. სწორედ ამ მოთხოვნათა შესაბამისად განვიხილავთ ახალგაზრდა ეთნოგრაფის ვახტანგ ითონიშვილის წიგნს „არაგვის ხეობა“, რომელიც 1986 წელს „მეცნიერებამ“ გამოსცა.

კავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი არაგვის ხეობას მიუყვება და ეს საერთაშორისო მნიშვნელობის გზა ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. შეიქმნა მდიდარი ლიტერატურა, მიუხედავად ამისა, გაურკვეველი რჩებოდა ადგილობრივი ისტორიულ-ეთნოგრაფიული „ქვეყნების“ — მთიულეთის, გუდამაყრის, ხანდოსა და ჭართალის თავისთავადობა და ურთიერთმიმართება. ავტორმა ისტორიულ წყაროებთან ეთნოგრაფიული მასალის ამომწურავი ანალიზით და შეჯერებით შესძლო ჭეშმარიტების დადგენა, ცხადყო, რომ არაგვის ხეობის მთიანეთი მოიცავდა ტერიტორიას ჯვრის უღელტეხილიდან ანანურამდე და ითავსებდა თემებს — მთიულეთს, გუდამაყარს, ხანდოსა და ჭართალს. ერთი შეხედვით ამ უბრალო ჭეშმარიტების წარმოჩენას ხანგრძლივი და დაძაბული შრომა დასჭირდა. ჯერ დაბეჯითებით გასარკვევი გახდა არაგვის ხეობის ეთნონიმიკა. თითქოს აქ ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღმოჩნდნენ მკვლევარები, რომლებმაც ძველი „უკუღმართული ტრადიციის“ თანახმად, ფხოველები, მთიულები და წარმოიდგინეთ წილკნელებიც კი ცალკე ხალხებად გამოაცხადეს (გვ. 8). იყო დრო, როდესაც მეფის რუსეთის „ნაფიცი სწავლულები“ საქართველოს თითო კუთხის მცხოვრებლებში ცალ-ცალკე ეთნოსს ხედავდნენ და ამ ვითომდა— „ხალხების“ შესწავლა დიდ აღმოჩენად ეთვლებოდათ, იქმნებოდა სათანადო სტატისტიკაც და ა. შ. ასეთ ვითარებაში სარეცენზიო წიგნი ძვირფასი შენაძენია, კრიტიკულად არის რა შეფასებული აბსოლიტურად ყველა მონაცემი, თვალწინ არაგვის ხეობის ეთნონიმიკის სრული სურათი გვეშლება. ცნობილია, რომ ეროვნებათა შორის ყოველგვარი გაუგებრობის წყარო ისტორიული სიმართლის უცოდინარობაა, მით უმეტეს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობენ „მეცნიერები“, რომლებიც ხალხთა მეგობრობის საზიანოდ ფაქტებს ამრუდებენ და ხელოვნურ დაძაბულობას ქმნიან.

გაუგებრობათა ერთ-ერთი სათავე ცნებების აღრევაა: „მთიანეთი“, „მთიულეთი“, „მთიელი“, „მთიული“, რასაც დასაბამი ჯერ კიდევ, ძალაუნებურად, ძველმა ქართველმა მემატიანეებმა მისცეს. მკვლევარს გამოვლენილი აქვს ამ ტერმინებს ვინ როგორ ხმარობდა და ასკვნის: საყურადღებოა, რომ ვახუშტი ბაგრატიონთან ტერმინების „მთიულის“ და „მთიელის პარალელურად ხმარების ფაქტი არ დგინდება. ვახუშტიმ გაითვალისწინა ამ ტერმინების იგივობა და ამიტომ საჭიროდ ჩათვალა, მათგან მხოლოდ ერთი („მთიულნი“) დაენერგა ხმარებაში. ამასთან, თუ ვახუშტის თხზულების ისტორიულ ნაწილში ტერმინი „მთიული“ ნიშნავს, როგორც კავკასიელ, ისე ქართველ მთიელებს, მისი ნაშრომის ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაწილში სიტყვა „მთიული“, როგორც წესი, უკვე ქართველ მთიელთა ერთ-ერთი ტომის კონკრეტულ სახელწოდებად წარმოგვიდგება (გვ. 10).

ვახტანგ ითონიშვილი ადგენს რა ქართლ-კახეთის მთიანეთის თემებს, არაგვის მთიელებში აერთიანებს ჭართლელებს, ხანდოელებს, გუდა-

---

**ვახტანგ ითონიშვილი. არაგვის ხეობა. „მეცნიერება“, 1986.**

მაყრელებს, ცხავატელებს და ხადელებს. „არაგვის მთიულეთში“ ისტორიულად შედიოდა აგრეთვე ხევი და თრუსო, რომლის მკვიდრნი — მოხევეები და ღვალები (მოგვიანებით თრუსოში ჩამოსახლნენ ოსები) წერილობით წყაროებში აგრეთვე „არაგვის მთიულების“ ზოგადი სახელწოდებით ფიგურირებენ (გვ. 14). ეს იმიტომ, რომ თავის დროზე „არაგვი“ ერქვა თერგსაც. რაც შეეხება ფხოვს — მერმინდელ ფშავ-ხევსურეთს, — „ტერიტორიულად უთუოდ კახეთის მთიანეთში თავსდება“ (გვ. 15).

ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ვახუშტი ბაგრატიონმა მკვეთრად გამიჯნა ქართლისა და კახეთის მთიანეთად, — წერს ავტორი, — ქსნისა, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებთან ერთად ქართლის მთიანეთში მან მოაქცია არაგვის საერისთაოს მთიანეთი (ჭართალი, ხანდო, გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი, თრუსო), ხოლო კახეთის მთიანეთს მიაკუთვნა ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი და დიდოეთი. ანალოგიურ დაყოფას გვთავაზობს იოანე ბაგრატიონიც (გვ. 15–16).

ამგვარად, ფხოვის არაგვის ხეობაში ლოკალიზაცია და წილკნის საეპისკოპოსოში შეყვანა ისტორიული უზუსტობაა. ავტორის მსჯელობა ლოგიკას მოკლებული არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, გათვალისწინებული უნდა იყოს საზღვრების დადგენის ძველქართული ტრადიცია, რომელიც წყალგამყოფების პრინციპს ეყრდნობა, რასაც, სრულიად სამართლიანად, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პროფ. დ. მუსხელიშვილი.

ცნობილია, რომ ვახუშტი ბაგრატიონმა საქართველოს მთა და ბარი მევენახეობის გავრცელების მიხედვით დაყო. ასეთ ნიშნულად მან არაგვის ხეობაში ანანური მიიჩნია. რა თქმა უნდა, არცერთ მკვლევარს ვრცელი მსჯელობა არ დასჭირდებოდა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ მიჯნად რატომღაც ჭართალი არ დაესახელებინათ. სპეციალური ლიტერატურისა და ისტორიული წყაროების ანალიზით ცხადადაა დასაბუთებული, რომ ყოვლად შეუძლებელია „ქუეყანა“ ჭართალს ასეთი პრეტენზია ჰქონდეს. არა მარტო გეოგრაფიულ-ბოტანიკური, არამედ არაგვის ხეობის მთასა და ბარს შორის „სოციალური“ საზღვარიც ანანურზე უნდა გადიოდეს, თუმცა ამ „სოციალურში“ რა იგულისხმება, მთლად ნათლად გამოკვეთილი როდია. გეოგრაფიულ-ბოტანიკური საზღვარი მყარია და იშვიათად ცვალებადი. რაც შეეხება ისტორიულ-ეთნოგრაფიულს და, მეტადრე, სოციალურ-პოლიტიკურს შედარებით არამდგრადია და ამდენად ძნელად დასადგენი, თუმცა სოციალური ჩამორჩენილობა ან დაწინაურება, ჩვენი ღრმა რწმენით, რელიეფზე მეტად პირობითადაა დამოკიდებული.

საგანგებო თავი აქვს დათმობილი არაგვის ხეობის მთის კუთხეების ლოკალიზაციის საკითხებს მე-18 — მე-19 საუკუნეების მკვლევართა შრომებსა და ამავე პერიოდის წერილობით წყაროებში. კრიტიკული მიმოხილვისა და მონაცემების ერთ-ერთი შეჯერების საფუძველზე მიღებულია დასკვნა: მე-18—მე-19 სს. ავტორებთან (ვახუშტი ბაგრატიონი, ი. ბაგრატიონი, ი. ქართველიშვილი, დ. ბაგრატიონი, თ. ბაგრატიონი, ნ. ჭილაშვილი, ფ. ლანდი, ნ. ნიკიფოროვი და სხვ.), აგრეთვე ამავე პერიოდის სტატისტიკურ მასალებსა და სხვადასხვა სახის დოკუმენტებში მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი ერთმანეთის მეზობლად მდებარე ტერიტორიულ ერთეულებად ფიგურირებენ; ამასთან, ხსენებული პერიოდის წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით ნათელი წარმოდგენა გვექმნება დასახელებულ კუთხეებში მცხოვრებ ქართველ მთიელებზეც (მთიულებზე, გუდამაყრელებზე, ხანდოელებზე და ჭართლელებზე), რომელთა ეთნიკური ნომენკლატურის განსაზღვრაში რაიმე გაუგებრობას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არსებითად არც აქვს ადგილი (გვ. 68).

წერილობითი წყაროების არამართებული ინტერპრეტაციის საფუძველზე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში თავი იჩინა მთიულეთთან გუდამაყრისა და ხანდოს გაიგივების ტენდენციამ. ზოგიერთმა მკვლევარმა მთიულეთის საზღვარი სამხრეთით ჟინვალამდე გადმოიტანა, ხოლო ჩრდილოეთით ოსები დაუმეზობლა, როგორც ჩანს, იმ ავტორს მხედველობაში აქვს მთიულეთის ტერიტორიაზე (ლუდის ხევი, ჯვრის უღელტეხილის რაიონი) და ქსნის ხეობის მაღალმთიან ნაწილში (ყამურის ხეობა) ოსების დასახლება გვიანფეოდალურ ხანაში და ამის შედეგად მთიულებთან მათი დამეზობლება. მაგრამ საქართველოს ამა თუ იმ ხეობაში ოსების დასახლება და ამ გზით ქართულ მოსახლეობასთან მათი დამეზობლება სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მთიულეთს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ოსეთი ესაზღვრებოდა. განმარტებას არ უნდა საჭიროებდეს ის ფაქტი, რომ დასავლეთი მხრიდან მთიულეთს ესაზღვრება ქსნის ხეობა, კერძოდ, ცხრაზმის ხევი, ხოლო ჩრდილოეთი მხრიდან ხევი (ყაზბეგის რაიონი) (გვ. 75).

კვლევა-ძიების საბოლოო შედეგი ასეთია:

ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროების ანალიზი და არსებული ლიტერატურის კრიტიკული განხილვა ნათელყოფს, რომ გუდამაყარი, ხანდო და ჭართალი მთიულეთის ფარგლებში არ შედის. გუდამაყარი შავი (გუდამაყრის) არაგვის ხეობას მოიცავს და აღმოსავლეთიდან ემიჯნება მთიულეთს, ხოლო ხანდო წარმოადგენს რა დამოუკიდებლად არსებულ კუთხეს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (და არა მთიულეთის ნაწილს, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული), სამხრეთიდან ემეზობლება მთიულეთს. რაც შეეხება ჭართალს, მას ტერიტორიულად არაგვის ხეობის ერთი გა-

ნასზღვრული მონაკვეთი უჭირავს ხანდოსა და ანანურს შორის (გვ. 82).

ავტორი აღადგენს მთიულეთის (ძველი ხადა-ცხავატის), გუდამაყრის, ხანდოს და ჭართალის ყველა სოფლის თუ ნასოფლარის სახელწოდებას, მათი გეოგრაფიული მდებარეობის აღნიშვნით, დღეს არსებული მდგომარეობის ჩვენებით (მიტოვებულია თუ მიტოვების პირასაა მისული და სხვ.). რა თქმა უნდა, ცალ-ცალკეა განხილუ-ტერიტორიულ თემებად დარაიონების ისტორიული სიღრმიდან მომდინარე თანამედროვე ვითარების შეძლებისდაგვარად ასახვით.

საკუთრივ მთიულეთის შესახებ მკვლევარი წერს, რომ გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით მისი ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა: მაღალმთიანი ზემო ნაწილი თავმთიულეთად იწოდება, ხოლო ქვემო — მთიულეთად. ასეთი გეოგრაფიული დაყოფა არ უნდა აირიოს ამ კუთხის ტერიტორიულ თემებად და რაიონების ისტორიულ ტრადიციასთან, რომლის მოქმედების ძალით ერთმანეთთან შეპირისპირებაში განიხილება არა თავი და ბოლო მთიულეთი, არამედ ხადა და ცხავატი. საყურადღებოა, რომ მთიულეთში დროთა განმავლობაში წარმატებით განხორციელდა ამ კუთხის გეოგრაფიული დარაიონებისა და ტერიტორიულ თემებად დაყოფის უძველესი ტრადიციების შერწყმა, რასაც მოწმობს საკვლევ რეგიონში მეტად პოპულარული ერთი ხალხური ლექსის შემდეგი სტრიქონები: „თავს ხადა, ბოლოს ცხავატი, შეიქმნა დიდი ერიო" (გვ. 123).

წილკნის თემის მდებარეობის საკითხის გაშუქებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართულ წერილობით წყაროებში წილკნელები იხსენიებიან ფხოველებთან, გუდამაყრელებსა და ჭართალელებთან ერთად და არა მათთან მეზობლობაში, როგორც ამის შესახებ იყო აღნიშნული. მაგრამ ...რა კუთხითაც არ უნდა მივუდგეთ ხადის თემისა და წილკნის ურთიერთმიმართების საკითხს, ყოვლად გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ ბარის ზოლში ლოკალიზებული ძველი წილკნის თემი არაგვის ხეობის სათავეში მდებარე ტერიტორიულ ერთეულად იქნეს გააზრებული. საამისო პირობას არ ქმნის ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების ობიექტური ანალიზი, რაც საბოლოო ანგარიშით იმ აზრისაკენ გვეწევა, რომ ხადის ტერიტორიაზე ოდითგანვე აღნიშნული სახელწოდების მატარებელი „ქვეყანა" ლოკალიზდებოდა, ხოლო ამ ქვეყნის მკვიდრთ ძველთაგანვე შეადგენდნენ ჯერ ხადელებად, შემდგომში კი მთიულებად სახელდებული მთიელები (გვ. 112).

ასეთია ავტორის ლოგიკა, რასაც შეუძლებელია არ დაეთანხმო.

გუდამაყარს ცალკე კუთხისათვის დამახასიათებელი მკვეთრად გამოყოფილი გეოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზღვრები აქვს. ეთნოგრაფიული მონაცემებით იგი სამ ძირითად ნაწილად იყოფა: თავგუდამაყრად, [illegible] შუალო თემად და „ქოით [illegible] მსგავსი გეოგრაფიული დარაიონება, როგორც ვიცით, დამახასიათებელია მთიულეთისათვისაც.

მკვლევარი ახდენს რა ხანდოს სრულ ლოკალიზაციას, დაწვრილებით განიხილავს მისი ყველა სოფლის მდებარეობას, სალოცავებს, დღეობებს, საგვარეულო გადმოცემებს, გვარის შიგნით პატრონიმულ დანაყოფებს და ა. შ. დასკვნა შემდეგნაირია:

ხანდოს სოფლები მთის ტიპიური დასახლებებია მათი ფორმისა და სტრუქტურის მიხედვითაც. დასახლების ძველი სახეობისათვის დამახასიათებელი იყო სოფლის შიგნით ერთი გვარით მჭიდროდ დასახლებული უბნების არსებობა. დაკვირვებამ გვიჩვენა სოფლის მონოგენურობის პირველადობა, რომლის შეცვლა პოლიგენურობით გამოიწვია, ერთი მხრივ, მკვიდრი გვარიდან ახალი გვარის გამოყოფამ, ხოლო, მეორე მხრივ, სხვაგნიდგან მოსულთა დამკვიდრებამ. დროთა ვითარებაში მივიღეთ მონოგენურ და პოლიგენურ დასახლებათა თანაარსებობა, რაც ზემოხსენებული სოციალური პროცესის ლოგიკური შედეგია. რაც შეეხება თვით გვარის სტრუქტურას, იგი წარმოადგენს პატარ-პატარა ნათესაური ჯგუფების ანუ პატრონიმიული ერთეულების გაერთიანებას. ასეთ ერთეულების ადგილობრივ სახელწოდებანია „მამიშვილობა" ან „ჩამომავლობა", რომლის შემადგენლობაში გაერთიანებულია რამდენიმე კომლი. ამდენად, მამიშვილობის პარალელურად „კომის" ხმარება, რაც ზოგჯერ გვხვდება, ერთგვარ გაუგებრობას ქმნის, ვინაიდან ხელოვნური გათანაბრება ხდება პატრონიმიასა და ოჯახის აღმნიშვნელ სოციალურ ტერმინებს შორის (გვ. 150).

ნაშრომის დასასრულს ვეცნობით ჭართალს, რომელიც წერილობით წყაროებში მე-11 საუკუნიდან იხსენიება. ჭართლის თანამედროვე მოსახლეობა გვიანდელია (დაახლ. მე-19 — მე-20 სს.), ამიტომ ამ ისტორიული კუთხის დამახასიათებელი ტრადიციები მის ყოფაში შემონახული არ არის, მაგრამ ეს გარემოება არ გამოდგება უარვყოთ ჭართლის, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის არსებობა, რაც ისტორიული მონაცემებით აშკარაა. ჭართალელთა ვინაობით დაინტერესება, — ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, — არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს მათი არსებობის ეჭვქვეშ დაყენებას (და მით უმეტეს ხელაღებით უარყოფას). ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია სამერმისო კვლევა-ძიებისათვის, რაც ქართლის მთიანეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესების კომპლექსური (ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ენათმეცნიერული) შესწავლის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს უკავშირდება (გვ. 156).

მაშ ასე, კვლევა-ძიება არა თუ მთავრდება, არამედ ახლა იწყება. შეიძლება ითქვას, განხილული მონოგრაფია შესავალი ნაწილია არაგვის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისა. ჯერ მხოლოდ თითოეული კუთხეა სწორად ლოკალიზებული, კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული გადაცდომანი და შეუსაბამობანი, ამჯერად ასეთივე ენერგიულ, დაუინებით კვლევას, საქმის ცოდნით ჩაძიებას მოელის არაგვის ხეობის ყოველი სოფელი, მეტადრე იქაც მრავლდება ნასოფლარები და გაქრობის პირას მისული დასახლებანი. ისე ვერავინ ვერ გამოიკვლევს მოსახლეობის მოძრაობას, ურბანიზაციის პროცესს, ტრადიციული მეურნეობის თანამედროვეობასთან შეთანაწყობის აუცილებლობას და ამ სათუთ სფეროში მძიმე არსებულ ვითარებას, ყოფაში მატერიალური კულტურის ძეგლების როლს, რელიგიურ დანაშრევებს, მცხოვრებთა ნივთიერ და სულიერ მოთხოვნილებებს, როგორც ეთნოგრაფი. ეთნოგრაფი ხომ ხალხსა და მის ყოფას მთლიანობაში სწავლობს, წარსულის გამოცდილებათა გათვალისწინებით და მომავლის პერსპექტივების დანახვა-დანჭვრეტით.

სარეცენზიო წიგნის მეოხებით საკვლევი რეგიონის მისამართი ზუსტადაა დადგენილი. გადაწყვეტილია ეთნოგრაფიული მუშაობის არსებითი საკითხი, სახელდობრ, მოცემულია კონკრეტულ გეოგრაფიულ გარემოში, კონკრეტული ეთნოსის ისტორიულ-ყოფითი სარბიელი, გასახლებისა და თითოეული კუთხის ჩამოყალიბების თავისებურებანი. სანამ სოფლის მოსახლეობას ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ხსოვნა მამაპაპური ცოდნა-გამოცდილებისა, კიდევ იცის კუთვნილი საცხოვრისის, საკუთარი შთამომავლობის თავგადასავალი, პრაქტიკულადაც და თეორიულად შეცნობილ-გააზრებული აქვს სამოქმედო გარემო, თუ გნებავთ, საგვარეულო გადმოცემებსა და ადგილმდებარეობის სახელწოდებებში, მანამ უნდა მოესწროს ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი მასალის შეკრება. სწორედ ეთნოგრაფს — ვახტანგ ითონიშვილის დონის მომზადების სპეციალისტს ძალუძს ხალხში დაუნჯებული, ეროვნული ისტორიისათვის ესოდენ საჭირო საგანძური მეცნიერების კუთვნილება გახადოს. ასეთი მიდგომითა და თავდაუზოგავი შრომით გამოძიებულ-გამოკვლეული უნდა იყოს საქართველოს ყველა ხეობა. ვერც წერილობითი წყაროები და ვერც არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრები ვერ აანაზღაურებს ქართველი ხალხის დღემდე მოღწეულ მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებას, დღისით, მზისით , ჩვენს თვალწინ ასე განუკითხავად რომ იკარგება. დროა ყოველმა ეთნოგრაფმა გულმხურვალებითა და საქმის სიყვარულით აღასრულოს დაკისრებული მოვალეობა, მაშინ საქართველოს ეთნოგრაფიულ რუკას თეთრი ლაქები ძლიერ შეუმცირდება.

ლევან ფრუიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღსრულდა დიდი ექვთიმეს ოცნება

ქალბატონმა ნინომ მოგვცა საბაბი ერთხელ კიდევ მოგვეყარა თავი ერის სასიქადულო მამულიშვილების ამ წმინდა სავანეში, აქ — ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის საფლავთან.

უკანასკნელად 66 წლის წინ ედგა ფეხი ქალბატონ ნინოს ქართულ მიწაზე. დღეს კვლავ საქართველოშია ის, თავის ექვთიმესთან ერთად — საფლავშიაც თან ჩაყვა მას.

ჭეშმარიტად ღირსი იყო მშობლიური მიწისა ქალბატონი ნინო. ღირსი იყო ბატონი ექვთიმე მოსწრებოდა ერთგული მეუღლის ჩამობრძანებას საქართველოში.

დღეს ახდა ოცნება: საქართველომ შეუსრულა დაპირება ბატონ ექვთიმეს. გუშინ პრესამ დაწვრილებით აცნობა დიდი დაპირების შესრულებისათვის ფრიად დამაშვრალთა შესახებ. დღეს მადლიერი ქართველი ხალხი თავს ხრის მათ წინაშე.

1945 წელს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ბატონი ექვთიმე წერდა: საშუალება მომეცა ჩემს უნივერსიტეტში და ახალშობილ აკადემიაში დამეწყო მუშაობა. ოღონდ, ძალზე მიკლავს გულს, რომ ჩემი საცოდავი მეუღლე, ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ერთგული თანამგზავრი საფრანგეთის მიწაში დამრჩა დამარხულიო.

ისიც კარგად არის ცნობილი, რომ მძიმედ, ძალიან მძიმედ განიცდიდა ბატონი ექვთიმე საფრანგეთშიაც ქალბატონ ნინოს უდროოდ დაკარგვას. „ჩემი სიობლე, ჩემი მარტოობა და უმწეო მდგომარეობა უსიტყვოდაც კარგად უნდა წარმოიდგინოს ყველამ... დავეცი, ფეხი მოვიტეხე, პარიზის საავადმყოფოში ვწევარ. ჩემი მდგომარეობა ერთობ მძიმეა; ჯერჯერობით, ვერც ვდგები, ვერც ვჯდები. ეს აღსასრულის დასაწყისია. ნინო აღარა მყავს. ამ მდგომარეობაში ჩემი მოვლა მხოლოდ მას შეეძლო", — წერდა პარიზიდან თავის უახლოეს მეგობარსა და თანაშემწეს, გამოჩენილ მოღვაწეს ბატონ იროდიონ სონღულაშვილს.

ქალბატონი ნინო და ბატონი ექვთიმე 36 წლის მანძილზე, მშობლიურ საქართველოში თუ უცხოეთში, განუყრელად და თავდადებით იღვწოდნენ მამულისათვის, მიუხედავად ქუდბედად დაყოლილი ჟამთა სიავისა: „რაკი პარიზში საცხოვრებელი სახსარი არ გვქონდა, ახლა სოფლად ვართ — ლე-

ვილში — მე და ჩემი ცოლი. ცოტა ხნის შემდეგ აქ საცხოვრებელიც არაფერი გვექნება“. რით არ არის ეს სამშობლოსათვის ჭეშმარიტად თავგანწირულთა ცხოვრება?

როგორღაც სიმპტომატურია და, თანაც, უთუოდ კარგი, რომ ეს დიდი თავგადასავალი დასრულდა წელს, როდესაც ჩვენი ხალხი, დიდი საბჭოეთი გულმოდგინედ ემზადება ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის. ხომ ცნობილია, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ილია უკვე ვეღარ ურიგდებოდა ექვთიმე თაყაიშვილის მარტოხელობას. ილია წუხდა, რომ ექვთიმე დაქორწინებას აგვიანებდა და ხშირად მეგობრებთან ათევდა ღამეს. ერთ შეკრებაზე, ჩანს პოლტორაცკების წრეში და, იქნებ, მათ გასაგონადაც, ილიას უთქვამს: სანამ უნდა იყოს ბატონი ექვთიმე თაყაიშვილი ბატონ გოგებაშვილის ბინაზე. იგი შეირთავს ნინო პოლტორაცკაიას და ოჯახს შექმნისო. გვიან, ილიას ამ ნათქვამის გამო, ბატონ ექვთიმეს უბრძანებია: მესამე დღეს პოლტორაცკების ერთმა მეზობელმა შემომითვალა — არ განახოთ ამ საქმეზე ჩვენთან მოსული, თორემ მეორე ფეხსაც მოგტეხთო.

ერის საქმეს შეელია ორი დიდი ქართველის სიცოცხლე. დიახ, ორი ჩვენი მამულიშვილისა. ნინო პოლტორაცკაია-თაყაიშვილმა 1928 წლის 31 მაისს პარიზში შევსებულ ანკეტაში თურმე ჩაწერა — ეროვნებით ქართველი ვარო.

ჩვენი საზოგადოებრიობის, დღეს აქ მოსული ზღვა ხალხის გულითადი მადლობა რესპუბლიკის მესვეურთ, მათ ვინც ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ასე დასრულებულიყო წამება წმინდისა ნინოსი და ექვთიმესი.

კარგი იქნებოდა იყოს შესაძლო ვაცოდინოთ ბატონ ექვთიმეს, რომ მისი ნინო სამშობლოში დაბრუნდა ქართველთა დიდი გასაჭირის ჟამს; — ვაცოდინოთ ისიც, რომ ქართველი კაცი ძველებურად მარტო აღარ არის ავბედობასთან თავგანწირულ ბრძოლაში. მასთან არიან კავკასიელი ძმები; მასთან არის დიდი რუსი ხალხი, საბჭოეთის უკიდეგანო ქვეყნის მოძმე ხალხები და საერთო ძალით სწრაფად იშუშებს და ირჩენს წყლულებს, ქვითკირივით მტკიცე შეხვდა გასაჭირს.

ამ გასაჭირში ჩვენთან არიან დიდი ექვთიმე თაყაიშვილი და სამშობლოსათვის თავდადებული ქართველი ქალი ნინო პოლტორაცკაია.

დიდება მათ სახელს ამიერიდანაც არ მოაკლდება.

**ანდრია აფაქიძე**

ჟურნალ „მნათობის“ № 2-ის ჰონორარიდან მე-700 ანგარიშზე გადაირიცხა 500 მანეთი.


რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, მთ. რედ. მოადგილის — 98-55-18, პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17.

გადაეცა ასაწყობად 29. 01. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 03. 87 წ. ანაწყობის ზომა 7¼X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09561. ტირაჟი 32.000. შეკვ. 297. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

650/60

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ